

1958 / 3



გეომეტრია

7

ივ ლინი



1958

მ ნ ა თ ო ბ



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის
დასაჯობად მოეგარი ვაკო ლიტიჟური შუიკნალი

წელიწადი 35-ე

№ 7

ივლისი, 1958 წ.

საქართველოს საბჭოთა მშვიდობის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის
28 მაისის დადგენილება


ოპერების „დიადი მეგობრობის“, „ზოგდან ხმელნიკისა“ და „მთელი ველი“ შეტახებაში დაშვებული შეტყობების გასწორების შესახებ	3
ირაკლი აბაშიძე — სამარყანდში, ლექსი	5
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტეტრალოგია, გაგრძელება	6
ოთარ ჭელიძე — გაწვილებული მონადირე, ლექსი	19
ოთარ ჩხეიძე — მეჩენი, რომანი, გაგრძელება	21
ვიფი ძნელაძე — ლექსები	54
ჯანსუღ ჩარკვიანი — ლექსები	55
დავით სულაშვილი — გულმართალი	56
ივანე ბუნინი — დასიცხული, თარგმანი ნ. ნუნე ზომერტიხისა	70
გიორგი ჯიბლაძე — ხელოვნების შორეულ ძველებთან, გაგრძელება	75

კრიტიკა და კუზლიცისტიკა

ა. წულუყიძე — მუსიკალური ხელოვნების აღმავლობისათვის	87
თამაზ ჭილაძე — ვალაქტიონ ტაბიძის ლირიკის ბუნებისათვის	91
ბ. თურნაძე — საჯარანგეთის პრესის გამოხმაურებანი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდ- ოსტატის მარჯვენის“ შესახებ	98
ნოდარ კაკაბაძე — არნოლდ ცვაიგი	101
მ. ავაჯანოვი — გ. კ. რაგონიძეზე ამიერკავკასიაში ნაციონალური მშვიდობის და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში	103
ე. ბურჭულაძე — იყო თუ არა ორხელისუფლებიანიზმა საქართველოში 1917 წელს?	111
კაროლე აქბარდია — ფილოსოფიაში ზოგიერთი სადავო საკითხების შესახებ	118
ილია შაიხურაძე — ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი	129

(იხ. მეორე გვ.)

საბელმფიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თ ბ ი ლ ი ს ი



ლიბერატორული მემკვიდრეობა



შალვა ნუცუბიძე — ქართული კულტურის საკითხები და ჩემი მოკამათენი დასავლურს
მეცნიერებაში 131

ჯუმბერ ჭუმბურიძე — ივანე კერესელიძე გიორგი მთავრის

ქართული მწიგნობრობა მოსკოვში გაზარტულ ლიბერატორისა და ხელშეწყობის დეკლარაცია

იურის სუროცვევი — „...მომადგა გრიგალის სვეტი“ 143

სერგეი გოროდეცვი — ქართული პოეზიის შესახებ 150

კ. ი. გორბუნოვი — გ. ნატროშვილის მოთხრობების კრებული 154

დ. ერასიმინი — ა. ბელიაშვილისა და გ. ნატროშვილის მოთხრობები 155

ჩხენი მცხინიამბი

გ. ჩაგელიშვილი — ნიკო კეცხოველი 158

მემუარული ლიბერატორა

ექვთ. თაყაიშვილი — მოგონებები, გაგრძელება 162

შაქრო გომელაური — თეატრალური პორტრეტები 170

წიგნების მიმოხილვა

შალვა რადიანი — ტიციან ტაბიძის წერილები 176

ალექს ხანადირაძე — მორის ფოცხიშვილის ლექსები 177

მის. კვეციანი — მასწავლებლის მოგონებანი 180

დორა წერეთელი — ინგლისური დალოცების კრებულის შესახებ 181

გურამ გახატაშვილი — ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევთა ატენის ხეობაზე 184

ალ. ბენდიანიშვილი, დ. გოგოლაძე — მონოგრაფია საქართველოს გლეხობის შესახებ 186

შოთა ძიძიგური — ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი 188

ნოდარ რუხაძე — ანა ზევერსის რომანის ქართულად გამოცემის გამო 190

ახალი წიგნები გარეკანის შესახებ გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ზელმწიფრლია დასაბეჭდად 24/VII-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 374. უე 00399. ანაწილების ზომა 7 1/4 X 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფვაგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

ოპერების „ღიადი მეგობრობის“, „ბოგდან ხმელნიცკისა“ და „მთელი გულით“ შეფასებაში დაშვებული შეცდომების გასწორების შესახებ

საგვრთა კავშირის კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის
დადგენილება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებაში ვ. შურადელის ოპერის „ღიადი მეგობრობის“ შესახებ საერთოდ დადებითი როლი შეასრულა საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. ამ დადგენილებაში განსაზღვრული იყო ამოცანები მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა სოციალისტური რეალიზმის პრინციპების საფუძველზე, ხანგრძლივი იყო მნიშვნელობა ხელოვნების კავშირისა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან, მუსიკალური კლასიკისა და ხალხური შემოქმედების საუკეთესო დემოკრატიულ ტრადიციებთან. სამართლიანად იყო დაგმობილი ფორმალისტური ტენდენციები მუსიკაში, ყალბი „ნოვატორობა“, რომელიც ხელოვნებას ხალხისაგან თიშავდა და აქცევდა მას მოესთებო გურმანთა ვიწრო წრის კუთვნილებად. შემდგომ წლებში საბჭოთა მუსიკის განვითარებამ დაადასტურა პარტიის ამ მითითებათა სისწორე და დროულობა.

ამასთან ერთად, ცალკეულ კომპოზიტორთა შემოქმედების შეფასებანი, რომლებიც მოცემული იყო ამ დადგენილებაში, რიც შემთხვევებში დაუსაბუთებელი და უსამართლო იყო. ვ. შურადელის ოპერა „ღიადი მეგობრობაში“ იყო ნაკლოვანებები, რომლებიც საქმიანი კრიტიკის ღირსი იყო, მაგრამ ეს ნაკლოვანებანი არ იძლეოდნენ საფუძველს იმისათვის, რომ ოპერა გამოცხადებული ყოფილიყო მუსიკაში ფორმალისმის მაგალითად. ნიჭიერ კომპოზიტორებს ამხანაგებს დ. შოსტაკოვიჩის, ს. პროკოფიევის, ა. ხაჩატურიანის, ვ. შებალინის, გ. პოპოვის, ნ. მიასკოვსკის და სხვებს, რომელთა ცალკეულ ნაწარმოებებში თავს იჩენდა არასწორი ტენდენციები, ხელაღებით ეწოდათ ანტიხალხური ფორმალისტური მიმართულების წარმომადგენლები.

დადგენილებაში, წინააღმდეგ ისტორიული ფაქტებისა, დაშვებული იყო შურადელის ოპერის კრიტიკასთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიის ზოგი ხალხის ხელოვნური დაპირდაპირება სხვებისადმი.

აღნიშნულ დადგენილებაში ზოგიერთი არასწორი შეფასება ასახავდა ი. ბ. სტალინის სუბიექტურ მიდგომას ხელოვნებისა და შემოქმედების ცალკეული ნაწარმოებებისადმი.

ხელოვნების ცალკეული ნაწარმოებების შეფასებასადმი ი. ბ. სტალინის სუბიექტურმა მიდგომამ თავი იჩინა აგრეთვე კ. დანკევიჩის ოპერის „ბოგდან ხმელნიცკისა“ და გ. ქუკოვსკის ოპერის „მთელი გულით“ ცალმხრივი და ტენდენტური კრიტიკით გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიებში, რომლებიც



მისი მითითებით გამოქვეყნდა 1951 წელს. ხოლო, როგორც ცნობილია, საკითხების გადაწყვეტაშიც სტალინზე ფრიად უარყოფით გავლენას ახდენდნენ მოლოტოვი, მალენკოვი, ბერია. მიუხედავად იმისა, რომ ოპერა „ბოგდან ხმელნიცის“ ლიბრეტოსა და მუსიკაში ნაკლოვანებები იყო, გაუმართლებელი იყო მტკიცება „დიდ იდეურ მანკიერებათა შესახებ“, რომლებსაც თითქოს შეიცავდა ცნობილი საბჭოთა მწერლების ვ. ვასილევსკაიას და ა. კორნეიჩუკის მიერ დაწერილი ლიბრეტო, აგრეთვე კომპოზიტორ კ. დანკევიჩისათვის უპრინციპობაში ბრალის დადება. უსამართლო საყვედურები, რომლებსაც ეს სტატია შეიცავდა, შემდეგ გამეორებულ იქნა რიგ სხვა სტატიებში და გამოსვლებშიც. სარედაქციო სტატია ოპერაზე „მთელი გულით“, ოპერის მუსიკისა და ლიბრეტოს შესახებ სწორ კრიტიკულ შენიშვნებთან ერთად, შეიცავდა აშკარა გაზვიადებებსა და ცალმხრივობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ვ. მურადელის ოპერის „დიადი მეგობრობის“ შესახებ ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებაში, რომელმაც სწორად განსაზღვრა საბჭოთა ხელოვნების განვითარების მიმართულება ხალხურობისა და რეალიზმის გზით და რომელიც მუსიკაში მცდარი, ფორმალისტური ტენდენციების სამართლიან კრიტიკას შეიცავდა, — ამავე დროს დაშვებული იყო რიგი ნიჟიერი საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედების ზოგიერთი უსამართლო და გაუმართლებლად შეკეთი შეფასებანი, რაც პიროვნების კულტის პერიოდისათვის დამახასიათებელი უარყოფითი ნიშნების გამოვლინება იყო.

2. ცნობილ იქნას არასწორად, ცალმხრივად ოპერების „ბოგდან ხმელნიცისა“ და „მთელი გულით“ შეფასება, რომელიც მოცემული იყო გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიებში. დაევალოს გაზეთ „პრავდის“ რედაქციას (ამხ. სატიუკოვს) ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მოამზადოს სარედაქციო სტატია, რომელშიც მოცემული იქნება საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარების ძირითადი საკითხების ყოველმხრივი და ღრმა ანალიზი.

3. წინადადება მიეცეს საოლქო, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოაწყონ შემოქმედებითს კავშირებში, ხელოვნების დაწესებულებებში საჭირო ახსნაგანმარტებითი მუშაობა ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, ამასთან მხედველობაში იქონიონ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება და შემოქმედებითი ინტელიგენციის შემდგომი დარაზმვა კომუნისტური იდეურობისა და ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავშირის განმტკიცების საფუძველზე.

ირაკლი აბაშიძე



სამარყანდში

ქველ სამარყანდში, —
 ცა რომ ბუღია
და მიწა ხვატით გადაბუგული,
„ბიჭო გოგია“, „ბიჭო გოგია“
ვანთიადისას კვნესდა გუგული.

ძილში ეს კვნესა,
 ხმა უცნაური,
ჩამწვდა, ვით სუსხი მწვავე გოდების
და ფრინველს უხმოდ გავეხმაურე:
— შენ კიდევ აქ ხარ!? კვლავ
 ელოდები!?

აწიოკება... გაწყვეტა... ცემა...
გადარჯულება... ყმობა... მძევლები...
სამშობლოვ ჩემო,
 სამშობლოვ ჩემო!
შენს ახალ დღეებს შემოვევლები.

ტაშკენტი, 1958, 6. VII.



ღავით აღმაშენებელი*

ტეატრალიზმი

ბარათები იერუსალიმიდან

ამ ამბავმა ჩვენ ისე დაგვაძმობილა აბუ ჰასანთან, გავუმხილეთ კიდევაც მას ჩვენი ნამდვილი ვინაობა და მოგზაურობის მიზნები.

იგი კარგა ხანს იჯდა, მღუპარედ დასჩერებოდა სოხანეს, მერმე თავი აიღო და გვეთხრა:

„მე მწედ მივუღეთ ამ საქმეში. ის ერისთავის ასული თუ საღმრთო ამ ქვეყნებში, მე მას უცილოდ მივაკვლევ.“

გატაცებული დიაცების პოვნა არც ისე იოლია, თქვენ ამბობთ იგი დამასკოში უნახავთო? ეს თავისთავათ არაფერს ნიშნავს.

ტყვეებით მოვაჭრე ხან დამასკს ჩაიყვანს მხევალს, თუ იქ ჯეროვანი საფასი ვერ მიიღო, — ისპაჰანს, ან ბაღდადს მიაშურებს.

მე აგრე მგონია, მაინც და მაინც ბაღდადში უნდა ვეძიოთ ერისთავის ასული. ბაღდადშია უდიდესი ბაზარი მონებისა, ხალიფას სასახლე და მისი ჰარემიც იქვეა.

გარდა ამისა, უმდიდრესი თურქი ამირები ბაღდადში ჩადიან ულამაზესი საცოლეებისა და ხასების შესასყიდად.

არ იქნებოდა ურიგო ანისში შეგვევლო გზად, მას შემდეგ, რაც სელაუქიანები დამკვიდრდნენ ანისში, გაურჯისტანიდან, სომხეთიდან გატაცებული დიაცები ანისში მიჰყავთ, თუ იქ ვერ გაპყიდეს ბაღდადს მიაშურებენ ან დამასკოს.

მონებით ვაჭრობის ამბავი ჩემზე უკეთ თვითონ ალლაჰს თუ ეცოდინება.

ბარე ათ წელს დავეძებდი დედაჩემს. როგორც გამიგონია, ანტიოქიასა და თერუსალმშიაც ქრისტიანი ფრანკები ვაჭრობენ ჩუმჩუმად. შაიზარში ან ბაღდადში შეისყიდიან ლამაზმანებს, ზოგს თავთ იტოვებენ ხასად, ზოგსაც დიდ ფულად მიჰყიდნიან ხოლმე მისრულ დიდვაჭრებს.

მე საქმე ბევრი არაფერი მაქვს, დღინელმა ამირამ ცხენების შესასყიდად გამაგზავნა ბაღდადს, მაგრამ დღინს გაეცილილი თუ არა, მეკობრეებმა გაგვძარცვეს, მერმე ის იყო მხლებლები დამიხოვეს ავაზებმა.

პატრონიც მოკვდომია მაგ ამირას. ახლა უცადოს ჩემს მიერ ნასყიდი ცხენების ჭიხინს. თან გამოგყვებით, ეგებ მაგ ბედმეც დედაჩემსაც მივაკვლიო საღმე.

ჩვენ ქუთაში დავგიჯდა აბუ ჰასანის თათბირი, გიორგი ჭყონდიდელის ბრძანებაც ასეთი იყო, თუ მოახერხოთ ანისშიაც შეიარეთ და ვართაპეტ ჰაიკი ნახეთო.

ანისის მისადგომებს გათენებისას ვეწვიეთ, მუქიქნმა მოუხზო მართლმორწმუნე მუსლიმებს და მთელს ქალაქში ატყდა მუყრების ყვილი.

ანისში მთელს კვირას დავყავით, რადგან ვართაპეტ ჰაიკი დღინს წასული აღმოჩნდა.

ამაოდ ვიარეთ მონების ბაზარში, საქართველოდან გამოტაცებული უწვერული ყრმანი ჰყავდა ირანელ დიდვაჭარს, დიაცთაგანი არც ერთი.

მცირე ყოყმანის შემდეგ სთქვა მონებით მოვაჭრემ: ერთი თვის წინად ჩა-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 6, 1958 წ.

მოიყვანესო დვინიდან იბერიელი და კოლხი დიაკები, გარდა ერთისა ყველანი უსახურნი იყვნენო, აქ ველარ ავიღე ჯეროვანი ფასი, ერთ ორ კვირას მყავდა, ბოლოს ბაღდადს წაასხაო ისინი ჩემმა უფროსმა ვაჟმა. ის ერთი ძლიერ ღამაზე იყოფო წაიდუღუნა მონებით მოვაქრემ.

ეს კაცი ფრიად უცხვირპირო და სიტყვაძვირი აღმოჩნდა.

გამოვითხე რა გვარისა იყო ის ერთი, ან რა ერქვა მეთქი სახელად?

ვერც ერთი მოიგონა და ვერც მეორე. ბოლოს როგორც იქნა ჩამოვიდა ვართაპეტ ჰაიკი. ვართაპეტმა სანდო კაცი მიუგზავნა მონებით მოვაქრეს, მაგრამ იგივე შემოთვალა მან, რაც ჩვენ გვაუწყა.



ვართაპეტ ჰაიკმა შემოგვატარა ანისის დაქცეული გაღავნები, გოდოლები, მკლესიები და მონასტრები. ქრისტიანული ტაძრების ზეთავზე ჯვრის ნაცვლად ნალი აღუმართავთ, ესე იგი, ნახევარი მთვარე.

დარღვეული დაგვიხვდა ზღუდე ქალაქისა. ნალი აღუმართავთ გაგიკსომებთა მეფის სახელობის ტაძარზე. იგივე ბედი სწვევია სომეხთა დედოფლის კატრენიკეს ეკლესიას.

ვართაპეტმა გვიამბო: ეს ეკლესიები გაუძარცვავთ ანისში შემოსვლის უმაღვე სელჯუკებს.

ზოგი მეჩეთად უქცევიათ, ზოგი ფუნდუკად, ზოგიც აქლემების თავლად.



დიღხანს ვეცადეთ ანისიდან ბაღდადს მიმავალ ქარავანს. ვართაპეტ ჰაიკმა პაქიმი მოგვარა აბუ ჰასანს, მეფუნდუკეს ხაჩიკს ჩააბარა ჩვენი თავი.



პაქიმის მიერ მოტანილმა მალამოებმა სასწაულთმოქმედი ზეგავლენა მოახდინა აბუ ჰასანის კრილობებზე.

ერთ საღამოს ვართაპეტი გვეწვია

ფუნდუკში, ქიშმიში და დატყბილული დვინოები მოგვიტანა. საუბრით ართობდა დაკოდილს. აბუ ჰასანი უცხვირად გამხნევედა, უკვე ზუმრობდა და იცინოდა საერთოდ მარადმოღუშული. სავალალო ამბავიც ბევრი მოგვითხრო მან.

„ანისის აღებისას ათიოდე წლის ბიჭუნა მეაქლემედ ვახლდი სულტან მალიქ შას.

ვართაპეტ ჰაიკმა უფრო სამწუხარო ამბავი მოგვითხრო:

„მას შემდეგ რაც ბიზანტიის კეისარმა, კონსტანტინე მონომახმა სომეხთა ეპისკოპოზების მუხანათური ღალატის მეოხებით დაატყვევა გაგიკ სომეხთა მეფე, სელჯუკიანთა ლაშქრის სადგომად იქცა სამეუფო ქალაქი ანი.

ჩვენი ცხენოსანი ლაშქარი დაიშალა, ზოგი რუმს წავიდა, ზოგმა საქართველოს მიამურა.

ანისი იყო დედუღეთი საქართველოს მეფის, ბაგრატის დედის, მარიამისა, სენაქერიმ სომეხთა მეფის ასულისა. ამის გამო ბაგრატ მეფეს წილად ერგო დაობლებული ანისი.

მერმე ის იყო, პიჯრით 454 წელს სულტან ალფ არსლანმა განიზრახა რუმის დალაშქვრა, ზოლო სომეხეთის წურთენა დააკისრა მან იმეამად უკვე ტახტის მემკვიდრეს, მალიქ შას. მას თან გაატანა ნიზამ აღმუკი, „სწორუპოვარი ხოჯა და ვაზირთა-უპირველესი“, როგორც თურქები მას უწოდებდნენ ზოლმე.

ქალაქის მისადგომებთან მსტოვარებმა ამცნეს მალიქ შას, რომ ანის-ქალაქის ზღუდეზე ცხენოსანი ვერ გაივლის, ხოლო ქვეითი მეომარი მის გოდოლებს ველარ მიუდგებაო. იგიც ამცნეს სულტანისძეს, ქალაქის ზღუდეს წყლით გავსილი ბლისკინები არტყაო გარს.

მალიქ შა შედრკა, მას აღარ უნდოდა რუმის დასალაშქრავად მიმავალ მამისათვის მამველი სპაი ეთხოვა, ზოლო უომრად შინ დაბრუნებისაც რცხვენოდა.

ბოლოს ითათბირა თავის სპასალარებთან და გადასწყვიტეს: ციხის გარემოცვა დაეწყოთ. ნაგები და ნაეტკები გამართეს, ბლისკინებს გადაღმა გადაასხეს მონასპანი.

ანისელი მეციხოვნენი არ შედრკნენ, ციხის სამხერებიდან ქვები და ისრები დაუშინეს სელჯუკებს.

ნიზამ ალ-მულკი შეაერთო სომეხ მეომართა გაფთრებულმა წინააღმდეგობამ, ურჩია სულტანის ძეს: მშვიდობით მივბრუნდეთო ისპაჰანს.

მალიქ შა გაუფრჩადა პირველ ვაზირს და დედაციხეს მიადგა სპიანად. სომეხებმა ქამანდების სროლა დაიწყეს ციხას სამხერებიდან, ადუღებულ ფისს ასხამდნენ მოიერიშეებს თავზე და დიდი ზიანი მიაყენეს მალიქ შას სპას.

ნიზამ ალ-მულკმა და მალიქ შამ უკვე აღარ იცოდნენ რა მოემოქმედნათ. ისპაჰანს გაბრუნებას აპირებდნენ უკვე. მაგრამ მოიწია ღვთის რისხვამ ჩვენს თავზე.

მეორე დღეს ამოვარდა საშინელი ქარბორბალა, მერეხი დაუშვა განრისხებულმა ცამ, მზე ლაყე კვერცხს დაემგვანა რძეში გათქვეფილს.

წყვდიადმა მოიკცა სამეუფეო ქალაქი ანისი, მიწა იძრა, დანდობილად დაირღვნენ გალავნები და წყლით გავსილ ბლისკინებში ჩაიხერგნენ.

მალიქ შას ქვეითნი მოისარნი ქალაქში შემოიჭრნენ, მძიმედშეჭურვილ მხედრებს გაუხსნეს დარკიწული კარიბჭენა, სასახლეებს, ეკლესიებს, და სავაჭრო ქოლბაგებს შეესიენ, ქალაქის ძარცვას შეუდგნენ. დედა-ციხის მეციხოვნენი გაუშუეს.

ქალებმა, მოხუცებმა და ბავშვებმა ნერკიბერდის ციხეს მიაშურეს, ზოგმაც გაგვი მეფის სასახლეს შეაფარა თავი. მხოლოდ ნერკიბერდის ციხიონი მედგრად ებრძოდა მტერს.

ბაგრატ მეფე ვეღარ მიეშველა ანისს, რადგან რუმს მიმავალი აღფ არსლანა ახალქალაქში შეიჭრა და იქ შეიბნენ მეფე და სულტანი.

ანისში წარგზავნა მეფემ ერისთავი

თორელი გიორგი, ქართველებსი და სომეხებისაგან შემდგარი ცხენოსანი სპითა.

ერისთავი თორელი ბრძოლით შეიჭრა ქალაქში და ნერკიბერდის ციხის მისადგომებთან შეება მალიქ შას მძიმედ შეჭურვილ ცხენოსნებს. მთელ კვირას იბრძოლა თორელმა და ორშაბათს, პირველსავე ხმლის მოკიდებისას სელჯუკებმა მოჰკლეს ერისთავი.

ვიდრე ქართველი ლაშქარი უკუქცევას დაადგებოდა, ოთხმოცი წლის მოხუცი ბახტაგევი, ნერკიბერდის ციხისთავი, გამოვიდა ციხიდან, უსარღლა ბაგრატ მეფის სპას და მუსრი გაავლო სელჯუკიანთა ცხენოსან ლაშქარს.

მაშინ მამველი სპიი წარმოგზავნეს მალიქ შამ და ნიზამ ალ-მულკმა, ქართველები და სომეხები დამარცხდნენ აურაცხელ თურქომან მოისართა პირისპირ. მოხუც ბახტაგეკს თავი დააპირეს და ციხის ზეთაზე გადმოკიდეს.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ არხევდა ნოემბრის ქარი ბახტაგეკის თეთრსა და დაფანჩვეულ წვერს.

ბოლოს როცა ნერკიბერდის ციხე დააქციეს, გააგებული სელჯუკები მიესიენ დიაცებს, ხუცებს, ეპისკოპოზებს და ბერებს. დედებს ხელიდან გლეჯდნენ ძუძუმწოვარა ბალებს და ეკლესიების კედლებზე ანარცხებდნენ.

ადამიანის სისხლით შეიღება მდინარე ახურიანი, ქუჩები და მოედნები გაივსო მკვდრებითა და დაჭრილებით, ცოცხლები ზედ დადიოდნენ ცხედრებზე, რადგან გასავლელი გზა არსად დარჩა.

ლამაპობით მგლები და ფოცხვერები შემოიჭრებოდნენ ხოლმე ქალაქში და სძიმდნენ დაუტირებელ, უბატრონო მკვდრებს.

როგორც კი მამაკაცები მოსრეს, ქალაქის ძარცვა განაგრძეს, ჯორ-აქლემებს აკიდებულნი უამრავი ოქრო და ვერცხლი გაიტანეს სასახლეებიდან და ტაძრებიდან.

მარტოოდენ ორმა ამირამ, კუტულ-მიშმა და იბრაჰიმმა, ქორეპისკოპოზის დავითკის სასახლიდან გაიტაცეს ორმოც

აქლემს კიდებული ოქრო-ვერცხლი, პატიოსანი თვლები და სტავრა.

ოქროს ფურცლებით დახურულ ეკლესიებს სახურავები გადააძვრეს და ისიც ისპაჰანს გააგზავნეს.

ერთაპეტ ჰაიკი დადუმდა, მას საფეთქლებზე ჰქონდა მიბჯენილი მუხლის თავებზე იდაყვებით დაყრდნობილი ხელები, გარედან აქლემების ხენეში ისმოდა, ხანაც გუშაგების ყვირილი ბნელში...

„აგრე დაგვიქციეს სამშობლო და თვალები ლა დაგვიტოვეს სატირლად“. დასძინა ვართაპეტმა.

„ახლა ვის ხელშია ანისი? — შეეკითხა აბუ ჰასანი მდუმარეს.

„ანისი ალფ არსლანისაგან შეისყიდა ქურთმა, ამირ აბუ-ლ-სუვარმა აურაცხელი ოქროქედლი ხატებისა და საყდრის იარაღის საფასად, ბოლოს აბ-ლ-სუვარმა საუფლოდ გადასცა ქალაქი თავის ვაჟს, მანუჩეს“.

ერწუხში დავით მეფის გამარჯვების ამბავი ჩვენ გვამცნო ვართაპეტ ჰაიკმა. ისიც დასძინა: ანისის შვიდ ეკლესიაში პარაკლისი გადავიხადეთო ამ გამარჯვების გამო.

ჩემს კალამს არ ძალუძს აღწეროს ის საშინელებანი, რომელიც ჩვენ ვნახეთ ანისიდან ბაღდადს მიმავალ გზაზე. მრავალი ათასი ადამიანის ცხედარი ეკიდა გზისპირა ხეებზე თავჭვე. ბორები, ორბები ყორნები კორტინდნენ მათ. გაუძლისი სიცხე იყო და აუტანელი ნამკვდრევის სუნე იღგა ირგვლივ.

ფოცხვერების და მგლების ხროვანი დამრწორდნენ, ყმუოდნენ, ავობდნენ, რაკი მათი საკბილო ხელმისაწვდენი არ იყო მათთვის.

ალ-ჯისრის ციხის სანახებში ჩვენ წავაწყდით უცნაურს ამბავს: ალბათ თქვენც მოგესხენებათ, ამირ ნეჯმ ედ-

დინ ილ-ლაზი, მარდინის ციხის პატრონი, განუდგა სელჯუკიანთა სულტანს, ყიას ედდინ მოჰამედს.

სულტანის ლაშქარს სარდლობდა ათაბაგი ტოგტეკინი, იგი დანდობილად მოადგა ზედ მდინარის პირად აღმართულ მიუვალ ციხეს, ალ-ჯისრს. მდინარის მეორე მხრიდან წამოვიდნენ ფრანკები და ილ-ლაზის სპანი (იგიც ცნობილია, ილ-ლაზი ოდესღაც დაუძინებელი მტერი იყო ფრანკებისა). და ერთობლივად შეუტიეს სელჯუკიანებს მუსულმანებმა და ქრისტიანებმა.

საქარავნო გზაზე გაუძლისი ბული იდგა, თურქომანთა ბრბოები მოაქნებდნენ ცხენებს, ილ-ლაზის მისაშველებლად.

ხახუტამ აიჩემა, საქარავნო გზიდან გადაეუხვიოთ, თორემ ამ თურქომანთა ბრბოები გაგვძარცვავენო.

ჩვენ დაეუჯერეთ ხახუტას, საქარავნო გზა დაეგდეთ და მიეყვით საურამე შარას, რომელიც ცხენოსანის სიმაღლე შამბნარში იყო გავლებული.

ასეთივე სიფრთხილე გამოუჩენია ჩვენს წინ მიმავალ ქარავანს, რომელსაც წინ მიუძღოდა თეთრწვერა, მხნე მოხუცი, არაბულ თეთრ ცხენზე მჯდარი.

აბუ ჰასანი მაინც და მაინც არ იყო ამით კმაყოფილი. იგი აგრე ამბობდა: ქარავანს ძლიერ ნუ დაეცილდებით, რადგან გაქირავების ემს სწორედ ნექარავენი წამოგვეშველებიანო. ბოლოს ის იყო დავეწინაურდით და მცირე მანძილზე დავეშორდით ქარავანს.

ამ საშიშროების მოლოდინში გადაეწყვიტეთ: როგორც ყველაზე მეტად მამაცსა და მკლავმაგარს ჩვენს შორის, ხახუტას ჩვენს უკან ეარნა, ხოლო სიტყვაი ქორა და მისი სახედრები წინ წასულიყვნენ. ერთბაშად შემოგვესმა ომახიანი ყოიენა. ჩვენ აგრე ვივარაუდეთ: მეკობრენი თავს დაესხნენო მექარავენთა.

თვალის ერთი დაფახულებაც და ხახუტას ყვირილი გავიგონეთ.

დანდობილად შემოვებრუნეთ მე და აბუ ჰასანმა ჯორები, და უფალო შეგვეწიე, რა სურათი ვნახეთ: უზარმაზარი

ლომი უნაგირის ტახტზე შეახტა ხახუტას.

სატევეარმა გაიელვა ჰაერში.

ლომიც ძირს დაეცა, მაგრამ ისევ ახტა და ფეხზე ეცა ხახუტას. (დმერთი შეგვეწია, რომ მხეცმა დაკბინა იგი სწორედ იმ მხარეს, სადაც ძელის ფეხი ჰქონდა ხახუტას).

ლომი მიიმედ დაჭირილი სჩანდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა დვრინვას, ხახუტა ახლა ხელშუბით ებრძოდა მიწაზე დაცუცქულ მხეცს.

ისევ ატყდა მამაცური ყიყინი და ცხენების თქარათქური.

ამასობაში ჩვენც წამოვადექით თავზე დაკოდილ მხეცს, იგი გაავებული ბრღვინავდა, თუმცა ხახუტას სატევეარი მკერდში ჰქონდა გარკობილი. თეთრწვერა მექარავენი მიეჭრა ლომს და ხელშუბი ჩასცა ზურგში.

მერმე მოვიბრუნდა და მითხრა არაბულად:

„თქვენს თანამგზავრს სატევეარი რომ არ ეძკერებინა მაგ მხეცისათვის, მისი მოკვლა ძლიერ გასჭირდებოდა“.

როცა მოზუტის ნათქვამი გადავეთარგმნე ხახუტას, მან გაიღიმა:

„მაგ წვერძალლი ბებერი რომ არ ჩაჩხერილიყო ამ საქმეში, ერთხელ მაინც დავიტრაბახებდი: ლომი მოვკალი მეთქი“.

*
* *

ბალდადის ციხის მისაღლომებთან შემზარავ ამბავს შევესწარიო. „ისლამური სარწმუნეობის ზედსაყრდენს“, ბალდადის ხალიფას, მტკადირ იბნ მუკტადის მოხსენდა: მექარავენი, მეაქლემები და მეჯორენი გროვდებოდნენ თურმე სასახლეების, ციხეების, მეჩეთების და ბაზრების ბჭებთან, გარს შემოერტყმოდნენ შინ მიმავალ ამირას, ზოჯას ან ყადის და ეუბნებოდნენ: თუ თქვენ გესაჭიროებათ ოქრო დიპრემები თქვენი ჰარემებისა და ხასების შესანახად, ჩვენც არ გვაწყენსო ისინი პურის ღვინისა და შერბეთის სასყიდლად.

მოიტათ ფული, მოიტათ ოქროს დიპ-

რემები, თორემ ჩვენ გულზე ხელს დავიკრებთ და ფეხით ძუნძუნდნ დაჭირდებათო.

მექარავენებს, მეაქლემებსა და მეჯორეებს აყენენ სხვა ლატაკებიცა, ისინი აეკიდებოდნენ თურმე ბალდადის ქუჩებში ამირებს, დიდვაქრებს და მათ დიაცებს, ზოგნიც სანოვაგეს ხელიდან სტაცებდნენ ხოლმე ბაზრიდან გამოსულ ხათუნებს.

ვაზირები ველარ ბედავდნენ ამ ამბების მიტანას ხალიფას ყურამდის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მექარავენებმა, მეაქლემებმა და მეჯორეებმა შიატოვეს თავიანთი აქლემები, ცხენები, ჯორები და ვირები.

დამშეული პირუტყვი ერთობლივად აბლავდა. მთელს ბალდადში ისმოდა ცხენების გაუძლისი ჰიხინი, აქლემების ფრუტუნი, ჯორებისა და ვირების ყროყინი. ეს შემამრწუნებელი გნიასი ხალიფას სასახლემდის მისწვდა.

ერთ ორ დღეს ითმინა თურმე ეს ამბავი „სარწმუნეობის ზედსაყრდენსა“, ბალდადის ხალიფამ და ბოლოს ბრძანა: მოვეგროვებინათ ნამეტნავად აბეზარი მექარავენი, მეჯორენი და მევირენი ქალაქს გარედ გაეყვანათ ფეხებში ბორკოლაყარილნი.

სწორედ ის იყო, როცა მიწაზე განრთხმულ, დაბორკილ მამაკაცებს თავზე წამოადგნენ შავკაფტანიანი მხედრები, ცხენებიდან ჩამოხტნენ და დაერიენ ამ ბედშავებს თუჯის ჩუგლუგებითა.

აბუ ჰასანმა განგვიმარტა: ეს შავკაფტანიანი მონასპანი ხალიფას მცველებია, მის სასახლეში თვით მზარეულსაც შავი აცვიო.

საშინელი ყვირილი ასტეხეს უბედურებმა, ამოდ ახვედრებდნენ მოქნულ ჩუგლუგებს ხელებს. შავკაფტანიანები ზურგზე სცემდნენ მათ.

გაკოჰილები ყვიროდნენ:

ხერხემლის მალეები თუ დაგვიმსხვრით, ჩვენი ცოლშვილი ვინდა არჩინოსო?

შავკაფტანიანები არად აგდებდნენ მათ ვედრებას. დაუზოგავად უმსხვრევდნენ მიწაზე განრთხმულთ ხერხემლის შა-

ლებს. მდელი შეილება ადამიანის სისხლთა:

მაღლებჩაღწილნი ყვიროდნენ:

თქვე უღმერთონო, ბარე დაგვბოცეთ და ისე წადითო, — მაგრამ არავინ იყო ამ მუდარის გამგონე. როცა ყველანი უკვე უძრავად წაწვნენ მიწაზე, გაისმა დაფლადების ნელი ბრავგნი, შაკვაფტანიანები თავიანთ ცხენებს მოასხდნენ და ბაღდადის ციხისაკენ გაემართნენ ჰენებით.

„სად მიდიხართ, ბარე დაგვბოცეთ თქვე უღმერთონო“, ჰვითინებდნენ მექარაენენი, მეაქლემენი და მეჯორენი....

ჩვენ ვეღარ გაუძელით ამ უბედური აღმანიების გოდებას და შაკვაფტანიან ცხენოსნებს მიგყვეით კვალდაკვალ.....

• •

ბაღდადის ბაზარზე უფრო უცნაური სანახაობა ძნელი საპოვნელია. აურაცხელი ბრბოები დახიშიშიმებენ მოედნებზე. წითელ-ყვითელ კაბაჯუბაში მორათული რაინდები, გლეხები, მონები და ფეხშიშველა დერვიშები, რომელთაც ჰრელ-ჰრული „კუფიჯე“ ახურავთ თავზე.

ცხვირში საყურე გაყრილი ზანგებიც არ აკლდა იჭაურობას, არც შავჩადრიანი დიაცები და შავად წვერშელბილი მოლები (ეგეც საგულისხმოა, წვერის შავად შელბის უფლება აქვს მხოლოდ ამირას, ზოჯას, ან მოლლას).

გაუძლისად ყვირან წყლისა და თავლის გამყიდველნი. მეპურეს თავზე პურით საესე ხონჩა დაუდგამს და ყვირის:

„აგიფ ჯა შიბაბ“ — ჰოი, ჰაბუკონ ჩემგან იყიდეთ ცხელი პური!

ბუღუნენებს გრძელი შუბი აუკრავთ უნაგზე, მოუსვენრად დააჯირითებენ თავიანთ ცხენებს. მათი შუბების წვეტებს სირაქლემას შავი ფრთები ამშვენებთ.

რა და რა ჯურის ხალხს არ ნახავთ აქ, მუშაითებს, მეთხავეებს, აცინგანების დიაცებს, რომელთაც ცხვირში ლითონის მილები აქვთ გაყრილი.

ტანშიშველა ინდოელი თაკირები მო-

პირულ ხმლებზე დადიან, ზოგი ცეცხლის ალსა ნთქავს, ზოგიც გარეგარეგებულ მახვილს ირჭობს ხახაში: *მარადა*

„ხაბილ ასტან“ ყვირის შერბეთის გამყიდველი. მემწვენილეს უშველებელ ასოებით წაუწერია თავისი სავაჭროს დარაბაზე: „ედლაიმ ალლაპ“ — მარად-ეამულია ლმერთი.

დაქანგული რკინის გალიებში გამომყვდეულ დიაცებსა და ყმაწვილებს უთვალთვალბენ მონებით მოვაჭრენი.

ისინი თავათვე უქებენ გასაყიდად „საქონელს“ რკინის გალიების გარშემო მოჯარულ ცხენოსნებს.

მონებით მოვაჭრენი გარს შემოერტყნენ აბუ ჰასანს, თავაზიანად ეკითხებოდნენ:

ქალების შესყიდვა გნებავთო, თუ ბიჭების?

იმ დღესვე ვნახეთ ათთორმეტი ჩერქეზი, ბერძენი, სომეხი დიაცი, ერთიც ქალარა ქართველი ქალი, აბუ ჰასანი ახლოს მივიდა იმ ქართველ დიაცთან, გამოკითხა კიდევაც სადაურობა.

საცოდავი დედაჩემი მეგონაო, სთქვანაღვლიანად აბუ ჰასანმა.

დმანისელი აღმოჩნდა იგი. ამ უბედურ მოხუცს მთელ წელიწადს დაათრევდნენ თურმე ისპაჰანსა და ბაღდადს შორის, მაგრამ რაკი იგი მოხუცი იყო და ჩოფურა, მყიდველი არავინ აღმოჩნდა. ეს ქართველი დიაცი იმ ლამაზმანებისათვის მიეჩინათ მოახლედ.

ჩივოდა კიდევაც ის უბედური: მთელი წლის მანძილზე დაგვათრევსო ჩვენი პატრონი ისპაჰანის, ჰამადანის, ანისის და კუფას ბაზრებზე.

ამ ლამაზებს ძვირად აფასებს პატრონი და ამიტომაც ვეღარ გადაურჩითო ქალაქიდან ქალაქად წაწვალს.

ახლა მე მიუახლოვდი იმ უხანო დიაცს შევეკითხე:

ვინმე ლამაზი ქართველი ქალი ხომ არ გინახავს-მეთქი მონების ბაზარზე?

და სთქვა ამ დიაცმა ასეთი რამ:

სწორედ სამი თვის წინად, ბაღდადში ერთი ულამაზესი ქართველი მანდილოსანი იყიდებოდა. თუ არა ვცდები, ხა-

ლიფას სასახლიდან მოვიდნენ ვილაც ცხენოსნები, ბევრი ივაპრეს და იდავეს, ბოლოს ეს დიაცი შეისყიდეს.

აბუ ჰასანმა ხელზე დაიხვია ეს ამბავი. ვითობირეთ და გადაფეყვიტეთ: როგორმე გვეპოვნა ვინმე ხალიფას პარამხანის ავანჩაენის მცოდნე.

ის დღე უკვე დაკარგული იყო ჩვენთვის. აბუ ჰასანი დასუნსულობდა ბაზარში, ვილაცა ეძებდა, მაგრამ ჩვენ არ გვიმხელდა თუ ვის ეძებდა.

ამასობაში ქაჩალმა ჰასანამ გამოსჩხრიკა ერთი კვიპროსელი, რომელსაც პინდური წიწილა ჰყავდა ერთი. ამ წიწილას ორი ნისკარტი და სამი თვალი ჰქონდა ზედ კეთაზე.

ჩვენ ბევრი ვეცინეთ ამ უცნაური არსების დანახვაზე.

„ეგ არაფერია“, გვითხრა კვიპროსელმა, ახლა უფრო საოცარი ამბები უნდა გიჩვენოთ. მან ერთი სომეხი გაგვაცნო. ამ სომეხს თიკანი ჰყავდა ერთი, ამ თიკანს კაცივით მომრგვალო სახე ჰქონდა და ერთადერთი თვალი.

ამ საუბარს ყურს უგდებდა ერთი ბედლუნი. მანაც ბევრი იცინა და გვითხრა: ჯერ სად ხართ, უფრო უცნაურს ამბავს ნახავთ.

მერმე იმ ბედლუნიმა გვიჩვენა ერთი ძროხა; რომელსაც ქედიდან ერთი ფეხი ჰქონდა ამორილი და სამი ფეხით ძლივს დაფობრიკობდა.

„ამაზე უფრო საოცარ ამბავს გეტყვით, სთქვა კვიპროსელმა, ნემჯად ედღინ ილ-ლაზიმ შარშან ხალიფას გამოუგზავნა ორი მონა, რომელნიც ერთ სირიელ დიაცს ჰყოლია კუფაში.

ორივენი მუცლის აკით იყვნენ ურთიერთზე გადასკვნილი, და ეს აჰკა ისე გრძელი და შევეული ყოფილა, როცა ერთი წამოდგებოდა, მეორეს ჯდომა შეეძლო, ისინი ერთსა და იმავე ცხენზე სხდებოდნენ, ორთავეს მამაკაცური სარცხინელი ჰქონდათ, ეს იყო ოლონდ, ერთი მათგანი დიაცებს ეტანებოდა, მეორე ბიკებს“.

აბუ ჰასანმა განზე გამიხმო და წამჩურჩულა:

ეს კვიპროსელი თავზეხელადებული ვინმე სჩანს, უთუოდ უნდა გამოვიყენოთ.

ბატენის პარსაზე დავპატივეთ და შერბეთი ვასვით.

ბაღდადს ჩვენი ჩამოსვლის მიზანი რა შეიძენო, გვითხრა კვიპროსელმა:

მეც ამ დღეში ვარ, იკონიიდან შინ მიმავალი ჩემი დაი გაიტაცეს თურქმა მეკობრეებმა. ეს მესამე წელია რაც დავეძებ.

ხორასნის მხარე მოვიარე, ირანი და დიარბექირი, ტრაპიზონისა და არზრუმის მონათა ბაზრები არ გამომჩინია, რაც შებადა ყოველივე ამ საქმეს გადავალე, მაგრამ ამაოდ დავშვერიო.

ხმა დაირხა: ხალიფას პარამხანაში უნდა იყოსო ბაღდადში ჩემი დაი, ამადაც ჩამოვედით ბაღდადს.

ხალიფას სასახლეში ერთი ჩემი ნათესავი დიაცია, სამრეცხაოს გამგებელი და იმის იმედი მაქვსო.

მებაღეობა თუ გემარჯვებათ, ან ცხენების მცნობნი თუ ხართ ჩემსავით, ეგებ როგორმე თავი შევერგათო მაგ წყეული ხალიფას სასახლეში.

კვიპროსელს ერთი ნალბანდის მიწურში ჰქონდა ბინა, ჩვენც მანდ შევვიკედლა.

როგორც იქნა, გამოვძებნეთ ის ბერძენი დიაცი და შემდეგი გვითხრა მან: მე ვიცნობ ხალიფას მეჯინიბეთაუხუცესს, მოვახსენებ და შევევედრებ. თუ თქვენ მეჯინიბეებად, ან ცხენების მცნობად მიგიღოთ მან, ხალიფას ცოლები და ხასეები ხშირად გამოდიან პარესის ალ-აივანებზე. სავარდებშიაც სეირნობენ ხშირად უჩადროდაც, შესაძლოა თვითონვე იბოვნოთო ის დიაცები, რომელთაც ეძებთ.

მე და სიტყვაი ჭორა ცხენების მცნობად ვითვლებოდით, მაგრამ აბუ ჰასანი ამ საქმის დიდოსტატი აღმოჩნდა. მან ისეთი რამეები გვიამბო ცხენთა ჯილაგებისა და მათი მოვლის გამო, ჩვენ გაოცებისაგან პირი დავაბჩინეთ.

სამი დღეც არ გასულა, ბერძენი დი-

აცი მოვიდა სახეგაბრწყინებულმა მოგვახარა:

„უფალი შეეწია თქვენს საქმეს. ჯერ უარზე იდგა მეჯინიბეთუხუცესი, მაგრამ თქვენდა ბედად ხალიფას საჯინიბოში ქოთაო ატყდა, მეჯინიბეთუხუცესი წვერს იგლეჯს, ჩქარა მომგვარეო ის მცნობები“.

მე, კვიპროსელი და აბუ ჰასანი მეორე დღეს გავემგზავრეთ ხალიფას სასახლისაკენ.



ბაღდადი უცნაური ქალაქია, ყოველი უბანი ციხეა ცალკე გალავნითა და საგანგებო კარიბჭით დაცული.

ყოველ კარიბჭესთან ხმლიანი მეკრეზის.

დააკაუნებ რკინის რიკით.

მეკრე შეგვიკითხება:

„შინ?“

ვინა ხარო?

შენ უნდა მიუგო:

„ფტაჰ ია პარის“ ჩვენებურად რომა ვთქვათ: ჰოჰ მეკრე, გამიღე კარი, ბარე შეიდი კიშკარი გავიარეთ ასეთი ყოფით, მივადექით ხალიფას სასახლის მაღალ კარიბჭეს, ლურჯი ქვისაგან ნაშენს.

ხმლიანმა მეკრემ შეგვიშვა ლურჯი სასახლის ვრცელ ეზოში. სასახლე მთლიანად ნაგებია მუქლურჯი ქვისაგან. ამ დიდი სასახლის გარშემო უამრავი მცირე სასახლეებია, ზოგი თეთრი, ზოგი შავი, ზოგიც მოყვითალო ქვისაგან ნაგებნი.

ბაღებში ასწლოვანი ხეებია ნუშისა, ლეღვისა და ვაშლისა, უცხო და უცხო ფრინველები დაფუსფუსებენ მწვანეში. ალაფენებზე დადიოდნენ და ისხდნენ თვალისმომკრელი სილამაზის დიაცები.

ჩვენ ხალიფას ცხენების დარდი არა გვქონდა, ცალი თვალთ იმ დიაცებს ვუჭერტდით. ცხვირში საყურეგაყარილი მონები, საჭურისები და ზანგის ბიჭები, გარს ეხეიენ ამ დიაცებს. ზოგსაც მიჩენილი ჰყავდათ სქელ-სქელი ხათუნები,

რომელნიც ქორული მზერით მწყეტყდნენ ხალიფას ჰარამხანის ლაშაზმანებს.

ბაღის შუაგულში უზარმაზარი ატენი იყო მწვანე ქვით ნაგები, ამ აუზს პირდაპირი ვეშაპები და ქალთეგებები გარს უსხდნენ, პირიდან არწყევდნენ წყალს.

მეჯინიბეთუხუცესი მოღუშული დავიხვდა. მას გრძელტარიანი ყალიონა გაერქო პირში და თრიაქსა სწევდა.

გულდასმით მოგვიკითხა ყოველივე რაც კი რამ ვიცოდით ჩვენ ცხენის მოვლისა და მისი აქიმობის გამო. როცა დარწმუნდა, რომ ჩვენ მართლაც ვყოფილვართ ამ საქმის მცნობნი, შებლი გახსნა, თურქული ყავა დავგვალევინათითო კიქა, მერმე შეგვეკითხა:

თრიაქს თუ სწევთო?

მე და კვიპროსელმა უარი მოვახსენეთ, აბუ ჰასანი დიხაჯ მიემალა თრიაქს. მერმე საჯინიბოში წაგვიყვანა და ერთი თველა ჩავგაბარა. როგორც შევატყვეთ, ვილაც ცალთვალა თურქი მიგვიჩინა მსტოვარად.

საშინელი სანახაობის თანადამსწრენი გავხდით. დიდის წამებით იღუპებოდნენ ხალიფას უმშვენიერესი ულაყები და ფაშატები, მათი გულისმომკვლევი ჭიხვინი და ზვიზვინი, არასოდეს წარიშლებია ჩემი ხსოვნისაგან.

აბუ ჰასანი დატრიალდა, რალაც უცნაური ბალახები მოატანინა და ჯადოსნური წამლები დაამზადა...

კვიპროსელი მთლად აღტაცებული არ იყო ამ ამბითა, თუ ხალიფას საჯინიბოს განმგებთუხუცესს ჩვენი მუშაობა თვალში მოუვიდა, შესაძლოა არც გავვიშვასო სასახლის საჯინიბოდან.



ერთ საღამოს კვიპროსელის ნათესავე დიაცი გახარებული მოგვეპრა მე და აბუ ჰასანს:

მომავალ პარასკევს ხალიფას უფროსი ვაჟის ქორწილია და თუ თქვენ მარჯვედ იქნებით, საკუთარის თვალთ ნახავთ ხალიფას ცოლებსა და ხასებს.

პარასკევი მესამე დღეს იყო და ჩვენ

ვნახეთ უცნაური სანახაობა. დილით ადრე, უამრავი ზოგების, მუეძინების და ყადების თანხლებით სასახლის მთავარ მიზგიოთსკენ გაემართა შავებში მოსილი ხალიფა.

თავზე მუზარადისებრ წვერწამბული შავი ჩაჩი ეხურა. შავი დამასტის კაფტანი ეცვა მას, მკიდროდ შეერულ საკინძეზე ეკიდა მსხვილი, მსხვილი ჯაჭვი ოქროსი, პატიოსანი თვლებით მოკირწყლული.

შავი დამასტისავე განიერი, ფართხუნა შარვალი ეცვა, მიწაზე მიფორთხავდნენ შარვლის ტოტები და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდნენ, თითქოს ყორნები ფართხალობენო მის ფერხთით.

შავქარქაშოსანი ხმალი ირანული წესით მხარზე ჰქონდა შებმული. ნელი ნაბიჯით მიმავალ ხალიფას მხარმარჯვნივთა და მხარმარცხნივთა მალატარიანი შავი დროშები მოჰქონდათ, საამურად ქღრიალებდნენ ამ დროშათა ბუნზე შებმული ეფენები.

ყველაზე წინ მიდიოდა ხალიფას დროშის მტვირთველი ტიმურჩანი.

თავჩაღუნულ ხალიფას უკან მიყვებოდა სალმასურის თორიანი, გრძელკისე-რა და გრძელხმლიანი დევკაცი.

აბუ შასანმა მკლავეზე მიიბძვა:

ეგ არისო ნეჯმ ედდინ ილ-ლაზი.

მას ალუჩისფერი ჩაღმა ჰქონდა შემოგრაგნილი თავზე. ილ-ლაზის უკან მისდევდნენ ვაეი მისი — ჰუსამ აალ-დინ ტიმურტაში, სელჯუქიანთა სულტანის, მოჰამედის ელჩები, იმპერატორის, ალექსი კომენისა და იკონიის სულტანის სარწმუნო კაცნი.

ლანდებზეთ უხმოდ მოსალსალებდა ხალიფას ცოლებსა და სიძვის დიაცების მთელი დასტა.

ჩვენ ჰადრების ჩრდილი ვიფარეთ და გამალებული ვუთვალთვალეზდით მათ. კვიპროსელის ნათესავი ჭალი გვეჩურჩულეზბოდა:

„ის წინ მიმავალი, ახოვანი დიაცი, შავი კაშემირის კაბით მოსილი, უფროსი ცოლია ხალიფასი სალაშეა. მისი ზედმეტი სახელია „ცისფერთვალეზა“,

მის უკან მიდის სადა რობია, ამ დიაციისთვის ასი ათასი ოქრო დიპრემი გადაუხადა ხალიფამ ერთ ბერქენსკმუნებთ მოვაჭრეს.

მესამეს ზარკას ეტყვიან, იგი ეგვიპტიდან მოჰგვარა ხალიფას ერთმა მისრელმა არაბმა, როგორც მსმენია, რომოცდაათი ათასი ოქროს დიპრემი გადაუხდია მისთვის ხალიფას.

ის მეხუთე, დურაჯისფერ კაბაში მორთული, ეგ არის აიშე მომღერალი და მოცეკვავე დიაცი ხალიფასი, ოცი ათას დიპრემად მიყიდა მას ერთმა ისპაჰანელმა სომეხმა შარშან.

მის უკან მიმავალი, თუ არა ვცდები ყველაზე უმცროსი ცოლი, ფატიმა უნდა იყოს, იგი არზრუმის ამირამ აახლა ხალიფას ძღვნად, მისი ვაჟის ქორწილის გამო.

შემდეგნი და შემდეგნი უფრო უსახურნი არიან, რადგან მათ უკვე მოასწრეს ხალიფას ჰარემში დაქვნიობა. ზოგი სომხეთშია ნაყიდი, ზოგი დარბეჭირში, ზოგი ნიშაბურში.

ის კრელკრელა აბრეშუმით მოსილა დიაციები იმ ხანდაზმულთა უკან მიმავალნი, ზოგი ბერძენია, ზოგი ქართველი, ზოგი სომეხი, არც ერთი მათგანი თვალსაჩინო სილამაზისა არ არის.

ისინი კაცკასიიდან გამოუტაცნიათ თავის დროზე იქაურ ამირებსა და ზოგებს, ზოგნიც დენისა და ანისის მონათა ბაზრებშია იაფად ნაყიდი. ეს დიაციები საკმაოდ ხანდაზმულები არიან, ინით რომ არ იღებავდნენ თმებს.

მეჩეთში შესვლის უმაღლე ამბიონზე ავიდა ხალიფა. შავქარქაშოსანი ხმალი შეიხსნა და იატაკზე დაანარცხა. თავი მალა აიღო, მეჩეთის გუმბათს ზეახედა და წარსტევა ყურანის სურა:

„და აჰა, ანგელოსნი ეახლნენ მათ და რთქვეს: ეგ არის დღე იგი, ალლაჰს მიერ განკუთვნილი“.

მცირე ხანს ჩუმად ბუტბუტებდა ხალიფა და მერმე ხმამაღლა წარმოსტევა:

„დიდება ალლაჰს, რომელმაც ხმელეთად აქცია მიწა, ვინც მასზე აღმართა უძრავნი მთანი, რომელნიც აიძულებენ

მას იდგეს მტკიცედ და ურყევად და შეუძლოდ ჰქნა შერყევა და დამსხვრევა მისი.

დიდება მას, ვინც მიწა დაასერინა ნაკადულებსა და მდინარეებს.

აღლაჰმ მოაწყო ამ ხმელეთზე: უღაბნონი და ზღვანი, და დაანათლა მათ უცნაური სიბრძნე, რომელიც გვანცვიფრებს თავის აღმოცენებით. და კიდევებზე მან დაადგინა მშენები და მთვარე. ეს მიწა მან დაიოკა და განავრცო იგი თვალუწვდენელ სივრცეში, და მიანიჭა მხცითმოსილთა და ჭაბუკთა სალხენად.

და ქარბორბალებს და შერეხებს უბრძანა: ხშირად ევლოთ ზედი, და კაცთა მოდგმას აღუძრა მასზედ მგზავრობის წადილი, რომელიც ჩვენ შეგვრჩება აღბათ მუდამ ამ მიწაზე პირველად მოსვლის აღსასრულამდის.

ღეე, შეისმინოს ეს შეგონებანი ყველამ, ვისაც აბადია სმენა, ხედვა და გულო.

ვადიდოთ აღლაჰ მისი უღვევი წყალობისათვის, უკუნითი უკუნისამდე...

აკურთხოს მან წინასწარმეტყველი თვისი კეთილშობილი, რომლის წინაშე განდენილია ეს ხმელეთი, ვითარცა სამკვიდრო მისი მარადეამული“.

ლოცვის შემდეგ ხალიფა პირველი გამოვიდა მიზგითიდან და თავის სასახლისაკენ გაემართა. შავი დროშების ჩრდილს ქვეშ თავმოდრეკილი. სასახლის კარიბჭესთან მას მიეგებნენ დესპანები და მიართვეს არაბული და თქუური ცხენები, ალექსანდრიიდან მოტანილი სტავრა, ბერძენმა მოღალატეებმა მოპვარეს საკუთარი ხალხის ნაშვირები: მცირეწლოვანი ასულნი და ყრმანი.

ყოველ მონას თან მიჰქონდა ოქროს დიპრემებით გავსილი სურები და ვერცხლის სინები, ხოლო დანარჩენ თვრამეტს ვერცხლისა და ოქროს თასები, პატიოსანი თვლებით მოოქვილნი სრულად. და ამგვარად სიცხადეში მოჰყავდათ ყურანში ნათქვამი:...

„და ვიდოდნენ ნეტართა მათ გარშემო ყრმანი.

სურებითა, თასებითა და ტასტებერთურთ“.

ყრმების უკან მომავალ მტკიცე მტკიცე ხოჯები და მეუღინები წამოეწიენ ტასტებიან და თასებიან ყრმებს და ხალიფას მომავალ რძალს ოქროს დიპრემები გადააყარეს თავზე.

როგორც ბერძენმა დიაცმა მოგვითხრო: საქორწინო ნადიმზე ხალიფას მიართვეს ოქროს სპილო, რომელსაც რუბინის თვალეები ჰქონდა, ოქროს ფარშევანგი ზურმუხტის თვლებიანი, ოქროს მამალი ლალის ბიბილოსანი, ერთიც ჯეირანი, რომელსაც მუცლის არე მარგალიტებით ჰქონდა მოოქვილი.

პატარძალს მიართვეს სამარაგდის ჩარჩოში ჩასმული სარკე, ერთიც სასაუზნო ტაბაკი მთლიანად ოქროსი, ხოლო ფეხები ონიქსისა ჰქონდა იმ ტაბაკს.

მოკლედ: ამ ქორწილზე შეასრულეს წესისამებრ ყურანის შემდეგი სურა: „სვითა და ჭამეთ მანამდის, სანამ თეთრ ძაფს შევისაგან გაარჩევდეთ“.

აბუ ჰასანმა ეს ამბები რა მოისმინა, ლექსი სთქვა ერთი არაბულად:

„ეს ქალაქები, საუფლონი უნაპირონი, აღლაჰს სახელით მოხვეჭილი,

მიტაცებული, ეს არაბული ტაიქები, ეგზომ

ქებულა, აურაცხელი ოქრო, ვერცხლი და

საფირონი, კიდევ არ ჰყოფნით შენს ცოლებს

და ჰარემის ხასებს. ხარკს გაძლევს ანი, ისპაჰანი და

იკონია, ტფილისი, მევერი ხორასანი და

ნიშაბური, თუ გონება გაქვს შერჩენილი,

როგორ გგონია, ასეთ უმაღურ მმართველობას ვინ

დააფასებს, შენ მონასპათა საოცნებო რომ გახდა

პური“.

ქორწილი სამ დღეს გაგრძელდა, მე, აბუ ჰასანი და კვიპროსელი, ხელშინართა და მონებთან ერთად ვქოთქო-

თობდით სამზარეულოში, ხანაც მონე-
ბისა და მსახურთა სამყოფლოში.

გაუძლისი სიცხე იყო, ხალიფას ცო-
ლები და ხასები წარამარა უჩადროდ გა-
მოდირდნენ აღ-აივნებზე, ასე რომ ჩვენ
შემთხვევა მოგვეცა ყოველი მათგანი
თვალმოკრულად მაინც დაგველანდა.
დედისიმედის მინაგვარი მე არავინ მინა-
ხავს მათ შორის, ასევე გულდაწყვეტი-
ლი დარჩა კვიპროსელიცა, ველარც მან
იპოვნა თავის დაი ხალიფას ცოლებსა
და სიძვის დიაცებს შორის. . . .

* * *

ამ ქორწილის შემდეგ ჩვენ აღარ გვი-
ნდოდა ხალიფას სასახლეში დაყოვნება.
კვიპროსელი შიშობდა: ჩვენ სამივენი
ისე მოვეწონეთ მეჯინიბეთუხუცესს,
აღბათ აქედან ვეღარ დავიხსნითო თავს.

აბუ ჰასანიც საგონებელში იყო ჩავარ-
დნილი. ერთ დამეს ასეთი რამ წამჩუ-
რულა: კვიპროსელს ნუღარ გავუმხელთ
და მე იმ გუნებაზე ვარ, შესაძლოა ისე-
თი საწამლავი გამოვიგონო, ქოთხო
კვლავ შევყარო ხალიფას ცხენებს.

მე შორს დავიქირე ასეთი რამ. ეს ყო-
ველივე რომ გამოაშკარავდეს, სამივეს
ძელზე გავგვამენ მეთქი.

ვგონებ განგება ჩაერია ჩვენს შექიფ-
რებაში. აბუ ჰასანს ავაზისაგან დაკბენი-
ლი მარჯვენა მუხლი და ბაყევი კიდეც
სტკივოდა, მაგრამ ამ ბოლო ხანს, რა-
ტომღაც მოუხშირა ხალიფას ცხენების
საბანაოდ ტარებას.

ერთ საღამოს აბუ ჰასანმა საბანაოდ
წაიყვანა ხალიფას ოქროსფერი ფაშატი,
რომელსაც ფატიმა ერქვა (ხალიფას
ულამაზესი, უმცროსი ცოლის სახელი)
როცა იგი საჯინიბოში უკან ბრუნდე-
ბოდა, მეჯინიბეთუხუცესის პატარა გო-
გონამ წითელი ცხვირსახოცი აუფრია-
ლა ცხენს.

ფაშატი დანდობილად დაფრთხა, აბუ
ჰასანს ბაყევი ჯერაც სტკივოდა, მან ვე-
ლარ დააოკა ცხენი, და იგი განზე წავიდა
გოგვით, მუხლები მიარტყა ქვის მო-
ჯირს აუხისას და ორივე წინა ფეხი
ყინვის ლოლუასავით დაემსხვრა.

ფატიმამ ფეხი მოიტეხაო!

მთელი სასახლე შესქრა ამ ამბავმა.
მეჯინიბეთუხუცესმა კი აჯიფი წაიშინა ხე-
ლი და უცნაურად აბლავდა. მერმე ყა-
ლიონის ტარით გვეცმა სამივეს. გამგეთ-
უხუცესები მოვარდნენ, შეგვეკოქეს და
ბნელ დილეგში შეგვაგდეს, რადგან მე
ჯინიბეთუხუცესი აგრე ამტკიცებდა:
ჯინებისაგან მოგზავნილნი არიანო.

მთელი დამე არ გვიძინია შიშისაგან,
რადგან კვიპროსელი დაბეჯითებით
გვარწმუნებდა: ძელზე გავგვამენო სა-
მივეს.

მეორე დღეს მოვბდნენ ხმლიანი მეკ-
რენი და გვიყვილეს: ადექით სარწმუ-
ნობის ზედასაყრდენი გიხმობთო.

ჩვენ გავოჩნდით, მაგრამ მკლავებში
ხელი წაგვავლეს და მეჯინიბეთუხუცე-
სის სამყოფამდის მიგვათრიეს.

მოვარაყებულ მაგიდას უსხდნენ თა-
ვით ხალიფა და ამირ ნეჯმ ედდინ ილ-
ლაზი. მეჯინიბეთუხუცესი ფეხზე იდგა
მთლად გაფითრებული.

მეჯინიბეთუხუცესმა თითით უჩვენა
აბუ ჰასანი ხალიფას და უთხრა: აი ამ ქა-
ჩალმა მოსტეხაო სწორუპოვარ ფატიმას
წვივები...

ხალიფამ განარისხებული მზერა ესრო-
ლა აბუ ჰასანს და ეკითხება:

ვინა ხარ და საიდან მოთრეულხარო?
მუსლმანი ვარო, ხმელეთის მომე-
ლელო.

„აბა რა იცი ამ ხმელეთისა?“ შეეკით-
ხა ხალიფა.

„ყველაფერი, რისი ცოდნაც ნებაც
მაჰმადის მოსაყდრეს“.

„აბა ინდოეთის გამო რას იტყვი?“

„ინდოეთში ზღვა მარგალიტებითაა
სავსე, მთები ზურმუხტითა, ხოლო ხე-
ები ნელსურნელებითა“.

„აბა, მურჩანის გამო რა იცი ქაჩა-
ლო?“

„წყალი მანდ მყარალია, ლეღვი დამ-
პალი, ხალხს აცივებს, ყაჩაღები ყოჩა-
ლად არიან.“

ლაშქარი შიშშილისაგან ეხოცებათ,
მოლებს ნიფხავი არ აცვიათ. მაგრამ
რამდის ჩხრეკას მაინც არ იშლიან“.

„ხორასნი რა ამბავია?“

„მათი ძლიერება უსაზღვროა, ბოროტება ხელის გულზე აქვთ, სიკეთე ცხრა მთას გადაღმა“.

„იემენში?“...

„იემენი არაბთა ქვეყანაა და ოქროს ბეღელი“.

„ომანში?“

„ომანში გაუძლისი სიციხეა, სანადირო ბევრია, გლეხები ფეხშიშველა დადიან“.

„ბახრეინში?“

„ბახრეინში ორ ქალაქს შორის გამართული სანაგვეა და ორ ზღვას შორის გადაშლილი სამოთხე“.

„მეკკაში?“

„მეკკაში ხალხი გაუთლელია და ბრიყვი, მაგრამ ხალიფას მორჩილი“.

„კუფაში?“

„კუფაში ასასინები ებრძვიან ამირებსა და ზოჯებს და მანდ ისეთივე სამოთხეა, როგორსაც რძალ-მულნი მართავენ ზოლმე“.

ხალიფამ გაიცინა, რაღაც წასჩურჩულა ამირ ილ-ლაზის.

ხალიფამ მზერა აგვარიდა. ორიოდ არაბული სიტყვა მიუგდო მეჯინიბეთუხუცესს. ათ-ათი ტაჯგანალი აქმარეთ სამივეს და სასახლიდან გააგდეთო.

ჩვენ ცას ვეწიეთ სიხარულისაგან, რადგან ძელზე გასმას, ან თვალების ამოწვას მოველოდით.

იმ დღესვე შესრულდა ხალიფას ნაბრძანი: ქვედა საცვალი ჩაგვხადეს, ათ ათჯერ დაგვართყეს ტაჯგანალი და სასახლის კარიბჭიდან გაგვაგდეს.

.....

აბუ ჰასანმა აიჩემა, ახლა კუფას წავიდეთო. კუფაში ნატყვევარ დიაცებით მოვაკრეთ მთელი სასახლეები ჰქონიათ თურმე, ედემის დარი ბალნარებით გარს შემორტყმულნი.

ამ სასახლეებში სტუმრად მოდიან მთელი ქვეყნის სულტნების, ამირების თავქეფი ვაყები, საცოლეების, ან ხასების მაძიებლნი. ამ საეაქრო სახლებში კვირაობით ცხოვრობენ, მასპინძლე-

ბი დაკბილული ღვინოებით უმასპინძლდებიან მათ.

ქეიფობენ, მრუშობენ, შერშენიანობენ სასურველს.

კუფაში გამოჩნრია აბუ ჰასანმა პონების გამყიდველი დიდვაპარი, ვინმე ბენ ისმაილ, რომელმაც სათითაოდ მოგვითხრო რომელ სასახლეში რა და რა ტომის დიაცები ჰყავდათ გასასყიდად, მაგრამ ქართული ქალი იქ არ აღმოჩნდა. ბოლოს ეს გვირჩია: დამასკს წადით, იქ უფრო გაცხოველებული ვაჭრობააო ამჟამად.

.....

დამასკის დედაციხის მთავარ ბქესთან შეაყენა აბუ ჰასანმა ჯორი და ბერძნული წარწერა ამოიკითხა:

„ო, ქრისტე მეუფება შენი მარადეა-მულია და

თაობიდან თაობამდის არ ექნება მას დასასრული“.

ამის შემდეგ ჩვენ ჩავუარეთ ცამეტ ბერძნულ ტაძარს, რომელნიც ამჟამად მიზგიტებად არიან ქვეულნი. ვნახეთ შესანიშნავი ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა.

აბუ ჰასანმა გვიამბო: როცა სარკინოზები პირველად შეიჭრნენ დამასკში, ნახევარი ქალაქი ბრძოლით წაართვეს ბიზანტიელებს და ეს ეკლესიაც შუაში გაუყვეს. ასე რომ დიდი ზნის განმავლობაში ერთ ნახევარში ბერძნულად წირავდნენ, მეორეში — ყურანის სურებს კითხულობდნენ მუეძინები.

მთელი თვე ამოდ ვიხეტიალეთ დამასკის ბაზრებში. ბოლოს აბუ ჰასანმა გამოსძებნა ერთი ფრანკი ვაჭარი, მუსლიმანურად გადაცმული, მას უცნაური გვარი ჰქონდა: ალიმანდ.

ეს კაცი მრავალი წლის მანძილზე ვაჭრობდა თურმე საქურველით და ცხენებით, სირიელების, ბერძნების, სომხების დახმარებით ამას უოველივეს უგზავნიდა ჯვაროსნებს ანტიოქიასა და იერუსალიმში, სწორედ იმჟამად, როცა ჯვაროსნებს ხშირი იმედი ჰქონდათ

ისპანის სულტნებთან, იაგი სიანთან
ამირ ილ-ლაზისთან.

„იარაღით ვაჭრობა საბილთო საქმეა,
მე უკვე დაგბერდი და დიაცებით ვაჭ-
რობას მივყავი ხელი. ერთი თვის წინათ
იერუსალიმს გადავგზავნე ხუთმეტი
თვალშეწენიერი ჭართველი, ჩერქეზი და

სომეხი დიაცი და ჩემს უმცროს ძმას,
უმცროს ალიმანდს, საკუთარი სასახლე
აქვს იერუსალიმში მოწყობილი, ბარათს
მიგიწერთ და ეწვიეთ კიდევაც“.

იმავე დღეს გადაწყდა: იერუსალიმს
წავსულიყავით დაუყოვნებლივ.

(გაგრძელება იქნება)



გაზგილეზული მონადირე

— ვესერი, ვიცი, გამიმართლებს,
ფეხში დავეკრი ამაყ ირემს,
წამოვიყვან და მივართმევ
ჩემს საცოლეს ნანადირევს.
მოვა, ნეფეს გადამკოცნის
საბატარძლო სანუკვარი.
დამშვენდება ლამაზ ქორწილს
საქორწილო სანუქარი.
ვერ გაექცეს მსხვერპლი მთაში
დამიზნებულ ტყვიის ზუზუნს,
გვეყოლება ტყუბი ვაჟი,
წყვილად წოვენ ირმის ძუძუს. —
ფიქრობს მოყმე, წინ ეშლება
ბილიკები დაქსაქსული,
უცებ წყალთან მიიჭრება
მოწყურებულ-დაქანცული.
მონადირე იკლავს წყურვილს,
შეთართოდება სასიამოდ,
თითქოს ირმის წყვილი ცური
წოვა ტყუბთა საზიაროდ.
უცებ წყალთან გამოჩნდება
ფური თეთრი, სველტუჩება.
თოფს ქუხილი აღმოხდება,
ზევი კვამლით შელურჯდება.
და შავბნელი წყვილი თვალი
წყვილი ღულა სიკვდილს ისვრის,
დაეტყობა ბილიკს კვალი
დათოფილი ირმის სისხლის.
მიუვალი მთანი რაკის
იბექებენ უცბად ეზოდ,
მისდევს მოყმე ნადირს დაჭრილს,
მიქრის ფური უცალფებოდ.
— რა კაცი ვარ, თუ გაგიშვი,
თუ ვერ გაქცევ მონად ირემს.
„არ გამექცეს“ — გულში შიში
გაუჯდება მონადირეს.
გადიქროლეს დანისლული
ცხრა უფსკრული და ჭიუხი,
ფურს ძრავს თეძო გასისხლული,

მგლის მუხლს ჯობნის კაცის მუხლი.
ცხრა უფსკრული გადიფრინეს,
შედგა ფური დათოფილი.
ქამანდს ესვრის დაჭრილ ირემს
მონადირე გაოფილი.
გამოაჩენს დაღლილ ღიმილს,
ფური მოჰყავს გათოკილი,
მოდის როკვით და ღიღინით
მოყმე ბედით კმაყოფილი.
„ვერ გაექცეს მსხვერპლი მთაში
ჩემგან ნასროლ ტყვიის ზუზუნს...
მეყოლება ტყუბი ვაჟი,
წყვილად წოვენ ირმის ძუძუს.
საბატარძლო შემომხვედება,
დამილოცავს მკლავს ქალწული“...
ფიქრობს მოყმე, წინ ეშლება
ბილიკები დაქსაქსული.
კაცს მორჩილად მოსდევს ფური,
სულთამბრძოლი სიციხით იწვის
და ცხელი ზძით სავსე ცური
ეწრიტება დიდი სიმწრით.
ჩქერად დასდის სისხლი ტანზე
წამწამთაგან — ცრემლის ჩქერი,
მაგრამ მიინც ზიზლით სავსე
არ აქვს თვალნი მშვენიერი.
რომ გამოჩნდა მთიდან სოფლის
ნაწვიმარი სველი შარა,
მონადირემ ცივი ოფლი
ყაბალახით შეიმშრალა.
გზაზე თავექვე დაქანება
ფურიც, მოყმედ დაქანცული,
წინ დახვდებათ, გაქვავდება,
ვერ გაიღებს ხმას ქალწული.
მის მუხლებთან დავარდება
ფურირემი მოცელილი,
სიკვდილის წინ აზღაფდება
დაჩოქებულ შლოცველივით.
ფურმა გულით იცნო ფური,
დამ შესჩივლა დას ქვითინით

და ქორწილი უცნაური
 დაებედა ქალს სიკვდილით.
 ირემს უმზერს სიბრაღულით,
 ცრემლიც ვეღარ შეიმშრალა,
 რწმენა, წმინდა სიყვარული

შურისგებით შეიცვალა
 გული დარღმა დაუნაცხა,
 გაფერმკრთალდა გასაოცრად,
 და... ქორწილში საქმროს ნაცვლად,
 დედოფალმა სხვას აკოცა.



მ ე ჩ ე რ ი *

XV

წავიდა ირინე... მაგრამ თეატრის სა-
ლაროსთან წარწერა დახვდა, — დღე-
ვანდელ წარმოდგენაზე ყველა ბილეთი
გაყიდულიაო. ამან უფრო გაუცხოველა
სურვილი. ასეთ შემთხვევაში ყველას
ასე ემართება ხოლმე, ირინე რაღა გამო-
ნაკლისი იქნებოდა, თუმცა სხვებზე თავ-
დაპერილად მოიქცეოდა, მაგრამ გაეე-
ჩილს გატეხილი სჯობიანო, თავდაპერი-
ლობა ყოველთვის არა ნიშნავს სიმშვი-
დესა.

ვითომ შესვლა არ მოხერხდებოდა?
თუ მოხერხდებოდა, მაშ, რას დატორ-
ლილობდნენ ეს ახალგაზრდები, მიდი-
ოდნენ, ვერ წასულიყვნენ, იდგნენ, ვერ
დამდგარიყვნენ, შესავალს მიეხვეოდ-
ნენ, სვეტებს ეგლასუნებოდნენ, სალა-
როს ეხახუნებოდნენ, ხმაურობდნენ,
ხუმრობდნენ, ლელავდნენ და არცა ლე-
ლავდნენ, რა ვუყოთ, თუ შეასწრეს,
დღეს სხვებმა შეასწრეს, ხვალ ესენი შე-
ასწრებდნენ, ხოლო ირინე ვერც ხვალ
შეასწრებდა. როგორ შეასწრებდა, დი-
ლითვე ხალდეს გაეშურებოდა, მერე,
ვინ იცის, ჩამოსვლა როდისღა მოუწევ-
და, თანაც უქმად რად უნდა დაკარგოდა
ის საღამო, ამიტომ, როგორც იყო, ჩაი-
ყუჩა მორიდებ-მოკრძალების გრძნობე-
ბი, სითამამეს მოუხმო, ადმინისტრატო-
რი მოიკითხა... და როცა დარბაზში შედ-
ვა ფეხა, რისგან იყო, იმისგანა, რომ უკვე
ყველა დაუფლებოდა თავის ადგილ-
სა, წუთიწუთს ფარდის აწევას ელოდა
და ყველა სხვა ფიქრები გამოებერტყა
თავიდან, იმისგანა, რომ ისღა შედიოდა,
მორიგე კონტროლიორი დიდი ფუსფუ-

სით მიუძლოდა, წინა რიგებისაკენ მია-
ძუნძულებდა სკამსა, იმისგანა, რომ პა-
ტარა ქალაქში ერთბაშად თვალში საცე-
ში იყო უცხო ადამიანი, თუ იმისგანა,
რომ მისმა იერმა მოიტაცა ყველას თვა-
ლი, ძნელი სათქმელია, ხოლო ნამდვილი
ესაა, ბევრი წამოყვლედა იმის
შესვლისასა, ძალიან ბევრი, თვალმო-
უწყვეტლად მიაცილა მეორე რიგამდე.
სადაც სკამი ჩაუდგა მორიგემა. მერეც
აღარ აშორებდნენ თვალსა, რა თქმა უნ-
და, ყველა არა, ვისაც მიუწვდებოდა
თვალი. პირველი რიგიდანაც შემობ-
რუნდნენ, ეს უკვე ნამდვილად იმეტომ
არა, რომ ეუცხოვით შემოსული, არა,
რადგან თვითონ ისინი იყვნენ უცხოები,
ოღონდ ყველა როდი, მხოლოდ ნაწილი,
თეატრის დირექტორსა, მთავარ რეჟი-
სორსა და რეჟისორებს შორი ისხდნენ
უცხო გვამნი, თუმცა არც ისე უცხო-
ნი, — თბილისიდან ჩამოსულიყვნენ
დასადგენად იმისა, შეიძლებოდა თუ არა
თბილისში გასტროლების უფლება მის-
ცემოდა თეატრსა. და აი, ისინიც შემო-
ბრუნდნენ და, წარმოიდგინეთ, ისე-გა-
დახედეს ერთიმეორესა, უსათუოდ მოე-
წონათ ის ბოლოლად შემოსული მაყუ-
რებელი, მაშ, მის იერს მოეტაცა ყვე-
ლას თვალი, ახლა უკვე დადგენილად
ჩაითვლებოდა.

და ისხდნენ ისინი აღელვებულ რეჟი-
სორთა შორისა, დარბაისლურად ისხდ-
ნენ, ოღონდ ზომ არის დარბაისელი დარ-
ბაისელთა შორისა, ღირსეული ღირსე-
ულთა შორისა, ჰო, არის და მათ შორი-
საც იყო ასეთი; ის თავში იჯდა, თუმცა
ზოგჯერ ზომ ვერ გაიგებ, თავი რომე-
ლია, ბოლო რომელია, მაგრამ, რაც უნ-
და იყოს, ზომ არ იდგა, იჯდა, და მოუს-
ვენრად ატრიულებდა თავსა, ტუჩებსაც

* გაგრძელება იხ. „მნათობი“, № 4, 5, 6.

არხევდა შეუჩერებლად ანუ გამუდმებით ლაპარაკობდა, თვალებიც ვერ მოესვენებინა, უუტავდა, ჰუტავდა, ბრეცდა, წკურავდა, მეტისმეტად წკურავდა... და ირხეოდა ირხეოდა თვალსაჩინო თავი, მოუსვენრად ქანაობდა შავ თავთა შორისა. მერე ხომ ირინესაკენ შემობრუნდა ყველა თავი, წუთის შემდეგ ისევ თვალსაჩინო თავთან შემოგროვდნენ, მერე ისევ ირინესაკენა, შემდეგ ისევ თვალსაჩინო თავთანა, მამ, ღვინდებოდა, თუ რითი მოიტაცა ყველას თვალი ბოლოს შემოსულმა მწყურებელმა, მამ, საქმეში იყვნენ დამდგმელები. დარბაზში ბნელდებოდა, ბნელი ეფარებოდა რეცისორების მღელვარებასა, მაგრამ პირველი მოქმედების დამთავრებისთანავე, გაჩირაღდნდა თუ არა დარბაზი, ისევ იძალა მღელვარებაში, აცმუკდნენ, მასპინძლები, აჩქარეს სტუმრები, წყალი მოგწყურდებოდათო, გავიართოთ, აყენეს, აყოლიეს, სათითაოდ ამოუდგნენ მხარში, სათითაოდ გაასვენეს დამდგნელები. წინ თვალსაჩინო თავი მიგორავდა, ბოლოს შავი, ყველაზე შავი, ოღონდ ეს გამოეყო შეინახებსა, ირინესთან შეჩერდა, ირინეს ეგონა, გავლას ვუშლიო, დაიხია, უკაცრავადო, მიბრძანდითო, ანიშნა თვალითა. მას ფეხიც არ მოუცვლია...

— ირინე, თუ არა ვცდები... — თქვა იმანა.

— არა სცდებით, ო, არა... — სიომოვნებით დაატანა ირინემა, იმანაც იცნო, — ალბათ არც მე შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენ...

— არა, არავითარ შემთხვევაში, — შეაგება იმანა და რაკი სხვებს გადაპლობოდნენ, თხოვნა-თავაზი აღარ დაუწყვია, მკლავი გამოსდო, გაიყოლია, თან აჩქარებითა თუ აღელვებით განაგრძო, — სადა ხართ, რა მოულოდნელად გაპქრით ასპარეზიდანა? ჩვენ მაინც გელოდით, ყოველთვის გელოდით, გვეკროდა, მიაღწევდით დიდ წარმატებასა. ზომ გახსოვთ, თუ როგორ მოგვწონდა თქვენი პირველი ტილოები, აღტაცებულნი ვიყავით ახალგაზრდებიცა,

მსოფიანი მხატვრებიცა. ყველამ იგრძნო დიდი და უჩვეულო ნიჭი, დაინახა საოცრად ძლიერი მარჯვენა, რომელსაც, შეიძლება, გაწაფვა კიდევ უნდოდა და ჩვენც გვეგონა, სადმე წახვედით, რომელიმე საუკეთესო სკოლასა და საუკეთესო ოსტატებს მივზარეთ. მაგრამ გავიდა დრო და აღარ გამოჩნდით... რამდენი დრო გავიდა... დროს თავისი მიაქვს და ვიფიქრეთ, მომიტევეთ, დაიხ, ვიფიქრეთ, რომ ბედმა გიმუხთლიათ და მეტი რაღა დაგვრჩენოდა, ვიგონებდით სინანულითა, ვიგონებდით იმ დიდ აღტაცებას, თქვენმა პირველმა ტილოებმა რომ გამოიწვია. საბედნიეროდ, ტყუილი ყოფილა ჩვენი ფიქრი, კარგადა ხართ, ახ, რა კარგადა ხართ!.. უთუოდ გამარჯვებული დაგვიბრუნდებით, ჩამოიტანთ ბრწყინვალე ტილოებსა, ბედნიერება გვექნება, მალე ვიხილოთ...

— ჰა, ჰა, ჰა... — ოღნავ გაიცინა ირინემა, — მომიტევეთ!... — თან დაატანა და მოიწმინდა შუბლს მოდენილი ცვარი, წუხილისა თუ იმედგაცრუების ცვარი.

— რამ გავაციანათ?

— თქვენმა სიტყვებმა...

— სისაცილო რა ვთქვი?!

— არაფერი... გამაციანა მხოლოდ იმან, რომ ძალიან შორიშორისაა თქვენი იმედები და ჩემი სინამდვილე.

— როგორ?!

— ისე, რომ არც არსად გყოფილვარ, აღარც აღარაფერი შემისწავლია, არც არაფერი შემიქმნია. ჩემი მხატვრობა დიდი ხანია დამთავრდა, იქვე დამთავრდა... ოთხი შვილის ღედა ვარ, ვმუშაობ კოლმეურნეობაში.

— ჰა, ჰა, ჰა... მომიტევეთ, მაგრამ, უნებლიეთ გიხდით სამაგიეროსა, თქვენმა სიტყვებმა გამაციანა. — ოღონდ რამდენიც არ უნდა ეცინა, როგორც არ უნდა ეცინა, ბოლოს მაინც უნდა დარწმუნებულიყო, რადგან მართალს ამბობდა, დამაჯერებლად ამბობდა ირინე; და რაოდენი წუხილიც უნდა გამოეთქვა მოწოდებიდან გადახვევაზე, რაოდენი სი-

ნანულიც უნდა გამოეხატა, ბოლოსდა-ბოლოს უნდა შერიგებოდა, როგორც ჩვეულებრივ ურიგდებიან ხოლმე გარდაუვალობასა, სინამდვილესა, რაოდენ საეალაოც უნდა იყოს. ირინეს სავალალოც არა სჭირდა რა, პირიქით, ამბობდა, გონივრულად მოიქცე, ოჯახს რომ მოეკიდა, შეილებსა ზრდის, მხატვრობაში, ვინ იცის, ფუჰად დაეკარგა დრო და წუთისოფელი, რაღა ვინ იცის, თვითონ იცის, ნამდვილად იცის, ამოდ გაიქრობდა წუთისოფელსა, ვერაფერს შექმნიდა გასაოცარსა, სხვებმა ვერ შექმნეს, რაღა ის შექმნიდა, ვითომ ის რა წითელი კოჭი იყო. და როგორც არ უნდა გამოედო თავი, როგორც არ უნდა წაეჭებინა, ხელახლა აედო ყალბი ხელში, ბოლოსდაბოლოს, უკან უნდა დაეხია, რადგან შეუვალ უარს აცხადებდა ირინე... ამის შემდეგ, ანუ მეორე და მესამე შესვენების დროს, სასხვათა-შორისო საუბრის მეტი აღარა დარჩენოდათ რა, საიდანაც ყველაზე უფრო საგულისხმოა წაკამათება დეკორატიულ ხელოვნებაზე. აი, ეს წაკამათება.

— ჩამოვედი, როგორც მხატვარი. სამხატვრო ნაწილის შესავასებლად, — თქვა მოსაუბრემ, როცა ირინემ იკითხა, რა მიზეზით ჩამოსულხართ თბილისიდან.

— მეც ასე ვიგულისხმე. ვგონებ, არც იმაში შევეცდები, თუ ვიტყვი, დადებითი აზრი გექნებათ...

— თითქმის...

— რატომ თითქმისა?!

— არა... საერთოდ, მომწონს, ოღონდ არის ზოგიერთი ადგილი, რომელთა უკეთესად გადაწყვეტაც შეიძლებოდა... აი, ამ თვალსაზრისით ვამბობ, მხოლოდ ამ თვალსაზრისითა. მაგალითად, ამ მოქმედების მეორე სურათში განა უკეთესი არ იყო, აივანი ცენტრში არ გამოეტანათ, დაეწათ მარჯვნივა ან მარცხნივა, მოსახერხებელი იქნებოდა, უფრო ვრცლად გადმოეცათ პეიზაჟი, ჰა, რას იტყვით, უკეთესი არ იქნებოდა?

— შესაძლოა...

— შესაძლოა კი არა, ბევრად უკეთესი იქნებოდა.

— მე კი მგონია, — აჩქარებდა მიუტანა ირინემ, ოღონდ მაშინვე შეჩერდა, ვთქვა თუ არაო, — დიახ, მგონია, — თქმა გადაწყვიტა, რაკი სიტყვამ მოიტანაო, — საერთოდ, არ არის საჭირო ფართო და ვრცელი დეკორაციები. სცენა ისე რად უნდა დაიტვირთოს, რომ შემოსაბრუნებელი ადგილი აღარ დარჩეს მსახიობსა? მაყურებელი მოსულა მოქმედების სანახავდა, ადამიანური ღელვა-წუხილის მოსასმენადა, რა თავში იხლის კედლებსა და ხეებსა? როგორცა ჩანს, მხატვრებს თავი გადაუდვიათ დრამატურგებისათვისა, მათი ნებაა, უერთგულონ მეგობარ დრამატურგებსა, ოღონდ ასეთი ერთგულება არა სჭირდებათ კლასიკოსებსა, მე ასე მგონია, სხვისა არ ვიცი, იმათ ადამიანები ჰყავთ, გმირები ჰყავთ და, სადაც გმირები არიან, იქ აღარ მოჩანან კედლები, ამოდ მონუმენტური დეკორაციები, ადამიანური ვენებები ყველაფერსა ფარავს. ასეა, უსათუოდ ასეა, თორემ ძველი ათენისა და ლონდონის თეატრებშიც ააგებდნენ გრანდიოზულ დეკორაციებსა, ვითომ რატომ არაო, მხატვრებს ვერ იშოვნინდნენ თუ რა არის? მაგრამ ჰქონდათ გრძობა ზომიერებისა, იცოდნენ, რომ პრომეთე და მედეა, ჰამლეტი და ლედი მაკბეტი ისედაც დაიპყრობდნენ მაყურებელსა, ხომ არ იტყვიოთ, თითქოს წინათ ადვილი დასაპყრობი იყო მაყურებელი?

— რა თქმა უნდა...

— მაგრამ იგივე ქმნილებანი რომ დღევანდელ მაყურებელსაც ადვილად იპყრობენ?!

— რა გასაკვირია, რა გასაკვირია, გენიალური ქმნილებანი ერთნაირად მოქმედებენ ყველა დროის ადამიანზე.

— ადამიანური ქმნილებანი მოქმედებენ ადამიანზე...

— არ ავიხირდებით, ეს არა ცვლის ჩემს აზრსა...

— მაგრამ ეს მაინც პასუხი არ არის, ამაზე ხომ არა ვდავობთ, — წარბები

შეყარა ირინემა, — თქვენ ეს მიბრძანეთ, იქნება თუ არა შთაბეჭდილება ისევე ძლიერი, „ოტელი“ რომ სადა ფარდებში წარმოვადგინოთ?

— შეიძლება... მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ კლასიკური ნაწარმოები-სადმი დამოკიდებულება სხვანაირია, ცოტა არ იყოს, რომანტიკულია, აღზევებულია, განწყობილება ამბობს, და ცხადია, წარმოსახვის ძალაც დიდია. აქ წარმოსახვა ძალიან ემსახურება მაცურებელსა. ხოლო თანადროული თემებისადმი დამოკიდებულება რეალისტურია, განწყობილება რეალისტურია, ამიტომაც ბევრგვარი საშუალებაა საჭირო წარმოსახვისა და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, აი, ეს იწვევს დიდსა და მრავალნაირ დეკორაციებსა...

მე სოფელში გამოვწვევდეთლვარ, იშვიათად ჩამოვდივარ, ისიც აქა, თბილისის თეატრებისა დიდი ხანია აღარაფერი ვიცი, მაგრამ შეიძლება არც შევცდე, თუ განვაზოგადებ აქ მიღებულ შთაბეჭდილებასა... თუნდაც ერთ მაგალითს გეტყვი. ერთხელ ვნახე ეს სცენა, გამოშვდილი ყოველგვარი ძვირფასი ავეჯითა, კედლები მორთული უძვირფასესი ხალიჩ-ფარდაგებითა, მსახობებს ისე ვერ გაველოთ, ისე ვერ შემობრუნებულაყვენ, რომ რაიმეს არ მისჯახებოდნენ. თვითონაც რალა არ ეცკათ! ქალები ხომ ელვარებდნენ სხვადასხვა სამკაულებში. ასე იყვნენ შინა, ასე დადიოდნენ თხნაში, ჩაის კრებაში, ყველგანა...

— ხდება ხოლმე, ზოგს ემართება ხოლმე, მეტისმეტ რეალიზმს აჰყვება და ნატურალიზმში გადავარდება ხოლმე.

— ვერ დაგეთანხმებით... ნატურალიზმს თავისი სისტემა აქვს, თავისი აზრი აქვს, შეიძლება არ მოგწონდეთ, მაგრამ ვერ უარყოფთ, რომ აქვს აზრი, აქვს მთლიანობა, ხოლო ეს რა არის?! უაზრობა და მეტი არაფერი...

— არა, ნურც ასე განსჯით...

და გაიბა კამათი, ვინ იცის, სადამდე გაიბმოდა, ვინ იცის, როგორ გათავდე-

ბოდა, დამდგენლები რომ არ შემობრუნდნენ და საბოლოო სიტყვა არ ეგლო ოქროსთავიან კაცსა:

— დეკორაცია, ისევე როგორც სასცენო ხელოვნების ყველა სხვა საშუალება, — დაიწყო მღელვარედა, ხელების ქნევითა, — უნდა გამოხატავდეს იმ მზარდ აღმავლობას, რაც დამახასიათებელია ჩვენი საზოგადოებისათვის...

და წამოვიდა ნიაღვარი, ადგა ქარბუქი, უბრალო კამათი გადაიქცა ქარტახილად, თვითონ ქარის წისქვილს დაემგვანა, ისე აქნევდა, აფრიალებდა ხელებსა, თავსაც არაცრაცებდა... ირინემ დალილობა მოიმიზეზა, ბოდიშ-ბოდიშით გამოეცალა, წავიდა დარბაზისკენა.

ფარდის დაშვებისთანავე დატოვა თეატრი, პირველი გამოვიდა, არაეის გამოშვდილობებია...

გარეთ ლაღო და გიგო უცდიდნენ, ისე იყვნენ, პირში ენა არ უდევთო, რომ იტყვიან, ერთმანეთს ველარა ცნობდნენო, ასეც ითქმის, ცხადია, ითქმის, ერთი ალთას მიიწვედა, მეორე — ბალთასა, ერთმანეთსაც უხმობდნენ, ირინეს სახელსაც იმეორებდნენ, მაგრამ აღარაფრის თავი აღარა ჰქონდათ, მალე ალბათ დაკარგავდნენ ერთმანეთსა, ისეც ირინემ იგაყკაცა, როგორც იყო, გაიყვანა თეატრის ბაღიდანა, შუაში ჩაუდგა, ვაწია შინისაკენა, — ასე გამოთრობა რა უბედურებააო, რა ველურობაა, სად დაჰკარგეთ ზომიერება, სად თქვენა და სად ასეთი გამოთრობა, რა მოგსვლიათ, რას დამგვანებხართო, მიმართავდა და წყრებოდა ირინე. გიგო რალაცას ლულულულებდა, ეუბნებოდა თუ ეთანხმებოდა, ძნელი სათქმელია, ხოლო ლაღო იცნოდა ყოველ სიტყვასა და სიტყვას შუა, თქმასაც არ აცლიდა ირინესა, სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა ბუზლუნი, კითხვა, გმობა, ყველაფერი გასართობი ეგონა, ყველაფერი ალალებდა, გიგოს ლულულ-ტორტმანიცა, ისიც, რომ ხმაურით ჩაუვლიდნენ თეატრიდან გამოსული ჯგუფები, ისიც, რომ წამოეწვეოდნენ მოჩურჩულე წყვილებსა, მერე უცებ შეჩერდა, უფრო მომეტებუ-

ლად, უფრო გულიანად გაიცინა, თითქოს გული ამოიბერტყა, მთელი ხალისი ამოიბერტყა და მოხსნა პირი:

— ვითომ რას გვეჩხუბები, ჰა?!
 — ვიართო!.. — ბრძანა ირინემა.

— ვიართო, — არ ახირებია ლადო, — ვიართო, თქმა სიარულშიც შეიძლება... ოღონდ მაინც რას გვეჩხუბები, რა დაგვიშავებია?! თუმცა ჰო „ჩატეხილი ხიდიდან“ მოდიხარ, ეს წოდებანიო, ეს შეურავებლობანი, უთანხმოებანი, ბრძოლანი, და ჩვენც გვებრძვი, არა?! რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... თეატრს ხომ საოცარი ძალა აქვს ზემოქმედებისა, ჰოდა, გვებრძვი, მაგრამ გავიწყდება, რომ წოდებები უკვე განადგურებულია, კლასები განადგურებულია, ჰა, ჰა, ჰა... „ჩატეხილი ხიდი“ ნახე და ჩვენთან თანხმობა აღარ გინდა?! რალა ჩვენ ამოგვიჩემე, ჩვენზე ცუდი ხალხი აღარ გეგულება?! ჰე-ჰეი, მიმოიხედე, დაინახე, რამდენი უკუღმართია ქვეყანაზე, თვალი გაუსწორე, სიტყვა შეჰბედე, ჩვენ რას მოგვედგინებარ...

— ჩუმად იარე, — მკაცრად უთხრა ირინემა, — არავინ შეურაცხყო...

— მე შეურაცხყო, მე?!
 — ჩუმად!..
 — მე?!
 აყვირდა ლადო.

— ჩუმად-მეთქი!.. — კიდევ უფრო მკაცრად თქვა და ხელიც მოუჭირა, მაგრამ ამო იყო, ირინე ველად დაიმორჩილებდა ლადოსა, ოღონდ გიგო დამორჩილდა, თავისთავად დამორჩილდა, ხელი ჩავლო ლადოსა და შინისაკენ დაითრია... კიდევ დიდხანს ისმოდა ყვირილი, გაურკვეველი ყვირილი, ლადო ბრძღვინავდა, ბოხოქრობდა, ღვინო ბოხოქრობდა, გაწამებული სული ბოხოქრობდა, მერიმ რა იცოდა, თორემ, ვინ იცის, როგორ დამტკბარიყო...

XVI

ლადო დილაადრიანადვე გაეშურა ორბისსა, უბრად წავიდა, დარცხენილი წავიდა. მალე რაიკომის ინსტრუქტორებიც ეწვეივნენ საგანგებო დავალებითა... რაც შეეხება ირინესა, ორიოდღე დღეს

კიდევ მოუგვიანდა, აღარ უნდოდა სწავლეში წასვლა და... აქეთ ეცა, იქით ეცა, ბევრს ეცადა, მაგრამ შინიდან ვე-თილისმჩრეველებსა ხედებოდა... უმჯობესია, სადმე ყუათიან ადგილას მოეწყოს თავიც შეინახოს და ცოლ-შვილსაც რამე არგოსო, — დაარიგეს ასე კარგადა, ასე გულიანად, მართლაც კარგად დაარიგეს, უკეთესს ვერც ირინე მოიფიქრებდა, გიგოც ვერ მოიფიქრებდა, ამაზე თუ იტყვიან, სხვამან სხვისა უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო; ამაზე თუ იტყვიან, მართალს იტყვიან, თუმცა ბევრად უკეთესი იქნებოდა ეთქვათ — სხვამან სხვისი საქმისათვის უკეთ იცის თავდადებო, ჰო, ასე უკეთესი იქნებოდა, თორემ ცარიელი რჩევა, ცარიელი სიტყვა დიდხანს როდის გაჟყოლია ადამიანსა, თუ არ ვიტყვით, როდის გამოსდგომიო, ყოველშემთხვევაში, აქ ძნელი გამოსადეგი იქნებოდა, დიდი მიწყდომ-მოწყდომა, წელზეზე ფეხის დადგმა უნდოდა რჩევის გამოყენებასა, განა ადვილი იყო, ვალიდან ამოსულიყო, თავიც გაეტანა, ცოლ-შვილსაც გამოსდგომოდა, ჰო, არცთუ ადვილი, როგორ დააგდებდა კეთილ აზრსა, — დიდი გაწამაწია უნდოდა, მაგრამ როდის იყო ირინე გაწამაწიას ერიდებოდა ან როგორ დააგდებდა კეთილ აზრსა, — გზა დაქნა სასამართლოდან ჭურჭლის სახელოსნომდე; სასამართლოს თავმჯდომარემ აღუთქვა, დაგეხმარები — ჭურჭლის სახელოსნოში მიიღონო... აქ სახელოსნოს გამგე შეყოყმანდა, ერთმაც ატეხა ტელეფონების რეკა, მეორემაცა, ამან იქ დარეკა, იმან აქა, მერე ორივემ კიდევ — სადღაცა, სხვადასხვაგანაც, ქაღალდებიც გაგზავნა-გამოგზავნეს, შეათანხმეს, შეთანხმდნენ, უფლება მიიღეს, დასტური დასცეს... ირინე ხან ერთს ადგა თავსა, ხან მეორესა, არ ეშვებოდა, ძალას ატანდა გულ-ამოვარდნილი მღელვარებისაგან, ქარში სირბილისაგან; ბოლოს, როგორც იყო, დასტური მიიღო და დამშვიდდა: „მამ, ასეო, — რათქმა უნდა, მშვიდადვე უთხრა გიგოსა, — შენ ხვალვე მუშაობას შეუდგები მე და ტასიკო წავალთ...“ გი-

გომ მორჩილად დაუქნია თავი, მაგრამ ტასოს გული სასულეში მოეცო და უცრად გადიდებული თვალები მიბაჯინა ჯერ — გიგოსა, მერე — ირინესა, მერე — ისევ გიგოსა და აღარც მოუცილებია, არც დაუხამხამებია, კრინტიც არ დაუძრავს, თითქოს ხმა ამოერთვავთ, ხოლო გიგო რომ მიხვდა შეშფოთების მიზეზსა და თქვა, ორივენი აქ დავრჩებითო, თვალებიც დაახამხამა და ენაც ამოიდგა: დავრჩებითო, გიგოს ყურისგდება უნდაო, და სხვა ამგვარები წაიდუღუნა, ოღონ რაც უნდა ედუღუნა, როგორც უნდა ედუღუნა, მაინც იმასაცა და სხვებს ანუ სამივეს ერთი სახე მოლანდებოდათ — გელას სახე მოლანდებოდათ, ტასო შეშფოთებულიყო, გიგო გაბრაზებულიყო, ირინეს სიბრალული მოჰკიდებოდა, ხსენებით კი არც ერთს უხსენებია მისი სახელი, ირინე ულაპარაკოდ დათანხმდა, გამოემშვიდობა და გაუდგა ხალდეს გზასა.

ჰო, არ შელაპარაკებია, უხმოლ წავიდა, მაგრამ იცოდა, მალე გახდებოდნენ მისი სათავესისაცემონი; ახლა შელაპარაკება მაინც ამაო იქნებოდა, გიგო ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა, მოცდა სჯობდა, დაე ეჯახირათ, დაე, მომართოდათ ან არ მომართოდათ ხელი, ირინეს მაინც ვერ ასცდებოდნენ... ჰოდა, წავიდა.

სათქმელად ადვილია, წავიდაო, სხვათათვის იოლი ასატანიც არის ან, უფრო ბინუნში ჩასაგდებიც არ არის, ოღონდ გიგოს, ცოტა არ იყოს, გასცრა, როგორც კი ირინე თვალს მიეფარა, მაგრამ რას იზამდა, კვალდაკვალ ხომ არ დაედევნებოდა, სხვა თუ არაფერი ტასოს თვალში მაინც დამცირდებოდა, ხოლო ეს ძნელი ასატანი იქნებოდა, გაუსაძლისი იქნებოდა, უფრო გაუსაძლისი, უფრო აუტანელი, ვიდრე წადგომა უცხო ხალხთანა, ბოლოსდაბოლოს, იმათგან გაქცევა მაინც შეიძლებოდა, ტასოს საითღა გაემცეოდა...

ასე მოისაზრა და მიადგა ქურჭლის სახელოსნოსა. ეს ძნელი არ იყო, იქამდის გზა გავალული დაუტოვა ირინემ,

საქმე მერე იყო, თავის ანაბრად უნდა ყოფილიყო უცხო აღმთანებში... ჰო, საქმე მერე იყო; რაც იყო იყო, თვალი დაბუჭა, გადაალაჯა სახელოსნოს ზღურბლსა, გადაალაჯა და სწორედ მაშინ იგრძნო სიმარტოვე, მანამდე თითქოს ირინე თან ახლდა, თან მისდევდა მისი აჩრდილი, მაგრამ შიგ აღარ შეჰყვა, მძიმე-მძიმედ ჩაიხურა კარი, თითქოს ეს არის და ესა, აღარც გაიღება და აღარცაო. მაშინვე ეცა კარსა, ძალდაძალ გამოსწია და ნებას რომ დაჰყვა კარი, ჰრიალ — წრიბინით რომ გამოიღო, ცოტა დამშვიდდა, რახან ასე იოლად იღება, სამუდამოდ აქ არ დავრჩებითო.

თუმცა ბევრია ისეთი კარი, ადვილად რომ იღება, მაგრამ თავდალწევა მაინც შეუძლებელია. ვინ იცის, აქაც ასე იყო... იყო თუ არ იყო, იმ წუთს იქ ყოფნა მაინც არ უნდოდა, ეგებ მგლების ზროვაში ჩავარდნა უფრო ერჩია იქ მოხვედრასა, თუმცა არჩევანს ვინ დაანებებდა, თორემ იცოდა, რაც იყო ასარჩევი. ახლა წინ უნდა წაედგა ფეხი, მეტი ჩარა აღარა ჰქონდა, უნდა წაედგა და წადგა კიდეცა, ვაჰყვა დაბალ, ვიწრო, ნახევრად ბნელ დერეფანსა. ერთ ადგილას ნათელი სცემდა განიერ ზოლად, ღია კარისაგან იყო, შეიხვდა იმ კარში, მორიდებით შეიხვდა, — რამდენიმე ყმაწვილი წაბრილიყო, სურებს ატრილებდნენ, ზედ ავლებდნენ რაღაც გრეხილებსა, ზოლებსა, ყვავილებსა. გიგო მიხვდა, ამას ალბათ „სამხატვრო“ ერქმევიაო, თქმით არაფერი უთქვამს, არაფერი უკითხავს, ისევ წინ წავიდა, რაცი ნავსი გატყდა, სხვასაც ვინმეს გადავეყრებითო, მაგრამ მალე ვერავის გადაეყარა; ტიბრიდან ტიბრში გავიდა, ისევ ტიბრში და ისევ ტიბრიდან ტიბრში, ბნელიდან ნათელში, ნათელიდან ბნელში, ადამიანისშვილი მაინც არსადა ქაქანებდა, ქურჭელი კი ბლომად იყო ჩამორიგებული ყავაზებზედა, ზოგი გამომწვარი, ზოგი გამოუწვავი, ზოგი მოსახატი, ზოგიც მოხატული ქურჭელი და როცა ხეტიალი მოსწყინდა თუ გზა ველარ გაიგნო, როცა დაიძახა, ეგებ

ვინმეს გაავაგონო სწორედ ის ჭურჭელი გამოეხმაურა, აქა ვართ, ჩვენა ვართ, მხნედ იყავი, ნურაფრისა გეშინიაო.

გიგო გაახარა ამ ხმამა, ნაცნობმა ხმამა, დაეიწყა, ვის ეძებდა რად ეძებდა ან ვინ რაღად უნდოდა, ისევ დაიძახა, ჭურჭელს შესძახა, ჭურჭელს გამოელაპარაკა. იმათაც ბევრი როდი დაახანეს, შესძახეს და შეჰხარეს სანუკვარსტუმარსა, ენად გაიკრიფნენ, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, ყველა თავისას ეუბნებოდა, ყველა თავისას ეკითხებოდა. გიგოც სათითაოდ ეპასუხებოდა, სათითაოდ ეფერებოდა, ხელს უსვამდა, აქეზებდა ან იცოდებდა, იწონებდა ან იწუნებდა, წინ მიიწევდა, უკეთესს ეძებდა, უფრო ფაქიზ, უფრო სათუთ ნაკეთებებს, ძველ ქართულ სასმისებს, ყელყელა სურებს, ჰაეროვან ფიალებს, თვალმიმტაცად მოხატულ ვაზებს, ყველაფერს, ყველაფერს, კარგ, ლამაზ, მონიხილავ ნახელოვნებს დაეძებდა, მაგრამ არ იყო, არ იყო და ნელნელა იზნარებოდა მისი ხმა, სითბო ელეოდა, ალერსი აკლდებოდა, იმედი ეცლებოდა.

ოღონდ, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც თავის სანუკვარ გარემოში იყო, მაინც ეს ერჩია, როგორც იტყვიან ხოლმე — თხას თხა ურჩევნის ათას სულ ცხვარსაო, — მაინც იქ უჯობდა ხმაგაზნარულსა თუ უნიმედოსა, იქ უფრო მეტ სიმშვიდესა პოვებდა, ვიდრე სხვაგან, მისთვის უცხოთა და უცნაურ გარემოში. ამიტომაც იყო, მის წინ ჩრდილი დაეცა თუ არა, შეკრთა, შეკრთომა კიდევ არაფერი, გაბრაზდა, მრისხანედ შეხედა კარს მომდგარ წარმოსადგე ვაჟკაცსა, რომელსაც ეპატარავებოდა ეს გიგოსათვის სანუკვარი ადგილი, კედლები ევიწროებოდა, ჰერიც თითქოს ზედ მხრებზე დასწოლოდა, ხოლო ჭურჭელი სულს უხუთავდა, ნამდვილად, ნამდვილად სულსა; მაშ, რისგან იყო, რომ დიდხანს ხმა ვერ ამოიღო, ოღონდ როცა ამოიღო, თითქოს ძალისძალად ამოიგლიჯა, ორიოდ სიტყვა ამოიგ-

ლიჯა, ისიც დუნე, მოშვებული, მოწყვეტილი; თვით საიმედო, კარგ სიტყვებსაც კი დარდის იერი ამოსდევდა. მაგრამ ზოგჯერ თვალში ნაპერწყალი რომ ჩაუვარდებოდა, შევერცხლილ თავს ეშხიანად შეარხედა, მხრებს, შეიბერტყავდა და აიწნევდა მკლავებსა, იტყოდით, ერთი მოინდომოს, თორემ ვერცერთი მქედლის გაქედილი ჯაჭვი ვერ დაიმაგრებს, თვით ჰეფესტოს ჯაჭვიც ვერ დაიმაგრებს დაწყვეტს, უფსკრულში გადაუძახებსო. ჰო, იტყოდით, მერე რაო, თუნდაც განვიადებული ყოფილიყო, არაფერია, მთავარი მაინც ისაა, რომ ბევრის შემძლე ვაჟკაცი ხუხულაში დაბმულიყო, უჯაჭვოდ, უთოკოდ, უბაწროდ დაბმულიყო, დაბმულიყო რაღაც საოცარი, უხილავი საბელითა, რომლის გამოქედვაც თვით ღმერთსაც არ შეეძლო. რა თქმა უნდა, იალბუზზე მიჯაჭვა სჯობდა ხუხულაში დაბმასა, მაგრამ ყველას ხომ არ ერგებოდა ბედი ამირანისა, ან მარტო ღმერთებს ხომ არ დაუბამთ თავიანთი მეტოქენი, ზღაპრებმა სხვა არსებანიც იციან — ვერაგნი, მუხთალნი, უმსგავნი არსებანი, რომელთა სიკეთეს ღმერთის სიძვე ბევრად სჯობს ღმერთის სასჯელიც უკეთესია მათს ჯილდოზე. ასე ამბობენ, ზღაპრებში ამბობენ, თორმე ჩვენ, აბა, რა ვიცით, იმის მეტი რა ვიცით — ზღაპარი არ დაიჯერებო?! არ დაიჯერება და ნუ დაიჯერება, არ დაიჯერება და არცა გვეჯერა... ეხ, ზღაპარმა გავეციოლია, უხილავ საბელს ჩავეკიდეთ, ეგებ ჩაეყვეთ — ნათქვამიც არის, ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო, ვინ იცის, ჩაეყვეთ, ვინ უწყის, ისიც ჩაპყოლოდა ან ჩათრეულიყო... ასე იყო თუ ისე, იღვა გიგოს წინა, შეჰყურებდა, ცივად იღიმოდა, ელოდა, რას იტყვისო. გიგოც იქნებოდა და კრინტს დასძრავდა, თუ ძალა არ დაადგებოდა, მაშინ ისევ იმან იკითხა:

- გუნდიშვილი?
- დიახ...
- ბარემ დაიწყებ?
- ბარემ...

და აღარაფერი უთქვამს, ხელით ანიშნა გამოწყევით. გიგოც გაჰყვა, უთქმელად გაჰყვა. ასე გაიარეს საშრობი, ქუჩაც გაიარეს, ასევე გავიდნენ ოსტატებთანა, რომლებიც დიდ, გრძელ მაგიდას ამოსდგომოდნენ, ჩარხებს აბზრიალებდნენ, თიხის გუნდებს ატრიალებდნენ. მაგიდის ნაპირას ერთი ჩარხი იყო უქმდა, იმაზე მიუთითა უთქმელმა კაცმა, გაიღიმა და გავიდა. ოსტატებმა მხოლოდ აიხედეს, კრინტი არ დაუძრავთ, ისმოდა ჩარხების ხმა, შრიალ-ბზრიალი გაისმოდა, ამ შრიალ — ბზრიალსა და ოსტატთა თითებში ქილუბი ამოდიოდა; გიგო მიხვდა, რომ ქილუბი ამოდიოდა, თუმცა ჯერ ბოლომდე არც ერთი არ იყო გამოყვანილი, ჰო, მიხვდა, არც მოსტყუვდებოდა, რაკი არც მოსტყუვდებოდა, არც არაფერი უთხრეს, მაშ, იმასაც ქილუბი უნდა ამოეყვანა და ერთი ხელის გავკრით გადაიძრო ფარაჯა, მიმოიხედა, დასაკიდი არსად იყო, ისევე მიაგლო მაგიდაზე, ერთი დაკვრივთვე ჩამოთალა გუნდა თიხისა, ისე მოხდენილად ჩამოთალა, ისე ლამაზად შეყვლო ჩარხზე, რომ ერთმა ოსტატმა, ცოტა არ იყოს, მოწონებთა თქვა:

— გუნდიშვილიო, რომ ამბობდნენ, ალბათ ეს არის...

— ეს იქნება... — მიუგო მეორემ. არ შეჩერებულან, არც თავი აუღიათ, თურმე მაინც უთვალთვალდნენ. გიგოც თავის ჩარხს დასტრიალებდა, თავი ჩაელუნა, მაგრამ ხედავდა, პირველი სიტყვა რომ გასტენა ხანში შესული, ხმელ-ხმელი, სანდომიანი ადამიანი იყო. თავში ის იდგა. შემპასუხებელი მეორე იყო, ასე, შეახნისა, პირმრგვალი, ჩოფურა. მესამე მოხუცი იყო, ხილბანდით თავწაქრული. მეოთხე — ახალგაზრდა. ამათ ჯერ არაფერი ეთქვათ. მეზუთე... ჰო, მეზუთეც გიგო იყო და სულაც ეს იყო მთელი ჰამქარი — სწრაფი, მალი, გაფაციცებული, ისევე როგორც მათი ჩარხები.

— გუნდიშვილები კარგი ოსტატები არიანო. — თითქოს ჩარხს ჩასძახა ახალგაზრდამა.

— იყენენ!.. — მოუქრა მოხუცმა, იმანაც ტარაბუას მოუქრა. *არაფერი...*

— აღარ არიან?! — გაიკვირვა ახალგაზრდამა.

პასუხი აღარ იკადრა მოხუცმა, მხოლოდ ლაწვი აუთამაშდა, მწყურალად აუთამაშდა, ვითომ, რად შემეპასუხო.

— უკანასკნელი სახელიანი გუნდიშვილი თანდო იყო, იმანაც შენი ქირი წაილო დიდი ხანია... — უპასუხა ხმელ-ხმელმა.

— ნეტავ ამისი რა იქნებოდა თანდოი? — ჩოფურმა იკითხა.

— ეგებ არც არაფერი, — ისევე ხმელ-ხმელმა თქვა, თან ქილის ძირი შეაეკურა ძაფზე, მსუბუქად გადასლო, — განა ყველა გუნდიშვილი იყო ოსტატი...

— ყველა არა, — სიტყვა მიაშველა გიგომ, ქილაც გადააცურა, მერე გუნდა ჩამოკვეთა, — ჩვენი შტო იყო... თანდოს შტოი...

— მაშ თანდოაანთი ხარ? — თავი აილო მოხუცმა.

— შვილი ვარ... — თავი აილო გიგომაც.

— თანდოს შვილი?! — ჩარხი შეაჩერა ახალგაზრდამა.

სხვებმაც აიხედეს, უფრო გულდაგულ დააკვირდნენ გიგოსა, ერთმანეთსაც შეავლეს თვალი და ისევე ჩარხებს მიუბრუნდნენ, შრომა განაგრძეს, უხმოდა, ულაპარაკოდა, თითქოს ყველაფერი თქვეს, ყველაფერი გაიგეს, ხოლო ჩარხები ტრიალებდა, ბზრიალებდა შეუჩერებლად, ეცემოდა გუნდები თიხისა, ამოდიოდა ქილები, ტოლ-ტოლი, თანაზომიერი, ერთნაირი, თითქოს სხვადასხვა ხელში კი არა; ერთ ყალიბში ამოდიოდა. იესებოდა, იჯარებოდა გრძელი მაგიდა ის-ისაა ამოყვანილი თოთო ქილებითა, მერე პატარა ბიჭებს ფრთხილად მიჰქონდათ საშრობისაკენა, გამშრალნი სამხატვროსაკენა, მოხატულ-მოხაზული ქურისკენა, ჰო, ფრთხილად, უხმაუროდა, მოკლე შეძახილებითა ან სულაც უთქმელად. რაღაც თავისებური მღუმარება დასადგურებულ იყო იმ სახელოსნოში ან სულ უთქმე-

ლნი შეყრილიყვენენ, — თავისთავადა თუ საგანგებოდა სულ ერთია, — ან ვილაც-ას მოსძულებოდა თუ არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი და იმისი ხათრი დაეჭირა ყველასა, მორიდებოდა, სიტყვა გულში ჩაებრუნებინა, გულშივე დაებრუნებინა ტარაბუსავითა ან შემოენახა, დაეუნჯა, დაეუნჯანდა გარეთ გასვლამდისა, ჰო, ასეც შეიძლებოდა, მაგრამ ყბედი არცთუ ადვილად გამოიჩენდა ამდენ სიფრთხილესა, — სიფრთხილე, ზომიერება და ზრდილობა თუ ეცოდინებოდა, ხომ ყბედიც აღარ იქნებოდა, — მამ, უთქმელნი შეყრილიყვენენ ანდა — გონიერნი, რომლებიც ყველაფერსა ხვდებიან, ყველაფერი ესმით, ალღოს ადვილად აიღებენ, გუმანს იოლად მიიტანენ, თითო-როლა სიტყვით უფრო მეტს გააგებინებენ ერთმანეთს, ვიდრე ისინი, ვინც დღედაღამე ქაქანებენ და ამ ქაქანითა ქამენ პურსა. ესენი ლუკმაპურს შრომითა მოულობდნენ, სიტყვისათვის ძალა აღარა ჰყოფნიდათ, არც უნდოდათ, თითო სიტყვას ამოიღებდნენ, თითო-თითოსაც წაუმატებდნენ, მერე გულში დაიბრუნებდნენ, ამასაც იტყვოდნენ იმასაც, გულში გამართავდნენ საუბარსა თუ პაექრობასა, ისევ ამოაგორებდნენ თითო-თითო სიტყვასა, ჩარხებს შემოავლებდნენ, ერთიმეორეს შემოავლებდნენ, მერე გულში ჩაიხვევდნენ, ისევ გულში და გულში... და ბზრიალებდნენ, ზრიალებდნენ ჩარხები. ეს ამას იფიქრებდა, ის იმასა, ეს ამას იკითხავდა, ის იმასა, ყველა თავისასა, გიგოც თავისასა, თუნდაც ვთქვათ, პირველად სხვას რას იკითხავდა:

- ის ვინ იყო?
- ვინა?
- აქ რო შემომყვა...
- ჰაჰ!

— ჩვენი გამგეი... ირაკლი შუბითიძე...

- ჰო...
- რაიკომის მდივანი აკი იყო...
- იყო...

და ბზრიალებდა, ზრიალებდა ჩარხები, ჩარხი იტყვოდა დანარჩენ სათ-

ქმელსა ან — აზრი, თავში რომ ტრიალებდა იმ ჩარხივითა თუ ტარაბუსავითა და ფიქრი ამოჰყავდა ქილოზნივითა თიხის ქილები ერთნაირი ამოჰყავდათ; ფიქრის ქილებს რატომ ვეღარ ამოიყვანდნენ ერთნაირსა, — თქმა რალა ზედენა იყო, განა არ ენახათ კიბე წუთისოფლისა, მარადიული კიბე, შეუცვლელი კიბე, მოძულებული კიბე, რომლის შეცვლას ყველა ლამობს თუ ძირს არის, უცვლელადა სთვლის თუ ზევით მოექცა, კიბე კი უცვლელი... აი რა ფიქრი ამოდიოდა აზრის ჩარხზედა, ერთნაირადა, ტოლტოლადა, ფარდიფარდადა, — ეთქვათ, ვითომ რა ზედენა იყო... და ბზრიალებდა, ზრიალებდა ჩარხები... რალა არ ამოვიდოდა ტრიალში, ყოველნაირ ჭურჭელზე რომ არაფერი ითქვას, ყოველნაირი ფიქრიც ამოვიდოდა, ჩარხი გარეთ გამოიტანდა, ყველაფერს გამოიტანდა, რაც კი თავში მოუვიდოდა ოსტატსა, რა ძალისა და ნაქედობისაც იქნებოდა ის აზრი, ჰო, რაც იყო გამოიტანდა, გამოჰვენდა, შემოიხვევდა, შემოივლებდა, შემოიფანტავდა. ასე იზამდა ეს პატარა ჩარხი, ეს პატარა ტარაბუა, დიდი ტარაბუა რალას იზამდა, ის დიდი ტარაბუა, ის დიდი ჩარხი, დიდი ბზრიალ — ტრიალა დედამიწა რომ დაურქმევიათ, ის რალამდენ ნაირ ფიქრს გამოიტანდა, შემოიხვევდა, შემოიგრაგნიდა, შემოივლებდა, შემოინარცებდა, — ვინ იცის, ვინ უწყის რამხელა ძალა ჰქონია ამ ტრიალსა, რა გაბედული ფიქრები გაუჩენია უსასო არსებაში, მრავალ სახეთაგან თავი რომ გამოურჩევია, ბევრის შემძლებად დასახულა, დიდი გარდაქმნები, თვით ბუნების გარდაქმნები დაუდგენია; ვაგლახ და ვაი, ბუნებისათვის ერთი ყოფილა მეღუზა და დინოზავრი, ობობა და სპილო, კატა და ლომი, ობობის მომრევეს იმდენივე შესძლებია, რამდენიც სპილოს მომრევესა, სპილოს მომრევესაც ის ძალა ჰქონია, რაც ობობის მომრევესა, მიწისათვის ასე ყოფილა, მიწისათვის ერთი ყოფილა, ტყუილა გამოირჩევოდა სპილოს თუ ობობის მომრევეი, მიწისათვის ერთ ბა-

რაში გადიოდა, ტრიალებდა, ბზრიალებდა, ზრიალებდა, სახეებსა შობდა, ფიქრებსა შობდა, აღავლენდა, აღაფრენდა, შემოიფლებდა, შემოინარცებდა, პო, შემოინარცებდა, ხოლო მანამდე ერთობოდა აღაფრენებითა, სძლიადისა და სიზვიადის ფიქრებითა, ყოყლოჩინათა მეტიჩრობითა, განდიდებულთა ფართიფურთითა, გაბრძენებულთა და გაძლიერებულთა მედიდურობა — ბლენძიაობითა, ერთობოდა, მაშ რაო, ამდენი შრომისათვის, ამდენი ტრიალისათვის გართობა განა უპრიანი არ იქნებოდა... და ბზრიალებდა, ზრიალებდა ეს დიდი ჩარხი, ეს დიდი ტარაბუა, ჩარხზე — ჩარხები, მრავალი რამ ისახებოდა, მრავალი რამ ჩნდებოდა, მერე იმსხვრეოდა, ილუპებოდა, განა მხოლოდ ბადებდა ტრიალი, სპობდა კიდევაცა, ფშენეტდა, აცამტვერებდა; კვლავაცა ბადებდა, მოქადილენი და მომედიდურენი კვლავაც გამოერეოდნენ, სახსარს მოძებნიდნენ, საწოვარს ჩაიგდებდნენ, გასუქდებოდნენ, გასივდებოდნენ, კანში ველარ დეტეოდნენ და ევანებოდათ სამყარო ამოვავსეთ ზღუდეებამდეო, დავეუფლეთ მზადისობასაო, დედამიწას ვაბრუნებთ, როგორც ჩარხსა მექურკლენიო. დედამიწას რალა ეთქმორდა, რალა დარჩენოდა სიცილის მეტი, დასჯილებთან დავა რალა საკადრისია ან რა ბედენაა, — და ზოგი არსებათაგანი ხომ დასჯილა ფიქრითა, ამაზე დიდი სასჯელი ხომ არცა არსებულა, არც იქნება არასოდესა თუ მართლაც მარადიულად უწერია ტრიალი ამ ჩარხსა, ამ ტარაბუასა, დედამიწა რომ დაუტყმევიათ. მაგრამ ის ხომ ჩარხია და ერთ მექურკლეს არა ჰყოფნია ერთი ჩარხი... და ბზრიალებდა ჩარხი, ტკაცუნობდა თიხა და ოსტატები ირჯებოდნენ ღმერთებითა, რადგან პირველი მექურკლე ხომ თვით ღმერთი ყოფილა: თიხა პირველად ღმერთს დაუხელია, ჩარხზე შეუგდია და გამოუყვანია ტანი კაცისაი, მიუცია სახე თავისი, შთაუბერია სული, მერე ქალიც ამოუყვანია პირველქმნულის გვერდიდან; სხვა რამესაც ამოიყვანდა,

რათქმუნდა ამოიყვანდა, რას არ შესძლებდა ოსტატი, როცა ჩარხიცა ჰქონდა და თიხაცა, არა, პო, რას არ შეძლებდა ოსტატი, მაგრამ მაინც შეჩერებულა, ეს უკმარია დანარჩენი მიუხდვია მათთვისა, თვითონ გამდგარა მეთვალყურედა... ხომ ასე მოსთქვამენ უძველესი ლეგენდები აღმოსავლეთისადა, დასავლეთისადა, თუმცა ღმერთებისათვის სხვადასხვა სახელი მიუციათ, მათი ნაკეთობანიც სხვადასხვანაირად მოუნათლავთ, მაგრამ როგორც ოსტატები, ერთნაირნი ყოფილან, მეთიხენი ყოფილან, მექურკლენი ყოფილან, ნაკეთობანიც ერთნაირი ჰქონიათ — დასამიწებლნი შეუქმნიათ მიწისაგან... და ირჯებოდნენ ოსტატები ღმერთებითა, ტრიალებდა, ბზრიალებდა, ზრიალებდა ჩარხები.

მაგრამ რაც უნდა ეთქვარა, როგორც უნდა ამაღლებულიყო, მართლაც ღმერთს რომ გასტოლებოდა, მაინც გული ეთანაღრებოდა გიგოსა, თანდათან უფრო ეთანაღრებოდა — ქილების მეტს არაფერს აკეთებდნენ, არც საშრობებში თუ ქურასთან შეუნიშნავს ქილებისა, სურებისა და ჯამების მეტი არაფერი; ნუთუ მხოლოდ ეს უნდა ეკეთებინა, ნუთუ მხოლოდ ამისათვის მომცდარიყვენ ეს ხელმარჯვე ოსტატები, უთუოდ საუკეთესო ოსტატები, გიგო ამაში არ შესცდებოდა; ხელზე იცნობდა ოსტატებსა, კარგი ხელი ჰქონდა ოთხივესა, მესხუთეზე ანუ გიგოზე რალა ითქმის — ჭიამაიას გამოიყვანდა ისეთი მოქნილი თითები ჰქონდა, მაგრამ რალა ბედენა იყო, რალა ოსტატობა იყო, რილას ხელოვანი იყო ხელოვანი თუ მხოლოდ ქილა-ჯამებისათვის განწირულიყო, როდემდისლა გაუძლეზდა ხელი, გული მაინც ველარ გაუძლებდა, პო, ხელი, გული ან თვალი გატყდებოდა ან გაიბზარებოდა მაინცა... და გიგო შეშინდა, შეეზარალა, შეეცოდა თავისი ხელი. თუმცა ეს მხოლოდ წინაგრძნობა იყო, ეგებ მცდარი წინაგრძნობა იყო, ეგებ მხოლოდ ახლა აკეთებენ ქილებსა ან ახლა, ამ ცოტახანში დაუკვეთეს ბევრი ქილა-ჯამი, მაგრამ ქილა-ჯამების

მეტი არაფერი რომ არა გადიოდა ბაზარზე ამ სახელოსნოდანა, ხანდახან სურბიცი გადიოდა, ეს იყო და ესა, ჰო, მეტი რომ არაფერი გადიოდა. „ახლა“ და „ამ ცოტახანში“ ვითომ რა ნუგეში იყო? არა, გაქცევის იქით გზა არ იყო, არა, ერთ წელიწადს კი როგორმე გასძლებდა, ჯოჯოხეთშიაც გასძლებდა, ჯოჯოხეთი რომ ეგონა ისეთ ყოფაში გაუძლია, ვითომ აქ რატომ ვეღარ გასძლებდა, — ჯანდაბასა და დოზანასა, ამოიყვანდა დიდრონ ქილებსა, დიდრონ ჯამებსა, ისე დიდებსა, დევების გამოსადეგი ყოფილიყო; ან დევები რა მოსაგონი იყო, განა არ გაიძახოდნენ, ჩვენ ყველაზე დიდები ვართო, — გაიძახოდნენ და ცხადია დიდი დიდს მოითხოვდა ქილასაცა, ჯამსაცა, სურასაცა, ისინიც დიდსა და დიდს აკეთებდნენ, ისე დიდსა, ყველაზე დიდ მადას აუვიდოდა, ჰოდა, დევნი რა გასახსენებელნი იყვნენ... ამის თქმა მოუნდა გიგოსა, აიხედა ტურჩახსნილმა, მაგრამ არავის აუღია თავი, ტურჩი შეიკრა, ჩარხს შემოავლო ეს ფიქრიცა.

იმედი მაინც გამოჩნდა... გამგე ვილაცას შემოუძღვა ანუ ჯერ ლანდი შემოვიდა, ლანდი შემოუძღვა ორივესა. კარის ნათელში ჩადგა ლანდი ანუ ზღურბლს ბევრით არ გადმოსცილებია არც ის, ვისაც შემოუძღვა. ლანდის მცირე ნაწილი მიმოიჩრა ანუ გამგებ ხელი აიქნია, შენვე უთხარიო, ესეც დაატანა და გავიდა, ანუ ჩაილია, გაჰქრა ლანდი.

უცნობი წინ წადგა, ჯერ სალაში მოახსენა ოსტატებსა, ნაკეთობანიც მოუწონა, თითებიც შეახო ახლად ამოყვანილ ქილასა, გაიღიმა, აბრეშუმის ცხვირსახოციც გაიწმინდა მოთხვრილი თითები მერეღა გამოთქვა თავისი სათხოვარი — მარანი გამიკეთეთო. ამაზე კრინტი არ დაუძრავთ ოსტატებსა, სალაშზე კი სალაში მიუგეს. უცნობმა კიდევ გაიმეორა სათხოვარი, უფრო ხმა-მალა გაიმეორა, ალბათ ეგონა, ჩარხების ზრიალში ვერ გავაგონეო, წინაც წადგა, მოხუცი ოსტატისაკენ წადგა,

ალბათ ეგონა, თუ გამიგებს, ეს გამოგებსო, მაგრამ კარგად ვერ იგარაუდო თუ რა იყო, იმან ხმელხმელი ოსტატისაკენ გაიქნია თავი, ხმელხმელმა — მოხუცისაკენა, მერე ისევ მოხუცმა — ჩოფურასაკენა, ჩოფურამ — ისევ მოხუცისაკენ, მერე მოხუცმა ისე აარაცრა ცა თავი, რომ ძნელი გასარკვევი იყო კიდევ ვინმეზე ანიშნებდა, უარს გამოჰხატავდა თუ თანხმობასა. უცნობს სხვა აღარა დარჩენოდა რა, უნდოდა, რა მარანი უნდოდა, როგორა კეთდებოდა, სად ენახა, ან სად, ვისგან შეეძინა, მერე ვისთვის ეჩუქებინა, რატომ ეჩუქებინა, ახლა რაღად მონდომებოდა, ჰო, ენაწყლიანი იყო და წამოღვარა, რაც კი წამოიღვრებოდა მარნის საბაბითა. ოსტატები მაინც არ აწყოლიან, მხოლოდ რამდენჯერმე აიხედეს, სათითაოდ აიხედეს შეპლიმეს ცივად, ეს იყო და ესა, თავი არ მიუწებებიათ ჩარხებისთვისა, ხოლო როცა უცნობის ენამ კიდევ მოიღვა წყალი, მოხუცმა ჩაუგუბა: არ ვაკეთებთო, ხმელხმელმაცა, — „ჰო... არა...“ ჩოფურამაც — „ჰმ, ჰმ...“ ახალგაზრდას კრინტიც არ დაუძრავს, გაწამაწიაში იყო, ისეთი წოწოლა ქილა აეყვანა, მკლავებს ძლივსლა უწვედნდა. ჯერი გიგოზე მიმდგარიყო, მან თვალი მოავლო თავათვიანთ ჩარხებზე დახრილ ოსტატებსა, ზედიზედ ჩაახველა გასამხნეველბადა და თქვა მკვეთრად:

— მე ვაკეთებ...

დაიმედებული უცნობი მასთან მიიქრა.

— იცით როგორი...

იმედიანად თან დაეჭვებით უთხრა უცნობმა.

— ვიცი...

— თუ გინდათ დაგინატავთ...

— ვიცი!

— მაინც, ყოველშემთხვევისათვის...

— ვიცი-მეთქი!

ცოტა არიყოს მწყრალად მოჰკვეთა გიგომა.

უცნობმა ჯიბეზე გაიკრა ხელი, ასმანეთიანი დაუფრიალა წინა, ორი გა-

მიკეთო, დაატანა, ყველას გამოემშვიდობა და გავიდა.

ფულისათვის არ დაუხედნია გიგოსა, მისწვდა თიხასა, გამოარჩია, გადაწილა საგანგებოდა და შეაგდო ჩარხზე... ვიდრე თითებს ჩაავლებდა, ერთხელ კიდევ გადაჰხედა ოსტატებსა, მისკენ არავინ იყურებოდა თავიანთ ჩარხებზე დახრილიყვნენ წვლანდებურადა, დაე ასე ყოფილიყვნენ, ნუ მიაჩერდებოდნენ, უფრო ღრმად, უფრო შვეებით ამოსუნთქვა შეიძლებოდა, ასეცა ჰქნა გიგომა, თუმცა ძნელი სათქმელია, მართლა შვეებით ამოსუნთქა თუ ამოიონრა, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო ე გულს მოეშვა და რა დაერქმევოდა რა ბედენა იყო, ჰო, გულს მოეშვა და ჩარხი დაატრიალა.

ტრიალებდა, ბზრიალებდა, ზრიალებდა ჩარხები.

XVII

როცა ოსტატებმა უკანასკნელი ლაფა ამოიყვანეს და ლომაში ხელი ჩაიბანეს, გიგოც მორჩა მეორე მარანსა, მორჩა და დატება, გაიხარა, ძალიან გაიხარა. ეგებ ასე სხვა დროს, სხვა რამის გაკეთების დროს არც გაუხარნია, ეგებ, ჰო, ეგებ მართლაც ყველაზე უკეთესი გამოუვიდა ან ეგებ ქილებისაგან მობეზრებას მოჰყვა ეს სიხარული, — ასე იყო თუ ისე, უხაროდა გიგოსა, აციმციმებული თვალით შეჰყურებდა მოხდენილად გამოყვანილ ირმებსა, რომლებსაც ვარჯიანი რქები გადაეწყობოთ ქვევრებზე; ქვევრები შემოვლებულიყო ზედადგარზე, შემეერთებელ მილზე, რომლის სადგამები ვაზისაგან არ გამოირჩეოდნენ, ხოლო ზედ მტევნები ჰქონდა შემოვლებული. მტევნებისა და მარცვლების ამოყვანილობას ცალკე ქება როდიდა უნდა, ოსტატური იყო, ყველაფერი ოსტატური იყო, მოხდენილი იყო, არ შეიძლებოდა არ მოეტაცნა თვალი, მაგრამ ვაგლახ, მარტო გიგოს თვალი მოეტაცნა, სხვებს თავიც არ მიუბრუნებიათ, წინსაფრები შემოიხსნეს, პალტოები ჩამოიღეს, ნელ-ნელა, აუჩქარებლად გაუყარეს ხელი სახელოებში, ასე ჩაცმა-ჩაცმით დაიძ-

რნენ კარისკენა. უყურა, უყურა გიგომა ხან მარნებსა, ხან ამ აუჩქარებელს: ვუკვირველ ადამიანებსა, ზმეგრე ქრთმე ხელის გაკვრით მოიშორა წინსაფარი, მოკუნჭა, დაახეთქა დაზგაზედა ფარაჯა მოიგდო და წინ უყელა, პირველი გავიდა კარში. მაშინვე ხმა წამოეწია, მოიხედე, დაგრჩაო, მოიხედა და თვალი დაადგა ათთუშნიანსა, უყურა, უყურა, — ნწ, მაგის ამღები არა ვარო, თქვა და შეტრიალდა.

— ჰა?! — გაკვირვებითა თუ დამციანეობით ამოიძახა მოხუცმა.

— მაგისი ამღები არა ვარ-მეთქი!

— რატომაო?!

— არა და იმიტომ..

— ფული აწყვეტს ჯიბეებსა და იმიტომ... — დაატანა ხმელხმელმა.

— რა იცი რო არ მაწყვეტს?!

ხმელხმელმა გაიცინა, მხოლოდ გაიცინა; სამაგიეროდ ჩოფურმა თქვა.

— გეტყობა...

— რა შეტყობა?!

— ფული რო გაწყვეტს ჯიბეებსა, — მიუგო მოხუცმა, — აიღე!..

— ნწ, არა...

აქ ოსტატებმა გადაჰხედეს ერთმანეთსა, მხრები აიჩქარეს და დაიძრნენ. მაშინ გიგომ შესძახა:

— მოიცათ!

ოსტატები შეჩერდნენ, მხოლოდ შეჩერდნენ, არ შემობრუნებულან, არც არაფერი უკითხნიათ.

— მოიცათ-მეთქი! — კიდევ დაიძახა გიგომა, ისე დაიძახა, თითქოს ეურჩებიანო.

— აჰა, მოგვიცდია, — თქვა მოხუცმა, ოდნავ მოიღერა კისერი.

— ამ ფულის ამღები არა ვარ-მეთქი, — იგივე თქვა გიგომა, — თუ ავიღეთ, — აქ ხელი წაატანა ფულსა, — ჯიბეში ჩამღები მაინც არა ვარ... დაეხარჯოთ... ჰა?!

— ჰა?! — ხმელხმელს შეხედა მოხუცმა.

— ჰა?! — ჩოფურას მიაჩერდა ხმელხმელი.

— გვეყოფა? — იკითხა ჩოფურამა.
ახალგაზრდამ გაიცინა.

გიგომ დაბნეულად დაჰხედა ასმანეთიანსა, მეორე ხელი ჯიბისაკენ წაუვიდა მოსაფათურებლად, მაგრამ იცოდა, იქ არაფერი იყო, შეაცივდა, უხერხულად შეაცივდა ხელი. სამაგიეროდ სხევებს არ შესცივებიათ ხელი, მიიჩინა მოიჩინეს ჯიბე-უბეები, სხვასაც მოუყარეს თავი.

— ეგრე იყოს, — თქვა მოხუცმა, წვიდეთ!

— წვიდეთ! — კვერი დაჰკრა ხმელხმელმა.

— ჰო... — მიაყოლა ჩოფურამა.

ახალგაზრდამ ისევ გაიცინა ან რაღაც ამოთქვა, მოკლედ, მოკვეთილად, სიცილის მაგვარად.

გიგოს აღარაფერი ამოსცდენია, ისე აედევნა... იარეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს მყუდრო-მყუდრო შესახვევებითა, მიადგნენ ერთ მიწყნარებულ „სასაუზმოსა“, ჰო, „სასაუზმო“ წარწერათ იმ ფირნიშზე, იმათ კი საუზმობაზე მეტი რამ ჩაეთქვათ გულშია, მაგრამ მაინც უყოყმანოდ შევიდნენ, გაბედულად შევიდნენ, წარწერა ვითომ რა ბედენა იყო, „სასაუზმო“ რა არის, „საჩაიეც“ არ შეაფიქრიანებდათ, აბა რას შეაფიქრიანებდათ, განა „საჩაიედან“ არავინ გამოსულა ბარბაცითა ან არავინ გამოუყვანიათ ხელითა, — რა საკითხავია, „საჩაიე“ რქმევოდა, რა ბედენა იყო, მითუმეტეს „სასაუზმო“ რა დასაწუნი იქნებოდა, მშოვნელი თქვი, თორემ საშოვარი ყველგან არისო, ან პირიქითა — საშოვარი თქვი, თორემ შოვნა ყველამ იცისო, ასეა თუ ისე, იქაც მოახერხებდნენ შებარბაცებასა, ენის მოკიდებასა და იმათაც მეტი არა უნდოდათ რაი, ჰოდა შევიდნენ გაბედულად, თამამად, გულლიადა, ოღონდ მასპინძელი შეეგებათ გულმკმუნვარედა, ცხვირი ჰიპამდე ჩამოეშვა, საღამუზეც ცხვირში ჩაიდუღუნა რაღაც საღმისა თუ წყველის მაგვარი.

— რაო, შენს ხარჯზე ხომ არა ვართ?! — შესძახა ჩოფურამა.

— არა ძმაო, — შემკრთალივით ამოი-

ძახა დახლიდარმა, — ინსპექტორები იყვნენ და...

— გაგასუფთავებს? — თვალი ჩაუკრა ხმელხმელმა.

თავი დაუქნია დახლიდარმა.

— მარტო ჩვენი კისრიდან ნუ ამოიღებ... — შეევეღრა მოხუცი.

— არა, არა... აბა მე როდისა... ჰა, როდისა... გაგონილა?! დაბრძანდით... დაბრძანდით...

ოსტატებიც დასხდნენ და დავა გაიმართა: დახლიდარი ამბობდა, ღვინოებიდან რვა ნომერბ მაქვსო, საქმელებიდან, კონსერვებიო. ოსტატები ამბობდნენ, ეგ ნომრები არსად დაგეკარგოსო, ხოლო კონსერვები დიდ ხალხს შეუნახე, დიდნი არიან, დიდად საპატივსაცემონი არიან, ჩვენ ჯივრის ყაურმა გაგვიკეთე, ახალი ზორცის ხაშლაში მოგვიხარშე, ცვრიანი წვადი გადმოგვიღვე, იოლიანი ხალხი ვართ, ბევრს არას შეგაწუხებთო. ღვინოს... ღვინოს ჩვენ თვითონ მოვიტანთ ხიდისთავის მარნიდანო. დახლიდარმა ხელები გაატატანა, ღვინის მოტანა არ გამაგონოთ, ახლაც მაგაზე შემიდგინეს ოქმი. ნწ, არა, ღვინის მოტანა არ გამაგონო, შესაწავს კი, თქვენის ხათრით, გამოვარჩევ, რამეს გამოვარჩევ თუ გაჯირდაო. ოსტატებმა ხელები გაატატანეს, ყინულ-მინული ჩვენ არ ვიცით არც ოქმი-ბოქმისა გაგვეგება რამეო, შენ იცი და ამათა, ვინც შეგიდგენს, ისევე დახვესო. დახლიდარი მაინც მალე არ დაფაცურებულა, საქმე გააჯანჯლა, ცოტა კიდევ გააჯანჯლა, მერე გამოცოცხლდა, დაფაცურდა, თქვენის ხათრით რას არ ვიზამ, თუნდაც კუპრში ჩავეყოფ ხელსაო, მზარეულის სარკმელში თავი გადაჰყო, რაღაცა უთხრა, რაღაცა ანიშნა, ცარიელა ბოთლები გადმოაწყო, ახალგაზრდა ოსტატს მიაჩენიდანას პირი აუწყო და დაუსვა ლავაშსა, ერთისიტყვით დაფაცურდა-რა... იმ დაღრეჯვას თავისი ფასი ჰქონდა, ამ დაფაცურებას. თავისი, ამიტომ კიდევ გადაითვალა ფული მოხუცმა და ჩუმათ იკითხა, — გვეყოფა?! ხმელხმელმა თქვა, ვიმყოფინოთო, საბანი როგორც გავ-

წვდება, ისე დავიხუროთო. მეტი რა ჯანია, — დასძინა მოხუცმა, — მაგრამ სულ მოკუნტული წოლა ძალიან ძნელია, ფეხის გაშლა ერთ რამედა ჰქირსო. არავინ ახირებულა, ჯიბე-უბეში ჩაპყარეს ხელები, აფათურეს, აფათურეს და მორცხვად გადააშედეს ერთმანეთსა, მეტი ჯანი არ იყო, ხელი უნდა აეღოთ ცკრიან მწვადზედა, ხაშლამა და ჯიგრის ყაურმაც ვინ იცის არჩევანზე მისუღიყო. მაინც ყაურმით დაიწყეს, პური კი ბლომად მოგვიტანე, ცხონდეს მაგისი მომგონიო. მერე ღვინის მომგონსაც შეუთვალეს ლოცვა-კურთხევა, დალოცვილია და კიდევ დაილოცოს, კაცს თუ პური და ღვინო აქვს მეტი არაფერი უნდაო, — ასე დაიშოშმინეს თავი.

ღვინის მომგონის ლოცვა-კურთხევა, ქება-დიდება ღვინისა ამით როდი მოთავეებულა, ეს რა იყო, რაც იყო, მერე იყო, ენა რომ წაიგრძელეს, გან-გან მოუსვეს ქვეყანასა. ზოგი რამ სხვაც აქვს, საქმეზე საქმეი არ დაუშურებიათ, სამრახზე — სამრახი, არ მორიდებიან აღარც სამღურავსა, საწუწუნოზე კი მოიწეწევენ ენასა, — ვაქცაც წუწუნი არა ჰფერობსო. აქა-იქ, ხამუშ-ხამუშ მაინც ამოსცდებოდათ, ოღონდ ხუმრობაში ამოსცდებოდათ, ხუმრობაში იტყვოდნენ, ხუმრობაში ჩაატარებდნენ, ასე თითქოს ჩირქი არ ეცხებოდა ვაქცაცობასა, ჰო, არ ეცხებოდა, ხუმრობა ხომ ყველაფრის მალამოაო, ვაი რომ ყოველთვის არ გახუმრებენ, თორემ მართლაც მალამოა, კაი მალამოაო. ჰოდა, ხუმრობდნენ, აღელვებაც შეეძლოთ, განრისხებაცა, ამხირებელი არავინ იყო, რახან ერთმანეთს აპყოლოდნენ, სხვა ვერავინ ჩაეჩრებოდათ, ცალკე ისხდნენ, დაბალსა, ვიწროსა, სამზარეულოს მიკერებულ ხუხულას შეჰკედლებოდნენ. იქ შემსვლელი აღარავინ იყო, აღარც არავინ დაეტევოდა, დახლიდარსაც მიეტანა ყველაფერი და ფეხი ამოეკვეთნა, ერთი-სიტყვით მოსარიდი არავინ იყო, ენაც არსად წაიმტვრევოდა, კისერი არ წაიმტვრევოდა, მამ ცოტა უფრო გრძლად იტყვოდნენ, უფრო ღრმადაც იტყვოდ-

ნენ, მოკლედაც რომ ეთქვათ, სიღრმე მაინც არ მოაკლდებოდა მათს სიტყვისა. გიგოც ამოიდგამდა ენასა, რათქმუნდა ამოიდგამდა და განა რას იკითხავდა პირველყოვლისა თუ არა ამასა: მარნები ისე აბუნად რად ავიგდიოთ ან რაა, რომ ქილების მეტს არაფერს აკეთებთო... ხელოსნები ერთმანეთს ვადაპხედავდნენ, თითქოს შეთანხმდებოდნენ და მოპყებოდნენ რიგრიგადა:

მოხუცი — აბუნად ავღება რა საკადრისია! განა ვინმეს რამე უთქვამს ან ბრუნდი თვალით შეუხედნია?! რა სათქმელია... გულში ავი რამ არავის გაუვლია, აუგი არავის გაუფიქრნია, გასაკვირიც არაფერი იყო, ჩვენს ხელობაში რა გაუჭირდებოთ გუნდიათა, აბა გასაკვირი რა იყო?! ჩვენც რალა ოსტატები ვიქნებოდით მაგდენიც თუ არ მოგვიხერხდებოდა, ჰოდა აბა გასაკვირი რა იყო-მეთქი!..

ხმელხმელი — უარი რომა ვთქვით სხვა აქვს მიზეზი ამ უარსა. ცოტა როდი გაგვიკეთებია მარანი თუ ქინკილია, ვაზები თუ სხვა რამეი, ბევრი რამ გაგვიკეთებია, კარგიც გამოგვსვლია, მაგრამ რაო, დაღლის გარდა არაფერი დაგვრჩენია, დიდკაცების დაკვეთა იყო, დიდკაცების საამებლად უნდოდათ და აბა რალა სიამე იქნებოდა ხარჯი თუ გაუვიდოდათ. სახელოსნო რალა გაიღებდა, სახელოსნოს ნუსხებში ასეთი არა გვიწერია რაი... ჰოდა მოგვებურდა, ჰოდა აღარც ვაკეთებთ არ ვიცით, არ ვიცით, ვის რა ძალა აქვს არ ვიცებე?!

ჩოფურა — ასეთ ღვთისნიერ კაცს თუ შეხვდები გამოიჩენ ცოდნასა, გამოიჩენ, რალა დასამალია. მაგრამ წინასწარ რა იცი, ღვთისნიერი იქნება თუ არა... თვალიც უნდა გამხდარა. ან თვალის რას დაიძრახება, ეშმაკი თუ გაგვიანგელოზდება?!

ახალგაზრდა — მამ რა დაიძრახება?!

ჩოფურა — გაიგებ, როცა-წისქვილის ქვა მოტრიალდება შენს თავზედა.

მოხუცი — მამ ძალიან გვიან გაიგებს ან სულაც ვერ გაიგებს და ის იქნება. ჯერ ჩემს თავზედაც არ მოტრიალდებუ-

ლა წისქვილის ქვაი. სხვა ყველაფერი მინახავს და გადამიტანია, მაგრამ ეს მაინც ნუ მანახვოს ღმერთმა, სიცოცხლე ტუბილიაო, მაგრამ ნუ, მაინც ნუ მაჩვენოს, ნურაფერმა მაჩვენოს... — ასე ვაიბა, სიტყვა ვაიბა გრძალადა, ქვეყანას შემოევლო რამდენიმე სარტყელადა. ზოგი რამ გოგიმაც იცოდა, ზოგი რამ ღრღნიდა იმის გულსაცა, ზოგიც არ იცოდა, — ყველაფერს ზომ ვერ გაიგებდა ერთბაშად; თუნდაც განა ის იცოდა თუ რად აკეთებდნენ მხოლოდ დიდ-დიდ ქილებსა? აბა რა იცოდა, რომ საწარმოო გეგმა ლიტრებით გამოესახათ, ხოლო გეგმის შესრულება თუ შეუსრულებლობა სახელსა და ფულს გადასჯავოდა, — გეგმას ასრულებ, კარგი ბიჭი ხარ და ხელფასსაც კარგს ღებულობ, არ ასრულებ და ცუდს ბიჭი ხარო. მერე და რათაო, ვის მოხალისებოდა ან სახელის გატეხვა ან ლუკმის დაკლები? გეგმა ლიტრებშია? — იყოსო! უბრალო ღირსებაა? — იყოსო! დიდ, უბრალო ქილას არც ბევრი დრო უნდა არც თუ ცოტა ჩაეტევა, არც გეგმა დაიკლებს, არც ხელფასი, არაფერი დაიკლებს, არაფერს არაფერი მოაკლდება, არავის არაფერი მოაკლდება, ხოლო მარნებსა, ვახებსა, ყელყელა სურებსა და სხვა ამგვარებში ვითომ რა სარფაა, დრო მეტი უნდა, თვალსა და ხელს მეტი ჯაფა დაადგებათ, ოსტატობა მეტი უნდა, ყველაფერი მეტი უნდა, ჩატვეით კი ბევრი არაფერი ჩაეტევა და... ასე რომ აკეთებენ და აკეთებენ დიდრონ ქილებსა, ერთმა თუ ასწია წელი ჩასწყდებაო, მაგრამ ამ ახსნამ მაინც ვერ უშველა, მაინც თავი გამოიღო გიგომა, — ჭურჭელი მარტო ჩატევა ხომ არ არის, თვალის იერიო, სილამაზეა, მშვენებაა, ესეც არ იყოს, განა ქილა-სურის მეტი აღარაფერი უნდა ხალხსაო, ჰო, თავი გამოიღო, ოღონდ დიდად მაინც არ გამოადებიანს—ვის რა უნდა, ჩვენ ვინ გვეკითხებაო, ეს გააკეთეთ, რაც ჩვენ ვითხრათ, აუცილებლად გააკეთეთ... და ჩვენც ვაკეთებთ, ვაკეთებთ... ხოლო სილამაზეს თვალმც დასდგომია, კუჭი თუ ვალალას ამოგა-

ხის. კუჭი სურის და კუჭი ჰკერავს, ქახრაჯია ქვეყნიურიო. ესაა შენი სილამაზე, რაც უნდა მოინდომო, ამას მამნც გეგმ გაქეცვი. სილამაზის დევნაში ვერც იძულებას მოიხდი, ვერც ვალიდან ამოხვალ, ვერც ბინას დაიჭერ, ვერც თავს გაიტან, ცოლ-შვილსაც ვერას გამოადგები, გიჯობს მოუხმო კეუასა, დიდ-დიდი ქილები გააკეთო, ჩვენზე დიდი და ბევრი, ჩვენზე მეტი ტვირთი დაგწოლიაო. — ასე ურჩიეს, სათითაოდ ურჩიეს გიგოსა, ისიც აღუთქვეს, თვეში ერთ დღეს რასაც გააკეთებთ, შენს სახელობაზე დაწეროთ, ვიდრე ვალიდან ამოხვალ, ხელს წაგახმაროთ, კარგი კაცი სჩანხარ, შენზე სიკეთე ალალი იქნებაო.

ოსტატები თითო დღეს უთმობდნენ, თითო დღის ნამუშევარს იმეტებდნენ განა იოლად გაემეტებოდათ, განა ისეთი რა ზინეთისათვის მიევნოთ, წალმა-უკუღმა ებნათ თავიანთი ნაშრომი? მარტო ბედდამწვარიისათვის თუ გაიმეტებდნენ, ჰოდა ბედდამწვარი ყოფილა, საშველი ყოფილა, შველას რომა ლამობენ კეთილი აღამიანები, უშველიან — ჰო კარგი, არა და — ჯანდაბას, ვინ არ დალუპულა, რომ თან არავინ გაჰყოლია, — თი ასე წარმოიდგინა და გული შეეკუმშა გიგოსა.

— ცხვირი ნუ ჩამოუშევი... — უთხრა მოხუცმა.

— ერთი წელი რა არის... გავიტანთ. — ანუგეშა ხმელხმელმა.

— ჩვენ ვილა გავვიტანს?! — შეურია ჩოფურამა.

— ერთმანეთს გავიტანთ... — დაატანა ახალგაზრდამა.

— მართალია... — კვერი დაჰკრა მოხუცმა, — ხე ფესვითა ხარობს კაცი კაციითაო.

მეტი რაღა ნუგეში უნდოდა გიგოსა, მაგრამ აღვილად მაინც ვერ გადაიყარა სადარდელი, პირიქით, წავიდა ღრმად, გამოთვლა და ანგარიშობანა დაიწყო. იანგარიშა, იანგარიშა და ვიდრე მერინახენი ახალ სადღეგრძელოს მოათავებდნენ, ვიდრე ხელს წაჰკრავდნენ, შესვნი შენი ჯერიაო, — დაასვენა, ტასოს

აქ ვერ შეინახავდა, უნდა გაეგზავნა სოფელში, უსათუოდ უნდა გაეგზავნა. ბევრს ეცადა არ მოსულიყო ამ დასკვნამდისა, ბევრნაირად იანგარიშა, მაგრამ არ იქნა, არ გამოვიდა სხვანაირადა, ანგარიშმა სხვა არაფერი მოუტანა, სხვას მხოლოდ ოცნება მოუტანდა და ვაგლახ, არა სცხელოდა საოცნებოდა. წასვლოდა დრო ოცნებებისა... ერთისიტყვით ტასო ხალდეს უნდა წასულიყო, გელას უნდა შეჰფეთებოდა... გიგომ ორივე ხელი მოუჭირა ქიქასა.

— ნუ გატეხავ... დალიე. — უთხრა ჩოფურამა.

— ჰა?!

— დალიე-მეთქი!

— ათბობს... — გაიღიმა ხმელხმელმა.

— ღვინო ცივი სჯობიან, ცხელ გულს მოხვდება და მალე დაამოშვინებს. — თქვა მოხუცმა.

— ჰა?!

— გულს დაამოშვინებს-მეთქი...

— ცხელს ცხელი მოუხდება, ცივს ცივი... — ჩაურია ჩოფურამა.

— გაახნია... — ახალგაზრდა გამოედავა.

— ჰა?!

— დალიე... დალიე... — ჩააცვიდა ხმელხმელი, ჩვენ დავლიეთ, გელოდებით...

ალარა უთქვამს რა, უხმოდა დალია გიგომა, და ისევ ქიქას მოუჭირა ორივე ხელი. ჩოფურამ გამოართვა ძალისძილება, გაავსო და ისე მიუდგა. გიგოს არც გამოართმევა უგრძნია, არც მიდგმა, ხელებიც უგრძნობლად ეყარა მაგიდაზე, ოღონდ თვალი გაჰხელებოდა, გამძაფრებოდა, კედლები გაერღვია, გაეღია მინდორ-ველი, ხალდეში შეჭრილიყო, გაჰკიდებოდა გელასა, რომელიც ტასოს გამოსდგომოდა, გამოსდგომოდა და აჰა, წამოსწევოდა, აჰა, ხელი წაევლა, აჰა... ჰა... და ზეიქრა გიგოი, ახალგაზრდაც აიჭრა, სხვებიც წამოიშალნენ, მიმოიხედეს, მხრები აიჭინეს, ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალეს, მერე მოხუცი ნელნელა დაეშვა სკამზე, დაჯდა, კალთა დასწია გიგოსა, სხვებიც დასხდნენ, დას-

ხდნენ უხმოდა.

— რა მოგივიდა?! — გვიანგვიან, მორიდებით იკითხა მოხუცმა.

— ა... ა... არაფერი... — გვიან-გვიანვე აღმოთქვა გიგომა.

— არ იტყვი... შენი ნებაა — ისევ მოხუცმა თქვა.

— რათა, თქვას, — დაატანა ხმელხმელმა, — ჭირთა თქმა შევბაო.

— კაცი კაცის მალამოაო. — მიადევნა ჩოფურამა.

— თუკი არ იტყვის...

— იტყვის!

— არ იტყვის! — მოსჭრა ახალგაზრდამა, დამაჯერებლად მოსჭრა, მიანერდნენ გიგოსა, ერთმანეთსაც მიანერდნენ, ინიშნეს — მართლაც არ იტყვისო. ეგებ არც ითქმოდა, ყველაფერი ზომ არ ითქმოდა, განა თვითონ კი ყველაფერი უთქვამთ ერთმანეთისათვისა; რამდენი ზანია ერთად არიან, რამდენჯერ გაუტეხნიათ პური ერთად, მინც განა ყველაფერი წამოსცდენიათ, განა ცოტა რამ მიუმალნიათ ღრმად, გულის მიუვალ კუნჭულებში, განა ყველა ასე არ არის. ახალი კაცი ვითომ სხვანაირი რად უნდა იყოს, ჰო, რად უნდა იყოს?! გრძნობამ თუ წასძლია, მერე რაო, რად გაემტყუნება თუ ღროზე დააჭირა კბილი ენასა... ასე გაიფიქრეს და ამ ფიქრში დღემიღმა ჩამოიარა.

— რა სიჩუმეა... — ეუხერხულა გიგოსა.

— სიჩუმე მძიმეა. — ღრმად ამოთქვა ხმელხმელმა.

— ხმაურიც მძიმეა. — თავი აარაცრა ცა ჩოფურამა.

— ყველაფერი მძიმეა. — მოათავა ხმელხმელმა.

— სიცოცხლეა მძიმე. — აჰხსნა მოხუცმა.

— მინც რომ კარგია... — შესძახა ახალგაზრდამა.

— ტკბილია, სიცოცხლე ტკბილიაო... — ამოიხვნეშა მოხუცმა.

— მერე რა ტკბილია!.. — დაატანა ხმელხმელმა.

— ჰო, ტკბილია... — გაიმეორა ჩოფურამაცა.

— მაშ მძიმე რაღაა?! — იკითხა გიგომა.

— ჰა?! — ზმელხმელმა იკითხა.

— ჰო... — გაურკვეველად თქვა ჩოფურამა.

ახალგაზრდამ ჩაახველა.

— სიმძიმე სიტკბოებაშია... — ჩაიღუღუნა მოხუცმა.

კიდევ უნდოდა იკითხა გიგოსა, მაგრამ კბილი დააჭირა ენასა, ფიერი ამჯობინა, ეგებ თვითონვე მიმხვდარიყო თუ რა სიტკბოება იყო მის სიმძიმეში ანუ რა ისეთ სიტკბოებაში ჩავარდნილიყო, რომ ესოდენ სიმძიმე დასწოლოდა, — ჰო, ასე ამჯობინა, ასე აირჩია და კარგი არჩევანიც იყო თუ გონება ეყოფოდა საამისოდ. ეგება ჰყოფნოდა, ვინ იცის ჰყოფნოდა, მაგრამ არ აცდიდა ხალდეს გავარდნილი ფიჭრი, შიშნაჭამი ფიჭრი; რას დააციდოდა, ტასოს როგორ მოსცილდებოდა, გელას პირისპირ როგორ დასტოვებდა ტასოსა, ვიდრე თავშესაფარს არ მოუძებნიდა, როგორ გამოედევნებოდა ყველა აქნეულ სიტყვასა?! თუმცა დიდი საქმებარიც არ იყო, იქ იყო გაჯირვების ტალკვესი, ირინე იქ იყო, ირინეს კალთა დაიფარავდა, — ეხ, ირინე, ირინე, რა მალე მოაგონდი, რა მალე... ტატომ მაშინვე არ გაგიგონა, რატომ მაშინვე არ გამოგაყოლა ტასოი?! მაგრამ მერე რაო, გვიან არც ახლავა, — ეხ, ირინე, ირინე, შენ რომ არ გასჩენოდი გიგოსა... და ქიქა ასწია გიგომა, შეინახებემაც ასწიეს, თქმით არაფერი უთქვამთ, მიაჩერდნენ გიგოსა.

— ჰა, — ამოიძახა გიგომა, — რა თქვით, ჰა?

— არაფერი...

— არა, არაფერი...

— შენ გელოდებით.

— მე?! მე რათა?!

— შენ გინდოდა გეთქვა...

— ჰო...

— თქვი!

— ე... ფიჭრმა გამიყოლია, სხვაგან შეგონა თავი...

— თქვი, რაც სხვაგან უნდა გეთქვა.

— სხვაგან არა... შინაზე ვეძებოდი იქ ყველას გულს მოხვდებოდა, ამ კბილი...

— შენს გულს ხომ მოხვდება?

— მოხვდება და ანგრე...

— ჰოდა თქვი!

— ჰმ...

— თქვი!

— ჰმ...

— ჰა!

— ჰმ...

— კარგი და გვალირსე!..

— ჩემი... ჩემი რძლის სადღეგრძელო მინდოდა... უცნაურია, არა?

— რად არის უცნაური, კარგი რძალი გეყოლება...

— მერე რა კარგი...

— ჰოდა უცნაური რა არი, დავლიოთ შენი რძლის სადღეგრძელოი!..

— ჰო... მაპატიეთ, ოღონდ მაპატიეთ! ჩამაცივდით, თორემ არ ვიტყვოდი, რად უნდა მეთქვა, განა ყველას ფიჭრი გამოიტანება?!

— კარგი 'ფიჭრი, კარგ ადამიანზე ფიჭრი რატომ არ გამოიტანება?!

— კარგი... ჩემთვისაა კარგი. თქვენთვისა?!

— კარგი ყველასათვის კარგია... შეეხვდებით, ჩვენთვისაც კარგი იქნება... დავლიოთ!

— დავლიოთ!

— დავლიოთ!

— ჰა... ჰმ... ჰა... დავლიოთ!..

დალიეს და გიგომ გართიქრა, უკვე დავმთვრალვარ, კარგად დავმთვრალვარო, მაშ რაო, სად ირინეი და სად ეს სუფრაი! კარგი სიტყვა ერთხელაც არ უღირსებია ირინესთვისა, უბრალო მადლობაც არ უთქვამს, ნეტავ აქ რაღა ალაპარაკებსა!.. ეგებ იმას მორიდებია, რომ ჰირში ქებასა და მლიქვნელობას შორის დიდი ზღვარი არ დაიდება, შეიძლება, შეიძლება, მაგრამ აქ მაინც არ იყო ადგილი, ჰო, არ იყო, ჰო, დამთვრალხარ ჩემო გიგო, გიგობს თავი ჩაპლუნო და ენას კბილი დაადგა, კიდევ არავის სადღეგრძელო არ აკილო ამ პატიოსან ხალხსა, ჰო, გრძნობა დაიგუბე, სიტყვა დაი-

გუბე და თუ მაინცდამაინც ვერ მოგისვენია, იფიქრე, ახლა იფიქრე, ისეთი რა სიტყვობებმა გინახავს, რომ ესოდენი სიმძიმე წამოგიკიდინა, მაინც რა გინახავს ისეთი, რა განგიცდია ისეთი, იფიქრე თუ გერჩის გონება, იფიქრე, ტასიკო ხომ გეგულემა უხიფათოდა, იფიქრე... და იფიქრა, რაღა არ იფიქრა, როგორღა არ იფიქრა, საიდან არ მოუარა, როგორ არ ეცადა, როგორ არ ელონა, როგორ არ გასარჯა აზრი, რაოდენს არ ეწამა, მაინც ვერას მიაგნო, ვერაფერი იპოვნა, ვერ მოძებნა საბრუნავი წუთისოფლისა, კვალიც ვერ დააღიანდა, მაშინ სხვა აღარა დარჩენოდა რა ესევე შეინახეთათვის უნდა მიეგდო ყური, ეგებ იმათ უკეთ უჭრიდათ აზრი ან ეგებ სხვათაგან მაინც გეგონათ და დაესწავლიათ, ისიც გაიგონებდა, ისიც დაისწავლიდა, ამიერიდან მაინც ეცოდინებოდა თუ რაზე ბრუნავს წუთისოფელი, რაზე ბრუნავს ხალხი, შეუჩერებლად, შეუსვენებლად, ბრუნავს და ბრუნავს ერთ ადგილასა, რად ვერ მოსცილებია ამ ადგილსა ან მოსცილდება, როგორც ზოგნი ირწმუნებიან, დაბეჯითებით ირწმუნებიან, გაიგონებდა, დაიჯერებდა, ირწმუნებდა, ღრმად ირწმუნებდა, სულსაც დაღევდა ამ ღრმად ირწმენითა, როგორც ბევრსა, ძალიან ბევრს დაუღევია, ზოგს ტკიბილად, მაგრამ რა ბედენაა, სიკვდილის შემდეგ ვიღას მოჰგონებია თუ როგორ გაჰლია წუთისოფელი; ტკიბილად თუ მწარედ, ვიღა შეუძრწუნებია განვილი საშინელუბასა, ან ვიღა აღუფრთოვანებია განვილი ბედნიერებასა, ვიღას შეურჩენია ფიქრი წუთისოფლის საბრუნავის გამოსაკვლევად. მაინც რწმენა ემჯობინებოდა. თუნდაც მცდარი რწმენა ემჯობინებოდა, თუმცა ვინ იცის რაა მცდარი, მართალი რა არის, ნეტავ იცოდნენ, ნეტავ დაარწმუნონ... ჰოდა უსმინა, ხარბად უსმინა, მაგრამ გულში და ტვინში ჩასადები ბევრი ვერაფერი გამოიტანა, ეგებ მათი აზრიც ვერა სჭრიდა უკეთესად, არც უფრო ჰკვიანთა ნათქვამი მოესმინათ დაესწავლათ ან სულაც არ ეხალისებოდათ ისეთი გაწამაწია ფიქ-

რი-აზრისა; მართლაც რა სახალისო იყო, რა ეშმაკად უნდოდათ ეს ფიქრები, პურღვინო ჰქონდათ, რაღა უნდოდათ მეტი, მეტს რაღას ინატრებდნენ, — ნუ გემოგვილიოსო, ცარიელა პურღვინოსაც ნუ დაგვანატრულოსო, — სიხარულიც ეს იქნებოდა, ბედნიერებაც ეს იქნებოდა, ესევე იქნებოდა საბრუნავი წუთისოფლისა...

— თითოც დაგველია...

— ფული გვეყოფა?

— ვითომ ცოტაოდენს არ გვენდობა ხვალამდისა?!

— გვენდობა რა საქოს დექანია?!

— ჰმ, საქო მონაგონია მავასთანა...

— მაშ ცოტას კიდევ აუწიოთ, ავუწიოთ, შევხედოთ ცასა...

— ავუწიოთ... თუ მოლხენაა, მოლხენა იყოს... შენ რაღას ჩამოგტირის თავპირი?!

— არა... არა... მოლხენა იყოს...

— იყოს... მე შენ გეტყვი პრასა ვიყვე გაზაფხულზე ისევე ამოვიდე...

XVIII

გიგოს აღარ ახსოვდა, როგორ მივიდა შინა, დილაზე ვერ ჩავარდა საგონებელში, დილით, როგორც იყო, თვალები ამოიწმინდა, ყურები გამოიჩიქნა და გაიგო, თუ რა ეთქვა დიასახლისს ტასოსთვისა: ნათესაობა რის ნათესაობაა, ერთმანეთს თუ არ გამოვადექით, ცუდით, ნუ აწრიალდებით, ვიდრე შესაფერის ბინას არ იშოვითო. ასე ეთქვა, სიტყვასიტყვით ასე ეთქვა, და ისეთი არაფერი იყო ამ სიტყვებში, ტასოც არ გამოიჩიქოდა დიდი მიხვედრილობითა, მაგრამ რატომღაც შემოთათუბლიყო, ეგებ იმიტომ, რომ სხვაგან ვადასვლასა, ბინის შოვნასა და რაღაც ამგვარებზე მანამდე არც დაფიქრებულა, რახან დააფიქრეს, აფორიაქდა კიდევ, მაშინვე აფორიაქდა. გიგოსათვის ხომ აქამდეც ნათელი იყო, ამიერიდან ნათელზე ნათელი გახდა: ნათესაობა ნათესაობაა, სტუმარ-მასპინძლობა სტუმარ-მასპინძლობაა, მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა-წონა აქვსო ამ წონა-ზომით

ასე გამოდის, დროა თქვენს გზას ეწიოთო. მართლაც დროაო, დაასკვნა გიგომა და იმავე დღეს, სამუშაოდან დაბრუნდა თუ არა, ვუდანაბადი აუკრა ტასოსა. „ხალდეში?! — იტყვიც ტასომა, — უშენოდა?! დმერთო ჩემო, მერე გელაი?! გიგოს ბრაზი მოაწვა, მაგრამ შეიკავა, გაუიოლა: ირინესთან იქნები, ირინესთან ვერაფერს გაგიბედავს გელაი... გაგიბედავს და აღარ უნდა უყუროს შხესა!.. ასე აჯობებს, ტასიკო, ასე აჯობებს, ჯერ-ჯერობით მაინც სხვა გზა არ არის, დამაცადე, მივდგებ-მოვდგები, რამეს მოვახერხებ, დამაცადე... ჯერ-ჯერობით სხვანაირად ვერ გავიტანთ თავსა...“ ასე უთხრა, ტასო საით წაუვიდოდა დაბეჯითებით ნათქვამსა.

და წავიდა ცხოვრება თავისი გზითა ანუ მათი ცხოვრება ჯერჯერობით ასე მოეწყო: ტასომ ირინეს შეაფარა თავი, გიგოს მოხუცმა ოსტატმა დაუთმო პატარა ტახტი თავის ბინაში, ჰოდა, წავიდა ცხოვრება თავისი გზითა.

მაშ, ასე, ცხოვრება თავისი გზით წავიდაო, ოლონდ დიდ ცხოვრებაზე როდი მოგახსენებენ, ამჟამად იმასთან არა გვესაქმება რა ან ხელი არ მიგვიწვდება, აქ მხოლოდ სახელოსნოს ცხოვრება იგულისხმება, გიგოს ცხოვრება იგულისხმება, ირინესაც გავწვდებით, ხალდესაც ვეწვევით და სულ ეს იქნება, ძალიან აღარ შეგაწყენთ თავსა... რა თქმა უნდა, დიდი ცხოვრებაც წავიდოდა თავისი გზითა ან როდის ასცდენია თავის გზასა... ასეა თუ ისე ამჯერად სახელოსნოს ამბავს მოგახსენებთ, პატარა ამბავს მოგახსენებთ, სულ პატარასა დახ, ცხოვრება წავიდა, თავისი გზითაო ანუ თიხა ტლაშენობდა, ტკაცუნობდა, ბზრიალებდა, ზრილებდა ჩარხები, ამოჰყავდათ და ამოჰყავდათ დიდრონი ქილები, მუცელგაბერილი სურები, სხვა რამის გაკეთების სურვილი ზომ აღრევე დალეოდათ სხვებსა, გიგოსაც მალე დაველია ან მიუყუჩდა გულის ღრმა, ძალიან ღრმა კუნჭულშია, ისე მიუყუჩდა, რომ ვინმე თუ ისურვებდა კარგს, განსაკუთრებულ რამესა, პირველად ის შეს-

ძახებდა, არ ვაკეთებთო, მაშინვე სხეუბიც დასცემდნენ დასტურსა და ამითი მოთადებოდა ყველაფერი. „კარგად იქნა“... „არ შემიძლიან“... — კარგ ხსაფარად გადაქცეოდათ; „ვიციც“ დედა ტიროდა „არ ვიციცა“ იცინოდაო, ლიღინებდა ხოლმე ჩოფურა ოსტატი, როცა რომელიმე მსურველს გაისტუმრებდნენ უარითა... ენა ამბობდა, ხოლო ხელი ეურჩებოდა, ეწვოდა ხელი, უფუქდებოდა ხელი ან გაუფუქდებოდა მალე თუ გვიანა, დაჰკარგავდა ლაზათსა, სისათუთესა, სიწმინდესა, უთუოდ ასე დაემართებოდა, აქეთკენ ეწვეოდა უხეირო თიხა და დიდრონი ქილა-სურები. სიდიდე კიდეც არაფერი, ტლანქი რომ იყო, ესეც აღარ ეხამუშებოდათ, მაინც ვადიოდა, მაინცა სალდებოდა, ვითომ მეტი რაღა უნდოდათ. რა ვუყოთ, თუ ზოგჯერ დაწუწუნების ხმაც მოესმოდათ, რაიონულ განუთშიც ჩაუწერდნენ კრიტიკულ შენიშვნებსა, მერე რაო, კვარტალისა თუ წლის შედეგების გამოკვეყნებისას ყოველთვის მოწინავეებში იყვნენ და კაი გვარიან ქებასაც მოადევნებდნენ... მაგრამ მაინც იფიქრა, იფიქრა, თავისთვის გადაწყვიტა და მერე შეუჩნდა გამგესა, ოსტატებს არც მოთათბირებია...

ერთხანს ვერა ბედავდა თქმასა, ძალიან უჭირდა, რამდენჯერმე მიადგა იმ ტიხრსა, „კაბინეტს“ რომ უძახდნენ, მიადგა და გამობრუნდა, ბოლოს შეაფურთხა ეშმაკსა, წიხლი ჰკრა თხელ კარებსა, ლაწუნით შეაღო და შევიდა. რახან შესვლა გაბედა, სათქმელსაც მაშინვე მოადევნებდა, მაგრამ თვალი გაუშტერდა, სამელნემ მოიტაცა იმისი თვალი, — თიხისაგან იყო ის სამელნე, თორემ სხვა რამისა რომ ყოფილიყო, თვით ოქროსაგან ნაჭედიც ყოფილიყო, ეგებ ზედაც არ შეეხედა; ჰო, თიხისაგან იყო შეველი გამოძერწილი, მოხდენილად, შესანიშნავად, დიდებულად გამოძერწილი, ფერხითი ნუკრი უწვა, ნაზი, ლამაზი, სათუთი. აქეთ-იქით მწვერვალები იყო ყინულით ნაკვეთი თავითა. მელანი ამ მწვერვალთა ძირში იდგა. კალმისათვის

ზურგლები ჰქონდა დატანებული, თითქოს მღვიმეებშია კლდეში გამოკვეთილიო. სწორედ ამან, ამ მოხდენილმა ნაკეთობამ შეაჩერა იმისი თვალი, თორემ სხვა ისეთი რა იქნებოდა იქ: უბრალო მაგიდა, ისეთივე უბრალო, როგორიც ედგათ მეჭურჭლეებსა — ორი მერხი, აქეთ-იქით კედლებზე მიდგმული, დაბალი გრძლად გაწოლილი ფანჯარა, ორიოდე ლოზუნგი, უკვე კარგა ხანია ჩატარებული არჩევნებისა და სახელმწიფო სესხისა, და გამგე, თითქმის ისეთივე უძრავი, როგორც მაგიდა, რომელსაც მისჯდომოდა. ასე რომ, თვალის მომტაცი არაფერი იყო იმ სამეღლის გარდა, ის კი მართლა ღირდა საცქერლად. „არ ვაკეთებთო, ჰმ!“.. გულში გაივლო გიგომა, გული და სიტყვიც ამას მოადევნა:

— ასეთებს რატომ არ ვაკეთებთ, ქილებს რას ვადავყოლივართ?!

თვალი თვალში გაუყარა გამგემა ანუ ირაკლი შუბითიძემა, გაუღიმა, გაუცინა, მერე ფანჯარას გახედა და თავი აღარ მოუბრუნებია, თითქოს დააეიწყა, რომ იქ ვიღაც იყო, რალაცას ეკითხებოდა.

— ასეთებს რატომ არ ვაკეთებთ-მეთქი?! — ენა კიდევ მოიბრუნა გიგომა.

— საწარმოო გეგმაში არა გვაქვს.

— რატომ არა გვაქვს?!

— რატომა?!

ირაკლიმ მხრები აპყარა, ხელები გაშალა უსასოდა, უიმედოდა.

— არა გვაქვს და...

— გექონდეს... რაო, ვითომ გავაკეთებთ, ჰა?!

— თუ გავაკეთებინეს, მე სად შემიძლიან ამისი გადაწყვეტა, ამისთვისაც ეგებ სადამდე უნდა ვიაროთ.

— ვიაროთ!

— ჯამისთვისაც... ვიაროთ?!

— ვიაროთ, თუ მეტი ჯანი არაა, ვიაროთ... ქილები მომბეზრდა.

— მე აქ ჯდომა მომბეზრდა, ასე უაზროდ ჯდომა, მაგრამ...

— მერე-და, ნუ ზიზართ უაზროდა, ადგილთ, მიდევ-მოდევით, ქვეყანა შეს-

ძარით, უფლება მოგვიბოვე, რომ გაეაკეთოთ, რაც შეგვიძლიან.

ირაკლი შუბითიძეს რაღაც ელფერმა გადაჰკრა გამწვანებულ სახეზე.

— ვაჟაკური სიტყვაა...

გიგომ მხოლოდ მხრები შეარხია, მეტი ვერა მოახერხა რა და ირაკლისაც წაენაცრა მკრთალი ნაპერწკალი, დაუდგა იერი, ისევე მომწვანო ფერი მოერია. ამის მერე უფრო დინჯად თქვეს, წყნარად, უიმედოდ გაშორდნენ ერთმანეთს; გაშორდნენ, მაგრამ, რახან ერთი შეკბედა, უკან აღარ დაუხვევია, სადაც წაასწრებდა, გაახსენებდა, ხან ხუმრობითა, ხან ხევწნა-მუღართა, ხან წყრომითაცა, რატომაც არა, განა ცოტა რამ გაანაწყენებდა, განა იშვიათად დადგებოდა ავ გუნებაზე, — რა სათქმელია, კარგი რამ გკირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო; ჰოდა ისე შეუჩნდა, მოსვენება დაუკარგა, დააფიქრა, შეაქიდა თავის ფიქრებთანა.. ასე მისდევდა დღე დღესა, კვირა-კვირასა, გიგო თავისას გაიძახოდა და გაიძახოდა, ოღონდ ვერა ხედებოდა, სურვილი როგორ უღვივდებოდა ირაკლი შუბითიძესა, გიგო კი არა, თვით ირაკლიც ვერ ხედებოდა...

— ყველა ყველა, მაგრამ ე თიხა რომ არ გვივარგა... — თქვა ერთხელ გიგომა.

— მით უმეტეს, — გაიღიმა ირაკლიმა, — მერე და მაგითი გინდა გააკეთო ლამაზი ქურჭელი და მოხდენილი მოსართავეები?!

— მაგითი რატომა, უკეთესი არ არის ვითომა?!

— სად არის?!

— ხალღეში...

— გამიგონია...

— ჰოდა?!

— ხალღეში, ჰმ...

— ხალღეში, მაშა...

— მიუვალ ადგილასა...

— ძნელმისასვლელ ადგილასა...

— ეგრე იყოს, თუნდაც ადვილად მისასვლელი იყოს, შორს ხომ არის, ესეცა კმარა, ფიქრზეც ავილოთ ხელი.

— ვითომ რატომაო?!

— იმიტომა, რომა მთელი ჩვენი ბიუ-

ჯეტი ერთი დღის სამყოფი თიხის ჩამოზიდვას არ ეყოფა. ფულს ასე ვინ გაგვაფლანგვინებს, ან რილათი ვიარსებოთ?!

— ჩვენვე ჩამოვზიდავთ... ისეთი თიხაა, ისეთი!.. ჩვენვე ჩამოვზიდავთ-მეთქი, არც მაგათი ბიუჯეტი გვინდა, არც მაგათი გეგმები...

— ჰა, ჰა, ჰა...

— რას იცინი, განა არ ჩამოვზიდავთ? რა სათქმელია, მასალა სალოცავია ოსტატისა...

— ჰმ...

— რაო, განა სალოცავი არ არის?!

— ალბათ არის, იყოს, მაგრამ წავედეთო, არც ის გვინდა, არც ისაო, შენ რაო, მამაშენის სახელოსნოში ზომ არა გგონია თავი?!

გიგომ უცებ ველარაფერი თქვა, იყო დადუმებული, თავჩაკიდული, მერე როგორც იყო ჩაილულულდა:

— მაშ, საშველი არა ყოფილა. მე კი აქ გამჩერებელი არა ვარ და...

ხელი ჩაიჭნია ირაკლი .შუბითიძემ, წარმავლობის, ამოების, უაზრობის ნიშნად ჩაიჭნია, ზოლო თავისთვის ფიქრობდა, რომ ცუდსა ჩადიოდა, ცუდად ექცეოდა ამ მონდომებულ ოსტატსა, ნდომას უკლავდა, სურვილს უკლავდა ანუ კლავდა ადამიანსა, კლავდა, მაშ რაო, რა იქნებოდა ადამიანი სურვილ-ნდომისა, სწრაფვა-წადილის უქონლადა, — ალბათ არაფერი, ბევრი არაფერი, მაშ, არარაობად აქცევდა კაცსა, რომელსაც რაღაცა შეეძლო, ძალა ჰქონდა, ქმედება ეწადა. რატომ, რატომა ჩადიოდა ასე, იმიტომ ზომ არა, რომ თვითონა ქცეულიყო ასეთადა და, აბა, რაღა შეეძლო, ვისი რა დახმარება ძალუძდა არარაობასა?! მაგრამ ნუთუ მართლა ქცეულიყო არარაობადა, ნუთუ მართლა ასე გაეწირათ ან მორეოდნენ, ნუთუ ჩაპქრობოდა ის ქმედი, მოუსვენარი, მაძიებელი, დაუდგრომელი სული, ნუთუ?! ნუთუ დაეცა, სულ დაეცა, — და ვთქვათ ასეც იყოს, განა არ უთქვამთ, აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ტვირთი ვერა ზიდოსო? — უთქვამთ,

ტყუილად არ იტყოდნენ, იოლად არ იტყოდნენ, წამოიკიდებდა, კიდევ ბევრ რამეს წამოიკიდებდა, აიტანდა, გაიტანდა, ოღონდ როგორმე დაეძლია ეს უნდობლობა, ეს გულგრილობა, ოღონდ როგორმე, თორემ მერე ძალაც გამოჩნდებოდა, გზაცა და კვალიცა. ახლა კი ახლა გიგოს ღობედ რად უნდა გადაქცეულიყო, ვისიმე ღობედ რად უნდა გადაქცეულიყო, დაე, იმათთანა ყოფილიყო ვისაც ელობებოდნენ. და ერთ დღეს ფიცხლად, მედგრად, მივიწყებული ნაბიჯით შევიდა ოსტატებთანა.

— ხალღეს თიხაზე რას იტყოდით, ოსტატებო?! — იკითხა ისე, თითქოს ავერ კარებთან მოუტანიო.

გიგომ მართლაც გაიხედა, უნებლიეთ გაიხედა, მერე უცებ ჩაჰკიდა ცხვირი, ზედ დაადო მოზრიალე ქილასა. სხვებმა ჩარხები შეაჩერეს, მაშინვე შეაჩერეს.

— ჰა?! — ამოიძახა მოხუცმა.

— ხალღეს თიხაო. — დიდი ხმით მიუუგო ახალგაზრდამა.

— ჰა?! — მაინც იკითხა ხმელხმელმაცა.

— ხალღესიო... — წარბები აიჭნია ჩოფურამა.

მერე ისევ ჩარხები დაატრიალეს, დაიხარნენ ქილებზედა.

— არ მოგეწონათ?! — გაიკვირვა ირაკლიმა.

ოსტატებმა ისევ შეაჩერეს ჩარხები. — მოწონებით ბარე ორი რამ მოგეწონებია, მაგრამ ვის უღირსებია? უბრალოდა თქვა მოხუცმა, ხელი ამოავლო ღომაში, მალლა შეაჩერა და გაჰხედა, როგორა ცვიოდა წვეთები თითებიდანა.

— ამას მაინც გაღირსებდით. — იმედინად დაატანა ირაკლიმა.

— მართლა?! — გამოცოცხლდა ხმელხმელი.

— ვინ იცის... — დაიმედდა ჩოფურაცა.

— მე და გიგო გაღირსებდით... ჰა, გიგო?

— რა ვიცი, თავი გაიჭნია გიგომა, — არაო და...

— ჰოო, ბიჭო!.. — გაამხნევა მოხუცმა.

— არაო და...

— კარგი ერთი და, რას ჩააციედი ამ უბადრუკ არასა?! — სიტყვა ჩაუჭრა ჩოფურამა.

გიგომ გაიღიმა, როგორღაც იმედიანად გაიღიმა. თითქოს გაცრუება არ ეწერა ამ იმედიან ღიმილსა, ირაკლი მართლა დაფაცურდა, აქეთ ეცა, იქით ეჭგერა, ამას დაურეკა, იმას ეახლა, ამას სთხოვა, იმას წაეკიდა, აეგზნო, აღელდა, ყველა ღონე იხმარა და, როგორც იყო, დაითანხმა უფროსები, ჩამოეტანა ხალდეს თიხა, შესასწავლად გადაეცა სპეციალისტებისთვისა, ჯერ ეს იყოს და სხვა მერე ვნახოთო. მერე ვნახოთო, კვერი დაჭრა ირაკლიმაცა, ოღონდ, მართალი რომ ითქვას, უბრალო კვერის დაკვრა იყო, მუჭარა თუ გულუბრყვილო იმედი, ძნელი სათქმელია, ყოველშემთხვევაში, მისი გამოცდილებების მქონე ადამიანი ვერ მიეცემოდა გულუბრყვილო იმედებსა. მაგრამ ყოველ საქმეს ხომ თავისი დასაწყისი უნდოდა და ესეც გამოდგებოდა დასაწყისადა. როგორც იყო, ადგილმრეწვის დირექტორისაგან ერთი დანჯღრეული ვილისი ითხოვა და გაუტია ხალდეს გზასა.

რამდენი ხანია აღარ ევლო ამ გზითა, მაგრამ თითქოს ერთბაშად ამოივსო ის ხანი, იგივე განცდა დაეუფლა, როგორც მაშინ, როცა აღელვებდა მოუვლელი თუ უყურადღებოდ მიგდებული ყოველი ნაკვეთი, მიტოვებული იმ ნათესავითა, აგერ, წყალი რომ მისცემოდა და ოხრდებოდა. ახლა ამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა გაათათხვა ერთ რამედ ღირდა და გაბრაზებულმა ხელი გააკრა შოფერსა, გადაუხვიეო, უნდა ებრძანებინა, ოღონდ მძღოლის გაოცებულ თვალებს, ურჩ ბვალებს წააწყდა თუ არა, გამოერეკა, მორცხვად ჩაახველა, გასწორდა, თითქოს მანქანის ბრალი იყო, თითქოს უნებლიეთ მიეხალა. დასაჯერებელიც იყო ისე ირწეოდა, ინჯღრეოდა, ლახლახებდა, რახრახებდა, ვინ იცის, რამდენჯერ დაშლილ-აწყობი-

ლი, რამდენის ხელში გამოვლილი მანქანა, იგრხებოდა, იბრეცებოდა, ვადასაწყვეტს იყო, ბეწვზე მერედა თითქოს ესაა, ორმოს ჩააწყდება და ფეტვივით დაღვედებო, ისე დაღვედება, ფრინველებიც ველარ აჰქენკავენო. მაინც რალაც სასწაულით არ იტეხდა იხტიბარსა, მიდიოდა, მიქლოშინებდა, მიხროტინებდა, ყანყალბდა, ისე ყანყალბდა, რომ ძნელი არ იყო დაფეარნა უხერხულობა ირაკლი შუბითიძისა, მაინც რამდენჯერმე დაკვირვებით ვადახედა შოფერსა, გიგოსაც ვადახედა, ხომ არ შემნიშნეს, რა დამემართაო.

იმათ რა ამისი დარდი ჰქონდათ, თავიანთ საფიქრელ-სადარდელსაც ვერ ასდიოდნენ. სული კბილით ეჭირა შოფერსა, ემანდ მანქანა არსად ჩაენარცხოს, ბუქსირით სათრევი არ გამიხდესო; ბრაზობდა კიდევაც: თუ სიყვთესა ჩადიოდნენ თუ თხოვება იყო, ბარემ კარგი მანქანა ეთხოვებინათ, რალა ეს დანჯღრეული შესთავაზეს. ეს იყო შოფრის მთავარი საფიქრალი, თუ სხვა ფიქრებს აღარ გამოვკვიდებით, ხოლო გიგოს საფიქრალ-საჯავრელს რალა ჩამოთვლა უნდა, ახლა ჯავრი თუ დარდი ვასახსენებელიც არ იყო, ბუნებას გაზაფხული წაჰკიდებოდა, შორს თოვლიანი მწვერვალებიცა ბრდღვიალებდა გაზაფხულის ეშხითა, ცხრათვალა მზის ეშხითა, გიგოს როგორღა არ ჩაუნათდებოდა ყინული გულისა, გამოსცილდებოდა ქვებსა, კედლებსა, კომლსა, ჰუჭყსა, გუგუნსა, ყანყანსა, გამოიღო ველზე გამოსულიყო, ჯეჯილებში შეეარდნილიყო, მწვერვალებისთვის შეევლო თვალი და გაშლოდა სურვილი. მხოლოდ ეს გაფუქებული ძრავი უწერიალებდა გულსა, თუმცა თუნდაც მომართული ყოფილიყოს, მაინც არ უნდოდა, მაინც ერჩია ფეხით გასდგომოდა ამ გზასა, ევლო მალალ მთებამდე, მწვერვალამდე, გაეხარა, ღრმად ესუნთქა, თავისუფლად ესუნთქა, ეფიქრა, რაც უნდოდა, რაც გულისა და ტვინის ჩარხზე ამოვიდოდა. ასე რომ, ტყუილად ეუხერხულებოდა ირაკლისა, არაფერი შეუქმნევიათ, ვერც შეამჩნევ-

დნენ, დაე, ისევ დაჰკვირვებოდა სახანგ-სათესებსა, ბაღ-ვენახებსა, ამჟამად მოე-გონებინა თავისი მუშაობა, როგორც უნდოდა, რაც უნდოდა, ვის რა ხელი ჰქონდა გამოუტანელ ფიქრებთანა; ჰო, გაეხსენებინა, რასაც ეს გზა გაახსენებ-და, თუნდაც აი ეს გზის სანიშნო — „ორბისი 3 კმ.“ მანქანამ ორბისისკენ გა-დაუხვია, ორბისზე უნდა გასულიყვნენ ხალდესკენა, ჰო, გადაუხვია და შოფერ-მაც წყრომა აღარ დაჰფარა, — განა აქეთ ამ მანქანის გამოგზავნა შეიძლებოდაო, ესა თქვა და მოაყოლა, რაც კი მოჰყვე-ბოდა იმის ენასა, მოაყოლა და მოაყოლა, რაღა არ მოაყოლა, ვიღა არ მოაყოლა, — ორბისელები, სავჯაო განყოფილება, აღმასკომი, ცოცხალი აღარავის შეარჩი-ნა, მკვდარი აღარავის დაუყენა საფ-ლავშია. რამდენ ორბოსა თუ ლაფშიც ჩავარდებოდა, იმდენი ცოლი და დედა ამოდიოდა, ხან ერთისა, ხან მეორისა, ხანაც ყველასი ერთადა, და ირაკლი შუბთითქვს თავისი ყურით ესმოდა თუ რა ენით იხსენიებდნენ არცთუ დიდი ხნის წინათა. ჰო, ესმოდა, ოღონდ ყვე-ლა ხომ ასე არ მოიხსენიებდა, ყველა ხომ არ გამოიბამდა შოფრის ენასა, მაგ-რამ როგორც არ უნდა ეთქვა, რა ხასია-თისაც არ უნდა ყოფილიყო, ვინც ამ გზას გახედავდა, ქება-დიდება არ ამოუ-ვიდოდა პირიდანა. და მერე რა დიდი საქმე იყო ამ გზის გაკეთება, რატომ არ გააკეთა თვითონ იმან, ირაკლი შუბ-თითქვამა, არ იცოდა?! ჰმ, როგორ არ იცოდა! არ შეეძლო?! ჰმ, როგორ არ შეეძლო! გააკეთებდა კიდევ, ცოტა მა-ინც რომ დასცლოდა. მაგრამ ეს ხომ თავის მართლება იყო, ვინ იცის, დიდ-ხანს დასცლოდა, ეს გზა კი ისევ ასე დარჩენილიყო. მაშ რაღა თავს იმართ-ლებს?! აჰა, აღარ იმართლებს თავსა, მორჩილად მოისმენს თავის წილ გინე-ბასა, ოღონდ ის ლაფი, დიდი ლაფი აღარ შეეფეთოთ, ორბისის შესავალში რომ ბუყბუყებდა ხოლმე, ნეტავ ამოეშ-როთ, ნეტავ... და, წარმოიდგინეთ, ამო-ეშროთ, ოღონდ სულ როდი, მხო-ლოდ ცალი მხარე გაემარებინათ, ასე

ბეწვის ხიდივით გაეკეთებინათ, ესეც კარგიაო, ხმამალა თქვა *თრეკლუშე* ბითითქვამა; მაგათგან ესეც *კარგინი* სკამი-მეორა შოფერმაცა, თან ვიღაცის ცოლ-შვილი დაამწყალობა უმისამართოდა.

მანქანა შეეარდა ორბისში ქოჩინითა, ქოშინითა, ხროტინითა.

არავის ყურადღება არ მიუქცევია ამ ხმაურსა, არავის გამოუხედავს. ძალდი რა არის, ძალდიც არ გამოდევნებია ყე-ფითა. მხოლოდ ერთადერთი ქიშკარი შეჭრილდა სოფლის ბოლოსა, ერთად-ერთი აღამიანი გამოვიდა, ოღონდ თა-ვიც არ აუღია, თვალუკულმაც არ გადა-უხედავს მანქანისთვისა, ისე თავჩაქინდ-რული წავიდა, მესერ-მესერ წავიდა. ირაკლის მოჩვენა, დამინახა და თვალი მომარიადა, გული შეეკუმშა. ირაკლი-მაც ჩაღუნა თავი, ის-იყო მანქანაც გა-უსწორდა მესერ-მესერ მიშავისა, უეც-რად აიხედა და უეცრადვე ამოვარდა მკერდიდანა: ირაკლი!.. ირაკლი!.. — მოისმა მღელვარება, ნამდვილად მღელ-ვარება და ირაკლისაც გულს მოეშვა, შოფერს შეეხვეწა, შეაჩერეთ.

მინელდა ქოშინი, ქოჩინი, ხროტინი... მანქანასთან ლადო სავანელი მიიჭრა, მხურვალედ ჩამოართვა ხელი ირაკლი-სა, გიგოსა, შოფერსაცა, სახლისაკენ გასწია, შემოდით, შეისვენეთ, ყელი გა-ისველეთო. მისმა ზეწწამ რომ ვერ გას-ჭრა, მერე ბაბესაც მოუხმო, მომხედე, ეგებ შენს ხათრს ვეღარ წაუვიდნენო. ირაკლი არ იყო უარზე, მაგრამ გიგოს არ ეტყობოდა ხალისი, ან ხალისი რა სათქმელია, გაბუსხულიყო, გალურსუ-ლიყო, ავად გატერენილიყო, ეს მაშინ, როცა ლადო ეხვეწებოდათ, ხოლო ბაბე რომ გამოჩნდა, ბურტყუნი ასტეხა, ჩქა-რა წავიდეთ, თუ არა და, მე წავალ, ხალღეში დაგელოდებითო.

— ნეტა ე თავს ქვას არ ახლიდე, — შეუტია ბაბემსა, — ვაღმო, ვადმოათრიე ე წელი!.. მობრძანდით, პატრეცემულო ირაკლი, მობრძანდით, ფეხს ნუ დაგვიდ-გამთ პურმარილზედა...

ირაკლიმ გიგოსაკენ მიიხედა, ის ბოლ-მანაგუბარი, ჯავრნაგუბარი სახე ცუ-

დად ენიშნა და მიბრძანება ველარ გაბე-
და, გვეჩქარებაო, ასეო, ისეო, — მიკიბ-
მოკიბა, დრო თუ გვექნება, იქიდან გა-
შოვივლითო, ლადოს თუ ეხალისება,
ბარემ თან წამოგვეყვესო და სხვა ამგვარ-
ებით, როგორც იყო, თავი დაიხსნა ბა-
ბესგანა. ბაბე მაინც ვიგოს უქნევდა
თითსა, შენი ბრალია, ცალკე შეგხვდები
და გაგისწორდებიო, ეუბნებოდა სიმწა-
რის სიცილითა.

გიგო მაინც კრინტს არა სძრავდა.

რახან წასვლა არ დაიშალეს, ლადომ
თან გაყოლა მოისურვა.

მანქანა ქოქინით, ქოშინით, ხროტი-
ნით გავიარდა ორბისიდანა.

XIX

ისინი ღუმდნენ, კარგი რამას ღუმდ-
ნენ, თორემ არც ყბები, არც ფილტვები
შერჩებოდათ, მანქანა ისე ჯაყჯაყებდა,
ისე რახრახებდა. ოლონდ მდუმარება
როდემდის გასტანდა, გიგო როდის ან
როგორ მოიხებდა გულსა, ლადო
როგორ დაფარავდა ან გამომყდენებდა
სადარდელსა. ირაკლი იმ წუთს მათზე
არხეინად უნდა ყოფილიყო, და ასეც
იყო, მას მხოლოდ იმის გაგება უნდოდა,
ლადო და გიგო რას დაედუმებინა, რას
მოელუშა... რა თქმა უნდა, შველა არ
შეეძლო, არც ამოდ განიზრახავდა,
მხოლოდ თავისებურ ნუგეშს მოახერ-
ხებდა და თვითონაც ინუგეშებდა თავ-
სა, — განა ასე არ იციან ხოლმე, ერთ
ტაფაში ვიწვითო, ისიც იტყოდა, ერთ
ტაფაში ვიწვითო, და თვითონაც მოი-
ფონებდა გულსა, იმათაც მოუფონებდა,
თუმცა ამით არც ცეცხლი განელდებო-
და, არც ტაფას გაუმკვრივდებოდა
გვერდები, მაგრამ რახან მარტო არ უქ-
ნებოდა, რახან მარტო არ დაიწვოდა,
ცეცხლსაც აღარად ავდებდა აღამიანი,
საცოდავი აღამიანი, მარტო კაცი პურის
ქამაშიც ბრალიაო, ცეცხლში, უბედურ-
ებაში როგორღა არ იქნებოდა შესაბ-
რალისი. კიდევ კარგი, ეს თანაგრძნობა
გაჩენილა, თორემ უბედურება არც ისე
იოლი ასატანი იქნებოდა ანუ არავინ
შეურივდებოდა უბედურობასა. ერთი
სიტყვით, ირაკლის დარდი მიჰყუ-

ჩებოდა, გალურსულ სახეებს, მოლუ-
შულ წარბებს მოლუნულ მხრებს... რომ
შეჰყურებდა. მიზეზის გაგებას უნ-
დოდა, ვერ ეკითხა, ვაითუ სიტყვა ბან-
ზე აეგლოთ, გაეწილებინათ, გოგოსაგან
საკვირველიც არ იყო, აბა, როგორ ეტ-
ყოდა, ბაბე თმებით უნდა დამეთრია
და, რომ ვერ გაგებდე, იმაზე ებორო-
ტობო ან სხვა საჯავრელს როგორ გაიხ-
სენებდა; ლადოს კი თუნდაც არ ეთქვა,
მიუხვდებოდა, — გაზაფხული იდგა,
თესვის ალო იყო, თესვაში ჩამორჩებო-
და... და მანქანა მირახრახებდა, მიქლი-
შინებდა, მიჯაყჯაყებდა, პირდაპირ
მინდორზე მიჯაყჯაყებდა, რალა გზა
რალა მინდორი, ერთნაირი იყო.

როგორც იყო, მანქანამ ხალღურას
მიატანა. ღვარძლიანად აიხედა შოფერ-
მა, რას გაქვავებულან, ხმას ამოიღებენ,
გზას მიმასწავლიან თუ პირდაპირ ხალ-
ღურაში გადაეუძახო. ხმა მაინც არა-
ვის ამოუღია, მხოლოდ გიგომ აიჭნია
ხელი, ანიშნა, ნაპირ-ნაპირ იარეო. იმა-
ნაც იარა, იარა, ხან ნაპირ-ნაპირა, ხან
რიყეზე, ხან ისევე მინდორმინდორა ისევე
რიყერიყე, აღმად აღმა იარა, იარა, გაწე-
რილდა გული, გაწყდა ძაღვი მოთმინებ-
სა, მანქანა მოულოდნელად გაქვავდა,
შიგმსხლომნი თითო არშინზე აისროლა,
მიმოაწყვიტა და დაპყარა დაბეგვილები.

— გამჩენი აღარ არის, — აყვირდა
შოფერი, — აქოდა მანქანააო, მწვერ-
ვალზეც ამითი ხომ არ უნდა აბრძან-
დეთ?!

— რა გაყვირებს?! — ხმა ამოიღო
ლადომ.

— როგორ თუ რა მაყვირებს, ველარ
მივდივარ...

— ვერ მიღიხარ და გაჩერდი, — ისევე
ლადო შეეპასუხა.

ირაკლი გაბრახებულყო, თავს იკა-
ვებდა. გიგოსთვის სულ ერთი იყო,
მისჩვეოდა უდიერად მოპყრობასა.

— მერე რატომ არ იტყვით? — ცო-
ტა დაუწვია შოფერმა.

— რა თქმა გინდა, შენი ამბავი, შე-
ნი მანქანის ამბავი შენვე არ იცი?! —
ცივად შეხედა ლადომ, თავიდან ბო-



ლომდე აზომ-ჩაზომა მექარის თვალი-
თა.

შოფერმა რაღაც წაიბუზღუნა, მანქა-
ნიდან გადავიდა, იარაღი გადაათრია,
ძრავს ახადა.

ისინიც გადავიდნენ, გიგომ ტომრები
ამოიჩარა ილიაში და ხალღურას ვაპ-
ყვა.

— საითა?! — დაადევნა ირაკლიმა.

გიგომ მღვიმეებისაკენ აიშვირა ხელი.

— ჩვენც წამოვალთ...

გიგომ გაიღიმა, ხელი ჩაიქნია, გზა
განაგჩძო.

ირაკლიმ მხრები აიჩეჩა, გაკვირვებით
შეხედა ლადოსა.

— ვერ ავალთ, — აუხსნა ლადომა.

— გიგო თუ ავა?!.

— გიგო ჯიხვივით დახტის კლდე-
ებზე, — მიუგო ირაკლიმა, — მოვიცი-
დოთ... — დაატანა ცოტა მოგვიანები-
თა, თან წყლისაკენ წავიდა, ამოარჩია
ერთი დიდი ლოდი, რომელსაც გარშემო
თხლად უვლიდა წყალი, — იქ დაესხ-
დეთ. — თქვა და ქვა-ქვა ხტუნვა-ხტუნ-
ვით წავიდა იმ ლოდისკენა. ირაკლიც
მიჰყვა. ჩამოსხდნენ. იქიდან კარგად
მოჩანდა ხალღურას დიდებული ჩანჩქე-
რი, მღვიმეებიცა, მთელი ხეობა ხალ-
ღეთი და სხვა სოფლებითაცა, თითქოს
ხელის გულზე ედოთ. თვალისათვის
იოლი იყო თვალი სწრაფად მოივლიდა,
მუხლს ასეთი სისწრაფე სად შეეძლო,
თუნდაც ჯიხვის მუხლსა, — გიგო მარ-
თლაც ჯიხვივით მიხტოდა, მაგრამ ჯერ
ჩანჩქერამდეც ვერ მიეღწია, ძირამდე
ვერ მიეღწია, ზეთავი ხომ თითქოს პირ-
დაპირ ზეციდან გადმოშვებულიყო, ზე-
ციდან გადმოქუხდა, მოდგაფუნებდა,
მოხიოდა, მოდაფდაფებდა, მოგუგუნებ-
და... მთელი ხეობა გუგუნებდა.

გიგო პატარავდებოდა, ლოდთა შო-
რის იკარგებოდა, ჩანჩქერი შორს იყო,
ჯერ კიდევ შორს, კიდევ და კიდევ
შორდებოდა, შორდებოდა, რაც უფრო
პატარავდებოდა გიგოი.

— დიდხანს მოუნდება... — თქვა
ირაკლიმა.

— არცისე დიდხანსა... — დაატანა

ლადომა.

— ყოველშემთხვევაში შენ ვერ დაი-
ცდი, ამდენი მოცლა არ გტყნებდა...

— მოცლა?!

— ჰო...

— ვითომ ისეთი რაღა საქმე მექნე-
ბა?!

— როგორა?!

— როგორა და... — ლადო შეჩერდა,
დააკვირდა, ნუთუ არაფერი გაუგია-
ო, — მე ხომ... — ესა თქვა, აღარ გა-
უგრძელებია, ეგებ გაუგია, მაგრამ მი-
ვიწყებია, გასახსენებლად ესეცა კმა-
რაო.

— რა, რაო?! — ეტყობოდა, არაფერი
გაგო, ისე ამოიძახა ირაკლიმა.

— მომხსნეს... — მოსკრა ლადომა, თი-
თქოს გულს დადებული ლოდი შეანძრია-
და უფრო მეტი სიძიმე იგრძნო.

— როდისა?!

— რამდენიმე დღეა...

— რა მიზეზითა?!

— თუ საბაბითა?! უფრო საბაბითა...
ყოფაცხოვრებითი გახრწნილებსა და
კვერცხის დამზადებაში ჩამორჩენისათ-
ვის.

ირაკლიმ გაიცინა.

— ზუმრობის ხასიათზე ხარ. — თქვა
ირაკლიმა.

— რა მეზუმრება?!

— აბა რა ვიცი... უზუმრელად გახრ-
წნილებას ვინ იტყვის შენზედა? ან ყო-
ფაცხოვრებითი გახრწნილება და კვერ-
ცხის დამზადება რა შუაშია?!

გიგო ტინზე მიბობლავდა, პატარ-პა-
ტარა წახნაგებს ებლაუქებოდა, ნელ-ნე-
ლა იწევდა ზევ-ზევითა. ჩანჩქერამდე
კიდევ საკმაო მანძილი იდო, მაგრამ იქა-
ცა დულდა წყალი, გავაკებამდე ვინ
იცის, რამდენ ქვაბში უნდა გაველო,
რამდენ ტინზე უნდა დაეღუწნა თავ-
პირი, ატირებულიყო, აკენესებულიყო,
გაცეცხლებულიყო, გაეშვებულიყო,
ელმუვლა, ექუხა, ეგრგვინა, მეტი რაღა
დარჩენოდა ძლიერსა, მეტი რაღა დარ-
ჩენოდა უფრო ძლიერის, გაუვალის
ხელში მოგდებულსა.

— მე ვარ შუაში, — დუნედ მიუგო

ლადომა, გახრწნილების შუაში მე ვარ. ცოტა ხნის შემდეგ ესეც დაუმატა, — შენ მემუქრებოდი, სხვამ შემისრულა.

— მე... საერთო საქმისთვისა... — თავი იმართლა ირაკლიმა.

— სხვა რა მეთქმის, შევრისხულვარ. ყველგან მე გამამტყუნა, დიდმა თუ პატარამა, კაცმა თუ ქალმა, ყველამა, ყველამა, სადაც კი მერი გამოჩნდება, მე ეშმაკად გამსახავენ, ის ანგელოსია, წმინდანია, წმინდა ტანჯული, წამებული, თავგანწირული ოჯახისთვისა, ის მზადაა მომიტევეს ყველაფერი, ხოლო ესოდენი ერთგულება ვერ შემიფერებია მე უბირსა, უგვანსა, უგნურსა, გზადანეულსა. ის წმინდანია, მე უწმინდური, ის ტანჯულია, მე — მტანჯველი, ის ოჯახისაკენ მეწევა, მე გავურბივარ, ის უფრთხილდება ოჯახსა, მე სახელს ვუტეხ, სხვისთანა ვარ... ამას დაუმატა მისი სათნო, გასავათებული, წამებული სახე და რაღა გასაკვირია თანაუგრძნონ იმას, მე გამწირონ, ჰოდა, გამწიროს, გამწიროს, ვერაიენ დამირწმუნებია, რომ მართალი ვარ, არაფერ მისმენს, არაფერ უნდა გაიგოს ჩემი ნათქვამი. და აბა, რაღა დამრჩენია მეტი, მწარედ გავიციებ და ჩემს გულს შემოვასკვები.

— მოიცა, მოიცა, — ხელი გაავლო ირაკლიმა, — ვითომ ვერ ავუხსნით.

— ახლა გინდ აუხსენი, გინდა არა, რაღა ბედენაა, მერის დადუმება რომ მოხერხდებოდეს, აი, ეს კი დიდებული რამ იქნება, სასწაული იქნება, მაგრამ... ეჰ, მერის არ იცნობ.

— ვიცნობ...

— მერე?!

— ლაშქარს გააბრუნებსო, რომ იტყვიან, ისეთ ქალსა ჰგავს.

— ჰგავს, მართლა ისეთსა ჰგავს, ვაი რომ ფუქადა კარგავს ამ ძალასა!... ენაც ისეთი აქვს, გველსა ხერხელით ამოიყვანსო...

გახურებულ ლოდზე ისხდნენ, მზეც თავს ადგათ, მაინც სიგრილესა გრძნობდნენ, სიგრილე მოჰქონდა ხეობის ქარსა.

გიგო ისევე გამოჩნდა, რამდენჯერმე ისკუპა, მარჯვედ ისკუპა, ბოლოს ფე-

ხი დაუცდა თუ რაღაც მოუხერხებელი ნახტომი გამოუვიდა, ტრცაზნე — დაკლულს დაემგვანა, ნელ-ნელა დატყარა შვერილი ციციებისა, თითქოს ჩანჩქერი ზედ დასდიოდა ან თვითონვე შემოხვეოდა ჩანჩქერსა და მიცურავდა ზევ-ზევითა, ლაქვარდისაკენ მიიწევედა ლაქვარდის კიბითა. ოღონდ მალე მოათავის ციციები, ჩანჩქერს ასცდა, შეუყვავა ჯაგინსა, მარტო თავიღა მოუჩანდა, ხან თავიც დაიკარგებოდა ტანთან ერთად, ხან ერთიანად გამოჩნდებოდა, ასე მიმოხვეულიყო, მიმოკლაკნილიყო გზასავალი თუ სავალი დაერქმევაოდა ჩანჩქერის ნაპირებსა.

— უნდა გაერკვიათ... სასჯელი დიდია. — უკმაყოფილოდა თქვა ირაქლიმ.

ტყიან-ჯაგინი მოიტოვა გიგომ, ახლა ზშირ ბალახიანზე მიდიოდა ლურჯადა, მუქლურჯად მოჩანდა ის ადგილები, ეტყობოდა, ფეხი უცურდებოდა, კოტაობდა, იხრებოდა, იზნიქებოდა, იშლეებოდა, ჩანჩქერს კალთა გაეფინა, ჩამოგორდი, ჩამეხვიე, ჩამეხუტეო. რა ვქნა, რაც შეეძლო, იმასა სთავაზობდა.

ისინი აღარაფერს ამბობდნენ, მიყუჩდნენ. შოფერიც მიყუჩებულიყო, საქესთან გაწოლილიყო, თვლემდა. მხოლოდ მწყემსებმა ატეხეს ხმაური, ხალღურაში ჩარეკეს საქონელი, წყალი დაალევინეს, ამორეკეს, დაყარეს დასასვენებლად, თვითონაც მიეყარნენ, ფარაჯის საყელოები წამოიკეცეს, ზურგი მისცეს ქარსა და გარინდნენ. ასე რომ, ისინიც მიყუჩდნენ, მალე მიყუჩდნენ, მარტო ხეობა არა ყურდებოდა, არც აპირებდა გაყუჩებასა. აქი უთქვამთ, ერთი პირი ძილი წყალმაც იცისო, ეგებ ტყუილი უთქვამთ ან ეგებ შუადღის გულზე არ იძინებს წყალი, რატომ აუხირდნენ ხალღურასა, რატომ ეხამუშებოდათ ის გაუთავებელი ხმაური, რა ხელს უშლიდათ, ეტკრინათ, ეყუჩათ, გარინდებულიყვენ, გამტკნარებულიყვენ, ეფიქრათ, დიხაც, ეფიქრათ, ხეობა არ შებორკავდა აზრსა, არაფერი შებორკავდა თუ თვით აღამიანები არ შებორკავდნენ... ირაკლი თვალს არიდებდა ლადოსა,

ველარც ავი ეთქვა, ველარც კარგი, ჰო, თვალს არიდებდა და რალაც საბაბი უნდა ჰქონოდა, საბაბიც იყო — რა საოცარი ზმაურიო, გიგოც საბაბი გამხდარიყო, გაჰყურებდა, მოწონებას გამოთქვამდა, ყოჩაღად მიდისო, შიშინი ამოძახილიც ამოსცდებოდა თუ მოეჩვენებოდა, აი, აჰაა, ჩანჩქერისაკენ გადაქანდაო. ასე შორიდან, კლდეების ჩრდილებში, ვინ იცის, ვის რალა არ მოეჩვენებოდა.

— როგორიც არ უნდა იყოს ის თიხა, ჩამოტანა ძნელია, — ესლა თქვა ირაკლიმა.

— არა, რატომა... აქაურებს იქ ასვლა არც ისე უჭირთ...

გიგო უკვე მღვიმეების გასწვრივ იყო. მარჯვნივ გავიდა, მერე ჰქვე-ჰქვევით დაეშვა, დამრეცად დაეშვა, ისევ ზევიდან მოექცა მღვიმეები, საღლაც ისევ შეიშალა, პირდაპირ წავიდა, ახლა მარცხნივ გაუძვრა მღვიმეები და დაიწყო უკანასკნელი იერიში, ალბათ ყველაზე ძნელი იერიში, რადგან შორიდან ფრიალოზე გადმოკიდულსა ჰგავდნენ ის მღვიმეები. მართლაც ფრიალოზე იყო, ნეტავ გიგო რაზე იკიდებდა ფეხსა...

— სხვებსაც არ გაუჭირდებათ.

— ვერ დავიჯერებ. თუ გინდა, ვკითხოთ ამ მწყემსებსა... ჰეი-ჰეი, ახვალთ იქა?

— სადაო, ზარმაცადა, უნდილად იკითხა ერთმა მწყემსმა, თავიც არ აუღია, თვალიც არ აუხამხამებია.

— აი, იქა!..

— იქა?!

— დიახ!..

— ვერა, რა სათქმელია, იქ მარტო არწივები აღიან...

— გიგო თუ აღის?!

— არ ვიცი, არ ვიცი, ჩვენ კი ვერ ავალთ და...

— აი, აჰაა, — შესძახა ირაკლიმა, — არა ეთქვი? ვერა, ვერ გამოვიყენებთ ამ თიხასა. — ასე დაიბეჯითა და მერე მხოლოდ ერთი სურვილი-ლა აწუხებდა, როგორმე მშვიდობით დაბრუნებულიყო გიგო. ამოა წუხილი იყო, რა თქმა უნ-

და, გიგო მართლა ჯიხვივით შესწევოდა იქაობასა, ხიფათი არ ელღოდა, სახიფათოც რომ ყოფილყო, მერე რაო, კლდის ხიფათი რა არის, როცა ბარში საშიში აღარა ეგულებოდა რა, აღარავინ მისდარაჯებოდა, მთაში რისა უნდა შეშინებოდა? ერთი სიტყვით, ჰქვევით შიში აღარა ჰქონდა, ზევით რალა დააბრკოლებდა ვეჟაკსა, ბარში რისხვა ასცილებოდა თუ იხდიდა სასაჯელსა, მთაში უარესი რა დაუხვდებოდა? ირაკლის ღელვა რა ბედენა იყო, ასვლა სჭირდა, ცოტა სჭირდა, თორემ ჩამოსვლა? — ჰმ, ერთი კი გამოჩნდა მღვიმეებთანა, როგორც მბრქანებელი, როგორც მეუფე ან, როგორც გამოცხადება, გამოჩნდა და ჩამოვარდა ელვასავითა, მართლაც ელვასავითა, სხვა შედარება არც გამოდგება, საესე ტომარა სწრაფადვე გადმოიგდო ზურგიდანა, თვითონაც ზედ მიეგდო, საყინძე ჩაიწყვიტა, ოფლს იწმენდა, სულს იბრუნებდა, ისე უხაროდა, ისე... თუმცა აქ უკვე ძნელია შედარების გამოძებნა, იტყვიან ხოლმე, ბავშვივით უხაროდაო, მაგრამ ცოტაა, ასე ვერ გამოითქმის სიხარული გიგოსი. იყოს ასე შეუდარებლად, ოღონდ იცოდეთ, რომ ძალიან უხაროდა. ამიტომაც აღარაფერი უთხრა ირაკლიმა, თქმა მერეც შეიძლებოდა.

ირაკლი დაჰყურებდა თიხასა, ეს იყო ბროლი, ნამდვილი ბროლი და არა თიხა, ოღონდ იოლად იფშენებოდა, თითებშივე იფშენებოდა, მტვრად იქცეოდა, იზილებოდა, მკვიდრდებოდა, ცურავდა ხელში. ზელავდა და ზელავდა, მოსწონდა, მაგრამ...

— კარგია, ლაბორატორიული ანალიზიც არაა საჭირო.

— მაგრამ...

— რა მაგრამ?!

— ჩამოზიდვა?!

— რამდენიმე ტომარას ახლავე ჩამოვიზიდავთ.

— სანიმუშოდ ამდენიც არ არის საჭირო.

— არა... — თქვა გიგომა და აღარ გაუგონია ირაკლის ნათქვამი, მისი დაჯე-

რება თუ შთაგონება უკვე ძნელი იყო; პირიქით, თვითონ გადაიქცა შთამაგონებლად, მწყემსები წამოჰყარა, ტომრები ამოუწყო იღლიებში გაიყოლია.

ისინი იქვე დარჩნენ, ლოდზე ისხდნენ და გაჰყურებდნენ ჩანჩქერის კიდევებზე დაკიდულთა ან დუმდნენ და გაჰყურებდნენ, ოღონდ დუმდნენ თუ ლაპარაკობდნენ, ერთი რამ მაინც არა შორდებოდათ გონებიდან: წელან საოცარი უარი სტიციეს მწყემსებმა, ახლა კი გიგოს გაედევნენ ტუსტუსითა, რა იყო, რისგან იყო?! ეგებ გიგოს იმედით გაბედეს, მიენდნენ, გაჰყვენ, მაგრამ, რაც უფრო შეიშალეს, ისინი რომ თითქმის უფრო მარჯვე მიდიოდნენ, წინ-წინ მიდიოდნენ, რომ არა ჰგაედნენ უჩვევებსა?! ჰო, ეს არა შორდებოდათ გონებიდანა და არ შეეძლოთ არ ეკითხათ, დაბრუნდნენ თუ არა.

— თითქოს ვერ ავალთო?! — უსაყვედურა ირაკლიმა.

— ჰა?!

— ვერ ავალთო...

— სადაო?!

— სადა და მღვიმეშიო.

— ჰო... ჰე-ჰე-ჰეი... — ასე გაეპასუხა ერთი მწყემსი და გაერიდა.

მეორემ უფრო მეტი გამოთქვა:

— ვერ ავალთო?! ვითომ რა არის, მთა არის, მზე ხომ არ არის.

— მაშ რადა თქვით, ვერ ავალთო?!

— მე ვთქვი?!

— შენმა ამხანაგმა.

— ჰოო... ნუ გეწყინებათ, რა იცოდა, ვინ იყავით!..

მწყემსმა ხელი ჩაიჭინა და წავიდა.

გიგოს ვითომც არაფერი გაუგონია, ტომრებს აწყობდა მანქანაში.

იმათ ვერაფერი თქვეს, უნდოდათ და ვერა თქვეს, ლადომ რამდენჯერმე გააღო პირი, მაგრამ ენა ვერ მოიბრუნა, ირაკლიმ პირიც ვერ გააღო, რაღაც მწარე იყო მწყემსის ნათქვამში, ხელის ჩაქნევაშიცა შეპასუხება იოლი არ იყო; იოლი როგორ იქნებოდა, ვინ იცის, რასა

გულისხმობდა, ვინ იცის, რას იფრებდა მწყემსი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XX

ლადომ, მწყემსებს რომ ვერაფერი დაუგვარა, მერე გიგოზე მოინდომა ჯავრის ამოყრაი, ეს მაშინა, როცა გიგომ ტომრები მოათავსა მანქანაში, დახრილ შუეს გახედა, მუცელზე მოისვა ხელი და კარგი სადილის მომლოდინესავით თქვა, მომშინია, თქვენც ამ დღეში იქნებით, ხალდეს ჩავიდეთ, ჩემი რძლის მასპინძლობა გამოცადოთ; აი, ეს გაიგონა თუ არა, მაშინვე შეჰყვირა ლადომ: „მაშ, ბაბეს გაწბილება მოგინდომებია და ის არის!.. ბაბეს გაწბილება თუ არაფრად გიღირს, შენი პირობა რაღად გავიწყდება?!“ გიგომ ნელ-ნელა მოჰუტა ცალი თვალი, ის მეორე ღია თვალი შუბივით დააბჯინა ლადოსა, ზედ გულზე დააბჯინა, და აწვა, — არც არას დავპირებივარ, არც არას დავპირდები, შევხედები და კვი მაგარ-მაგარ სიტყვებსაც ვაკადრებ, სიტყვები თუ ვაკმარე, კიდევაც დიდი მადლობელი იყოსო. აქ ლადოს გული ყელში მოებჯინა, მაგრამ შეიკავა თავი თუ თავშეკავება ეთქმის, როცა ხმადაბლა, მაგრამ ძალიან მწვავედ, ძალიან მწარედა ლაპარაკობდა: „შენ რადა გამონაკლისი იქნები, შენ ვითომ რატომღა არ გეცოდინება სასარგებლო ანდაზები, ამყოსს აჰყეო, დამყოსს დაჰყეო?! გეცოდინება, გეტყობა, კარგად გეცოდინება, აჰყოლიხართ ფეხის ხმასა, არიქა მეც „ჯანი“ დავაწიო, არავინ დამასწროსო. აჰა და დავაწიე, აჰა და მე მითხარი ეგ „მაგარ-მაგარი სიტყვები“, დამნაშავე ხომ მე ვარ, მე დავანგრეე ოჯახი, მე შევაცდინე პატიოსანი მუშაკი, მე ხომ ჭაჯი ვარ, კეთილშობილი ადამიანის სახითა, რომ უკვე მამხილეს, მამხილეს და შენც მითხარი ეგ „მაგარ-მაგარი სიტყვები“, მე მითხარი, ბაბეს რას ერჩი... მე ჩემი სამყოფი საფიქრალი მაქვს მოსავლელი, სხვისაში არ ჩავერევი, ნურც სხვა ვინმე ჩამეჩრება ჩემსაშია, მე ძმა ვარ და ვიცი, რაც ეკუთვნის ჩემს დასა, სხვი-



სას არც წაქეზებას ვაქნევ არაფრად, არც მოსარჩლებასო. უცებ ჩაუჭირა ლადომი: „ძმა ხარ, ძმა იყავი, ძმობას არავინ გეცილება, ოღონდ მე ქმარი ვარ და ჩემთან ცოტა ენა დაიმოკლეო...“ აქ საცრისოდენა თვალეები გაუხდა გიგოსა (ზღაპრებში ასე იტყვიან, — როგორ, მაშ, დედამამიშვილობა აღარაფერი ყოფილაო...)

ირაკლი მიხვდა, აღარ ეგვიანებოდა, უნდა ჩარეულიყო:

— ნუ იჩხუბებთ, ოღონდ ნუ იჩხუბებთ და... — ასე თქვა ირაკლიმა, — ნუ იჩხუბებთ, აბა, რა გაქვთ გასაყოფი?! ან რა გეწყინათ?! თუ გეწყინათ და ერთმანეთს რას ერჩით, განა ერთმანეთის ლანძღვით მოიშუშებთ გულის იარასა?! წყენას მხოლოდ დრო მოაშუშებს, მიანებეთ დროსა. მეც ასე ამირჩევია, დროს გავატან ჩემს სანაღვლეებელსა, დავწყნარდები, დავმშვიდდები, უკეთესი რა უნდა იყოს?! სხვა რა უნდა ინატროს ადამიანმა ამ ლამაზ გარემოში?! ბუნება შევებისათვის გაჩენილა, ვიშვათ ჩვენცა, მოვისვენოთ, ვითომ რად არ უნდა მოვისვენოთ, აქ მაინც რად არ უნდა დავმშვიდდეთ, ვითომ ყველგან რად უნდა გაგყვეს შფოთი და ღელვა?! აი, რა მშვენიერია, ეს ჩანჩქერი, ეს აქოჩრილი ფერდობები, იქით ყინულით ნაკვეთი თავი მწვერვალებისა... შეხედეთ, რა..

მაგრამ ამოა გამოდგა ეს მუღარა, ეს აღტაცება, არ აპყლიან, არ აუხედნიათ, მხოლოდ შოფერმა აიხედა, თვალი მოავლო, ოღონდ არა ჩანჩქერსა და მწვერვალებსა, არა, იმათა, სამივესა, აბა წასვლას როდის მოიფიქრებენ, რომელი უფრო მალე მოიფიქრებს, პურისკამა სადმე აქვე მელის თუ შინამდე არაფერი მელირსებაო.

— შეხედეთ მეტქი!.. — ისევ შესძახა ირაკლიმა, მიუახლოვდა ლადოსა, ხელი შეპხო, — შეხედე, რა!.. სულ სხვა ფერებია, რომ გინახავს, ისეთი არაა.

აიხედა ლადომი, თვალი მიმოატარა, ეგებ არც არაფერი დაუნახავს, მაინცა თქვა:

— ისეთი არაა... — დუნედა თქვა.

— ჰოდა, დააკვირდი.

— ისეთი არაა... — მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორა ლადომმა.

— მშვენიერია!

— მშვენიერია იქ, სადაც გვიხარია.

— აქ რა გაწუხებს?!

— აქ არაფერი, მაგრამ წამომყოლია, თან მომყოლია...

— მოიშორე!

— ვითომ ეგრე ადვილია, ვითომ შენკი მართლა მოგიშორებია ჯავრი მართლა განარებულხარ?! არა მგონია.. მხოლოდ შეშინებულხარ, დავა-კამათს შეუშინებხარ და გგონია, ჩვენ რაღაც დიდი დავიდარება წამოვიწყეთ, გგონია, დავკამათ ერთმანეთსა, ეს არ გინდა, რაღაც ცუდს გავგონებს, ჩვენი ცუდი არ გინდა, გინდა გაექცე ავსა და გგონია, აქ შეაფარებ თავსა, გგონია, ეს მწვერვალები დაგიფარავენ?! რამდენი საუკუნეა, ასე მომხიბლავად შეპყრებენ მზესა, რამდენი თვალი მოუტაცნია მშვენიერებითა და, იმავე დროს, რამდენი სისხლი, რბევა-თარეში, დამცირება, აბუჩად აგდება, რამდენი უბედურება მომხდარა ამ მშვენიერების ქვეშა, ვინ მოთვლის, რამდენი?! მემატრიანნიც უძლურნი ყოფილან...

— გინდა წყალი გადაასხა ჩემს აღტაცებასა...

ლადომი მწარეთ გაიცინა.

— განა მართლა აღტაცებულხარ?! შინაგანი მსურვალეა ვისაც მოჰკლებია, ველარაფერი აღტაცებს. სიტყვა თავისთავად არაფერია, სიტყვას გულის ნაბერწყალი უნდა.

— ჩემს გულს ნაბერწყალი არ გამოლევია.

— ვინ იცის... მაგრამ მე ხომ ჩემსას ვამბობ. ლამაზად აღარაფერი მეჩვენება, ჯავრმა სილამაზე არ იცის. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მემართება და სხვის მსაჯულად ვერ დავდგები. ვერ მატკობს ეგ მშვენიერება, და არც მინდა დამატკობს, არ მინდა, ეს მაინც ჩემი ნებაა. არავინ მაიძულებს, ვუცქირო მზის ვარაყიან მწვერვალებსა.

— ძნელია.

ძნელიაო, გიგომაც ჩაურთო, ოღონდ მაშინვე ტუჩი ჩაიკვნითა, გიგოს რატომ დავეთანხმეო.

— მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, — ოღნავი ღიმილით, ოღნავი წამღერებით წარმოთქვა ლადომა, — როდის აქეთია, რაც სიმშვიდეს ეტანები, როდის აქეთია, რაც მწვავე შეპასუხებებს გაურბინხარ? მოსვენება არა გეჭონდა შენგანა, ტბილი ძილი არ ვიცოდით, ტბილი სიტყვა ხომ, ჰმ, რა სათქმელია...

— შერე რა გამოვიდა? — ღიმილითვე შეეკითხა ირაკლი.

— არ ვიცი. — ლადომ პასუხს აარიდა თავი.

— კმარა, სიმშვიდეს მივეცემი.

— ვაყვაცობის ასაკში.

— დიახაც!... — მწვავედ, ბრაზიანად დაიძახა ირაკლიმა.

— აი, მეც მანდა ვარ, — მიატანა ლადომა, — შენმევე ხვამ გაგცა.

— ხმის მორევა შეიძლება.

— ყველაფერი შეიძლება, რატომაც არა, ჩანს თავს იოლად მოვერევით, როცა სხვები მოგვერევიან.

— ჰა?! — ეს-ლა აღმოხდა ირაკლისა, მიმოიხედა, თვალი ველარსად შეაჩერა, ლადოსაც ველარ შეაჩერდა, შერე ისევ წყალს მიეტანა, ხელები ჩაისველა, დაიქნია, დაყარა წინწყლები, კიდევ ჩაისველა, კიდევ დაიქნია და ასე, თითქოს მარტომმარტოდ დაიგულა თავიო, გაერთო ამ ბავშვური თამაშითა. ლადოც თუ გაერთო, ისე გულმოდგინედ ადევნებდა თვალსა. ხოლო გიგოს დაღლილობა თუ მოერია, იქვე, დიდ ლოდზე გადაწვა, თითქოს ხვლიკივით გადაეტყუა ზედა, ხან თვალს მილულავდა, ხან გაჰყურებდა, როგორა ცვიოდა წინწყლები ირაკლის თითებიდანა, რა ბრჭყვიალით, რა ელვარებით ეცემოდა ქვებზე, როგორა წყდებოდა ელვარება დაცემისთანავე, სველ წერტილებად, ლაქებად გადაიქცეოდა და ისიცა შრებოდა, ქრებოდა გახურებულ ქვებზე. ელვარების ეს ქრობა თუ ართობდა ირაკლისა ან ლადოს ართობდა, ირაკლი მხოლოდ თა-

მაშობდა, ეგებ სამთავეს ართობდა, ალბათ, უსათუოდ, მაშ, რად გაატანა დუმილმა? ბოლოს ისევ ირაკლიმა თქვა, — რა მოსწრებულადა ლაპარაკობ!... — ესა თქვა და ხელები საბოლოოდ დაიბერტყა, ადგა, ერთ წითელ კენჭს ამოსცხო ქვინტი, წყალში გადაუძახა. იმანაც გაიბრჭყვიალა სხივებზე და ისე ჩაწყდა წყალში.

— არც ისე... ქვის ელვას გაადევნა თვალი ლადომა, — ჩვეულებრივა ვლაპარაკობ.

— ჩვეულებრივი?! რალაც არ მახსოვს...

— ჰო, არ გეხსოვება, უფროსი იყავი, უფროსი... — და აღარ გააგრძელა, მხოლოდ მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება მიიღო.

ირაკლის უცნაური ღიმილი აუთამამდა ტუჩებზე.

— იყავი... და მაშინ სხვანაირები იყვნენ ადამიანები ან მე მეჩვენებოდნენ სხვანაირებადა. ასე იყო თუ ისე, მას შერე უფრო ბევრ რამეს მივხვდი. ცხოვრება სკოლააო. ბევრი სანიმუშო გაკვეთილია ცხოვრებაში, მაგრამ შენვე თუ არ დაესწარი, შენვე თუ არ გადაგხდა, ვერ გაერკვევი ან ძალიან ძნელად გაერკვევი. თუ შენც არა გტკივა ან არა გტკივებია, სხვის ტკივილი, სხვისი კვნესა, პარულალო გეგონებოთ თუ არ გაწუხებს, მღელვარებაც არ გეცოდინებო. კიდევ ვინ იცის, რას არ იტყვის ხალხი, ზოგჯერ ყურსაც არ დაუღღებ ან გაიგონებ, მაგრამ ვერ გაიგებ. სიბრძნის გაზეპირება არ შეიძლება, სიბრძნეს განცდა უნდა, მე კი მეგონა, გაზეპირება იკმარებდა. და ვიზეპირებდი ყველაფერსა, წიგნებსა, გაზეთებსა, დადგენილებებსა, ავღელდებოდი, სხვებსაც ავღელელებდი ან მეგონა-ავღელელებდი, გავიხარებდი, გავახარებდი ან მეგონა — იმითაც უხაროდათ, ასე იყო, ვიდრე რაიმე გარღვევას შევამჩნევდი, მაშინ ავყვირდებოდი, ავგუგუნდებოდი, დამნაშავეებს დაესჯიდი, მონანიებებს დავარიგებდი, წარმატებულებს შევაქებდებ, მაგრამ ვინ იცის, უკულმა ვიქცეოდი,

ვინ იცის, წარმატებულებსა ვსჯიდი, დამნაშავეებს ვაქეზებდი, მონანიებს ვუკარგავდი უკანასკნელ იმედსა, ვინ იცის, მართლაც ასე შემართებოდა, მართლაც ვერ ვარჩევდი ადამიანებსა და გაბედულნი უსათუოდ ბოროტნი მეგონენ, პირფერნი — კეთილნი, მშიშარანი — ერთგულნი, ვინ იცის, ჰა! ახლა შეიძლება ყველაფერმა დამაეკვოს, რადგან მე გულწრფელი ვიყავი, მჯეროდა, მართალი იყო ჩემი ყოველი ნაბიჯი, მაგრამ რა გამოვიდა? ან რაღა შორს მივიღივარ, განა თქვენ კი მადლობელნი ხართ ჩემი?! აბა, რომელი ხართ მადლობელი?! არც ერთი! და მერე რატომა, მე ხომ სიკეთე მინდოდა, მე ხომ თავი არ მეზოგებოდა სიკეთისთვისა და არც სხვა მეზოგებოდა, მაგრამ ვინ არის მადლობელი?! არავინა, არავინა... მე არ ვიცოდი, რომ მოღვაწის დიდი ფიქრი უნდოდა, დავმარცხდი და ახალა გავიგე, ახალა ვფიქრობ, გვიანდა არის, გვიანდა არის... მაინც მინდა ვიფიქრო აქა, ამ სიმშვიდეში, ამ დიადი მწვერვალების გარინდებაში, ამ ჩანჩქერის მჩქეფარებაში.

— სადაც ერთი ფიქრობს, სხვა მოფიქრალს რა ადგილი აქვს?!

— რათ?!

— არაფერი, არაფერი... ისე, წამომცდა.

ირაკლი აღარას შეჰკითხვია, არ უნდოდა ეს წამოძახილი, ეს ჩარევა, ეს შეპასუება არ უნდოდა, ამიტომ ჩაფარცხა, მიაფუჩენა ლაღოს ნათქვამი და თავისი განაგრძო:

— ბევრი რამე მაქვს საფიქრელი, ვინ იცის, რაღა არა მაქვს საფიქრელი!... მექნება მამ რაო, როცა ისიც მათიქრებს, რაც ვიცოდი... მაგრამ მე ხომ ჩემს თავზე ვლაპარაკობ, ჩემს შეცდომებზე ვლაპარაკობ... მივეჭრებოდი თავმჯდომარეებსა, დირექტორებსა, ვლანძღავდი, ვთათხავდი. თუ უნდა აგერ აქა, ხალდეში მარტო გიგო ვადარჩა, ესეც ვერ მოვიკარე, თორემ... — ირაკლიმ გაიციანა. გიგომაც გაიციანა...

— აღსაზრდელად დაგეძებდი, — სიტყვა გააგრძელა ირაკლიმა, — მე ბევრი

რამ ვიცოდი, ბევრი რამ დამაზებირებინა და მინდოდა სხვებისთვისაც ჩამედო თავში; მჯეროდა, სხვებიც დაიხებირებდნენ და მაშინვე გარდაიქმნებოდნენ. მაშინ ფიქრისათვის საღ მეცალა, ახლა ვფიქრობ, ეს ადგილი მომეწონა საფიქრელად, იქ, იმ ჩანჩქერს გადმომდგარ მღვიმეში კი უკეთესი იქნება ფიქრი...

ლაღოს იქით არ გაუხედავს, ბავშვობიდან შეჰყურებდა იმ მღვიმეებსა, თვალში ამოსვლოდა ის მღვიმეები, იქ ასეღა არასოდეს საგულდაგულოდ არ მონდომებოდა, თორემ ავიდოდა, მუბლი კარგად უჭრიდა იმასაცა, ამიტომ ვერ აიყოლებდა აღევება ირაკლისა, სხვა დროსაც ვერ აიყოლიებდა, მით უმეტეს ახლა, როცა თვით მისით გაკვირვებულყო, სრულიად სხვანაირი ახსოვდა და სხვანაირსა ხედავდა, ახსოვდა მგზნებარი, დაუღალავი, შემტევი, დამპირნილებელი, შეუპოვარი, მეხივით რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე სოფელში, ახლა, ახლა? ნუთუ ის ირაკლი შუბითიძე ელაპარაკებოდა?! რა იყო, ხალღურას პირასა, რა ალაპარაკებდა ასე გულახდილად, — ასე გაიფიქრა და ხმაძლაც სამისო თქვა ლაღომა:

— მონანიებაა?!

— რათა?! — ყოყმანითა თქვა ირაკლიმა, ცოტა დაახანა, მერე უფრო გაბედულად მოადევნა, — ვითომ რა უნდა მოვიხანაო?! ის მონანიებს, ვინც მიხვდება, სხვანაირად შემეძლო, უკეთესად შემეძლო. მე ამდენს ვერა ვხვდები ან მართლაც არ შემეძლო სხვანაირად. დრო გავა, მერე ეგებ მივხვდე, ეგებ უკეთესად დავინახო, ახლა კი ასე მგონია, ჩემზე უკეთესიც ისეთივე იქნებოდა, როგორც მე, ჩემზე უარესიც ისეთივე იქნებოდა... ნეტავ პური არ იყოს საფიქრელი...

— ლუკმაპური ამ ფიქრების გარეშეც იწოვებოდა. სკამდნენ ჩვენს გაჩენამდე, სკამენ, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, — მიადევნა ლაღომ.

— გაბრაზებულე ვითა ლაპარაკობ.

— მაშ?! ეგებ ერთმანეთისა არ გაგ-

ვეგება, სხვადასხვა მხარესა ვდგევართ...

— მე სიკეთის მხარესა ვარ, შენი არ ვიცი. სიკეთე ბუნებაა, ბუნება და ადამიანი ერთად... მათს დაშორების ბოროტება მოჰყოლია.

— ასე რომ თოხი და ბარი...

ლადომ აღარ დააცადა:

— რატომ თოხი და ბარი? ტრაქტორი იყოს, კულტივატორი იყოს, კომბაინი იყოს, იყოს ყველაფერი რაც კარგია, რაც ახალია; თვალახვეული პატრიარქალისტი როდი ვარ, ძველიც მინდა, ახალიცა, ყველაფერი მინდა, რაც მეტ ძალას, მეტ სიმტკიცეს მისცემს ჩემს ერსა. წარსულის სიყვარულით ბრინჯაოს ცულს როდი დაუბრუნდები, დაბრუნება ამოუება.

— ამოუებაა!.. — დასტური დასცა ირაკლიმა, ოღონდ ისე, რომ მაინც თავისი განაგრძო, — როცა მე გამგედა ვზივარ ანუ ვზივარ ვიწრო გალიაში და რაღაც-რაღაც ანგარიშებზე ვაწერ ხელსა, ვფიქრობ, რომ ამოუებაა, ზედმეტია, არაფერსა მატებს არც კურკელსა, არც არავისა, ვფიქრობ და მაინც იქავე ვზივარ, დაზვასთან ვერ მივსულვარ, ჩარხს არ ვატრიალებ ოსტატეითა, ვერც სხვაგან წავსულვარ, სხვაგანა, სადაც რაიმესა ჰქმნიან, ვერა, ვერ დაებრუნებოვარ შრომასა. ჩემი წინაპრები მეურნეები იყვნენ, დოვლათსა ჰქმნიდნენ, მე რად მოვწყვეტივარ დოვლათის შემქმნელთა, რაღა სწყდებიან უფრო მეტნი და მეტნი ან როდემდის გასტანს ეს მოწყვეტაი...

— ბუნებისაგანა. — მიაშველა ლადომა.

— თუნდაც ვერე იყოს, ბუნებისაგანა მგონი ერთსა და იმავეს ვამბობთ.

— არ ვიციით... მაინც ვერ შევთანხმებულვართ.

— გავყვეთ, გავყვეთ, ეგებ შევთანხმდეთ. — თქვა ირაკლიმა, ხელი მოჰკიდა ლადოსა, ხალღურას ნაპირ-ნაპირ გაიყოლია, მაგრამ აღარ დასცალდათ სიტყვის გაგრძელებად, რადგან შოფერს გაუწყდა ძაფი მოთმინებისა. — „ერია, გავყვეთო, ვინ იცის, სადამდის გაჰყვე-

ბიან, რა მოღლოს მაგათ ენასა!...“ ეს/გა-იფიქრა და აბუზღუნდა: *ერეკონეშული*

— წასვლას აღარავინა მადგებოდას. მე მაინც გამიშვებდნენ, ფერდი ფერდს მამკვრია მწვევარივითა. უფასო მუშა მინახავს, მაგრამ პურტუმელი აღარაო.

— მართალია. — თქვა ირაკლიმა.

— მართალია. — დაატანა ლადომა, — წავიდეთო..

— სადა? — ამოიძახა გიგომა და ლოდოდან წამოიჭრა.

— ღმერთი იწამე, — შეჰყვირა შოფერმა, — მოეშვი, თორემ ეგენი ისევ თავიდან დაიწყებენ... მოეშვი, თუ ძმა ხარ!.. წავიდეთ, ოღონდ ამ რიყეს მომაშორეთ და სადაც გინდათ, იქ წამიყვანეთ. რას გადაეკვიდე, ვაჰ!..

მაგრამ გიგოს აღარავისი ესმოდა, შოფერისა და ლადოსი კი არა, ირაკლისაც აღარ უგონებდა — ორბისშიც წავიდეთ, ხალღეშიცაო, — ორბისის ხსენებაც არ უნდოდა, მოკვდება, არ მიავალ, მოვკვდები, არ მოვიდესო; ამას ბაბუნე ამბობდა, ოღონდ მივყვები და მივიყოლიებ ლადოსა, ყველგან მივყვები, ბაბუნთან კი არა, ძმობა და მეგობრობა თუ სწამს, ასეთი რამ მეორედ აღარ გამაგონოსო; ბაბუნს მოსარჩლედაც ნუ დამიდგება, ვისაც უნდა გამოესარჩლოს, როგორც უნდა გამოესარჩლოს, მაგრამ ჩემთან დავაზე ხელი აიღოს, ნუ გადაიღობება, თორემ, სულ ერთია, არ გადაიღობებ და მეგობრობაც ჩაგვეფარცხებაო, — ასე გაიძახოდა გულმოსული, გაცხარებული, თავსა და ხელებსაც აქნევდა, როგორცა სჩვევია გაბრაზებულ კაცსა, ლაპარაკობდა გრძლად, შეუსვენებლად, უჩვეულოდა, ახლა მოსწოლოდა დიდი ხნის ნაგუბარი ფიქრები, ბაბე მხოლოდ საბაბად გაიხიდა, მერე მიჰყვა და მიჰყვა: მიწაო, შრომაო, ყველა გაიძახით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, კუდამოქუთუბულნი გარბიხართ ყველანი; კაცს რომ ეჩქარება, ურტყავს და ურტყავს ცხენსა, მაგრამ არა კითხულობს, უფრო მეტად გაჰყვეა შეუძლიან თუ არაო; აზრი აზრია. მაგრამ დედამიწა აზრით არა ბრუნავს.



ცხოვრებაც ყველა აზრზე არ დაბრუნდებაო; ღმერთზე დიდი ბოროტება ქვეყნად არა ყოფილა, არც იქნება, ხან ღმერთს დაირქმევს, ხან აზრსა, ხან, ვინ იცის, რას არა, და აუარებელი ხალხი აპყავს სამსხვერპლოზე; თქვენი სიტყვა სიტყვა იქნება, რამე რომ შეგეძლოთ, მაგრამ ახლა წყლის ნაყვის მეთი არაფერია და სჯობს ხალდეს წავიდეთ, აქ მე ვარ მასპინძელი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთი რა არის, ერთი რა არის, ერთი სურვილიც არ შემსრულებია და, თუ ესეც არ შემისრულ-

დება, ბარემ აქვე პირქვე დავიქრობო, ზედ ხალდურა გადამდიოდეს, ღმერთს ჩვენთან, შემოკლებულად ასე თუ გადმოგცემთ გიგოს გრძელსა და აღელვებულ სიტყვასა.

შოფერს ნატამალი აღარ შერჩა მოთმინებისა: „ვაჰ, ეს სად ჩავარდი, კომფერენციაა, რაა?! ვაჰ, ვაჰ!“ — იძახდა გამწყრალი თუ გაოცებული.

ასე იყო თუ ისე, ეს კამათიც დასრულდა, თავისი გაიტანა გიგომა.

ირინეს ეზოში ჩაწყდა მათი მანქანის რახრახი, ჯაყჯაყი, ხიხინი, ქაქანი.

(გაგრძელება იქნება)

მეხუთე მხარე



შეხვედრის ლამაზი განთიადს

მე აიტყორცნა ვეება ცაზე
და უფსკრულები აივსო შუქით...
ჩიტი მღერის სარზე —
უხარია დარი...
მინდორს — მთა
მთას — მინდორი უკვირს...
წყარო კლდიდან გადმომსკდარი
დალიე და ... იცოცხლებ;
მე კი...
მეკი ყველაფერი ისე შევისისხლ-
ხორციე, —

თითქმის
არაფერი მიკვირს —
გარდა მზისა,
გარდა ზღვისა,
გარდა ხან მზით,
ხანაც მთვარით
განათებულ დარბაზისა, —
სადაც კაცნი სანთლებივით ვანთივართ.
ჩვენი შუქი ერთდება და...
მზედ ანთია ცაში.



დღე მოიღლება შრომით, —
მერე თავს მიღებს მთაზე,
თვალს დახუჭავს და მშვიდად
დილამდე ძინავს ასე.

ძინავს ღამეს და დილით
თვალს ღამაზად აღებს...
ღამე — მძინარე დღეა,
დღე კი — მღვიძარე ღამე.



სღუმს ტყე...
ხეები ისვენებენ თითქოს;
ხის ტოტებზე აკიაფდა
მზის სხივების ხლართი,

ხმას ვერ ვიღებ
ამ დუმილის ხატრით.

ტყის მიწიდან სახეში მცემს
დღევანდელ მზის სითბო...
სღუმს ტყე —

... ტყეში ნისლი იზმორება
და მიიწვევს მაღლა,
გარინდული ზღვა მინახავს...
ტყე იმ ზღვას ჰგავს ახლა!

ჯანსუღ ჩაჩუკიანი



ტრემლები

ნუგეში ჩვენთა სიმარტოვეთა
და გამჟვირვალე მინანქარივით,
ძველი დარდივით მივატოვე მთა
და ბარისაკენ მივალ ქარივით.

გზა მოქნეული, ვით ცხენის გავა...
სირცხვილი აღბათ ტინებს მიმახლის;

თვალეში მიდგას უემური ჰავა
და გაბზარული თეთრი ბიდახი..

არის ტირილი, რომელიც გესმის,
გესმის და მაინც არ გეყურება,
მერე ტრემლები ჭამანდას გესვრის
და მთაში რჩება, როგორც თქმულება.

დაუმთავრებელი სიმღერა

როცა გამოხვალ, შე ლურჯო ნისლო,
ვაზის ტანით და სავსე მტევნებით,
როცა გამოხვალ, შე ლურჯო ნისლო,
მომაწამე და დაგედევნები.
როცა გამოხვალ, შე თეთრო ნუშო,
ვაზის ტანით და თეთრი კვირტებით,

როცა ჩაისვამ გაზაფხულს სულში
მომაწამე და დაგაკვირდები.
როცა გამოხვალ, შე ლურჯო ნისლო,
ვაზის ტანით და სავსე მტევნებით,
როცა გამოხვალ, შე ლურჯო ნისლო,
მომაწამე და დაგედევნები.

მე და შენ

დავდივარ და მიყვარს შენი,
თეთრი მკლავების სიღბო,
შენ დიდ ცხოვრებაში მშვეელი,
ჩემო თოლიგე და ზილფო,
შენ — სულ პაწაწინა შველი
და რაღაც ლამაზი უფრო.
თეთრ ქარებს თვალეში ვუმზერო
და აღმართს მივყვებით წყვილად.
მე შენ მომისწარი სულზე

ვით მიწას გვალვიანს წვიმამ.
გვესმის მომავალი დიდი,
ყვავილით, მზითა და სუნთქვით,
ჩვენ გვიყვარს, და მეტიც კიდევ
— სიძულვილს სიყვარულს ვუთვლით.
ჩვენ გვიყვარს სუყველა ჭობი
და ჩვენ ყვავილებში გვღვიძავს,
რომ ვიციოთ ისე, ვით თოხი
— ჩვენც არ ავცდებით მიწას.



გულგარეთი

საპირველმისო დემონსტრაცია ახლოდებოდა. წინაღუდს მიცნობეს, რომ ალექსანდრეს ბაღის შემოთა ნაწილში ყბაახვეული კაცი დამელოდებოდა. ეს იქნებოდა კამო. ბალიდან ორივე მივიდოდა კონსპირაციულ ბინაზე, სადაც საპირველმისო პროკლამაციებს მივიღებდით. მერე ამ ფურცლებს ქუჩებში და ეზოებში მიმოვფანტავდით.

ჩემი წარმოდგენით კამო უნდა ყოფილიყო ჰალარა, სათვალუბიანი კაცი, გრძელი შავი ხალათით, ჩამეხვეული შარვლი და ჩუსტებით შემოსილი. გაგებულა მქონდა, რომ ის იყო თავდადებული მუშაკი, გაბედული, გულმართალი და მოკრძალებული, რომელიც პარტიული მუშაობის შეტს არაფერს მისდევდა.

დანიშნულ ადგილას რომ მივედი, გრძელსკამზე მჯდარი ყბაახვეული კაცი კი დავინახე, მაგრამ ჩიხაში იყო გამოწყობილი და მეუცნაურა.

გვერდზე ჩავუარე, — დამაკვირდა. ისევე გამოვბრუნდი, შევხვედი. თვალები გაუფართოვდა, წამოხტა და შესძახა:

— ბიჭო, დათა არა ხარ შენ?
— მე კი დათა ვარ, მაგრამ... ნუთუ კამო შენა ხარ?

— სემინარიელის ტანისამოსი რომ არ გეკონდა ვერც კი გიცნობდი! მაგრამ ჩამოვარდით ერთმანეთს ზელა.

— გასსოვს გორი?
— როგორ არა! ერთა ეზოში ეცხოვრობდით!
— ეს სახელი ვინა დაგარქვა?

— ვინა არა ერთხელ სოსომ მითხრა: „დათას რესაათიანი სამუშაო დღე წაუღო“... მაშინ გულში გავიფიქრე: ნეტა ის ხომ არ არის მეთქი! ბანზე ამივლო კითხვა კამომ.

შემდეგში გავიგე, სოსო თურმე ამდენ დროს კიდევ პოულობდა, რომ კამოს ამცადინებდა. (ისინი ერთმანეთს გორიდან იცნობდნენ). ერთხელ, როცა კამო სოსოსთან გაკვეთილს ამზადებდა, ოთახში მათი ამხანაგი შემოვიდა, სოსოს ახალი ამბავი მოუტანა, კამო ამ დროს კარნახს წერდა. ობობამ მიიქცია მისი ყურადღება, რაღაც ვერ გაიგო და რაღაც ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ, რუსულადვე ეკითხა, — „კამო, სულში, კამო!“... რუსული სიტყვის „КОМУ“-ს ნაცვლად „კამო“ ობობა და მათ სიცილი დაეყარეს. ამის შემდეგ სოსო სხვა არაფერს

უწოდებდა, თუ არა კამოს. ბევრმა არ იცოდა მისი ნამდვილი სახელი და გვარი.

კარგა ხანს ვისხედით მე და კამო ბაღში. ვისხედდით გორულ ამხანაგებს, გორში გატარებულ ბავშვობას. მაშინ ის საქალაქო სკოლაში სწავლობდა, მე კი სასულიეროში. ორივეს კოჭობა, კიბობა, სალაობა, აბტურმა გვიყვარდა. მთელ დღეებს ციხეზე ვატარებდით. განსაკუთრებით გვახალისებდა კრივი, რომელიც ყველაფერში იწყებოდა. ამ დროს მთელი ქალაქი ორ ნაწილად იყოფოდა — ზედა უბნად და ქვედა უბნად. ორი უბანი ერთმანეთს შევტაკებოდა. ჩვენ ქვედა უბნელები ვიყავით და ზედას ვეწინააღმდეგებოდით.

კრივი საღამოს ხანს იწყებოდა. საკრებულო ტაძრის მოედანთან ვგროვდებოდით. ჯერ პატარები მივცივდებოდით ერთმანეთს, შემდეგ მოზრდილები და ბოლოს დიდები, განთქმული მოკრივეები ეუფლებოდნენ ასპარეზს. ამიტომ იტყვიან — „კარგი მოკრივე ბოლოს გადმოვარა“

კრივი ერთნაირი „ხელოვნება“ იყო. მოწინააღმდეგის დარტყმა უნდა აგეცილებინა, შენი მოქმედული მუშტი კი მიზანში უნდა მოხვედრილიყო. ჩვენც ამ „ხელოვნებას“ მივდედით.

— ო! რა დღე იღვა ჩემს საცოდავ ცხვირსა ჯერ კიდევ ბავშვობისას საქანელად ჩამოვარდით, მაშინ გავიტეხე, მერე კრივის დროს სულ ცხვირში მხედებოდა მოქმედული სილა და მუშტი. ახლაც ხომ ხედავ, რამხელაა მის შემდეგ ცხვირში დღედღნი დამწემა. მიინც რა დაუდგარი ვიყავი! მაშინვეს სამების ეკლესიის გვერდით ხილის ბაღა ქონდა გაშენებული. რა ატემები, რა ვაშლები იქ არ ჰყავოდა. ჰოდა, გიყვარდეს! შევეციდი „გოროდსკოს“ სკოლის ბიჭებსა და, რასაც ვპოვდით, ზომ ვუპოვდით, რასაც არა — ვაპტრევდით ტრეტებსა და მოგვეჭონდა შინ. მაგრამ სიცოცხლე გაქვს, მაშინვე ამისათვის კარგ დღეს არ დამაყრიდა! — ოხსენებდა კამო.

— გასსოვს, ერთი „კიდენაცა“ რომ იყო ყოველი სიტყვის შემდეგ „კიდენაცს“ დამატებდა. საწყალს როგორ ვაწვალავდით! გამოუფლავდებოდით და ვუძახდით — „კიდენაც!“ ისიც კარგად შეგვეყურებოდა ზოლზე. გასსოვს — დახურული ბაზარი, მიხვეულ-მიხვეული რივის ქვებით მოკარწყულად ქუჩები! რუხი ფერის დაბალ-დაბალიანი დუქნები. გვერდზე დადებოდა მთელი ქალაქ-

ში. მხოლოდ ჩვენ, სკოლის ბიჭები, ვარდევდით საიუმეს. მერმე ციხეზე რომ ავიდოდით, გუყვარდეს — წრელახტი, ახტრამა!

ალექსანდრეს ბაღში დიდრიანი ხეების ჩრდილი გაქრა. ახლა უკვე ბინჯს მოეცა იქაურობა. მოქალაქენი დაღმართზე აჩრდილებივით ეშვებოდნენ. იქვე ეფარებოდნენ ხეების ხშირ ტოტებს.

ლიტკილოებით შეკრულ საყელროში კამომ ხელი მოისვა, ალბათ ევეწროებოდა. წამოაღდა და მიიხრა:

— აბა, ამხანაგო, წავიდეთ!

— კი, ამხანაგო — ვუპასუხე.

ახლად მოვლენილი სიტყვის „ამხანაგოს“ წარმოთქმა გვახალისებდა, გვათამაშებდა. ვიტყუოდით და გულში იშვენივდით გვესახებოდა. მივიდიოდით ქალაქის ქუჩებზე და ქვეყნიერება ჩვენი გვეგონა. ვადაუკურით ვორონკოვის ხიდი, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და კონსტანტინოპოლ ბინანზე, მიხთ ბოტორიძისთან მივედით.

— აბა, ბიჭებო! ამხანაგებო! — შემოგვეგება მიხთ, — თქვენ იცით! იმანაც რომ ამხანაგი გვიწოდა, ვაგვიხარდა ერთმანეთს შევეცინეთ. უბოში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა. პროკლამაციები მაგდაზე დააწყო თვალები გაშიდართოვდა. პირველად ვხედავდი ამდენ პროკლამაციებს ერთად.

— აბა, გაიყავით შუაზე!

საპირველმისო პროკლამაციებით ავიყვით უბებში. — ფრთხილად! აუჩქარებლად! იქვე იცით! — კიდევ გაგვიფრთხილა მიხთ და გამოგვისტუმრა. ჩვენთვის წინასწარ მიჩნეული ქუჩებისკენ გავემართეთ.

— ბიჭო, შენ რა კარგი ქუჩა შეგხვდა! — მიიხრა კამომ. — ავქალის ქუჩა გრძელია! თუ გინდა, გავიცულო!

— არა ამხანაგო! — თქვა და კვლავ გაიღიმა. — არა! შენთვის ეგ ქუჩა უფრო ნაცნობია. თუ გაგიბრუნდება, მეორე ქუჩაზე ვახვალ, გასასვლელში იცი! აბა, ამხანაგო, ახლა წადი შენი გზით!

ავქალის ქუჩაზე რკინიგზის მოსამსახურეები და დემოს მუშები ცხოვრობდნენ. შევიდოდი გზოში, მივიხედ-მოვიხედავდი, უბიდან ამოღებულ დაკეცილ პროკლამაციას კაბის საფეხურზე დადებდი. ქუჩაში რომ გავიდიოდი, აჩრდილივით მივიპარებოდი. ანთებულ ფანრებში ზეჰტაენდნენ. გამვალლები უბრუნდებოდნენ მიმოდინდნენ. ჩემი გული კი ჩქროლავდა.

უბე მალე დამიკარბოვდა. შვება ვიგრძენი და უკან დაებრუნდი. კამო ქუჩის დასაწყისში უნდა დამხედროდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო მის-ლა. კარგა ხანს ველოდე, მღიერ იგვიანებდა და ეწუხებო: რამე ხიფათი ხომ არ შემთხვამეთქი. ქუჩის პირად ვიდგე, გზას

გავცქეროდი. „კონკის“ ზარების წყაროში, მიმავალი ხალხის ჩიჩქოლი მაღიზიანებდა. „რატომ არ ჩანს კამო? იქნებ მიცენს!“ და წუვილი კიდევ? არა! როგორ შემძებნა!

ქუჩას ხან ერთი მხრიდან, ხან მეორე მხრიდან გავხედავდი. დრო გადიოდა, მოთმინება შელოდა. „ვიამე! ალბათ შეამჩნიეს! დაატუსილეს!“ — გავიფიქრე. წასასვლელად გამოებრუნდი. ერთი კიდევ გავხედე ქუჩას და ჩემკენ მომავალი კამო დაეინახე. სწრაფად მისკენ გავექანე.

— რატომ დაიგვიანე?

— ე რაჯულაა, კაცო, რაღა ყველაფერი შე უნდა დამემართოს?

— რა დაგეშართა?

— უბე თითქმის დაეცალოვრე, უცებ შევამჩნიე, ერთი კაცი ამდევნებოდა, საითაც წავედი, ისიც იქით წამოვიდა. „აი! — გავიფიქრე, — დედას გიტარებ-მეთქი“. ერთ ეზოში შევედი, უკანასკნელი ფურცლები დაფანტე-ვხვდა, ის კაცი იქვე დგას, თითქოს სახლს ათვალვარებდეს, ნომერს უცქერის. მატუქებს რაღა! „შეე დღეს დაგაყენებ-მეთქი“ — გავიფიქრე. იმ ადგილას ფარანი ჩამქრალი იყო, უცხად მივევარი, მაგრამ მოვიკდე ხელი კისერში. კედელზე მივაყარე და პირზე ხელი ავაფარე, რომ არ ეყვირა. რუსი იყო და ჩემი დამტვრეული რუსულით ვკითხე, — „ეინა ხარ? მოგკლავ ესლავი!“ ფერი წაუვიდა. პირშეკრულმა ძლივს წაილულულა, — „ნუ მომკლავ! მუშა ვარ! დღეს ჩამოვედი ბათუმდინ“. ეს რომ თქვა, ხელი დღეში. ვაბრაზებამ გაიპარა.

— ერთი ამხანაგის ბინას ვეძებ. ველარ მივაკვლი! იპიტომ მოვდედი ამ ქუჩას!

გამითრევა, რომ ისიც ჩვენი ამხანაგი ყოფილა, ბევრი ვიცინეთ. ბოლოს, როგორც იყო სახლს მივართ, მაგრამ სანამ შეე არ შევიდა, არ წამოვედი.

— ბიჭო, ის რომ შპიკი ყოფილიყო, ხომ იარაღიც ექნებოდა. მერე?

— იმ იარაღს მასვე მოვხებმარდი. იმათ სად აქვთ გამხედაობა.

— კარგი ერთი და! — ახლა რა ექნათ?

— იცი რა? მოდი, ისევ მიხოსთან მივიდეთ!

კიდევ გამოვართვით პროკლამაციები, სხვა ქუჩებზეც მოვფანტეთ. — თქვა კამომ და მიხოს სახლისკენ გავშურა.

მოიქათალო, ფერგახუნებულ ალყაფის კარს მივაღივით. ამ დროს იქიდან ერთი სუსტი ტონის კაცი გამოვიდა. დავეინახა თუ არა, უელზე მოხვეული გრძელი კაშენი სახეზე აიფარა, მაგრამ გვიცნო და დინჯი ნაბიჯით მოგვიახლოვდა. ჩვენი ვიცინით, მივეგებეთ.

— რა ჰქენით? გააუტყულოთ? კარგია! კარგია! კიდევ ხომ არ გინდათ წაიღოთ? — შედიო! კიდევ აქეს! სხვებმაე წაიღეს? აბა, ყოჩაღად! — გასამხნეველად მხრებზე ხელი დაგვიდო, დინჯი ნაბიჯით ქუჩას გააყუა.

— ხედავ? ახლა ეს ყველგან ჩამოვიღის, თადარიგს მისცემს. დიდი ორგანიზატორია! ხვალ დემონსტრაციას ჩაედგება სათავეში. — თქვა კამომ. — იცი, როგორ ცხოვრობს? შენ არ ყოფილხარ მასთან? ობსერვატორიაში ერთი პატარა ოთახი უყავია. ტახტიც კი არ აქვს, დამით იატაკზე შლის ლიბანს და საბანს. დღისით დაახვედრებს და კითხვებში მიდევს, მაგიდის მავიერობას ტაბურეტით უწყევს, ლამფისას საწათელი. ტაბურეტზე უწყევია წიგნები, გადამოილი თუ დაკეცილი რვეულები, ფანქარი და ქაღალდი. ფანჯრის რიკულზე ქაღალდში გახვეული ყველი და პური უდევს. მთელი დღე და ღამე კითხულობს. დამურასავით მხოლოდ საღამოთი გამოდის გარეთ. წრებებში დადის. მაგისი წაქიხნული წიგნი რომ ნახო, ყოველ გვერდზე სტრიქონები ხაზგასმულია. ზოგან კითხვის ნიშნია, ზოგან — ძახილის, თითქოს ავტობუს არ ეთანხმება, თითქოს ეკამათება. ან კი როგორ ასწრებს ამდენ კითხვას. ასეთია სოსო.

მისთანან რომ შევედით და კიდევ მოვთხოვეთ პროკლამაციები, გაუხარდა. „ცოტალი დამარჩა, ესეც თქვენ წაიღეთ“, — გვითხრა.

ღუბოს ძველი მუშა მიხო პოპორჩიძე მთლიანად პარტიულ მუშაობაში იყო ჩაფლული. დინჯი, დარბაისელი, მოკლედ შეკრებილი წიგრულაშენი, ყველას პატივისცემას იმსახურებდა. მისი ლობიერის სახე, დაკვირვებული და მოღიბარი თვალები — ესათოოდ შეგვიბოდა. ძალიან ადუღებულ, ნერვებაშლილი რომ ყოფილიყავი, თუ მასთან მიხვიდოდი და შენი აღმფრთხილებს მიზეზს მოეყვებოდი, ბევრს არაფერს გეტყვოდა, არ უყვარდა ზედმეტი ლაპარაკი დასაწერებლად ისიც კი ეპაროდა, მშვიდად რომ ყურს დაგივლებდა და უღლაშებში გაიღიმებდა. მერე ისეთ დამაჯერებელ საბუთს გეტყვოდა, რომ გულზე მოგეშვებოდა. მას წარბები თითქოს მიღრმული ჰქონდა, თვალები — ფიჭვანი, მაგრამ რაკილა ერთხელ გაიქნობდი, მასთან ყოველთვის ხალისიანად და მოერიდებლად მიხვიდოდი.

მის სათნო, მშვიდსა და მომხიბვლელ ხასიათს ისიც ემატებოდა, რომ ის იყო ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული. — წერდა ლექსებს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, როცა ერთი ჯგუფი სოციალ-დემოკრატი მუშების ზღონაყერ ეურნალს უწყებდა, მიხა იქ თავის წერილებს თავსებდა. მისი ლექსების უმრავლესობა მშრომელთა ხალხის დუბჰირ ცხოვრებას აღწერდა. შემდგომში, როცა არალეგალურ სტამბაში დიბეჭდილი ეურნალი „ბრძოლა“ გამოვიდა, მიხა ლექსი „მხანაგებს“ ისეთი სიძლიერით მოუწოდებდა მუშებს ბრძოლისაკენ და ისე კარგად იყო დაწერილი, რომ ყველამ ზემიზად დაისწავლა და გიტარაზეც დაამღერა.

მისო პოპორჩიძემ მთელი თავისი სიცოცხლე მუშათა მოძრაობას შესწირა. მუდამ ადგზნებულ,

მოუწყნარი, არალეგალურ მუშაობაში იყო ჩაფლული.

ამ შესანიშნავმა ადამიანმა ცხოვრებას ყოველგვარ გავიგვსო უბეები პროკლამაციებში და მუშებისთვის...

— ახა, ახლა წადით! ფრთხილად მოიქცით! ხვალ თორმეტ საათზე ალექსანდრეს ბაღის კუთხისთან, სადაც „კონკა“ უხვევს, იქ მიხვიდით, შენ, დათა, სემინარიელნი წამოიყვანე. გარეთ გამოვედით, ერთმანეთს გამოვეშვიდობეთ და სხვადასხვა ქუჩებით წავედით.



თბილისური ვაზაფხულისთვის ჩვეული დილა გათენდა. „კონკების“ წერიალი, ეტლების ხმაური, სოფელი გლახის ძახილი, — მაწორონი! მაწორონი! შეთყვანს ბოხი ხმა „კურტუმი“ კურტუმი! პატარა ბიჭის კვილი, — სამოერის მიწა! სამოერის მისოკა! — ქუჩის ერთმული და ზრიალი ქალაქის ჩამკედარ ცხოვრებას ერთგვარად აცოცხლებდა.

სემინარიაში წიკვა გამოვიდა თუ არა, შეიღმა სემინარიელმა ერთად ჩავიბრძოთ ალექსანდრეს ბაღი. ბალიდან გავედით მოხვეულ ქუჩაზე და ბაზრობაზე მოსულ ხალხს შევეერთდით. აქ იყო დემონსტრაცია დანიშნული.

ფარდულები და ფიცრის გრძელი მაგიდები ქუჩას ორივე მხრივ მიადევნებოდა. მაგიდებზე ელაგა რკინეული, ქურჭლეული, ფართილეული და სხვა. გასმოდა ვაქრუბის ძახილი: ახა, აქვთ! აქვთ! იფვალ! იფვალ! „მობრძანდით, ნახვით! ვაჰ! რა ყოფილა და!“.

უამრავი ხალხი ფუსფუსებდა, ნივთებს ათვლიერებდა, ვაქრობდა, ყიდულობდა. დროდადრო, არეულ ხალხში ოთხეხენიანი „კონკა“ ხვნიშობდა და ზარბებს წყარუნით შემოიჭრებოდა. მოძრაობა მატულობდა: მოფუსფუსე ხალხში აღტაცებული და სიხარულით სავსე დაედოილით. მე ვამჩნევდი, როგორ ემატებოდა სივარდო მონულებს მუშათა ნაკადი. ყველა მოკლე კომბალა ჯობებოდა იყო შეიარაღებული. შეე ხალათებზე ქაბარი არც ერთს არ ჰქონდა შემოკრული. მხოლოდ თვალებით აქტიუიით იტყობოდნენ. ჩქარა ნახიჯით მიმოდიოდნენ.

მოფუსფუსე ხალხში ვილაყამ მხარზე ხელი დამქრა. მივიხედე. ძლივს ვიცანი კამო, — გიმნაზიელის ფორმა ჩაეცვა, კოკორი ტუღავები მოეპარსა, მიღიამა, შექმნილი თვალებით შემომხივნიდა, ყველა ღილზე შეკრული სერთუცი და კოკარიანი ქელი უხდებოდა.

— ახა, დათა, მალე ზარბანანი გავარდება, შხადა ზარ?

— როგორ არა! მაგრამ მე რომ გოხო არა მაქვს?

— არ გინდა არც მე მაქვს! — აღერხით მოხრა და დაემატა, — ათი წუთი თუ მაინც გაგრძელდა დემონსტრაცია, კარგი იქნება ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. შეახალათიანებში შეერგოდა, მუშებს ამხნევებდა, — ყოჩაღად იყავით, ამხანაგებო, ყოჩაღად! —

— აბა, სიყონადეს რა დაგვიშლის, კამო! — უსასუბებდნენ.

— ნახე, ეზოში ცხენოსანი კახაყები მიმაღულან? — მერე რა! რაც მათ წაიღონ, ზეზისთან დაიკვებონ! — ალაპარაკდნენ მუშები.

ისინი ერთმანეთს ზედებოდნენ, უღიმოდნენ, ლაღად მიარღვევდნენ შემვიდროებულ რიგებს. შვე მათთან ერთად დაედოდი.

ვაკრები თავიანთ მაგიდებთან იდგნენ და გაიძახოდნენ: „აბა, აჭეთ, აჭეთ! მოდიო, ნახეთ, რა არი და!“ — მუდგველებს ატუებდნენ, ცუდლუტობდნენ. ის კი არ იცოდნენ, რა მოხდებოდა რამოდენიმე წუთის შემდეგ. წარმოდგენა არ მქონდა, რა ადგილას აწევდნენ დროშას, ხოლო შეენიშნე კი, რომ კეტებთან მუშები შუა გულში აჩოქობდნენ. შეიკრიბნენ. ნიშანს უცდოდნენ.

უცხად გაეარდა ზარბაზანი! ეს იყო ნიშანი. ქალაქი შეზანზარდა. ერთი წუთით გაინაბა ყველაფერი. და უცხათ თავების ზევით გაშლილი დროშა აღისფრად აფრთხილდა. თითქო მეორე მხემ გამოანათო, საღაღესსწაულო ელფერი მოაფინა გარემოს.

თითქო უხილაემა ელექტრო ძალამ დაირბინა სხეულში. ატუდა ალიაყოთი. სირბილი, ყვირილი. „გაუმარჯოს პირველ მაისს!.. გაუმარჯოს სოციალიზმს!“ ხელკეტებთან მუშებით გარშემორტყმული დროშა წინ მიეჭანებოდა. შეკრული ჯგუფი წინ მიიწევდა. ჩვეც მივადევდით. დროშას ვეტანებოდი, მაგრამ შემოდრობებ მხრებისა და ზურგების ღობეს ვერ ვარღვევდი.

...ზურგე ეპყით ძველ ადამ-წესებს, ჩაშოვიბერტყით ფეხზე ვით მტვერი...

გრაღლებდა სიერცემი აწეული ხმები. თიბქმის გაცეცლით მოედანს, ქუჩაზე გავედით, მაგრამ უეცრად რიგები გაირღვა, მაღლა აწეულმა წითელმა დროშამ ტორტმანი დაიწყო. ცხენოსანი კახაყები რიგებში შემოიკვიდნენ, მითრახებთა და კონდაზებით დაესიგნენ დემონსტრატებს. ერთმანეთში აირია ცხენების თქარა-თქური, გინება, ყვირილი, მათრახების ტლაშა-ტლუში, და გა-უფლდას ძახილი.

დროშა მაინც ფრიალებდა. ხელჩართული ბრძოლა დაღხანს არ გაგრძელბულა. მედროშემ დროშის ტარი დახარა. ტარიდან დროშა მოხსნა. უბეში ზაღება მოასწრო და საღაღე გაუნიხარდა. ჯგუფი გაიფანტა.

გიმნაზიელის ფორმაში გამოწყობილ კამოს მოკვარი თვალი. ცალ ხელში ქვა ჩაებდლუჯა. პოლიციელს უმიზნებდა.

ახლა პოლიციელებით აფისო ქუჩა გამოქონლეს გამოუდგებოდნენ, იჭერდნენ. სამი თახი პოლიციელი ერთ დემონსტრანტს მიათარედა. ის არ ნებდებოდა, მუჯლუგუნითა და მუხლებით იბრძოდა. მალე მოედანი დაეარიეღდა, ქუჩაზე ეყარა გათლილი კეტები, ქუდები, კლიტები გასაღებები, დამტერეული მაგიდები. სარკეები, კარადები...

სახტად ღარჩენილი ვაკრები ერთმანეთს ეკოთხებოდნენ:

- ვაჰ! რა იყო, ჰა?
- ბუნტი იყო, რაღა!
- სულ დავოს ზიქები იყენენ, აი!
- მერე რა უნდოდათ?
- მეფე არ გვიდაო!
- მამ რა ვირის თავფეხი გვიდაო!..
- ისე უნდა იყვეს, როგორც ფრანციაშიო...
- ვაჰ! ვაჰ! ვაჰ! გაიძახოდნენ და დამსხვრეულ-გაფანტულ საქონელს თავს დატრიალებდნენ.

თბილისის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყებოდა.



მუშათა მოძრაობა ღრმადებოდა, რვეოლუციური ტალღები თანდათან ზევით იწევდა, ბოზბოქრობდა. პარტიული მუშათა კამომ მთელი თავისი არსებით ათთვისა, პროფესიონალი რევოლუციონერი დაღვა. მისში ჩაქსოვა თავისი გრანობა და გონება.

კამოს მეგობრებში დროს ტარება არ იზიდავდა. მკირედი ჰამასშით, ჩაქმა-დახერვით ქმაყოფილდებოდა. მეგობრებისაგან და პარტიისაგან მიღებულ ფულს კაპიქს კაპიქზე ადებდა, უბრალოდ არ ზარჯავდა, მხოლოდ საქმეს იხმარდა, ამიტომაც კრიკანტს ენახდნენ, მაგრამ ის მტყნი არ იყო. მომპირნებოდა საჭიროდ მიანდა, ვინაიდან იყოდა, პარტიას არ ჰქონდა საქმა. რისი სხსრები, რომ პროფესიონალი რვეოლუციონერი უზრუნველყო.

კამო მუშათა უბანში უჩინრად და შეუმჩნეველად დადიოდა და ემსახურებოდა იმ დიდ საქმეს, რომელსაც რვეოლუციის გამარჯვება ეწოდებოდა. როცა ის თავის გეგმებს მოყვებოდა, იფიქრებდი, — ეს რა მეოცნებე ვინმე ყოფილაო, მაგრამ ლაპარაკობდა ისეთი გატაცებით, ისეთი დამაჯერებლობით, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და გჯეროდა, რომ იგი ამის უსათუოდ შეტყებდა, ვაკეთებდა.

იქნებ კამო გმირი არ იყო, მაგრამ იქ, სადაც საქმე შეეხებოდა გმირობას, თავგანწირვას და გამბედიობას — დაუწერტელი იყო მისი ენერგია, გამპირახიზობა და, თუ საჭირო იყო, თავხედობაც...

1 შუა დღის თორმეტ საათზე არსენალის გოჩაქზე შედამდღე ისროდნენ ზარბაზანს.

კამოს გავრცელება ბევრი ისეთი საჭმე, რასაც სხვა ვერ შეძლებდა, დაიბნეოდა, შეშინდებოდა, თავსაც დაღუპავდა და სხვასაც. ასეთ რთულ პირობებში გაერთიანდებოდა მისი ვაჟებმა, შეეკუმშებოდნენ კენთები და მღვთმარობიდან გამოისხველულ გზას მონახავდა. თანდარმებს თავგზას აუბნევდა, ხელიდან გაუსხლტებოდა.

როცა რევოლუციური მოძრაობა მიწოდებოდა და ყოველდღიური, მშვიდობიანი ცხოვრება იწყებოდა, კამო ტრადიციულ მღვთმარობაში ვარდებოდა. მას აკრთობდა წელი, მიღწელებული მსვლელობა მუშათა მოძრაობისა, როცა საკმარის იყო თორიული მოზადება, შესწავლა მუშათა მოძრაობისა — გუბეში გარიყული თევზითი ფართხალებდა და გაიძახოდა: — არა, ახლა კი სწავლას უნდა მოკვლიო ხელი, თორემ ასე ჩამორჩენა არ ივარგებსო". ის გრძობდა, რომ საკმარის იყო ცოდნა, სწავლა და აწყობდა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შესვლისა თუ ექსტერნად გამოცდების ჩაბარების გეგმებს, მაგრამ რევოლუციური მსვლელობა წინ უსწრებდა მის განზრახვებს და იგი ცვლად პარტიული მუშაობის ტალღებში იფინიებოდა.



ერთხელ კამომ მთხოვა წავეყოლოდი მას თეატრში და პროკლამაციების გაფანტვაში დაეხმარებოდი. ეს პროკლამაციები მოუწოდებდა მოქალაქეებს, მხარი დაეპირათ კონკის მუშების გაფიცვისათვის და არ ჩამსჭდარიყვნენ იმ ვაგონებში, რომელთაც მართავდნენ შტრეიკბრეხელები — გადამყვანი პოლიციელები.

საღამოს უბებები დაეკვილი პროკლამაციებით გაეცხეთ. თეატრში შესასვლელი ბილეთებიც ვიყიდეთ და ქანდარის პირველ რიგში დავსხედით. იმ ხანად არტისტული საზოგადოების თეატრში (ახლა რუსთაველის სახ. თეატრი) იღვმებოდა რუსეთის საგასტროლოლ ჩამოსული ძმები ადელგიდების წარმოდგენები. იმ დღეს კი მიდიოდა შესმაბრის ტრაველია „ჰამლეტი“. ვიცოდით, წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრებოდა. წინდაწინ ვიყავით შეთანხმებულნი: ფურცლები მაშინ მოგვეფანტა პარტიკრში, როცა სცენაზე გამოჩნდებოდა ჰამლეტის მამის ანტიდილი — იმ დროს სცენა ბნელდებოდა.

ვისხედით და ვუცდიდით. პირველი რიგიდან კარგად ვხედავდით პარტიკრს და ლოკებში მსხდარ ფრაკებში გამოწყობილ მამაკაცებსა და კომწიად მორთულ ქალებს, მოტყუებულ თავებსა და პრიალა სამხრებებს, ექსელბანტებსა და გახამებულ საყელოებს.

კამო და მე ქანდარის აქეთ-იქით მხარეს ვისხედით, ხშირად გავხედავდით ხოლმე ერთმანეთს.

მესამე მოქმედება, სცენაზე ჰამლეტი და მისი მეგობარი ჰორაციო დგანან სცენის უკუკრით ეელოდებით ანრდილის გამოსვლას/სწყყნაჩაე, როგორც სცენაზე, ასე პარტიკრში, სუნთქვაშეკავებული ხალხი, თვალს ადევნებს ჰამლეტის მამის მოქმედებას, იგი ხან ფარღებში იმღლება და ხან სცენაზე გამოდის. ანრდილი მოვსობის ჰამლეტს და ორივე ვაღის სცენიდან. შიდა დარბაზში კერიდან ჩამოშვებულ ბრკყვიალკ ზომლის შანდლებს დაეცილ პროკლამაციებს კუშტად ვესერთ, გაფანტული ფურცლები ბეპელებივით მოედება შიულ დარბაზს. უცბათ იცვლება ყველაფერი, სცენისკენ მიმართული ვურადლება ახლა უცვე ფარღება ბეპელებისკენაა მისწრაფებული. ხალხი წამოიშალა, ყველა ცდილობს ხერში ივღოს თეთრად მოფრიალუ ფურცლები. აგრ ვრთი მხარზე დაფინა გენერალს, ვილაკ კაცს მუხზე დაეცა, ვილაცს კიდევ ცხვირისმე აუფარფატდა; ფურცლები შიულოლეებსაც. პოლიციის უფროსმა უცბად მოიხარხა: გასცა ბრძანება ათრთოლებული ხმით. მაგრამ ვიღრე მოქმედება არ დამთავრდა, ფარღა არ ჩამოშვებს, ანტრაქტის დროს, როცა უცვე დარბაზი განათდა, დაფატრდნენ იქ მყოფი ოფიცრები და პოლიციელები, ხალხს ხელიდან სტაცებდნენ პრკლამაციას.

მათ თავზედურ ქცევას ერთმა მანდილოსანმა გასცა პასუხი: „განა თქვენი, წესრიგის დამცველნი, ვილდებული არ იყავით, პროკლამაციების გამმოყრამლე მიგვეციათ ყურადღება და ზომები მიგვლით? ახლა კი ჩვენ უფლება გვაქვს, წავიკითხოთ რა სწერია შიგ!“

ჩვენ აურ-ზურით ვისარგებლეთ. შიდალ კიბეზე დავეშვიით და სამშვიდობოზე გამოვედი.

როგორი აღფრთოვანებული მივედილი გოლოფონის პროსპეტზე. სიამაყით გვიფერდა გულო, მედიდურად შევესწროდი გაწვლულებს და ყველაზე ბედნიერი ჩვენი თავი ვგვგონა.

— რა სასაცილო იყო, ჰამლეტი ანრდილს მისდევდა, ამ დროს კი პარტიკრში ფურცლები ცვიოდა.

— რას იფიქრებდნენ ქალიშვილები, თუ ჰამლეტის მაგიერ მათ ვურადლებას ფარღება ბეპელები მიიქცევა? ცუდად დღე გაუთენდება ხელოპოლიციას...

შივლიდით და მივლაპარაკობდით.
— დიოქურდნენ ვინმეს ზომ იცი! — თქვა კამომ.

— უმჯებულა! ხომ უნდა უჩვენონ უფროსებს თავიანთი სიფხიზლე...

მეორე დღეს შევიტყუეთ, რომ იმ დამეს თერამეტი კაცი დაეტუსლებინათ და პოლიციამი წაეყვანათ.



რევოლუციურ მოძრაობაში სკოლის მოწა. ფეპიც ჩაერინენ, გარდა სემინარელებსა. რომლებიც უფრო ადრე ეტანებოდნენ მარქსიზმის

შესწავლას და არალეგალურ წრეებშიც დადიოდნენ, თანდათან ებმებოდნენ რევოლუციურ პარტიულაში. სამივე გინანზია ქალებისა და კაცებისა, სამსწავლებლო ინსტიტუტი, საფერწილო სკოლა, ტექნიკური სასწავლებელი, მიწისმზომელთა სკოლა და სხვები.

უცხალი თვლებით, გულისხმიერით უწრადლებით დადიოდნენ სოციალ-დემოკრატიულ ფარულ წრეებში და მზად იყვნენ შეესრულებინათ მათთვის შესაძლებელი პარტიული მუშაობა, — გაეგრეცლებინათ პროკლამაციები, მიწაწილეობა მიეღოთ დემონსტრაციებში, მოეტანათ შრიფტი სტამბაში და იქიდან წამოეღოთ დაბეჭდილი ბროშურა თუ ფურცლები.

აქაც კამო იყო მათი შემავაჭირებელი: წრეში პროკლამაციების მიწაწვანი, არალეგალური ლიტერატურის მიწოდებელი, ფურცლების გაეგრეცლებაში და დემონსტრაციებში მათი შემსრულებელი, მოწაფეების მიერ პარტიის დასახმარებლად შეკრებილი თანხის ჩამხარებელი და სხვადასხვა.

ათას ცხარისა სამი წლის 19 თებერვალს სრულდებოდა საგლეხო რეფორმის წლისთავი, ამ დღისათვის პარტიამ გადაწყვიტა მოეწყო ფართო აგრიტაცია და ლოზუნგებით გამოსულიყო ქუჩაში სადემონსტრაციოდ. მაგრამ 19 თებერვალი სამუშაო დღე იყო და ამიტომ დემონსტრაცია გადაიტანეს კვირისათვის — 23 თებერვალს.

დანიშნული დღისათვის კომიტეტის მიერ გამოშვებული პროკლამაცია კამომ მოწაფეებთან ერთად მოაქვინა თბილისის ქუჩებს და აშკარად ამცრო პოლიციას მოსალაგებელი დემონსტრაცია. პოლიციამ კი არ იცოდა, სად ჩატარდებოდა დემონსტრაცია, მაგრამ ჯამუშების წყალობით გაიგო, რომ იგი უნდა მოეწყოთ ერევნის მოედანზე, ან სადმე მის მახლობლად. ამიტომ 23 თებერვლისათვის ცხენოსანი კახაკებით აივსო ერევნის მოედნის გარშემო მყოფი ეზოები, რათა საპირიო დროს გამოეყენებოდნენ და სროლა აეტეხათ დემონსტრანტებისათვის.

საერთოდ, ასეთი გამოსვლების დროს ყველაზე ძნელი იყო მონაწილეთა ერთ-ოღვას თავმჯყრა და დროის აწევა.

ამ დემონსტრაციისათვის კამო აწყობდა შემდეგ გეგმას: მოწინავე მუშები უნდა მოსულიყვნენ მტრედებით, რომელთაც ფეხებზე უნდა ჰქონოდათ მიბმული წითელი ჩერები. დემონსტრაციის დაწყება მტრედების პატრში გადრენას უნდა ემცნო. ამ დროს ტროტუარზე მოსეირნე მუშები გადაეციებოდნენ ქუჩაზე და წითელ დროშასაც აწეიდნენ. შემდეგ გაემართებოდნენ გოლოვინის პროსპექტით.

სადემონსტრაციოდ მოსული მუშები ერევნის მოედნისა და პეტროვის ქუჩების ტროტუარებზე დადიოდნენ მაგრამ მათი შეგროვება და დროის აწევა ვერ ხერხდებოდა. ამ დროს კამომ დანიხა პეტროვის ქუჩით ქვევიდან მომავალი პროცესია, რომელსაც წინ შეე ფილონებში გაბეული მიც-

ვალბელის ნათესავ-ნაცნობები მოაყვებოდნენ. კამომ შეამჩნია თუ არა პროცესია, მყისვე ასეთი რამ მოსაზრა: ერთ მუშას სტუმრში დასილქული დროშა გამოართვა, მეორეს — წინააღმდეგობის უფლები ტარი, ზედ დროშა, ჩამოვიდა, ასწია და სამგლოვიარო პროცესიას გაჰყვა. მუშებმა შენიშნეს თუ არა წითელი დროშა, აქეთ-იქიდან იხუვლეს და მის გარშემო თავი მოიყარეს. კუბოს წინ მიდიოდა სამგლოვიარო პროცესია საეცესტურებიანი მღვდლებით, ტერმა-ლორმისა სიმღერით, სუბოს უკან — დემონსტრანტები წითელი დროშით. მათ გაიარეს პეტროვის ქუჩა, ერევნის მოედანს მიუახლოვდნენ თუ არა, მუშები მოედანზე გადაეციებდნენ და დემონსტრაციის შეწყვეტაზე გადამწყობდნენ.

პოლიცია ერთხანს დაიბნა. არ იცოდა, კახაკებისათვის ნიშანი მიეცა თუ არა. მალე გონს მოვიდა, — პროცესია უფროდ ინსცენირებულაო, მოგონილიაო და სტვენა იტება.

ცხენოსანი კახაკები ეზოებიდან გამოეციებდნენ. ცხენების ტყეებით შეეციებდნენ ხალხში, მათრახების ტლამატლუშით დაერვივნენ მათ. არ დაინდეს არც მღვდლები, — ამოკარჩხებულა ფილონებით და ჯერებით რომ გარბოდნენ, თავსააბნეულები. არც ჰირისუფლები, — განცვიფრებულნი რომ შედგნენ კუბოს გარშემო და ვერ ვაეგოთ, რაში იყო საქმე.

წითელი დროშა, ხელკეტაანი მუშებით გარშემორტყმული, სიერცეში ფრიალებდა. ცხენების თქართებრი, აურხაური, ყვარული, სირბილი აფრთვებდა იჭაერობას. ფილაქანებზე შექმნილი მოქალაქენი, განცვიფრებულნი უმჯერდნენ დემონსტრანტებს. ზოგნი — უფრო ახალგაზრდები — წითელი დროშასაცენ მარბოდნენ, მუშებს უეტოდებოდნენ. დროშის გარშემო ვაფთრებელი ბრძოლა კახაკებსა და მუშებს შორის დიღხანს ამ გაგრძელებულა. მალე აწეული დროშა, გერ აართოლოდ, მერე უცხაით ქვევით დაეშვა. შედროშემ მოასწრო (ამ დროს ის მალალსა და მძღავრ მუშას ცქარა ხელში) ტარადან მოხსნა, უბეში ჩაიღო. მუშების დახმარებით წრადან გავიდა, არეულ ხალხს შეერია და გაეწინარდა.

ხალხს ვაიფანტა მოედანზე ეყარა ქუდები, კეტები. ერთ მხარეს პოლიციელებით გარშემორტყმული დატუსაღებულები იდგნენ. მათ შორის ფილიანნი და კუნკულებაანი მღვდლები წვერებს აცანტარებდნენ..



პოლიმარი, მუღამი ხალისიანი კამო ქუჩაში რომ შეგხვდებოდა, უსათოოდ მოგივევობოდა, როგორ მოატყუა პოლიციელები, როგორი ხერხით გადაიტანა ფურცლები სტამბიდან კონსპირაციულ ბინაზე, ან როგორი აუბნია თავგზა ექნადარმებს.



... ამ დღეს შპიკი ამეღვენა, იმას ეგონა, არ ეიცოდი, რა შეილიც ბრძანდებოდა. მომდევნს, მათავლიერებს — აბა, რომელ სახლში შევაო. შეც მოვდივარ ჩემი კალათით, რომლის ძირში პროკლამაციები მიწვევია, ზევით კი — კერძები. უბაძე შევედი ერთ ალყაფში. ეიცოდი, ამ ეზოს მეორე ქუჩაზეც ჰქონდა გასასვლელი. გავფული კიდევ, იმან აღმათ იფიქრა, ახლა კი მივაგენი მის ბინასო. ქუჩის სახელი და ნომერი ჩიწერა. ამავე დამეს იმ ეზოში ეანდარებებს ბინები გაეჩხროკათ. დამიჯერე, — გამოთაყუნებულები არიან ეს ოჯახტორები, მაგათ, როგორც გინდა, როცა მინდა, მაშინ გავიცურებ"...

— კამო ბევრს ნუ იცეხნი! — ებტყოდი ხანდახან. ის კი შემოგვიტყვდა, დუღღუნით გვეტყოდა:

— თქვენა, შვილსა, რა გენადლებათ! მუშებთან, წრეში ორმოც წუთს ილაპარაკებთ, — მუშების გავფლუებზე, რვა საათიან სამუშაოდღზე, სოციალიზმის დამყარებზე და წამბოვით. ეგ არის და ეგ! ამა ერთი ჩემს შავ სამუშაოს გაუსინჯეთ კბილი, როგორია?...!

ამბობდა და თითქოს უკმაყოფილო იყო, რომ ის „შავ“ სამუშაოს ისრულუნდა, იმდენი ცოდნა და სწავლა არ შესწევდა, რომ მუშებში პროპაგანდა გეფილა, „თეთრ“ სამუშაოზე გადასულიყო. ის კი არ იცოდა, რომ მისი მუშაოა გაცილებით ძნელი და პასუხსაგები იყო, ვიდრე ჩვენი.

მას არ უყვარდა პალსტუხიანი, კაბინეტებში მომუშავე ინტელიგენტები.

— ეგ ობრები, ეგენი! ჩამქდარან თბილ ოთახებში, იქიდან გვასწავლიან ჰუკუს. ერთი პრაქტიკულად გვიანწონან თავისი უნარი, თორემა რა სარფაა! ქრისტემაც კი თქვა: „რწმენა უსაქმოდ უქმიაო“... სხედან და წერენ, სახელს იბეჭევენ. მუშებს კი არ ეყარებიათ ის კი არ იციან, რა კარგია, საქმეს რომ სრულად შოთათავენ, ამაყად რომ გაივლი, ოგრძნობ, რომ შენც შეგაქვს წვლილი იმ დიდ საქმეში, სოციალიზმის გამარჯვება რომ ეწოდება.

ზვენც რევოლუციური მუშაობა გეოტაცებდა. სასწავლებლებს ვტოვებდით. მშობლების წინააღმდეგ მივდიოდით. სწავლის მაგიერ მუშაოა მომარბამში ვებმოდიო.

ჯერ კიდევ ჰაბუტები ვიყავიო. დიდ საქმეს კი ვკოდებოდი ხელს. გული გვქონდა აღზნებული და იქ. სადაც გული და რწმენა განმტკიცებულა — მთები შეიჭრიათ...



მე და ჩემმა ამბანაგმა გიორგი ელისაბედაშვილმა კამოს დეიდასთან ერთი ოთახი ვიჭრათ. ვეთ საცხოვრებლად. არაუგადური პარტიული ლტერატურა ინახებოდა კამოს ერთ ჩემოდანში,

რომელიც კიბის ქვეშ ჰქონდა დამალული და, რომ არავის შეემჩნია, ზემოდან დაბოღვლულ შეშა ელავა.

ერთ დღეს, როცა ჩვენ შინ არ ვიყავით, ჩვენს ბინას ეანდარებები ეწვივნენ, გიორგი ელისაბედაშვილი მოიკითხეს.

— შინ არ არის! — უპასუხა კამომ.

— მაშ სად არის?

— სასადილოში წავიდა!

— გეცოდინება რომელში, წავიყვანე! — უთხრეს ეანდარებმა. ერთი მათგანი, შალალო, შწითური, რომელსაც მონღოლის სახე ჰქონდა, ისეთი მრისხანებით უტყუროდა კამოს, თითქო ეუბნებოდა, გვიჩვენე, თორემ შავი დღე დაგადგებოა...

კამო შეტრია, არ მოელოდა თუ მას ამ საქმისათვის გამოიყენებდნენ.

— აბა, რას დაგიღია პირი! — შეუყვიერეს დაღუმებულ, ფერმტრიალ კამოს.

— კი, ბატონო, როგორ არა! ახლავე! — უცბათ შეინძრა კამო, თვალები გაუბრწყინდა, თითქო ფიზილი, შორსმჭერტელი აზრი დემადა თავში. ქედღე დაიხურა. დედას გასძახა, — „აბა, შენ იცი! ესენი კიდევ დაბრუნდებიან!

დისწულის მოყვარულმა დეიდამ, სათნო იდამინამა იცოდა, სადაც ჰქონდა კამოს დამალული ჩემოდანი.

კამო დეზებთან ეანდარებებს გაუძღვა შუა ბაზრისკენ. ერთ სპარსულ სასადილოსთან შეაჩერა, — „აქ უნდა იყოსო“ — უთხრა. ეანდარებები სასადილოში შეცვიდნენ. კამო წინ წამძღვარეს. ჩამოარეს რესტორანი, ოთახებშიაც შევიდნენ, მაგრამ ვერ იმოყვეს, კამომ ისინი სხვა სასადილოში მიიყვანა, გიორგი ვერც იქ ნახეს.

გაცხარდნენ ეანდარებები. „თუ ჩვენი მოტყუება გავიზრბახეს, მის მაგიერად შენ დაგატუსალებო, შავ დღეს დაგაყენებთო. სანამ არ გვაპოვინებ, ხელიდან არ გაგიშვებთო“. — დაემუქრნენ.

ისევ უკან დაბრუნდნენ. „სად წავიყვანა ისევ აქ არ დაბრუნდებაო!...“ — თქვეს. ოთახის ჩხრეკას შეუდგნენ. კამოს არსად არ უშეებდნენ. ისიც არხებინად იყო, რადგან დეიდამ ანიშნა, ვუვლაფერი წესსარგებო.

ეანდარებმა მთელი ოთახი ვადაბრუნეს. რამდენიმე წიგნი და წერილი წასაღებად გვერდზე ვადაღეს. ჩხრეკა დაამთავრეს. მოწყინდნენ და მოღუმული ისხდნენ მაგიდასთან. გვიციდდნენ.

ამანოდან პირდაპირ ბინაზე დავბრუნდით. ეზოში რომ შევედიო, კამოს დეიდამ ხელებით და თვალებით რაღაც გეანიშნა, მაგრამ ვერ მივხვდიო. ოთახში პირკატა გვეცა, კარებშივე შევდქვით გაოცებულნი. ახლად მივხვდიო, რაშიც იყო საქმე.

— რომელია ელისაბედაშვილი? — გიორგი შეუყვამნდა.

— მე ვარ! — უთხრა.

— აბა, წამოდით! ლოგინი წამოდით!

ყველანი საბტად დაერჩით. „ლოგინი რომ მისთხოვეს, ალბათ სერაფიმულად არის საქმე“, — გაფიქრებო.

ქანდარმები ღეზების ჩხარუნით გავიდნენ ოთახიდან.

შემდეგში გამოირკვა, რომ ბათუმში, ცხრა მარტის დემონსტრაციის შემდეგ დატრუსალებულ სოსო გულაშვილს გიორგი ელისაბედაშვილის მისამართით მოეწერა წერილი, რომელშიც ამხანაგებს ავალებდა ჩასულიყვნენ ბათუმში და მისი დაწვებული საქმე გაეგრძელებინათ. ეს წერილი ხელში ჩაეარდნოდათ ქანდარმებს. როცა ელისაბედაშვილი ჩაუყენეს ბათუმის ციხეში, სოსომ მოახერხა გიორგისათვის ენიშნებინა „მე შენ არ ვიყნობო“. და ორივემ უკნობის როლი კარგად გაითამაშეს. მალე სოსო გულაშვილი გადაასახლეს, გიორგის კი ვერაფერი დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს.



ერთ დღეს კამო გაცხარებული შემოვარდა ოთახში. საფეთქელი გამალებით უცემა. შემოვიდა თუ არა, გაბარბუვით თქვა:

— ზოგ ინტელიგენტს ჰგონია, რომ ისაც რევოლუციონერია, ისაც მებრძოლია!

— რაშო საქმე, კამო! რა მოხდა?

— თუ ვინმე ინტელიგენტი დაიჭირეს, — განარძობდა კამო, — მაშინვე მონანიებას დაიწყებს. მაშა აბრამის ბატკანოვით მიწყნარდება, გაატრუნება. მას ან ბიძა, ან მამიდაშვილი ეყოლობდა სადმე დიდი მოხელე, მეფის ჩინოვნიკი, რომელიც მისი განთავისუფლებისათვის ყოველ ღონისძიებას იხმარს: გუბერნატორთან მივა, ეტყვის, „ჯერ ყმფვილია, შეუგნებელი, ქაუაზე მოვა, ინანებს. მე თვითონ მოყველი, გთხოვთ აპატიოთ...“ თავდებადაც დაუღვება. მუშის ქომაგი კი ვინ გამოინდება?... არც უნდა! ის იბრძვის! საკუთარი ძალით გამოარჯევს! მართლაც რომ „ბრძოლაში მხოლოდ ხუნდებს დაკარგვს, სხვა არაფერს“...

— მართალია, კამო, მართალია მაგრამ თქვი ბარემ, რა მოხდა, რამ გაგაცხარა...

— უ! რა ბიჭია, ზაქრო ზოდრიშვილი, რომ იტოლეთო? თქვენ იმას არ იცნობთ, მე კი მრავალჯერ შემხვედრია.

— ჰო, თქეო, არ იტყვი, რა ქნა ჩოდრიშვილმა?

— მეტეხის ციხეში ამხანაგები პოლიტიკურ ეკონომიას მეცადინებოდნენ, წიგნებს კითხულობდნენ. ზედა საყანი ქვედას ელაპარაკებოდა, ძაფით ფანჯრებიდან წერაილებს უშვებდა. პოლა, ციხის აღმინისტრაციამ, ფანჯრებზე ფიციტები ააჭრა, საყანი დააბნელა და წერილების გადაცემაც მოსპო. ერთმანეთში ურთიერთ-

ბის კავშირიც შეწყდა. ეს შეურაცხყოფა პოლიტიკურებმა ვერ იტანეს. ზაქრომ პირველმა გამოიჩინა... როგორ უნდა ეთქვა „სწორედ“...
— ინციტატა! — მიეწოდებო.

— ჰო, ინციტატე ხელში აიღო წინადადება შეიტანა, ყოველ საყანში აღმინისტრაციის მფერ გაყეთებული ფიციტები დაემტვრიათ, გადაეყარათ. — ინტელიგენტებმა კი ყოყმანი დაიწყეს — „მოვიცადოთ, ჯერ გამოვეცხადოთ, ეთხოვოთ. გუბერნატორი დავიხაროთ, მოველაპარაკოთო“... აჟიციყდნენ, მაგრამ ზაქრომ თავისი გაატანა „რევოლუციონერები ციხეშიც მებრძოლი უნდა იყვნენ. მოლაპარაკება საქმეს არ გააკეთებს. აბა, ერთი დაცხობთ, ფიციტები დავამტვრიოთო!“ პოლა, გადაწყდა. ნიშანიც იმას უნდა მიეცა. ზევითა და ქვევითა საყნები მზად იყვნენ. ნიშანს ელოდნენ. ერთ დილას ყველგან ფიციტების მტკრევა დაიწყო, აღმინისტრაცია ფეხზე დადგა. მტკრევა შეაჩერა, დაუწყო ფიციტები ისევ ააჭრა. ტრუსალებმა ფიციტები კიდევ ჩამიტვირთეს. გუგუნო, ყვირი და ბრძოლის ხალხი ცეცხლმოყიდებულ ბურბუმელასავეთ აპრიალდა საყნებში. საქმეში გუბერნატორიც ჩაერია... მაგრამ მუშებმა მინც თავისი გაატანეს. აი ნამდვილი ბრძოლა ეს არის!..

— სწორეა, კამო! გაუმარჯოს ბრძოლას! — შეეძახებო.

ჩვენ ჯერ კიდევ არ გავგნებუბოდა ეს შთაბეჭდილება, როცა კარი გაიღო და ოთახში მიხა დავითაშვილი შემოვიდა.

— გამარჯობათ! გამარჯობათ! — მოგვესალმა. საყანი შევთავაზებო.

ჩვენ ვიტოვებო, რომ ის სოსო გულაშვილის სკოლის ამხანაგი იყო და ახლაც მასთან მეგობრობდა, ზოლო, როდესაც სოსო ბათუმში წავიდა, დავითაშვილი თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობამ დატოვა. მე მას სემინარიიდანვე ვიცნობდი: ფრიან ნაქთიხი, ნიჭიერი და გონებადასხელი იყო. ამხანაგებში გამოირჩეოდა, იცნობდნენ როგორც მაღალი ზნეობის ადამიანს, მუდამ მიღებული, ჩაფიქრებული დადიოდა, შავ წვერულვაშიანი. პირველად რომ შეხედავდი, არ მიგიზიდავდა. ხოლო როცა გაეღიმებდა, წაიხლანდა და თეთრ კბილებს გამოაჩენდა, თვლები გაუბრწყინდებოდა, გულკეთილად შეგ მოხებდავდა და უნებლიეთ მოიხიბლებოდა. მისი ვიწრო თვალები, მოციმციმე ვარსკვლავით ჩავეჭობოდა მხედველობაში. თუ რაიმე სიყვალბეს შეგამჩნევდა, არ დაგინდობდა, გამხელდა, ნიღბს ავხდიდა. მაშინ მისი თვალები ღურსმინითი დაგესობოდა.

დაჯდა თუ არა, კამოს მიმართა.

— სწორედ შენთან მიქვს საქმე, კამო, ხომ იცი, სოსო დაჭერილია და გადასახლებული. ბათუმის პარტიული მუშაობა რომ არ შეგუბდნენ, კომიტეტის დავალებით შენ, გიორგი და დავა ბათუმში უნდა გაემგზავროთ. მისო ბოქორიძესთან შევარე: ლიტერატურას, რომელიც შენა



გაქვს, შეაგებებ ახლით და დაუყოვნებლივ წახალ. ვეღაფერს მიხი მოგეცე. ფულსაც და მისამართსაც. მე ხვალ მივდივარ, თქვენც ამ ორ დღეში გამოემგზავრეთ. პა? რას იტყვიან?..

— არაფერს, წამოვალთ! რად გვინდა ლაბარაქი!

— მე რომ დავალებული მაქვს გორში პროკლამაციები გაავრცელო? — თქვა კაშპი.

— როდის?

— ხვალ უნდა წავსულიყავი!..

— პოლა, წადი! მეორე დღესვე დაბრუნდება და წამოხვალ კიდევ! მამ, ისე! გადაწყვიდა.

— გადაწყვიდა!..



გადაწყვეტილებამ გული აგვიძვრა. ჩანს გვაფასებენ, რომ ბათუმში გვაგზავნიან. ბათუმის მუშებს გავეცნობით, ზღვასაც ენახეთ! — სოსოს დაწყებულ საქმეს გავაგრძელებთ! წლებადღელ პირველ მისობასაც იქ გადავიხდით.

წასასვლელად ვემზადებოდათ, ორი დღის შემდეგ კაშპი გორიდან დაბრუნდა.

ვეცამბო გორში ჩასვლისთანავე როგორ მოძებნა სიკო ალიშბარაშვილი, ეფრემიძე, ცერკვაძე და სხვები. მათი დახმარებით გაავრცელა პროკლამაციები, მოფანტა ეზოებში, ერთი ქალაქის ცენტრში — ოქონის ეკლესიის კედელზე მაკრა, ოქონა ხომ გზავჯავრდინებია, ყველამ აქ უნდა გაიაროს — სოფლიდან ჩამოსულენამაქ გორის მცხოვრებლებმაც ვეღაზე შეტე მუშტარი ამ პროკლამაციას ეწვია გაივილიდნენ შეთევვებები, შედგებოდნენ, შექუჩდებოდნენ, კითხულობდნენ. ზოგი ხმა მალა, ზოგი თავისთვის. ერთმანეთს ეჯახებოდნენ, შეჯღუჯუნს კრავდნენ, თეთრად მოელვავებ პროკლამაციისაკენ მიიწვევდნენ.

საიდანღაც პოლიციელი გაჩნდა, შეკრებულ ხალხს რომ შეხებდა, თვალები გადამოკარკავა. კედელზე გაკრულ პროკლამაციას დააკვირდა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე. უცებ მორტიალდა, ხალხს შეუფერია — *разомьдучь, а то шашкoл разгоню!* — ქარქაშინი ხმალი მომარჯვა — ზოგს ხმაღს არტყამდა, ზოგს შეჯღუჯუნს კრავდა, მაგრამ ისინი მაინც არ ებუებოდნენ, არ იშლუებოდნენ. პირიქით, თანდათან ემატებოდნენ, იცინოდნენ, ხარხარებდნენ. პროკლამაციას ხმალი კითხულობდნენ. რომ ევლარაფერს ვახდა, სსტეფანი ამოიღო, პირში ჩაიღო, ლოყები გაბერა და რაც ძალი და ღონე მქონდა, დაუსტვინა. სტენანზე ორი გოროდოვით მოვიარდა. შექუჩებული ხალხი რომ დაინახა, ორივემ ერთად დაიძახა: — *разомьдучь!*

დაშხდურმა კედელზე გაკრულ პროკლამაციაზე უჩვენა.

— რა უნდა ექნათ? —

— უნდა დავხიოთ! —

— ახა როგორ შეიძლება! განგარგულუნა! რომ არა გვაქვს!

— პოლიციებისტერს უნდა შევატყობინოთ!

— მართალია იმან უკეთ იცის, როგორ უნდა მოვიტყუოთ!

— მიტრუხა, წადი შენ! ჩვენ აქ დავრჩებით!

ერთი გოროდოვით გაექანა. დარჩენილი ორი კედელზე თეთრი ლავაშივით გაკრულ პროკლამაციის წინ დადგა. ახლო არავის აკარებდნენ. მაგრამ დახურული ბაზრიდან ჩამოსული ბიჭები თავისდა, არ იშლიდნენ.

— ბიჭო, რა ამბავია! რა წერია იმ ქალაქში? — იეთხავდა მონსული.

— რა წერია და მეშები და გლეხები უნდა შეერთდნენო! ერთად უნდა იბრძოლონ მეფის წინააღმდეგ!.. ძირს თვითმპყრობელობაო! დამფუძნებელი კრებას ვაუმარჯვოსო! სოციალიზმს ვაუმარჯვოსო!..

— ეე! სულ სოციალიზმის ბრალი კია, ეს ამბავი, აი!

— მამა! მამა! — ლაბარაკობდნენ ნაპირში მდგარი სოფლებიდან სამუშაოზე ჩამოსული გლეხები.

გორული ბიჭები კი ანკობდნენ, — უვიოდნენ: „მიგბარა, მიგბარა!“.. შეიქნებოდა კიდელი, ნჯღრევა, ბღლაქენი.

ვინ გინდა, აქ არ იყო — დახურული ბაზრის ბიჭები, მასწავლებლები, მედროგები, ბაყლები, შეწაღები, დოლბანდები და სხვები.

შეკრებილთა გრავა მიტიანგს ემსგავსებოდა. მის უკან დროგები და ეტლები იდგა. მიეღი ქუჩა დაკავებული იყო. ხალხი მჭიდროდ შეკრული მსრებთი ერთმანეთს აწვევოდა.

უცხად ეტლი მოგრიალდა. შორს გაჩერდა. ერთმანეთიანი პოლიციებისტერა ვადმობტა. შექუჩულმა ხალხმა გზა მისია. მან კედელზე გაკრულ პროკლამაციას მოავლო თვალი, გოროდოვებს შეუტია.

ეს რა ამბავია! რა უჩინდაბას უცდით! რას აეთებთ?..

— აი, თქვენო აღმატებულებავ! — უჩვენეს პროკლამაციასზე.

— შერე, თქვე უტვიროებო, ვერ მოხავთ, რომ ამდენი ხალხი შეკრებულა და კითხულობს?..

— თქვენს გაეკარგულუბას ეუცდილით, თქვენი აღმატებულებავ!..

ახლავ მოვლავით, მოგლიჯეთ! — ტქვე არაშხადებო!..

მაგრამ თითქო მათ უბერზე, ისე მაგრად ჩაკეროდა პროკლამაცია კედელს, რომ მოცილებდა არ ხერგდებოდა.

— ხმლებით! ხმლებით აფხიკეთ! — შეუძახა პოლიციებისტერმა. ქარქაშიდან ამოღებულნი სამი დაქანგებული ხმალი პროკლამაციას ეძგვრა. ფურცლის ნაწილები მაინც რჩებოდა..

ბრბო ხარხარებდა.. თანდათან იშლუებოდა. აბრავინდნენ დროგები და ეტლები. ქუჩა დავა-



ლიერდა. კედელზე მიიწე ემწეოდა ფერცლის ნაკეაღევი.

ისე ვაჰყვლია გზა პირველმა პრაკლამაციამ გორში.

ბათუმში ყველაზე ადრე მიხა დავითაშვილი და მე ჩავედით. ბარცხანაყანებში ერთი მუშის ოჯახში დავსახლდით და, რომ უფრო ახლო ვყოფილავით მუშებთან, როტშილდის ქარხანაში უბრალო მუშებად მოვეწყეთ. მთელი დღე მათთან ვმუშაობდით. დღში თვამეტ შაურს ვიღებდით. საცხოვრებლად გვეყოფნოდა. ორჯანი-ხაციას აღარ ვაწუხებდით.

ხშირად გვიოქვამს, — თუ გინდა ნამდვილი პროფესიონალი რევოლუციონერი დადგე — მუშა უნდა ვაზღე, მათ ყოფა-ცხოვრებას დაუახლოვდე. აუხსნა ბრძოლის საკურობა, მეღის ტანტის დამზობის აუცილებლობა, სოციალიზმის გამარჯვება. ჩვენც ქარხანაში ამტომ მოვეწყეთ. დიანს საყვირის ხმაზე ადრე ვდგებოდით, მუშურ ტანსამოსს ვიცვამდით და სამუშაოდ ვემუერებოდით.

ბათუმის მუშათა მოძრაობა იმზანად ტყის წყაროს წაგაგდა — მიწუნარებულ დაბურულ მთაში რომ მოჩაყარებეს, მიღამოს ახმაურებს, აფხიზლებს. ცხრა მარტის სისხლიანი კვირის შემდეგ, როკა ჩამდენიმე მოწინავე მუშასა და სარო ჯვღაშვილს ციხეები და კატორღები მიუ-საჯეს, ნელი წყნარი მუშაობა სწარმოებდა მუშებში.

კამოს ჩამოსვლა მუეგვიანდა, ხოლო ჩამოვიდა თუ არა, თავისი ლიტერატურით იქვე სად-გურში დაატუსაღეს.

ჩვენი ბინის პატრონი, მოწინავე მუშა ამბაკო, პირველ ხანებში ნახულობდა ხოლმე კამოს, მაგრამ ბოლოს მიივიწყა აღარც ჩვენ გვეცალა მის სანახაუდ. ვადიოდა თვეები.

ერთ დღეს, მუშაობის შემდეგ, აივანზე რომ ვიჯავით წამოყოლიდა, ამბაკო კიბზე ახოვარდა, სიხარულითა და აღტაცებით გუაწუყა: „ხომ იცი, კამო ციხიდან გაქცეულაო!“

— რაო? როდის? როგორ? —
— დღეს! აგერ რამდენიმე საათის წინ!
— შერე, სად არის? როგორ არის?
— თურმე პირდაპირ ვადმოვლებოდა ციხის ვალავანს, ძირს რომ დაეცეოდა, ადგომა ძლივს მოუხერხებია. ახლაც ტყეოა თეძოები, ხომ იცი?..

— შენ სად ნახე? როგორ გაიგე? — შეე-კითხა მიხა დავითაშვილი.
— წაგნები არ გამატანე იმისას!.. ჩვენი ეველი რომაა, ხომ იცი, ნიყო მიმინევილი? დავიკვე ზარი, მარა რაცხა დიდ ხანს არ მიღებენ... ხომ იცი! კიდევ დავიკვი როგორც იქნა ვადლო კარი.

— შენ ყოფილხარ? მომიძახეს, — ჩვენ კი გუ-ლი გავიხუთქეო...

— რატომ-თქვა — ვციხებ. **გარკინეული გიზლიროთქაა**

— რათა და აა!
— გამიყვანეს საცხა მივარდნილ ოთახში და, — აგერ ვხედვე ატრულ კამოს კუთხეში. ხომ იცი, ჯერ რაცხა მოჩვენებასავით მომელანდა. „ბიკო, კამო! აქ რა გინდა-თქვა!“ — შევძახე. „აბა თქვენი იმედი რომ მქონოდა, კარგ დღე-შიც ვიქნებოდიო!“ — აღდღუნდა კამო, ხომ იცი!.. — როგორ გამიოქეცა ციხიდან-თქვა.
„ამას მერე მოგიყვები! ეგრე უნდა, დამივიწყეთ და არ მინახულეთ ციხეშიო! — მისაყვედურა, ხომ იცი! — ახლა მინაც გაინძერით. ბათუმიდან გამიყვანეთ უფნებელიო!“

— კი, კამო! რავა არა! რასაც დამავალეხ, ვეღაფერს შეგისრულე-თქვა — ვუთხარი.

ექვილის ოჯახობა შეწუხებულა, ხომ იცი, აწიოკების ემინია, „რა დღეში ჩაგეაგლო კამომ. არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, გვიშველე რამეო — შემოიწვიელს. მეც პირთა მივეცი. დამ-ნელდება თუ არა, ჩვენსა უნდა ვადმოვიყვანო, ხომ იცი!.. ჩოხა-ახალეხი უნდა ვემოგო. მუ-ღამისას რომ მატარებელი მიღის იმით უნდა გავსტუმრო.

დაღამდა თუ არა, ამბაკო კამოს მოსაყვანად წავიდა. ოთახში ვისხედით და ველოდით. სმენა ვამახვილებული გქონდა. ფეხის ხმა არ ისმოდა. „ვით თუ, ისიცი და ამბაკოც დაატუსაღეს?“ — ვფიქრობდით. ხშირად მივადგებოდით კიშკარს. ერთმანეთისთვის ვერაფერი გვეოქვა. შუა ღამე მოახლოვდა, ისინი კი ჯერ არ ჩანდნენ.

უტბან კარი გაიღო. ოთახში შემოვიარდა ამ-ბაკო, მას უკან მოჰყვა ჩოხა-ახალეხში გამოწყობილი კამო, წვეარ-ულგამ ვაპარსული. ჩვიდმეტი წლის ვახუეს ჰეაგდა. წელზე შემოკირებულ ქამარზე ხანჯალი ეკიდა, მოსვლისთანავე კამომ გინება დაგვიფყო, — „რატომ ციხეში არ მნახუ-ლობდითო“. აღდღებულ დიდიოდა, ხან შედგე-ბოდა. ხანჯლის ვაღას მაჯით დააფეხობდა, ხან მოატრიალებდა, ხან ყირაზე დააყენებდა, ჩოხის ვანიერ სახელოს გამოდებდა. კაცო ვერ გაიგებ-და — ხანჯალი აწელებდა მას, თუ ის აწელებ-და ხანჯალს.

— ისე მოდიოდა ჭუნაში, ეს ოჯახტორი, ხომ იცი, თითქო აქ არადერი მომზდარაო. ბიკო, თავი დაღუნე-თქვა, ვეტყობი, — ამ ხალხს პირდა-პირ ნუ ვეველები-თქვა. შარა, ამ! შენც არ მო-მიყვე! გარბის, მილაპარაკობს: აღარ იქნა საშ-ველი, ხომ იცი!.

— აბა მვეღარს დავემსგავსებოდი, შენ ნუ მო-მიყვებდი! — დუღუნებდა კამო.

კმაყოფილსა და აღტაცებულ კამოს თვლებში შუქი უციოლებდა. სიარულის დროს თეძოზე ხელს მოისვამდა, სახე დაეჭმუნებოდა.

ამბაკოს ღელავდა, კამოს შესტყვროდა, ხან დიდაკოს მუერაგდა, ხან საფელოს ვალსურ-რებდა.

კამოს დაბალსა და მსხვილ კისერზე, მაღალ და ვიწრო საყულო უჭერდა. ყელს უხეხავდა. ხშირად საწვევებელ თათს შემოავლებდა, გასწევდა. ვაგანიერებდა, მაგრამ ეს არ შველოდა. საყულო მაინც აწვავლებდა.

— აბა, ახლა მოყვე, როგორ გამოიქეცი ციხიდან, — მიმართა მიხამ.

— დაიწვე, რაღას უციდი? — დაუმბატა ამბაკომ.

— მოიცა, შე კაცო, შევიტოვე სული! არ დამაიღო? — წაფიქრულა კამომ. მას ჯერ უნდოდა გაეგო, ვინ იყენენ იმეამად ბათუმში მომწამევე ამხანაგებიდან, როგორ მიდიოდა პარტიული მუშაობა, მოწყობილი ჰქონდათ თუ არა სტამბა, დაცემირებული იყვნენ თუ არა თბილისთან და სხვა.

— ჩემი ამბავი, შვილოსა, რა... თუ ვგრე ძლიერ გაინტერესებდათ, რატომ არ მნახულობდით ციხეში?

— შარიალია, კამო, მაგაში დამნაშავენი ვართ! — გეთანხმებით.

— თუმიცა, იქნებ ვგრეც ჯობდა, თორემა თქვენთვის რომ ჩემი ვაგნისხევა გამეზიარებინა, შეიძლება ხელიც შეგვეშალათ. აი, ესაო, ისაო. ძნელიაო, მოუჭერხებელიაო, თავს დაიღუპავო. მეც გულს ამიყრებდით. საჭმე კი იოლად გაკეთდა. თავიდანვე ვფიქრობდი გამოქცევაზე, ამაზე ფიქრი წუთითაც არ მიმიტოვებია. რადგან მაკებდა, ექიმმა ნება მომეცა, დიდილობით ეზოში შესეირნა. ჩემი ყურადღება გალაგანისკენ იყო მიპყრობილი. ვაკვირდებოდი მოდარაგე სალდათების საბურღს, რომელთაგან ერთი გალაგანის კუთხეში მიდიოდა. იქ ცოტა ხანს მივიმალებოდა, ისევე უკან გამობრუნდებოდი. ხიშტიანი სალდათი ცახის შიგნიდანაც დადიოდა ეზოში, ისიც იმ კუთხეშივე მიდიოდა, ისევე უკან ბრუნდებოდა. საჭირო იყო ორივეს ერთსა და იმავე დროს შეგხვიათ კუთხეში, რომ გალაგანის მოსცილებოდა დარაგების თვალს.

— მერე, გალაგანი რომ მაღალია? — შეეკითხა ამბაკომ.

— ვინმეს უნდა ეჭურგულა. ხელს მოვავლებდი გალაგანის თავს და გადავტყებოდი ქუჩაზე. — მერე, იმ სიმაღლე გალაგანიდან ჩაბტომა ძრელო არ იყო?

— მაგაზე არ ვფიქრობდი. ყველაზე ძნელი ის იყო, რომ ორივე დარაგს ერთდროულად შეეხვია კუთხეში. ზოგჯერ ისე ჭლებოდა, რომ ერთსა და იმავე დროს კი მივიდიოდნენ, მაგრამ ერთი ცოტა აღრე გამობრუნდებოდა, მეორე — ვერა. რამდენჯერ ვაგეცრუებია იმედი. ასეთი გულისტკეზა რამდენიმე დღეს ვაგრძელებდი. ამხანაგები შეუბნებოდნენ, — „დაინებე მაგ ოცნების თვალს“... მაგრამ მე სულ ველოდი. ვიცილი, რომ როდისმე იმედი ამისრულდებოდა, „ესა-თელად მოხდება!“ — ვამბობდი და მოხდა კიდევ!...

სეირნობაზე ჩასვლის დროს ამხანაგებს უკ-

ველთვის ვემშვიდობებოდი. ისინი დამეცინოდნენ, კეთილგზავრობას მისურვებდნენ. ცრუმორწმუნესავით სიხშირებს ვაქცევდებოდი. მარჯვენა თეხზე ვდგებოდი. მაგრამ არაფერი მშველოდა.

— პო! გეყოფა! ახლა თქვი, როგორ გათავდა!

— იმ დღეს სალდათები სულ არეულად დადიოდნენ. პარტირებმა ახტურმა გავმართეთ. ერთმანეთს ვაბტებოდით და თან დარაგს ვემშურდით. დარაგი მივიდა კუთხეში, ზევიდანაც თეთრი ცხვირისახოცი აფრიალდა. აფრიალდა და ჩემი გულიც აჭერდა. — „ან ახლა ან არასოდეს!“ — გაიფიქრე და... „აბა, ბიჭებო, მიზურგულეთ!“ — დავიძახე. უცბად ერთ-ერთს ავახტი ზურგზე, გალაგანს გადავედი, მეორე მხარეზე ზღარითანი გადავინე. წამოდგომა გამიძნელდა. მიმოვიხედე და ჭუნა გადავიბრუნე, დინჯად გავეყვი ფილაქანს. ყოველთვის თან ვატარებდი პატარა სარკეს, ამოვიღე და ჩავიხედე; ფერი აღარ მხედა. დავიხილე ლოკები, რომ ცოტა ფერზე მოვსულიყავი და გავიწორე ტანისამოსი. იქვე ზღვის პირას ბაღში შევედი. სკამზე უღროდ დავეშვი. ცოტა სულა მოვიტოვე. ჩემს გვერდით პატარა ბიჭმა გაიარა. ეთხოვე — ბიძია, ახად ვარ, გაიქეცი ერთ ამბავს მოგცემ, ეტლი მომიყვანე-მეთქი... მალე მოგრიალდა ეტლიც. ჩვენი ვეელების მისამართი ვიცილი და... შემდეგ ზომ თქვენს იცით!

კამომ საყულოში თათი ჩაიღო და მოზიდა.

— გიჭერს, კამო? — შეეკითხა ამბაკომ.

— გამხმარ ტარანივით ხართ, შვილოსა, ეს იმერლები, აბა, თქვენი საყულო მე რას გამომაღვება!

— კამო, შენ ახლა თბილისში წახვალ, მაგრამ ძალიან ფრთხილად კი უნდა იყო. ვაგიძნელდება მუშაობა! — უთხრა დავითაშვილმა.

— როცა მაგათ კიდევ ხელში ჩაეუქარდე, თავინათ თავს დააკეცონ. ისე ავუნებე თავგზას, რომ ერთი ხუთად მოეჩვენათ. ახლაც ჩემი მომპირინების ბრალი იყო, თორემ... — თორბე რა?

— რა და, ქუთაისში რომ ვიყავი, ახალი კოსტუმი მივიღეს; ნამდვილ ჯენტლმენს დავემსგავსე. ვიფიქრე — ასეთ გამოწყობილ ტანისამოსში როგორ გაბედავენ განდარმეები ხელის მოკიდებას-მეთქი, საღვრზე რომ გადავივდი, ფული დამეწანა. მუშა არ ამიყვანია, მოვიკიდე ზურგზე ჩემი საბაღე და გამოვიწვი. თორემ განდარმეები ამდევნებინან, ერთმა გამაჩერა. გასინჯა მარტი და რომ ნახა, ქაღალდები მიმჭონდა, პოლიციამი წამიყვანა. გზაში ფული შევიძლიე. გერ თხუთმეტი მანეთი, მერე ოცი, ბოლოს კი სულ რაც მჭონდა — ოცდათხუთმეტი მანეთი, ენდარმემა ფული არ მიიღო, პოლიციას გადამცა. ჩემი ცემა უნდოდით, მაგრამ ყვირილი მოვრეო. თავი დამანებეს.

ლიტერატურის გარდა მჭონდა მტრად სახიფა-



თო წერილი. მაგიდაზე რომ გამაღეს ჩემი ქა-
ლადები, იქვე ვიდექი, ის კი მოეახერხა, რომ
წერილი მოვიბარე და გადავუღაპე. მერე ხომ
იციტო ჩემი აშხავი.

კამო იმ ღამესვე გაეისტუმრეთ თბილისში.
მატარებლის ფანჯრიდან გვეშვიდობებოდა
კამო, — მისი მოღიშნული კმაყოფილება სახე, გა-
მარჯვებულის იერი, მზინიანი დიდრონი თვა-
ლები, სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს სსოვნაში.

• •

კამოსაგან თბილისიდან ერთი კვირის შემდეგ
წერილი მივიღე, იწერებოდა — „შვიდობით
ჩამოვედი. თბილისს რომ ვუახლოვდებოდი,
რალაც საეკლესიო დღეობიდან ქართული თავი-
დაშვილები ბრუნდებოდნენ, ნასვამები იყვნენ
და ქვიფის ზურნით ავრთვებოდნენ კიდევ. მთე-
ლი ვაგონი მათ შესტყვროდა. მეც მათში ჩავე-
რთე. თავი იმერულ თავადშვილად გავაცანი-
ე (მე ხომ ჩიხა-ახალუბი მეცევა) დიდი პატივით
მიმიღეს. ზურნას მეც ეუკრავდი. თბილისის
სადგურს რომ მივუახლოვდი, რათა თავი და-
შეძვრინა და მათ არ გავყოლოდი, ერთ თავადს
ვუთხარი, ვერასკვნით ვერ გაავლით მთელ ბა-
ქანს ზურნით-მეთქი“. ეტყეს ბოთლ ღვინოზე
დაენამლევდი.

მართლაც, ჩამოვედი თუ არა ბაქანზე, თა-
ვალმა ზურნა წაიშლევრა და სადგურის წინ
ქვიფითა და ღრიანცლით გაიარა. მე კი ვისარ-
გებლუ არეულობით. შეუშინეკლად მეორე მზა-
რეს გავედი. დავიჭირევე გტლი და მივიძალე.
ისინი კი ალბათ კოხბელობდნენ, რა იქნა
იმერული თავადიო!...

— რომ იწერება, ზურნას ეუკრავდიო, რა
ზურნის დამკერველი ვეგა მვავს! მერე, ის მოქვი-
ფერი თავადები კი არ იქნებოდნენ, ალბათ გა-
ქვეტულა აზნაურები იყვნენ, თქვა დავითა-
შვილიძე.

მათელში მუშაობა გრძელდებოდა, მაგრამ რაც
დრო გადიოდა, გატაცებას რომანტიკა ეკარგე-
ბოდა. ვიღლებოდით, ვიქანცებოდით. წიგნების
კითხვას ვეღარ ვასწრებდით, ცოდნას ვერაფერს
ვიძედით. ასე გაგრძელება შეუძლებელი ხდე-
ბოდა.

სუსტი აგებულების მიხა დავითაშვილი მუშა-
ობას ვეღარ იტანდა, ხშირად ავადმყოფობდა.

ერთ დღეს სამუშაოზე შეღარ წაშთვიდა. შინ
რომ დავბრუნდი, ახლო მიიხიშო და მითხრა:

— იცი, რა? მუშაობა აღარ შემიძლია! აღარც
შენთვის იფარგებს ასეთი ცხოვრება. ქარბანაში
სიარულს თავი უნდა დავანებო, სწავლა უნდა
გავაგრძელოთ, თორემ! ჩამოვარდებით, ვეღარც
მუშას ვამოვადგებით, ვეღარც ჩვენს თავს. ჯერ
კიდევ გვაქვს უნარი, შევიძინოთ რამე, უნდა
საზღვარგარეთ წავიდეთ როგორმე. იქ მოვიშა-
ლებით და მუშებს უფრო ვამოვადგებით.

— განა მეც არ მიფიქრია მავზე? განა გუ-
ლის სიღრმეში მდამ არ მიღვივებდა? განა
მართლაც, ცხოვრება ხომ წინ წიღის? რა უნდა
ვუთხრაო მუშას? რაც ვიცოდით, ამოვწერეთ.
რეკლუციური მუშაობისათვის მართო გატაცე-
ბა არ ქმარა, იგი ცოდნასაც მოითხოვს.

მაღე დავანებეთ მუშაობას თავი, მშობლები
დავარწმუნეთ, რომ ჩვენთვის აუცილებელი იყო
სწავლის გაგრძელება. იმათაც ეს ტყუაში და-
უჯდათ. იფიქრეს, — სჯობს საქმე როგორმე
გავიჭიროთ, ოღონდ ესენი ამ დამლუპველ გზას
ავაცილინოთ. იქიდან დაბრუნებულნი, მუშებ-
თან აღარ მივლენ. ოჯახს გამოადგებიანო!...

• •

ორი თვის შემდეგ შემოდგომაზე უკვე ლიფ-
ციეში ვიყავით. უნივერსიტეტში ესწავლობ-
დით. თან რუსეთის სოციალ-დემოკრატიული
მუშათა პარტიის დამხმარე ჯგუფში ვემცადინე-
ობდით.

თითქმის ორი წელი გავიდა.
გაზეთებიდან გვაფეგ, პეტერბურგის მუშებმა,
ვინმეს გამონის მეთაურობით, თავი მოიყარეს და
მეფხებთან პეტტიკით წავიდნენ — მუშაობის აუ-
ტანელი პირობების შემსუბუქება და სიტყვის
თავისუფლება მოსთხოვეს. მან კი ისინი ჯარის-
კაცებს დახვედრინა.

მთელი კვირის განმავლობაში ენერგიულბ-
დით, მაღე ერთმა ნაენობმა პეტერბურგიდან
წერილი მიიღო. გამოირკვა: მუშები ცოლებით,
შვილებით, ხატებით მისულან მეფესთან, მეფეს
კი მათთვის ტყვია დაუშვენი.

მეორე დღეს მოეწყო სტუდენტთა საერთო
კრება, დარბაზში ტყვა არ იყო ისმულა ძახი-
ლი. „ძირს თეთიშპურაბელობა! ძირს მეფე!
გაუმარჯოს რევოლუციის!..“

გამოლიოდნენ ორატორები:
„მუშებთან ერთად — ბარიკადებზე!.. ბარიკა-
დებზე!.. წიგნები გვერღზე გადავლოთ! რა დროს
სწავლა!.. თოფი ხელში ავიღოთ! ცარიზმი და-
ვაშობო!.. ბარიკადებზე! ბარიკადებზე, აშხანა-
გებო!..“

და უტბად მოვარდნილი ნიაღვარივით მო-
იწევა დარბაზს აულევებელი ხმები ინტერნა-
ციონალისა.

„ბარიკადებზე! ბარიკადებზე!“ — კვლავ გაის-
მოდა ძახილი.

იმ ღამესვე შედგა სია რუსეთში წამსვლელე-
ბისა. სამგზავრო ფულაც მოგროვდა. ჩვენი
ჯგუფიდან ყველამ გადაწყვიტა წამოსვლა. პირ-
ველ რიგში წამოვედი თიხა დავითაშვილი და
მე.

ერთი კვირის შემდეგ კიდევ ჩამოვედი თბი-
ლისში. ვენევიდან მიღებული მისამართით (ჩხ-
კა) ჩვენი ვინახულეთ კონსპირაციულ ბინაზე მი-
ხა ცხაკაია. მეორე დღეს მიგვიწვიეს ამიერკავ-
კასისი კავშირის ბუტროს სხდომაზე, რომელ-

საც დაესწრნენ — კობა, კამნევი, მიხა ცხა-
კია, მიხა ბოქორაძე და ერთი სომეხი ამხანა-
გი, რომლის გვარი არ მავინდება. ამ სტომოზზე
მ. დავითაშვილმა გააკეთა მოხსენება, ცხრა
ინგლის შთაბეჭდილებაზე, პარტიულ განხეთქი-
ლებაზე, ვ. ი. ლენინზე და სხვა. ილაპარაკეს
სხვა ამხანაგებმა. ყველამ ილიაზე, რომ, მართ-
ბაობა, რევოლუცია კარზეა მომდგარი, მაგრამ
ბრძოლა მენშევიკებთან უნდა ვაჩაჩაოთ დაე-
ზოგავი სისასტიკითო. ჩვენც დავავალეს, დაე-
ყოვნებოვ გაესულყავით შეშებში და გაგე-
შალა ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ.

ერთი კვირის დაბრუნებული ვიყავი. ილე-
ქანადარეს ბაღის დაღმართზე მივიდიოდი. ამ
დროს ქვეყნიდან მომავალი სამასწავლებლო
ინსტიტუტის ფორმაცი გამოწყობილი სათელე-
ბიანი ახალგაზრდა ჩემ წინ შედგა. გაიღიმა.
ხელი გამოვიწყოდა.

— ბიჭო, შე ურუმსალო, ველარ მიციანი? —
სათვალბი მოიხსნა.

მაშინდა შევასხე:

— კამო, შენ?

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— სხვა დათა, როგორ ხარ?

— რამდენი ზანია ერთმანეთი არ გვინახავს,
ბა?

— ბათუმის შემდეგ? გახსოვს?

— ბიჭო, კამო! ზომ ბოლშევიკი ხარ?

— მაშ რა მიხდა მენშევიკებთან ეს იყო,
შენთვისაც უნდა შეკითხა: შეგონა, რაკილა სა-
ზღვარგარეთ იყავი, რევოლუციას გვერდზე
დაუდგებოდა.

— გვერდზე კი არა, მაგისათვის ჩამოვედიოთ
შე და მისა. მაგრამ რევოლუციისათვის ბრძო-
ლის მაგურ მენშევიკებს უნდა ვებრძოლოთ!

— არ მოუხდებათ თუ? იმათი დღინი კი ამო-
ვარდეს. ნუ გეშინია, რევოლუციაც კარზეა მომ-
დგარა...

ვეშურდი კამოს, ამ ორი წლის განმავლობა-
ში კამო თითქმის დავაგაყავებულაყო ქერა ულ-
ვაშებს დაფარა ზედა ტუჩი. მისი ცოცხალი,
ფართო, თაფლისფერი თვალები მეტ სიცი-
ლებს აფრქვევდნენ. დანერგებულიყო, მაგრამ
ფანტასტიკურ გეგმებს მაინც აღგენდა თვით-
მპყრობელობის დასამზობად.

— ბიჭო, კამო! სულ ავა ცხოვრობ, რაც ბა-
თუმის ციხიდან გამოუტევი?

— მაშ, სად წავიდე ამა?

— მეტე, არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს! შვიკებისა? დე-
დას ვუტარებ იმათ, ისე ავებნევე ხოლმე თაე-
გზასა, რომ სულ ვლეთმულეთი ემართებათ. სულ
სხვადასხვა ტანისამოსით დავდივარ. ჩავიცვამ
გლეხის ტანისამოსსა, ჩავაწყობ კალთის ბრო-
კლამაციებსა, ზვიდან დავაყრი კვერცხებსა და
გავიხახი: „კვერცხები! კვერცხები!“ თუ ვინმე
შემეკატეება, ისე ძვირად დავუფასებ, რომ მა-
შინვე მომშორდება. პოლიციას სავანებოვ ჩა-

ველი გვერდით და შიგ ურუმე შევასხე:
«Яйца! Яйца!»
დიდხანს ვისხედით და ვეძებოდით თბი-
ლისში მყოფ ამხანაგებზე, პარტიულ შეშორე-
ზე და მენშევიკებზე...



კამათი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შო-
რის თანდათან ცხარდებოდა. დავდიოდით მუშა-
თა უბნებში და ვუხსნიდით მათ ბოლშევიკურ,
ნამდვილ რევოლუციურ გზას. პარტიულ კრება-
ზე მომხდარ განხეთქილების ამბავს და ბევრს
შემიტანს ჩვენს პოზიციაზე ვაყენებდით.

ასეთმა გაშევიკებულმა ბრძოლამ ბოლშევი-
კებსა და მენშევიკებს შორის კამო უფრო გა-
ცხარა.

„აი, ნამდვილი რევოლუციონერები ახლა ჩა-
მოვალბობებიანი ნამდვილი შეუპოვარი ბრძოლა
თეთომპყრობელობის წინააღმდეგ ახლა დაიწყე-
ბა! ისინი, ვინც მენშევიკებს აძევებთან და
ოპორტუნისტებს გზას დადებთან, რევოლუ-
ციას დაღუბავენ. ამჟამა, ვარკვეული პოზიცია,
ბოლშევიკების პოზიციაა!“ — ამბობდა კამო ის
არ იზიარებდა ზოგი იმ ამხანაგის აზრს, რომ-
ლებიც ამბობდნენ, „რა დროს გათიშვას! ახ-
ლა საჭიროა გაერთიანება, ვინაიდან რევოლუ-
ცია კარზეა მომდგარა“.

იანვარში დაწყებული რევოლუციური მოძ-
რაობა ღრმავდებოდა, ფართოდებოდა, ქალაქი-
დან ამბოქრებული ტალღები გლეხობაშიც იჭ-
რებოდა, გლეხები ერგებოდნენ ბატონებს და
მათ აღგო-მამულს ისაკუთრებდნენ. მოსპეს
სოფლის პოლიტიკური აღმინსტრაცია და ხელი
ივლეს მართვა-გამგეობა. მთავრობა დაიბნა.
მლელეარება ხან ქალაქად და ხან სოფლად კა-
ლაპოტს გადამოხუტავდა დაბნეული მთავრობა
სასტეკ ზოგებს მიმართავდა, მაგრამ ეს უფრო
ამწევებდა მღვთმარხოების.

რევოლუციური ორგანიზაციები ლაღობდნენ.
შხად იყვნენ საპროტესტო დემონსტრაცია ან
სხვა მასობრივი ხასიათის გამოსვლა მოეწყობა,
რევოლუციისათვის გზა გაყვლიოთ.

მიდიოდა მუშის ახალგაზრდა შვილი ქუჩაში
და მიიღვროდა:

იქნება!
რა იქნება?
ძირს ხელმწიფე,
მალა მუშა
უსათოოდ იქნება...

აგისტოს თბილი, მოდუნებული საღამო მა-
მადეითის მთაზე შერჩინილ მზის სხივებს ეთხო-
ვებოდა. დღის სიკვითი მოწყენილი შეტოვრებნი,
დაღლილ-დაქანტულნი, შინისაგან ეშურებოდნენ.
კონკრეტის სარების წყარაოდ, ეტლის გრილი,
ტრატზე შემოსსლდარი ჩიტების ქლურტლი
ჯერ კიდევ აცხოველებდა ქალაქის ქუჩებს.

წინა დღით კამომ შემოიარა ჩვენთან. ვად-



მოკვდა, რომ კომიტეტის დაეაღიებინა ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გამართულ ამ კრებაზე ალიონმა სვანძე და მე უნდა წავსულიყავით. წმინდა რევოლუციური გეზი უნდა მიგვეყვია სხდომისათვის, მენშევიკები არ დაგვენდო. მათი ოპორტუნისტული სულსკვეთება გვეშინილებინა. მხოლოდ ალიონმა მოასწრო გაჰყვინილ ქვედა დარბაზში შესვლა. კამო და მე ჯანდარაზე ავედით. აქედან დარბაზს გადავხედეთ. თვალში შევა კედლის სიმაღლეზე ამართული მუდგ ნიკოლოზის სურათი. მის წინ ღერევი ტილოთი გადაფარებული თავმჯდომარის ამაღლებული მიგვიდა. მერე ქალაქის დეპუტატების სკამები, კედელთან მდგარი ალიონაე შევნიშნეთ. ამ დროს იმანაც ზევით ამოიხედა თავისი ცისფერი თვალებით და ჩვენ ერთმანეთს გავუღიმიეთ. ისეთ გუნებაზე ვიყავით, გვეგონა, ცას ჩამოვანგრევდით. ყოველი კუნთი თრთოდა, ერთად შეკრებილ სხეულებზე პარტიის წარმომადგენლებს რომ ვხედავდით — შეტაკება მოველოდით. ჩვენი პროგრამის, ჩვენი ლაზუნების გამოცემისათვის გვეზადებოდა.

შეკვებულ სიჩუმე იდგა. ხალხი თინდათან მატულობდა. ბოლოს ისე ვავსო, რომ ტყეა აღარ იყო.

— ბიკო, სულ მოსულეს დაეკავებია სკამები. ხმონებთ სადღა დასხდებან? — იკითხა კამომ.

— ჯანდაბასა და დონანში! რა გვენადლევა! სადაც უნდათ, იქ დასხდნენ! ჩვენ ხომ შევიკრიბეთ! — თქვა ჩემ გვერდში მჯდარმა ახალგაზრდა მუშამ.

— მერე რომ გამოაცხადონ, სხდომა არ შედგება, დავიშალეთო?

— არ დავიშლებით! — დაიწყებთ ამზობდა ახალგაზრდა მუშა.

— მართლა სულ მათ ჭეიფზე ხომ არ ვივლით!

— სწორია! ვერა! აი, ყოჩაღ, ბიკო! — უთხრა კამომ.

შეკრებილთა აღზნება, მათი სულსკვეთება, აღფრთოვანებული გული, ისე იყო გაღვივებული, რომ ოდნავი სულის შებერვა იყო საქმარისი, რომ ხანძარად გადაქცეულიყო.

ხმონები დარბაზში ძალიან დაგვიანებითა და დიდი გაჭირვებით შემოვიდნენ, თავისი სკამები დაეკვებულ ნახეს და მოსულეს მიმართეს — დარბაზი გაეთვისუფლებინათ. მაგრამ ადგილიდან არიან დაძრულა.

მაშინ ხმონებმა თვითონ დატოვეს დარბაზი. — შევინდათ! თავისუფალი სიტყვისა შეე-

შინდათ! —

— დაფრთხნენ!

— მონები! მხდლები!

— კედლაზეცა ლიბერალებში..

დარბაზში ატყდა სტვენა, ყვირილი, ძახილი. მაგრამ რთა დაწყნარდნენ და ღრინაველი შეწყდა, ერთმანეთს გადახედეს, აღარ იცოდნენ, რა ემოქმენდათ. სრულ სიჩუმეში წამოდგა ერთი ამხანაგი და კრებას მიმართა:

— ამხანაგებო! — კრება ჩვენ თვითონ გავხსნათ!

— სწორია! გავხსნათ, გავხსნათ! — ერთხმად შესასხა ყველამ.

— დასახელებთ თავმჯდომარე! თავმჯდომარე!

ისევ ატყდა ვერზარი. ასახელებდნენ სხეულებს ვეარებს. კვილი და ძახილი დიდხანს არ შეწყვეტილა. ამ ურევულო, არინახული ამბით გატაცებულნი, დიდხანს ვერ დაწყნარდნენ. ეს პირველად ხდებოდა მათს ცხოვრებაში: თვითონ ასახელებდნენ თავმჯდომარეს, თავისუფლად ილაპარაკებდნენ, თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს ხალხის წინაშე, ხალხის დასწრებით..

ბოლოს ერთმა ახალგაზრდამ დაიკავა თავმჯდომარის ადგილი. ახლანეი ტანით ამაღლებულ მაგიდას შემოუარა. ჩვეყვენ შემობრუნდა, პატარა ზარი მოქმენა. უჩვევი, გამოუცდელი ხელით დააწყარუნა. სიჩუმე მოითხოვა. ახლანე ყველა გაინახა. სკამებზე გასწორდნენ. ჩახევიეს. შეაღულნიანმა ქონორა თავმჯდომარემ კრება გახსნა. მოსულები მას არ იცნობდნენ. ის იდგა კრების წინაშე, როგორც განსიხორება იმ იდეებისა, საითაც მიიწევიდნენ მაშინ რუსეთის შრომელთა მასები. თვალები უბრწყინავდა, სახე უღიმიოდა. ყველა მას შესიქერადა და აღფრთოვანებით, აღტაცებით მოელოდა თავისუფალ სიტყვას. სიტყვას საშარათლიანს, სიტყვას ჩაგრულის გამამხნეველს. ხალხი ვერ ისვენებდა, ბოძოქროდა: — „ძირს თვითმწყობელობა! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!... გაუმარჯოს სოციალიზმს!.. ვაშა! ვაშა.“ ზრილათ გაიქვედა დარბაზის კედლები. კრება თონესავით ვახურდა. სიხარულსა და აღტაცებას არ ჰქონდა დასასრული.

ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. შტემფრტვევი თვალები, ამაღლებული, პირველად წარმოთქმული თავისუფალი სიტყვები თინდაზად ეფინებოდა სიგრცეს, ხიბლავდა მსმენელებს.



დასიციხული

ნასადილეც, მზით გახურებულ სასადილოდან გემბანზე გამოვიდნენ ისინი; მოაჯირთან გაჩერდნენ. ქალი თვალებს ქუთავდა მზეზე, ცხელ ლოყებზე ხელის ზურგს იფარებდა, უბრალოდ, მომხიბვლელად იცინოდა. ყველაფრით მომხიბვლელი იყო ეს პატარა ქალი.

— ნამდვილად მთვრალი ვარ, — ეუბნებოდა იგი ვაეს, — ის კი არა, მგონი გონიც დაგკარგე. საიდან გაჩნდით, სამიოდე საათის წინ წარმოდგენაც არა მქონდა თქვენზე. არც ის ვიცი, სად ამოხვედით. სამარაში? თუმცა ეს რა შუაშია. მთავარი ის არის, რომ ძალიან მომწონხართ. თავბრუ დამეხვეა, თუ ეს გემმა იცვალა გეზი?

წინ, სიბნელეში ჩირაღდნები ენთო. საღამოს ბინდებულში სასიამოვნო, მაგრამ ძლიერი ქარი ქროდა. ჩირაღდნები კი სადღაც შორს კიაფობდნენ: გემი მოხდენილად რკალავდა ვოლგას, საოცარი სისწრაფით მისრიალებდა პატარა ნავსადგურისაკენ.

პორუჩიკი დასწვდა მის ხელს, ტუჩებთან მიიტანა, პატარა, მხურვალე, ღონიერ ხელს ზღვის სურნელება ასდიოდა. ნეტარებით შეეკუმშა გული პორუჩიკს, როდესაც გაიფიქრა, რომ ამ ტილოს კაბის ქვეშ ასეთივე მკვრივი და ბრინჯაოსფერი იქნებოდა ზღვის მცხუნვარე ქვიშაზე სამხრეთის მზით დამწვარი მისი ტანი (აკი უთხრა ქალმა — ანაპაში ვისვენებდიო).

პორუჩიკმა წაილულულა:

— ჩავიდეთ...

— სად? — ჰკითხა გაოცებით ქალმა.

— ამ ნავსადგურზე.

— რატომ?

ვაქმა არაფერი უპასუხა. ქალმა ხე-

ლის ზურგი კვლავ ლოყაზე მიიღო და თქვა:

— გიჟო...

— ჩავიდეთ — ყრულ გაიმეორა ვაქმა — ჩავიდეთ, გემუდარებით...

— კარგი, ისე მოიქეცით როგორცა გასურდეთ, — თქვა ქალმა და სახე მიიბრუნა.

თავაწყვეტილი გემი მსუბუქად მიეხალა მჭრქალად განათებულ ნავსაყუდელს. ისინიც კინალამ ერთმანეთს მიეჯახნენ. თავზე ბაგირის ბოლო გადაეგლოთ, მერე გემმა უკან-უკან იწყოსვლა, აშუშუნდა, აქაფდა წყალი, კიბემ დაიჩხრიალა და... პორუჩიკი გაქანდა ბარჯის გამოსატანად.

ერთი წუთის შემდეგ მათ გაიარეს მთვლეშარე კანტორა, გადასქრეს ღრმა ქვიშით მოფენილი სანაპირო და უხმოდ ჩასხდნენ იქვე მდგომ გამბტვერიანებულ ეტლში. უსასრულო ჩანდა ეს მთაში აჭრილი, იქა-აქ ფარნით განათებული მტვერიანი აღმართი. მაგრამ, აი, ავიდნენ, მალღა, ახმაურდა ქვაფენილი, განვლეს მოედანი, იქვე კოშკი და სხვადასხვა საუწყებო დაწესებულებანი. ირგვლივ სითბო და სამაზრო ქალაქის ზაფხულის ღამის სურნელი ტრიალებდა. მეეტლე შედგა განათებულ კართან, ღია კარს იქით ძველი ხის კიბე იწყებოდა. წვერგაუპარსავმა, შავსერთუციანმა ბებერმა მეკარემ უკმაყოფილოდ ჩამოართვა ნივთები და ილაჯგაწყვეტილივით წალასლასდა. ისინი დიდ, მთელი დღის მზით გავარვარებულ ოთახში შევიდნენ. ფანჯრებზე ქათქათა ფარდები ეყიდა. იქვე სარკესთან წყვილი უხმარი სანთელი იდო... და როგორც კი შევიდნენ ოთახში და კარისკაცმა კარი გაიხურა, პორუჩიკი გახელებით ეძგერა ქალს და

ორთავეს ისე შეეგებება სული შმაგ, თავ-
დავიწყებულ კოცნაში, რომ შემდეგ
დიღბანს აგონდებოდათ ეს წუთი; არც
ერთსა და არც მეორეს მსგავსი რამ
აღარ განუცდიათ მთელ ცხოვრებაში.

ხოლო დიღის ათ საათზე, როდესაც
ეკლესიის ზარების ქორიალში ცხელი,
მზიანი, ბედნიერი დილა გათენდა, რო-
დესაც სასტუმროს წინ ბაზრის მოედან-
ზე გაშლილი თივისა თუ კუპრის და სა-
ერთოდ, რუსული სამაზრო ქალაქის და-
მახასიათებელი სუნი აქოთქოთდა, ამ
პატარა ქალმა, რომელმაც თავისი სახე-
ლიც კი არ გაამზილა და ხუმრობით ამ-
ბობდა, მშვენიერი უცნობი მქვიაო, დას-
ტოვა ქალაქი. ღამით თითქმის არ სძი-
ნებიათ, მაგრამ დილას კი, როდესაც სა-
წოლს იქით გაკრული ფარდიდან პირდა-
ბანილი და გამოწყობილი გამოვიდა,
ისეთივე ჭორფა და წარმტაცი იყო, რო-
გორც ჩვიდმეტი წლის ასული. მორცხ-
ვობდა? არა, არც ისე. წინანდებურად
გულლია, უბრალო და მზიარული ჩანდა,
მაგრამ უკვე დადინჯებული.

— არა, ძვირფასო, არა, — უპასუხა
მან, როცა პორუჩიკმა თხოვა, ისევ ერ-
თად გავაგრძელოთ გზა, თქვენ უნდა
დარჩეთ და შემდეგ გემს დაელოდოთ.
ერთად რომ წავიდეთ, ყველაფერი გა-
ფუძღვება. ჩემთვისაც ცუდი იქნება. გე-
ფიცებით, მე სრულებით არ ვარ ისეთი,
თქვენ რომ გგონიათ. ამგვარი რამ, რაც
ჩვენს შორის მოხდა, ჩემს სიცოცხლეში
არ დამმართნია და არც დამემართება.
თითქოს გონება დამიზნელდაო... არა, ეს
კი არა, თითქოს მზემ დაგვკრა ორთა-
ვეს...

და პორუჩიკიც რაღაც იოლად და-
თანხმდა. კმაყოფილმა და ბედნიერმა
მზიარულად მიაცილა ნავსადგურამდე,
სადაც ვარდისფერი გემი ელოდებოდათ,
ქალი საჯაროდ გადაკოცნა გემბანზე და
ძლივს მოასწრო საფეხურებზე ჩამორ-
ბენა, რომ კიბეც აიღეს.

ასევე მზიარულად, უღარდელად
დაბრუნდა სასტუმროში. მაგრამ რაღაც
იღუმალი ცვლილება მოხდა. უქალოდ
სულ სხვაგვარი გამოჩნდა ოთახი. ის აღ-

სავსე იყო მისი მოგონებით, აღსაწნეცა
და ცარიელიც. უცნაურია! ოთახში ჯერ
კიდევ იდგა მისი ინგლისური ოღეკალ-
ნის სურნელი, სინზე — ნახევრად და-
ლილი ჩაის ფინჯანი, ხოლო თვითონ ის
აღარ იყო... და უცებ ისეთი სინაზით
შეეკუშმა პორუჩიკს გული, რომ საჩქა-
როდ პაპიროსს მოუყიდა და ჩექმაზე
ტროსტის ტკაცუნით რამდენჯერმე გა-
იარ-გამოიარა ოთახში.

— უცნაური თავგადასავალია. — თქვა
ხმამალლა და იგრძნო, რომ თვალეზე
ცრემლი მოაწვა — „გეფიცებით, მე
სრულებით არ ვარ ისეთი, თქვენ რომ
გგონიათ“ და წავიდა... საოცარია, საო-
ცარი!

ფარდა გაწეული იყო, ლოგინი ჯერ
კიდევ აყრილი. და უცებ იგრძნო, რომ
ამ საწოლის დანახვა აღარ ძალუძდა.
ფარდა დაუშვა. ფანჯრები დახურა —
რომ არ გაეგონა ბაზრის ყაყანი, ეტლე-
ბის გრიალი... თეთრი, ნაოქებად ასხმუ-
ლი ფარდა ჩამოსწია და სავარძელში ჩა-
ეშვა... ესეც შენი „თავშესაქცივი მგზავ-
რობის“ დასასრული! წავიდა — და ახ-
ლა უკვე შორსაა. ალბათ ზის ნათელ სა-
ლონში, ან გემბანიდან გადაწყურებს
უნაპირო, მზით აცილებულ მდინარეს,
გზადმეხვედრ ტივებს, წყალში გაბნე-
ულ კუნძულებს, ცისა და მდინარის
შერწყმულ პორიზონტს... ვოლგის უსაზ-
ღვრო, გადაშლილ სივრცეს. და მშვიდო-
ბით სამუდამოდ, სამარადისოდ... აბა
საღლა შეხედებთან კიდევ ერთმანეთს? —
„რა უფლება მაქვს ავადირო თავი და
სრულიად უმიზეზოდ ჩავიდე მის ქა-
ლაქში. ქმარი ჰყავს, სამი წლის გოგონა,
ოჯახი, და მისი ყოველდღიური ცხოვ-
რება ასე მიედინება!“ — ის ქალაქიც
განსაკუთრებული მოეჩვენა ახლა და
ფიქრმა იმაზე, რომ მარტობაში უნდა
გალიოს ცხოვრება, რომ ვინ იცის, რამ-
დენჯერ მოიგონებს მასთან წუთიერ
შეხვედრას, ხოლო თვით მას კი ვეღარ
იხილავს, — ამ აზრმა გააოცა და თავზა-
რი დასცა. არა, ეს შეუძლებელია!

ეს ხომ ველურობა იქნებოდა, დაუჯე-
რებელი, უჩვეულო რამ! — და ისეთი

ტივილი იგრძნო გულში, ისეთ წარმოუდგენელ სისულელედ ეჩვენა აზრი—ამ ქალის გარეშე გაეტარებია მთელი ცხოვრება, რომ საშინელ სასოწარკვეთილებასში ჩავარდა.

„ემშაკმა დალახვროს!“ — გაიფიქრა. და როცა წამოდგა და კვლავ გაიარა ოთახში, ცდილობდა ფარდისა და საწოლისაკენ აღარ გაეხედა — „რა მემართება? თითქოს პირველი შემთხვევა არაა და აი... მაინც რით იყო ეს ქალი ასე შესანიშნავი? რა მოხდა ესოდენ უჩვეულო? კაცმა რომ თქვას, მზის დაკვრას ჰგავდა მართლაც! და რაც ყველაზე სავალალოა, როგორ უნდა გავატარო მთელი ეს დღე უიმისოდ ამ მიყრუებულ ადგილას.

ჯერ კიდევ მკაფიოდ ახსოვდა ქალი. ახსოვდა მისი ყოველი ნაკეთი, მზით დამწვარი კანისა და ტილოს კაბის სურნელება, მისი მკერივი სხეული, მისი ცოცხალი, მზიარული და უბრალო ხმა... ჯერ კიდევ ახლად განცდილი სიამოვნების, ამ ქალის დამართობელი მშვენიების ბანგს ეწაფებოდა, მაგრამ ახლა მთავარი იყო უკვე მეორე, სულ ახალი გრძნობა — ის უცნაური, გაურკვეველი განცდა, რომელსაც მაშინ, სანამ ერთად იყვნენ, ვერ ამჩნევდა. გრძნობა, რომელსაც ვერც წარმოიდგენდა მაშინ, როდესაც წამოიფყო, როგორც თვითონ ეგონა, ეს მსუბუქი საღალღობო ნაცნობობა; გრძნობა, რომლის გაზიარებაც ახლა უკვე აღარავისთვის შეეძლო — და რაც მთავარია, — გაიფიქრა მან, ვერც ვერასდროს გამოვთქვამ ამას! ამ მოგონებებში, ამ მწველი სევდით როგორ გავათრიო დაუსრულებელი დღე მიყრუებულ ქალაქში, იმავე ელვარე ვოლგას რომ გადაჰყურებს, რომელზედაც მიაქანებს მას ახლა ის ვარდისფერი გემი!“

არა, რაღაც უნდა ეშველა თავისთვის, გამოსავალი ეპოვა, რითიმე თავი გაერთო, სადმე წასულიყო, ქუდი დაიხურა, ხელში ტროსტი აიღო, დეზების წყარუნით გაირბინა ცარიელი დერეფანი, დაყირავებულ კიბეებზე დაეშვა და კართან შედგა... კი მაგრამ სად წავიდეს? იქვე

ახლაგაზრდა მეეტლე იჯდა გულის კოფოზე. წელში გამოყვანილი ჯუბა ეცვა. მშვიდად აბოლებდა თანაქოს. ეტყობოდა ვილაცას უღოდს! გატეხულმა პორუჩიკმა მას დაბნეულად შეხედა: როგორ შეუძლია ასე მშვიდად იჯდეს კოფოზე, თუთუნს აბოლებდეს და საერთოდ არაფერზე წუხდეს — ასე უზრუნველი და გულგრილი იყოს? „მგონი მთელ ქალაქში ჩემზე უბედური კაცი არ არის“, — გაიფიქრა ბაზრისაკენ მიმავალმა.

ბაზარი ის იყო იშლებოდა, თვითონაც არ იცოდა რატომ, ფურგანებს შორის რამდენჯერმე გაიარა-გამოიარა. აქ ეწყო კიტრები, ქოთნები, ჯამ-ჰურჭელები. მიწაზე ფეხმართბნული ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ, საქონელს უქებდნენ, რადგან მუშტარი ეგონათ. ჯამებს აჯახუნებდნენ, თითებს უკაჟუნებდნენ, უკეთესი არ მოიძებნებოდა, არწმუნებდნენ. სავაქროდ ჩამოსული გლეხები ყურისწამლებად გაჰყვიროდნენ: „აბა კიტრი, ცოცხალი კიტრი, თქვენო კეთილშობილებავ!“ ყველაფერი ეს ისე სულელურად მოეჩვენა, რომ პორუჩიკი გავარდა ბაზრიდან. ტაძარში შეაბიჯა, სადაც უკვე ხმამაღლა, საზეიმოდ, აღსრულებული ვალის შეგნებით გალობდნენ... შემდეგ დიდხანს დაბორიანებდა, გარს უვლიდა მთის ძირას გაშენებულ პატარა, დასიცხულ ღვთის ანაბარად მიტოვებულ ბაღს, რომელიც ღია ფოლადისფერად მოლივლივე ფართო მდინარეს გადმოსცქეროდა... პორუჩიკს მუნდირის საბეჭურები და ღილები ისე გაუხურდა, რომ თითიც ვეღარ მიეკარებინა. ქუდის არშია შიგნიდან ოფლს მთლად დაესველებინა, სახეზე აღმური ასდიოდა... სასტუმროში დაბრუნებული სიამოვნებით შევიდა ქვედა სართლის ვრცელსა და გრილ სასადილოში, შევებით მოიხადა ქუდი და ღია სარკმელთან მაგიდას მიუჯდა. ფანჯრიდან სიცხე შემოდიოდა, მაგრამ დარბაზში მაინც იძვროდა ჰაერი, წვნიანი თევზი შეუკვეთა. ყველაფერი კარგად მოეწყო: ყველაფერი უსაზღვრო ბედნიერებას, დიდ სიხა-

რულს ანიჭებდა, ამ უცნობი ქალაქის ეს საშინელი ბული და ბაზრის სუნიც კი. სამაზრო სასტუმროშიც გამეფებულიყო ეს სიხარული და მაინც, რატომღაც გული ტკივილით ეფლითებოდა.

ზედღიხედ დასცალა რამდენიმე ჭიქა არაყი, კამა წაჭრილი მკეფე კიტრი შეატანა და უცებ იგრძნო, რომ მზად იყო ახლავე, დაუფიქრებლივ მოეწერა ხელი სიყვდილზე, ოღონდ რაღაც სასწაულით დაებრუნებინა ის და მასთან ერთად გაეტარებინა მხოლოდ ერთი დღევანდელი დღე — გაეტარებინა მხოლოდ იმისთვის, რომ ეთქვა, დაემტკიცებინა რითიმე, თუ რა მწარედ და რა აღტაცებით იყო შეყვარებული... რისთვის დაემტკიცებინა, რატომ დაემტკიცებინა? ვერ გეტყვოდათ. მაგრამ ეს სურვილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სიცოცხლე.

— სულ დამაწყდა ნერვები! — თქვა, როდესაც მეხუთე ჭიქა არაყი დაასხა.

კერძი გასწია. შავი ყავა მოითხოვა. თამბაქო მოქაჩა. საფიქრალს მიეცა, თუ რა ემოქმედნა, როგორ დაეხსნა თავი ამ მოულოდნელი, უეცარი სიყვარულისაგან? თუშეცა ისიც კარგად ესმოდა, რომ ხსნა არც ისე ადვილი იყო. უცებ წამოხტა. ქუდსა და ტროსტს ხელი დაავლო. ფოსტის ადგილსამყოფელი იკითხა და გარეთ გავიდა. მოფიქრებული ჰქონდა დეპეშის ტექსტი: „ამიერიდან კუბოს კარამდე ჩემი სიცოცხლე თქვენ ერთს გეკუთვნით“. მაგრამ როგორც კი მიუახლოვდა ფოსტა-ტელეგრაფის ძველ, სქელკედლებთან შენობას, შეჩერდა: მან ზომ მხოლოდ იმ ქალის ქალაქის სახელი იცის. იცის კიდევ, რომ ქმრიანია, სამი წლის გოგონა ჰყავს, მაგრამ არც სახელი იცოდა მისი და არც გვარი! ჯერ სუფრაზე, შემდეგ სასტუმროშიც რამდენჯერმე ჰკითხა ვინაობა, მაგრამ ყოველ შეკითხვაზე ქალი მხოლოდ კეკლუცი ღიმილით მიუგებდა:

— რად გინდათ, მე ზღვის მეფის ასული ვარ, მარია მარევნა... თქვენთვის განა ეს არ კმარა?

იქვე ფოსტასთან, კუთხეში, ფოტოგ-

რაფს სურათები გამოეფინა. დიხანას ჩასტკეროდა ჯინჯილებიან, წვრილშებლიან ოფიცრის თვევლებიანი ჩულსახეს, რომელსაც ფართო გულმკერდი ჩინ-მედლებით გაეჭედა და ბაკენბარდები მოეშვა... რა უხამსია, უადგილო, ყოველივე ჩვეულებრივი, როცა გული გაბზარულია... დიახ, გაბზარული, — მას კარგად ესმოდა ახლა სიტყვა, — გაბზარული ამ საშინელი „მზის დაკვრით“, დიდი სიხარულით, დიდი სიყვარულით მერე იქვე გამოფენილ ახალშეუღლებულ წყვილს შეავლო თვალი — პატარძლის გვერდით რომ გამოქიმულიყო მოდაზე გაკრევილი გრძელსერთუკიანი და თეთრპალსტუკიანი ახალგაზრდა. მერე მზერა გადაიტანა ეშხიან ქალზე, სტუდენტური ქუდი რომ მოეგდო კეფაზე... მერე ყველა ამ ბედნიერ უცნობთა მიმართ საშინელი შუროთ აღსაესემ, სურათებს თვალი მოაშორა და ქუჩას გახედა.

— სად წაივით? რა გავაკეთო?

ქუჩაში კაცი არ ჰაჰანებდა. სახლები ყველა ერთმანეთს ჰგავდა თეთრი, ორსართულიანი, ვაჭრული გემოვნების, წინ ბალებით, თითქოს ხალხისაგან დაცლილიყო სახლებიც; სქელ, თეთრ მტვერს დაფარა ქუჩა. ყველაფერი ეს თვალს კრიდა, ყველაფერი ეს სავსე იყო მცხუნვარე, მაგრამ ამჟამად ყოველგვარ აზრს მოკლებული მზით. გზა შორს აღიოდა, იზნიქებოდა და რუხ, უღრუბლო დასალიერს ერწყმოდა. ყოველივე ამაში იყო რაღაც სამხრეთული, — ევასტოპოლს, ქერჩს... ანაპას რომ გაახსენებდა კაცს. ამ უკანასკნელ მოგონებას კი ველარ გაუძლო. თავი დახარა. მიწას ჩააშტერდა, სინათლისაგან თვალები მოკუტა, მერე ბარბაცით, ისე რომ დეზს დეზს ახლიდა, უკან გამობრუნდა.

სასტუმროში ისე არაქათამოლეული მივიდა, თითქოს თურქესტანის ან სპარის დიდ ლაშქრობაში მიეღოს მონაწილეობა. უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და თავის დიდ, მაგრამ ცარიელ ნომერში შევიდა. ოთახი მიელაგებინათ. ქალის უკანასკნელი ნაკვალევით კი გამ-

ქრალიყო. — ეგ იყო მარტო, თმის ჩასაბნევი დარჩენოდა ტუალეტზე. მუნდრი გაიხადა. სარკეში ჩაიხედა: ოფიცისათვის ჩვეულებრივ მზედაკრულ სახეს, რომელსაც გახუნებული ქერა უღვაშები და ღია ცისფერი თვალები ამშვენებდა, ველური, რაღაც გიჟური გამომეტყველება დასდებოდა, ხოლო საყვლოგახამებულ თხელ პერანგქვეშ იგრძნობოდა რაღაც კაბუჯური და ღრმა ტკივილი. პორუჩიკი პირაღმა, ჩექმებიანად გაიშლართა ლოგინზე. ფანჯრები ღია იყო. ჩამოშვებულ ფარდებს დროდადრო მსუბუქი ნიავი არხევდა. გახუნებული რკინის სახურავებიდან იჭრებოდა ნიავი ოთახში და თან მოჰქონდა სხივმოსილი, მაგრამ ამჯერად დაცარიელებული მდუმარე ვოლგისპირეთის მთელი მხურვალეობა. იწვა თავქვეშელებამოდებული და თავის წინ სივრცეს ჩაიციებთ გაჰყურებდა. ტუნები მოკუმა და თვალები დახუჭა თუ არა, იგრძნო, რომ ღამა-ღამით წამოსცივდა ცრემლები, — ბოლოს ჩაეძინა... და როცა გაიღვიძა, წითლად ეღვარებდა დაისი. ოთახში დახუთული და თონესავით მშრალი ჰაერი იდგა... გუშინდელი დღე და დღევანდელი დღილი ათი წლის წინათ განცდილივით მოაგონდა.

აუჩქარებლივ წამოდგა. ხელპირი დაიბანა. ფარდა გადასწია. დარეკა. ჩაი და ანგარიში მოითხოვა. დიდხანს სევამდა ლიმონიან ჩაის, მერე უბრძანა მეეტლე მოეყვანათ და გაეზიდნათ ბარგი. როცა ეტლის გადახუნებულ სავარძელზე ჯდებოდა, კარისკაცს ხუთმანეთიანი აჩუქა.

— თქვენო აღმატებულებავ, მგონი თქვენ მოგიყვანეთ წუხელ, არა? — მზი-

რულად ჩაიხითხითა მეეტლემ და სადავე მოსწია.

ნავსადგურში რომ შემვიდნენ, კარლ-გაზე ლურჯად ლივლივებდა ზაფხულის ღამე. ნაირფერი ჩირალდნები ჩაფანტულიყვნენ მდინარეში. ნაპირთან მოახლოებული გემის ანძებსაც ჩირალდნები ანათებდა.

— ხედავთ, რა დროზე მოგიყვანეთ, ბატონო! — მიელაქუცა მეეტლე.

პორუჩიკმა მასაც ხუთმანეთიანი აჩუქა. ბილეთი აიღო და ბაქანზე გავიდა... ისევე, როგორც გუშინ, მსუბუქად წაიბორძიკა გემში, ნაპირს მიეხალა. ისევე, როგორც გუშინ, ამ რწვეისაგან პორუჩიკს ოდნავ თავბრუ დაესხა... მერე ისევე გასხლექილი ბაგირის ბოლო... ისევე აჩქარებული და წინ წაგდებული ტალღების შუილი... უსაზღვროდ სტუმართმოყვარული მოეჩვენა ახლა პორუჩიკს ეს ხალხმრავალი, გაჩახჩახებული გემი, რომლის ბაქანზეც სამზარეულოს მსუყე სურნელება ტრიალებდა.

კიდევ წუთი და... უკვე მასაც ზევით მიაქანებდნენ ტალღები, იქით, საითაც დილით გაიტაცეს უცნობი ქალი.

ზაფხულის ღამის უკანასკნელი ათინათი ქრებოდა სადღაც წინ, შორს, ქრებოდა უღიმღამოდ, თითქოს ძილი მორევიო, ათასფრად ციმციმებდა მდინარეში, მოცახცახე ზოლებად რომ ირეკლებოდა ღამის ბინდბუნდში. სიბნელეში გაფანტული ჩირალდნები კი უკან და უკან მიცურავდნენ.

პორუჩიკი მარტოდმარტო იჯდა გემბანზე და ეჩვენებოდა, რომ ათი წლით დაბერებულიყო.



ხედოვნების შორეულ კვდებთან *

თი ისიც ვენერა მილოსელი!
მაგრამ ჯერ მხოლოდ შორიდან ვუყურებთ.
იგი დარბაზის ბოლოში დგას სრულიად გან-
ცალკეებით. თუმცა წელა, მაგრამ თანდათან
ვუახლოვდებით. მანამდე ვხედავთ პართენონის
ფრესკებზე გამოსახულ ქალებს, საბუქარს
რომ აძლევენ მითოლოგიურ ღმერთებს. საიდან
სად მოუტანიათ! ბევრია აქ ქანდაკება, რომე-
ლიც ჩვენს ერთმდე მე-5 საუკუნეშია შექმნი-
ლი. აქვეა ფიდიუსის ათინა პალადას გადარ-
ჩენილი ასლი. ორიგინალი დაკარგულია და
დღემდე ეს ასლი ეწევა მის მოვალეობას.
მართალია, ასლია, მაგრამ ამ შემთხვევაში
მიანც კარგია. ამ ასლმა ხომ ფიდიუსის გენია-
ლური ქანდაკება ასე თუ ისე შემოგვინახა.

წელა ვუახლოვდებით ვენერა მილოსელის
ლევანდარულ ქანდაკებას. დარბაზის ორივე
მხარეს ჩამწკრივებულია ხელოვნების მრავალი
ძეგლი, ასლი თუ ქანდაკება. საერთოდ, მთელი
დარბაზი მშვენიერი ანტიკური ბარელიეფები-
თაა სავსე. მიდინების ვენერას ცნობილი ას-
ლიც აქვეა. ძალიან ბევრია პრაქსიტელის
ქანდაკებათა ასლები. ორიგინალების უმეტე-
სობა კი ვატრიანის მეზუემშია და შეიძლება
იქ ვახოთ.

წელი სელა დამთარდა, როგორც ლტანიი,
და პირდაპირ ვდგავართ ვენერა მილოსელის
ქანდაკების წინ.

მაგონდება, ეინ არ მოსულა აქ მის სანახა-
ვად: ავადმყოფი ბელნიკიც აქ იყო, ილია
კოკეაძეც, აკაი წერეთელიც და ნიკო ნი-
კოლაძეც. რუსმა მწერლებმა და მოღვაწეებმა
რამდენჯერმე ნახეს ხელოვნების ეს დიდ ძეგ-
ლი. აქ იყო ვოგოლი და ტურგენევი, გერცენი
და ოგარიოვი. გერცენმა თვალს ვერ მოაპირა,
და განა შეიძლება სხვათადად ვიპოქვე!

რადაც საკვირველი. უცნაური ძალა აქვს
ხელოვნების ამ მრავალსმეტყველ შედევრს.
და ყველამ იცის, რომ უცნაური ბედო ზედა
წილად ვენერა მილოსელის ქანდაკებას. მარ-
მარილოს ეს მშვენიერი გამოსახულება, რომე-
ლიც ხელოვნების ერთიანი უბრაყინავალესია
და უგაიანლურეს ძეგლს წარმოადგენს. უცნ-
აურ მილოსზე შემთხვევით იპოვა ჩვეულებ-
რებმა გლეხმა 1820 წელს. იგი მიხვდა, რომ

რადაც დიდებულ ნივთთან პქონდა საქმე, და
მიწიდან ფრთხილად ამოიღო. შემდეგ იგი
შეუტენია ფრანგს და ასე შემოვიდა ვენერა
მილოსელის ქანდაკება ლუვრის მეზუემში.
ქანდაკების ავტორი უცნობია და მისი არც
შექმნის ზუსტი თარიღი იცის კაცობრიობამ.
ზოგიერთები მას აკუთვნებენ სკოპასს, ჩვენს
ერთმდე მე-4 საუკუნის მოქანდაკეს, ან მის
მოაფუფებს, მაგრამ საყოფიო დღემდე გაურკვე-
ველია.

რა გვებზღავს და რას მოვყავართ აღტაცება-
ში, როცა ამ უხელო ქალის სხეულს ვუყუ-
რებთ?

პირველყოელისა მის პარმონიულ მთლიანო-
ბას და ნახ რხევას, რომელსაც მთელი ტანი
გავტანობინებთ. ბერძნული ქანდაკებისათვის
დამახასიათებელი ოლიმპიური სიმშვიდე, რომ-
ლის შესახებაც ასე ბევრი უთქვამთ ვინკელ-
მანსა და ლესინგს, ვენერა მილოსელში საო-
ცარ სიმალეზეა აყვანილი. ეს ჯადოქრული
მიწიხედვლობა გვაძლუებს ჩვენ სრულიად
გულგრილნი ვიყოთ ისეთი თავისებურების მი-
მართაე კი, როგორცია თავისა და ტანის პრო-
პორციული შეუსაბამობა. თუ ძალიან დააკვირ-
დებით, აშკარად შეამჩნევთ, რომ ტანთან შე-
დარებით თავი პატარაა. ცალი ყური კიდევ
უფრო დაბლაა, ეიდრე ბუნებრივად უნდა
იყოს. მაგრამ ფიზიკური განსხვავება თვით
ქანდაკებაში დისპრომონიას კი არ იწვევს, პარ-
მონის გამორცდილებულია ფიზიკური სილამა-
ზის სტლიერ კდემპოსილებასთან შეერთება,
ოლიმპიური სიმშვიდის—ცხოვრების სიხარულ-
თან შერწყმა. ამ ჯანსაღი სხეულიდან ჯანსაღი
სული იხედება, რომელიც თავისი პატივით
ლობით გვიტაცებს. იგი სიყვარულის ქალმწერ-
თია, თავისი უღამაზესი შიშველი ტანითაც
სიყვარულის სიმღერას წარმოადგენს. თუ შეიძ-
ლება ითქვას, იგი ხორციელს მომორებულია
და პატრონური სიყვარულის ხორცმესსმული
განსახიერებაა. ამ შხრიე ვენერა მილოსელის
ქანდაკება და ჯორჯონის ფერწერული „მინი-
აე ვენერა“ ერთნაირი გრძნობის აღმწერელია.
ორივენი ვნებაზე მხოლოდ შორეულად მიუ-
თითებენ.

ვენერა მილოსელზე, სათქმელს შიანც ვერ ამოწერავ. დრო აღარ ითმენს და ჩვენც ვტოვებთ ამ მშვენიერ ქანდაკებას.

ვენერა მილოსელის შემდეგ პირველად ყვარადღება მიიპყრო ლეგენდარული პერსენი ხელოვანის ლიზიპოს ქანდაკებამ. მის გვერდით მითარდატეს თუ აღექვანდრე მაკედონელის თავის გამოსახებლებამ. ამ ბოლო დროს უფრო ფიქრობენ, რომ აღექვანდრე მაკედონელის სახეაო. ვისიკ არ უნდა იყოს, პირველყოელისა ხელოვნებისა და ეს არის მთავარი. არაჩვეულებრივ მშვენიერია მონადირე დიანას ქანდაკების ასლი.

მაგრამ ვენერა მილოსელის შემდეგ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, ცხადია, „ნიკეას“ (კამარჯვება) ორიგინალმა მოახდინა. ნიკეს თავი არა აქვს, მხოლოდ ქარის ქროლავზე ტანსაცმელშემოხვეული მაგარი სხეულების გამოსახულება გვიტყვარის წინ ვაშვარილი მკერდებითა და სიხარულის გამოხატუვლი დინამიური მოძრაობით. ეს ლეერის უთუოდ უდიდესი, განძია და ისიც შემთხვევით აღმოუჩენიათ, თითქოს შემთხვევითობა დიდის განუშორებელი აზრდელი იყოს.

„ნიკეა“ თრაკიის კუნძულზე უპოვინიათ. იგი გემის თვითან უნდა ყოფილიყო მიკრული, როგორც მისაღმება სახელგაო ბრძოლაში გამარჯვებულებისადმი.

მართლაც, დიდებული რამ არის! გვეთხრეს: პავრში მისი ასლიაო. სააწუხარიაო, რომ „ნიკეას“ ორიგინალს თავთან ერთად ხელის თითები აქლია. ამ დაკარგული ნაწილების აღდგენა არ შეიძლება. დაკარგული მარჯვენა ფრთა კი აღდგენილია მარტენის მიმსგავსებით. მაგრამ თავი და თითები რას უნდა მიამსგავსო? მარჯვენა ფრთა აღდგენილია მე-19 საუკუნის ბოლოს.

შედღივართ ვრცელ დარბაზში, სადაც მეფეების ვიკრკვინები, ტანსაცმელი და ნივთები თავმოყრილი.

აი ნაპოლონ I ბეველი და გვირგვინი, რომელიც თვითონ დაიდგა თავზე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, პაპს, პიუს VII, არ დაუცალა, შემდეგ მოიხსნა და ვოზენინას თვითონვე დაიდგა თავზე.

აქვე კარლოს X ხმალი ბრილიანტებით მოჭედილი, კარლოს დიდის ნამდილი ხმალი X საუკუნისა. გარდა ამისა, ყველზეა ჩამოკიდებული ლუდოვიკო XI ფარი და ვინ იცის კიდევ რა. ყველაფერს ვერც აღწერ და ვერც დახსომებ. ჩვენ ვიცით, რომ აქედან უნდა გვიდღეთ ფერწერის დარბაზებში, და ამიტომ ვიწარით, ვინაიდან ხელოვნების უბრალო ნივთი უფრო გვიანტრეტებს, ვიდრე ბოჰონდის ძვირფასეულებსა.

ფერწერის დარბაზში ფრანგი მხატვრების დიდი ტილოებია წარმოდგენილი. ზოგიერთ

მათგანს მთელი კედლები უქვია. აქ ნახათ ლებარენის ნამუშევრებსა და I-II საუკუნეების რომაული ფერწერის ორგინალებს. თვალს იტაცებს გენიალურ სანდო ხელოვნებას. ფაქიზად შესრულებული ფრესკების ორიგინალები, აქვეა ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელ ლენინის მიერ შესრულებული მშვენიერი ფრესკა.

ვის არ ნახათ ამ მოოქროვილ დარბაზებში: რიბერას და მერაიოს, ვოიას სამ სურათს, ლეონარდო და ვინჩის „წმინდა ანას“. ამ შესანიშნავ ტილოზე შარაიპის დედა ანა გამოხატული პატარა ბავშვთან, რომელიც ბატყანს ვალერსება. ის დიდი ბუნებრივია, რომლისკენაც ლეონარდო ასე უნაშენდა ხელოვნებას, ამ სურათშიაც მთელი ხმით ამერყველებულია იი კიდევ ლეონარდოს განთქმული სურათი — თონე ნათლისმცემელი, შემდეგ ითანე ნათლისმცემელი უდაბნოში, გამოქვაბულში, აგვრცინობილი „ტიოკაინის თვები“.

როგორც იქნა, უნახე „ლუტრეცია კრიველი“. ეს მართლაც გენიალურია. მე უკვე საეკვოდ მიმანია კამათი მის ავტორობაზე. თავიდან ბოლომდე სულ ლეონარდოა. და როგორ განსხვავდება მის გვერდით ჯორჯონეს სურათი ან თუ ვენებთან რაფაელი „წმინდა სახლობა“. ლეონარდო და რაფაელი გენიოსები იყვენ, მაგრამ საოცარი სიმკვეთრით ჩამოსხმული ინდივიდუალობანი; ერთსაც და მეორესაც თავისი დამოუკიდებელი სამყარო ჰქონდა, საყუთარი ხედვა ჯორჯონე კიდევ სხვა იყო, სულ სხვა თვისის პატრონი. მისი სინაზე, მაგალითად, სრულიად არა ჰქავს პოტიჩელის უფრო ფერმკრთალ პეროვნებას.

ამ ფონზეც თვალს იტაცებს ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა (მონა ლიზა)“, რომლის ნახვისაც ასე ვესწრადებოდი. ეს გენიალურად მოსმული მძლავრი ყალამია, რომელიც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულის ხელს ემორჩილება. ისე მომწუნსხელია „ჯოკონდას“ მხატვრული ძალა, რომ ერთმა თავზეხელაღებულმა იტალიელმა პოეტმა ლევირიდან მოიპარა ლეონარდოს გენიალური ქმნილება და მალეულად ინახავდა. დიდხანს ლევირი „ჯოკონდას“ დაკარგულად თვლიდა. შემდეგ დააბრუნა და ახლა ყველა აქ მომსვლელს შეუძლია მისი ნახვა. „ჯოკონდას“ ახლოა რაფაელის „კატერინა არაბოვსკია“, პორტრეტული განიხს ეს ერთერთი ბრწყინვალე შედევრი. აქვეა რაფაელის მეორე სურათიც — ტიციანის ქმნილების გვერდით.

ჩვენს ყურადღებას აპყრობს ანდრეა დელ ვრევის (წარმომშობთ პერმენი, მხატვრის) „იესო“, რომელიც იშვიათი ადამიანური სითბოთი გიტაცებთ. იესოს მარტოოდენ ღვთაებრივი შარავანდელი კი არ ამკობს, მთლიანად ადამიანურია, ამისთან საოცრად უბრალო და

სადა. ვრევის ამ სურათის ძალა მის ჰემანტროპასა, კეთილშობილებასა და ოსტატობაში.

ერთად წარმოდგენილი ორი დიდი ესპანელი ფერმწერის შესანიშნავი ქმნილებანი — ველასკესის „დედოფალი“ და რიბერას „მწუხრის ბიჭი“. ორივე ნაწარმოები ესპანური ფერმწერის შედეგებია. ისინი დიდხანია ლუერის დარბაზებს ამკობენ.

ყოფითი დეტალის მკაფიოდ რეალისტურ წარმოსახვას წარმოადგენს მერილიოს „პატარა მათხოვარი“, რომელიც მკვნილებს იხილავს. ლამაზი ბიჭუნა შეგვიკვდნათ სილბატოისა და ბავშვური უშუალობის გამო — მთელი არსებით რომ ვატყებელია მოიშოროს მებენარევი. რა საოცრად ლამაზი მკვავალი სახე აქვს ამ 11-12 წლის ბიჭუნას, მშვიდი, ჰევიანური, ღრმა თვალები, სწორი რომელიც ცხვირი, სიკაცხლითა და ენერჯით სახეე გამოხედევა, იგი თითქოს ბრძოლაში იყოს ჩაბმული, ისეა ვატყებელი თვისი „საქმიო“, და მიუხედავად საშინელი პირადი ხეედრისა, მინც ოპტიმისტური განწყობილება იხასიათებს. და თქვენ სურვილი ვებადებთა როგორმე დაეხმაროთ ამ საკოდაე ბიჭუნას. ასეთი გრძობების გამოწვევა მხოლოდ ქმნიბარტად დიდ შემოქმედებას, შეუძლია.

გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა კარავაჯოს „დატირებამი“. აღბათ, ეს არის მისი ერთერთი საუკეთესო ნაწარმოები. შესაძლოა განუმეორებელიც.

სახსარული იყო ვეიდო რენის ორი სურათის — „დავითი გოლიათის თავით“ და „წმინდა სებასტიანეს“ ნახე.

ლუბრენის სურათმა — „ლუდოვიკო XIV“ უფრო გარეგნული ბრწყინვალეებით მიიპყრო ყურადღება, ვიდრე ხასიათის შინაგანი ვახსენით. რიგოს ტილო, ამავე თემაზე, ძალიან დიდია; ესაა ლუდოვიკო XIV ყველაზე ვაგრელებული სურათი: ამსოლტურ მონარქს ხელთ უპყრია თავდაყირა დაყენებული სეიბტრა, თითქოს ეს უცანასკნელი მისთვის იარაობას წარმოადგენდეს, თვითონ კი სამყაროს ცენტრი იყოს; გეგონებათ, სადაცაა წარმოსთქვათ თავის ცნობილ სიტყვებს: „სახელმწიფო მე ვარ“. გულზევიდობა, უმაღლესი თვითდაჯერებულობა, საყუთარი ძალის წრეგადასული შეგნება და საყუთარი თავის ღეთებად მიჩნევა ამ სურათში ყოველგვარ წარმოდგენას აქარბებს.

ვან-დეიკმა სამი სურათით ვაგვახარა: ცნობილი აეტპორტრეტით, ინგლისის მეფე კარლ II, რომელსაც თავი მოაკეთეს, და „გენერალით“. სამივე სურათს, მიუხედავად სულ სხვადასხვა თემისა, ვალმის თანაბარი სიმღიერე ახასიათებს.

ცალკე კუთხეში ობლად იყო მკიდებული რუბენის „ოჯახი“ — ფერმწერის მეუღლე

ბავშვებთან. ფრანგულ გემოვნებას რუბენს რენის ეს შედეგრი სხვათა შორის მიუცილებელი უნინარ აღვილზე, მაშინ, როცა მართა მედინის დაყვეით შესრულებულ დიდ სურათებს, უფრო პროფესიულიაბით, ვიდრე გენის ძალით აღბეჭდილი, მთელი დარბაზი უკავიათ.

შედეგაბთ „რუბენისის ლექსემბურგის დარბაზში“, რომელსაც ეს სახელწოდება ლუბრენი იმეტამ მიუღია, რომ ყველა მისი ექსპონატრი წინათ ლექსემბურგის სასახლის დარბაზში იყო, შემდეგ ლუბრენი ვადმოიტანეს, და სახელწოდება შეუნარჩუნეს ისტორიული ფაქტის პატესსაცემად. მთელი დარბაზის ყველა ექსპონატრი რუბენსმა შესარულა საფრანგეთის მეფის პენრიბ IV მეუღლის — მარია მედინის დაყვეით. აქ თქვენ ნახათ „სამ გრაციას“ და სცენებს პენრიბ IV და მარია მედინის ცხოვრებიდან. ერთერთი მთავანი ისეთია, რომ გიკვირს: ნუთუ რუბენის გენამ ასე ვანიზარი თემა და ასე კურიოზულ მდგომარეობაში ჩაყენა თავისი სურათის მთავარი გმირი — პენრიბ მეოთხე? მაგრამ ეს დიდი ფერმწერის ბრალი კი არ არის, არამედ თვით მეცენატის, რომელმაც ასეთი დაყვეთა მისცა.

რა იყო ეს დაყვეთა?

მეფეს ზომაზე მეტად ჰყვარებია თავისი მეუღლე მარია მედინი. აქ, ცხადია, არაფერი ცუდი არ არის, მაგრამ ამ სურათში ეს გრძობა პირდაპირ ვაშარებელია. სასაცილოდ გენვენება თვით პენრიბ IV, რომლის წინ ქალებს მიაქვთ მარია მედინის სურათი, ხოლო მეფე, აღტაცებისაგან ვაოგნებული, შეყვარებული ბავშვითი უტყვირის თავის მეუღლის პატრე მოყვარე ხსენს. ეს თითქოს საზეიმო სელაა, მაგრამ გგონია, რომელიმე ფრეილინა, სადაცაა ვაიცინებს ამ გულუბრყვილობასა თუ უხერხულობაზე, სხვა სურათებიც მხოლოდ თავიანთი ფუფუნებათ, ფერებითა და სიდიდით ვაპოირჩევიან, მაგრამ ჩვენ მათ გულგრილად ჩაუფარებ, მიუხედავად რუბენის გენისადმი ღრმა პატივისცემისა.

ვათვლიერებთ სხვა ტილოებს. ვანსაყუთრებით დიდი სიხარული ვანვიცადეთ, როცა ვნახეთ მანტენის სახელგანთქმული „ვაზუხელი“. ფერმწერის ისტორიაში ეს ერთერთი მშვენიერი ნაწარმოებია, რომელიც ვაიცლებით მეტი შეგნებისა ღირსია, ვიდრე დღემდე დამსახურებია.

ფერმწერიდან უკვე სხვა საკითხებზე ვადავლივართ. გეითხრეს: ლუბრენი ეკლესია არ იყო და სპეციალურად ააგეს სენევერმენის ეკლესია, სადაც მეფეები სალოცავად დადიოდნენო. ჩვეულებრივი მდიდრული ეკლესიაა და მისი გველოდება. ეს ეკლესია იყო უცანასკნელი აღწერა სავტარი არ არის, წინ ზომ ნორტრ-დამი აღგელი, რომელიც ვნახეთ, და ვავემზადეთ

პარიზის ლეთისმშობლის ტაძრისავე წასაყვლად.

გზაზე ვხედავდი პარიზის ცნობილ ბუენისტებს, რომლებიც პატარა კიოსკებით სენის სანაპიროზე ვადაგებულან. ეს ბუენისტები თავისი საქმის ავადმყოფურად პატრიოტები არიან და მათ მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც სახელოვანი წიგნების უსახელო რაინდებს. ვეჩვენეს სამპარიტელის ვეებერთელა უნივერსალიტი, ხოლო ხელმძარცხნივ დავინახეთ პარიზის ისტორიული ციხე, სადაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს დაწვედნული იყვნენ ლუდოვიკო XVI და მარია ანტუანეტა. აქედან წაიყვანეს ისინი დღევანდელ თანხმობის მოედანზე და თავები მოჰკვეთეს.

შემდეგ ამავე ციხეში იჯდა 36 წლის მაქსიმლიანო რობესპიერი, რკინისა და ფოლადისაგან გამოკეთებული, რომელსაც 1794 წლის 28 ივლისს თავის ერთგულ უმცროს ძმასთან ოგიუსტენ რაბენსაიერთან და უშინარ სენ-ფიუსტთან ერთად გაუსამართლებლად თავი მოჰკვეთეს.

თანხმობის მოედნიდან გავედით იმ ქუჩაზე, სადაც მოთავსებულია სარა ბერნარის თეატრი. რეკლამა გვეუწყა, რომ დღეს საღამოს უჩვენებენ ამ თეატრის ერთერთ ტრაგიკულ დღეგმას „სირანო და ბერტრაკს“, პიესას, რომელშიც ასე ოსტატურად გამოვიდა ჩვენი სახელოვანი აკადემიის ხორავა.

უკვე გამოჩნდა პარიზის ლეთისმშობლის ტაძრის ორი დიდი კოშკი, რასაც პირველად ვხედავთ. ჯერ კიდევ უნდა გავიაროთ ხიდები და სიტის კენჭულზე მივიდეთ.

მაქანებიდან ჩამოვდივართ და ნოტრდამის ქუჩას ფეხით მივყვებით.

მშვენიერი მზიანი დღეა, ცხელა კიდეც, მაგრამ ლეთისმშობლის ტაძრის უძველესი კედლები ვეჩინებოდნენ. უფურებ ამ ტაძარს, და მიუფროს რომანის სურათები თვალწინ ცოცხლდებიან. თითქოს ამ ძველი კედლებიდან თუ კარებიდან სადაცაა კვაზიმოდო გამოვარდება თავისი დაღუწილი, საშინელი მახინჯი სახით ან ზევიით ავარდება, რათა ზარებს ჩამოჰკრას. ამ ფიჭვში ვიბრათულს, ვიღაც ახოვანი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა. შემდეგ მეორე გამოჩნდა, მესამე... და უმაღლესი თვალწინ გავვიშალეს უხამსი პორნოგრაფიული სურათები, — შეიძინეთო! ჩვენ ზიზღით შევაქცეთ ზურგს ამ სანახაობას და ნაბიჯს მოვეშატეთ, თითქმის გაოქცეით. პოეტურ ფანტაზიაში ასე თანაყვითონ იტრებოდა დღევანდელი პარიზის ამორალბში ლეთისმშობლის ტაძრის გვერდით, ნოტრდამის ქუჩაზე. ნუთუ დღემდე არაფერ ფიქრობს ვახეტროს პარიზის ქუჩებიდან ამორალბის ნაგავი? გული გვექმება, მაგრამ ვამბობდები, რომ ცოცხალი საფრანგეთის ნამდვილად მოქმედი, ნამდვილად უნარიანი ძალა,

რომელსაც შეუძლია ჯანსაღ ფეხზე დაეყენოს ფრანგი ხალხის სახელი და დიდება.

სულ ახლა მინძლიდან ნოტრდამის გარს ვუვლით. სურათები ერთმანეთს ცვლიან და ერთმანეთს მისდევენ, სულ საშინაოდმდევნა სურათები. მეორე მხარეზე „ქუჩის ფერწერა“ დაგვაღონა: დგას ვიღაც ტანჯული ფერწერალი და თავისი უფასო პროფესიით მათხოვრობს.

პარიზში ჩასვლამდე მე ვაგონილი მქონდა, რომ ამ ქალაქს დედამიწის შუა ადგილად მიიჩნევდნენ, ხოლო თვით პარიზში „დედამიწის კიბა“ ნოტრდამის წინ მოედანზე აღნიშნულია ორი მტკავლის ოღენა რვაკომიანი ვარსკვლავით, რომელსაც ახლა ჩვენ დავუფრებთ. რაღაც უცნაური, თან საზეიმო გრძობა გაპყრობთ, როცა მას ფეხს ადგამთ, თვალთ ხედავთ და ეხებით. აღმიანი თითქოს საყუთარ თავზე მალდებდა, თითქოს ეჩვენება, რომ ჩვენს პლანეტას ზევიდან დაჰყურებს, როგორც ვეღაზე უმაღლეს მწვერვალს მიღწევული აღმინისტი. ჩვენც ხომ ახლა აღმინისტებივით ვცდილობთ მივწვდეთ დედამიწის კიდე-გამს.

აქედან ვუცქვრით ნოტრდამის საეროო ხედს, მის ფსადსა და კოშკებს, ბრინჯაოში ჩასმულ ბარეფიფებს, მივლ ტაძარს, რომელსაც, თითქოს შედარებისათვის, ჩვეულებრივი, პატარა დამხმარე ნაგებობა მიუკრავს მარცხენა გვერდით. ამ ფონზე ნოტრდამი გოლიათივით დგას ჯუჯათა შორის.

შევიდვართ ნოტრდამში, რომლის ისტორია მჭიდროდ არის გადახლართული არამარტო პარიზის, არამედ მთელი საფრანგეთის ისტორიასთანც, მან ხომ ფრანგი ხალხის სულიერ ცხოვრებასა და გემოვნებაზე დიდი გავლენა იქონია.

ნოტრდამის ვარგნული გრანდიოზულობა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა მის შიგნით ხართ და ათვალიერებთ ყოველივეს. გარდაცვლილი კარდინალებს, მათ შორის პაპის პიუს VII ქულები პაერში ჩამოუციდიათ.

ხედავ პაერში ოღენ მოტრიალევ კარდინალებს ქულებს და ფიჭვობ: ოღენსაც ხომ ეს ქულები ეხურათ ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც ხალხს ალოცებდნენ; ეს ადამიანები მლოცველებს შემდეგ გარეთ გაავადებდნენ და პროსტიტუციის, ძარცვა-გლეჯის, მკვლელობის, მტკუების, გაეკმისა თუ დაცემის გზაზე დააყენებდნენ უზენაესის სახელით. ახლა ამ ქულებს თავს დასცქერის ნოტრდამის დიდი გუმბათი, შეკუებუნ ფერადმოზაიკიანი მრგვალი ფანჯრები და მნახველები.

და, თითქოს, ქეშმარიტებას შუბლით დაეცტაკო, სწორედ ისე მოხდა. როგორც კი ნოტრდამიდან გამოვედით, დავინახეთ ქუჩაში დაგდებული ვიღაც უსახლკარო, გაპირვებული ადამიანი, რომელსაც მკვლარევით ეჭინა. გამეღულ-გამომღულნი მას არავითარ ყურადღებას

არ აქცევდნენ, თითქოს ადამიანის ნაცვლად უსულო ნივთი ყოფილიყოს მიგდებულ.

მაგრამ წაიკითხეთ პიუჯოს „ნოტრ დამ დე პარი“, და ახავეთ რამდენი ტანჯვა, უბედურების, სისხლისა და სტრემლის მოწვევა ძველი პარიზი, თვით ეს ტაძარი, რომელიც 300 წლის მანძილზე შენდებოდა.

უკვე დღის 5 საათია. პარიზის ბუკინისტები ამ დროს კვტავენ თავიანთ „მალაზიებს“ და ჩვენ ვერ შევძელით გვენახა, თუ რა წიგნები აქვთ დღევანდელ ბუკინისტებს თავიანთი კლიენტებისათვის. უფრო იმან შეგვეჩვენა, რომ პარიზის მართლმადიდებელი დედათვალეებზე და მხოლოდ გარედან ვნახავთ.

ნოტრდამის ირგვლივ, წინ და უკან, ხალხი ბლომადია. მათ შორის ბევრი უპარტონოდ ეხვევა ერთმანეთს, გამწვლვ-გამომწვლენ კი ამას არავითარი ყურადღებას არ აქცევენ.

ჩავეიარეთ იმ მალაზიების წინ, სადაც სამუალო სკოლის სახელმძღვანელოები იყიდება. გვეუბნებიან — სახელმძღვანელოები ძვირად ფასობსო. ვფრობაში საერთოდ წიგნები ძალიან ძვირი ღირს. ეს ჩვენ თვითონ გამოცედავთ.

ისევ ჩავეიარეთ გვერდი რომაული თერმების ნანგრევებს. ზედა მივყევით ლუქსემბურგის პარკს. გამახსენდა, რომ ეს პარკი აქვს აღწერილი ჩვენს რომანისტს კონტანტინე გამსაზერდიას „დიონისოს ღმირში“. პარიზის განთქმული პარკი ახლაც ისე გამოიყურება, როგორც „დიონისოს ღმირში“. მეგონა, ამის იწველი, პრათუზებიანი კაცი გამოჩნდებოდა. დამოხვევა კი მართლაც უცნაურია. რომანში ლუქსემბურგის პარკი აღწერილია ოქტომბრის ერთერთ სედიან დღეს, ახლაც ოქტომბერია და პარიზელების ფეხებზე მართლაც შრიანებს ჩამოცეცილი ყვითელი ფოთლების ფარჩა. ვედავით ლუქსემბურგის სასახლეს, რომელიც მართა მედიის განკარგულებით თუ სურვილით ამჟინეს. ჩამდენი რამ არის დაკავშირებული საფრანგეთის ისტორიაში ამ პარკთან და სასახლესთან!

შემდეგ პარიზის ომპერატორიის შენობა, შედიხის ქუჩა, პარიზის მართლმადიდებელი დეკორატიული არიან დიდრო, პიუჯო, ზოლა, ანატოლ ფრანსი... ფრანგი ხალხის ბევრი გამოჩენილი შვილი, რომლებსაც შთელი კულტურული კაცობრიობა პატივისცემით იხსენიებს.

გვერდით ჩავეიარეთ წმინდა ვენევიევის ტაძარი, რომელიც წინათ ეკლესია იყო. იქ არიან დაკრძალულნი რუსო, ვოლტერი, კანო, შირაბო, ლაპლასი, ბერთოლე, ლაფაიტი, მარატის გული.

გაედევართ წმინდა იაკობის ქუჩაზე და მარჯვნივ ვხედავთ პარიზის ლიკეუმს, ხოლო მარცხნივ განთქმულ სობრანის უნივერსიტეტს. ამ ქუჩას შთელი პარიზი სკოლების ქუჩად

მიიჩნევა. საერთოდ, ეს უბანი, ლათინურ კვარტალად რომ იწოდება, იმითხა ცნობილი, რომ აქაა მოთავსებული პანთეონი, სარპინის ქუჩის ვერსიტეტი, ლიკეუმი, ლუქსემბურგის პარკი და სასახლე. ამ უბანში იყრიდნენ თავს ოთხმოციან წლებში ფრანგი დეკაჟენტები, პოლ ვერიენის ირგვლივ შემოკრებილნი, ლიობდნენ და ალოეურ ლექსებს თხზავდნენ ლუხანებში.

გუაზლოვდებიან პენრის IV მოედანი და მივემართებიან ბასტილისაკენ, რომელიც აღარ არსებობს, თუმცა ყველაფერში იხსენიება. მისი ნანგრევების გამოყენებით ახლა აქ ბასტილის მოედანი დიდი მონუმენტით, რომელსაც თავისუფლების გენის გამოსახულება ამჟინებს. ძალიან სიმბოლურია ცალ ფეხზე მისი დგომა, თითქოს ცეკვაუდეს, არ იქნა და პარიზს არ ეღიბა ორივე ფეხზე დამღვარი თავისუფლება.

ბასტილის მოედნისა და თავისუფლების გენის აგება 1830 წელს დამთავრებულია. აქ არიან დაკრძალულნი 1830 წლის რევოლუციის მონაწილენი. დიდ ობელისკზე, რომლის თავსაც თავისუფლების გენია ამჟინებს, ამოკრალია მათი გვარები. ძველი ბასტილის ციხის ნაცვლად, რომელიც ყოველი ფრანგის გონებაში მონობის განსახიერებას წარმოადგენდა, ახლა ქალაქის ერთერთი ფრად მნიშვნელოვანი ისტორიული მოედანია, სადაც თავს იყრიან არამარტო პარიზის უბნებიდან მომავალი ქუჩები, არამედ პარიზის ისტორიის ფურცლებიც. ისინი ერთმანეთს ემთხვევიან და ავსებენ, მათი დამორება არ შეიძლება. ყოველი ქუჩა აქ პარიზის ისტორიის მომხრობა და ყოველი ფურცელი პარიზის ისტორიისა და ქუჩებზეა დაწერილი.

გაედევართ ერების მოედანზე, სადაც ორი მაღალი სვეტი საფრანგეთის ფიგურალურ გამოხატულებას ემსახურება. მიედევართ ვოლტერის ქუჩით. ამ უკანასკნელმა რესპუბლიკის მოედანზე უნდა გაგვიყვანოს. ვხედავთ ვოლტერის მოედანს, ქუჩას, რომელიც იმ მხრიავეც არის საინტერესო, რომ იქ მოაწყო „მარჯარიტა გოტიეს“ აეტრშია — ალექსანდრე დიუმამ (შეიღმა) — თავისი თეატრი. მოედანზე ვხედავთ რესპუბლიკის დიდ მონუმენტს, შემდეგ პარიზის დახურულ ბაზარს და აედევართ განთქმული მონმარტრის მაღლობზე, სადაც „წმინდა გულის“ ტაძარია. ვგითხრეს, რომ იქ ჩვენი მისელის დროს საქარწინო ცერემონია მიმდინარეობდა. შოგი კიდევაც შევსწრო ამ ცერემონიას, შესაძლოა, ამ კარგი გაწყოობილების გამო, რომ მონმარტრისაკენ მიმავალ გზაზე მქოლის თხოვნით ჭართულ „ციკინათელას“ შედროდნენ. ეს „წმინდა გული“ ტაძარი 1876 წლიდან კათოლიკური ეკლესიაა, მას საფრანგეთის ყველაზე დიდი ზარი აქვს — 19 ტონას იწონის. იგი ტაძრის შიგნითაა, გარედან

ვერ ნახავ. ტაძრის დიდ კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით აღიოდა ახალგაზრდა ფრანცისკანელი ბერი, რომელსაც წელზე სამსაკვიანი ორი თეთრი ქსიების დაგრებილი ქაშარი ერთყაპირადად მე უფრო მინტერესებდა მენახა „წმინდა გული“ ტაძრის ახლოს მდებარე მერკურის (ბერძნების პეტრესის) უძველესი ტაძარი. იგი შემდეგ წმინდა პეტრეს ეკლესიად ააშენეს და ძველი მერკურის ტაძრის ქვები შემოინახეს — დაატანეს ახალ ეკლესიას.

ხელით ვეხებით ამ აღმოსდროინდელ ქვებს — მერკურის ტაძრის ნარჩენებს, რომლებიც წმინდა პეტრეს ტაძარს შემორჩენია. წმინდა პეტრეს ტაძარი კი დღეს საფრანგეთის უველიზე ძველი ეკლესიაა.

ვღვვართ მონმარტრზე და გადავყურებთ პარიზის ვრცელ პარიზმას. ეს ყველაზე დიდი მადლობია პარიზში, საიდანაც ყველაფერს ხელისგულივით ხედავ. ამიტომ აქ მუდამ ნახავთ მხატვრებს, რომლებიც ნატურიდან ხატავენ მონმარტრის თვლით დანახულ პარიზს. ნისლის მიუხედავად, ღვან პარიზი მაინც კარგად ჩანს.

ძველთაგანვე მონმარტრი პარიზის ბოქმე-რი რაიონი იყო და ახლაც ასეთად დარჩენილა. მის უველიფერი თავისი ჰქონდა, წარმოიდგინეთ, სასაფლაოც კი. მონმარტრი ისე განუყოფელია პარიზისაგან, როგორც მამადეთის მთას ვერ დააშორებთ თბილისის პარიზმას. მთაწმინდა და მონმარტრი თითქოს ერთნაირ შოვალეობას ასრულებენ თავიანთი ქალაქების მიმართ. ორივე მადლობია, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, ორივე მჭიდროდ გადაება თბილისისა და პარიზის ისტორიას.

გბრუნდებით უკან მონმარტრიდან და გვერდით ვუვლით ქალაქის გარეუბანში პარიზის ერთერთ უდიდეს კინოთეატრს. რომელსაც „პომო“ ეწოდება.

პოტელ „ბრაიტონში“ ეხმამს გვიმართავენ. ჩვენები მღერაან ქართულ სიმღერებს, იწყებენ ცეკვა-თამაშს, ზანზარი გაქვს დარბაზს, სხვებიც გვერთდებიან, ზოლო ფრანგები, სას-

ტუმროს მომსახურე პერსონალი და ქუჩიდან შემოსულნი, ვატაცებით გვიცქერაან ერთ საათს ვრძელდება „ბრაიტონში“ თავისებური ქართული მოღებვა.

საღამოს 10 საათზე მივდივართ ფართოეკრანიანი კინოს — „სინერამას“ სახანავად. ეს დიდი კინოთეატრი მოთავსებულია ავენიუ ვაგრაშზე. „ბრაიტონიდან“ მოყოლებული ქართული სიმღერები ვრძელდება „სინერამადე“ და უველს კარგ ხასიათზე აყენებს.

შევიტყვეთ, რომ კინოს დაწყებამდე ნახვეარი საათი უკლია. ამიტომ ჩვენ დრო ვაქვს ვისუიროთ ავენიუ ვაგრაშზე და დავაკვირდეთ პარიზის ცხოვრებას საღამოს ბანდუნდში.

უამრავი ხალხი ირევა „სინერამას“ წინ. ისინი ეძებენ ბილეთებს, ეძებენ ვადამყიდველებს. მთელი ქუჩა სავსეა პრელ-პრუდოდ ჩაცმული პარიზელებით, ტურისტებით, მოხელეებით, ქალუბითა და კაცებით, ახალგაზრდებითა და მოხუცებულებით, ავტომანქანებითა და მოტოციკლებით. ილუმინაციები და რეკლამები ქუჩის ორივე მხარეს მიჰყვება და ისეთი სურათი იშლება, თითქოს პარიზი საზეიმოდ მოთუღიყოს.

საერთოდ კი პარიზი ღამით უფრო ღამაზია, სამხავად ღამაზი, ვიდრე დღით. ღამის ბრწყინვალება დღის ბეერ ნაყუს ფარავს და ქალაქს, მართლაც, აძლევს ანთებულ დიდი ჩირაღდნის სახეს.

შევივართ „სინერამაში“, რომლის ნახვისაც ასე ვესწრაფებოდი. ჩემთვის რომ ეითხათ, თურა არის სინერამა, ვუბახუხებდი: სინერამა სინამდილეში უფრო ძლიერი სინამდილის შემოქანაა. მაყურებელი მას უშეალოვ გადაყავს გაძლიერებული ცაცხალი გარემოს წილში, და იმაზე მეტს ვანაცდევინებს, რაც ვერანზეა. პარიზის სინერამაც ასეთია.

სინერამიდან „ბრაიტონში“ ვბრუნდებით. მართლაც მომჭანცველი შთამბეჭდილებებით დადილივებს, მალე მივევძინა.

ეს უკვე მეორე ღამეა, რომელსაც პარიზში ვათეთვ.

პარიზი, 19 ოქტომბერი

მეორე დღით პარიზი მოღმუღით სახით შეგვხვდა. 7 საათზე ქალაქში ნისლი იდგა. ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება მალე მოვრჩენთ საუზმეს, რომ რენოს საავტომობილო ქარხნის დასათავალიერებლად წავიდეთ.

„ბრაიტონიდან“ 8 საათზე ვამოვედით. ვივარეთ შაიოს ვანთქმული პარკი, მალე რაოალი, რომელიც ბალაქს ხშირად აქვს აწერილი თავის რომანებში, ვანსაყოფრებთ „საგრენის ტყეში“. ეხედავთ პარიზის თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებას, იგი უფრო დიდი ზომით გადაიღეს და დადგეს ამდებელებში ნოე-იორკის ნაპირთან, თუქვა ნამდვილი თავისუფლება დღემდე ვერ მოაპოვეს.

მივდივართ ვერსალის ქუჩით და გვიჩვენებენ ამ ადგილებს, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა ბომბები ჩამოყარეს. ამ დბომბების შედეგად პარიზის დიდი აყვადუი რამდენიმე ადგილას დანგრეულა.

ძალიან მალე ვავედით სენ-კლუს მოედანზე. აქ ორი დიდა, ღამაზი და კარგი შადრეანიი, მაგრამ დიდხანია თურმე ისინი უმოქმედოდ დგანან. ამიტომ მოედანსაც ძველი მიმზიდველობა ალარ შერჩათ, — სთქვა ვიღმა.

ამასობაში თანდთან ვშორდებით პარიზის ცენტრს და გარეუბნებში შევივართ. იწყება რენოს საავტომობილო ქარხნის კორ-

პეტები, რომლებიც ჯერ მხოლოდ სილვეტებზედ ჩანან. ეს ქარხანა ახლა ნაციონალიზებულია და სახელმწიფოს კუთვნიის, თუმცა ძველი მუშაკთაონის — საფრანგეთის ერთერთი უდიდესი კაპიტალისტის სახელი მისთვის მაინც დაუტოვებიათ.

ჯერ ჩვენ ბულონის რაიონს მივყვებით, თვით ბულონის ტყე კი, რომლის ნახვაც ასე გვიინტერესებდა, აქედან შორსაა. ვხაზე გვხვდებიან მოტოციკლითა და პატარა ავტომანქანებით, ველსიპედებითა და ტრანსპორტის სხვა საშუალებებით ქარხნისაგან მიმავალი თანამშრომლები. ქარხანაში მათ მოწყობილი აქვთ პატარა გარაეებიც, სადაც მანქანები დგანან, ხოლო მათ თავზე ველსიპედები და მოტოციკლები ჩამოყიდებულია ადგილის მოკვების მიზნით.

უცნაურად გვეჩვენა შემდეგი ფაქტი: საფრანგეთის მუზეუმებსა და პერ-ლაშუზის სასფლაოზე ფოტოაპარატებით არ შეგვიშვეს, აქ კი ჩვენს ფოტოაპარატებს ნება დართეს ყველაფერი გადავღოთ.

ეტყობა ამ ქარხანას ბევრი მხახველი ჰყავს ყველა ქვეყნიდან. აქ მოსულ ყველა ტურისტს ჩვეულებრივად ურიგებენ სუვენირებს, პროშურებად გამოცემულ ილუსტრაციებს რომლებიც ქარხნის სამაქროებს, საფრანგო პროცესებსა და გამოშვებულ პროდუქციას ასახავენ. ასეთი სუვენირები, კარგ ჭიდალზე დაზებდილი, ჩვენც მისავლისთანავე დავგარაკვეს.

ქარხნის ვესტიბიულში ველოდებით შეკვლის ნებართვას. კედელზე გაყრულია დიდი ცნობები, რომელზედაც აღნიშნულია წლების მიხედვით ქარხნის დამთავალიერებელთა რაოდენობა. 1945 წელს რენოს ქარხანა 10.000 ტურისტს დაუთვალაიერებია, ხოლო შემდეგ წლებში ეს ციფრი ელვისებური სისწრაფით გაზრდილა: 1953 წელს დამთავალიერებელთა რაოდენობას 160.000-მდე მიუღწევია, ხოლო 1954 წელს — 200.000-მდე.

ამჟამად რენოს ქარხანაში 36.000 მუშაა. ქარხნის მეორე ნაწილი, უფრო სწორად, რენოს მეორე ქარხანა დოფილში მუშაობს. ორივე ქარხანაში 53.000 მუშაა. ყოველდღიურად უშვებენ 1.300 მანქანას, ავტომობილს, ტრაქტორს, საერთოდ მოძრავ მანქანას სხვადასხვა სახისა. დღემდე ათვისებულია მსუბუქი მანქანის ოთხი ტიპი.

ეს მანქანები ჩვენ უკვე ბლომად ვნახეთ პარიზის ქუჩებში, ისინი დასრიალებენ თვით ამ ქარხნის ტერიტორიაზე, მაგრამ ვნახეთ სტოკჰოლმშიაც, როტერდამშია, პაავასა და ამსტერდამშიაც.

რა გვითხრას რენოს ქარხნის ცხოვრებაზე? ამ ვეება ქარხანას სულ 22 ექაში ჰყავს, ხოლო მთელი სამედიცინო პერსონალი 60 ეკითაო. პატარა ბავშვებისათვის მოწყობილია 6 „მნათობი“, 18 7.

სამაგვრო ბავები და ბაღებიო, დღეს ჩვენი ისინი არ უჩვენებიათ. ილუსტრაციებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ბავები და ბაღები მართლაც მოწყობილია ქარხანაში. მოწონებენ, დღეს ბისათვის, მაგრამ როცა ქარხნის სამაქროებს ვათვალაიერებთ, იქ ქალები ძალიან ცოტაა. გვითხრეს, 3 პროცენტიაო. ეს მართლაც დასაჯერებელია, თუმცა, ვინც მუშაობს, შუახნის ან უფრო მეტი ასაკისაა, ვინაიდან ეტუობა აქაც თავისებური ანგარიშია: ახალგაზრდა ქალებს ქარხანაში ნაყლებად ღებულობენ სამუშაოზე, რათა სამაგვრო ბავებისა და ბაღების რიცხვი არ გაიზარდოს და მეტი ხარჯი არ იქნეს ვაჭერსო.

გვითხრეს, რომ ქარხნის ახალგაზრდა მუშებისათვის მოწყობილია სკოლა, სადაც ყოველწლიურად 500 მოწაფე სწავლობსო. ეს სკოლაც არ უჩვენებიათ, თუმცა ჩვენი ჯგუფის რამდენიმე წევრს ძალიან სურდა მისი დამთავალიერება.

შეგვიყვანეს იმ სამაქროში, სადაც მანქანების გარე ნაწილები მზადდება. თბილისის ავტოქარხნის წარჩინებული მუშა პავლე მუხიგულაშვილი ვატყობით უცქერის უოველივს. აქ იგი ისე გრძნობს თავს, როგორც კალმანი ჩქარა მდინარეში. აყვარდება, ზოგი რამ მოსწონს, ზოგაც იწუხება. ხელს ისე კიდებს მანქანების ნაწილებს, თითქოს თვითონ აშნაღებდეს. პროფესიულ სიამოვნებას ვანიდის. ეს დეტალები ხომ ამდენია, რომ სათვალავი არა აქვს. მარტო ერთ მანქანას რამდენი წერტილმანი სჭირდება, ზოგი მათგანი სწრაფად იკვებს თავის ადგილს მანქანის ჩონჩხში, ზოგიერთი კი ნელა და მიმივდ. მაგალითად, თუ ელვის სისწრაფით იღება მანქანის ზედა ტანი, სამაგიეროდ კონვეიერი ნელა მოძრაობს და შიპქს რაგში ერთმანეთის მიყოლებით დამღვარი მანქანების სახურავი, რომელსაც ორივე მხრივ მუშები დასტრიალებენ, ნაწილებს ამოწმებენ, მანქვალს უჭერენ, შემდეგ კი საოპერაციოდ სხვას გადასცემენ. ელექტრომემდუნებელ სამაქროში ერთმანეთს აღუღებენ სხვადასხვა ნაწილებს და ფიზიკაის ფორმას ამოღვენ. აქ ყველაფერი მექანიზებულია. მუშას მხოლოდ დამზარე რილი ეკისრება, მათვარ სამუშაოს შექანიზებები ასრულებენ. ჩვენი ყურადღება იმან მიიპრო, რომ მუშებს ცუდად ეცვათ. არ იფიქროთ, რომ ეს გამოწვეული იყოს სამუშაოს ხასიათით, პირაქით, ყველაფერი მექანიზებულია, ტანსაცმელი არავის დაესგრება, მასხალამე, კობტად გამოწყობილია კაცებუ შეიძლება თაისეფულად იმუშაოს, ყოველმშობგევაში აქ მაინც, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ.

სამაგიეროდ ირგვლივ ვანუწვევბილი ხმაური იყო, რასაც ემატებოდა ძიგძივი სამაქროის მოსიარულე ავტომანქანების, რომლებსაც რაღაც

საგნები მიჭონდათ და მოჭონდათ. ფიურელაყის დატვირთვა სწრაფად და უბრალოდ ხდებოდა. ლითონის თხელი ფურცლიდან ერთ წამში შეუღებავი ფიურელაყი გამოდიოდა. გვიხობრეს, რომ რუნოს ქარხნის კვალიფიციური მუშა თვიურად ღებულობს 80.000 ფრანკს, რაგითი — 35-40 ათასს, ხოლო ინჟინერი — 125-130 ათას ფრანკს. მთელი ქარხანა უმთავრესად რაგითი მუშებისაგან შედგება, მათი ხელფასი კი ვგზომ დაბალია. მღვთმარეობა ამით არის გაუმჯობესებული, რომ მუშა პატარა ვორგოლაჭზე ზის და ისე აყუთებს მანქანის ქვედა ნაწილებს. ეს უადვილებს მას თავისი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ როდი ეხმარება ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფაში.

ქარხანა სულთან გამოიყურება, ამ მხრივ შეუღარბლად უკეთესად, ვიდრე პარიზის რომელიმე უბანი თუ რაიონი. გავდივართ იმ საამქროში, სადაც კონვეიერით მიემართებიან უბორბლო, მაგრამ თითქმის გამზადებული მანქანები. ირგვლივ მუშები თავს დასტრიალებენ ამ მანქანებს, როგორც ფუტკარი სკას, თავის საქმეს აყუთებენ, და ასე ბოლომდე გრძელდება მანქანის გამზადება პირველი საცდელი რეისისათვის.

უთუოდ ლამაზია ერთი ტიპის, მაგრამ სულ სხვადასხვა ფერის მანქანების გრძელი რიგი, რომელიც ნელი მოძრაობით წინ მიდის.

გადვდივართ საზამთსხმელო საამქროში. თვალს რტაცებს გავარჯიარებული სითხე, იგი ფორმებში იხსნება და პორტრის კობახისის სახეს ღებულობს. აქ აღნობენ თუჯს. მისი დნობის პროცესი ერთმა ჩვენმა კოლეგამ ფანტაზიით ვეზუელს ამოხუთქას შეადარა. როცა ამ საამქროს მუშებს უყურებ, ისინი მართლაც ემილ ვერპარნისა და ემილ ზოლას მიერ აღწერილ მუშებს ჰგვანან, თავიანთი შილაგრად მღვლავი მყრდით, შეტლზე ოფლის ნაკადულითა და ძარღვიანი მკლავებით.

საზამთსხმელო საამქროს მუშები თბილადაც ვხვდებიან, გაღიმებული სახეებით გვესალმებიან. მანქანების ამწყობნი კი ინტელიგენტებს მოგვაკონებდნენ, „არისტოკრატა მუშები“ იყენენ, შედარებით ინდიფერენტულად გაწყობილნი და მისაღმებაზე უღიმღამოდ გვიბასუხებდნენ.

რა დიდი განსხვავებაა, აქ როგორი ძმური სიყვარულით ვხვდებიან!

მართალია, რუნოს ქარხნის საზამთსხმელო საამქრო დიდია, მაგრამ თავისი სიდიდითა და მოწყობილობით ოდნავაც ვერ შეედრება ჩვენი რუსთავის გიგანტურ საზამთსხმელო საამქროს. ეს იქნება ქონდრის კაცის დატოლება გოლიათთან. რუსთავის ანალოგიური საამქრო ათჯერ დიდი და ათჯერ უკეთესია, რუნოს

ქარხნისა კი მისთან შედარებით პრემიერული გიგანტია. ამ საამქროს აქ უწოდებენ ქარხნის სამზარეულოს და იგი, მართლაც, ამართლებს ამ სახელწოდებას თავისი მოწყობილობით.

ჩვენ შემოგვეხვივნენ ამ საამქროს მუშები. გულწრფელად გვესაუბრებიან და გვიღიმიან. ერთი მთავანი მოვიდა ახლოს, ვახივდ-გამოხივდა, შემდეგ ვული ვდადივდა და გვიჩვენა მყერდზე ჩამოყიდებული წითელი ვარსკვლავი ჩაქუჩითა და ნამგლით. კომუნისტი იყო. რუნოს ქარხანაში ბევრი კომუნისტი მუშაობს. ჩვენ გვიხაროდა მათთან შეხვედრა, თუმცა მოკლებული ვიყავით საშუალებას უბრალო საუბრის ნაცვლად ხანგრძლივად გველაპარაკა. კონვეიერებთან ერთად ისინიც და ჩვენც ვმოძრაობდით, თან მანქანების განწყვეტილი ხმაური იყო.

ადვილად შეამჩნევთ, რომ რუნოს ქარხანაში თითქმის ყველაფერი ავტომატრზებულია. მუშის მხოლოდ მცირე მოძრაობა სჭირდება, დაახლოებით 2-3 მეტრზე, კონვეიერის მისაყოლად, დანარჩენი ადგილზე მუდღის და ადგალებზე მუშაობს. გამზადებული პროდუქტია ერთი საამქროდან მეორეში კონვეიერით გადადის, სულ ერთია, ეს საამქრო დაბლა მოთავსებული თუ მაღლა.

თავისი მოწყობილობით ძალიან საინტერესოა ნაწილების თერმული დამუშავების საამქრო. აქ ხდება წუნისა და დეჟექტების გამოვლენება. ეს საამქრო თავისი ორიგინალობითა და სისულთათით უფრო დაგვიინტერესებთ, ვიდრე დიდი დანადგარებით. ასეთები არც არის. სინამდვილე და სისულთათვე მისი ორი ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა.

თი შემოგვეხვივნენ მუშები, რომლებსაც ვაწვდიით საამქროდ ნიშნებს. ისინი უმთავრესად ირჩევენ იმ ნიშნებს, რომლებსაც ლენინის ბარელიეფი აქვს ან კრემლის გამოსახულება. უფრო პირველს ამკობინებენ. ჩვენც გვიხარია, რომ ეს საამქროდ ნიშნები აერთებენ ჩვენს გრძნობებს რუნოს ქარხნის კომუნისტ მუშებთან, რომლებიც აქ, საფრანგეთის მრეწველობის ერთერთ გიგანტში, საფრანგეთის მოწინავე მუშათა კლასის განსახიერებენ და მისი ღირსეული წარმომადგენლები არიან.

ვის არ ნახავთ აქ, ამ ქარხანაში: ფრანგი მუშის ვარადა, რუნოს ქარხანაში არიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ზანგებიცა და ყეთელკანანაზებიც. მაგრამ მათთვის მხოლოდ დაბალ, შავ სამუშაოს იმეტებენ, მცირეხელფასიანს, ადგილობრივთათვის კი უფრო ასულთასო, კვალიფიციურსა და მეტ შემოსავლიანს.

ინტერესმოკლებული არ იყო მისი ვაგება, რომ მუშები რუნოს ქარხანაში დღიურად 9 საათიანხვედრს მუშაობენ, კვირაში კი 5 დღეს, ასე რომ შაბათსა და კვირას ისინი ისვენებენ.

ვეითბრეს, თითქოს ნაციონალიზებული ქარხნის მთელი მოგება 3 ნაწილად იყოფოდეს: ერთი სახელმწიფოს შემოსავალში შედის, მეორე — ქარხნის მთელი პერსონალის დასაჯილდოებლად, ხოლო მესამე — ქარხნის შემდგომი გაფართოების საჭიროებისათვის.

გამოვლივართ ვართ, რენოს ქარხნის ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც რეინგზება გაყვანილი, მატარებლები მოძრაობენ და, ახალიან ერთად, მიმოქრბენ ძველი ავტომობილები. ახლები შემოქმეებას გადაან, ხოლო ძველები მუშაობენ და ქარხანას ემსახურებინან.

ვართ შევენიერი შხიანი ამინდია. ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ ოქტომბერი მართლაც ყველაზე ლამაზი და შვენიერი დროა პარიზში. გვიანდა ასეთ შხიან ამინდში ვნახობ ცნობილი ბულონის ტყე, რომელსაც ხშირად ეუბლოვდებით, მაგრამ ხშირადვე ვშორდებით ისე, რომ ვერ ვნახულობთ. დღეს კი შევხვდავთ შინც, როცა ვერსალისაკენ გავემგზავრებით. ეს ქალაქი პარიზიდან დაშორებულია 16-17 კილომეტრით და ჩვენ ნახვეარ საათში შევიძიოლია იქ ვიყოთ, ვერსალის სასახლისა და მუზეუმის დასათვალერებლად.

რენოს ქარხანასთან გამომშვიდობების შემდეგ პირდაპირ ვერსალისაკენ გავეშართეთ. ქუჩები სასუსეა ამერიკული სათავგადასავლო ფილმების დიდრონი რეკლამებით. პარიზის კინოთეატრების ვერანებიდან ამ ფილმებში განდრეწეს ნაციონალური ფრანგული ფილმები. მარტო რეკლამები მოქმობენ, რომ პარიზში დღეს დიდ პატივშია ათასგვარი კოვბოებისა და ჯიშების თავგადასავლები. ხედავთ რეკლამებს გაქენებულ ცხენზე შემჯდარი კოვბოით, რომელსაც ხელში რევილვერი უკავია, შიშველი ქალი ვაუტაცებია ან კლავს და ვართნი.

ამ ფონზე ვხედავთ ბულონის ეკლესიას, შაშახამე, ჩვენ ვერ კიდევ ბულონის რაიონში ვართ და მხოლოდ ვერდით მივევებით ბულონის ტყის ქუჩაზე გამოსულ კიდეებს. მარცხნივ ვანსენის ტყეა, ხოლო მარჯვნივ — ბულონისა. ორივე ეს ტყე პარიზთანაა. დავვანახეს დიდი სტადიონი და ყვავილების ბაღი ბულონის ტყეში. ამ ბაღით შვავდება მთელი პარიზი და იქ ნახული ცოცხალი ყვავილების უღიდესი ნაწილი აქედანაა მიტანილი დედაქალაქში. მარცხნივ დავინახეთ ცოცხალ ღობე-შემოვლებული დიდი იპოდრომი და ფრენურთის მოედანი. შიდაში ისე ლამაზი ჩანს, რომ ჩვენ არ ვაგვივირებვია, როცა ვეითბრეს: ამ რაიონში ვატვილდს თავისი საკუთარი სახლები ქონდაო. ახლა ხელმძივცხნივ სულ ბულონის ტყეა და ზოგან ტყეს გზა ისე ჰრის, რომ ჩვენც ტყეში შევიღვართ. ტყესთან ახლოს კი ტბაა.

მივღვართ მარშალ ლანის ქუჩით ბულონის ტყის ვაგრებლებზე. მარჯვნივ გამოჩნდა მოავრობის ვაგზალი. აქედან ვადღეწრს მდებარე დელი პარიზის ერთერთ დიდ ქუჩაზე, რომლისთვისაც მარშალ ფონის სახელი მიუკუთვნებიათ. ქუჩა მართლაც ფართო და ვრცელია. ვერდით ისევ ჩავუარეთ ტრიუმფალურ თაღს, სადაც ვანწყვეტლები კოცნი ანთია უცნობი ვარისკის სათლავზე. ნაბოლოში კი ვანხრახული ჰქონია აქ ეცხოვრა მის მიერ დანიშნულ მეფეებს.

შევახვდეს ახალ დიდ ეკლესიას, სადაც პარიზის შიღერები ვეკარს იწერენ ხოლმე. ქუჩა სასევა რენოს მსუბუქი ავტომანქანებითა და ძალღებთან ერთად მოსიარულე მანდილოსნებით. ჩუბამთ ბულონისკენ, სპინკერებისა და ათასი ჯიშის კარგად მოვლილი ძაღლები-სათვის ვრცელი ყელსაბამი და დასეირნობენ.

მარსელის ქუჩიდან ისევ გამოვღვართ თანხმობის მოედანზე, რომლის შიღერენები უფრო და უფრო ლამაზი ხდება. ვერდით ჩავუარეთ ჩვენითვის უკვე კარგად ცნობილ რიეოლის ქუჩას, თუმცა ახალი ბევრი რამ შევინიშნეთ. ამ ქუჩაზე მდებარე მღაზიებში უპარდონით იყიდება ყოველგვარი პორნოგრაფია, ფოტოსურათებისა თუ კარტებზე გამოხატული. სრულიად შიშველი ქალების სურათების კოლექცია 400 ფრანკად იყიდება.

ვაგრძელებთ გზას და ვავღვართ რუსულ კონსერვატორიისთან. იგი ახლა ატარებს ვენიანური რახმანინოვის სახელს. დავადექით იმ ქუჩას, რომელშიც ვერსალში უნდა მიგვიყვანოს.

ვიღერ ქალაქის ვარუბნებს მივღწევით, დიდ ქუჩაზე, შუაში, ცენტრთან დავინახეთ სწორედ ისეთივე საზოგადოებრივი საპირფარეო, როგორიც ვვიჩვენეს ფრანგულ კინოსურათში — „სენადლი კლოშერში“. მთელი საპირფარეოს ვარე ნაწილი რალე კუბის-ტური წარწერით იყო აჭრელებული. ეს საზოგადოებრივი საპირფარეოშიც ამჟამადაც მომქმედია და კუბისტურ ფერწერასთან ერთად ისეთი რეალისტური ფერწერაც ვვიჩვენა, როგორსაც „სენადლი კლოშერში“ ვანასახიერებდა. რა მარჯვედ დაურტყამთ ირონიის ტახტარი მოწინავე ფრანგ კინემატოგრაფის-ტებს ფრანგული უოფის მახინჯი მხარეებისათვის!

როცა პარიზიდან ვადიხართ და ახალ ვარუბნებში შეგვალა, ვტიკლებლად შეამჩნევთ ფართო ქუჩებს, რომლებიც ახალი მოთხოვნის-ლებების შესაბამისად ვაუყვანიათ. აქედან, პარიზის იმ ვარუბნიდან, საიდანაც ჩვენ ვერსალისაკენ მივემგზავრებით, კარგად გამოჩნდა რენოს ქარხნის კენძული. შემდეგ დიწყო პატარა ქალაქი სევეერი. იგი ფრანგული კრამიკითაა ვანოქმული. ვავიარეთ ისევ პატარა

ჭალაჲ ვირობულე და ეერსალს მიუვახლოვდით. პირველი, რაც წინ შემოგვხვდა და მთელი ტანით დაინახეთ, ვერსალის დიდი სასახლე იყო. სასახლის წინ ეზოში, რკინის რკეტულებიანი ღობის გადაღმა, ვიყანიო ცხენზე შემჯდარი ლეი XIV კანდაკება, რომელიც წიგნებში მრავალჯნის გვიჩვენებს დახატული. მის უკან ვერსალის სასახლის შუაში, ლეი XIII სასახლეა. აქ მან სასახლე იმიტრამ მოისურვა, რომ სანადიროდ მოდიოდა ვერსალში და ერთობოდა. თვით ლეი XIV ბავშვობის დროს ლეიში ცხოვრობდა. მაგრამ პარიზში აღარ უნდოდა დიდხანს გაჩერება. ვერსალის ძველ სასახლეს ამიტომ მიუმატა ახალი კორპუსები და არქიტექტორმა მანსარს (1598-1666) მიამშენებინა მისი ორი მხარე, აგრეთვე გააყვებინა უკანა ფსაღი. არქიტექტორმა გაბრიელმა დანახაჲნი შენობები ააშენა.

ვერსალის სასახლის ეზოში ძველთა ძველი ჭვავენილა, რომელსაც არ ცვლიან, მხოლოდ არემონტებენ ან აღადგენენ. ჩვენი მისვლის დროსაც შემუბი ჭვავენის ასწორებდნენ და ცნობისმყოფარებით გვიცქეროდნენ.

შედეგადად ლეი XIV ეკლესიაში. მას სასახლის ერთი ნაწილი უკავია და თავიდანვე წმინდა ფრანგული გემოვნებით ყოფილა მოწყობილი. გაჩერდით ვესტიბულში, სადაც სამასი წლის წინათ ლედოვიკო XIV გამოხვალს ელადებოდნენ ხოლმე სასახლის მალაი არისტოკრატია, მალაი მოხელეები და მთელი იმდროინდელი ოლიგარქია. გვიჩვენეს ეს ადგილი ეკლესიაში, მარჯვნივ, სადაც მეფე ჯდებოდა წირვის დროს. მხოლოდ ის იჯდა, სხვები კი ფეხზე იდგნენ, გარდა დეოფლისა. რომელიც შობარძაბარე მხრით, მარცხნივ ჯდებოდა სამეფო სკამზე ისე, რომ მეფეს წინ უყურებდა.

დაბლა იყო სასახლის არისტოკრატია ორღანი, რომელიც ახლაც უკრავს, ზენე გვეხმის მისი ხმა და, როგორც გვითხრას, იგი მსოფლიოში ერთერთი საუკეთესოა.

გავედით ვეებერთელა ოთახში, რომელსაც პეტრუელის დარბაზი ეწოდება. სახელის სრული გამართლებაა. პეტრუელს, მართლაც, ასეთი დარბაზი შეეფერებოდა. მაგრამ პეტრუელს მავირი დარბაზში ლეი XIV დიდი სურათია. საფრანგეთის ამაჲ მპყრობელი ცხენზე ზის, სწორედ ისე, როგორც ვერსალის ეზოში დადგმულ პიედესტალზე. ეს ვეებერთელა დარბაზი დღეს იმით არის საინტერესო, რომ სასახლის მხატვარი ლეივა ამ დარბაზში კერთან სწამო წლის მანძილზე ხატავდა გულამა მწოლი იმ სურათებს, რომელთაც ლეი XIV სასახლის გემოვნება უნდა დაეკმაყოფილებინათ. დარბაზი ახლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ხარაზობით იყო სავსე და შეკეთებას განიცდიდა.

პეტრუელის დარბაზიდან გავედით ვერსალს დარბაზში, სადაც ანტიკური ზელოვნების ძველთა ასლენია მოთავსებულია. აქ ჩვენთვის საინტერესოა იმდენად არაფერი უყრ, ვინაიდან ორიგინალები თითქმის არ არის, ასლების ნახვაზე კი დროს ვერ დავხარჯავთ.

თავისებური და ნამდვილი ფრანგული გემოვნებითაა მოწყობილი მერკეტის დარბაზი, სადაც პოლანდიელი ოსტატის მიერ გაყვებულ იქნათა, ფრინველებით გაფორმებული, რომელიც ლეი XIV გამოხვალს დროს რეკავდა და შემობრუნდებოდა. ეს „პანეგორიკული“ საათი ახლაც მუშაობს.

გავიარეთ ძველი გობელენების კორიდორი. ამ გობელენებისათვის სურათებს ხატავდნენ ისეთი განთქმული ფერმწერლები, როგორც იყვნენ ლებრენი და მისი მოწაფეები. უამკველია, რომ ეს გობელენები თავისი სიდიდითა და ანატატური შესრულებით მართლაც ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. მათი წყალობით ორიგინალი თითქმის მეორე ორიგინალად იქცევა, ქსოვილით ამტყველებული.

შედეგადად ომის დარბაზში, რომელშიაც კანკლური ოტო ბისმარკი იყო 1871 წელს, კომუნის დაყენის შემდეგ. გვერდით ვეებერთელა სარკეებიანი დარბაზია. აქ იმართებოდა საფრანგეთის მეფეების დიდი ბალები. აქვე მოაწერეს ზელი ცნობილ ვერსალის ზავს პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. აქ ინახვენ პატარა მაგიდას, ახლა უკვე ისტორიულს, მაგიდას, რომელზედაც 1919 წლის 28 იანვარს ზელი მოაწერეს დიდმანშენელოვან დოკუმენტს — ვერსალის ცნობილ ზელშეკრულებას. რა პატარა ყოფილა ეს ლამაზი მაგიდა, რომელსაც იმდროინდელი სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენლები უსხდებოდნენ ზელშეკრულებაზე ზელშოსაწერად.

შემდეგ იწყება მშვიდობის დარბაზი, სადაც გამოხატულია ლეი XV, რომელიც ომისაგან განაწამებ ვერსალს მშვიდობას აძლევს. ვეებერთელა მისი ხელში უკავია ვერსალისათვის გაწეული ზეთისხილის შტო, როგორც მშვიდობის ემბლემა.

გვიჩვენებენ ლეი XIV საძინებელ ოთახს. ეს ოთახი სულ მოჭირველია, ძალიან დიდი არარის, ყოველშემთხვევაში, თავი კომფორტის მასწავლებს მიხედვით. ოთახში ითავდნენ გობელენებიც ყოფილა. ისინი ქმნიდნენ ძილის წინ მეფის სასამოვნო განწყობილებას. საამისოდ სხვა საშუალებებიც ჰქონიათ. მაგალითად, ხარის თვალის ოთახში დიდი ბუხარია, რომელსაც, ალბათ, ბევრჯერ უსამოვნებია ეს გვირგვინისანი შეუფე.

შემდეგ გავედით დედოფლის პირად ოთახში, რომელიც ლეი XIV მეუღლეს ეკუთვნოდა. გვიჩვენებენ ლეი XVI მეუღლის მარია ანტონეტას პირად ოთახსაც. ახლა იქ მისი სუ-

რათებია. ერთი მათგანი გამოხატავს ანტიენ-ტას სიციოცხლის უკანასკნელ დღეებს. ასეთა იყო იგი მაშინ, როცა აქ, ამ ოთახში შეპყრობას უპირებდნენ.

გადღვიართ შეფის სასადლოში, დიდსა და გრძელ ოთახში, შემდეგ შეფის ქალების მცველების ოთახში. დედოფალთან შესასვლელად თურმე სამი ოთახის გაელა იყო საჭირო და სამივეში მცველები იდგა.

ამ ნაპოლეონ ბონაპარტეს ოთახი, რომელშიაც მისი დიდი სურათია ჩამოკიდებული. ეს სურათი გამოხატავს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევას ნორდამში. ნაპოლეონი, რომელიც პიუს VII ზელამ გამოგლიჯა გვირგვინი და თვითონ დაიდგა თავზე, შემდეგ ისწინ მას და თავისივე ზელით ადგამს მის წინ მუხლზე დახოქოლ ეზოეფინას. ნაპოლეონის უკან ღვანან მისი დები, აქვე არიან იმპერატორის ძმები და ცალკე მარჯვნივ—ნაპოლეონის დედა ლეტიცია, რომელიც შეიღის ბედნიერებას მაშინ არ ესწრებოდა, მაგრამ ნაპოლეონმა მოასურვა, რომ მხატვარს გამოეხატა დედაც, თითქოს იგი ესწრებოდა ამ ცერემონიას. ნაპოლეონის მარცხნივ ღვანან მისი მღვდელიც ცხოვრების განუყრელი მონაწილენი — ტალერანი და ფრე—ორივე გაუფიქრელი შვი მანტიებში.

სურათი ეყუთვნის ცნობილ ფრანგ მხატვარს დავიდს.

შემდეგ დიდი ტილო — ნაპოლეონი ეგვიპტეში. სურათი შესრულებულია 1806 წელს მხატვარ გროს მიერ. აქვეა ნაპოლეონისა და ეზოეფინას ბიუსტები. ისევ დიდი სურათი — ნაპოლეონი იტალიაში. ერთი სიტყვით, შეგიძლიათ ნახოთ განთქმული კორსიკანელის ცხოვრებიდან უმთავრესი მომენტების ფერწერული გამოხატულებანი. ამ ერთელ კორსიკაში, სადაც ახლა ჩვენ ვდგავართ, გამოფენილია აგრეთვე მხატვარ ვერნეს სურათები, რომლებიც ნაპოლეონის გამარჯვებებს აღბეჭდავენ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ენა დარკის სურათში, ქვემოთ გაკეთებული წარწერით: 1429 წ. 8 მაისი. ამ სურათში ენა დარკი უდარესად ლამაზი, თან სათნო ქალწულის სახით არის წარმოდგენილი, თან რაინდულად ჩაცმული. განსაკუთრებით ლამაზი აქვს თვალები. ენა დარკი ცხენზე ზის, ვრ ვიცი, ჯარს მიუძღვის თუ უკან ბრუნდება გამარჯვების შემდეგ, და ზალხი მის წინ ქედს იხრის.

ამიოთავრებით ევროპის სასახლის დათვლითებსა და გარეთ გამოვდიართ. გვიჩნდა დაგსვენოთ ევროპის სახელმანქმულ პარკში, რომელიც ვეებერთელაა, ძალიან ლამაზია და საუკუნეების მიწმღზე ნამუშაღ ვმსახურებოდა ევროპის გვირგვინოსნებს. პარკში, სასახლის წინ, მარჯვნივ და მარცხნივ ორი დიდი ემბლემატი ვაზაა: ერთი ომისა და მეორე

შვიდობისა. ორივე ვაზა დგას ევროპის სასახლის ომისა და შვიდობის დეკორაციებში.

საინტერესო, ლამაზი და ქვეყნურად ცენტის მიერ გაკეთებული ზაღების წინ საფრანგეთის მინარტების გამოსახულებებით შემკული დიდი მინარტეანი. შემდეგ, პირდაპირ, დაახლოებით 200 მეტრზე, ატონის ბასეინი, ისევ ბასეინი — ნებტონის სახელწოდებით, ხოლო მესამე ნაკვობა — არხია, რომელიც ზალს ემსახურებოდა.

აქედან შორს არ არის და გვიჩნდა ვნახოთ ფრანგულ ლიტერატურაში ასე ხშირად აწერაილი ცნობილი ტრანაონის პარკი. იგი ოდითვე განთქმული იყო თავისი ენეიანი ცხოვრებით, რაც მას დღემდე შეუნარჩუნებია. მაგრამ მისი დათვალიერება ვერ შეეძლოთ დროის უქონლობის გამო.

სამაგიეროდ აქურობას ვათვლიერებთ და ვხედავთ, რომ, მართალია, ევროპის პატარა, მაგრამ ლამაზი ყოფილა; იგი საფრანგეთის უთვითო თავისებური, ორიგინალური ქალაქია. მისი ცენტრალური ქუჩა ფართო და კეთილმოწყობილია.

ევროპის სასახლიდან პარიზისაკენ მიმავალი გზა, რომლითაც ახლა ჩვენ მივდივართ, მინიატურაში ელსეს მინდერტებს შავიწებს.

მარჯვნივ და მარცხნივ ტყეა, ვეღაფერი ამწანებულია, ალბათ, ამ გზით გადმოვიდა ევროპაში პარიზის ბურჟუაზია კოჰენის გამარჯვებით შემინებული და გაქცეული. გზა ისე ფართო და კარგია, რომ ჩვენმა ავტობუსმა საათში 70 კილომეტრს სრულიად თავისუფლად ვანავითარა.

გადღვიართ სენ-კლუს გვირაბში, რომელიც სიგრძით ერთი კილომეტრი თუ იქნება. შიგნითა მოწყობილობით სტოკოლმისა და როტერდამის გვირაბებს წააგავს.

უკვე პარიზში მივდივართ მომარტრის მალეობიდან, თანდათან დაბლა ევშვებით, ვხედავთ ჩვენს მარჯვნივ მდინარე სენასა და ბულონის ტყეს. დილით კი სენას მეორე მხრიდან გავუარეთ. ახლა ამ გზაზე გვიჩვენებს უფანი, სადაც ამერიკელებს რეპტილთო თვითმფრინავების ქარხანა მოუწყვეთა. ეს არის ამერიკელების მომარაგების ცენტრი პარიზში, აქ ღებულობენ მასალებს და აშაღებენ რეპტილთ თვითმფრინავებს.

დაიწყო ვიწრო ქუჩები, ისე ვიწრო, რომ ავტობუსს მოძრაობა უჭირს. შემდეგ ცოტა უფრო ფართო ქუჩაზე გავედით და თვალის მოკვართ საკმაოდ მოზრდილ ქარხანას. თურმე ეს ყოფილა საფრანგეთის ახლანდელი პრეზიდენტის რენე გოტის საკუთრება. ქარხანა აშაღდება ნელსაცხებულს, რომელიც პარიზში (შგონი სხვაგანაც) განთქმულია. პარიზის შანსონეტკები ამყობენ, რომ ისინი პრეზიდენტის ნელსაცხებულს ხმარობენ.

მართალია, პარიზის გარეუბანში, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, სულ ახალი სახლებია აგებული, მაგრამ ისე უფერულად გამოიყურება, რომ ისინი, სიახლის მიუხედავად, ანოქრონიზმად გეჩვენებათ პარიზისა და ვერსაისის ძველი დიდი სახლების ფონზე.

მივალწით მადრიდის ქუჩას. აქ იმდენი მანქანაა, რომ მოძრაობა აღარ შეიძლება. ერთ-მანეთს ეკრიბან და ისე მიდიან. როგორც იქნა, დიდი ჯახირის შემდეგ, გავედით რუსეთის მეფის ალექსანდრე III ხიდზე. შემდეგ თანხრობის მოედანზე, კვლავ შეეხედეთ შადრევნებს, ვეგობტის ობელისკს, ტაღლირანის სასახლეს, ვაბრიელას მიერ აგებულ ორ შენობას, სადაც ახლა საფრანგეთის რესპუბლიკის საზღვაო სამინისტროა, და რიგოლის ქუჩით სასტუმრო „ბრაიტონში“ შევედით.

რიგოლის ქუჩაზე საოცრად იმატა მოძრაობამ, ყველაფერმა დინამიური სახე მიიღო, თურმე იმიტომ, რომ მუშაობა დამთავრდა და ყველა შინისკენ მიემშრება. აშკარად ვერცხობა, რომ რიგოლის ქუჩის ნერვიულობა ტიფილის ბაღშიაც იჭრება.

უკვე საღამოს 7 საათია. ჩვენ ვტოვებთ ტიფილის ბაღს, „ბრაიტონსაც“ და რიგოლის ქუჩასაც, ვინაიდან მალე ჰავრში უნდა წავიდეთ სენ-ლაზარის ვაგზიდან.

უქანასკნელად გავუარეთ ვანდომის სვეტს. ქუჩები საესეა ხალხთა და ავტომანქანებით. პარიზის ობერის წინ, მოედანზე აღამაინები ჰიანუველებივით ჩანან. ჩვენი მანქანებიდან

სამღერები ისმის და გაკვირებული პარიზელების ყურადღებას იქცევს. სენ-ლაზარის ვაგზალზე, პარიზში.

პავრიდან მოსულები მივიღო, ხოლო ახლა უკანვე გეგზავნის, დღეს უამრავი ხალხია. ვეშვიდობებით ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებს, ვიღებს და პარიზიდან გაუდივართ.

ელექტრონით განათებული პარიზი აჭედანაც; ლამაზი სანახევია, მით უფრო, რომ ნისლი არ არის და ყველაფერი ნათლად ჩანს. ჩვენი შეწყობილად მღერთან მშვენიერ ქართულ სიმღერებს და პარიზს ემშვიდობებთან.

პავრამდე პოლიციის წარმომადგენლებმა „გიე მატარებელში“ სამჯერ შემოიარეს, რატომაც ისეთი შემოწმება მოგვიწყვეს, როგორც არსად არ შეგხვდებოდა დადილებსა და დაქანცულებს გადაწყვეტილი გვაქვს, როგორც კი კაიუტაში შევალთ, ძილს მივეცეთ.

უკვე პავრის ნავსადგურში ვართ და ვხედავთ ჩვენს გემს, ჩვენი სამშობლის ნაწილს, სიხარულით ავდივართ გემზე, ვეთხოვებით პავრს და ვამბობთ: მშვიდობით საფრანგეთო!

მე გულწრფელად ეკობოვები ვინა დარკის სამშობლოს, ვოლტერის, დიდროს, მოლიერის, კორნელის, რასინის, ჰიუგოს, ბალზაკის, ბერანეს, როლანის, ბარბიუსის, ლუი არაგონის სამშობლოს და უქანასკნელად ეუგზავნი მშვიდობას ჩვენი მშვენიერი გემიდან!

მშვიდობით იყოს შრომისმოყვარე დიდფრანგი ხალხი!

(გაგრძელება იქნება)

ა. ნაღვიძი



მუსიკალური ხელოვნების აღმავლობისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის 28 მაისის დადგენილება თავისი მნიშვნელობით საგრძნობლად სცილდება მუსიკალური ხელოვნების ფარგლებს და თვალსაჩინო, ფრიად სიმპტომურ დოკუმენტს წარმოადგენს მთელი ჩვენი იდეოლოგიურ-კულტურული ცხოვრებისათვის. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო შეიფუძნებოდა ნიადაგი ამ ღონისძიებისათვის და ამჯერად იგი მოულოდნელი თითქმის არავისთვის არ ყოფილა.

ამგვარი პარტიული დოკუმენტები, ჩვეულებრივ, ცხოვრების საჭიროების ანარეკლს წარმოადგენენ, აჯამებენ გარკვეულ ვტაბებს და მომავლის პერსპექტივებს სახავენ. გარკვეული თვალსაზრისით ასეთი იყო ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილება ვ. მურადელის ოპერის „დიდი მეგობრობის“ შესახებ. მასში ნათლად იყო განმარტებული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების ძირითადი იდეური პოზიციები, უმთავრესად ის, რომ უოველგვარი ფორმალისტური მიმდინარეობა შეუფერებელია სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისათვის, რომ მისი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი რეკლავების აღმოფხვრა საბჭოთა ხელოვნათათვის გადაუღებელი ამოცანაა. პარტია მოუწოდებდა კომპოზიტორებს, უფრო — ღრმად აეთვისებინათ კლასიკური მემკვიდრეობა, ხალხური შემოქმედება, განეფითარებინათ მათი ტრადიციები და თავიანთი ხელოვნება წარგმართათ ხალხის ინტერესებისადმი სამსახურში, ამ ღონისძიებამ სწორი გეზი მისცა ჩვენი ქვეყნის კომპოზიტორებს და ამ მხრის მისი ნაყოფი თვალსაჩინო იყო, აღნიშნული პარტიული დოკუმენტის პოზიტიური მნიშვნელობა, დადსტურებულია ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებაში. მაგრამ ამ პარტიულ მხარეებთან ერთად, 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილების გარკვეული ნაწილი საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. მოულოდნელი და გაუგებარი იყო ის, რომ საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ყველაზე თვალსაჩინო ძალები ხელაღებით იქნენ გამოცხადებული ფორმალისტური, ანტიხალხური მიმდინარეობის წარმომადგენლებად; ესენი იყვნენ დ. შოსტაკოვიჩი, ს. პროკოფიევი, ნ. მისაკოვსკი,

ა. ხანატურიანი, ვ. შებალინი და სხვ. გადაჭარბებული სიმკაცრით იყო მასში გაკრიტიკებული ვ. მურადელის ოპერა „დიდი მეგობრობა“, რომელსაც ჰქონდა თავისი სერიოზული ნაკლოვანებანი, მაგრამ ასევე არასწორი იყო მისი აღიარება ფორმალისმის ნიმუშად. ამგვარი ცალმხრივი მიდგომა ფორმალისმის „პრადეს“ სარდაქციო წერილებშიც კ. დანკეიჩის ოპერის „ბოგდან ხმელნიცისა“ და ვ. ურკოვსკის ოპერის „მთელი გულით“ შესახებ. აღნიშნული ოპერები პართლაც საჭიროებდნენ საფუძვლიან კრიტიკას, მაგრამ არა ხელაღებით უარყოფას. ამ ცალმხრივ შეფასებაში, როგორც ამავმად აღნიშნავს ცენტრალური კომიტეტი, თავი იჩინა ხელოვნების ნაწარმოებებისადმი იმ სუბიექტურმა დამოკიდებულებამ, რომელიც დამახასიათებელი იყო პარტიების კულტის პერიოდისათვის.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ პარტია, საბჭოთა მუსიკალური საზოგადოებრიობა მუდამ იჩენდნენ გულსხმიერებას იმ კომპოზიტორთა მიმართ, რომლებიც ასეთი გადაჭარბებული სიმკაცრით იყვნენ გაკრიტიკებულნი 1948 წლის დადგენილებაში. არამეუღებრივ ნაყოფიერი იყო აღნიშნული კომპოზიტორების მუშაობა ამ წლებში. შეიქმნა ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოებები, როგორცაა პროკოფიევის მეშვიდე სიმფონია, ბალეტი „ქვის ყვავილი“, ორატორია „მშვიდობის საღარაჯოზე“, ოპერა „ომი და მშვიდობის“ ახალი რედაქცია; ნ. მისაკოვსკის ოცდამეშვიდე სიმფონია, დ. შოსტაკოვიჩის მეათე და მეუთრამეტე („1905 წელი“) სიმფონიები, საეილიონო კონცერტი, ორატორია „სიმღერა ტუეებზე“, 1905 წლისადმი მიძღვნილი საგუნდო პოემა და სხვ. საერთოდ, განვლილი ათი წელი საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს.

ნაყოფიერი იყო სხვა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორების მუშაობაც. საბჭოთა მუსიკის მნიშვნელოვან მიღწევებს მიეკუთვნება რუსი კომპოზიტორების ოპერები: შაბოჩინის „დეკაბრისტები“, კებალევსკის „ტრასას ოჯახი“, ხრენიკოვის „დედა“, შებალინის „პირვეულის მორჯულება“, სერიოდოვის ორატორია „ს. ესენინის ხსოვნას“, გალინინის „ეპიკური პოემა“ და სხვ.

საბჭოთა კომპოზიტორების წამყვანი რიგები ყოველდღიურად იესებდა ახალგაზრდული ძალედებით, რომელთა უმრავლესობა ფართო შემოქმედებით სარბიელზე სწორედ ამ წლებში გამოვიდა. მათ შორის ბევრია მომეგრების წარმომადგენლებიც. განუზომლად იზრდება საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების მთლიან სავანეში ნაციონალურ კულტურათა ზედტრიალი წონა, უკრაინის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, შუა-აზიის რესპუბლიკების კომპოზიტორებმა დიდად გაამდიდრეს საბჭოთა მუსიკის „ოქროს ფონდი“, შეტანეს მასში ახალი, ნათელი, თვითმყოფი თავისებურებანი. ეროვნული ნიადაგი, ეროვნული ფესვები დაუმტკიცებლად საზრდის აწედა შემოქმედეს. მუდამ ბიძგს აძლევს განახლებისა და წინსვლისათვის, საყრდენს უქმნის ინდივიდუალურ თავისებურებათა გაშლისათვის. ჯანსაღ ეროვნულ ნიადაგზე ფეხავებულ ხელოვნებათა ბრწყინვალე გამოვლინება იყო აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დედაქალაქებში ამასწინათ გამართული ფესტივალი „ამიერკავკასიის გაზაფხული“. იგი ნათელი სურათი იყო იმისა, თუ როგორი ახალი, სხვადასხვა კუთხით ამდიდრებენ ქართული, სომეხი თუ აზერბაიჯანელი კომპოზიტორები საბჭოთა მუსიკალურ ხელოვნებას.

ეკრატორული კომპოზიტორი ახალი დადგენილების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს გარკვეულ რაიონების ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში. მტაცებელ იყავს რა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ურყევე დებულებას, მის იდეურ-მხატვრულ საფუძვლებს, მს დადგენილება, თავისი არსით მიკვირითებს იმაზე, რომ სპირითა ყოველ მოვლენას მიუვლევთ უღარესი გონიერულობით, სავნის ღრმა ცოდნით, თავი იფაროდოთ დაუსაბუთებელ მსჯელობებს, იარაღობთ „მონათვისს“ ზერევე კამპანიურ მეთოდებს ჩვენს იდეოლოგიურ პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლის დროს.

„ღამეშავების“ ასეთი ზერევე, კამპანიური მეთოდები, რომლებსაც იდეოლოგიური პიროვნების კულტის დროს, ზმირად ამახინჯებდნენ პარტიული ღონისძიებების ნამდვილ აზრს მათი ცხოვრებაში გატარებისას, ასეთი „კამპანიები“ მოჰყვა, მაგალითად, 1948 წლის 10 თებერვლის დადგენილებას, როდესაც რავმა მუსიკოსებმა საბჭოთა კომპოზიტორების პირველი სავანეში ურბოლის ტრინენა, პრესა თუ ადმიინისტრაციული ღონისძიებანი გამოაყენეს იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ, ჩვენს კულტურისთვის უცხო ელემენტებზე გამოყენებებით საბჭოთა მუსიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები, ამასთან, პირადული ანგარიშები ვაგსწორებინათ მათთან. ამგვარი გამოვლენები, რომლებიც იმხანად ზმირი იყო, არსებობდა მიმართული იყო საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ყველაზე დიდი და ნოვატორული მოვლენების წინააღმდეგ. ყველასათვის ცნობილია, თუ რა

უზარმაზარი რეზონანსი პოვა ხერგეე პოყოფიკოსა თუ დიმიტრი შოსტაკოვიჩის შემოქმედებმა მთელი მსოფლიოს პირველხარისხის მუსიკალურ წრეებში. შემთხვევითი დასაძინების პირველი ღვინური პრემიები სწორედ მათ ერგათ. რუსული საბჭოთა მუსიკის ამ ორმა უდიდესმა წარმომადგენელმა ნამდვილი ძეგლები მოახდინეს თანამედროვე მუსიკალურ აზროვნებაში. ვაგისენთან, თუ როგორი გამოხმაურება მქონდა დიდი სამამულო ომის ყველაზე დამამულ დღეებში შოსტაკოვიჩის მეშვიდე „ღვინგრადისეველ“ სიმფონიას მთელი მსოფლიოს პირველხარისხი ადამიანთა შორის, თუ როგორ იმხნეებდა იგი თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს, ცნობილია, რომ ეს სიმფონია კომპოზიტორმა შექმნა პირველხარისხი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ვითარებაში — ღვინგრადში, მისი ბლოკადის დროს, განუწყვეტელი ბომბარდირების გარემოცვაში. საკუთარი ძალიან რაღაც არაადამიანური დამამულ, რაღაც არსებულ სულერი და მოქალაქეობრივი სიმტკიცე იყო საჭირო იმისათვის, რომ კომპოზიტორის ომის სადარაჯოზე ყოფნა, საბრძოლო მოვალეობათა შესრულება, რაც საყოველთაო იყო ილყამე-მორტყმული ღვინგრადის თითოეული მოქალაქისათვის, ასე შეეზავებინა შემოქმედებითი ენერჯის ამ განსაკუთრებულ გამოვლინებისთანავე, ეხებდათ ერთ-ერთ უბრევედენტო შემთხვევას. დროის ყოველგვარი დისტანციების გატეშე, მოვლენების ყველაზე უშუალო განცდილი შექმნა შოსტაკოვიჩმა ეს ვეებერთელა პეროიკული ემოხე, რომელიც, ამავე დროს, მიეკუთვნება მსოფლიო სიმფონიური მუსიკის ისტორიის ღრმსე-სანიშნავ. ნოვატორულ ქმნილებათა რიგს. საგულისხმია, რომ პეროიკული მიმართება, საერთოდ, ნაყლებად დამახასიათებელი შოსტაკოვიჩის თხზულებათა უმრავლესობისათვის. მისი სიმფონიების დიდი ნაწილი წარმოადგენს ფილოსოფიური დამამების ერთგვარ სერას, რომელშიც გახსნილია ჩვენს ეპოქის საჭირობოტოტო პრაბლემატოკა. მაგრამ საოპირ მოვლენებთან, ვიტყვოდით, ფიზიკურმა შეხებამ ბიძგი მისცა შოსტაკოვიჩს, ასეთი ძალიან გამოემკვდებინა მეშვიდე სიმფონიაში თავისი შემოქმედებითი პოეტის სრულად ახალი მხარე. ზოგიერთი კრიტიკოსის მხროვე ყოფილა ცდა, რომ ამ ნაწარმების ღრმსეებში რაღაც მინიმუმამდე დაეყვანა, რომ მისი ნოვატორული თვისებები დაეხანა სიმფონიის მხოლოდ იმ მონაკვეთში, რომელიც გერმანული ფაშისტების შემოსევისას ასახავს. ამგვარი კრიტიკოსები ცდილობდნენ მიეჩქმალათ ის გარემოება, თუ როგორი სიღრმითა და მაღალმხატვრული ძალით ვადმოსცა კომპოზიტორმა საბჭოთა ხალხის ქმედითი ცხოვრება, მისი ენერჯია და გამარჯვების ნებისყოფა, მისი მორალური სიწმინდე, სიმტკიცე და ერთობა მათთან თუ ღვინგადში მშვიდობის წარმტაცი იდეოლოგია. ამისათვის შოსტაკოვიჩმა იპოვა სინამდვილის ასახვის

იშვიათად დინამიური და კონკრეტული საშუალებები. ამ მეტად საყურადღებო ის თემატიკურია მისალა, როლითაც კომპოზიტორის საბჭოთა ხალხის გმირული სახე გადმოკვდა: საბჭოთა მასობრივი სიმღერისათვის დამახასიათებელი ენერგიული ექსტეზი, ინტონაციური სიფართოე კომპოზიტორის მიერ სიმფონიური აზროვნების შესატყვისად დღიად არის გამოაფრებული, რითაც იშვიათად აღეჭრატობით არის გადმოცემული ჩვენი თანამედროვეობა. ეს კი ინსტრუმენტულ მუსიკაში არც თუ ისე ხშირია. ამ ნაწარმოებში საგრძობლად შეარყია ის მდგომარეობა, როდესაც ჩვენი ესთეტიკოსები საბჭოთა სინამდვილის ინტონაციური ასახვის კონკრეტულ გამოვლინებას მასობრივი სიმღერის ვარდა ვერაფერში ვერ ხედავდნენ. ცალმხრივად შეფასებამ თავი იჩინა შესატყვისის მომდევნო სიმფონიების მიმართაც. ავიღოთ მერვე სიმფონია, ამ ვეებერთელა მასშტაბის ნაწარმოებში მართლაც პიპერტრაფირებულია ისედაც მშაფრი გამოშახველი ზერხები, მისში წინა პლანზე წამოწეულია ტრაგედიული საწყისი და ომის საშიშვლებათა შეიმარწვეველი სახეები. ამ მხრივ შეიძლება ვედავოთ კომპოზიტორს. ამ სიმფონიური ტრაგედიით აფტორმა განკლდის განსაცვიფრებელი ძალით უთანაგრძნო იმ დაუცხრომელ კრილობებს და ტავილებს, ამ ოუწერულ უბედურებებს, რომლებშიც კაცობრიობას ომში მოეტანამ და ვანა შეიძლება და ამ უადრესად ჰუმანისტურა ქმნილების გამოცხადება ფორმალისტურ, ანტიხალხურ ნაწარმოებად? ჰუმანისტი ხელოვანის შოსტაკოვიჩის ქმნილებებში აღბეჭდილია კაცობრიობის ზედ-იღბალზე, მის მომავალზე ფიქრებთან; კომპოზიტორი მოუწოდებს ხალხებს, დაიარზონ ახალი ომის უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. ასეთია მისა მეთუ სიმფონია, დაწერილი 1953 წელს. გაპონდნენ ისეთი კრიტიკოსებიც, რომლებიც არითმეტკული სხესტათ ზომავდნენ, თუ ამ სიმფონიის რომელი საწყისია რა მოეტლობითაა გამოხატული. ასეთი კრიტიკოსები კომპოზიტორისაგან მოითხოვდნენ, ერთ ნაწარმოებში გადაეწყოტყველა მნიშვნელოვანი პრობლემატიკა, მუშინ როდესაც ამგვარი პრობლემატიკის გადაწყვეტა მათ შეეძლოთ დაენახათ შოსტაკოვიჩის არა ერთ რომელიღე ნაწარმოებში, არამედ სიმფონიების მთელს სერიაში, მათ მთლიან პანორამაში. ამ მოთხოვნილებების მიხედვით, რომლებსაც ამგვარი კრიტიკოსები უყუებენ მერვე ამ მეთუ სიმფონიას, ვამოიხს, რომ კომპოზიტორის მეორედ უნდა დაეწერა თავისი მეშვიდე სიმფონია!

წინასწარ გამზადებული „ნორმების“ ხელოვანისათვის თავზე მოხვევას, მათ გასაღებას სოციალისტური რეალიზმის პრინციპებად წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი ჩვენი ლტერატურასა და ხელოვნებაში. ზოგიერთ ამხანაგს რომლებსაც თავი მიანიათ რეალისტური ხელოვნების მოსარჩელე (ასეთები არა მარტო მუ-

სიკაში არიან), მუსიკაში ხალხტრობასა და რეალიზმის პრობლემა დაპყავით ხალხური სიმღერების გამოყენების საკითხად. ეს სიმღერები მუსიკალური შემოქმედებისათვის წინააღმდეგობლი მოთხოვნილებების დიდ დაქვეითებასა და თვით რეალიზმის, კერძოდ, სოციალისტური რეალიზმის ენების შეზღუდვას. ეს იყო 1948 წლის 10 თებერლის დადგენილების პირველ წლებში. ამგვარი „კრიტიკიუმების“ წამოყენებაში არასამარბიელი როლს თამაშობდა ზოგიერთი მუსიკოსი, მათ შორის კომპოზიტორები, რომლებიც საკეთარი შესაძლებლობების მიხედვით განსაზღვრავდნენ მუსიკაში სოციალისტური რეალიზმის საკითხს. 1948 წლის დადგენილების არასწორი ტენდენცია — საბჭოთა მუსიკის წარმატების აღიარება მხოლოდ სასიმღერო და კინო მუსიკის დარგში, ამ ეანრებში მომუშავე ზოგიერთი კომპოზიტორის მიერ გამოყენებული ექნა თავის სასარგებლოდ. ასეთ პირებს თავი ისე მოჰქონდათ, თითქოს საბჭოთა მუსიკის ჭურუმები ყოფილიყვნენ და ოდნავადაც არ ერიდებოდნენ იმას, რომ საყუთარი კრიტიკიუმები ხალხის კრიტიკიუმებად გაესაღებინათ! ისინი შეტევზე გადადიოდნენ, თუკი კომპოზიტორის ნაწარმოებში გამოსახვის რაიმე მშაფრ, ორიგინალურ საშუალებებს დაინახავდნენ. და „იარლიკები“ იმოთავიფე მზად იყო!

ეს გარემოება ტრაემას აყენებდა იმ კომპოზიტორებს, რომლებიც შემოქმედებაში ადვანან ახლის ძიების გაბედული ექსპერიმენტების გზას. საქმე ხანდისხან უფრო შორსაც მიდიოდა: ერთა სასიმღერო ეანრის მოსკოვლაც კომპოზიტორმა, რომელსაც, უეჭველია, თავი მოჰქონდა ხალხური შემოქმედების დიდ მკოდნედ (რაც შეიძლება ნაწილობრივ მართალიც იყო), ალ. მავვარიანის სიმფონიის იმ ებიზოდში, რომელიც „ხორუმის“, რიტმზეა დაწეშებული, დაინახა „ფორმალისტური რიტმი“ (!?). როგორც უნდა ვავვერა ეს, როგორც უმეტრება თუ ხალხური შემოქმედების შეურაცხყოფა?

გამზადებული დოგმების საფუძველზე კომპოზიტორებისადმი იარლიკების მიტყარას ადგილი საქართველოშიც ჰქონდა. ისე, მავალითად, ცალკეული მუსიკოსების მხრივ იყო ცნა ფორმალისტმად ან კომპოზიტორებად „თვლილით“ ქართული საბჭოთა მუსიკის ისეთი თვალსაჩინო ნაწარმოები, როგორიცაა ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია. დრამატურგიულად და სტილისტურად ამ შეტად მთლიან და ორიგინალურ ნაწარმოებში ზოგიერთს „მისაღებად“ მიაჩნდა მხოლოდ ის მომენტები, რომლებშიც ამკარად იყო გამოხატული ქართული ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სჭვა საკიოხია, რომ ბალანჩივაძის მუსიკაში ყოფილიყო რაიმე სტილისტური გათიშვა — ამას კრიტიკოსი ვერც ამტკიცებდა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ეროვნული სტილის შეზღუდულ გაგებასთან გვეკონდა საქმე. ხალხური შემოქმედება მუდამ

უდიდეს როლს თამაშობდა და თამაშობს ყოველი ერის მესიკალური ხელოვნების ეროვნული სახის ფორმირებაში. მაგრამ კომპოზიტორთა სტილისტური ძიებანი რომ ფოლკლორის ნორმებით შემოედარებულყვნენ, მაშინ ხომ შემოქმედების ისტორიაც ვერ დაიჭრებოდა წინ!

ჩვენი მესიკალური ცხოვრების ამგვარი ფაქტები, რომლებიც ხშირია იყო 1948 წლის 10 თებერვლას დადგენილების მიმდევრო წლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითად ამბინჯებდნენ ამ პარტიული დოკუმენტის ნამდვილ მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ წლებში, პიროვნების კულტის კრიტიკასთან დაკავშირებით, ჩვენს იდეოლოგიურ-კულტურულ ფრონტზე გაიშალა საკმაოდ მწვავე დისკუსიები, ამ დისკუსიების ძირითადი დანიშნულება იყო, უფრო ფართოდ, გაბედულად, მრავალმხრივად გამოვლანებინა საბჭოთა ხელოვნების მიზნები, სოციალისტური რეალიზმის არსი, გამოუსწორებინა წახსულში დამკვიდრებული შეცდომები, გზა მიეცა ახალი, გაბედული შემოქმედებითი ძიებებისათვის. გავრცედა ის მდიდარი პერსპექტივები, რომლებიც საბჭოთა კულტურის მეშვეობს დაესახა პარტიის მე-20 ყრილობამ.

ამგვარი დისკუსიები მიმდინარებს მესიკის დარგშიც. მრავალეროვანი საბჭოთა მესიკალური კულტურის წარმატებებმა ახალი შუქი მოაფრინეს ჩვენი ხელოვნების შესაძლებლობებს. უფრო და უფრო იმკვიდრებს საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებაში თანამედროვეობის თემა, რომელიც მრავალკუთხოვანი, ნოვატორულ გაშუქების პოულობს. ახალი პერსპექტივები ისახება იმ ეანრებში, რომლებშიც ერთხანს საგრძნობი კრიზისი იყო კარგა ხნის მანძილზე არსებობდა ისეთი შეზღუდვება, რომ ოპერა საგრძნობლად ჩამორჩებოდა საბჭოთა მუსიკის სხვა ეანრებს, სახელდობრ, სიმფონიურ მუსიკას. დღეს უკვე საბჭოთა ოპერის დარგში ახალი, ნათელი პერსპექტივები ისახება. ამას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებაშიც, რომ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კომპოზიტორებმა და მუსიკისმცოდნეებმა საფუძვლიანად მოკიდეს ხელი საბჭოთა მუსიკის მდიდარი მემკვიდრეობის ღრმა შესწავლას. ამ მემკვიდრეობაში ბუერი რამ იქნა გადახედული, ხელახლად გარკვეული. ახალ შუქზე გამოჩნდა, მავალითად, საბჭოთა მუსიკის კლასიკოსის ხერხედი პროფიციენტის სათავეში შემოქმედება, რომელიც ერთხანს გარკვეული წრეების მიერ გამოცხადებული იყო ფორმალისტურად. მისი ოპერა „ომი და მშვიდობა“ სულ უფრო და უფრო იმტკიცებს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისა და აგრეთვე საზღვარგარეთის მესიკალურ-ოპერალური ცხოვრებაში. იგი გახდა ჩვენი დაუცხრომელი, საინტერესო, დისკუსიების საგანი. საგულისხმია, რომ სულ უფრო და უფრო კლუბულობს წინაღმდეგობა აღნიშნული შემოქმედებითი კა-

მათის იმ მონაწილეთა შორის, რომლებიც თავდაპირველად ურთიერთმოპირდაპირე პრინციპებზე იდგნენ. ხდება აღიარება იმისა, რამდენიმე დღისაღნიშვნის, ნოვატორული ოპერა მშვენიერად უდარესად საინტერესოდ ავითარებს კლასიკური საოპერო შემოქმედების ტრადიციებს.

ხელოვნებისა და ლიტერატურის პოლიტიკაში ლენინური პრინციპების აღდგენამ სწორი გეზი მისცა საბჭოთა მუსიკოსებს აგრეთვე უცხოეთის კლასიკური და თანამედროვე შემოქმედებისათვის. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა მესიკალურ ხელოვნებას იმდენად მძლავრი ნიადაგი აქვს, რომ ჩვენი კომპოზიტორებისათვის არავითარ საშიშროებას ამ წარმოადგენს თუნდაც დასავლეთის მოდერნისტული ხელოვნების ზოგიერთი გამოშახველი ხერხის გამოყენება, მათი შემოქმედებითი გარდატეხა, რა თქმა უნდა, თუ ეს მიმართული იქნება რეალისტური გამოშახველობის მიზნებისათვის. ამ საკითხში გადასინჯული იქნა ზოგიერთი ვულგარიაზორული შეხედულება, რომლებსაც აქამდე ადგილი ჰქონდა ჩვენს მუსიკოსებს შორის.

მაგრამ მთელი ამ დისკუსიების პროცესში თავი იჩინა ახალმა საშიშროებამ. მესიკალური ხელოვნების მთელი რიგი ნაწარმოებების გადაღებისას ზოგმა დაკარგა წონასწორობა და შეუდგა ამა თუ იმ მიმდინარეობის ხელოვნებათა განურთველ რეაბილიტაციას, იქნებოდა ეს რეალისტური, თუ მოდერნისტული ხელოვნების ნიშნში. იქმნებოდა საფრთხე ჩვენი პრინციპული იდეოლოგიური ბრძოლის შესუსტებისა, ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ დაგმო პარტიამ ის რევიზიონისტული გამოსვლები, რომლებსაც ჰქონდა ადგილი ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს შორის.

ეს მდგომარეობა დიდი ობიექტურობით არის გაშუქებული ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში.

მაგრამ ამ ბოლო დროს გამოჩნდნენ ისეთი პირობები, რომლებიც პარტიისა და საბჭოთა ინტელიგენციის ბრძოლას რევიზიონიზმის წინააღმდეგ იყენებდნენ პირადული მიზნებისათვის, დაადგნენ ერთგვარი რეჟანმის ალბის გზას, და „რევიზიონისტებად“ ნათლადნენ ყველა იმას, ვინც კი იღწყოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში პრობლემების კულტის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის.

მტკიცედ დავიცავთ სოციალისტური ხელოვნების საფუძვლებს, დაუნდალად ვებრძობით ჩვენთვის უცხო იდეურ გამოვლინებებს და, ამოვე დროს, დავემოთ ჩვენი კულტურის მოვლენებისადმი ზერელე მიდგომის, დაუშასბურებელი ბრალდებების ფაქტები, გამოვიინიშთ სრული გონიერებლობა და სამართლიანობა ამ მოვლენების ავტორიანობის შეფესებაში — აი რას მოვიწოდებთ თავის ახალ დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტი. ამაშია ამ პარტიული დოკუმენტის ურყევი ძალა და პერსპექტიულობა.



გალატიონ ტაბიძის ღირიკის ბუნებისათვის

•ლექსი ერთი რამ არის ამ სოფლის
საქმეში•

მამუკა

ღირიკა ერთი ისეთი დარგია პოეზიისა, რომელიც სიტყვის „მართლად ცემისა“ და „მარჯველ ქნევის“ უდიდეს საშუალებებს იძლევა. მას შეუძლია აღამიანის სულის ყველაზე ღრმა განცდებს შეეხოს და პირველი თოვლის უბიწობით მოიტანოს მათი საიდუმლო. ღირიკა გულისხმადღების გამყვანებას ჰგავს და ამ გამყვანების ფორმა დიდი ფიქრით და ტყვილით იძებნება ხოლმე. გალატიონ ტაბიძემ თქვა: „ჩა მწარეა ის, რაზედაც ჩემად არიანო“. ღირიკა ამ აღამიანური სიმწარის მოშორების ცდაა და ბრძოლა თქმის სურვილსა და ბუნებრივ მორიდებას შორის. აღამიანის სწრაფება თავისი ფიქრი ფუჭრი საზოგადოებრივი ვახაღის და ამით ის მატერიალურ ძალად აქციოს. ეს კეთილშობილური მისწრაფება ნებისყოფის უდიდეს დაძაბვას და დიდ შრომას მოითხოვს. მაიაკოვსკიმ შემოქმედი კაცის ბედი სიმბოლურად უცარცმის სახით გამოხატა:

Видите —
Гвоздями слов
Прибит к бумаге я
«Флейта позвоночник».

ქვეშარბიტი ღირიკა - ებრძვის დამატრული, ტრევიალური სიმღერას და სამყაროს რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზით იმეცნებს. ღირიკის, ისე როგორც ლიტერატურის საგრძობად, სხეულებზეა გამაფრებული ურთიერთდამოკიდებულებაა აღამიანსა და გარესამყაროს შორის. ეს არა მარტო მღელვარე და შფოთიან სტრიქონებში ხანს, არამედ მშვიდ და გარეგნულად გულგრილ ნაწარმოებებშიც. მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ღირიკა არ არის პირდაპირი, სწორბაზოვიანი აღქმა სინამდვილისა. ღირიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელია სინამდვილის პოეტური წარმოდგენა. პოეტური ნაწარმოები, ხშირ შემთხვევაში, სცილდება ობიექტს და ამ ობიექტისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას უყრდნობა ხოლმე. ღირიკის საფუძვლად ცხოვრებისეული სიმართლე უდევს და ნამდვილი ხელოვნება იწყება მაშინ, როდესაც პოეტი ცხოვრებისთანა არამწიგნობრულ დამოკიდებულებას აყარებს. სინამდვილის პოეტურიზებული წარ-

მოდგენა არ ნიშნავს სინამდვილის დაღატს. ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი ის ნიშანი, რომელიც მხატვრულ ლიტერატურას ფაქტის მშრალი ვადმონაცემიდან ასხევეებს.

ღირიკა აღამიანის მიერ მზის ქვეშ ადგილის ძიებას მოგვაგონებს და ხან ეჭვი და სევდაა უმწეობით გამოწვეული და ხან გამარჯვების სიხარულია. პოეტი გარესამყაროში თავისი განწყობის შესატყვისს მოვლენებს ეძებს და მისი -ფერადი კალამი- საოცარი ძალით ამეტყველებს და საცნაურს უყოფს აღამიანისათვის უცარი კიდევ მიუწვდომელ საგნებს. პოეზია აღმოჩენას ჰგავს და მუდამ ახლის ძიების ცუცხლითაა გამთხარა. მე მაგონდება გალატიონ ტაბიძის ლექსი „დედოფალი“

საბრალო დედოფალი,
მორთული ფერადი ფარჩით,
მას აქვს დაბურღული, ოქროსფერა თმება,
ცისფერი დიდი თვლები
პაწაწინა წითელი ტუჩები
და უშიძრიაო ხელ-ფეხი.
სთქვი — დედოფალი:
იმღერე, დედოფალი
რა გქვიათ შენ სახელად?
ხომ არ მიჩათმე, დედოფალი,
ბავით აღუბნებს?
მაგრამ შენ ვინდა ერთადერთი:
წყევლისაგან განთავისუფლება.

ამ პატარა ღირიკულ ლექსში თავს იჩენს საგნების ამეტყველების სურვილი, გარემოს გაცოცხლებისა და მასზე ამღლებს ცდა. ამ ლექსში მოულოდნელი ასოკიაცებით და დიდი რიზმითაა გაცოცხლებული ჩვენი ზღაპრების მოჯადოებელი მზეთუნახავების: „რამდენი ხანი მძინებია“.

ღირიკა ორგანულ კავშირში ლიტერატურის სხვა ეანრებთან და მასში, როგორც წვეთში, მთელი ლიტერატურის თვისებები მელაენდება ხშირად. ღირიკული ლექსი, თავისი ბუნებით, თითქოს და კონტრასტულია პროზის მიმართ. ნამდვილად კი პროზა ბევრი პოეტის შემოქმედების პირველწყაროდ გვევლინება. მაგალითად, ბლოკი ლექსის პირველწყაროდ სწორედ პროზას იღებს. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ რუ-



სი და ტოლსტოი, ეს ორი დიდი პროზაიკოსი, ლექსის წერით იწაფადნენ ხელს და ხშირად აღნიშნავდნენ, თუ როგორ შეელოდათ ლექსი დიდიანი ნაწარმოებებზე შემოხდის დროს. ჩვენი ქართული პავლოვრაფიული მწერლობიდან ერთი ნაბიჯიღა იყო ლექსამდე და, შეიძლება ითქვას, რომ მან პოეზიის აუვაგებას დიდად შეუწყო ხელი. ქართული ეპიკური პოეზია დიდ კავშირში იყო პროზასთან და პროზა (დღევანდელი გაგებით) ჩვენს წინაბრებს ესმოდათ, როგორც ლექსად ნათქვამი ამბავი.

ჩვენი ხალხის ისტორიის თავისებურებამ განაპირობა პოეზიის უპირატესი ადგილი ლიტერატურის სხვა დარგთა შორის, მაგრამ ეს უმთავრესად ეპიკური პოეზია იყო და დიდი ამბების (სიუჟეტური თხრობა) ვალექსებს გულისხმობდა.¹

„ამისათვის, ვინც კი კაი მოლექსე ყოფილან, ამბები გაულექსაეთ.“ — ამბობს მამუკა ბარათაშვილი. ლირიკული ლექსის პირველ ნიმუშებს ჩვენ მე-17 საუკუნეში თეიმურაზ I შემოქმედებაში ვხვდებით. უდიდესი ტრადიციით და პლევრებით ანთებული ლექსები რუსთაველისაში შემოქმედებითი უბირით აღზნებულ პოეტს პირველ ქართველ ლირიკოსად ხდინან.

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ,
 მე მქვენ დასადავე?!
 გლახ, ლახვარი სასიყვინდე ვველა მე მყარ,
 და საღ აგე?
 დამიკარგე ძე, ასულო, მამა არ ვიცი,
 და საღ აგე?
 სხვა ნაყოფი მათებრ ტურთა რა აწიე
 და საღ აგე?
 სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგი არც თუ
 მოაწიე.
 ვინცა შეგქმნა, მან შენ გაიოს,
 რაცა ჩემზე მოაწიე.
 მოყვდე — მიწა ალარ მინდა, ჩემზე მხეცნი
 მოაწიე.
 მამინ აგრეც შეგბრალდე, იტირე და მო,
 აწი, ვე!“

გაიხსენეთ თეიმურაზის შესანიშნავი ლექსი: „გრემის სასახლეზე“.

„დაეხატე ფერად-ფერად ჰგავს, რამე იყოს მურასო,

ტალახიანის ფერბითაა ნურავინ გამიმურავსო, რაოდენ დიდი პატრიოტული წუხილია პატარა ქვეყნის შეიღისა, რომლის სახლიც ომების გზაჯვარედინზე იდგა და ყველა გადამთიელი შემოაბიჯებდა ხოლმე შიგ.

¹ ძველ ქართულ ლიტერატურაში ლირიკა უმთავრესად ჰიმნოგრაფიულ ხასიათს ატარებდა. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა მაგრამ რელიგიური ეპიტაზით ავსებული იამბიკოები მანინ არ იძლეოდნენ ადამიანის მღვლევარ ვნებათა მოლიან სურათს.

დავით გურამიშვილის შემოქმედებრივ შეიხნევა ერთგვარი ცდა ეპიკურზე მდგრადი სუბიექტური განცდების პოეტურად გამოყვანისა. „დავითიანში“ ჩართული სხვადასხვა ხალხთა სიმღერების ხმაზე ამბეჭელებული შესანიშნავი ლირიკული ლექსები: „მოსკოვის ქალაქს შვს ველოდით“, „ზუზუკა“ და კიდევ მრავალი სხვა ლირიკულ მელოდიამ, ლირიკულ განწყობაზე გადასვლის აღნიშნავენ.

ლექსი კონკრეტული პოეტური განწყობის გადმოცემა. ლექსია ის ყალიბი, რომელშიაც ლირიკა თავის თვისებებს ათავსებს და ამჟღავნებს. მწელი იყო ლექსის (ერთი ლექსის) დამკვიდრება ეპიკურობის ზღვაში. ზოგიერთი მკვლევარი უნდობლობით ეუბნებდა ლირიკული ლექსის პატარა ფორმას: შეუძლია თუ არა მას გადმოსცეს ცხოვრების დიდი მოვლენები? ეს უნდობლობა ზოგიერთ ჩვენს დღევანდელ კრიტიკოსს და პროზაიკოსსაც გადმოჰყვა (ვანო ბარნოეში გალაკტიან ტაბიძისადმი მიძღვნილ სიტყვაში თქვა: „საოცნებო სახეთ სიუხვე წერილ ლექსებში ვეღარ ვტყვა, გალაკტიონ! იცნებები დაგრძნობინ, გთხოვეწ პოემებს“. ლიტერატურის ისტორიაში კი მრავალი მაგალითია იმისა, როდესაც პოეტები ბოლომდე ლირიკოსებად დარჩნულან და თავიანთი ეპოქის მაკოსიცემა სწორუმოვრად გადმოეცათ. ნიკოლოზ ბარათაშვილი სიყვლილამდე ლირიკოსად დარჩა და ამან სრულიად არ შეუშალა ხელი მას იმდროინდელი ცხოვრების პირველ რიგებში ყოფილიყო. ის მსოფლიო ლიტერატურის გზაჯვარედინზე იდგა და აღმოსავლეთის მუსიკით ყურგასენილი დასავლეთის ახალ ქარს ატოლებდა მხრებს. ის იყო პოეზიაში „მოდამ ზეზუელად მცხოვრები“ კაცო და თავისი დროის მიერ წამოჭრილ ფილოსოფიურ საქითხებს უდიდესი ლირიკული ძალით ანათებდა. მას არა მარტო ბუნებისა და სიყვარულის უცნაურობანი იტაცებდა, არა მარტო მარტოსულის უწყინის დამლვეა სურდა, თავისი ქვეყნის ტყვიანობი ტკიოდა და საზოგადოებრივ თემებს უუურავდებდა. მან დაწერა ბრწყინვალე ლექსი: „საფლავი მეფის ირაკლისა“ და ამით სამოქალაქო ლირიკას ჩაუყარა საფუძველი ჩვენში. ის თავისი პოეტურა მრწამსით ცხოვრებასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და ადამიანთა უკეთეს მერძისზე ფიქრობდა.

მე-19 საუკუნე შედეგების საუკუნე იყო ილიას, აკაკისა და ვაჟის შემოქმედებაში ლირიკულმა ლექსმა უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

მე-20 საუკუნის 20 — 30-ან წლებში თავი იჩინა გურამიშვილის, ბესიკის, ბარათაშვილისა და ვაჟის პოეზიის დავეიანებულმა გავლენამ. გურამიშვილის ასოციაციური, ბესიკის პოეტური თქმა, ფრანსა („კვლევი მომელა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან“), ბარათაშვილის ინტე-

ღმერთადური ლირიკა და ვაგის რთული მეტაფორა („შთებმა დაბეჭეს თვალები“, „ნისლი ფიქრია მთებში“) ამ დროისათვის საყოველთაო გაკეთილად იქცა და ორგანულად შეუერთდა ახალ სპაზე ამბავებულად პოეზიას. ჩვენმა პოეტებმა შეძლეს ამ დიდი ვარდებუნის დაჩქარება და თავიანთი შემოქმედებით განამტკიცეს ახალი პოეზიის ნიშანდებები. პოეზიის უველობზე უფრო ნიჭიერი წარმომადგენლები ვაზარებულად სწავლობდნენ და ამუშავებდნენ წარსული პოეზიის ტრადიციებს. მხოლოდ უპიკონები და საეჭვო ნიშის დეკლენტები სწამლავდნენ პაერს. გავიხსენოთ ანდრეი ბელის სიტყვები ბრუსოვის შესახებ: «Он научил нас по новому ощущать стих. Но и в этом новом для нас восприятии стиха ярким блеском озарилась приемы Пушкина Тютчева, Баратынского».

ამ დროისათვის ქართულ ლექსში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. პირველი, რაც ამ გარდატეხაში შეიმჩნევა, არის პოეტური სიხის მნიშვნელობის გადიდება. პოეტური სახე სინთეტური გახდა. პოეტური სახე თავისი შინაარსისა და მოცულობის მიხედვით ორგანოა: ერთია მთავარი სახე, პრინციპული დანიშნულების სახე, მეორე კი დამხმარე სახეა, რომელიც მთავარ პოეტური სიხის მეტი ფერადოვნებისთვის გამოიყენება. „დამხმარე სახე“ („Вспомогательный образ“) მთავარსიხის გამოთქმა.

მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სიმბოლური ეფემერა“ დამხმარე სახეა: ვახუშტის შებლი შემოსეს ღრუბლით და ცა აღუბლით სავსეა...

შატერულ სახეში გაერთიანდა ფერწყრის, მუსიკისა და პოეზიის თავისებურებანი. საერთოდ, უნდა ითქვას, პოეზია ძალიან ახლოს მივიდა ხელოვნების სხვა დარგებთან. ყოველივე ამან გაზარდა ლექსის ემორციურობა, მაგრამ ეს მისი რაციონალური მხრის ხარჯზე არ მოხდა. მოხდა ის, რომ შატერულ სახეში გამედონებული იღვა უფრო მრავალწახანგოვნად მივიდა მეთხვედამდე. ახალ ლექსში დიდად გაიზარდა პოეტური ასოციაციის მნიშვნელობა. ასოციაციის საშუალებით პოეტური სახე უფრო ტევალი და ფართო გახდა.

ჩვენი დიდი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია ამ დიდი ცვლილებების და ახალი პოეტური ხერხების დამკვიდრებისა. ცნობილია, რომ გალაკტიონ ტაბიძე თავის ადრეულ ლექსებში სიმბოლიზმის გავლენას განიცდიდა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის უმთავრესად ფრანგული სიმბოლიზმის შედარებით ნათელი ფრთის, კერძოდ, ვერლენის მიმდევარი იყო. ვერლენი კი, როგორც ვიცით, არ იყო თანმიმდევარი სიმბოლისტი. მისი ლექსები, ხშირ შემთხვევაში, ნათელ

თელ საწყისებზეა აგებული. გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი ლიტერატურის დეკადანსის დროის ერთ-ერთ დარჩა წარსული ლიტერატურის უფრო ტრადიციებისა და სწორედ მან განაპირობა მისი ნოვატორობა, რადგან ნოვატორობა ნიშნავს როგორც სრულად ახალი ხერხების შემოტანის, ისე ტრადიციების ახალ სიმაღლეზე აყვანას და გაღრმავებას. სიმბოლიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოეტური კულტურის ამაღლებაში. მაგრამ არ უნდა დავაყოფედეს, რომ მან შეეცა პოეზიას იმ წლებში დაუკარგა საზოგადოებრივი დანიშნულება და დიდი საზოგადოებრივი თემები უარყო.

გალაკტიონ ტაბიძეს აქვს წმინდა სიმბოლისტი ლექსები, რომლებშიც უმთავრესად ფორმის არტიკულური მხარეა წინ წამოწეული („მას გახელოდი დარჩა თვალები“. „უცნ არის ეს ქალის“. „ათოვდათ ზამთრის ბაღებს“ და სხვ). „ათოვდათ ზამთრის ბაღებს“ სიმბოლიზმის კანონების ასეთი დაცვითაა შესრულებული, რომ, იტიკებთ, რემბოს ცნობილ სონეტს „სმოვნებს“ მისდევსო. თოვლის სითოარეში იჭრება კონტრასტული შავი, შავი ფერი, როგორც მთავარი ფერი ლექსისა, შექმნილია „ა- ხმოვნის მრავალჯერ გამეორებით („ა- შავია“ — რემბო). გალაკტიონ ტაბიძის წერის მიწერა იმპრესიონისტულ ფერწყრასავე ჰგავდა:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებზეთი ხდილიდან ფენა.

გალაკტიონ ტაბიძემ პოეტური კულტურის თვალსაზრისით ბევრი რამ მიიღო სიმბოლიზმიდან, მაგრამ მისი პოეზიის ძირითადი დასაფრდენი სამყაროს რეალისტური აღქმა იყო, რაც წარსული პოეზიის ტრადიციების მოშველიებით მან გაზარდა და გამაღიარა შემდგომ წლებში. ლეი არაგონი ამბობდა: „თუ მაინც ვსურთ მოახდინოთ კლასიციკალი თანამედროვე ქართული მწერლებისა მის მიხედვით, თუ რომელ მიმდინარეობიდან მოდიან ისინი, ასეთი კლასიციკალი უნებლიეთ მიგოყვანთ იქამდე, რომ მეტი მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ საიდან გამოივლიდა მწერალი. ვიდრე იმას, თუ სად მივიდა იგი“¹.

ჩვენ ზევით ელაპარაკობდით პოეტური ასოციაციების შესახებ. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სახეები უმთავრესად ასოციაციების გზით არის შექმნილი:

წარსული წმინდა იყო ამ ქალის — როგორც სოფელში სამრეკლოს ზარი, როგორც ყანებში ელვა ნამგაღისი.

შორეული, ასოციაციებით და კონტრასტებითაა შექმნილი ასეთი ეფემერული ლექსი:

¹ ლეი არაგონი, „ქართული სიმღერა“ „მნათობი“, № 4, 1957 წ.

სალამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის მიღამოს სდებია
 განსაბეთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
 ეს ჩემი სამშობლოს მთებია!
 ან: „ეთ დამსხვრეული ქიქა,
 ვატყდა ლომილი ტუნის“,
 („სად დასასრული იყო“.)

გალაქტიონ ტაბიძეს დიდი კავშირი აქვს ფერ-
 წერასთან. მისი ზოგიერთი ლექსის კითხვის
 დროს რჩება შთაბეჭდილება, თითქო ის ამ
 ლექსებს კი არ წერდა, არამედ ხატავდა. სურ-
 და ხატების პარამონიაში მოექცია აღქმული სურ-
 რათი. უნებურად გავიხსენებ ძველი ჩინელი პო-
 ეტები, რომლებიც ლექსებს „ხატავდნენ“ — კა-
 ნიგრაფი მხატვრობის დარგად ითვლებოდა ჩი-
 ნეთში. გალაქტიონ ტაბიძე ლექსისა და მხატვ-
 რობის ერთ ფორმაში, ერთ მთლიანობაში მოკ-
 ცევას ცდილობს. აღბურთ შევიცნობ წერს:
 „ხელოვანის სული ძალიან რთული ერთეულია,
 რომელმაც ნიჭი პოეტისა, მხატვრისა და მუსი-
 კოსისა იხლართება მუდმივად ცვალებად პრა-
 პორციებში“.

განა მხატვრის თვალი არ იმარჯვენებს ამ პოე-
 ტურ სახეებში:

სიცივემ ნაძვებს მომნი გახადა,
 შოვიდა წული ქარვის ფერები,
 მკრთალმა მზემ ჭიობს გადაახატა
 გაყვითლებული ალვის ღერები.

(„შემოდგომის მოტივებიდან“)

მოდიდებულ მდინარეს პოეტი ასე ხატავს:
 დაძვრება გზა ზვირთული,
 როგორც შიმში ზეხილი,
 ნაყოფებით დატვირთული,
 ქარით გადახნიჭილი.

ანდა გვიხსენოთ:

აქ დამშვიდებულ ხეებზე თრთიან
 გადაღებული წვიმის წვეთები.
 ეს ისეთვე მკაფიო სახეა, როგორც ჰერდისას
 თითქო მოსთიბეს ებებრთელა ვარდები

ცელით

ცხვრებით ისე დაიფარა ჭალები ვრცელი.
 („თერმოლონი“, თარგ. მიქელ პატარიძისა).

ზოგჯერ პოეტი საგნის ფერს პირდაპირ კი
 არ ასახელებს, არამედ სიტყვათა ოსტატური
 შერჩევით ქმნის წარმოდგენას ამ ფერის შე-
 საბებ:

„შე ჭლიერ მივევარს იისღერ თოვლის ქალწუ-
 ლეებით ხილიდან ფენა“ — სიტყვა „ქალწული“
 ძლიერებს წარმოდგენას უნაზუს ცისღერ ფერ-
 ზე.

ლექსის განვიითარებაში გარდატეხა რომ მოაბ-
 დინო, მთავარი ის კი არ არის, რომ ახალი
 რიტმი იპოვო, ახალი რითმები შემოიტა-
 ნო, არამედ მთავარია, იპოვო ახალი ხმა

ახალი პოეტური ხმა, რომელიც ახალ ინ-
 ტონაციას, „ეოკალურ მიმკაცს“ ეყრდნობა
 ხშირ შემთხვევაში. „ხეულ მოცარტოვანდისე-
 ულ ენაზე იმდენი განსაცვიფრებელი ახალი რე-
 თქვა მუსიკაში მოაგენმა, რომ იგი მუსიკის შემ-
 ორედ დაბადებად გვეჩვენება“. (პასტერნაკი).
 ბევრ ეროსა და იმევე ეპოქაში მცხოვრებ პო-
 ეტს სწორედ საყუთარი ინტონაცია ასხვავებს
 ერთმანეთისაგან. მაგრამ არ შეიძლება ინტონა-
 ციისათვის გახვიალებული მნიშვნელობის მინი-
 ჰება. არიან პოეტები, რომელთა შემოქმედება
 მთლიანად ინტონაციას ეყრდნობა. ასეთი პოე-
 ტია, მაგალითად, მიაიკოვსკი; ჩვენში ერთ-ერთი
 ასეთი პოეტი იყო ვიორჯი ქუჩინჯილი. გალაქ-
 ტონ ტაბიძის ლირიკა განსხვავებული ხასიათის
 ლირიკაა საერთოდ და ის უმთავრესად მელო-
 დიას, ამღერებას ეყრდნობა. მისთვის ინტონა-
 ციას არა აქვს ისეთი გადამწყვეტი მნიშვნელო-
 ბა, როგორც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების-
 თვის ჰქონდა („მარად და ყველგან, საქართვე-
 ლო, მე ვარ შენთან...“).

გალაქტიონ ტაბიძის ლექსებში ხშირად ის-
 მის აკავის და ილის ინტონაციები. ინტონა-
 ციური პოეტები უმთავრესად ფრანზს, პოეტურ
 თქმას ეყვარებიან, როცა ორბელიანი ამბობდა,

სხეა საქართველო სად არის,

რომელი კუთხე ქვეყნისა,

ის მთელ ლექსს ამ ინტონაციურად ამღლებულ
 ფრანზე ავებდა.

გალაქტიონ ტაბიძისათვის კი ეს დამახასიათე-
 ბელი არ არის. ასევე არ იყო ყოველთვის დამა-
 ხასიათებელი ინტონაციურ ფრანზე დაყრდნობა
 ბლოკისათვის. პოეზიის ენა ემოციური მეტყვე-
 ლებაა და მას საყუთარი პოეტური ვრამატიკა
 აქვს, რომელიც პოეტურ ლექსიკას და პოეტურ
 სინტაქსს ეყრდნობა უმთავრესად. პოეტური
 ენა უაღრესად დაძაბულია და საგრძნობლად
 განსხვავდება ჩვეულებრივ-საბუნებრივი ენისაგან.
 ეს განსხვავება შენიშნული ჰქონდა პუშკინს,
 რომელიც დიდი თავმდაბლობით ამბობდა: *эпри-
 зой пишу я гораздо неправильнее, а гово-
 рю еще хуже*.

გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის თავისებურების
 ერთი მხარე სწორედ ქართული ენის პოეტურა
 ლექსიკის არტიკულურად გამოყენების ცოდნაშია.
 პოეტი ქართული ენის სტიქიაში ზის და ენა
 თვითმყოფელი პოეტურობა ქარგად ესმის. მისი
 ლექსის სიტყვიერი ქსოვილი თავისთავად პო-
 ეტრია და ლირიულ აზრს მეტ ემოციურობას
 მპატიებს.

ყველაფერს ზემოთ თქმულს პოეტური ოს-
 ტატობის საიკონამდე მივევარდით. დღეს, —
 თქმა უნდა, ძალაში რჩება ძველი თქმა: „პოეტე-
 ზად იბადებიან“, მაგრამ პოეტური ტექნიკის
 უციოდინარობა ნიჭის გამოუმკლავებლობამდე
 მივიყვანს ხშირად. მაქსიმ გორკი ამბობდა:



«Знание техники дела — это и есть знание дела».

მათაოვსკიმ ლექსის გაყვების ტერმინიც კი შემოიღო («как делаться стих») ხელოვნების ნაწარმოებში შრომის კვალი შრომათვე იშლება და დიდ ცოდნასა და გამოცენებას მოითხოვს.

აღწერილი ზედნიერ შემთხვევითობად უნდა გარჩევნილობდეს შემოქმედებითი შრომა ერთი დიდი ადამიანური ზედნიერებაა და, როგორც პერედაშ თქვა — ყოველი პოეტის სურვილია მკითხველი ისეთივე სიამოვნებას განიცდიდეს წიგნის კითხვის დროს, როგორც სიამოვნებითაც იწერებოდა მისი წიგნი.

ქუშმარიტი ლირიკული ნაწარმოები, გარკვეული მხრივ, უფრო მეტის მოქმედია, ვიდრე ის ემპირიული სინამდვილე, რომელიც მას საფუძვლად უდევს. ლირიკა ამ სინამდვილეს აძლიერებს და ხელმისაწვდომს ხდის სიტყვიერი ქსოვილის ემოციური თვისებას გამოყენებით. სწორედ ამას ითვალისწინებს ნამდვილი პოეტური ოსტატობა, რომელიც ნიმუში ხდება მაშინ, როცა სიმარტივესა და სინაძლეს ალწევს.

პოეტური ოსტატობის მომარჯვებით პოეტი ალწევს როგორც ლექსის შინაარსსა და ფორმის ერთიანობას, მის კომპოზიციურ მთლიანობას, ასევე ლექსის შინაგან ფორმის სრულყოფას და მის მუსიკალურ ქვრიადობას. შემოქმედებითი შრომა შეგნებელი, ვახარებელი შრომაა და ლექსის დიდოსტატები ყოველთვის უფრო მეტ შედეგს იღებენ მისგან, ვიდრე ის პოეტები, რომლებიც თავის ნიქს ეყრდნობიან მხოლოდ.

დიდი პოეტების ლექსებში ჩვენ გვხვობავენ ხასიათისა და განწყობის ბუნებრივობა, რიტმისა და მელოდიის სილალს.

პოეტური ოსტატობის ერთ-ერთი გამოყენება სიტყვის ისეთ კონტექსტში დაყენება, როდესაც ერთი სიტყვა ქმნის მთელი ლექსის განწყობას და თავისი სურნელით ავსებს ლექსის ჰერს. გადაფურცლოთ ვალენტინ ტაბიძის ლექსები და ავიღოთ თუნდაც პირველადვე ხელში მოხვედრილი სიტყვა, ვთქვათ «თოვლი».

სარკვეში თეთრი თმები თოვდება
(„კვადია“)

ათოვს ხიდეებს, ათოვს მადათოვს.
(„ტფილისი“)

ეს ვარსკვლავების თოვლით ფენილი
აქანებს თვალებს.

სამივე ლექსში სიტყვა «თოვლს» თავისებური განწყობა შეაქვს და ლირიკულ ხასიათს სწორედ ეს ერთი სიტყვა ქმნის. ასეთი მაგალითები უამრავი შეიძლება მოვიყუანოთ. შესანიშნავ ლექსში „ო. ა.“ სიტყვა „აღღრა“ სიწმინდევს, პავლევიტი ფიქრის უმანკოებაზე მიგვანიშნებს:

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი,
ნეტრის თვალებით, თმით-მიმოზებთ.

და მწუხარების მალენიავში
მოფრინდნენ ღურჯი ანგელოზები
შემოილი სახით ჰყოლა ქვეყნის
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა
მზეზე შეკვალა სოფლად აღღრა
და მოისმოდა დების სიმღერა.

ან და ამ ლექსში:
ვაგონდება თუ არა
ქარაღეთის დღეები
მთების ღურჯი კამარა
უცხო სამოთხეები.

სიტყვა „ქარაღეთი“ ანათებს მთელ ლექსს. მას საქართველომ გადაუხნიქა ვერხეები შორი აღაზანისა. თქმა: „შორი აღაზანი“ სარკმელს უღებს ლექსს და სივრცეში აფრენს.

ზოგი სიტყვა ზამზარასავეთ ურჩია, რაც უფრო ცდილობ, ძალით მოათავსო იგი სტრიქონში — მით უფრო ამოვარდნაზეა. სიტყვას აქვს წონა, ხმა და სახე. მხოლოდ მაშინ შეიძლება დაწერიო თვალისათვის და სმენისათვის სასიამოვნო ფრაზა, როცა სამივე ეს თვისება გახსოვს.¹ ყველა დროის დიდი პოეტი ოსტატურად ფლობდა სიტყვას და მის არა მარტო მნიშვნელობას იყენებდა, არამედ მის მუსიკალურ მხარესაც. ცნობილია, რომ სიტყვა თითონ სახეა, მხატვრული სახე. ეს ზებრმა მკვლევარმა შენიშნა და ჩვენ აქ არ შეგზრდებთ. ცნობილია ისიც, რომ ენათმეცნიერებაში არსებობს თეორია, რომელიც ადამიანის შიგრ გარე სამყაროსადმი ბეგრებით მიზაქვას აღიარებს ენის წარმოშობის მიზეზად². ქუშმარიტი პოეტის ხელში სიტყვა თავის სამივე მხარეს (აზრი, სახე, ხმა) იბრუნებს და მთლიანობაში ბრწყინავს. მე-20 საუკუნის პოეტებმა განსაკუთრებული ყურადღება მიჰქცევს ბეგრეერას. პოეტებს თითქოს თვალი აფხილათ იმ სიტყვების წინაშე, რომლებიც არა მარტო მნიშვნელობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, არამედ საკუთარი ხმაც ჰქონდათ: ტიროდნენ, იციონდნენ, კვენსოდნენ, მღეროდნენ, გუგუნებდნენ. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო შედეგი სიმბოლისტების მიწოდებისა: „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. სიმბოლისტები აღიარებდნენ ლექსში მუსიკალური ვლუმენტის პრიორიტეტს, სიტყვებს პირველად მნიშვნელობის უქარვადნენ და მის მუსიკალური ნიშნის ფუნქციას ანიქებდნენ მხოლოდ. ასე იქმნებოდა მათი გლოსოლოლოები.

ლექსის მუსიკალურ მხარეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ადვილად იმღერება. შეიძლება ითქვას, რომ სამღერლად ადვილი

1 В. Сомерсет Моэм «Подводя итоги».
2 „Мышление и язык“. стр. 3. Москва 1957 г.

ლექსი, რომლის საწყისი ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციებიდან უნდა მოდიოდეს, დღეს უკვე კარგავს ძველ ადგილს ჩვენს პოეზიაში.

გალატიონ ტაბიძის პოეზიაში შინაგანი მელოდია, ლირიკული თრთოლვა სიტყვისა უდიდეს მუსიკალურ ეფექტს აღწევს. ის საოცარი მოულოდნელობით აწივებს ლექსებს ახალ მელოდიებზე და შეიძლება ხსოვნაში ჩარჩენილი მოტივივით მოგავიდეს მისი ლექსიც:

შავმა ნისლია დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიშართუნ კოშკები
ციხა და ნესტანისა.

ან:

სიშარას აბარია
ველი შენაფერი...
ეხლა ყველაფერი
ოქროს ზღაპარია.

ან:

თითქო იქ შორს, საში დღეა, იწყის
მწვენიერი მწვერვალები წიწვის.

ან:

რამდენ მდინარეს არბევს
ეს დატეხილი მთები,
ღემონისას ჰგავს წარბებს
მძლავრი ნიაღვრის ფრთები.

ამ ლექსებში ლირიკული მელოდია სიმღერად გამოყოფის კი არ ცდილობს, არამედ მასში ისლართება, როგორც აუცილებელი, მიცოცხლებელი რამ.

შალვა მშველიძის შესანიშნავ სიმფონიურ პოემაში „ზეიადური“ ვაჟის ლექსის მუსიკალობა გადადის არა უშუალოდ სიმფონიის მელოდიკაში, მის, ასე ვთქვათ, ჰანგებში, არამედ წარმოადგენს მის სტრუქტურის საყრდენს, სიმფონიური განვითარების საფუძველს. რეალისტური ლექსის მუსიკალურ ელერას ჩვენ შეგნებაში აღვიქვამთ არა როგორც მწვენიერ ჰანგს, არამედ როგორც პოეტური სახის შემადგენელ ნაწილს, რომელიც შეიწინააღმდეგება მას.

როდესაც ჩვენ ბგერწყრას ვახსენებთ, ვგულისხმობთ სიტყვის მუსიკალურ მხარეს, გამოყენებულს აზრის სიტყვასათვის. პუშკინი ბგერწყრის შეუღარებელი ოსტატი იყო, მაგრამ მისთვის ეს არასოდეს თვითმონზად არ ქცეულა, როგორც ამას ფორმალისტი პოეტების ლექსებში ვხედავთ. („Шляпыны пенных бокалов и пушица пламень голубой», «Когда под сободем согрета и свежа»).

ბგერწყრის დიდი ოსტატი იყო ტიუტჩევი:

«Копыта кинешь в звонкий брег
И — в брызги разлетись!»
(«Конь морской»).

ბგერწყრის საკითხი ახალი დროის პოეტებისათვის პრინციპულ საკითხად ქცეა, ქალაქმკ მოიტანა ახალი ხმაური, რომელშიც მკაფიოდ ვედარ ისმოდა ძველი, ლირიკული ზვენი ვინცა დიდი, სამკაოდ ვაკვეთილი ფრაზა. საჭირო იყო სიტყვისათვის დაებრუნებინათ ის პირველი ბრწყინება, რომელიც ასე აღელვებდა ძველ პოეტებს.

და ბლოკმა დაწერა:

«И прошли стопой тяжелой
Тело теплое топча».

სავანგანო დოლის ხმასავით ისმოდა მაიაკოვსკის:

«А если у которого нету рук —
Пришел чтоб и бился лбом бы!»

გალატიონ ტაბიძე ბგერწყრის შესანიშნავ ოსტატი და მისი მელოდია სიტყვის ამ მხარესაც ვერდნობა:

1. „მატარებელი მოიჭრა თუჯის,
ბოლს ლეჩაქებად ჯავებზე ტოვებს“.
2. „კიანურს ჰკვიანს“
3. „ვარსკვლავიანი კამარა ელავს“

ფიზიკურად ხელშესახებ სიღბოს ჰქმნის:

„დაფენილია დაფის ფოთოლი“

ჩვენ აქ გვიჩნდა შევეხოთ პოეტური ბგერწყრის ერთ-ერთ მხარეს — ალიტერაციას, ალიტერაციამ უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა თანამედროვე ლექსში. აზრის, განწყობის უფრო ნათლად გადმოხატვად მსგავს ბგერებით გახშიანებული სიტყვების გამოყენებამ ახალი პერსპექტივები დაუხასა ფრაზას. ზალმოონტს „სიტყვის ჯადოქარს“ ეძახდნენ იმპრომატე, რომ ის საოცარ ალიტერაციებს ქმნიდა. მაიაკოვსკის წერის პანორისათვის კი ალიტერაცია ერთ-ერთი ვანუფრეი ნაწილი იყო.

ქართული პოეზია ძველთაგანვე იყენებდა ალიტერაციას. ბესიკის:

„ზილფო-კავებო, მომკლავებო, ვერ
საკარებო!—

თითქო მიჰყვიის მიმავალ სატრფოს. ლირიკულ ლექსს მოცულობით პატარა ფორმა აქვს და პოეტებმა ყველა ზერხი უნდა გამოიყენონ და გაიზონ ახლებურად, რათა მისი მხატვრული მნიშვნელობა გაზარდონ.

მწვენიერი წვიმა ისევე ახარებდა პირველ პოეტებს, როგორც დღეს ვახარებს იგი ჩვენ. გამოყარებისა და ერთფეროვნების შიში ხელმოცარულ პოეტებს სწევით, რადგან დიდი ენერჯის მქონე პოეტებს ყველა ძველი და ნაცადი ზერხი ახალ სიმაღლეზე აყავთ და ახალი ძალით ახშიანებენ მას.

ლირიკული ლექსის ერთ-ერთი მთავარი საკითხი მისი კომპოზიციის საკითხია. ლირიკული ლექსის კომპოზიცია მთლიანობას, ერთსახეობას გულისხმობს. მისთვის უცხოა თქმითა და ფერთა უსისტემო მხარება, როდესაც ლექსს, ეგვიპ-



ტური ფიგურის მსგავსად „მხრები და თვალები ანფასში აქვს, თავი, ხელები და ფეხები კი პროფილში“. ლირიკული ლექსის კომპოზიცია უპირველესად ისეთ განწყობას ეყრდნობა, როდესაც შენი სულიერი მღვლეარება მხოლოდ და მხოლოდ ლექსის ფორმით შეიძლება გადმოიციეს და არაფერი სხვით. ლირიკული ლექსის კომპოზიცია შეიძლება განსაზღვროს: აზრობრივმა გრადაციამ და მკვეთრად გამოკვეთილმა პოეტურმა სახემ („მერანი“, „არწივი“), ლირიკულმა მელოდია („შის ვახელი დაჩა თვალუბი“) და მღვდმარეობათა კონტრასტულობამ (ილიას „მწუხარება“). ლირიკულ ლექსში კომპოზიცია ვარევენულად თითქმის არ ჩანს, მაგრამ ვინ არ მობიბღულა ილია ჭავჭავაძის ფარული, ლირიკული კომპოზიციით:

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო ღუმილი,
 მოღზენით იყენენ უდარდენი, მთიებნი
 ცისა...
 და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა
 ტკივილი,
 შიგ გულში მედვა სასიყვდილო გესლი
 სევდისა.

სული მიგუბდა, გული მტებდა ტკივილით,
 ტანჯვით,
 თითქოს ჩემს გვაშა ზედ-გადესხა ნათი
 მღუღარე,
 ძარღნი სედებოდნენ საშინელის წვითა და
 დაგვით,
 ტონი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთავან
 მწარე.
 ესე უწყალოდ განწირული და დაშთომილი
 ვეგდე მარტოცა უცხო ცის ქვეშ დიდ
 კლდისა პირსა,
 ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო ღუმილი,
 მოღზენით იყენენ უდარდენი მთიებნი
 ცისა
 („მწუხარება“)

ლექსის კომპოზიციას ისეთივე აღტაცება შეუძლია გამოიწვიოს, როგორც ეს ფერწერის შესანიშნავი ტილოების ხილვის დროს მოგვდის

ხოლმე, გაეხსენოთ „მერანის“ გენიალურად მოფიქრებული კომპოზიცია, რომელსაც ორი ხმის ენებიანი კამათი კრავს:

1. „სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო“.
2. „ვენესა ვუღისა, ტრფობის ნაშთი, შიგეც ზღვის ღელესა“.
1. „შავი ყორანი გამითბრის საფლავს მღვლოთა შორის ტილის მინდვრის და ქარიშხალი, ძვალთა შთენილთა, ზაჩით, ღრიალით მიწის მამურის!“
2. „დაე მოეკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
 ვერ შემამინოს მისმა პასრმა მოსისხვ
 მტერი!“

თეთრი ლექსი, „რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არა ნაკლებია რითმიან ლექსისა“ (ილია), სწორედ აზრობრივ გრადაციას, აზრის ლოგიკურ განვითარებას ეყრდნობა და მის რიტმს მარცვლები, მუსლები ან ტერფები კი არ განსაზღვრავენ, არამედ აზრობრივად დასრულებული ფრაზა.

ლირიკული ლექსის კომპოზიცია, შეიძლება ითქვას, ლირიკული გმირის ხასიათის ყალიბია და ყოველგვარი ცელილება ადამიანის აზროვნებისა მასში, როგორც საკვში, ისე აირეკლება.

გალაკტიონ ტაბიძე — ეს დიდი ქართველი ლირიკოსი — ღირსებულად აგრძელებს ჩვენი პოეზიის რეალისტურ ტრადიციებს, აგრძელებს ბარათაშვილისა და აკაკის მალაღსა და ნათელ ხმას, რომელიც საყვარელი და მახლობელია ჩვენი ხალხისათვის. გალაკტიონ ტაბიძე ერთ ლექსში ამბობდა:

ვინაც გაიგებს
 ჩუქურთმას ქართულს,
 ის პოეზიას
 ჩემსას გაიგებს,
 ის ზოლომდე რჩება მოტრფილუ მზიანი დღისა
 და ქართული ჩუქურთმისა და თავის ლირიკულ ლექსებს ჩვენი სამშობლოს ნათელი სივრცეებით ავსებს.



საფრანგეთის პრესის გამოცხადებული კონსტანტინე გამსახურდიის „დიდოსტატის მარჯვენის“ შესახებ

როგორც ცნობილია, ახლანდელი პარიზში გამოცემულმა Les Editeurs Français Reunis-ს (ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებამ), რომლის დირექტორია ლუი არაგონი, ფრანგულ ენაზე გამოსცა „დიდოსტატის მარჯვენა“ (თარგმანი რ. დომევისა, ილუსტრაციები მხატვარ ფან აბლარისა).

სინამ რომანი გამოვიდოდა, 1957 წ. 29 დეკემბრის „ლუმინიტე დიმაჩში“ (L'Humanité Dimanche) შეეძგეს გვერდზე მთლიანად მოათავსა ნაწყვეტები ამ რომანიდან და ასეთი ცნობა წარუშლდა: „ქართული საბჭოთა მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას დღემდე საფრანგეთის საზოგადოებრიობა არ იცნობდა. ზვალ ასე არ იწინება, «ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებაში» გამოსცა მისი დიდი ეპოპეა „დიდოსტატის მარჯვენა“. ახლა ჩვენს მკითხველებს დიდი ცლა აღარ დასჭირდებათ, მათ შეუძლიათ წარმოადგენა იქონიონ ამ რომანზე, რომლის ბოლოსიტყვაობა 1955 წელს არის დაწერილი. ქვემოთ ვამყენებთ ნაწყვეტს, რომელიც წარმოადგენს ამ წიგნის დასაწყისს, სადაც საქართველოს კეთილშობილი აღმამანები ფრანგი მკითხველების მახლობელი ზღვებიან“.

რომანის თარგმანი ეკეთვნის ფრანგ მთარგმნელსა და მწერალს რ. დომესს. მთარგმნელს კარგი, ნატოფი ფრანგული ენით შეუძრულებია თარგმანი, მას კარგად ესმის კონსტანტინე გამსახურდიას ენა, სტილი, ეპოქა, რომელშიც ქართველი მწერალი ცხოვრობს. რომანში ზოგჯერ ვხვდებით უზარხულ ლათსესებს, რომლის აუდინა შეიძლება, მთარგმნელს რომ კონტაქტი დაემყარებინა ავტორთან.

საფრანგეთის საზოგადოებრიობამ რომანს მაალაი შეფასება მისცა. საფრანგეთის ვაზეთებში, საუკეთესო რეცენზიები გამოაქვეყნეს.

ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი რეჟი ბერტერონი მიმდინარე წლის 13 იანვარს „ლუმინიტეში“ შეორე გვერდზე ათავსებს ვრცელ რეცენზიას სათაურით: „ქართული რომანისტი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, სიუჟეტი ეპოპეის ღირსია“. რომელშიც წერს: „1957 წელი ნამდვილად დიდი თარგმნი აღმოჩნდა საბჭოთა მწერლობის გაცნობაში, ამ წელმა ჩვენ გავაცნო საღრიდინ აინი, აღმოგვიჩინა სა-

ოცარი იური იანოესკი მისი ნაწარმოებით „აინდები“. ოქტომბრის რევოლუციის 40 წლის-თავთან დაკავშირებით, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა შეგვეჯამებინა ჩვენი მიღწევები ეპიკურ ნაწარმოებთა თარგმნის საქმეში...“

ფურნალ „ეროპის“ საუცხოო ნომერში ჩვენ ვერ ივდებთ ლუი არაგონის „ეტიუდს“, რომელიც ამ ფურნალის ერთგვარი წინსიტყვაობაც არის. ჩვენს ჩვეულებრივს პარიზონტზე გამოჩნდა ქართული რომანისტი კონსტანტინე გამსახურდი, რომლის „დიდოსტატის მარჯვენა“ ახლანდელი გამოსცა „ფრანგ გამომცემელთა გაერთიანებაში“.

ამ რომანის შესავსი თითქმის ველარ იწერება ჩვენს თანამედროვე მწერლობაში, რომლისთვისაც ასე უცხო გახდა ეპიკური ფანი.

ეს ეპიკური ფანი ამჟამად თითქმის ახალი ქვეყნების მწერლებს გუთუნით. მავალითად, ასეთია რუმინეთი, რომელშიც ამ სამი წლის წინათ გამოგვიგზავნა დიდი სადოვიანუს ნაწარმოები: „ნიკორა ცხენის ნალი“. ამ ქვეყნებში მხატვრები, რომანისტები, პოეტები ან კინოაქტორები კვლავ უზრუნდებიან ძველ მხატვრულ ტრადიციებს.

თი „დიდოსტატის მარჯვენა“. თითქმის ათეული საუკუნის წინა საქართველოში მეფეთაგვით გიორგის — „მესიის მახელის“ ბრძოლა უხდება არა მარტო სარკინოზების, ბიზანტიის იმპერატორისა და ლარკულოების წინააღმდეგ, არამედ საკუთარი ქვეყნის ფეოდალების წინააღმდეგაც, რომელნიც აჯანყებას აწუობდნენ ყოველგვარი მიზეზის გამო და უშიზეზოდაც. მათი ციხე-სიმაგრეები ვმუქრებიან მეფის ხელისუფლებას იმისდა მიზეზდავად, მათ დიდი კვარი სწამთ თუ არა.

იმბრძენ ველურად, მაგრამ უფრო მეტი გველურობით იძიებენ შურს დამარცხებულებზე, ანგრევენ ციხე-სიმაგრეებს, ვაბურებულ შანთით აბრმავებენ ველოზე მამაც მემორებს, თავს ჰკეეფენ აჯანყების მეთაურებს, ზოგს ბნელ დიდგემში ყრიან, ზოგსაც კი კომეებიდან ავდებენ, იტაცებენ ქალიშვილებს, იძულებით აქორწინებენ ან მონახნად აღკვეცენ.

ასეთია თითქმის ის ლეგენდარული ფანი, რომელზედაც მოქმედებენ კონსტანტინე გამსახ-

ხერდიას პერსონაჟები. დიდი რომანისტი თხრობა ერთი წუთითაც არ კარგავს თავის ძალს. ძლიერი შერლის ხელით დამუშავებულ ნაწარმოებში გვიოლავთ იმ ჩვენს ძველ ჩაინდულ რომანების სიაცრებას, რომელიც ტრინი ვასაიორად აღუღვინია „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორს.

მაგრამ ქართული რომანისტი სიტყვა აღემატება იმ შთაბეჭდილებას, რომელიც რომანის პირველი წაკითხვიდან დაგრჩებათ. „დიდოსტატის მარჯვენის“ შთავარი პერსონაჟი, რომლის შესახებ შერალი მოკლე ეპილოგში მოგვითხრობს, არის მეფის ხუროთმოძღვარი, კონსტანტინე არსაკიძე, გიორგის მონა, ამ შიშაღ თანამდებობაზე მის მიერ დანიშნული, სვეტიცხოვლის ტაძარი რომ ააშენა. კონსტანტინე არსაკიძე მეფის ბუნებრივობის მსხვერპლი ხდება, ორივეს ერთი და იგივე ქალი უყვარს. კონსტანტინე არსაკიძე თავიანთი ღაბრძნის სპარსის ინტრიგების მსხვერპლი ხდება. ჯალათმა დიდოსტატს, კონსტანტინე არსაკიძეს მარჯვენა მოაკვია, თუმცა თვით იგი ამ დროს ტიროვდა, რადგან ხუროთმოძღვარმა ასე ძლიერ დაიმსახურა ქართველი ხალხის სიყვარული. „მოვლენათა ცენტრში, — წერს გამსახურდია, — უკრადლება უნდა მივაქციოთ ხუროთმოძღვრის დასახორცილებს ამბავს, შემოქმედებითი მუშაობის დაბრკოლების ამბავს ისეთ სახელმწიფოში, რომელსაც ფეოდალი ტირანები მართავენ“. აი, ამ საფუძვლიანი ახსნა-გამმარტების შექმნე უნდა წაეციოთ „დიდოსტატის მარჯვენა“.

უდავოა, რომ ამ დიდ რომანს ბევრი ღირსება აქვს.

ჩვენ მივესალმებით „ფრანგ გამოცემულითა გავრთიანებას“, რომელმაც საფრანგეთის საზოგადოებრიობას მშვენივრად გაეთრმებული თხულება მიწოიდა“.

ფრანგი შერლების ეროვნული კომიტეტის ორგანიზმ „Les Lettres Françaises“ („ფრანგულმა შერლობა“) № 704, 1958 წ. 15 იანვრის ნომერში მეორე გვერდზე მოათავსა ცნობილი ფრანგი შერლის ანდრე ვიურსერის რეცენზია — „დიდოსტატის მარჯვენაზე და სილატაქე“, რომელშიც იგი აღნიშნავს: „კონსტანტინე გამსახურდიანზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, რადგან მას კარგად ვერ ვიცნობთ.

კონსტანტინე გამსახურდია მოგვაგონებს საქართველოს შორეულ წარსულს. ჩვენ ვიგებთ, რომ იმ ბნელ დროს საქართველოში ჰყვოდა ისეთივე ძველი კულტურა, როგორიც ჩვენი... „დიდოსტატის მარჯვენა“ ახალი წიგნია, რადგან მისი ბოლოსტაქე 1955 წლის დეკემბრით არის დათარიღებული. ეს არის ისტორიული რომანი, დიდი ეპიკური ტილო. რომანში მოქმედება იშლება მეთერთმეტე საუკუნეში. თქვენ მიწამე იქნებით დიდმნიშვნელოვანი ბრძოლებისა, რომელთაც მეფე გიორგი ფეოდალების წინააღმდეგ აწარმოებდა. მას არც კი შესწევდა უნარი,

განესაზღვრა, მის მთავრებში ან პეფებში ვინ იყო ყველაზე ძლიერი და ვერაგი. თქვენ დაინახავთ ბრძოლებს, მიმართულს მრავალი ცხოუნსამაგრის ასაღლებს, დამანახავთ დასჯენს, მიწარტყრას, სიყვარულს, ეპიღემიას, შერისძიებას, ნადირობას, ცეცხლითა და მახვილით სიყვდილს, საწამლაკით სიყვდილს დღესასწაულზე თუ ქეიფში. თქვენ მოისმენთ აღმოსავლურ სიმღერებსა და პეგებს. თქვენ გაეცნობთ პრინცესებსა და ჯადოქრებს, ეპისკოპოსებსა და სარდლებს. გაეცნობთ კონსტანტინე არსაკიძეს, ტაძრების მშენებელს. თქვენ გინავარლებთ საკვირველ პეიზაჟებზე, სადაც დითეები, ირმები და ავანები ბინადრობენ. თქვენ გაეცნობთ საქართველოს ისტორიას შუა საუკუნეებში.

ჩვენი სამშობლოდან დაშორებული ქვეყნის ორმაგი გრძნობა — ისტორიული და გეოგრაფიული გარემო — ორმაგად შორეული პეზია — საშუალო საუკუნეების და აღმოსავლეთისა — რადეიმე საათის განმავლობაში თქვენ დარღს დაგაეწეებთ.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ზერელედ დაწერილი ნაწარმოები როდია, აქ საფუძვლიანდაა დასაბუთებული არტიკტორისა და მეფის წინააღმდეგობა. ჩემო მკითხველებო! ბოლოს მოგმართავთ, წაიკითხოთ ეს ისტორიული რომანი და ისაამოვნოთ.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ფრანგულ ენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით, კონსტანტინე გამსახურდიამ ა. წ. 4 თებერვალს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს აშხ. ეაკ დიუკლოს ფრანგულ ენაზე ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„ძვირფასო ამხანაგო! ჩემი რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ გამოსვლით ესარგებლო, რომ მოგიძღვნათ გულითადი მადლობა და გაიმოთქვა პატივისცემა თქვენდამი. მსერს ხაზი გაუვსვა ამ უკრადლებას, რომელიც გამოიწინა საფრანგეთის გმირულმა კომუნისტურმა პარტიამ და, კერძოდ, თქვენ ჩემი მუშაობის მიმართ. მე დიდად ვაფასებ ამ უკრადლების ნიშნებს.

უსურვებ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას მიღწევებს საფრანგეთის ხალხის საკეთილდღეოდ და პირადად თქვენს დღეგრძელობას. მიიღოთ რწმუნება ჩემი დიდი პატივისცემისა თქვენდამი“.

ასეთივე წერილი გაუგზავნა კონსტანტინე გამსახურდიამ მთარგმნელს. წერილში ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგო დომე! მე სამაოვნებით წაიკითხე ჩემი რომანის თქვენ მიერ შესრულებული-თარგმანი, თარგმანი, რომელიც კარგი, ნატივო ფრანგული ენით არის გაკეთებული და კარგი ისტატობით შესრულებული. საშუაბრო ის არის, რომ თქვენ ვერ მოგეცათ საშუალება დაბეჭდვამდე დამკავშირებოდით მე, რათა

კორექტურა მაინც წამოეთხა, რაც ზოგიერთ უხერხულ ლაღუსს აგვიდუნდა.

თუ გამოცემლობა აპირებს ამ წიგნის ხელახალ გამოცემას მოკლე ხანში, სასურველი იქნებოდა, ჩვენი შენიშვნები მიგელოთ მხედველობაში. მაღლობელი ეპიკებით, თუ შემატყობინებით, თუ რა ტრიაკით გამოვიდა ეს წიგნი, რა წარმატება ჰქონდა მას და რა გამოძახილი ფრანგულ ლიტერატურულ წრეებში და პრესაში. კერძოდ, შე გავეცანი ამხანაგ რევი ბერტეჩარონის წერილს, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის პრესამ დაუფრენებლივ გადმომაბეჭდა. უკეთუ გამოცემლობამ EFR ინტერესი გამოიჩინოს ჩემი შემდეგომი რომანების მიმართ, შე შეგთავაზებდით ჩემს ტრილოგიას „თფარის მოტაცება“, რომელიც ეხება ჩვენს ქვეყანაში კოლექტივიზაციის პირველ პერიოდს და, აგრეთვე, დიდ ეპოპესას — „დავით აღმაშენებელი“, რომელიც ეხება ხალხთა გადასახლების დიდ პერიოდს XI — XII საუკუნეებში. აქ არის გაშუქებული ქართველი შეფის დავითის ბრძოლა სელჯუკიანთა (თურქების) აგრესიის წინააღმდეგ კავკასიაში, კიევის რუსეთის ბრძოლა პოლოცების წინააღმდეგ, ვითარებანი ჯგეროსნული ომებისა, ბიზანტიის, საღრანგეთის, გერმანიის და ინგლისის აქტივობის გამოჩენა ამ ომებში.

თუ ამ რომანების რუსული თარგმანები დაეპირდათ, შე შემეძლება გადმოგიგზავნოთ“.

ამა წლის 9 თებერვალს კონსტანტინე გამსახურდიამ პარიზიდან მიიღო ფრანგი მხატვრის ეან ლორვილის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „მატონო კონსტანტინე! „ლუმინატე დიპანსის“, რედაქციამ გადაწყვიტა ა/წ 2 თებერვლიდან მთლიანად დაბეჭდოს თქვენი „დიდოსტატის მარჯვენა“. შე დავალებული მაქვს, ილუსტრაცია გაუტყუოთ თქვენს წიგნს, ამისათვის ვთხოვთ გამოიგზავნოთ მასალები საქართველოს ციხეების, ტაძრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ“.

ავტორმა უკვე გაგზავნა ეს მასალები მიმდინარე წლის 5 მარტს „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორმა პარიზიდან მიიღო კონსტანტინე გამსახურდიის გავრთიანების გენერალური მდივნის ფრანსუა მონოდის წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„საქ. სამ. სოც. რესპუბლიკის მენტიერებთან ავადების წვერს ამხანაგ კონსტანტინე გამსახურდიას, თბილისი (საქართველო), ძერევისკის ქ. № 6.

ძვირფასო ამხანაგო კონსტანტინე!
გავეცანი თქვენს წერილს, რომელიც „დიდოსტატის მარჯვენის“ მთარგმნელისათვის მიგიწერიათ.

თანახმად თხოვნისა, გიგზავნით თქვენი ნაწარმოების ხუთ ეგზემპლარს. ამისთანავე, ვფიქრობთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ასოციაციისაგან სამ ეგზემპლარს კიდეც მიიღებდით.

თქვენი ნაწარმოების შესახებ საღრანგეთის გაზეთებში კარგი რეცენზიები გამოქვეყნდა, ჩვენს განკარგულებაშია ამონაჰრები. მაგრამ მთი გამოგზავნა ჯერ კიდეც ნაადრევად მიგეანია (რადგან წარსული წლის ბოლო რიცხვებში თქვენი ნაწარმოების ლიტერატურული ღირსების გამო ბევრი რეცენზია დაიწერა და ყველა ჯერ კიდეც არ არის გამოქვეყნებული). რამდენიმე ხნის შემდეგ გამოგიგზავნით რეცენზიების პატარა ღოსიეს.

გულახდილად უნდა ვითხოვთ, რომ წიგნის წაკითხვისას პირადად დიდი სიამოვნება ვიგრძენი. ასევე დიდი სიამოვნება იგრძენს ჩვენმა თანამშრომლებმა და მეგობრებმა.

ძვირფასო ამხანაგო კონსტანტინე!

ჩემი თქვენდამი პატივისცემაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

„ფრანგ გამოცემულთა გავრთიანების“ გენერალური

მდივანი: ფრანსუა მონოდი.

პარიზი, 1958 წ. 14 თებერვალი“.

სოფია კავახიაძე



ახლოდ ცვაიგი

(„ახლბთა შორის შვეიღობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის მინიჭების გამო).

1909 წელს, ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ცნობილია შვერალმა შტეტან ცვაიგმა ერთი ახალგაზრდა დაწყები შვერლის ხელნაწერი მიიღო. ეს იყო ჯერ კიდევ სრულიად უცნობი კაცის მოთხრობა „ჩანაწერები კლავფერის ოჯახზე“. მოთხრობა ეკუთვნოდა შტეტან ცვაიგის მოგვარეს, ვინმე არნოლდ ცვაიგს. 6 წლით უფროსმა შტეტან ცვაიგმა შკაცრად გააკრიტიკა ახალბედის ნახელავი: თქვენს მოთხრობაში არ იგრძნობა ორგანული კავშირი მოქმედ პირთა და ასახულ ამბავთა შორისო. ამ ორი დიდი მოგვარის შემოქმედებითი გზება სულ მალე გაიყარა, ისინი დასცილდნენ ერთმანეთს მსოფლმხედველობრივად და ლიტერატურული გემოვნებით. მაგრამ თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში არნოლდ ცვაიგი ვარკვეულ ნათესაობას გრძნობდა შტეტან ცვაიგისადმი და ამიტომ იყო, რომ სწორედ მას ვაუჯავანა თავისი ერთერთი პირველი ლიტერატურული ცდა შესაშორებლად და მსჯავგრის გამოსატანად. არნოლდ ცვაიგის ადრეული პერიოდის ფსიქოლოგიზებული ნოველებისა და მოთხრობების თემა ვიწროდ ინტიმურ-პირიოვნული რიგის კლიზიები, რომლებშიაც მიჩქმალულია სოციალური ტენდენცია და საზოგადოებრივი კონფლიქტები.

როგორც მეოცე საუკუნის უფროსი თაობის თითქმის ყველა გერმანელმა შვერალმა (მაინრიხ მანი, თომას მანი, გერჰარტ ჰაუპტმანი, ლიონ ფოიბტანგერი და სხვები), არნოლდ ცვაიგმაც თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ვანიცდა ართურ შოპენაჰერის, ფრიდრიხ ნიცშესა და განსაკუთრებით ზეგუნდის ფრიდის შესხედლებათა ზეგავლენა, თუმცა შოპენაჰერისადმი არნოლდ ცვაიგი იმთავითვე კრიტიკულ დამოკიდებულებას ამკლავებდა: „მისი ანტიფემინიზმი და ანტისემიტიზმი ჩემთვის თავიდანვე ანტიპათიური იყოა.“ განუცხადებია შვერალს ლიტერატორ პარალ კოცისადმი.

არნოლდ ცვაიგის შემოქმედებაში პრინციპული, არსებითი გარდატეხა მოხდა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1915 წლიდან 1918 წლამდე იგი უშუალო მონაწილე იყო იქამდე არსებულ მისწრაფების პრიპოლბისას). პირველი მნიშვნელოვანი რომანისა და, საერთოდ, ომის ციკლის რომანთა შექმნის იდეა არნოლდ ცვაიგს მსოფლიო ომის ერთმა პატარა ეპიზოდმა ჩაუნერგა: გერმანელებმა სხვის მავიერად დაბერიტეს ერთი

უღანაშეიღო რუსი ტყვე-ჯარიმკაცი. შვერალი შეაძრწინა ამ უდაღამანობამ. 1921 წელს ცვაიგმა დაიწერა პიესა, რომელიც 1931 წ. სტენსზეც დაიდგა და დიდი წარმატებაც ხედა წილად. შვერალმა პიესა რომანად გადაამუშავა — „დავა სერჟანტ გრიმას გამო“, რამაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. სწორედ ამ დროს გადაწყვიტა მან შექმნა რომანთა ის ციკლი პირველი მსოფლიო ომის თემაზე, რომელმაც გრიმას ციკლის სახელწოდება მიიღო. ციკლის საერთო სათაურია — „თეთრ მამაკეთა დიდი ომი“. თავიდანვე ციკლი ჩაფიქრებული იყო 8 ნაწილად: უნდა დაიწერილიყო ორი რომანი (რომლებიც ჯერაც არ დაწერილა), სადაც ნაივნივნი იქნებოდა გერმანია ომის წინ და ომის დაწყებისას. „ათასცხრაასთომხმეტელი ახალგაზრდა ჯალი“ (1931) და „აღზრდა ვერდენთან“ (1935) არნოლდ ცვაიგმა შექმნა პირველი მსოფლიო ომის ჭარბეცხლში ჩრდილოეთ საფრანგეთსა, სერბიასა და ვერდენთან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე. „დავა სერჟანტ გრიმას გამო“ (1927) და „მეფედ კერთხევა“ (1937) დაწერილია აღმოსავლეთ საეტაპო ოლქში მსახურობის დროს. „ყინული ლხვება“ და „უკეთეს დროში“ — ამ ორ რომანს უნდა დაესრულებინა ციკლი. მაგრამ დროთა განმავლობაში არნოლდ ცვაიგის პირიანდელი გეგმა შეიცვალა: 1954 წელს გამოქვეყნდა რომანი — „დროებითი შესვენება“, რომელიც აღარ არ იყო გათვალისწინებული და იგი პრეტ-ლიტერატურული დადებული ზავის შთაბეჭდილებით შეიქმნა. 1957 წელს დაიბეჭდა ახალი რომანი „დრო მომწიფდა“ — არც ეს იყო წინასწარი ჩაფიქრებული და რამაც ერთგვარად დააბრუნა შვერალის თავდაპირველი ვარაუდი, თუმცა ორივე ეს რომანი ომის ციკლის გაგრძელების წარმატდგენს.

...შეტისმეტად სიმპტომატური და დამახასიათებელია, რომ სწორედ არნოლდ ცვაიგმა მიიღო მშვიღობის ლენინური პრემია, რადგან მთელი მისი შემოქმედება დაწყებული პირველი მნიშვნელოვანი რომანით „დავა სერჟანტ გრიმას გამო“ და გათავებული მისი ბოლო რომანით — „დრო მომწიფდა“ — მიმართულია სისხლისღერის, ომისა და მალტარიზმის წინააღმდეგ. გრიმას ციკლის რომანების, რომელნიც პირველი მსოფლიო ომის ამბებს ეხებოდა, ძირითადი ტენდენციაა ანტისამირი, მშვიღობისმოყვარე-

ლი, ხალხთა შორის მეგობრული ერთიგობით დასკვნებულების განწყობილება.

აღბათ, მეტისმეტად ვაჭირდება მეოცე საუკუნის სხვა ისეთი გერმანელი მწერლის დასახელებას (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი მარია რემარკსა და ლუდვიგ რენს) რომლის შემოქმედებაც მთლიანად იქნება გამსჭვალული კაცთა ქვლეტისა და აღაზიანური სიცოცხლის განადგურების საწინააღმდეგო პათოსით.

არნოლდ ცვაიგი პირველი მსოფლიო ომის, მისი ატმოსფეროს, ამბებისა და მოვლენების ჩინებული მკოდნეა. მწერალმა შესანიშნავად იცის ომში მოწაწილე ჯარისკაცების, ოფიცერებისა და გენერლების ფსიქოლოგია, მათი მოქმედება — საცქერაოს სტიმულები და მოტივები. მის რომანებში უღმობელადაა გაიშვლებული პრუსიულ-გერმანული მილიტარიზტების მანქანა, ნიღბახილინი არიან გერმანული იმპერიალიზმის შესვეურნი. არნოლდ ცვაიგი ფსიქოლოგიურად და სოციოგრაფიულად დამაჯერებლად გვიჩვენებს ბერკერული ინტელიგენტების გამოფხიზლებისა შოკინიზმისა და კრუპატრიზმის ბუკანნიდან, მათი ცნობიერების ვარდაქმნას. მწერალი ნათელს ხდის, თუ როგორ ეცლებოდა იმ ინტელიგენტთა თვალში პირველ მსოფლიო ომს რომანტიკულობისა, პერიოზიმისა და ამაღლებულობის ფერით... ზერისის ციკლის ცენტრალური პერსონაჟია ებრაელი წარმოშობის გერმანელი მწერალი ევანერ ბერტინი (მასში შეიქმნევა ავტობიოგრაფიული შტრიხები). დასაწყისში ევანერ ბერტინი აპოლიტიკური, ესთეტიკულივანია, რომელიც ტყუვდება გერმანული იმპერიალიზტების „პატრიოტიზმი“ ფიზიოლოგიით, თანდათანობით იგი ფერისცვალებას განიცდის, რწმუნდება კლასობრივი საზოგადოების უკუღმართობასა და მანკიერებაში და ხსნას ახალი უკლასო საზოგადოების შექმნის აუცილებლობაში ექვსს.

მოკლედ შევხვთ არნოლდ ცვაიგის რომანის ტექნიკას, როგორც ეს არა ერთხელ აღნიშნულა, არნოლდ ცვაიგიც ლიონ ფოიბტვანგერის მიმართავს ეგჯერფოიდებულ დისტანტირების ხერხს. მაგრამ თუ ლიონ ფოიბტვანგერი ამ ხერხს უბრაატლად ისტორიულ რომანებში იყენებს, არნოლდ ცვაიგი მას თანადროულ თემებზე რწმუნდება კლასობრივი საზოგადოების უკუღმართობასა და მანკიერებაში და ხსნას ახალი უკლასო საზოგადოების შექმნის აუცილებლობაში ექვსს. ვთქვათ, 1914 წლის ამბებზე, როგორც ამას შორეულ მომავლის ბინადარი მოამოქმედებდა. ავტორის სურს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქოს პირველი მსოფლიო ომის მოვლენებს სულ სხვა ეპოქის, სულ სხვა საზოგადოებისა და, შესაძლოა, სულ სხვა პლანეტის წარმომადგენელი მოგვითხრობდეს. ესე იგი, აქ თანადროული მსალა ისტორიზებულია, ისტორიულ ასპექტშია დანიხული და ასახული. ამ ეფექტისა და შთაბეჭ-

დილების გასაძლიერებლად არნოლდ ცვაიგი გრისის ციკლის რომანებს ასე ასთორებს: „თეთრ მამაკაცთა დიდი ომი“ „მწერალ ბერკინობა და როგორ დისტანცია თანამედროვე აღაზიანის ასე არ ვადმოგვეცმდა თანადროული ომის ამბებს“ ავტორი სხვა ეპოქის ბინადარი ხანს, მომავალი თაობების წიაღიდან გამოსული ქამიაღმწერი... „თეთრ მამაკაცთა დიდი ომი“ — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, როგორც ამას მართებული აღნიშნავს ჰანს მაიერი, რომ თითქოს შორეულ მომავლის ყვითელი ან შავი მოდგმის შემეტიანე წერდეს ამ რომანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ხაზს არ გაუსვამდა ომში მოწაწილე აღაზიანთა სითეთრეს. (იხ. Hans, Mayer „Deutsche Literatur und Weltliteratur“).

არნოლდ ცვაიგი ისე წერს 1914 — 1918 წლის ამბებზე როგორც ამას თანამედროვე ისტორიკოსი არა რომის იმპერატორული პერიოდის ანდა სპარსთა ომების ხანის მიმართ მოთმოქმედებდა, არამედ მატრიატიკატისა და აღაზიანთა პრატიკული ყოფის აღწერისას (იხ. ჰანს მაიერის იგივე წიგნი). ყოველივე ამით არნოლდ ცვაიგს სურს მიიღოს მაქსიმალური ეპიკურობა და იმეტიტურობა, აირიდოს სუბიექტური იმპრესიონების ზეგავლენა. ამას გარდა, აღბათ, მას სურს ნათელი გახადოს, თუ რა უზადრეცია, პრიმიტიული და, ამავე დროს, უცხო აღმოჩნდება მომავალი ბედნიერი თაობების თვალში მწერლის თანადროული საზოგადოება. სწორედ დისტანტირების ამ ხერხის გამოყენების გამო, ისევე როგორც ლიონ ფოიბტვანგერის რომანებში, არნოლდ ცვაიგის ნაწარმოებებშიც იგრწმობა ტონის გარკვეული სიცივე, სუსხი, ზაყ სრულებითაც არ გამოიხიხავს მათში შორალური და სოციალური პათოსის არსებობას. ეს ერთგვარო რეაქციაცაა გადამეტებული სანტიმენტებისა და გრძობითაობიერების საწინააღმდეგ.

არნოლდ ცვაიგის რომანისტიკაში შეიმჩნევა დრამისა და, აგრეთვე, კინემატოგრაფის გამომსახველ საშუალებათა გამოყენება, როგორც ამას პარალელ კოცი აღნიშნავს. აქედან გამომდინარეობს მის რომანთა ფორმის ერთგვარი შეუცრულობა. კარგად შეუნშნავს იმავე პარალელ კოცი: არნოლდ ცვაიგის გზა ბერტოლტ ბრეტტის შემოქმედებითი გზის საპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდა: არნოლდ ცვაიგი დრამატულ რომანამდე მივიდა, ხოლო ბერტ ბრეტტი ეპიკურ დრამაზე შეხერდა.

„მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლს, ომი-სა და აღაზიანთა ქვლეტის გულწრფელ მოწინააღმდეგეს დემოკრატიული გერმანიის სახელმძღვებელი მწერალს — არნოლდ ცვაიგს მშვიდობის ლენინური პრემია მიენიჭა. მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე აღაზიანი სიხარულითა და მადლიერების გრწმობით შეხვდა ამ ცნობას.



გ. კ. ორჯონიძემ ამიერკავკასიაში ნაციონალური მშვიდობის და ხალხთა მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში ზღო-სუფობის სათავეში ჩადგნენ ნაციონალისტური მთავრობები — მენშევიკები, მუსაფატელები და დამნაშავეები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის იმპერიალისტთა მითითებით აღვივებდნენ ნაციონალურ შუღლს ამიერკავკასიის ხალხებს შორის, ახალბედნენ ძმათა მკვლელ სისხლისმღვრელ ომებს.

1920 — 21 წლებში აჯანყებული მუშები და მშრომელი გლეხობა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მხრივ დახმარებით, მე-11 წითელი არმიის მხარდაჭერით, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გ. კ. ორჯონიძე და ს. შ. კოროვი, დაამხეს მუსაფატელების, დამნაშავეებისა და მენშევიკების ანტიხალხური რეჟიმი, ამიერკავკასიის ფარგლებიდან განდევნეს უცხოელი ინტერვენტები დაიკვეთიანთი რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში და გადაარჩინეს ამიერკავკასიის ხალხები იმპერიალისტთა მიერ დამონებისაგან.

რკპ (მ) ცენტრალური კომიტეტი და ლენინი ითვალისწინებდნენ, რომ საქართველო წერილობურეთაზიულ ქვეყანა იყო და თავის მხარეზე მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციის წერილი ვაქრებისა და საშუალო გლეხობის გადმოსაყვანად საჭირო იყო დათმობის განსაკუთრებული პოლიტიკა.

ვ. ი. ლენინი ქართველ, აზერბაიჯანელ, და სომეხ კომუნისტებს მთელ რივ თავის წერილებში აძლევდა ბრძნულ რჩევას-დაარსებას, უწიამდო მით უდიდეს დახმარებას, ამუშავებდა სოციალისტური მშენებლობისა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების გეგმებს.

ვ. ი. ლენინი აფრთხილებდა ქართველ კომუნისტებს ადგილობრივ პირობათა გათვალისწინების საფუძველზე თავისებური, მოქნილი ტაქტიკის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

1921 წლის 2 მარტის წერილში¹ ვ. ი. ლენინმა მხრვალე სალაში გაუგზავნა ქართველ კომუნისტებს, იგი კითხულობდა მათ აზრს ქართული წითელი არმიის შექმნის საკითხის შესახებ, ურჩევდა მათ, გაეტარებინათ დათმობის პოლიტიკა წერილობურეთაზიულ ელემენტებთან. ვ. ი. ლენინი ერთდროულად აფრთხილებდა მათ შესაძლებელი შეცდომების შესახებ. ქართველ კომუნისტებისა და საქართველოს რევკომის წევრებისადმი დირექტივებში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „უნდა გახსოვდეთ რომ, საქართველოს როგორც საშინაო ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენების კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წერილობურეთაზიული ელემენტებისადმი მერ დამთმობლობაზე იქნება დამყარებული“².

ამ დოკუმენტში გამოთქმული იყო ვ. ი. ლენინის დიდი სიბრძნე და გამჭვირვაობა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მდგომარეობისა და ამოცანების უღრმესი ცოდნა.

იმავ დღეს გ. კ. ორჯონიძემ ბაქოდან იცნობა ვ. ი. ლენინს, რომ ქართველი კომუნისტები სრულ ერთსულოვნებას იჩენენ ლენინის დირექტივებისადმი. იმავე დღესვე ვ. ი. ლენინს გადაეცა საქართველოს რევკომის პასუხიც. მ. ორჯონიძისა და მ. ელიაშვილის მიხედვით ვ. ი. ლენინს ჩვენი მხრვალე მადლობა პოლოცეისათვის და ჩვენი ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ იგი არც ერთი წუთით არ დაგვივიწყებს ჩვენ, ქართველ კომუნისტებს, და არ მოგვაცლებს ბრძნულ რჩევასა და დაარსებას, გავვაფრთხილებს ამ შეცდომებისაგან, რომლებიც იუცოდებულად გვეწნება პროლეტარული ტაქტიკის ვაჭარებისას ჩვენს ქვეყანაში, სიღაც არსებობს

¹ წერილი გადასცა პირდაპირი მათეულთა ვ. ი. ლენინს ვ. კ. ორჯონიძის მიხედვით.

² ვ. ი. ლენინი. წერილი ვ. კ. ორჯონიძის მიხედვით, ტ. 32, გვ. 190. გამოც. მე-4 1952 წ.

წერალბურჟუაზიული წესები ცხოვრებასა და ურთიერთდამოკიდებულებაში¹.

ქართული ინტელიგენციისადმი ვ. ი. ლენინის მითითებებთან დაკავშირებით მ. ორახელაშვილი და შ. ელიავა იწერებოდნენ: „ჩვენ სრული ნდობით ვუპირდებით ქართველ და, საერთოდ, ადგილობრივ ინტელიგენციას. ჩვენ ვსწრაფობთ, რათა ინტელიგენცია ჩივადიანად შრომისათვის მოსახურებელ პირობებში და მიეცეთ მას სრული თავისუფლება, რომ განავითაროს ჯანმრთელი ნაციონალური კულტურა მშობლიური ენის ნიადაგზე. მენშევიკების უსასრულო ბოროტმა პროპაგანდამ სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებში დატარებდა ისეთი კვლი, რომ უველა დარწმუნებული იყო, რომ ბოლშევიკებში საქართველოში ნიშნავს ყოველგვარი ნაციონალურის ძალდატანებით აღგვას და ნაციონალური კულტურის მოსაპობს, მაგრამ ჩვენს მოსვლისთანავე ყველა დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს ტყუელია, და ასევე ტყუელია მრავალი სხვა მონამზი და ჭორი ბოლშევიკების მხეცობის შესახებ. რეკომ. ში ერთიმეორეზე მოდიან დედუგატები სხვადასხვა საზოგადოებიდან, პარტიული და უპარტიო ინტელიგენტები და აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან თიანაშრომლად სამშოთა ხელისუფლებასთან არა შიშის გამო, არამედ სინდისის გამო. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახალმა მიჯარობამ და ინტელიგენციამ უკვე გუფეს ერთმანეთს, და ეს ურთიერთგაგება კიდევ უფრო განმტკიცდება მეშობის პროცესში².

4 მარტის სტალონზე რეკომმა სპეციალურად განიხილა საკითხი ვ. ი. ლენინის წერილის შესახებ და გადაწყვიტა მისი გამოჭეუვნება.

მძიმე მემკვიდრეობა მიიღო მენშევიკების დაშვებისა და შესაგატისტებისგან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ნორმალ საბჭოთა რესპუბლიკამ. გ. კ. ორჯონიკიძე აცნობებდა ვ. ი. ლენინს ამ რესპუბლიკაში კატასტროფული ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, რაშიც ჩააგდო ისინი კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რუსმა ხალხმა, კომუნისტურმა პარტიამ, ვ. ი. ლენინმა დახმარების ხელი გაუწოდეს ამიერკავკასიის ხალხებს. 1921 წლის 9 აპრილს ვ. ი. ლენინმა აცნობა გ. კ. ორჯონიკიძეს „მივიღე თქვენი დახმარება დეპეშა, რომ სურსათის მზრავ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რატი ღონისძიებანი. ცოტაოდენი ოქრო მივეციით სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყოველგვარი დავალება“³.

ვ. ი. ლენინი ამივე დეპეშაში მოითხოვდა სა-

ოლქო-სამეურნეო ორგანოს შექმნას მთელი ამიერკავკასიისათვის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ძალთა გაერთიანებას, ედგილობრივი რესურსების გამოყენებას მშარეს მურენობის განვითარებისათვის, რათა დამკარებულყო, პირველ რიგში, ეკონომიური დახლოება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა, რადგან ასეთი დაახლოებისა და გაერთიანების გარეშე არ შეიძლებოდა ამ რესპუბლიკების არა მარტო განმტკიცება, არამედ საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებაც კი, შეუძლებელი იყო სახალხო მურენობისა და კულტურის აღდგენა და მომავალში მისი განვითარება. ვ. ი. ლენინი მომხრე იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ერთმანეთთან და რუსის-სთან არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური დაახლოებისა.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება და პირადად ვ. ი. ლენინი დიდ დახმარებას უწყევდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. გ. კ. ორჯონიკიძე ამის შესახებ წერდა: „საბჭოთა რუსეთში გამოგვიგზავნა შარშან და წამოვიკიდევ განაძობს ამ მოგზავნას. მან მოგვცა ოქრო მუდანის სარწყავი სისტემის აღდგენისათვის, მან გამოგვიყო ამ წელსაც რვაასი ათასი მანეთი ოქროთი მუდანისათვის ტრაქტორების შესასყიდლად. მან გამოგვიყო ექვსი ორმოცი ათასი მანეთი ოქროთი სამშეთი მეგამპეობის აღდგენისათვის, მან, საბჭოთა რუსეთში, გაიღო შვიდასი ათასი მანეთი ოქროთი თბილისის ახლის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად“⁴.

ყურადღებით და გულისხმიერად იღვენებდნენ თვალთვალს რკ (მ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განვითარებას და განმტკიცებას. რკ (მ) ც-ის დირექტივები და ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებები ამიერკავკასიის ბოლშევიკების ყურადღებას ამახვილებდნენ რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითად და მთავარ საკითხებზე, აფრთხილებდნენ მათ მონალოდენი შეცდომების შესახებ. ასე, 1920 წ. დეკემბრის შუა რიცხვებში ვ. ი. ლენინი იღებს სომხეთის რევკომის წევრებს — საყ ტერ-გაბრიელიანს და ასკანაზ მრავიანს, ესაუბრება მათ საბჭოთა სომხეთის მდგომარეობის შესახებ და აძლევს რჩევა-დარიგებას.

1921 წლის თებერვალში როდესაც საქართველოს მეშებმა და გუგუებმა შექმნეს რევკომი, რომელიც მეთაურობდა მშრომელთა ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ, ვ. ი. ლენინმა გაიძიბა თ. ე. მახარაძე (მასთან ერთად მიღებაზე იყო საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ბოლშევიკთაგანი გ. მეგანაძე) და წინადადება მისცა მათ, სხვა ქართველ ბოლშევიკებთან ერთად, გამგზავრებულყვნენ სამშობლოში. თან გააფრთხილა ისინი, რომ საქართველოში მეშობა მძიმე იქნებოდა და რომ ქართველი კომუნისტები ძალ-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. 8 მარტი.
² დეპეშა გ. კ. ორჯონიკიძეს; ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 510, 1953 წ.

ზედ ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, უნდა წესილიყვნენ, დათმობაზე ლოიალურ პირობებთან წერილობრუაზიასთან, ინტელიგენციასთან და, განსაკუთრებით, გლეხობასთან. ამ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი იყო პ. ო. ლენინის ცნობილი წერილი 1921 წ. 14 აპრილს ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი, წერილი ვადაცო მათ სომხეთში სამუშაოდ გაგზავნილ ანხ. ა. ფ. მისანიკოვის საშუალებით. ამავ წერილში ლენინი მიუთითებდა, რომ აუცილებელი ყუარდლება მექციით ამიერკავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობის თავისებურებისათვის რსხსრ-ის მდგომარეობასთან განსხვავებით, რათა პირდაპირ არ გადაეღოთ ცენტრის ტაქტიკა, მოფიქრებულად შეეცვალოთ იგი კონკრეტულ პირობათა შესაბამისად. 1.

ეს წერილი ვახდა საბრძოლო პროგრამა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციებისათვის. 1920 წლიდან 1926 წლამდე ლენინის მოწაფე და თანამებრძოლი გ. კ. ორჯონიძემ, ს. მ. კიროვთან, ა. ფ. მისანიკოვთან, მ. ცხაკაიასთან, ნ. ნარიშკინთან, ფ. ე. შაპარაქსთან, მ. ორბელიანთან, ა. კარაგეოვთან, გ. მუსაბეგოვთან, ე. ელიავასთან და სხვებთან ერთად, ხელმძღვანელობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურ პარტიებს, ატარებდა რა ცხოვრებაში რკმ (ბ) ც. კ-ისა და ვ. ი. ლენინის მიითთებებს რომლებიც ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ზრდიდა პარტიისადმი ერთგული თავდადებული სულისკვეთებით, ლენინიზმის ყოველგვარი ჯერის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლით. იგი იყო ნიჭიერი ორგანიზატორი, თანამზავერი და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად წარმატებით ატარებდა კომუნისტური პარტიის ნაციონალურ პოლიტიკას ამიერკავკასიაში და ახორციელებდა ლენინურ ტაქტიკას.

პ. ო. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილის მიითთებებთან შესაბამისად კავკასიის სამხარეო პარტიულ სხდომაზე 1921 წლის 12 აგვისტოს გ. კ. ორჯონიძემ თავის მოხსენებაში რკმ (ბ) ც. კ. კავკასიის ბიუროს პოლიტიკური მუშაობის შესახებ ვადაშალა სურათი ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ და განმარტა, თუ როგორ პოლიტიკას ატარებდა და როგორი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა შემდგომში რკმ (ბ) ც. კ. კავკასიის ბიუროს ამ რესპუბლიკებში.

განმარტა რა ზვენი პარტიის ხაზი ამიერკავკასიაში, გ. კ. ორჯონიძემ ანალიზი გაუკეთა აზერბაიჯანის თავისებურ მდგომარეობას და მიუთითა მისი ეკონომიური ჩამორჩენილობის შესახებ. აზერბაიჯანი, ბაქოს გამოკლებით, იყო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, რომლის გლე-

ხობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში იმყოფებოდა თათრების, ბეგებისა და ხანების მონაბაში. კაპიტალისტური ურთიერთობის გვერდით აქ ჯერ კიდევ არჩებოდა ბატონყმური და პატრიარქალურ ურთიერთობათა ვადმონაშთები.

რკმ (ბ) ც. კ. კავკასიის ბიურო, რომელსაც გ. კ. ორჯონიძემ მეთაურობდა, ახორციელებდა მოქნილ პოლიტიკას, მხედველობაში იღებდა აზერბაიჯანის გლეხობის რელიგიურ და საყოფაცხოვრებო პირობებს, უყუარდებდა ცხოვრებაში პროლეტარიატის ჰეგემონიის გატარების შექანიერ მეთოდს და, მისთან ერთად, უზრუნველყოფდა აზერბაიჯანის გლეხთა მისების ჩაბნის სოციალისტურ მშენებლობაში ბაქოს პროლეტარიატის იდეური ხელმძღვანელობით.

რკმ (ბ) ც. კ. კავკასიის ბიურო ამვე ამოცანას აყენებდა სომხეთის კომუნისტური პარტიის წინაშეც. იგი წინადადებებს აღეყდა სომხე კომუნისტებს, მხედველობაში მიეღო სომხეთში მუშათა კლასის თითქმის არარსებობა და სომხი გლეხობის ჩამორჩენილობა. კავკასიის ბიურო თავის ვადაწყვეტილებებში მიუთითებდა, რომ სომხეთში უნდა გატარებულყო განსაკუთრებით ფრთხილი პოლიტიკა ადგილობრივი პირობების გათვალსწინებით.

რკმ (ბ) ც. კ. კავკასიის ბიურო ასვეე უარყდა ფრთხილ ტაქტიკას ატარებდა საქართველოშიც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის წარმოადგენდა, გ. კ. ორჯონიძის თქმით, წერილობრუაზიულ ჰეგემონას, უარყსად ძლიერი ინტელიგენციით 1.

რკმ (ბ) ც. კ. კავკასიის ბიურო ლენინური ტაქტიკას გატარებისას მიისწრაფოდა, აღმოფხვრა ქართველი მეშვეიკური მთაგრობის ნაციონალისტური პოლიტიკით შექმნილი ნაციონალური აღტყინება, ამისათვის იგი რაზმავდა ქართულ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ნაციონალიზმთან ბრძოლისათვის.

ამიერკავკასიაში გ. კ. ორჯონიძის მუშაობის პერიოდში ვადაშყდა ნაციონალური და მიწის საკითხი საქართველოში, მთელი მიწა ვადაცო მშრომელ გლეხობას. აფხაზეთში, აჭარამ და სამხრეთ ოსეთში მიიღეს ავტონომია.

სოციალისტური რევილუციის ვამარყევებამ და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური ვაერთიანების აუცილებლობამ მათი მეურნეობრივი აღორძინებისა და სოციალისტური მშენებლობისათვის წამოაყენეს ამიერკავკასიაში მტკიცე ნაციონალური მშვიდობის შექმნისა და ამიერკავკასიის ხალხთა მკიდრო თანამშრომლობის საკითხი.

საბჭოთა ამიერკავკასიის ხალხთა მწერ ვაერთიანებას წინააღმდეგობას უწყედენენ ნაციონალ-ეკლანისტთა ჯგუფები საქართველოს,

აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტური ორგანიზაციების რიგებში.

ბოლშევიკური პარტიის ნაციონალურ პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი ნაციონალ-უკლონისტები. საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ამჟანაგები ს. ორჯონიკიძე, მ. ცხაკაია, შ. ორბელიანი, ვ. ელიავა, მ. კახიანი, ლ. ქართველიშვილი და სხვები შეუპოვრად იბრძოდა ქართველი ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაციონალური მშვიდობის დამყარებას კავკასიის ხალხებს შორის ერთობლივი სოციალისტური მშენებლობისათვის კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო ღონისძიებების გაერთიანების მიზნით. ამ, რატომ წერდა იგი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანისა და მთიულთა რესპუბლიკების კომუნისტებს წერილში 1921 წლის 14 აპრილს: „მხრეაღდებ მივსალმებდი რა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს, ნებას ვაძლევ თვის გამოთქვა იმედი, რომ მათი მქონდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახელი და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიშნს“¹.

რკ(მ) ცკ-მა ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე დააყენა ამოცანა, უღმობილო ბრძოლა ეწარმოებინათ ნაციონალიზმთან, მშვიდობის დამყარებისათვის ამიერკავკასიის ხალხებს შორის, რათა შეექმნათ ინტერნაციონალიზმის ჯანსრული აღმოსაფერვა.

რკ(მ) ცკ-ისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებებმა ნაციონალური მშვიდობის დამყარებისათვის და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანების შესახებ განსაზღვრეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა.

1921 წლის განმავლობაში ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფთა წინააღმდეგობის გამო საქართველოში შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ ამიერკავკასიის რეინიგზების გაერთიანება და საგარეო ვაჭრობის ორგანიზების დაწყება. ნაციონალ-უკლონისტები ბუღდ მღვიმის, კოტე ციციანისა და სხვათა მეთაურობით გამოდიოდნენ პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელის შეშლისა და აქიანურებდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანებას, აგრეთვე, წინააღმდეგნი იყვნენ ამიერკავკასიის ხალხთა ძმური გაერთიანებისა, რადგან არ ესმოდათ ასეთი გაერთიანების სასაიუცხოო აუცილებლობა. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის აღდგენა და განვითარება წელი ტემპით მიმდინა-

რობდა. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკური კავშირის შექმნის გარეშე. რესპუბლიკური კავშირის განმტკიცების გარეშე.

ქართველი კომუნისტების ჯგუფის ნაციონალისტური გადაზრა გაიკცხა რკ(მ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმმა 1921 წლის 2—3 ივლისს ი. ბ. სტალინისა და ვ. კ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით.

პლენუმმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიაში ნაციონალისტური ჯგუფები უფრო ძლიერი იყვნენ საქართველოსა და აზერბაიჯანში და შედარებით სუსტი — სომხეთში, ისინი ცდილობდნენ გაეზრნათ პარტიული ორგანიზაციები, ვადეტანათ თავიანთი ანტიპარტიული მუშაობა მუშათა და გლეხთა უპარტიო მისებში. პლენუმმა შიათხოვა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მუშებისა და გლეხების ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება.

პლენუმმა გარკვეული კვალიფიკაცია მისცა ნაციონალ-უკლონისტების პოზიციას, როგორც გადაზრას ნაციონალიზმისა და სუპარტიზმისადგენ, და გადაწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა მას. 1.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ლენინის მითითებების შესაბამისად და შექმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო მოქმედების გაერთიანების კომისია.

1921 წლის 8 ივლისს თბილისის პარტიკავკასიის კრებაზე გამოსვლის დროს ი. ბ. სტალინმა მოხსენებაში „კომუნისმის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ თქვა, რომ „ეს გარემოება (ნაციონალიზმი) უღრესად უშლის ხელს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (დასამხედრო) ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს. ბოლო მე უკვე მოგახსენეთ, რომ ასეთი გაერთიანების განუზარაციებლად შეუძლებელია ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა, შეტადრე საბჭოთა საქართველოს, სამეურნეო მარტება. ამიტომ საქართველოს კომუნისტების მორიგი ამოცანაა უღმობილო ბრძოლა ნაციონალიზმთან“².

ვ. კ. ორჯონიკიძემ ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში სამეურნეო და სახელმწიფო პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში დიდი როლი შეასრულა. მეთაურობდა რა ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციებს, ის ამსხვრედა ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობას და ატარებდა მტკიცე და გადაწყვეტი პოლიტიკის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეკონომიური გაერთიანებისათვის. თავის გამოსვ-

¹ «Образование СССР» - Сборник документов. 1917—1929 г. стр. 273, 1949.

² სტალინი, კომუნისმის მორიგი ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ტ. 5, გვ. 105.

¹ ლენინი, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტანისა და მთიულთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებს, ტ. 32, გვ. 397, 1952 წ. გამოც. 4.

ლებში პარტიულ თათბირებზე, პლენუმებზე, ბოლშევიკური ორგანიზაციის პარტიულ და მუშებისა და მოსამსახურეების ფართო კრებებზე იგი ასახელებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეკონომიური გაერთიანების აუცილებლობას.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის მიერლი საქმიანობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გ. კ. ორჯონიძე და სხვა ბოლშევიკი-ლენინელები, მიმართული იყო სხვადასხვა ეროვნებებს შორის უნდობლობის აღმწვევით აღმოფხვრისაკენ, ნაციონალიზმის ფესვების მოსპობისაკენ და ურთიერთ პატივისცემისა და ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ჩამოყალიბებისათვის ატმოსფეროს შექმნისაკენ.

1921 წლის 3 ნოემბერს ბაქოში შედგა რკ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს პლენუმი. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გ. კ. ორჯონიძე. საკუშირო ხელშეკრულების პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა შ. ვლიაძემ.

რკ(ბ) ცკ კავკასიის ბიურო და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ზეით თვის განმავლობაში (1921 წლის ნოემბრიდან 1922 წლის მარტამდე) ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის ფართო პროპაგანდას ეწეოდნენ მუშათა და გლეხთა შორის. აუცილებელი იყო იმის მიღწევა, რათა ფედერაციის იდეა გამზღარიყო ნათელი ამიერკავკასიის შრავლეროვანი შრომელებისათვის.

გ. კ. ორჯონიძე 1921 წლის 22 ნოემბერს გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ორგანიზაციის თბილისის საერთო საჭაღაო კრებაზე მოხსენებით — „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ“.

გ. კ. ორჯონიძემ დაასაბუთა, რომ საქართველოსა და შიველი ამიერკავკასიის მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდნენ ნამდვილად დამოუკიდებელი და თვითმყოფი. შან გაანალიზა მენშევიკური საქართველოს, დაწინაურის სომხეთის და მუსაევური აზერბაიჯანის „დამოუკიდებლობა“. გ. კ. ორჯონიძემ აღნიშნა, რომ მენშევიკები თავიანთი ბატონობის პერიოდში ეხმარებოდნენ იარაღისა და საომარ მოწყობილობათა მიწოდებაში თურქეთის ჯარებს. როცა ისინი არმეგდნენ ბაქოს მუშებს. იგი ხაზს უსვამდა, რომ ინგლისი, დაპყრო რა ამიერკავკასია, როგორც შემარტებელი ხილი, ეეროპისა აზიასთან, იბრძოდა თავისი მძარკელორი გეგმებისათვის აღმოსავლეთში. საქართველო, ისევე როგორც სომხეთი და აზერბაიჯანი, მოხვდა ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტების ბრძკალებში, გადაიქცა კონტრრევოლუციის იარაღად. მენშევიკებმა ინგლისელებს მითითებით ასრულებდნენ მათ ნებასურვილს, შეიფარეს საქართველოში ყველა კონტრრევოლუციონერი და შავრაზმელი, რომლებიც

გამოიქცნენ აქ რუსეთიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. გ. კ. ორჯონიძემ თქვა: „ასეთი იყურისმჩინებელი „დამოუკიდებლობა“ მენშევიკების ღრქქი მხედ და მოუკიდებლობა, ყოველ შემთხვევაში მხოლოდ დამოუკიდებლობა რევოლუციისაგან და სრული დამოკიდებულება კონტრრევოლუციისაგან; სხვანაირად არ შეიძლებადა ყოფილიყო. ისტორიის უღონებელმა მსვლელმაპ საკითხი დაისვა გადაქრით: ან-ან. ან კონტრრევოლუციისთან ან რევოლუციისთან“ 1.

გ. კ. ორჯონიძემ გააშუქა ნაციონალური პოლიტიკის არსი „ბოლშევიკური პარტიისა, რომელიც ყოველთვის იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებებს თვითმყოფად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოყოფასა“ და ჩამოყალიბებამდე კი. მაგრამ, ამავე დროს, იგი როდი ურევდა ერთმანეთში ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებას ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზნაშეწონილების საკითხთან. გ. კ. ორჯონიძემ განმარტა, თუ როგორ ესმის კომუნისტურ პარტიას საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, ან როგორი შინაინი უდგენ დამოუკიდებლობის გაგებას. შან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა სრულიად არ ნიშნავს დამოუკიდებლობის მოსპობას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. პირიქით, მათი ნებაყოფლობითი კავშირი აძლიერებს თითოეული ამ რესპუბლიკის გვანამიერ და კულტურულ განვითარებას და შესაძლებელი ხდის ამიერკავკასიის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

გ. კ. ორჯონიძემ მითითა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და რუსეთის შორის ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის აუცილებლობაზე და დაადასტურა ამ კავშირის არსებობის ფაქტი.

ამავე წლის 25 ნოემბერს თბილისის ყველა დაწესებულებაში შედგა კრებები და შიტინგები, შიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფედერაციის შექმნის საკითხისადმი. ყველგან იქნა მიღებული რეზოლუციები. მხოლოდ ქართველი ნაციონალ-რევოლუციონისტების უმნიშვნელო ჯგუფი დაკინებით გამოდოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტიის იდეას სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული გავრთიანების შესახებ ერთსულოვნად დაუტრია მხარი ბაქოს მუშებმა და აზერბაიჯანის შრომელმა გლეხებმა.

1921 წლის 3 დეკემბერს ბაქოს შრომელთა დემუტატების-საბჭომ მოისმინა ს. შ. კიროვის მოხსენება, მხარი დაუტრია გადაწყვეტილებას

1 გ. კ. ორჯონიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I გვ. 262 — 263.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ და პირობა დასლა, „ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭირა წამოწყებული საქმისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დაუყოვნებლო გაერთიანების საქმეში“¹.

აზერბაიჯანის პროფსაბჭოს პლენუმის 1921 წლის I დეკემბრის დადგენილებაში აღინიშნა, რომ აზერბაიჯანის პროლეტარიატი მზერავლედ ეხალმება ამიერკავკასიის გაერთიანების იდეას, ამასთან, დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია სულ ახლო მომავალში ფაქტი იქნება და ამიერკავკასიის ისტორიის განვითარებაში გადათქლება ახალი ნათელი ფერტლები².

მხოლოდ აზერბაიჯანის ნაციონალ-უკლონისტების მცირე ჯგუფი, რომელსაც რუხელა ახუნდოვი, მირზა დავრედ ქუსეინოვი და სხვები ხელმძღვანელობდნენ, გამოდიოდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ, მათ ნაადრევად მიანიჭათ ეს ღონისძიება.

უფრო გვიან 1923 წელს მოხდა ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფთა გამოსვლები მთიანი ყარაბაღისათვის ავტონომიის მიანიჭების წინააღმდეგ.

აზერბაიჯანის კომუნისტები გადაწყვეტ, პრინციპულ პოლიტიკურ პოზიციას აწარმოებდნენ ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ და 1922 წ. აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობამ, გაეცხა რა მათი მოქმედება, დაავალა აკ(მ) ცკ-ს, ებრძოლათ ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგ და აღეკვეთათ მათი ყოველგვარი ცდა და მისწრაფება — უგულვებლევად პარტიის დადგენილებათა განხორციელება³. და ამ ბრძოლების შედეგად 1923 წლის ივლისში ყარაბაღის მთიანი ნაწილი გამოცხადებული იქნა ავტონომიურ ოლქად აზერბაიჯანის სსრ შემადგენლობაში.

შემდგომ წლებში ამ. რუხელა ახუნდოვმა და მირზა დავრედ ქუსეინოვმა შეიგნეს თავიანთი სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, კეთილსინდისიერად გაწყვიტეს კავშირი ნაციონალ-უკლონისტებთან და თავის შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში აქტიურად იბრძოდნენ ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ, პარტიის განვარდნის ხაზს გატარებისათვის.

1923 წელს შემდგომ პარტიის მეთორმეტე ყრილობაზე ნაციონალური საკითხის გამო ი. ბ. სტალინის მოხსენებისა და ს. ორჯონიძის, მ. ორახელაშვილის და სხვების გამოსვლის

შემდეგ ყრილობამ თავის რეზოლუციაში მოსჯელა კარტველ ნაციონალ-უკლონისტთა გამოსვლების შესახებ⁴.

1922 წლის იანვარში შედგა საქართველოს კ(მ) პირველი ყრილობა. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა გ. კ. ორჯონიძემ. თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას საფრთხე ემუქრება ნაციონალ-უკლონისტების დიდმპყრობელური შოიანიზმის გამო ავტაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ. ყრილობამ საგრძნობი უმრავლესობით გაეცხა ნაციონალ-უკლონისტები და შეჰქვიდროვდა ლენინის პარტიის ირგვლივ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველმა ყრილობამ მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, ყრილობის რეზოლუციაში ნაციონალური საკითხის გამო ჩაწერილია: „Съезд подтверждает необходимость ускорения предварительной работы по федеративному объединению республик, с тем, чтобы на съезде советов Грузии это решение получило санкцию полномочного представительства трудящихся всех народов Грузии“⁵.

გ. კ. ორჯონიძის მონაწილეობით 1922 წლის იანვარში შედგა აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ყრილობა, რომელმაც, აგრეთვე, ერთხმად აღიარა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობა. სავსებით იგივე გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი სამკოების რესპუბლიკური ყრილობების მიერაც.

შეაჯამა რა წინასწარი შედეგები კომუნისტურ-პარტიებისა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ფედერაციის შექმნისათვის, 1921 წლის 7 დეკემბერს ამიერკავკასიის მეორე პარტიულმა თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, გადსრულიყენენ «К дальнейшему углублению и расширению работ в сторону скорейшего практического осуществления федерации»⁶, რის შესახებ გ. კ. ორჯონიძემ დეპუტათ აცხობა რკ(მ) ბ ცკ-ს.

რკ(მ) ცკ-მა მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის კომუნისტებს, და 1921 წლის 22 ნოემბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის თაობაზე.

1922 წლის 19 თებერვალს თბილისში შედგა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების

¹ Газета «Бакинский рабочий», 1921 г. 4 декабря.

² «Бакинский рабочий», 1921 г. 5 декабря.

³ Резолюция и постановления IV съезда АКП(б) Баку, 1922, стр. 3.

⁴ КПСС в резолюциях и решениях съездов конференций и пленумов ЦК, ч. II, изд. 1957 г.

⁵ «Правда Грузии», № 283, 9 февраля 1922 г.

⁶ Известие Кавказского бюро ЦК РКП(б), № 1 стр. 4—5.

პირველი ყრილობა. რკპ(ბ) ცკ კავკასიის ბიუროს პოლიტანგარიშით გამოვიდა გ. კ. ორჯონიძემ, ამ მოხსენებაში მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „ფედერაციის საკითხი აღძრა თვითონ ცხოვრებაში“, რომ ეს იდეა, რომელიც გადასროლია იქნა ამიერკავკასიის კომუნისტებისა და უპარტიოების ფართო მასებში, მათ შორის მოაპოვა დიდი თანაგრძნობა, მაგრამ იგი წააწყდა ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობასაც.

გ. კ. ორჯონიძემ კიროვთან, მისინიკოვთან, ნარიშკინთან, ორახელაშვილთან და სხვებთან ერთად მოუწოდებდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკებს, რათა ვადაწყვეტი ბრძოლა გაეაღლებინათ ნაციონალისტური გადაბრუნების გამოვლინების წინააღმდეგ.

პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველმა პლენუმმა, რომელიც ყრილობის მიერ იყო არჩეული, 1922 წლის 23 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობათა კონფედერაციის მოწვევის შესახებ.

1922 წლის 12 მარტს ამ გადაწყვეტილების საფუძველზე თბილისში მოწვეული იქნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელთა სრულფუნქციონირი კონფერენცია, რომელზედაც დამყარებული იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი (ასსრ ფკ). კონფერენციამ დაამტკიცა კავშირის საბჭო და უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

1922 წლის 11-12 ნოემბერს თბილისში ამიერკავკასიის მეორე პარტიულ კონფერენციაზე, გ. კ. ორჯონიძის მოხსენების თანახმად, მიღებული იქნა დადგენილება ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ ასლსრ დაარსებასთან დაკავშირებით ყოველგვარი საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტისათვის. ამიერკავკასიის საბჭოების პირველი ყრილობა, რომლის მუშაობაშიც მიიღო მონაწილეობა გ. კ. ორჯონიძემ, შედგა ბაქოში 1922 წლის 10 დეკემბერს. ყრილობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მან მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შესახებ, რითაც დამყარა შვიდრო ნაციონალური მშვიდობა ამიერკავკასიაში და საქმით დაამტკიცა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ძლიერება და ცხოველყოფილება.

ასლსრ ფედერაციული კავშირის გარდაქმნა წარმოადგენდა საბოლოო ეტაპს ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებაში.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნასა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი ეკუთვნით გამოჩენილ ბოლშევიკებს, ვ. ი. ლენინის თანამებრძოლებს — გ. კ. ორჯონიძეს, ს. ბ. კიროვს, ა. ფ. მისანიკოვს, შ. ცხაკიას, ნ. ნარიშკინს, მ. ორახელაშვილს, ვ. მუსახე-

კოვს, მ. ცხაკიას, შ. ელიავას, ა. ყარაიევს, გენიათ-ზადეს, ა. ნახარეთიანს, ე. ცხაკაშვილს, სხვებს.

1922 წლის მეორე ნახევარში რკპ(ბ) ცკ და ნაციონალური რესპუბლიკების კომუნისტურმა პარტიებმა ფართო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყეს სსრ კავშირის შექმნისათვის. გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის განსახილველად.

რკპ(ბ) ცკ კომისიამ ამ გაერთიანების შესახებ მიღებულ რეზოლუციას საფუძველად დაედო ყველა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის რესურსის შემადგენლობაში შესვლის იდეა, ესე იგი მათი „ავტონომიზაციის“ იდეა, რომელიც ი. ბ. სტალინის მიერ იყო წამოყენებული.

1922 წლის დეკემბერს ვ. ი. ლენინი, წერს წერილს — „ეკონომიკა საკითხის ანუ ავტონომიზაციის“ გამო. რკპ(ბ) ცკ პოლიტბიუროს წევრების მიმართ, აქაც მან გააკრიტიკა ი. ბ. სტალინის თეზისები და წამოაყენა საკითხის პრინციპულად სხვაგვარად გადაჭრა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სრულფუნქციონირი საწყისებზე ახალ სახელმწიფოდ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად — გაერთიანება.

1922 წლის ოქტომბერს რკპ(ბ) ცკ პლენუმმა, ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად, მიიღო ახალი პროექტი, რომელიც წამოყენებული იყო კომისიის წევრების — სტალინის, ორჯონიძის, მისანიკოვის და სხვათა მიერ, რსლსრ დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან ურთიერთდამოკიდებულების საკითხის შესახებ.

1922 წლის დეკემბრის ბოლოს შედგა სსრ კავშირის პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო დეკლარაცია და დაამტკიცა ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

ჩვენი პარტია ლენინიზმის დროშით მოამზადებს ათეული მილიონობით მშრომელს მომავალი დიადი ბრძოლებისათვის. იგი არავის არ მისცემს ნებას მოახდინონ ლენინიზმის რევიზია, შეცვალონ იგი. იგი არავის არ მისცემს ნებას დაარღვიოს ჩვენი პარტიის ერთიანობა, ლენინიზმი და ლენინური პარტიის ერთიანობა — ამ ჩვენი დროშა, ამ დროშით მუშაობდა და შემდგომიც იმუშავებს რკპ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი“ 1.

გ. კ. ორჯონიძემ აღნიშნა შეუღობები სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ატარებდა სუბერატისტულ-ბუნდისტურ პოლიტიკას, და სასტეიო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მათი ხელმძღვანელები, რომლებიც თავისთავს თვლიდნენ ერთადერთ სრულფუნქციონირ ყველა სომხური საი-

თხის გადაჭრაში, მათ შორის საზღვარგარეთელ სომეხთა შორის მუშაობის საკითხშიც.

გ. კ. ორჯონიკიძე მგზნებარე პარტიოტი და მზურგალე პროპაგანდისტი იყო ხალხთა მეგობრობის ლენინური იდეისა. იგი სხვა ლენინელ-ბოლშევიკებთან ერთად ამტკიცებდა ამ მეგობრობას ამიერკავკასიის ხალხებს შორის

გ. კ. ორჯონიკიძე მოუწოდებდა სომეხ და ქართველ ხალხებს ძმური სოლოდარობისაკენ, რომელიც წარმოადგენდა მათი წინსვლის ერთ-ერთ პირობას.

გებობდა რა პარტიისა და ინტელიგენციის ურთიერთობას გ. კ. ორჯონიკიძე მოუწოდებდა ამიერკავკასიის ყველა ხალხების მშრომელ ინტელიგენციას ინტერნაციონალური შეშვიდროებისათვის და ერთიანი მეგობრული მუშაობისათვის. ლაპარაკობდა რა ქართველი და სომეხი ინტელიგენციის შორის ურთიერთდამოკიდებულის საკითხზე, გ. კ. ორჯონიკიძე აღნიშნავდა: „ბუცილებელია, რომ ქართველმა და სომეხმა ინტელიგენციამ აილოს თავის თავზე ინიციატივა კულტურული და მეცნიერული დაწესებულებების ერთიანი ორგანიზაციისა, სადაც მათ შეეძლებათ ერთად შრომა ორივე ხალხის საკეთილდღეოდ. ხალხი დაიწყებს ურთიერთ უცხოობას და უნდობლობას“.

დიდ რეს ხალხთან უფრო მჭიდრო დაახლოებისათვის გ. კ. ორჯონიკიძე მოუწოდებდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს, რათა ჯეროვანი ყურადღება დაეთმოთ უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის შესწავლისათვის. — „რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს არა ფრანგულის ან გერმანულის თანაბრად, არამედ უნდა ისწავლებოდეს, როგორც საბჭოთა კავშირის ენა, როგორც ოქტომბრის რევოლუციის ენა“ (ტ. I, გვ. 539).

1936 წლის დეკემბერს ახალი საბჭოთა კონს-

ტიტუციის საფუძველზე ასფსრ გაეშქრა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში.

გ. კ. ორჯონიკიძემ ს. კიროვთან, ა. ფ. მიახნიკოვთან, მ. ცხაკაიასთან, მ. ორახელაშვილთან, ნ. ნარიშკინთან, გ. მუსაბეკოვთან და სხვებთან ერთად, რომლებიც ახორციელებდნენ პარტიისა და ლენინის მითითებებს, მჭიდროდ შეკავშირა ამიერკავკასიის მშრომელი ხალხების ძმური ნდობისა და მეგობრობის მტკიცე ურყევი კვანძებით. ამიერკავკასიის ფედერაციამ, რომლის შექმნისა და განმტკიცებაში ამზანავმა გ. კ. ორჯონიკიძემ მთელი თავისი ძალ-ღონე და ენერჯია მონაწილეობა, ღირსებულად შეასრულა თავისი ისტორიული მნიშვნელობა, რათა უზრუნველყო ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და მისი გეოპოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ნამდვილი გაფურცლები.

ნაციონალური რესპუბლიკების შემდგომი განვითარების, ყველა საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კვ მე-20 ყრილობის დირექტივების შესრულებას.

ყრილობამ დასახა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის გეოპოლიტიკისა და კულტურის მეცნიერული იმპულსი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ნაციონალური კადრების შემდგომი ზრდა. საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ მიიღო მთელი რიგი გადამწყვეტილება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების ზელმძღვანელობის გაძლიერებისათვის.

დღეს ამიერკავკასიის ხალხები სსრ კავშირის ხალხებთან ერთად, ლენინის პარტიის ზელმძღვანელობით შეუმოგვრად მიდიან წინ დიდი მიზნისაკენ — კომუნისტებისაკენ.



იყო თუ არა ორხელისუფლებიანობა საქართველოში 1917 წელს?

არსებობდა თუ არა ორხელისუფლებიანობა საქართველოში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ? ეს საკითხი ამ ბოლო დროს პრობლემატური სახით დაისვა საქართველოს ისტორიის მკვლევართა წინაშე. ისტორიულ-პარტიულ ლიტერატურაში, მთელ რიგ წიგნებსა და სტატიებში თავი იჩინა სერიალულმა დავამ და უთანხმოებამ, ადგილი აქვს ცალმხრივობასა და ტენდენციურ უკიდურესობებს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორთა სემინარზე, რომელიც ამ შტორე ხნის წინ სპეციალურად მიეძღვნა ზემოაღნიშნულ საკითხის განხილვას.

მთხედვად იმისა, რომ საენის სპეციალისტები საკითხს სხვადასხვა კუთხით უდგებიან, ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში დღესდღეობით მაინც დამკვიდრებულად ითვლება აზრი იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში, ისე როგორც მთელ რუსეთში, თითქოს შეიქმნა ორხელისუფლებიანობა, ანუ, სხვაგვარად რომ ითქვას, თითქოს ჩვენშიც, ცენტრალური რუსეთის მსგავსად, ერთი მხრივ, არსებობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონტრარევოლუციური მოთვრობა, ხოლო, მეორე მხრივ, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოთვრობის ორგანოები მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით.

ამ დებულებამ ყველაზე უფრო კატეგორიულად გამოხატულება პოვა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკთა კოლექტიურ შრომაში (იხ. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 1957 წ., გვ. 373). ამავე შეხედულებას მთლიანად იზიარებს და იმეორებს კიდევაც თავის წიგნში ვ. ა. ლენინი საქართველოს შესახებ“ (გვ. 130) ე. ესაიაშვილი, რომელიც, ამავე დროს, ზემოაღნიშნული კოლექტიური შრომის მოთვარ რედაქტორადაც ითვლება. საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობის შესახებ ლაბარაკია, აგრეთვე, შესავალ ნაწილში დოკუმენტებისა და მსალუბის კრებულისა („ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში 1917 — 1921 წლები“), რომელიც კოლექტიურად გამოისცეს საქ.

სს მეცნიერებათა აკადემიამ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა და საქ. სსრ საარქივო სამმართველომ.

არსებითად ანალოგიურ პოზიციაზე დგას ა. სურგულაძე თავის წიგნში „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917 — 1921 წ. წ.)“, თბილისი, 1954 წ., გვ. 571, ხოლო იგივე ავტორი თავის საინტერესო მონოგრაფიაში („ბრძოლა სოც. რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოში“), რომელიც საერთოდ ძლიერი მეცნიერული არგუმენტაციით გამოირჩევა, თავს ესხმის იმით, რომლებიც თურმე „საქართველოს თავისებურებათაღმე შედგება გამოადგენებით“ უარყოფენ ორხელისუფლებიანობის არსებობას (იხ. დასახ. შრომა, გვ. 130 — 134).

განსვენებული გ. ხაქაბურიძე თავის შრომაში ჩვეულებრივ გვერდს უვლიდა აღნიშნული პერიოდის მოვლენებისა და ფაქტების კონკრეტულ ანალიზს, 1917 წლის თებერვლის შემდეგ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე მსჯელობის დროს იგი მომეტებულად ზოგადი, განუენებული დასკვნებით კმაყოფილდებოდა.

ამა წლის თებერვალში ექრნალ „კომუნისტული“ (1958 წ. № 2) მ. ცერცვაძემ და ა. მელიჩინმა კრიტიკულად განიხილეს „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების მსჯელობა ორხელისუფლებიანობის საკითხთან დაკავშირებით გარყვეულ ზღვრამდე ითქვას სწორი ხაზით მიმართება, მაგრამ, ამავე დროს, ისინი მეორე უკიდურესობაში ცვიდებიან. სტატიის ავტორები სრულიად დაუსაბუთებლად მთლიანად უშვლებულყოფენ და აბიბრევენ ადგილობრივი საბჭოების მნიშვნელობას, ცდილობენ სახელი ვაუტებონ მათ, დააყენონ მათი როლი ისინი ბიზნისად აცხადებენ, რომ საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში არსებულმა საბჭოებმა თითქოს თავიდანვე შებოქეს და შეაკავეს რევოლუციის აღმავლობა. ვადაპარბეს! როგორც იტყვიან: წყალს ბალღაც თან გადააყოლეს.

საერთოდ რომ ითქვას, დღესდღეობით დავასა და მსჯელობას საკითხის ვარშემო, სამშუბაროდ, ტენდენციურობისა და სქოლასტიკურობის სენი ახდის; მკაფიოდ გლინდება მეცნიერული არგუ-

შენტაციის სიღარიბე, კონკრეტული ფაქტების არ ცოდნა, ზოგიერთი ამხანაგი, იმის ნაცვლად, რომ გულმოდგინედ შეისწავლოს კონკრეტული სინამდვილე, თავს ძალას ატანს, რათა მონაზოს რევოლუციისა და სახალხო მოძრაობის რალაე საერთო „უნივერსალური“ და „სტანდარტული“ ფორმება, ცდილობს ნაციონალურ რაიონებსა და მხარეებში შექმნილი საბჭოები თავისი ფორმითა და შინაარსით ზელოვნურად მიაგროს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. ამჟერაა, რომ მსგავსი მსჯელობა და დავა, საერთოდ, კარგავს სერიოზულ მეცნიერულ ღირსებას, მას განეყენებულობს, სქემატისმისა და გაუბრალოების ბეჭედი აძის.

ჩვენ ამ სტატიაში არ ვისახავთ მიზნად დაწერილობით და კონკრეტულად შევცხობთ ამ საინტერესო თემის ყველა ასპექტს. გესურდა მხოლოდ გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც, ჩვენი აზრით, რამდენადმე ხელს შეუწყობდა საკითხის შემდგომ შესწავლა-დამუშავების გაუმჯობესებას.



სად უნდა ვეძიოთ იმ მკვლევართა შეცდომის ფესვება, რომლებიც სერიოზულად ცდილობენ დაამტკიცონ საქართველოში ორბელისუფლებიანობის არსებობა 1917 წელს, რომლებსაც სერიოზულად სჯერათ ადგილობრივი საბჭოების სრული ტოლფასოვნება ცენტრალური რუსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან? ჩვენი აზრით, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ორი სახის არასწორ ამოსავალთან, ორ ილუზიასთან.

პირველი მათგანი მდგომარეობს იმის წარმოდგენაში, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ თითქმის „ერთი დაკერი“ დაღწეა და მოსაო თვითმპყრობელური რუსეთის ციხესიმაგრე — ხალხთა დიდი საწყობადილ, თითქმის თვითმპყრობელობის დამზობისთანავე დაუშოვნებლე ამოსუნთქეს რუსეთის მრავალტანჯულმა ხალხებმა, მოიპოვეს ნაციონალური და ეროვნული თავისუფლება, ეროვნული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

მეორე ვარსებობა, რომელსაც ზოგიერთი ამხანაგი შევსდებდა დასყენებამდე შეიყავს, ესაა იმ სოტუაციის უგულვებელყოფა, რომელიც შეიქმნა რუსეთის განაპირა რაიონებში, კერძოდ საქართველოში, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, იმ ვითარების გაუთვლადისწინებლობა, რომელმაც განაპირობა აქ მუშათა მოძრაობის სისუსტე და დაბუნეწელობა, შეძლებული კლასებისა და კონტრრევოლუციური პარტიების მძლავრობა და, აქედან, მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციული და პოლიტიკური უმწეობა, მათი არაჯეროვანი ცხოველყოფილება.

დავავნოთ საკითხი: რა მისცა თებერვლის რევოლუციამ ცარიზმის უღელქვეშ საუკუნეებით მგმინავ ხალხებს? რას წარმოადგენდა ღროვებით

ბურჟუაზიული მთავრობის „ეროვნულ პოლიტიკა“?

არ არის სადავო ის ფაქტი, რომ თებერვლამ მარტის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ საღათას ძილისაგან გამოაღვიძა მრავალტანჯული და დევნილი ხალხები, მთელ რუსეთში ბიჭვი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახალ საფეხურზე აიყვანა იგი, ახალი ძალა და ენერჯია შეჰმატა ერებს. ფეხზე წამოადგინ და წელში სწორდებოდნენ განაპირა ქვეყნები, ჩაგრული ხალხები. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფერხულში ებმებოდნენ უკრაინისა და ამიერკავკასიის, პოლონეთისა და ბელორუსიის, ფინეთისა და მთელი ბალტიისპირეთის, მთელი შუაზიხის მრავალრიცხოვანი ერები და ხალხები. მაგრამ ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც ცნობილია, ბურჟუაზია და ბურჟუაზიულ დემოკრატიული ინტელიგენცია ზელმძღვანელობდა. ამდენადვე, ეს მოძრაობაც დიდ გასაქმან ვერ პოულობდა, იგი შეზღუდული, არათანმიმდევარი რჩებოდა. ამიტომ, უდავოდ გაზვიადებულად უნდა ჩაითვალოს მომენტის ის შეფასება, რომელსაც იძლევა ასურგულად თავის კაპიტალურ შრომაში: „თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, — წერს იგი, — ვითარება ერთი დაკერი შეცვალა“ (იხ. დასახ. შრომა. გვ. 113, ხახვასმა ჩემია. ე. ბ.). არავითარ შემთხვევაში!

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ რუსეთის ცხოვრებაში, საერთოდ, ნაციონალურ რაიონებში, კერძოდ, რამე არსებითი ცვლილება (ისიც ერთი დაკერი) არ მომხდარა. ამ მხრზე ჩვენ შეგვიძლია დავიფიქროთ ისეთი ავტორიტეტი, როგორიც ი. ბ. სტალინია. 1918 წლის მარტს გაზეთ „მრავალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ი. სტალინი პირდაპირ მიეთითებდა, რომ „თებერვლის რევოლუციას არსებითი ცვლილება არ შეუტანია მხარის (ამიერკავკასიის, ბ. ე.) მშრომელთა კლასების მდგომარეობაში“ (თხ. ტ. 4, გვ. 56). ახასიათებდა რა, საერთოდ, დროებითი მთავრობის ნაციონალ-სოციალისტურ პოლიტიკას თავის სტატიაში „ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი“ ნ. სტალინი წერდა: „უკრაინის მოსაზობას და ხალხისუფლების სათავეში ბურჟუაზიის ჩადგომას ნაციონალური ჩაგვრის მოსაზობა არ მოჰყოლია, ნაციონალური ჩაგვრის ძველი, უხეში ფორმა შეიცვალა ჩაგვრის ახალი, დაბვეწეული, მაგრამ სამაგიეროდ უფრო საშიში ფორმით...“ უკრაინის ადგილას, — აღნიშნავდა სტალინი, — მოდის გამიშულებული, ნიღბაუფარებელი იმპერიალიზმი, რომ იგი, ეს იმპერიალიზმი, ეროვნებათა უფრო, ძლიერი და უფრო საშიში მტერია, რომ იგი ახალი ნაციონალური ჩაგვრის საფუძველს წარმოადგენს“ (იქვე, გვ. 169, 170).

ისტორიული ფაქტება მოწმობენ იმას, რომ

კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ მთავრობას ოდნავ არ უფიქრია გადახვება ცარიზმის ნაცად დიდშურობელური გეზისაკენ, იგი მოვიჭრებულ და ქმედითს ზომებს მიმართავდა, რომ შეეცვლულად დაეტოვებინა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“, ხელიდან არ გაეგდო ქვეყნის ცენტრალისებულ მართვის საქმე. აშკარაა, რომ განაპირა ნაციონალური რაიონების დამორჩილებასა და შემოშტკაცებას, იმპერიალისტური ჩაგვრისა და ექსპანსიის გაფართოებას ბურჟუაზია თავისი კლასობრივი ბატონობის ურყევე საწინდრად თვლიდა. მაგრამ, ამევე დროს, ცხადი იყო, რომ მას არ შეეძლო მარტოოდენ ტრადიციულ მეთოდებს დაყრდნობოდა, აბოპრებულა გამათავისუფლებელი ბრძოლის ექსტრი მხოლოდ კრპრესიებით და იარაღის ძალით ჩაქრო. ამით აიხსნება, „მთარახისა და ტტბილი ჯვრის“ შეხამების ის უბადრუკ პოლიტიკა, რომელსაც მიმართავდა დროებითი მთავრობა არარესი ხალხებისა და ერების წინააღმდეგ.

დიდშურობელურად განწყობილი ბურჟუაზია ათავჯარი ხრიცებით და ვერაგული მეთოდებით, დემავოგით, ცრუ დაპირებებით ან უმნიშვნელა „დათმობებით“ ცილობდა გაეზიარებებინა განაპირა ქვეყნების მოსახლეობა, მიედრებინა, ჩაგვში მათი პოლიტიკური და ეროვნული თვით. შეგნება. ასეთი ფაქტები მკაფიოდ აისახა ბევრ პარტიულ-ისტორიულ დოკუმენტში, მათ შორის აღსანიშნავია ჩვენი პარტიის VII (1917 წლის აპრილის) და რს დ მ პეტროგრადის საფრონტო და ზურგის სამშედრო ორგანიზაციების (1917 წლის ივნისი) კონფერენციების მისაღები.

ბურჟუაზიული მთავრობისა და მისი მენშევიკურ-ესერული ლაქების სრული შეუწყნარებლობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოძებელი ერების მიმართ მკაფიოდ გამოვლინდა უკრაინელების, ფინელების, მოვიკავციის ხალხებისა და სხვათა მიმართ.

ცნობილია, რომ კიევში ჯერ კიდევ 1917 წლის მარტ-აპრილში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაცია — ცენტრალური რადას სახით, რომელიც სათავეში ჩაედვა მთელი უკრაინის ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელ მოძრობას. ცენტრალური რადას, რომელსაც წვრალ-ბურჟუაზიულ პარტიათა კოალიცია ხელმძღვანელობდა, არ ჰქონდა მკაფიოდ მოხზული პოლიტიკური სახე, გამოვეთილი სამოქმედო პროგრამა, დამახასიათებელა, რომ 1917 წლის ივნისის დსაწყისში გამოქვეყნებულ დეკლარაციოში, რომელსაც სხვაგვარად „უნივერსალური აქტი“ ეწოდებოდა, ცენტრალური რადა ერთობ მოკრძალებით, ზოგად ფორმებში აცხადებდა უკრაინელი ხალხის ზოგიერთი ელემენტარული უფლებების შესახებ. ამასთან, ამ დოკუმენტს, რომელიც უკრაინის საკრაინოს ყრილობის მიერ დამტკიცების შემდეგ დროებით მთავრობას მოსკოვს წარადგინა, თან დაერთო შენიშვნა, რომელ-

შიც აღნიშნული იყო, რომ „უკრაინელ ხალხი არ ფიქრობს გამოეყოს მთლიან რუსეთს, რომ იგი არ გაეთიშება რუსეთის სახელმწიფოს“ შემდეგ უნივერსალური აქტში ნათქვამი იყო: „დედ უკრაინელი ხალხს ჰქონდა უფლება საკუთარი მიწა-წყალზე თვითონ განავოს საკუთარი ცხოვრება... იმ კანონებს კი, რომლებითაც დადგინდება წესრიგი მთელი რუსეთის სახელმწიფოს სიერეზე, უნდა გამოსცემდეს სრულიად რუსეთის პარლამენტი“.

გ. ი. ლენინი უკრაინელთა ეროვნულ პრეტენზებს „მეტისმეტად მოკრძალებულად“ თვლიდა არც ერთ დემოკრატს, — წერდა ლენინი, — არ შეეძლო უარყოს უფლებება — თავისუფლად გამოეყოს რუსეთს; სწორედ ამ უფლებების უყოყმანოდ აღიარება იმდევა ერთადერთ შესაძლებლობას გაწეულ იქნას აგიტაცია უკრაინელთა დი ელლაციონსა თავისუფალი კავშირის სასარგებლოდ, ამ ორი ხალხის ერთ სახელმწიფოდ ნებაყოფლობითი შეერთების სასარგებლოდ... წყველი ცარიზმი გელაკორუნებს აქცევდა უკრაინელი ხალხის ჯალათებად, ყოველნაირად ასაზრდოებდა ამ ხალხში სიძულვილს იმადმი, ვინც უკრაინელ ბავშვებსაც კი ურკალვდა დიდდანიზე ლაპარაკსა და სწავლას“ (თხზ. ტ. 25, გვ. 97).

ასეთი იყო უკრაინელი ხალხის ზომიერად თავდაპირალი და უწყინარ მოთხოვნათა ლენინური შეფასება.

მაგრამ როგორი გამოხმებრება პოვა მან იქ, მოსკოვში? შეხი და რსხვსა რვაქციული ბურჟუაზია თავის „სოციალისტურ“ დამქმნებთან ერთად ცოფმორეული გაბორტებით გვეთონენ უკრაინელებს. კადეტთა ცენტრალურმა ორგანომ გაზ. „რეიმა“ უკრაინის ცენტრალური რადის დეკლარაცია „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ დამლის საშში სიმპტომად გამოაცხადა. „შენიშნება, — აღნიშნავდა გაზეთი, — ოდნავ არ ცვლან იმ ძირითადი ფაქტის არსს, რომ რადა... უარყოდს დაემორჩილოს დროებით მთავრობას... უნდა ვალიაოთ, რომ, — ბოროტად იღრინებოდა კონტრრევოლუციური ონავა — ბატონი უკრაინელები მეტად ცუდ და სახიფათო ოანებს აწყობენ რუსეთის წინააღმდეგ“. გაზეთი მრავლისმეტყველად იმტკებოდა კიდევ, რომ „უკრაინელთა საქციელი წარმოადგენს აშკარა დანაშაულს კანონის წინააღმდეგ, რასაც უნდა მოჰყვეს სასტიკი კანონიერი სასჯელის დაუყოვნებლივი გამოყენება“ („რენი“, 1917 წლის 14 ივნისის ნომერი).

უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ ამ სიმარტვიონო ჯგვაროსნულ ლაშქრობაში, კადეტებთან ერთად ჩაებმენ მენშევიკ-ესერული გამომეკმლებიც „დროებითი მთავრობის მხრივ, ამ ფრიოდ ზომიერ და ფრიად კანონიერ მოთხოვნებზე უარისთქმა-წერდა ლენინი-იყო კონტრრევოლუციონერების გაუგონარი უტფრობა, უხიავი თავხედო-

ბა, ველიკორუსული დეკრიმირდის პოლიტიკის კუშიარითი გამოვლინება, — და ესერებთ და მენშევიეკთ, აბუნად იღებდნენ რა საყოთარ პარტიულ პროგრამებს, იმენდნენ ანის მთავრობითა და იყავენ ამის ახლა თავის ვაჭუთებში! რა სამარცხეინოდ დაეცნენ ესერებთ და მენშევიეკებთ! რა უბადრუკითა მათი ორგანოების „დელონიროდს“ და „რბოშიათა ვაჭუტას“ ზრეებთ დღეს. ქაისი, ილიაქოთ, ლენინელობა „ნაციონალურ საკითხში“, ანარქიათი ველური ვაჭუტის რა წამოახილებს მიმართავს ორივე ვაჭუტით უკრაინელების წინააღმდეგ“ (იქვე გვ. 106).

ასეთ შეფუწინებლობას და რისხვას იწვევდა ბურჟუაზიისა და სოციალ გამცემელთა მხრივ ხალხების ყოველგვარი ცდა ზელუყით „ერთიანად განუყოფელი რუსეთი“. დროებითმა მთავრობამ ზელუზებულად დატოვა ვრონეღორ საეპოხის ვაჭუტყვება ფინეთის მიმართ. უფლებულყოფილი იქნა ფინელი ხალხის მოთხოვნა მისთვის ზოგეარითი უფლების მინიჭების შესახებ. ფინეთის სეიმთ, ფაქტიურად უფუფლებოთ პაერში გამოიყიბებული აღმოჩნდა.

დროებითი მთავრობის „დიდსულეობის“ ევსტი პოლინეთის მიმართ, ცხადია, მსოლიდ მონივენებითა და ფეფმერული იყო. თავისი დადგენილების გამოქვეყნებით პოლინეთის „დამოუკიდებლობის“ შესახებ დროებითი მთავრობა არსებითად ახდენდა იმავე ფაქტის კონსტატაციას, რაც რეპოცხადებულ იყო ჯერ კიდევ თებერლის რეპოლუციამდე ფორიანის სოიშიპერთი მთავრობის მიერ. ამავე დროს, პოლინეთს იმ ტერიტორიაზე, რუსეთის ჯარებს რომ ეკავა, დროებითი მთავრობის პოლიტიკა ევლავაც იმპერიალისტური, ძალადობაზე დამყარებული რჩებოდა.

განსაკუთრებით უხეში იყო, პირდაპირ ცინიკურ და თანშიმდგრულად იმპერიალისტურ ხასიათის ატარებდა დროებითი მთავრობის პოლიტიკა აღმოსავლეთის ხალხების მიმართ. ბურჟუაზიული მთავრობის პირველ აქტს შუა აზიაში წარმოადგენდა 1917 წლის 18 მარტის დადგენილება „ამნისტიის“ შესახებ, რომელიც ციხის კარებს უხსნიდა ყირგიზელი ხალხის მოსახარჯლაობებს, ვეღა რუს ავხაჯს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას აღებდნენ 1916 წლის სახალხო აჯანყების ჩახშობაში, ძირითადი მოსახლეობის აწიოყებასა და რბევაში, მკველულობებსა და აბუჩად აგდებაში.

დამახასიათებელია, რომ დროებითმა მთავრობამ თურქესტანის მთავრობის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა კიდელთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ნ. ეპკინი. დროებითმა მთავრობამ ეს კომიტეტი მეფისდროინდელი გენერალ-გუბერნატორის ვეღა უფლებით აღჭურვა. მასვე მიენიჭა განუსაზღვრელი რწმუნებანი თვითონებურად გადაწყვიტა ადგილობრივი თვითმმართველობის ვეღა საყოთი თურქესტანის საზღვრებსა და ყახახეთის მხარეში მთლიანად.

დროებითი მთავრობის პოლიტიკა მთელი ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ, გარჯვანი განსხვავების მატყვედაც, არსებითად არაფრით არ განიჩინება! რუსეთის ბურჟუაზიისის საერთო დიდმკყობელურ-ნაციონალისტური გეზისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალიზებურად მართვის მიზნით და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის შესაკავებლად დროებითმა მთავრობამ, როგორც ცნობილია, რევოლუციის პირველსავე დღეებში შექმნა სპეციალური ორგანო „ამიერკავკასიისის საგანგებო კომიტეტი“ („ოზაკომი“). საგანგებო კომიტეტი იმდენად კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან შედგებოდა, რომ, თავდაპირველად, თვით ადგილობრივი შემთანხმებელი პარტიათა წარმომადგენლებიც კი ერთობლივად იმდენად წავარდნენ. ადგილობრივი ოფიციალური პრესა („ხაკაეკასესკია რუგ“ და სხვები) დაუფარავად აცხადებდა „ოზაკომის“ მისიის შესახებ. საგანგებო კომიტეტს, რომელიც დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მიერ აღჭურვილი იყო უაღრესად ფართო რწმუნებებით, ევლებოდა განუზრებლად ვაეტარებინა თავისი „უმაღლესი შეფის“ ვეღა დირექტივა. ისე როგორც წინათ კავკასიის მეფისნაცვალს, ამიერიდან დროებითი მთავრობის აგენტურას მხარეში უნდა უზრუნველყო „სრული სიმშვიდე და წესრიგი“, ჩაეჭმოს სახმეცვლელი კრამოლა“, აელაგა „კრამოლინებმა“.

მეთთხე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილმა დებუტატმა, იქამად „ოზაკომის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კადეტმა პაპაჯანოვმა ამიერკავკასიის აღმასრულებელი კომიტეტების პირველ ყოილობაზე 1917 წლის მარტში ვორიანი ქუდმალლობით განაცხადა: „ჩვენი რწმუნებანი უიღრესად ფართო მასშტაბისაა, რადგან ჩვენ დროებითი მთავრობის სახელით და უფლებებით აღჭურვილნი ვმოქმედებთო („ხაკაეკასესკია რუგ“, 1917 წლის 21 მარტის ნომერი). საგანგებო კომიტეტმა ფაქტიურად საესებოთ გაათბოდა აღმასრულებელი კომიტეტების ისედაც უშიშვნელი ძალა-უფლება მთელი ამიერკავკასიაში. უუფადო საბჭოების სამხარეო ხელმძღვანელი ორგანოს შექმნის მოთხოვნა. კადეტმა ხარალაოვმა, „ოზაკომის“ ერთ-ერთმა სულსწამდგმელმა, მხარის აღმასკომის პირველ ყოილობაზე რიხით განაცხადა: „უმაღლესი სანქცია მხოლოდ ჩვენ ეკუთვნისო“, ხოლო მუსავატმა ჯაფაროვმა ცინიკურად დამძინა: „ჩვენზე რჩება ვეტოს უფლება და ამ უფლებას ჩვენ არავის დაუეთმობთო“ (იქვე). ასეთი განცხადებანი უბრალო დეკლარაცია, ლიტონი სიტყვები რიხი იყო. ისინი საესებით შეესიტყვებოდნენ პოლიტიკურ ძალთა ფაქტიურ განლაგებასა და თანაფრთხობას, შეყოლიდ ასახედნენ „მოსკოვის ემისართა“ შეუზღუდავ პარაპს ჩვენს ქვეყანაში.

ზემოთქმულის შემდეგ, ფეფქობ, დამაჯერე-

ბელი არ უნდა იყოს საქართველოს კომპარტი-
ის ისტორიის ნარკვევებში გატარებული აზრი
იმის შესახებ, თითქოს „ოზაქომი“ ამიერკავკასი-
აში „მოქმედებდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკე-
თა საბჭოების ერთად“, თითქოს საგანგებო
კომიტეტი თავის ძალაუფლებას ადგილობრივ
საბჭოებს უნაწილებდა (იხ. „ნარკვევები“.
გვ. 373).

როგორც აღინიშნა, საგანგებო კომიტეტმა
ამიერკავკასიაში არსებითად ზეღუპილულად და-
ტოვა ბიუროკრატების ძირითადი მეფისდროინ-
დელი ატრიბუტები. მეტიც, მან აქ ფართოდ და-
წერა და განამტკიცა აღმინისტრაციის ისეთი
სისტემა, რომელიც ძველისაგან მხოლოდ იმით
განსხვავდებოდა, რომ გუბერნიის მმართველს,
გუბერნატორის ნაცვლად, ამიერკავკასიაში „საგანგებ-
ო კომისიარი“ შეარქვეს, ხოლო მასობრივ
როლის ნაცვლად. მასობრივ ხელისუფალს — „სა-
მასობრო კომისიარი“, აღსანიშნავია, რომ ამ თანამ-
დებობებზე არცთუ იშვიათად ინიშნებოდნენ მე-
ფისდროინდელი დიდი ჩინოვნიკები და ყოფილი
პოლიტიკელები, რომელნიც კვლავაც მრავალწელ-
ზე და სულთაშუაშუაგვად ევლნებოდნენ შპრო-
მელ ხალხს, ხოლო ბოლომდე ერთგულად და
თავდადებულად იცავდნენ შექმნილ კლასე-
ზის ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს.

როცა ღრმად ვუკვირდებით დროებითი მთავ-
რობის ერთგული პოლიტიკის დედაბარსს, საბო-
ლოდ ვერძნობთ, რომ ეს პოლიტიკა მთლი-
ანად „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ შე-
ნარჩუნებას ემსახურებოდა. ცარიზმის ცენტრა-
ლიზებული ბიუროკრატული აპარატი ჩვენში
შეუცვლელი დარჩა. ბურჟუაზია გადაჭრით უარ-
ყოფდა ჩაგრული ერების თავისუფლობას და,
მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ნაცვლად,
ცინიკურად მიუთითებდა ბურჟუაზიის მოსილი
მიშველისაკენ: „ოჭვენს ბედს დამფუძნებელი
კრება გადაწყვეტს“.

ამედ დროს, ბურჟუაზია „ქვირფის დროს“
ამაღ რთად კარგავდა, იგი „ნახევარი ზომებით“
არ კმაყოფილდებოდა: დროებითს მთავრობას
მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბოლომდე შეეს-
რულებინა თავისი მისია, ვაუსწორებინა ანგარი-
ში სახალხო მოძრაობისათვის, აელაგმა, ჩაებო
მისების პოლიტიკური აქტივობა. სახალხო მასე-
ზის დასაყრდენს, მათი რევოლუციური მოქმე-
დების ორგანოს და ცხოველყოფილობის წყა-
როს კი საბჭოები წარმოადგენდნენ.



კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მესვეერთ
იმდენი „შორსმჭვრეტელობა“ მაინც ჰქონდათ,
რომ შპრომელთა დებუტატების საბჭოების სა-
ხით ეხილათ ექსპლუატატორული კლასების შე-
ურთიებელი მტერი, ძველი სამყაროს გარდაქმნი-
ლა და ახალი ცხოვრების შემოქმედელი ძალა. რო-
გორც ცნობილია, რუსეთის ბურჟუაზიამ საკმაოდ
იწვინა შიშლიდა ძირწოლა ჯერ კიდევ ცენტრა-

ლურ რუსეთში მოქმედ მუშათა და ჯარისკე-
თა დებუტატების საბჭოების წინაშე, რომლებიც
ქვეყნის გაძლიერის საქმეში მას „სერიოზულ მუ-
ტოვანობას უწყევდნენ“. გასაგებია, რომ დროინ-
თი მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებას მიმარ-
თავდა, რათა „ამერიკელობაში“ მაინც არ დაეშვა
ძალა-უფლების გავრცელება, აყვანივე ჩაეკლა მის-
თვის ესოდენ საშიში „ხალხური სტიქიის“ ამა-
ბოქრების უმრავლესი და ცხოველყოფილი წყარო.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაიწ-
ყო იმით, რომ ამიერკავკასიაში ბურჟუაზიის იდეოლო-
გიური ანაზრები, მოღუპო ძარბამომხრელ აგენ-
ტურას მუშათა მოძრაობაში — რევოლუციის
სოციალ-დემოკრატიულ ფორმებს. ი. სტალინის თქმით,
შექმნილი კლასები „ესერ-მენშევიკ სტრატე-
გებს ხალხით ანდობდნენ — მიეძინებინათ მუ-
შები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის
რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათის, სოცია-
ლისტური გადატრიალების განუხორციელებლ-
ობის შესახებ და სხვ.“ (იხ. ტ. 4, გვ. 57). თა-
ვისთავად ცხადია, მენშევიკები და ესერები,
ბურჟუაზიის ერთგული ლაქიები, დიდი წარმატე-
ბით და გადაჭარბებითაც კი ასრულებდნენ პარ-
ტიის დაკვეთას. ეს გასაგებია. ცნობილია,
რომ ერთგული ძალა ყოველთვის პარტიონზე
წინ ვარბის.

ჩვენ არ გამოვდგებით იმის ვრცელ დასაბუ-
თებას, თუ სად უნდა ედებოთ ჩვენში კონტრრე-
ვოლუციური ძალა განუკითხავი თარეშის წყარო
და მიზეზები თებერვლის რევოლუციის შემდეგ,
სტატიას არ ვადაქვირთავთ სტატისტიკური
ცნობებით და სხვა მასალით ქვეყნის სამეურ-
ნეო ჩამორჩენილობის, მისი წერილობერეუაზი-
ლობის ნათელსაყოფად. საჭიროა მხოლოდ ხაზ-
გასმით აღინიშნოს, რომ, თუ, ვ. ი. ლენინის
თქმით, რუსეთში „უხარბაზარმა წერილობერე-
აზიულმა ტრადამ წალკა ყველაფერი და იდუ-
რად ჩააბო შეგნებული პრილუტარიატი (იხ. ტ.
ტ. 24, გვ. 53), თუ რევოლუციის პირველი წარ-
მატებებით გაბრუნებული და გაოგნებული შპრო-
მელები მთელ რუსეთში შემოანმშებლური პარ-
ტიების იდეურ ტყვეობაში აღმოჩნდნენ, მთელი
ეს პროცესი, ობიექტიურ პირობათა გამო, კიდევ
უფრო ძლიერად გამოვლინდა ჩვენს შპრომეში.

ქართული შპრომელნი კიდევ მეტი გულდანდო-
ბით მიჰყვებოდნენ მოვლენების სტიქიურ დი-
ნებას. „მუშები საერთოდ სუსტნი, როგორც კლა-
სი, — წერდა ი. სტალინი, — მხარის ვე-
რნობით ჩამორჩენილობის მიზეზით, და
ჯერ კიდევ მოუღონიერებელნი, როგორც ორგა-
ნიზებული ერთეული, მოპოვებული პოლიტიკუ-
რი თავისუფლებებით აღფრთოვანების მდგომარ-
ეობაში იმყოფებოდნენ. და, როგორ ჩანს, უფრო
შორს წასვლის აღარ აპირებდნენ. მთელი
და და იდეოლოგია მუქმდებელი კლასე-
ზის ხელში რჩებოდა“ (იხ. ტ. 4, გვ.
56 — 57. ხაზგასმით ჩემია. ზ. ე.)

რუსეთის დროებითი მთავრობა, მისი ადგილობრივი ორგანოს მეშვეობით, მოხერხებულად იყენებდა ყველა ხელსაყრელ ობიექტურ პირობას და შესაძლებლობას. „ოზიკოში“ მოთვებულად, თანმიმდევრებით და გვეგზაზმობიერად მოქმედებდა: იგი ამდენად ადგილობრივ კონტრარევოლუციურ ძალთა კონცენტრაციას, საჭირო მიზნითულებით წარმართავდა მისთვის სისრულე ძალბება და ფაქტორებს. მის აქტივში ითვლებოდა: ქვეყნის სამეურნეო ჩამორჩენილობა და მძლავრი წერილობრივთაზიული სტაქია და კონტრარევოლუციური პარტიების აღვირახსნილი თარეში. ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ძალების დახმარებით, უცხოეთის აგენტურის (თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის ფ. სმიტის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიებისა და სხვათა ძირგამომხრელი მუშაობა საბჭოებისა და პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ) ზედსწევულობით ბურჟუაზია ჩვენში თავიდანვე დაეუფლა და მტკიცედ ახორციელებდა თავისი კლასობრივ ერთხელისუფლებიანობას.

ამრთავად, დროებითმა მთავრობამ საქართველოში, ისე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, ცენტრალური რუსეთისაგან განსხვავებით, დიდი ხნით ადრე განხორციელდა თავისი შეუვალი და განუყოფელი ბატონობა — ბურჟუაზიის ერთხელისუფლებიანობა“ (ლენინი). ამ გაჩრობებამ გეოპოლიტიკური ნიადაგი იმ შხამიან ბაღების ზრდას, რომელმაც ჩვენში კიდევ უფრო მოწამლა ბოლტიკური იტმოსფერო, ხოლო დიდი ოქტომბრის დღეებში პირდაპირ საბედისწერო რთლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

გამოდის, რომ ადგილობრივი საბჭოების შედარებითი არაკონველმყოფელობა და სისუსტე 1917 წელს უნდა იხსნას არა მარტოდენ ქვეყნის სამეურნეო ჩამორჩენილობით და ადგილობრივი მუშათა კლასის დაუზამობით, ეს საკითხის მხოლოდ ერთი შხამაა. ნაციონალური საბჭოების სისუსტე და უძლურება, ამავე დროს, იყო იმ ძირგამომხრელი და ვაიმარწნელი დაწოდლის შედეგი, რომელსაც გვეგზაზმობიერად, ადგილობრივი კონტრარევოლუციურ ძალებთან უნიონში ახორციელებდა დროებითი მთავრობა რუსეთთან, ცენტრიდან.

მაგრამ, ვინ თქვა, რომ მშრომელთა დემპრატების საბჭოები საქართველოში თითქმის სრულიად უმარქნის და მკედაროზობილ მოვლენას წარმოადგენდნენ? სამწუხაროდ, ამ დასკვნამდე მიღიან ამხანაგები შ. ცერკვაძე და ა. შელჩინი (იხ. ურნ. „კომუნისტი“, 1958 წ. № 2). ისინი სასებებით უგულვებელყოფენ, აბათილებენ, აბიბრეტებენ ადგილობრივი საბჭოების როლსა და მნიშვნელობას. ვფიქრობთ, ეს ამხანაგები არა თუ უბრალოდ ზურგს აქცევენ ისტორიულ პერსპექტივას, არამედ, ამავე დროს, ჯეროვანად ვერ ითვლისწინებენ საკუთარი მსჯელობიდან

გამომდინარე შეუსაბამო, ანტიისტორიულ დასკვნებსაც. მათ ლოგეას რომ ვაუღიოთ, ერთობ გამოუვლელ ჩიხში მოვექცევით: *„ქრქი მთქვემნით მასობრივი მოძრაობის ბაზასქი და წარმოდგენს ჩვენს ქვეყანაში, ვერ დაეხასბუთებთ საბჭოთა რევოლუციის კანონზომიერებას საქართველოში, ჩვენში პროლეტარული რევოლუციის ჩაშლა და შეყოვნება დიდი ოქტომბრის დღეებში გამართლებულად და კანონზომიერად ჩათვლებოდა, ამ შემთხვევაში პროლეტარული რევოლუციის საკითხი საქართველოში 1917 წელს ღია და გადაუქრელი დაჩრებოდა.“*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შემთანხმებლურ პარტიებს — მენშევიკებსა და ესერებს საბჭოები ბურჟუაზიული მთავრობის დანამატად მამანდთ და ამტარების ისინი ყოველნაირად ავინებდნენ, ამანიხეებდნენ საბჭოების როლს და მნიშვნელობას როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც. ყალბი, ანტირევოლუციური გზით წარმართავდნენ მათს მოღვაწეობას. ეს ასეა. მაგრამ, ჩვენი წარმოვლება მოვლენებზე სრული არ იქნებოდა, თუ ჩვენ, დასახლებულური ავტორების მსგავსად, ადგილობრივი საბჭოების სისუსტის ვრთადერთ წყაროდ მხოლოდ მენშევიკებს ჩათვლით. ქართველმა მენშევიკებმა, — წერენ ისინი, — შეძლეს საბჭოები მათი წარმოშობისთანავე ბურჟუაზიის ხელისუფლების დასაყრდენთა გადაცემათა“. სინამდვილეში კი ადგილობრივი საბჭოების დაუძლურებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს დროებითი მთავრობის დიდპყრობელურმა შაქინაიკებმა. მენშევიკები, ცხადია, კონტრარევოლუციური ბურჟუაზიის ნებასურვილის აღმასრულებლები იყვნენ.

სწორია ავტორთა მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოები საქართველოში არ ქმნდნთ რაიმე არსებითი დამოუკიდებელი წონი და ძალა. მაგრამ სწორი არ იქნებოდა თუ ამ ფაქტის აღიარებით სრულიად წავშლით ადგილობრივი საბჭოების როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებაში. ვფიქრობთ, არსებობს იმის სრული საფუძველი, ვალიარობთ, რომ მშრომელთა საბჭოები საქართველოში, ისე როგორც მთელ რუსეთში, მომწიფებული და სავებით კანონზომიერი მოვლენა იყო. საბჭოებში და მათ გარშემო დაარბმული მშრომელები, არა მარტო მუშები, არამედ მშრომელი ვლეხობაც, თუ ყოველთვის შეგნებით არა, სტიქიურად მაინც გამოხატავდნენ ოგეოლუციური სულისკვეთებას. მშრომელი ხალხი რევოლუციური ინსტიტუთ იკავფადა სწორ გზას საბჭოთა რევოლუციისაკენ. ვფიქრობთ, რომ ვ. ი. ლენინის გენიალური დასკვნები ბუხარაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა წყობის გამარჯვების გამო შთლიანად შეიძლება ვაევირცელოდ მაშინდელ საქართველოზედაც. იი, რას ამბობდა ლენინი სრულ

ლიად რუსეთის საბჭოების მე-8 ყრილობაზე 1920 წლის დეკემბერში: „ჩვენ უნდა მივესალმით ბუხარას, ანერბიჯანის და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების შექმნასა და განმტკიცებას... ეს რესპუბლიკები იმის დამამტკიცებელი და დამდასტურებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას იდეები და პრინციპები მისაწვდომი და დაუყოვნებლივ განსახორციელებელია არამარტო მარეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში, არამარტო ისეთი სოციალური დასახარდებით, როგორც პარლემენტარტია, არამედ ისეთი საფუძვლითაც როგორც გლეხობაც“ (თხზ., ტ. 31, გვ. 602. ხაზგასმა ჩემია. ბ. ე.).

შეიძლება დასახელება მთელი რიგი ფაქტებისა, რომელნიც ცხადყოფენ ადგილობრივი საბჭოების შედარებითს ცხოველყოფილობასა და პოტენციურ ძალას, რაც აბათილებს ზოგიერთი ამხანაგის ნიჰილისტურ შეხედულებებს ადგილობრივი საბჭოების შეფასების საეთხში. ომიტეტრმა მკვლევარმა, მავალითად, შეუძღუბელია უვლენბელუს საბჭოების ქმნადობის ფრიად საინტერესო პროცესია, მათი ქეშმარიტად სახალხო-მასობრივი ხასიათი როგორც თბილისში და ბაქოში, ისე საქართველოს ბეერ რაიონში. შეუძღუბელია ჯეროვნად არ შევაფასოთ ადგილობრივი საბჭოების თვდამპირველი ღირსშესანიშნავი გადამწყვეტილებანი და ღონისძიებანი საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში (ამ მხრივ დამახასიათებელია თბილისის მუშათა დეპ. საბჭოების, მისი აღმ. კომიტეტის დადგენილებანი 1917 წლის 4, 5, 6 და 7 მარტის სხდომებზე).

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივ საბჭოებში ბოლშევიკები თვდისაინო ვაეღენით სარგებლობდნენ.

ცნობილია, მავალითად, ის ფაქტი, რომ თბილისის საგარნიზონო აღმასკომში ბოლშევიკებს საკმოდ დიდი ფრავიცია ჰყავდთ. დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად მენშევიკების დიდი სიპარბისა, საბჭოების სამხარეო ცენტრის არჩევნების დროს, 1917 წლის 21 მაისს ბოლშევიკებმა თვდისაინო წარმარტება მოიპოვეს და სამხარეო ხელმძღვანელ ორგანოში თავიანთი გამომჩენილი წარმომადგენლები წარგზავნეს. ადგილობრივი საბჭოების ძალისა და ცხოველყოფილობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ 1917 წლის მეორე ნახევარში

თბილისში მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ვაერთიანება, სოლო 10 რეწონის მუშაკნი-ზონო საბჭოების არჩევნების ტრენში ხელმძღვანელ ორგანოებში ვაევიანოლ იქნა 14 ბოლშევიკი და მხოლოდ 8 მენშევიკი. ამჟარია, რომ, მენშევიკ-ესერთა ძირგამომხარტელი მხარეკედენლობასა და დროებითი მთავრობის დაწყოების მიუხედავად, ბოლშევიკების ვაეღენა და აეტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა როგორც მუშებში, ისე ჯარისკაცთა შორის.

საქარია აქვე შეენიშნოთ, რომ სრულიად უცნაურად და გულუბრველოდ მოისმის იმის მტკიცება, თთქოს ინიციარტია საბჭოების შექმნაში ბოლშევიკებს ეკუთვნიდათ (ბ. ა. სურგულაძის დასახ. წიგნი, გვ 104). ვანიცხადი არაა, რომ საბჭოების შექმნის ინიციარტია ეკუთვნოდა არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, არამედ თვთი სახალხო მასებს საბჭოები, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მშრომელი მარქსის შემოქმედების ნაყოფია. სულ სხვა საქვია, რომ მუშათა და გლეხთა რევილუციური კავშირის ამ ორგანოს ერთადერთი სწორი შეფასება და სწორი მიმარტულება სწორედ ბოლშევიკებმა მისიყეს.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ მშრომელთა საბჭოები მნიშვნელოვანი ვაეღენით სარგებლობდნენ მშრომელბს შორის არა მარტო თბილისში, არამედ ქუთაისსა და სოხუმში, ბათუმსა და ქიათურაში, ტუბულსა და ვორში, ამიერკავკასიის ბეერ სხვა მოწინავე ცენტრებში. ისტორიული ფაქტები ცხადყოფენ იმ ქეშმარიტების, რომ საქართველოს და ამიერკავკასიის ზოგიერთ ცენტრში არსებულ საბჭოებში ბოლშევიკები ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობენ.

ეს ვანსაკუთრებით თქმის ბაქოს შესახებ, სადაც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მუშათა საბჭოების უპირარტესი როლი და ვაეღენა უფრო მკათოდ ვლინდებოდა. ეს ვასაევიციაა. ბაქო, როგორც ამიერკავკასიის სამარეწველო ცენტრი, უნდა ვამხდარეთ, და ვახდა კიდევ, პროლეტარული მოძრაობის მოწინავე ბასტიონად თვდელ მხარეში, მუშათა დებუტატების საბჭოების აეტორი შემოქმედების წყარო და კრად-მიუხედავად ამისა, ყოველგვარი ვარაუდები ბაქოში ორხელისუფლებიანობის ეითომდა არსებობის შესახებ 1917 წელს ისევე დაუსაბუთებელი და მარბი გადმოკადებული რჩება, როგორც ანალოგიური მტკიცებანი საქართველოს მიმარო.



ფილოსოფიაში ზოგიერთი საღავო საკითხების შესახებ*

ცნობილია, რომ საბჭოთა ფილოსოფოსებმა ი. სტალინის შრომა — „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელიც პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა, ფილოსოფიური აზროვნების განვითარების უცვლელ, მარადიულ ნორმად აქციეს. ისინი იფიქრებდნენ, რომ არის ფილოსოფიის მთელი რიგი პრობლემები, რომლებსაც სტალინი არ შეხებია დასახელებულ შრომაში.

საბჭოთა ფილოსოფოსების შრომებში დოგმატიზმის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი იყო პიროვნების კულტი, რაც პარტიამ საპართიზანოდ დაგმო. პარტიამ XX ყროლობის შემდეგ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა დოგმატიზმსა და თალმუდიზმს ფილოსოფიაში. ფილოსოფიაში პიროვნების კულტის შედეგად წარმოშობილი შეცდომები დღეს გასწორებულია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ახალ პროგრამებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში, რომლებიც მოქმედებაშია 1954 წლიდან დაწყებული დღემდე.

მაგრამ, სამწუხაროდ, დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით ზოგჯერ ადგილი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი, საყოველთაოდ ცნობილი პრინციპების რვეიზიასა და უარყოფას. ფილოსოფიაში პიროვნების კულტის კრიტიკის საბაზით დაშვებულია ძალზე უხეში შეცდომები, რომლებიც ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ბუნებას, დღეს ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი მჭიდრო უკიდურესობაში გადავარდა: თუ შევადარებ იყო ი. სტალინის შრომის — „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების უცვლელ ნორმად გამოცხადებას, სამაგიეროდ, შეცდომა აგრეთვე ამ შრომის სწორი, მარქსისტულ-ლენინური დებულებების კრიტიკით.

ი. სტალინის შრომის ასეთ კრიტიკად ჩვენ მიგვაჩნია „მოვლენათა საყოველთაო კავშირისა“ და „მოვლენათა მოძრაობისა და ცვლილების“, როგორც მარქსისტული დიალექტიკის ნიშნების, „გაუქმება“. დიალექტიკური მატერიალიზმის ყველა ახალ პროგრამასა და

დამხმარე სახელმძღვანელოში, რომელიც 1954 წლიდან არის მოქმედებაში, სრულიდაც არ არის მითითებული, რომ „მოძრაობა“ და „კავშირი“ მარქსისტულ დიალექტიკის ნიშნებია. დღეს არავინ არ ლაპარაკობს დიალექტიკური მეთოდის ამ ნიშნების შესახებ.

ახალ პროგრამებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში მითითებული და განხილულია დიალექტიკური განვითარების მხოლოდ სამი კანონი. დიალექტიკის ეს კანონებია: 1) დაბობისპირებული ერთიანობისა და ბრძოლის კანონი, 2) რაოდენობის თვისებრიობაში და პირველ გადასვლის კანონი, 3) უარყოფის უარყოფის კანონი. ჩასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალ პროგრამებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებში ნახსენები არ იყოს „კავშირი“ და „მოძრაობა“. საერთოდ, ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ბევრ რამეზეა ლაპარაკი. მაგრამ ახლად არ არის აღნიშნული, რომ „კავშირი“ და „მოძრაობა“ მარქსისტულ დიალექტიკური მეთოდის ნიშნებია, როგორც ამას იდგილი ჰქონდა 1954 წლამდე.

მაგრამ რატომ არ ცნობენ დიალექტიკური მატერიალიზმის ახალი პროგრამებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორები კავშირსა და მოძრაობას? დიალექტიკური მეთოდის კანონებად? მოკლედ განვიხილოთ მათი არგუმენტები. ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ „მოძრაობა“ და „კავშირი“ დიალექტიკის კანონები არ არიან იმიტომ რომ ისინი უშუალო, ემპირიული ფაქტებია. ისინი მოვლენების წარმოადგენენ ან არა კანონებს. „მოძრაობა“ და „კავშირი“, მათი აზრით, დიალექტიკის ნიშნებია და არა დიალექტიკის კანონები. „მოძრაობისა“ და „კავშირის“ შემჩნევა ყველას შეუძლია, მათ ყველა ხედავს, ხოლო დიალექტიკური განვითარების შინაგანი კანონების აღმოჩენა შეუძლებელია აზროვნების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, მათი აზრით, არსებობს განვითარების (დიალექტიკის) მხოლოდ ზემოთ აღნიშნული სამი კანონი.

ეს სამი კანონი, როგორც ისინი ფიქრობენ, თურმე სრულიად საკმარისია საგნებისა და მოვლენების შინაგანი ბუნების ასახსნელად. „მოძრაობა“ და „კავშირი“ დიალექტიკური

* იბეჭდება განხილვის წესით. რ. ე. დ.

განვითარების შინაგან თვისებებს ვერ ასახევენ. მათი აზრით თუ მოვლენათა გარკვეული კლასის ასახსნელად საცხებთ საქმარისია გარკვეული კანონი, ზედშეტია კიდევ ახალი კანონის ძებნა ამ მოვლენების ასახსნელად. ზოგნიერთი ფილოსოფოსის მტკიცებით, განვითარების (დიალექტიკის) თეორიის ასახსნელად და დასაბუთებლად ზედშეტია, საქართ არ არის „მომართობისა“ და „კავშირის“ როგორც დიალექტიკის კანონების გამოყენება. დიალექტიკური პროცესი თურმე მათ გარკვეულ შეიძლება ასხსნელი იქნეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „მომართობისა“ და „კავშირის“ საბჭოთა ფილოსოფოსები დიალექტიკური მეთოდის ნიშნებად მიიჩნევენ 1954 წელამდე მხოლოდ იმით, რომ ისინი, „მომართობის“ და „კავშირის“ ე. სტალინმა შეიტანა თავის სახელმძღვანელოში, როგორც დიალექტიკის ნიშნები. სხვათაგან რომ ვთქვათ, „მომართობისა“ და „კავშირის“ დიალექტიკის ნიშნებად მიიჩნევა ფილოსოფიაში პირველების კულტის შედეგი ყოფილა და ამიტომ პირველების კულტთან ერთად დიალექტიკის ეს ნიშნებიც უნდა უნდა ვაგლოთ.

მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში შექმნილი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოს შეფასების დროს ჩვენ უნდა გამოვდოთ იქიდან, თუ რამდენად მისაწვდომია მათი შინაარსი იმ ადამიანის გონებისათვის, რომელიც იზიარებს მარქსიზმის იდეოლოგიას. მაგრამ არ იცის მარქსისტული ფილოსოფია და ამიტომ პირველად უხდება მისი შესწავლა და გაგება.

გამოვდივართ რა ამ პრინციპიდან ჩვენ ვაყენებთ შემდეგ დებულებას: განვითარების (დიალექტიკის) თეორიის გადმოცემა და მისი შესწავლა აბსოლუტურად შეუძლებელია „მომართობისა“ და „კავშირის“ როგორც დიალექტიკის ნიშნების განხილვის გარეშე. როდესაც ჩვენ ამ დებულებას ვაყენებთ მხედველობაში ვიჭექვს სახელმძღვანელო, ე. ა. მხედველობაში ვიჭექვს დიალექტიკის კანონების ისეთი გადმოცემა და დასაბუთება, რომელიც მისაწვდომი და გასაგები იქნება იმ ადამიანისათვის, რომელიც იზიარებს მეცნიერული სოციალიზმის იდეას, მაგრამ რომელსაც მარქსისტული ფილოსოფია უცერ არ შეუძლავლია და რომელსაც სურს მისი შესწავლა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დიალექტიკის თეორიაში სახელმძღვანელოს შექმნა აბსოლუტურად შეუძლებელია თუ განხილული არ იქნება „კავშირის“ და „მომართობის“ როგორც დიალექტიკური განვითარების ნიშნები. ვისაც ღრმად ესმის მარქსისტული დიალექტიკის შინაარსი და მისი გაგების სიროფი, ის მარქსისტული დიალექტიკის თეორიის დალაგებას არ შეუდგება „მომართობისა“ და „კავშირის“ როგორც

დიალექტიკის ნიშნების დახასიათების გარეშე. „კავშირისა“ და „მომართობის“ გარეშე არ არსებობენ მარქსისტული მეთოდის განხილვის (დიალექტიკის ნიშნებსა და დიალექტიკის კანონებს შორის არავითარი გამსხვავება არ არსებობს, რაც ქვემოთ იქნება დასაბუთებული).

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქმის დიალექტიკური მეთოდის კანონებს — „მომართობის“ და „კავშირის“ მარქსი და ენგელსი არ იცნობდნენ. ასეთი დაშვება დიდი შეცდომაა. ფ. ენგელსის „ანტი-დიურინგში“ თავისთავად იგულისხმება, რომ „კავშირის“ და „მომართობის“ დიალექტიკური მეთოდის კანონებია. მაგალითად, ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგის“ შესავალში გვიჩვენებს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს დიალექტიკისა და მეტაფიზიკის შორის. რით განსხვავდება დიალექტიკა მეტაფიზიკისაგან? როგორც ფ. ენგელსი „ანტი-დიურინგის“ შესავალში აღნიშნავს, დიალექტიკა იმით განსხვავდება მეტაფიზიკისაგან, რომ პირველი (დიალექტიკა) საგნებს იხილავს მათს ურთიერთკავშირისა და მომართობის, ხოლო მეორე (მეტაფიზიკა) უარყოფს საგნების ურთიერთკავშირისა და მათ მომართობის. რა დასკვნა გამოიშინა რეობის დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ასეთი განსხვავებიდან? თუ დიალექტიკა იმით განსხვავდება მეტაფიზიკისაგან რომ ის აღიარებს „კავშირისა“ და „მომართობის“, მაშინ „კავშირის“ და „მომართობის“ ყოფილა დიალექტიკური მეთოდის ნიშანი. ის რითაც დიალექტიკა განსხვავდება მეტაფიზიკისაგან არის დიალექტიკის ნიშანი, არის დიალექტიკის კანონი. ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ ფ. ენგელსს პირდაპირ არასდ არა აქვს ნათქვამი, რომ „მომართობის“ და „კავშირის“ დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნებიაო. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა გაუგებრობა საბჭოთა ფილოსოფოსებში. სწორედ ამით იხსნება ის გარემოება, რომ დაწყებული 1954 წლიდან დიალექტიკური მარქსიზმის ახალ პროგრამებში არსდ არ არის მითითებული, რომ „კავშირის“ და „მომართობის“ დიალექტიკის ძირითადი ნიშნებია.

ამრიგად, როგორ შეიძლება მისი დასაბუთება, რომ დიალექტიკის (განვითარების) თეორიის გადმოცემა აბსოლუტურად შეუძლებელია „მომართობისა“ და „კავშირის“ როგორც დიალექტიკის კანონების მეცნიერული ანალიზის გარეშე? ჩვენ დავიწვევთ „მომართობის“ საკითხის განხილვით.

მარქსმა და ფ. ენგელსმა გვიჩვენეს დიალექტიკური მეთოდის ბუნება, მისი ინიცია, მათ მოგვცეს დიალექტიკური მეთოდის ერთადერთი მეცნიერული განსაზღვრება. დიალექტიკის, წერდა ე. მარქსი, არსებულის პოზიტიურ გაგებაში „შეიჭებს ამავე დროს ამ არსებულის უარყოფის, მისი აუცილებელი დადების გავ-

ბატ, ყოველ განზოცებულ ფორმას იგი განიხილავს მოძრაობის მდინარეებში, მასთან დამე მისი წარმავალი მხარის მიხედვითაც, იგი არაფერის წინაშე ქედს არ იხრის და მთელი თავისი არსებით კრიტიკული და რევოლუციონერია* 1. იგივე აზრს ანეითარებს ფ. ენგელსი თავის „ლუდვიგ ფეიერბახში“, როცა ის წერს, რომ „დიალექტიკისათვის არაფერი არსებობს ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული, აბსოლუტური, წმინდა“, დიალექტიკის რევოლუციური ხასიათი აბსოლუტურია, — „ესაა ერთადერთი აბსოლუტა, რომლისათვისაც მასში კიდევ ადგილი რჩება“ 2.

ფ. ენგელსის განმარტებით დიალექტიკის ფორმულა ასეთია: „პო-აზი, არა-პო“.

ანეითარებდა რა მარქსისა და ენგელსის დიალექტიკას ფ. ლენინი წერდა, რომ წინააღმდეგობა დიალექტიკის ბირთვია, მისი არსებია. წინააღმდეგობათა ერთიანობა დროებითია, ხოლო მათი ბრძოლა აბსოლუტურია. დიალექტიკა, ფ. ლენინის განმარტებით, არის მოძღვრება იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება წინააღმდეგობები იგვევობრივი გახდნენ, თუ რა პირობებში გადადიან საგნის წინააღმდეგობრივი მხარეები ერთმანეთში.

აი, სწორედ, დიალექტიკის ამ ბირთვის-წინააღმდეგობის დასაბუთება და გაგება ყველაზე რთულია. ვინც წინააღმდეგობის ბუნებას გაიგებს, მან იცის მარქსისტული ფილოსოფია.

მაგრამ ჩვეულებრივი, ფილოსოფიის არ მყოფენ ადამიანის გონებისათვის ძნელია იმის წარმოდგენა თუ რას ნიშნავს არსებულის პოზიტორ გაგებაში შეიტანო მისი, არსებულის, უარყოფის, დაღუპვის გაგება? უშუალოდ, ანალიზისა და დასაბუთების გარეშე საკითხის ამგვარი დაყენება ფილოსოფიის არ მყოფენ ადამიანის ან აღმოფრებას გამოიწვევს, ან იგი ზელს ჩაიქნევს და იტყვის — ფილოსოფია ჩემი საქმე არ ყოფილაო. მართლაც, ყოველ ჩვეულებრივი ადამიანისათვის კეთილი კეთილია და ბოროტი ბოროტია, პოზიტორი პოზიტორია, ხოლო უარყოფითი უარყოფითია. სხვანაირად შეუძლებელია, ვინც კეთილია და ბოროტს აიგივეს, ის თვითონ ბოროტია. ეს ვინც დადებითსა და უარყოფითს აიგივეს, ის უარყოფითს ამკედრებს და მას, უარყოფითს, უშერს მხარს. ჩვეულებრივი ადამიანის ამ თვალსაზრისს მარქსიზმიც იზიარებს. უარყოფითი უარყოფითი უნდა იქნეს, მისი უშუალო, პირდაპირი შეტანი დადებითში — დადებითის უარყოფაა. თუ ეს ასეა, და ეს ნამდვილად ასე მაშინ როგორ უნდა იქნეს გაგებული

მარქსის ზემოთ მოყვანილი დებულება იმის შესახებ, რომ დიალექტიკას არსებულის პოზიტორ გაგებაში შეიქნეს მისი, არსებულის, უარყოფის, დაღუპვის გაგება?

მოდულდ რომ ვთქვათ, ანალიზისა და დასაბუთების გარეშე ძნელია წინააღმდეგობის ბუნების გაგება, მის შინაარსის შესწავლა და გადმოცემა. ხოლო წინააღმდეგობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი დიალექტიკის არსებია, მისი ბირთვია. ვინც ამ ბირთვის ვერ გაიგებს, მან დიდიშეცდომა არ იცის. ანალიზისა და დასაბუთების გარეშე ძნელია იმის გაგება, თუ რას ნიშნავს დიალექტიკის ფორმულა: „პო-აზი, არა-პო“.

მაგრამ როდესაც ჩვენ დიალექტიკის ძირითადი დებულების დასაბუთებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა ემპირიული მავალი-ფაბა, აჩამედ თეორიული (მატერიალისტური) დასაბუთება. დიალექტიკის თეორიაში სწორედ ყველაზე რთული ეს საკითხია. ყველაზე რთულია დიალექტიკისა და მატერიალიზმის ორგანული, შინაგანი კავშირის ჩვენება. დიალექტიკის თეორიის ემპირიული დასაბუთების წინააღმდეგ, როგორც ენობლიზმა, ილუშქრება და *ფ. ლენინი, დიალექტიკის დასაბუთების ამგვარ ნაყლს ფ. ლენინი შენიშნავდა გ. პლენხანოვის შრომებში.

ემპირიული მავალითებით რომ არ შეიძლება დიალექტიკის დასაბუთება, ეს ჯერ კიდევ ზეგულმაც იცოდნა. მაგრამ ჰეგელმა დიალექტიკის თეორია იდეალისტურად დასაბუთა. მართალია დიალექტიკის ემპირიული გადმოცემა და შესწავლა არ შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიალექტიკის დასაბუთება თითქოს არ უნდა დაეყრდნოს ფაქტებს და მავალითებს. დიალექტიკის თეორიული დასაბუთება არ უნდა მოეწვივებოდ ფაქტებსა და მავალითებს. ემპირიულ მავალითებს დიალექტიკის თეორიული დასაბუთების დროს ჩვენც ვეყრდნობით, მაგრამ აქ ამაზე კი არ არის ლაპარაკი. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დიალექტიკის დასაბუთება არ შეიძლება დაყვანილ იქნას ცალკეული მავალითების გამოყენებულ. დიალექტიკა აზროვნებისა და ცვლევის მეტოფია. ამიტომ დიალექტიკამ, როგორც მეცნიერებამ სინამდვილის უზოგადესი კანონების შესახებ, თავისი დებულებები თეორიულად (მატერიალისტურად) უნდა დაასაბუთოს და არა ცალკეული მავალითებით.

წინააღმდეგობის ემპირიული დასაბუთება არ შეიძლება იმიტომ, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა, ყოველგვარი უარყოფა არ არის დიალექტიკური. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ასეთი მავალითი. როგორც აღვნიშნეთ დიალექტიკა ამტკიცებს, რომ დამირისპირებულ მხარეებში განაპირობებენ ერთმანეთს და გადადიან ერთმანეთში. მაგრამ რკინასა და შაქრის თავს განსხვავებული, სრულიად სპინააღმდეგო ნიშ-

1 ტ. მარქსი. „კაბიტალი“ ტ. I, გვ. 23.
 2 ტ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 436.



ნები და თვისებები აქვს. რკინას, მაგალითად, დაეინფიცის უნარი აქვს. შაქრის თავს დაეინფიცის უნარი სრულებითაც არა აქვს. მაგრამ მათ არამარტო ეს განსხვავებული (დამირისპირებული), არამედ საერთო (იგივეობრივი) ნიშნებიც აქვთ. რკინასა და შაქრის თავს ის საერთო ნიშანი მიანიჭ აქვს, რომ ორივეს სიმძიმე ახასიათებს. შაქრის თავი და რკინა ურთიერთობაში შედიან მათი საერთო ნიშნის — სიმძიმის საფუძველზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შაქრის თავსა და რკინას შორის არსებობს როგორც განსხვავებული (დამირისპირებული), ისე საერთო (იგივეობრივი) თვისებები, მიუხედავად იმისა მათ შორის აღდგა არა აქვს არაერთი ბრძოლა და ისინი ერთმანეთში არ გადადიან, თუ მათ შორის ბრძოლას ადგილი აქვს, ყოველ შემთხვევაში ეს ბრძოლა არ არის მარადიული, აბსოლუტური. მათ შორის ბრძოლას ადგილი აქვს მხოლოდ კატასტროფებისა და ევლუციების დროს. ეს იმას ნიშნავს რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა, ყოველგვარი ბრძოლა არ არის დიალექტიკური (შინაგანი). ყოველგვარი უარყოფა არ არის დიალექტიკური. თუ ეს ასეა მაშინ როგორია არის წინააღმდეგობათა ბრძოლა განვითარების წყარო, აბსოლუტური? უფრო სწორია არ იქნებოდა გეტყვია, რომ წინააღმდეგობათა ბრძოლა დროებითია, ხოლო ერთიანობა — მარადიული?

ამ კითხვებზე რომ პასუხი გავცეთ, ამისათვის საჭიროა ანალიზი გავუყუთთ მოძრაობას. წარმოდგენა მოძრაობის შესახებ უკეთესია ადამიანის აქვს. მოძრაობა მილიარდჯერ ნახული ფაქტია. გარეგნულად რომ შევხედოთ, მოძრაობა არის ამ მომენტში სავნის აქ" ყოფნა, ხოლო სხვა, მეორე მომენტში, სავნის აქ", სხვაგან ყოფნა. მარქსისთვის მოძრაობა ასე არ ესმის. მოძრაობა სავანი, რომ უკრ "აქ" არის, ხოლო შემდეგ "იქ" არის ამა არაერთი დროისა და სპირიტუა. გარდა ამისა მოძრაობის ანალიზად ვაგებებს დროს მოძრაობა ყოფილა უძრაობათა უკამი: აქაი" და იქაი" სავანი უძრავობაა. ხოლო უძრაობათა უკამისაგან დიალექტიკას — წინააღმდეგობას ვერ მიიღებთ. უძრაობის დროს წინააღმდეგობათა ბრძოლას ადგილი არა აქვს. როდესაც სავანებს განვიხილავთ, როგორც უძრავსა და უსიკოცხლოს, თვითი ულს თავისთავად, ერთი მეორის გვერდით და ერთი მეორის შემდეგ, — წერდა ფ. ენგელსი — მართლაც არაერთი წინააღმდეგობას არ წაიწყებდებით მათში?!. რატომ არ არის წინააღმდეგობა სავანების უძრაობის შემთხვევაში? სავანები ხომ არან უძრავ მდგომარეობაში?

აი, ფილოსოფოსმა, რომელსაც უნდა წინააღმდეგობის ბუნება გაავებინოს თავის მსმენელს უნდა დიალექტიკოს, რომ ადამიანის ემპირიული წარმოდგენა როგორც მოძრაობის ისე უძრაობის შესახებ არის ყალბი ფაქტობრივი.

რატომ არის მოძრაობისა და უძრაობის სახეებ ადამიანის ემპირიული წარმოდგენა ყალბი და ზერღვე? იმიტომ, რომ სავნის უძრაობა დროებითია, შეფარდებითი, ხოლო სავნის მოძრაობა მარადიულია, აბსოლუტურია. აი, სწორედ, მოძრაობის აბსოლუტურობის დასაბუთება არის წინააღმდეგობათა ბრძოლის აბსოლუტურობის გაგების თეორიული (მატერიალური) გასაღები. წინააღმდეგობათა ბრძოლა იმიტომაც აბსოლუტური, რომ აბსოლუტურია მოძრაობა. დიალექტიკის ამგვარ დასაბუთებას გაიგებს ფილოსოფიის შემსწავლელი და მისი გონება არ აღფრთხილებდა დიალექტიკის წინააღმდეგ.

მოძრაობის ემპირიული, გარეგანი მხარე არც ერთ ფილოსოფოსს არ უარუყენია. მოძრაობის, როგორც ემპირიული ფაქტის უარყოფა, შეუძლებელიცაა. მოძრაობის გარეგანი, ემპირიული შედეგების უარყოფა არავის არ შეუძლია. მაგალითად, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ადამიანი მოძრაობს, მოძრაობს გასროლილი ისარი, მიღწერს მოძრაობა უკანაობა, წვიმა და თოვლი ბუნებაში მოძრაობის არსებობის მაჩვენებელია, ევლკანის ამოხეთქვაც ბუნებაში მოძრაობის დადასტურება და ა. შ.

ამ აზრით არცერთი მარქსამდელი მატერიალისტი არ უარყოფდა მოძრაობას. მოძრაობის ანალიზს ყველა მარქსამდელი ფილოსოფოსის შრომაში შევხვდებით. მაგრამ მოძრაობის ეს ანალიზი არ იყო მეტეორული, რადგან იგი ემპირიული დაკვირვებებს არ სკალდებოდა. მარქსისთანამდგ ვერაინ ვერ შეამჩნია მოძრაობის შინაგანი ბუნება.

რამი მდგომარეობს მოძრაობის შინაგანი, დიალექტიკური ბუნება? მოძრაობის შინაგანი ბუნება იმაშია, რომ მატერია და მოძრაობა განუყოფელია ერთმანეთისაგან; მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა. მატერია არ არსებობს მოძრაობის გარეშე და მოძრაობა მატერიის გარეშე. ეს კავშირი მეტეორულად აღმოჩინა. სავნისა და მოძრაობის შინაგანი ურთიერთობა სრულებითაც არ არის ემპირიული. მატერიის და მოძრაობის კავშირი სიღრმისეულია, მისი დანახვა უშეაძლოდ არ შეიძლება. ხოლო როდესაც მატერიისა და მოძრაობის შინაგანი კავშირის აღიარებულად გამოვალთ, დავინახავთ რომ უძრაობა დროებითია, მოძრაობა კი — აბსოლუტური. ფ. ენგელსი ძველი, მარქსამდელი მატერიალისტის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს იმაში ხედავდა, რომ მან ვერ აღმოაჩინა მატერიისა და მოძრაობის შინაგანი, აუცილებელი კავშირი. ძველი მატერიალიზმი ხედავდა მატერიისა და

1 ფ. ენგელსი, "ანტიდუორნიკი", გვ. 143.

მოდრაობის კავშირის მხოლოდ გარეგან, ემპირულ მხარეს. ამიტომ მისი წარმოდგენა მოძრაობაზე იყო ზერელე, ემპირიული. მისთვის უცნაო და გაურკვეველი იყო მატერიალი და მოძრაობის ნამდვილი კავშირი¹. მეტაფიზიკოსისათვის, წერს ფ. ენგელსი, „მოძრაობა სრულად გაუგებარია“².

მაგრამ რას ნიშნავს მოძრაობის აბსოლუტურობა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დაეწყოთ იმ მაგალითით, რომელიც ფ. ენგელსს მოჰყავს. „მაგალითად, — წერს ფ. ენგელსი, — რომელიმე სხეული შეიძლება დედამიწაზე მექანიკურ წონასწორობაში იმყოფებოდეს, მექანიკურად უმოძრაოდ იყოს, ეს სრულიადაც ხელს არ უშლის, რომ იგი მონაწილეობას იღებდეს, როგორც დედამიწის მოძრაობაში, ისე მთელ მზის სისტემის მოძრაობაში; ისევე როგორც ეს მის უმცირეს ფიზიკურ ნაწილაკებს ხელს არ უშლის მისი ტემპერატურით გამოწვეული რჩევა შესარტყონ, ან მის ნიუთონურ იტომებს, რომელიმე ქიმიური პროცესი განვლას“³.

მაგალითი, რომელიც ფ. ენგელსს მოჰყავს, იმდენად ელემენტარულია, რომ მსგავსი მაგალითი ყველას შეუძლია მიიგონოს. მაგალითად, მაგია, რომელზედაც მე ამჟამად ვმუშაობ, არ მოძრაობს. მაგრამ, აი, ამ მაგიდის უძრაობის შესახებ ჩემი წარმოდგენა ზერელეა, უაღბია, იგი არ არის ღრმა, მეცნიერული, რადგან როცა მე ვამბობ მაგია უძრაობა, მე ჩემს თვალსაზრისის საგანზე ვხდლდაც იმ საგანით, რომლის გვერდით ან რომლის შემდეგ, აი, ეს მაგია იმყოფება. როდესაც მე ვამბობ მაგია უძრაობა, მე მხედველობაში არ ეღებულობ ამ შინაგან კავშირს, რომელიც არსებობს მაგიდასა და მოძრაობას შორის. აი, ეს მაგია მხოლოდ სახლის კედლების მიმართ არის უძრავი. ამას მეც ვხედავ და ამასვე ვადასტურებ, როცა ვამბობ, რომ მაგია უძრავია. მაგია რომ სახლის კედლების მიმართაც მოძრაობდეს — ეს საშინელება იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში მასზე მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ საბუნებისმეტყველო მეცნიერება ამტკიცებს, რომ მატერიალსა და მოძრაობას შორის კავშირი შინაგანი, აუცილებელია. ამიტომ, აი, ამ მაგიდის უძრაობა შეუძარდებითაა, დროებითია, ხოლო მისი მოძრაობა აბსოლუტურია. თუ მატერიისა და მოძრაობის კავშირი აუცილებელია, შინაგანია, მაშინ უძრაობა ყოფილია დროებითი, ხოლო მოძრაობა აბსოლუტური. მაგია და სახლთან ერთად მონაწილეობას იღებს როგორც დედამიწის მოძრაობაში, ისე მთელ მზის სისტე-

მის მოძრაობაში. ამასთან ტემპერატურის ცვალებადობა მასში იწვევს გარკვეულ ცვლილებას. მაგია, რომელიც ჩვენ უძრავად ვიგნებთ, სინამდვილეში არ მოძრაობს. უძრავი მაგიდას ეს მოძრაობა არ არის ემპირიული, უშუალო, იგი არ ჰგავს არც ადამიანის მოძრაობას, არც გასროლილი ისრის მოძრაობას, არც მდინარის მოძრაობას და ა. შ. წარმოდგენა მდინარის, ან გასროლილი ისრის მოძრაობის შესახებ არის ემპირიული, იგი განსაზღვრულია ცოცხალი გამოცდილებით. წარმოდგენა მდინარის მოძრაობის შესახებ არ შეიცავს წარმოდგენას წინაღმდეგობათა ბრძოლის აბსოლუტურობის შესახებ, რადგან მდინარის მოძრაობას დასასრულე აქვს და დასაწყისიც. სულ სხვა ბუნებისაა მოძრაობის მარქსისტული ცნება. მოძრაობის მარქსისტული ცნება მეცნიერულია.

ამრიგად, ყოველი უძრავი საგანი მოძრაობს იმ აზრით, რომ იგი ერთდროულად აუცილებლად ღებულობს მონაწილეობას მოძრაობის ერთ ან რამოდენიმე ფორმაში. მოძრაობის ეს ფორმებია, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, შემდეგ: 1) მოძრაობა სამყაროს სივრცეში 2) მექანიკური მოძრაობა სამყაროს ცალკეულ სხეულზე; 3) მოლეკულური რჩევა სითბოს ან ელემენტარული ან ვიზუალური ნაკადის სახით, 4) ქიმიური დამლა და შეერთება, 5) ორგანული სიცოცხლე.

ბუნების საგანი აუცილებლად ღებულობს მონაწილეობას მოძრაობის ამ ერთ-ერთ რომელიმე ფორმაში მაინც, თუ ყველაში არა ერთდროულად, არ შეიძლება ბუნების ისეთი მოვლენა იქნეს დასაბელებელი, რომელიც მოძრაობის ზემოთ ჩამოთვლილ ფორმაში არ ღებულობდეს მონაწილეობას. მოძრაობის აბსოლუტურობა მარქსიზმს მხოლოდ ამ აზრით ესმის. უძრაობა ზერელეა და უაღბია, იგი აბსტრაქციაა იმიტომ, რომ როცა ჩვენ საგნის უძრაობაზე ვლაპარაკობთ მხედველობაში არ ვღებულობთ მოძრაობის იმ ფორმას, რომელშიდაც უძრავი საგანი აუცილებლად იმყოფება.

ამრიგად, მოძრაობა მარქსისტულ ფილოსოფიას ესმის არა ზერელედ, გარეგნულად, არამედ მეცნიერულად. მოძრაობის მარქსისტული ცნება დიალექტიკური განვითარების შინაგან ბუნებას გამოხატავს. მოძრაობა დიალექტიკური განვითარების კანონია იმიტომ რომ იგი გვიჩვენებს მატერიისა და მოძრაობის შინაგან კავშირს. მას, ამ კავშირს ხელით ვერ შევებებით და ვერც თვალზეთ დაიწინავეთ. მოძრაობისა და მატერიის აუცილებელი კავშირი ჩვენი შეგარბების ორგანოებს უშუალოდ არ ეტლევით. მისი აღმოჩენა, მასზე მითითება მეცნიერული აზროვნების დიდი გამარჯვებაა. მოძრაობა, როგორც დიალექტიკის მეცნიერების კანონი, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევათა

1 ფ. ენგელსი, ინტი-დიურინგი, 71.

2 იქვე, გვ. 144.

3 იქვე, გვ. 72.

განზოგადების შედეგია, რაც პირველად კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გააკეთეს. მოძრაობის მარქსისტული ცნება დიალექტიკური განვითარების გამოხატულება არ იქნებოდა, რომ ის ეყრდნობოდას მოძრაობის ზეგულე, ემპირულ წარმოდგენას. მოძრაობის ზეგულე წარმოდგენიდან გადასვლა დიალექტიკის გაგებამდე ისევე არ არსებობს, როგორც არ არსებობს ვადასკვა უძრავიდან მოძრაობისაკენ.

ამრიგად, მოძრაობის აბსოლუტურობის გაგება შეუძლია ფილოსოფიის შემსწავლელს, ვინც მისივედროშია ყველასათვის. ფილოსოფიის შემსწავლელს, როგორც დიდი მეცნიერიც არ უნდა იყოს ის, არ შეუძლია მოძრაობის აბსოლუტურობის უარყოფა.

მართალია, დებულება მოძრაობის აბსოლუტურობის შესახებ ძალზე ნათელი და ცხადია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მოძრაობის აბსოლუტურობის აღიარებას დიალექტიკის თეორიის დასაბუთების საქმეში? რა დასკვნა გამოიძინა რეობს მატერიალის და მოძრაობის შინაგან კავშირიდან? როგორ შეიძლება ამ დებულებაზე დაყრდნობით დიალექტიკის ბირთვის დასაბუთება? მოძრაობისა და მატერიის შინაგანი კავშირის აღიარებას დიალექტიკის თეორიისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ მოძრაობა თვით არის წინააღმდეგობა. ყველგან, სადაც მოძრაობაა—იქ წინააღმდეგობაა, და, პირიქით, სადაც წინააღმდეგობაა — იქ მოძრაობაა. თუ წარმოდგენა უძრავობის შესახებ გამოიკვთებას ყოყოყნად წინააღმდეგობას, სამაგიეროდ მოძრაობის შესახებ ემპირული, ზეგულე წარმოდგენაც კი შეიცავს თავის თავში წინააღმდეგობას, ხოლო წინააღმდეგობა — მოძრაობას. უბრალო მექანიკური მოძრაობაც წინააღმდეგობაა. მოძრაობის პროცესში საგანს ყოველთვის უხდება წინააღმდეგობის ვადასკვა, ხოლო წინააღმდეგობის ვადასკვა — მოძრაობაა. მოძრაობა არ არსებობს წინააღმდეგობის გარეშე და წინააღმდეგობა — მოძრაობის გარეშე. ეს დებულება იმდენად ცხადია, რომ მის დასამტკიცებლად ემპირული მაცალითების მოყვანა არც არის საჭირო.

მაგრამ გვაჩინოთ, თუ როგორია ეს წინააღმდეგობა გარეგნულად ისე ჩანს, რომ საგნის მოძრაობა თითქოს ამ მომენტში საგნის „იქ“ არსებობის და იმ მომენტში საგნის „იქ“ არსებობის დაპირისპირება (წინააღმდეგობა) უნდა იყოს. მართალია, რას ნიშნავს, მცალითად, ან ეს აღმანი მოძრაობის? ეს იმას ნიშნავს, რომ ის ახლა „იქ“ არის, ხოლო შემდეგ „იქ“ არის. „იქ“ არსებობა და „იქ“ არსებობა უპირისპირდება ერთმანეთს. „იქ“ ყოფნა და „იქ“ ყოფნა წინააღმდეგობაა: „იქ“ და „იქ“ საგანს საწინააღმდეგო თვისებები აქვს. მაგრამ არ შეიძლება საგანი ერთსა და იმავე დროს აქაც იყოს და იქაც იყოს. ეს შესაძლებელია

მხოლოდ სხვადასხვა დროში. მაგრამ დიალექტიკური დაპირისპირება ასეთი არ არის. დიალექტიკური წინააღმდეგობები ცალ-ცალკე არ არსებობენ, ისინი არც სხვადასხვა საგნებშია შორის არიან განაწილებულნი და არც სხვადასხვა დროში არიან მოცემულნი. ამიტომ არ შეიძლება დიალექტიკური დაპირისპირება (წინააღმდეგობა) ეწოდეს საგანის ამ მომენტში (ახლა) „იქ“ არსებობას და საგნის იმ (შემდეგ) მომენტში „იქ“, სხვაგან არსებობას.

დიალექტიკურად მოძრავ საგანს წინააღმდეგობის ვადასკვა უხდება არა იმიტომ, რომ საგანი ახლა (ამ მომენტში) „იქ“ არის, ხოლო შემდეგ (იმ მომენტში) „იქ“, სხვაგან არის. წინააღმდეგობაზე ასეთი წარმოდგენა ემპირიულია, ზეგულეა და არა თეორიული (ანა დიალექტიკური), იგი მხოლოდ აღწერს მოძრაობის შედეგს და არა მოძრაობას. დიალექტიკური წინააღმდეგობები ცალ-ცალკე არ არსებობენ, ისინი ამ მომენტშიაც (ახლაც) არსებობენ და იმ მომენტშიაც (შემდეგშიც). წინააღმდეგობა მარადიულია, ის გუშინაც იყო, დღესაც არის და ხვალაც იქნება... მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მოძრავი საგანი ერთსა და იმავე დროს „აქაც“ არის და „იქაც“ არის. წინააღმდეგობის ასეთი შეუკვრება („აქაც“ არის და „იქაც“ არის) ეკლექტიკურია, ფორმალურია. ვინც იტყვის, საგანი ერთსა და იმავე დროს „აქაც“ არის და „იქაც“ არისო, ის დიალექტიკის სოფისტიკით ცვლის, ყოველად შეუძლებელია საგანი ერთსა და იმავე დროს „აქაც“ იყოს და „იქაც“ იყოს. რასაკვირველია, სხვადასხვა დროს საგანს შეუძლია „აქაც“ იყოს და „იქაც“ იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ერთსა და იმავე დროს საგნის შინაგან, დიალექტიკურ დაპირისპირებაზე.

ამრიგად, მოძრავი საგანი, რომ ახლა (ამ მომენტში) „იქ“ არის და შემდეგ (იმ მომენტში) „იქ“ არის, არ გამოხატავს საგნის წინააღმდეგობრივ (დიალექტიკურ) მხარეებს. ასეთი წინააღმდეგობის დროს არ არის ბრძოლა, არ არის დაპირისპირებულ მხარეების ერთმანეთში გაღმართვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრაობის შედეგების აღწერის დროს, ჩვენ დაპირისპირებული მხარეების (ახლა „იქ“, შემდეგ „იქ“) მხოლოდ უბრალო ჯამთან გვაქვს საქმე და არა ნამდვილ ბრძოლასთან.

მაშ, როგორია დიალექტიკური წინააღმდეგობა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მხოლოდ მოძრაობის მარქსისტული ანალიზი. თუ გამოვიღოთ მოძრაობის აბსოლუტურობიდან, ვამინ უნდა ეალიართო, რომ საგნის მოძრაობა ერთსა და იმავე დროს არის საგნის „იქ“ არსებობისა და საგნის „იქ“ არსებობის ერთმანობა, მათი დაპირისპირება. ესაა ნამდვილი დიალექტიკა. ეს არის დიალექტიკის თეორიული (მატერიალისტური) დასაბუთება. დებულება — მატერია და

მოძრაობა განუყოფელია ერთმანეთისაგან, ნიშნავს იმას, რომ საგანი აქაც არის და არც არის აქ, ნიშნავს იმას, რომ საგანი კიდევ არსებობს და კიდევ არ არსებობს, ესაა ნამდვილი დიალექტიკა, ნამდვილი წინააღმდეგობა, ესაა ნამდვილი თეორიული აზროვნება, რომელიც თავის თავში შეიცავს პრაქტიკასაც.

ერთი და იგივე არ არის დებულებები: (1) საგანი ერთსა და იმავე დროს „აქაც“ არის და „იქაც“ არის; და (2) საგანი ერთსა და იმავე დროს „აქაც“ არის და არც არის „აქ“. პირველი დებულების დიალექტიკურობა მოწვევნილია, ხოლო მეორე დებულების დიალექტიკურობა ნამდვილია, კუმშვითი. იგი თეორიულია (მატერიალისტურია). ამ კუმშვით დიალექტიკას (წინააღმდეგობას) დავინახავთ მხოლოდ მაშინ, როცა გამოვალთ მატერიალისა და მოძრაობის განუყოფლობიდან. სხვანაირი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია იმ დებულებიდან, რომ მოძრაობა აბსოლუტურია.

არსებობა და არარსებობა, ძველი და ახალი, დასრულებული და უსასრულო, ფორმა და შინაარსი, დადებითი და უარყოფითი და ა. შ. ურთიერთ გამომრავლებელი წინააღმდეგობითა, ისინი ერთმანეთს აპირობადადებენ, ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ; ისინი ერთიანობაში იმყოფებიან. არსებობა არ არის არარსებობის გარეშე და პირიქით, არარსებობა არ არის არსებობის გარეშე. ძველი არ არსებობს ახლის გარეშე, და ახალი ძველის გარეშე. ძველი რომ გაქრეს, გაქრებოდა ახალიც, და პირიქით, ახალი რომ გაქრეს გაქრებოდა ძველიც და ა. შ. მათი შერევა ყოველად შეუძლებელია, ამიტომ მათ შორის ბრძოლა ვარდაუვლია. მაგრამ დაპირისპირებულთა ეს ბრძოლა აბსოლუტურია, ხოლო მათი ერთიანობა დროებითია. მათი ერთიანობა დროებითია იმიტომ, რომ მოძრაობის პროცესში წინააღმდეგობები ივლიანობენ ხდებიან, ვადალიან ერთმანეთში. წინააღმდეგობების ერთმანეთში გადასვლა ერთიანობის უარყოფაა, ხოლო მათი ბრძოლა აბსოლუტურია იმიტომ, რომ აბსოლუტურია მოძრაობა.

მაშასადამე, მარქსისტულ ფილოსოფიაში წინააღმდეგობათა ბრძოლის აბსოლუტურობის აღიარებას საფუძვლად უდევს მოძრაობის აბსოლუტურობის აღიარება. წინააღმდეგობათა ბრძოლა აბსოლუტურია იმიტომ, რომ აბსოლუტურია მოძრაობა. ვინც მიიღებს დებულებას მატერიალისა და მოძრაობის განუყოფლობის შესახებ, მან უნდა მიიღოს დებულებაც საგნის ისეთი დაპირისპირებული მხარეების არსებობის შესახებ, როგორცაა არსებობა და არარსებობა, ძველი და ახალი, დასრულებული და უსასრულო და ა. შ. მატერიალისა და მოძრაობის განუყოფლობა სხვას ახატვრს არ ნიშნავს, თუ არა იმას, რომ საგანი „აქაც“ არის და არც

არის „აქ“. ასეთი დასკვნა თავისთავად გამოდინარეობს მოძრაობის აბსოლუტურობიდან.

ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრაობის აბსოლუტურობის აღიარების, მოძრაობისა და მატერიალის შინაგანი კავშირის აღიარების გარეშე არ არსებობს დიალექტიკური განვითარების მატერიალისტური (მეცნიერული) თეორია. თუ წინააღმდეგობას იმიტომ აქვს ადგილი, რომ ადგილი აქვს მოძრაობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მოძრაობა ყოველი დიალექტიკური განვითარების კანონი. თუ წინააღმდეგობათა ბრძოლის აბსოლუტურობის აღიარებას საფუძვლად უდევს მოძრაობის აბსოლუტურობის აღიარება, მაშინ გასაგებია თუ რას ნიშნავს მარქსის დებულება არსებულის პოზიტურ გავებაში მისი, არსებულის უარყოფის გავების შეტანის შესახებ. თუ პოზიტურია და უარყოფითი განუყოფელია ერთმანეთისაგან, მაშინ არსებულის პოზიტური გავება არ არსებობს არსებულის უარყოფის გავების გარეშე. მაგრამ ეს გავება არ არის უშუალო, სუბიექტური, ემპირიული, რადგან წინააღმდეგობა განსაზღვრულია მოძრაობით. დიალექტიკის ეს დებულება თეორიულია (მეცნიერულია). დიალექტიკა მოგლეწებისადაც მიდგომია, მათი შესწავლის მეტოღია. ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმ ემპირულ ფაქტს, რომ რკინისა და შპერის თავს შორის ბრძოლა არ არის აბსოლუტური. დიალექტიკის თეორიის დასაბუთებას საფუძვლად უდევს მოძრაობის შესახებ არა ემპირიული, არამედ მეცნიერული წარმოდგენა. დიალექტიკას ასაბუთებს, დიალექტიკა განსაზღვრულია მოძრაობის არსებობით.

ის, რითაც განსაზღვრულია დიალექტიკა — არ შეიძლება დიალექტიკის კანონი არ იყოს. მოძრაობა დიალექტიკის კანონია. დიალექტიკის განსაზღვრული თავის ბუნებით დიალექტიკურია, რადგან დიალექტიკა ყველგან ბატონობს. წინააღმდეგობის არსებობა მოძრაობითაა გაპირობადებული. დიალექტიკის თეორიის დასაბუთებას, რომ საფუძვლად ედოს მოძრაობის შესახებ ემპირიული წარმოდგენა მაშინ, რასაკვირველია, ემპირიული მკვლევარები დაანგრედიან დიალექტიკის დებულებას. მაგრამ ემპირიული მკვლევარები არ გამოდგებიან დიალექტიკის წინააღმდეგ სამართლიანად. დიალექტიკის ასაბუთებს არა ემპირიული მკვლევარები, არამედ მოძრაობის მარქსისტული ანალიზი. სწორედ ამიტომ დიალექტიკა საგნებსა და მოვლენებს განიხილავს მათს მოძრაობაშიც. დიალექტიკა აზროვნების ყველაზე მაღალი ფორმაა.

ამრიგად, მოძრაობა არის — დიალექტიკური განვითარების კანონი, მისი ანალიზისა და დასაბუთების გარეშე აბსოლუტურია არ არსებობს დიალექტიკის ბუნების — წინააღმდეგობის თეორიული ანალიზი და დასაბუთება. ვინც

უარყოფს მოძრაობას, როგორც დიალექტიკის კანონს, იგი სწევებს ერთმანეთისაგან დიალექტიკასა და მატერიალიზმს, და ამით პრაქტიკაში ამართლებს რევოლუციონიზმს იმ დებულებას, რომ თითქოს მარქსიზმში დიალექტიკასა და მატერიალიზმს შორის კავშირი იყოს შემთხვევითი, გარეგანი და არაკანონზომიერი. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სტალინმა თავის სახელმძღვანელოში დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხების გადმოცემა დიალექტიკის კანონებით დაიწყო, ხოლო დიალექტიკის კანონებში „მოძრაობაც“ შეიტანა.

დიალექტიკის თეორიის ამგვარ დალაგებას საფუძვლად უდევს დიალექტიკური მატერიალიზმის ღრმა შეცნობილი გაგება. დიალექტიკის თეორიის ამგვარი დალაგება გამოდის ე. ლენინის იმ დებულებიდან, რომ მარქსიზმში მთავარია დიალექტიკა, ხოლო მარქსისტული დიალექტიკა შეიცავს თავის თავში შემეცნების მატერიალისტურ თეორიასაც. დიალექტიკის კანონებიდან „მოძრაობის“ ამოღებით, ჩვენ უკვე თეორიულად მოვეწყობით ერთმანეთს დიალექტიკა და მატერიალიზმი; და ამით ვერასოდეს ვერ დავასაბუთებთ, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის წარმოშობა იყო რევოლუცია ფილოსოფიაში. „მოძრაობის“, როგორც დიალექტიკის კანონის განხილვის გარეშე დიალექტიკასა და მატერიალიზმის კავშირი შემთხვევითია, დაუსაბუთებელია.

დიალექტიკის კანონებიდან „მოძრაობის“ ამოღების შემთხვევაში უარყოფილია დიალექტიკა, როგორც მეთოდი, რადგან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს საგნებისა და მოვლენების შემეცნება შესაძლებელი იყოს მათი მოძრაობის თვალსაზრისით განხილვის გარეშე.

მაგრამ თუ ჩვენ „მოძრაობას“ დიალექტიკური განვითარების კანონად გამოვაცხადებთ, და „მოძრაობის“ მარქსისტულ ანალიზს გადმოვცემთ, მაშინ ფილოსოფიაში ვერასოდეს ვერ მოკიდებს ფეხს რევოლუციონიზმი და დამატარებია. „მოძრაობის“ დიალექტიკის კანონებიდან ამოგდება პრაქტიკაში რევოლუციონიზმის გამართლებდა. დიალექტიკის მატერიალისტური თეორია, რომელიც პირველად კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შექმნიეს, არ არსებობს მატერიალსა და მოძრაობის შინაგანი კავშირის დასაბუთებისა და ანალიზის გარეშე. სწორედ მატერიალისა და მოძრაობის შინაგანი კავშირი ვერ აღმოაჩინა ძველმა, მარქსამდელმა ფილოსოფიამ. ამიტომ ვინც ამტკიცებს, რომ მოძრაობა დიალექტიკის კანონი არ არისო, ის სწევებს დიალექტიკის თეორიას შეცნობილიდან და გზას უზნის დიალექტიკის იდეალისტურ თეორიას. ვსაგებია, რომ ჩვენ აქ „მოძრაობის“ ყველა მხარეს არ შევხვდებით. ჩვენ არც წინააღმდეგობის ბუნების ანალიზი მოგვიცია. ჩვენი მი-

ზანი იყო დავევტკიცებინა, რომ „მოძრაობა“ დიალექტიკის კანონია და მისი დიალექტიკის კანონებიდან ამოგდება ფილოსოფიაში რევოლუციონიზმია.

ახლა შევხვთ „კავშირს“ როგორც დიალექტიკის კანონს. ფ. ენგელსი თავის სტატიაში „დიალექტიკა“ მიხნად ისახავს დიალექტიკა განიხილოს, როგორც შეცნობილება კავშირების შესახებ. მართალია, ფ. ენგელსს ამ სტატიაში არსად არ აქვს ნათქვამი, რომ კავშირი დიალექტიკური განვითარების კანონია, მაგრამ დიალექტიკის განმარტავს, როგორც შეცნობილებას კავშირების შესახებ. განვიხილოთ, — წერს აქ ფ. ენგელსი — დიალექტიკის — როგორც კავშირთა შესახებ შეცნობილებას — ზოგადი ბუნება¹. ფ. ენგელსის მართო ეს გამოთქმაც ადისტურებს იმ დებულებას, რომ „კავშირი“ დიალექტიკური განვითარების კანონია. როგორ? საიდან ჩანს ეს? შეცნობილება, როგორც ცნობილია, კანონებს სწავლობს. ეს დებულება ფილოსოფიაში — ურყევია. თუ შეცნობილება კანონებს სწავლობს, ხოლო დიალექტიკა, ფ. ენგელსის განმარტებით, არის მეცნიერება კავშირების შესახებ, მაშინ „კავშირი“ დიალექტიკის კანონი ყოფილა.

მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენება შეიძლება გაუგებარი იყოს, ამიტომ ჩვენ მარქსიზმის კლასიკოსების სხვა შრომებშიც მივმართით. ე. ლენინი თავის შრომაში „კარლ მარქსი“ „კავშირის“ განიხილავს, როგორც დიალექტიკის ერთერთ ნიშანს. „თვითველი მოვლენის ყველა მხარის ურთიერთდამოკიდებულება და უშუალოდ ესო, განუტრეული კავშირი (ამასთან ისტორიისა დაშვარავებს სულ ახალ-ახალ მხარეებს), — წერს ე. ლენინი — კავშირითიერთობა, რომელიც იძლევა ერთიან, კანონზომიერ მსოფლიო პროცესს, — ასეთია ზოგიერთი ნიშანი დიალექტიკისა“². მართალია, აქ ე. ლენინი სიტყვა „მოძრაობასაც“ ხმარობს და ამიტომ ეს ციტატი შეიძლება გამოგვეყენებინა „მოძრაობის“, როგორც დიალექტიკის ნიშნის სახარებლად, მაგრამ „მოძრაობა“ რომ დიალექტიკის ნიშანია აქ, ამ ციტატაში, ისე ნათლად არა ჩანს, როგორც „კავშირის“ მიმართ. მოტანილი ციტატიდან ამჟღავნა, რომ ე. ლენინს „კავშირი“ მიანიშნა დიალექტიკის ერთ-ერთ ნიშნად. ი. სტალინმა იგი დიალექტიკის ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნია.

მაგრამ მივმართოთ ე. ლენინის სხვა შრომებსაც: „რათა ნაშვლილად გაიკნოთ საგანი, — წერს ე. ლენინი, — საჭიროა მოიკნოთ, შესწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავში-

1. ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 51. ის აგრეთვე გვ. 3.

2. ე. ლენინი, თხ. ტ. 21, გვ. 49.

რომ...¹ მართალია, აქ ვ. ი. ლენინი არ ხმარობს სიტყვა — „კანონი“, მაგრამ ციტატის წინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ „კავშირი“ დიალექტიკის კანონია. თუ საგნის სწორი, მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია საგნის ყველა კუთხრის შესწავლის გარეშე, მაშინ „კავშირი“ დიალექტიკური აზროვნების კანონი ყოფილა. თავის შრომაში „11 ინტერნაციონალის კრახი“, ვ. ლენინი აღნიშნავს, რომ „კავშირი“ არის „მარქსის დიალექტიკის უბირველესი და უძირითადესი წესი“² — სიტყვა „წესი“ აქ კანონის მნიშვნელობით იხმარება, რადგან ვ. ლენინი აქ ლაპარაკობს დიალექტიკის წესზე და არა, ვთქვათ, მოვლენის სკალაში ქცევის წესებზე. დიალექტიკის წესი რაიექტურია, იგი კანონია, იგი აღამიანებს არ შეუქმნიათ.

მართალია, ზემოთყვანილ ციტატებში ვ. ლენინი „კავშირს“ უწოდებს ხან დიალექტიკური განვითარების ნიშანს, ხან დიალექტიკური განვითარების კანონს (წესს). მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან დიალექტიკის ნიშნებსა და დიალექტიკის კანონებს (წესებს) შორის არავითარი განსხვავება არ არის. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ფ. ენგელსი ხმარობს გამოთქმას — „დიალექტიკის კანონები“, ხოლო ვ. ლენინი და ი. სტალინი ხმარობენ გამოთქმას — „დიალექტიკის ნიშნები“.

საერთოდ, მოვლენის ნიშანი და მოვლენის კანონი ერთი და იგივე არ არის. მოვლენის ყველა ნიშანი მოვლენის კანონი არ არის, რადგან მოვლენის ზოგიერთი ნიშანი უშუალოა, ხოლო კანონი — ზოგადია. მაგალითად, აღამიანს აქვს ორი თვალი. ეს აღამიანის ნიშანია. მაგრამ „ორი თვალი“ აღამიანის განვითარების კანონი არ არის. თვალის დანახვაც შეიძლება და მის ხელთავე შეეცხებით, მაგრამ კანონი ერთეული საგნის სახით, წმინდა სახით არ არსებობს. კანონს უშუალოდ, ზღვით ვერ შევხებით. კანონის დანახვა უშუალოდ რომ შეიძლებოდეს, მაშინ მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა შეგვეხებინა საგნისათვის და გვეთქვა იგი, ეს არის საგნის კანონი. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია კანონი მოვლენის ნიშანია, კანონი მოვლენის შიღში არ არსებობს, მაგრამ კანონი წმინდა სახით არ არის მოცემული მოვლენებში. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ მოვლენის ყველა ნიშანი კანონი არ არის, თუმცა მოვლენის ყველა კანონი მოვლენის ნიშანია.

მაგრამ აქ ლაპარაკია არა საერთოდ მოვლენის ნიშანზე და კანონზე, არამედ დიალექტიკური განვითარების ნიშნებსა და დიალექტიკური განვითარების კანონებზე. მათ შორის კი არავითარი განსხვავება არ არის. დიალექტიკურ

რო განვითარების ნიშანი მისი კანონია, ხოლო დიალექტიკური განვითარების ყველა კანონი მისი ნიშანია. რატომ? იმიტომ, რომ დიალექტიკური მეთოდი არ არსებობს ერთეული საგნის სახით. ჩვენ ყველას გვინახავს მექანიკური, ქიმიური, ფიზიკური და ა. შ. მოძრაობები. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია აღამიანს უთხარათ: აი, შეხედე, ეს არის დიალექტიკური მეთოდი, დიალექტიკური მეთოდის დანახვა არც მიკროსკოპით არ შეიძლება. დიალექტიკა რომ ერთეული საგნის სახით არსებობდეს, მაშინ, რასაკვირველია, მისი ნიშანი და კანონი ერთი და იგივე არ იქნებოდა. მაგრამ დიალექტიკური მეთოდის ერთეული საგნის სახით არსებობა იქნებოდა რაღაც სასწაული, ასეთ შემთხვევაში ის ღმერთი იქნებოდა. დიალექტიკის კანონებს ფ. ენგელსმა უწოდა სინამდვილის უნივერსალური კანონები, რადგან ისინი ყველგან ბატონობენ. თუ დიალექტიკის კანონები სინამდვილის უნივერსალური კანონებია, მაშინ დიალექტიკის ყველა ნიშანი კანონია, და დიალექტიკის ყველა კანონი დიალექტიკის ნიშანია.

დამახასიათებელია, რომ საბჭოთა ფილოსოფოსები 1954 წლამდე სრულებითაც არ აყენებდნენ საკითხს დიალექტიკის ნიშნებისა და დიალექტიკის კანონების განსხვავების შესახებ. და ეს შეუძლოა როდი იყოს.

მაგრამ დღეს, განსაკუთრებით 1954 წლის შემდეგ ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი „იყვლება“ დიალექტიკის კანონებისა და დიალექტიკის ნიშნების განსხვავებას. ეს კი დიდი შეუღონია. ის, ვინც ასხვავებს დიალექტიკის ნიშნებსა და დიალექტიკის კანონებს და უთქვამს, რომ დიალექტიკის ნიშნები ფაქტებიანია, ის უარყოფს დიალექტიკას, როგორც აზროვნების შიღვალ ფორმას. დიალექტიკა, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის განმარტებით, არის სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის იარაღი. ასეთი იარაღის ნიშნები არ შეიძლება იყენენ ემპირიული ფაქტები და მოვლენები.

სხვანაირად რომ ვთქვათ, დიალექტიკური მეთოდის ნიშნები ჩვენ ცოცხალ განკერტბაში ისე არ გვექლება, როგორც, მაგალითად, გვეძლევა რკინის, ქვის, ცხოველის და ა. შ. ნიშნები. დიალექტიკის რომელიმე ნიშანი ჩვენ ცოცხალ განკერტბაში უშუალოდ რომ შეიძლება, მაშინ დიალექტიკა არ იქნებოდა თეორიული აზროვნების იარაღი. ასეთი იარაღის აღმოჩენა და მისი დაუფლება ადგილიც იქნებოდა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღამიანის შეგარტების ორგანოებს უშუალოდ არ ეძლევათ დიალექტიკის ისეთი ნიშნები, როგორცაა „მოძრაობა“ და „კავშირი“, რადგან ისინი ყველგან ბატონობენ, უნივერსალური არიან.

ერთი წუთით დავეთანხმობთ ჩვენს კრიტიკებს. დავეუშვათ დიალექტიკის ნიშნებისა და

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 32, გვ. 102.

² ი. ლენინი, თხზ. ტ. 21, გვ. 29.

დიალექტიკის კანონების განსხვავება. მაგრამ თუ დიალექტიკის ნიშნებსა და დიალექტიკის კანონებს შორის რაიმე განსხვავება არსებობს, მაშინ ამ განსხვავებას სრულიად არ ასახულებს ის დებულება, რომ მოვლენის ნიშნები და კანონები ერთი და იგივე არ არიან. ამიტომ წყნება კრიტიკისგან ახალი არგუმენტი უნდა გამოიყვანოს. ხოლო სანამდის დიალექტიკის კანონებისა და დიალექტიკის ნიშნების განსხვავების დასასაბუთებლად ახალი არგუმენტი არ იქნება წამოყენებული, მანამდის ძალაში უნდა დარჩეს ძველი დებულება.

ამრიგად, არავითარ ექვს არ იქცევა ის გარემოება, რომ ვ. ლენინს „კავშირი“ მიანიჭდა დიალექტიკური განვითარების ნიშნად (კანონად). ჩვენი მკითხველი ალბათ გაოცებული იქნება: თუ ვ. ლენინს „კავშირი“ მიანიჭდა დიალექტიკური განვითარების ნიშნად (წყნად, კანონად) მაშინ რატომ ამტკიცებს დღეს ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი, რომ „კავშირი“ დიალექტიკური განვითარების კანონი არ არის? მაგრამ ამ კითხვაზე ჩვენ არ შეგვიძლია პასუხი გავცეთ, რადგან იგი ჩვენთვის უცნობია.

ჩვენ აქ მხოლოდ შემდეგ კითხვაზე გავცემთ პასუხს: როგორ შეიძლება იმის დასაბუთება, რომ „კავშირი“ დიალექტიკური განვითარების კანონია? ამ კითხვაზე ზემოთ მხოლოდ ზოგადად გავცემთ პასუხს. აქ საჭიროა ვთქვათ, რომ „კავშირი“ დიალექტიკური მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი კანონია. „კავშირი“ დიალექტიკის კანონია ამიტომ, რომ საგნის სხვა საგნებთან კავშირში განხილვის დროს, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, გარკვევა და აღმოჩენდება საგნის ახალი თვისებები და ნიშნები, რომელთა აღმოჩენა და გარკვევა შეუძლებელია საგნის სხვა საგნებთან კავშირში განხილვის გარეშე. ამიტომ „კავშირის“ გარეშე დიალექტიკის ბუნება დამახინჯდება. ის, ვინც ამტკიცებს, რომ „კავშირი“ დიალექტიკის კანონი არ არისო, იგი იმ აზრს იცავს რომ ადამიანის აზროვნებას შეუძლია საგნები განიხილოს და შეისწავლოს იზოლირებულად, აბსტრაქტულად. მათი კავშირის გარეშე. მაშასადამე, ვინც ამტკიცებს, რომ „კავშირი“ არ არის დიალექტიკის კანონი, იგი ამახინჯებს წინააღმდეგობის კანონის ბუნებას და ამდენად აზროვნების ერთადერთ კანონად აღიარებს იგივეობის კანონს.

მარქსისტ-ლენინელ უფლებმა არა აქვს დიალექტიკის კანონებიდან „ამოავდოს“ „მომართობა“ და „კავშირი“, რადგან ისინი სინამდვილის უნივერსალური, შინაგანი კანონებია და ამიტომ მოვლენის განხილვა და შესწავლა მათ გარეშე აბსოლუტურად შეუძლებელია. ჩვენ აქ არ ვეხებით დიალექტიკის კანონთა ერთიერთობის სხვა მხარეებს. კერძოდ, ჩვენ

აქ არაფერი ვეითქვამს იმის შესახებ, რომ „მომართობა და კავშირი“ ორგანულად გამყოფი ზღვრული წინააღმდეგობის კანონით, წინააღმდეგობაში, როგორც დიალექტიკის ბირთვში, მოცემულია დიალექტიკის ყველა კანონი, მათ შორის — „კავშირი“ და „მომართობა“. მაგრამ ჩვენ აქ საკითხის ამ მხარეს არ ვეხებით, რადგან ჩვენი კრიტიკოსები ამას არ უარყოფენ. ჩვენი კრიტიკოსები უარყოფენ იმ დებულებას, რომ, წინააღმდეგობის კანონი ორგანულად, შინაგანად განსაზღვრულია დიალექტიკის სხვა კანონების, მათ შორის „მომართობის“ და „კავშირის“ მოქმედებით. ამიტომ ჩვენი მიზანია იყო არა იმის ჩვენება, რომ დიალექტიკის ყველა კანონი განსაზღვრულია წინააღმდეგობის კანონით, არამედ იმის ჩვენება, რომ წინააღმდეგობის კანონი, თავის მხრივ, განსაზღვრულია დიალექტიკის დანარჩენი კანონებით, მათ შორის — „მომართობის“ და „კავშირის“ კანონებით. დიალექტიკის კანონების ურთიერთობა დიალექტიკურია, ისინი ერთმანეთს ასახულებენ და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. წინააღმდეგობის კანონში მთლიანად მოცემულია დიალექტიკის ყველა კანონი, ხოლო დიალექტიკის ყველა კანონში არის წინააღმდეგობა.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიალექტიკის საში კანონი (წინააღმდეგობის, რადენობობივი ცვლილების თვისებობაში გადასვლასა და უარყოფის უარყოფის კანონები) სრულიად არ არის საკმარისი საგნებისა და მოვლენების შემეცნებისათვის. გამოვდივართ რა დიალექტიკის კანონების შინაგანი კავშირის აუცილებლობიდან ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „კავშირი“ და „მომართობა“ დიალექტიკური განვითარების შინაგანი კანონებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის პრაქტიკა და თეორია, ამ უკანასკნელ ხანებში რომ დამკვიდრდა მარქსისტული დიალექტიკის სწავლებისა და მისი პრობლემის დამუშავების საქმეში, სრულიად არ უწყობს ხელს დიგმატიზმის აღმოფხვრას ფილოსოფიაში. პირიქით, ასეთი პრაქტიკა ხელს უწყობს გაურკვევლობისა და ცნებების არაე-დარევის შეტანას ფილოსოფიაში, ასეთი პრაქტიკა სინამდვილეში მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის რვეზიას წარმოადგენს.

თუ ყველაფერი ის, რაც ითქვა, მართალია, მაშინ აქედან შესაფერისი დასკვნებიც უნდა გავკეთდეს: ახალ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო პროგრამებში დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხების გადმოცემა უნდა იწყებოდეს დიალექტიკური მეთოდის ნიშნების გადმოცემით, ხოლო დიალექტიკური მეთოდის ნიშნებში შეტანილი უნდა იქნეს „კავშირი“ და „მომართობა“, როგორც ეს იყო 1954 წლამდე.



ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

1911 წ. 2 სექტემბერს (ძვ. სტილით) რომის მახლობლად, ავარჯ სანტამარინელაში, ხმელთაშენაზღვის ტალღებში დაიღვმა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი მიხეილ თამარაშვილი (მიქაელ თამარაშვილი).

ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ დიდი მწუხარება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. მას ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი პრესა. რედაქციები პროვინციებიდანაც ლებელბოდნენ სამგლოვიარო ღებუშებს. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და მოწინავე ინტელექციონის წარმომადგენელთა კრებაზე ერთხმად დაადგინეს ვადმოუსვენებიათ მკვლევარის ნეშტი რომიდან თბილისში.

ვერდნობდა რა იტალიიდან მიღებულ ცნობებს, „სახალხო გაზეთში“ ასე აღწერდა თამარაშვილის დაღუპვას: „მ. მიქაელ რომიდან წასულა დასასვენებლად სენტა-მარინელას. 2/15 ენკენსთესეს, ერთ თავის ნაცნობთან, მ. ავგუსტოსთან, ზღვისპირად დასეირნობდა. ვიღაც მუშა, ზღვაში საბანაოდ შესული, დანიშნულ საზღვარს გადასცდებოდა და, რადგანაც ცოტა დღეაღაც ყოფილა, იღრნობოდა. მის მისაშველებლად მ. მიქაელის მეგობარი გადახტარა და მას კი თვითონ მიჭაღლი მიამშველგნია. ამ დროს ზღვა უფრო აღღვებულა. მოღარაავე მენავით მუშის გადასარჩენად მიუშურებიათ. ეს უკანასკნელი ვადაორჩენათ, მაგრამ მ. მიქაელისათვის ვეღარ მოუხსრიათ. მხოლოდ ცხედარიღა ამოღლიათ ზეირთებიდან. მისი ამხანაგი კი სრულგებით ზღვას შთაუნთქავს...“)

დაუტყობელი ინტერესი და შრომისმოყვარეობა, მტკიცე ნებისყოფა და ენერგიული სწრაფვა წინსვლისაკენ ეს პიროვნული თვისებები იყო მიხეილისა, რითაც მან შეიღო ჩამორჩენილი და მყარებული კუთხიდან საქვეყნო მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე გამოსვლიყო, მეწაღის დაზვიადან კონსტანტინეპოლის სასულიერო სასწავლებელში მოხვედრილიყო, ესპანეთში ემოგზაურა, შემდეგ რომსა და პარიზში მადლო უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება და ევროპულ ენებსაც ზედმიწევნით დაუფლებოდა.

მ. თამარაშვილი ცნობილია როგორც ქართულ-

ლი საეკლესიო ისტორიის მკვლევარი, კერძოდ, როგორც მკვლევარი კათოლიკური მოძრაობისა საქართველოში.

კათოლიკური მოძრაობა ჩვენში, როგორც ცნობილია, რომის პაპების მრავალსაუკუნოვანი და შეუწყლებელი პრაპაგანდის შედეგი იყო, ამ პრაპ-განდის საფარქვეშ ენერგიულად იყვლებდა გზას დასავლეთ ევროპის, კერძოდ, იტალია-საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი. ამიტომ ცხადია, რომიდან წარმოგზავნილი საეკლესიო კათოლიკური მისიონერთა მთელი „მოღვაწეობა“ კათოლიციზმის გავრცელებისათვის მკვიდრად უკავშირდებოდა, ერთი მხრივ, იტალიისა და საფრანგეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ინტერესებს, შორე მხრივ კი, თვით საქართველოს ზოგიერთ პოლიტიკური წრის მიდრეკილებასაც გამოხატავდა.

კათოლიკე მისიონერთა ცხოვრება-საქმიანობისა და ქართველთა შორის კათოლიციზმის გავრცელების შესწავლის მიზნით მ. თამარაშვილი რომში დასახლდა. თითქმის 15 წლის განმავლობაში იგი თავგამოდებით მუშაობდა ვატიკანის, პალერმოს, ფლორენციის, ნეაპოლის, პარიზის და ევროპის სხვა სიძველეთასაცავებში. მან ბევრი საყურადღებო ისტორიული დოკუმენტი გამოავლინა ქართულ, ფრანგულ, ლათინურ და იტალიურ ენებზე, რომლებიც არა მარტო საწმენოებრივი ურთიერთობის საკითხებს აშუქებდა, არამედ, რაც მთავარია, ნათეს მგენდა, ამ პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, კულტურული ხასიათის საკითხებს, რაც მე-13 საუკუნიდან მოვიღებული აღღვებდა საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს. ამის გამო მეცნიერული ღირებულება 1902 წ. თბილისში გამოქვეყნებულ მ. თამარაშვილის ცნობილი წიგნისა „ისტორია კათოლიციზმისა ქართველთა შორის“, სადაც თავმოყრილია მკვლევარის მიერ წლების განმავლობაში შეკრებილი წყაროების დიდი ნაწილი, ვასცა ავტორის მიზანდასახულობას და მოგვეღვინა როგორც სამოქალაქო ისტორიისათვის მებრად საჭირო და აუცილებელი გამოკვლევა.

მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულ, ქართული ისტორიოგრაფიისათვის მანამდე უცნობი დოკუმენტები, მოუხდლავად იმისა, რომ წიგნის ავტორი მათ საკმაოდ ტენდენციურად იყენებს

1) „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 403.

და ამით ცდილობს გამართლოს ვატიკანის რე-
ლაგიურ-ექსპანსიური პოლიტიკა საქართველო-
ში, თავისთავად შიშველი ძვირფას საისტორიო
მასალას წარმოადგენს, მათი მიუდგომელი შეს-
წავლა გიორგვეს არა მარტო რომისა და ვერ-
სალის დაპყრობითს ზრახვებს, შიშველს იდ-
მოსავლეთის ქვეყნებისაკენ, არამედ კარგად
აშუქებს თვით საქართველოს საშინაო მდგომარე-
ობასაც, საყურადღებო ცნობებს იძლევა ჩვე-
ნი ხალხის ზნეჩვეულებებზე და შრომა-საქმიანო-
ბაზე, თურქო-მალთა და სპარსთა თარეშისა-
გან განარაგებული და დაუძღვრებელი ქვეყნის
უშიშრო მდგომარეობაზე, ტყვეთა ვაჭრობისა და
გზირულ თავდაცვის ბრძოლებზე, მისიანერთა
უშვიდგო ცდებზე ვაჭრეცლებიანთა კათოლი-
ციზმი მთელ საქართველოში და სხე.

წიგნში თავიუყრილ სახეობებს შორის ვნახუ-
ლობთ ქართველ მეფეშთავართა წერილებს რომ-
ისს შებებისა და მათ კარდინალ-ლეიტეპოსიტის-
სადში, რათაც საქართველოს პოლიტიკური მეს-
ვეტრები სასოებით თხოულობდნენ რეალურ და
ქმედითს დახმარებას მაქსიმალიანურ სახელმწი-
ფოთა შემოტევისისაგან სამშობლს გადასარ-
ჩინად; კეთილობით საპასუხო წერილებსაც.
რომლებიც სახეა „უნიტარესი პაპის“ „მოცო-
ქულმბრევი ლოცვა-კერთხეით“ აღსავსე ცა-
რგილი დაპირებებით, „ზეცუფი სუფევის“ და-
მკვიდრების სერეილებით და ცნობებით იმის
შესახებ, რომ „სულერი“ დახმარებისათვის რომ-
მიდან პროპაგანდის კანკრეცაციის მიერ საქარ-
თველოში იგზავნებოდა ლომინიკელი, ფრანცის-
კელი, თეათინელი, ან კათეციანელი მისიონერი
ბერები: აქვე ვცნობით ამ მისიონერთა მოხსენ-
ებებსა და ანგარიშებს, სადაც რელიგიური სა-
სოების შეფერილ სტრატეგიათა შორის ვხვდებით
რეალისტურ სურათებს იმდროინდელი ყოფი-
ცხოვრებიდან.

საქართველოს ისტორიის მკვლევარი გვერდს
ვერ აუვლის მ. თამარაშვილის შრომაში წარმო-
დგენილ იმ უცხოურ წყაროებს, რომლებიც და-
ბრტბით ცნობებს ვაჭრედიან ლაშა გიორგის,
რუსულან დედოფლის, ა. მხარაგაძელის, გიორ-
გი ბრწყინვალის, ლუარსაბ და სიმონ მეფეების,
გიორგი სააკაძის, ნიკიფორე ირბახის, თეიმურ-
აზის, ვახტანგ მეექვსის, ს. ს. ორბელიანის,
ერეკლე მეორის, სოლომონ მეორის და სხვა
ისტორიულ პირობა სახელმწიფოებრივ-ეკლერ-
ტული მოღვაწეობის შესახებ.

წიგნს მრავალი მეთოდოლოგიური ნაკლიც
აქვს, რაც რასაკვირველია ავტორის არასწორი
იდეოლოგიიდან გამომდინარეობს. თავის განკარ-
გულებაში არსებულ უხე ფაქტობრივ დოკუ-
მენტურ მასალას, სხვათა შორის, იგი ძლიერ
შეზღუდულად იყენებს, თანამხაღ თავისი ვიწ-
რო რელიგიურ მიზნებისა. ავტორი ხშირად
ამოკლებს და კვეცს საბუთებს თავისი თვალსა-
რისის შესაბამისად, ანდა სულ ტოვებს მათ იმ
საბაბით, რომ საეთის არ შეეხებოდა, ცხადია, ვა-
9. „მნათობი“, № 7.

ცოლებით უკეთესი იქნებოდა, რომ შრომის დო-
კუმენტების კრებულს სახე მისცემოდა. მა-
შინ მკვლევარის მიერ მოპოვებულ მასალებზე
მთელი სისრულითა და წყურველობით წარმოად-
გებოდა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მ. თამარაშვი-
ლის მიერ იტალიიდან მოწოდებული სხვა სახის
სისტორიო მასალებიც: მათ შორის აღსანიშნა-
ვია კატელისეული სურათების ალბომი, რომე-
ლიც მკვლევარმა 1905 წ. იბოვა სიცილიაში,
პალერმოს სამოქალაქო ბიბლიოთეკის საცლაში.
ქრისტიანული კატელი, თეათინელი ორდენ-
ის ბერი და ამავე დროს მხატვარი, მე-17 სა-
უკუნეში მოსულა საქართველოში, როგორც მ-
სიონერი. აქ მის დაუბატავს გამოჩენილ იდი-
მიანთა და მცხოვრებთა ტაძების პორტრეტები,
გადაღლია საქართველოს სიძველენი და ხალ-
ხის ზნე-ჩვეულებათა ამსახველი სურათებიც
შეურთულებია. მ. თამარაშვილმა იტალიაში მი-
ცვლილ კატელის მრავალფეროვან ილუსტრა-
ციებიდან შეარჩია, ფოტოგრაფიულად გადაიღო
და საქართველოში გამოგზავნა 137 სურათი,
რომელთა შორის არის გეროელებისა და ი-
დიმანების, ელენე ათაბაგის ასულის, გიორგი
მეთიასა და თეიმურაზ მეორის, ნიკიფორე ირ-
ბახის, გიორგი სააკაძის და სხვათა სურათები.
მთელი ეს ფოტომასალა, რომელსაც დართული
აქვს მ. თამარაშვილის წინასიტყვაობა, ინახება
საქართველოს მუზეუმში. მას უდიდესი მნიშვნე-
ლობა აქვს ქართული ეკლტურის ისტორიი-
სათვის.

საქართველოს შესახებ მასალების ძიებისას
მ. თამარაშვილი არ იფარტებოდა არჩეული
თემით და დიდ ხალხით აწვდიდა ქართველ
საზოგადოებას იმას, რასაც კი უცხოური პო-
ულობა თავისი სამშობლოს წარსულის მანიშ-
ნებლად. ამ მიზნით იგი ქართულ პრესაშიც
თანამშრომლობდა: 1903 წ. გაზეთ „ივერიაში“
გამოაქვეყნა სტატია, სადაც მკითხველს აცნო-
ბებს, რომ ბევრი ძიების შემდეგ მიაგნო ვახუშ-
ტის საქართველოს ისტორიას“, რომელიც სხვა
ხელნაწერებთან ერთად, ინახება ვატიკანის ბი-
ბლიოთეკაში. ავტორს მოკლედ აღწერილ
აქვს ეს წიგნები და საგანგებოდ ჩერდება ვა-
ხუშტის ისტორიაზე, ჩანს, იგი დაინტერესებუ-
ლი ყოფილა სახელოვანი ვეოგრაფის ცხოვრე-
ბა-მოღვაწეობით. როგორც ვინმე მესხ ა. გვა-
ჩაძამისადმი მიწერილ ერთერთი წერილიდან
ვხვებლობთ, მას დაუდგენია ვახუშტის რომში
ყოფნის ფაქტი. ასევე დიდ ყურადღებას იჩენ-
და მკვლევარი ს. ს. ორბელიანის მიმართაც,
რომლის ეგროპაში მოგზაურობის ამსახველ
წერილებში და სხვა დოკუმენტები მან შეიტანა

1 მ. თამარაშვილის წერილები ვინმე მესხი-
სადმი დაეუღლია ახალციხის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმში.

თავის წიგნში, ზოლო ზოგა მათგანი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია.

მის. თამარაშვილი დიდი სამსახური გაუწია ქართულ ფოლკლორისტიკას. როგორც ცნობილია, ნეპოლში მან აღმოაჩინა მისიონერ ბერნარდო ნეპოლის მიერ საქართველოში ყოფნის დროს მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ხალხური ზღაპრების ტექსტები, რომელთა ნიმუშებია გადმოწერა და თბილისში გადმოგზავნა. ამ შემთხვევამ საშუალება მისცა ჩვენს მკვლევართ ქართული ფოლკლორის ისტორიის სათავე მე-17 საუკუნეში გადაეტანათ¹. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ წელს მიიღო იტალიიდან ბერნარდო ნეპოლის მიერ ჩაწერილი ზღაპრების მკარათულში და აზერბაიჯანულ, ჩვენ უკვე მოგვებოვება თამარაშვილის მიერ მიგნებული ისტორიული ფოლკლორული ტექსტების სრული კრებული, რომელიც შზადდება დასაბეჭდად.

ამ დაუღალავი მკვლევარის კვლამ ეკუთვნის კიდევ მეორე კვალიტატიური შრომა. ეს არის 1910 წელს რომში ფრანგულ ენაზე გამოცემული „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენ დრომდე“. ამ წიგნმა გარკვეული როლი შეასრულა ევროპისათვის ქართული ეკლტურის განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში.

მართალია, ქართული ეკლესიის ისტორიის უძველესი პერიოდების გამოქვეყნება აქ უკრიტიკოდ ვეყარება ლეგენდარულ წყაროებს და გულუბრყვილოდ მისდევს ბიბლიურ თქმულებებს, მაგრამ სავლესით ამხები ავტორს მკიდროდ აქვს დაკავშირებული ქვეყნის რეალურ-ისტორიულ ცხოვრებასთან და მკითხველებს უხვად აწვდის ფაქტურ მასალას, რომელიც კარგად გვიჩატავს საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას. წიგნის პირველ თავებში ავტორი ძლვეა ზოგად ცნობებს ქართველთა ერის ვინაობის გარკვევისა და მისი საერთო დახასიათების მიზნით, რისთვისაც იშველებს გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და სტატისტიკურ მონაცემებს. პოლო თავებში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ზანჯასმით გამოიყოფს საქართველოში კათოლიკობის გავრცელების ისტორიას და ერთ-

გვარად ახეიადებს რომის მისიონერი მოძრაობის მნიშვნელობას. წიგნი მდიდარად არის ილუსტრირებული ძველი საქართველოს ყოფილი ცხოვრების ამსახველი და ქართული ტამარ-მონასტრების, თუ სხვა ისტორიული ძეგლების კარგად შესრულებული სურათებით, მას დართული აქვს აგრეთვე რუკებიც.

როგორც ჩანს, ამ გამოკვლევას ევროპის მამინდელ მკითხველებში დიდი ინტერესი გამოუწვევია. წიგნის ავტორი გ. ყიფშიძისადმი რომიდან მოწერილ წერილში აღნიშნავს, რომ მისი შრომის შესახებ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში 50-მდე დადებითი ხასიათის რეცენზია გამოქვეყნდა.

მ. თამარაშვილი დაუღალავად და გატაცებით მუშაობდა სიძველეთმასაცავებში ახალ-ახალი საისტორიო საბუთების დასაგროვებლად. „ამათ ძენაზე, — სწერს იგი ვინმე მესხს, — ძლიერ დიდ შრომას ვებმ. ყოველდღე ვატაკანის არხლებში მივდივარ. ვეძებ. იმისთანა წერილების საძიებელი არასდერი არ არის. ზომიერად 40 — 60 ტომებს და ათასობით ფურცლებს ვფურცლამ და ზოგჯერ სრულებით ევრაფერს ვმოვწულობ. ზოგჯერ უტბად და მოულოდნელად შესანიშნავს და სასიამოვნო ქაღალდებს შევჭვდები. კიდევ ბევრი დრო უნდა, რომ ამისთანა დოკუმენტები ყველა შემოვიკრიბო. შე რაც შემოიღია არათერს ეზოგამ და იმედი მაქვს ღმერთიც შემეწვევა და ეს დიდად სასარგებლო საქმე თავში გავიტანო...“¹

მ. თამარაშვილს სახსოვრად რომში დაუბეჭდათ ფაქტად შესრულებული მხატვრული დია ბარათი, რომლის ერთ გვერდზე მიხეილის პორტრეტი და მისი საფლავის ძეგლის წარწერის ფრანგული ტექსტია შითავსებული, ზოლო მეორე გვერდზე საეკლესიო-რელიგიური გამოსახულება. პორტრეტის ქვეშ წარწერის ზოგიერთი სტრიქონი ქართულად ასე იყითხება: „აბატი მიქელ თამარათი. უბასუხა რა დასაღუბად განწირულს ხმას, თვით დასდო თავი თვისი და დიდილა ერთდელთა თავისი მოვალეობისა სანტა-მარინელს წყლებში, 16 სექტემბერს 1911 წ... სამარადისოდ დარჩენა ხსენა მისი ტრაგიკული გმირობისა, ხსოვნა მის-საწონობისა...“

¹ გ. ვირსალაძე, მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის. ლტერატურული ძიებანი. IV, 1948 წ.

¹ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მ. თამარაშვილის წერილები ვინმე მესხისადმი.

მალა ნუსხიძე



ქართული კულტურის საკითხები და ჩემი მოკავათენი დასაზღვეთის მცენიერებაში

დასავლეთის მეცნიერება, განსაკუთრებით, მისი ბიზანტინოლოგიურ-ორიენტალისტური ფრთა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ჩვენი კულტურის ისტორიის საკითხებს. ეკრძოდ, ბალავარიანის საკითხისადმი გასული საუკუნის მიწურულიდან (1896 წლიდან, როცა გამოვიდა ფრანგი მეცნიერის ზოტენბერგის ცნობილი „შენიშვნები“) დღემდე ინტერესი არ ცხრება. პრობლემას თავდაპირველად ევროპული ინტერესი ედო საფუძვლად და ამის გამო საყვედ საკითხად იქნა გამოცხადებული — საიდან გაჩნდა ბერძნული რედაქცია ბალავარიანისა, სხვათადად რომ ვთქვათ, დაიწერა რომანი ვარლამისა და იოდანათის შესახებ პირდაპირ ბერძნულად თუ იგი გადაღებულია ანუ თარგმანია, და თუ ეს ასეა — რომელი ენიდან და ენაა ამის შემსრულებელი?

ცნობილია, რომ ბელგიელმა მეცნიერმა პაულ პეტერსმა 1931 წელს წამოაყენა, საკითხის დოკუმენტური შესწავლის შედეგად, დებულება, რომ ბალავარიანის ბერძნული რედაქცია გადმოღებულია ქართული ენიდან ათონის ქართული მონასტრის ეკთვითი ივერის მიერ (ცხოვრობდა დაახლ. 955-1028 წ.). ეს აზრი გაიზარა რუსული მეცნიერების წარმომადგენლებშიც და ამ პერიოდს რუსულ აღმოსავლეთმცოდნეობაში „ბალავარიანის პერიოდი“ ეწოდა (იხ. ამის შესახებ ЗВОРАО ტ. 14-16). პეტერსის დებულება აღიარებული იყო დასავლეთის მეცნიერებაში ვიდრე 1953 წლამდე, როდესაც იგი შეეცა კამათის საგნად გამოაცხადა დასავლურ ბიზანტინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის წარმომადგენელმა — პროფ. ფრანც დელგერმა, მიუნხენის უნივერსიტეტის ბიზანტინოლოგიური კათედრის ორდინარისმა და ცნობილი გერმალის Byz. Zeit.-ის რედაქტორმა (იხ. მისი ნაშრომი „ბერძნული ვარლამის რომანი, არის თხზულება წმ. იოანე დამასკელისა“, ეტრალ, 1953 წ., დაიბეჭდა სერიაში: „ბატონისტრიული და ბიზანტინური ნარკვევები“, 1. გერმანულად).

პროფ. ფრ. დელგერი გამოჩენილი მეცნიერია დასავლეთში და მისი წიგნი სათანადო ვრუ-

დისისა და არგუმენტაციის სიმბებილით აღინიშნება. მით უფრო სავალალო იყო, რომ ასეთი ნარკვევი მიმართული იყო ჩვენი კულტურის გარკვეული მონაკვეთის ძირების დანგრევისაკენ. შევძლებელი იყო, რომ ქართულ მეცნიერებას ასეთი ვრუდირებული და მომზადებული მოწინააღმდეგის თავდასხმის სიმწევე არ ეგარძნო. მაგრამ, საბედნიეროდ, უფრო ახლობლივმა, დოკუმენტრმა და მეთოდოლოგიურმა დაციონებებმა ნათელი გახადა, რომ მეცნიერება გაცილებით უფრო შეტი მოცულობის მიზანი დაისახა, ვიდრე საცარისი იქნებოდა მისი მეცნიერული შესაძლებლობანი ამ კონკრეტული შემთხვევისათვის, ე. ი. რომ ქართულ კულტურას, მის მწერლობასა და აზროვნებას თითქოს არ ჰქონდა მონაკვეთი ისეთი დიდი საქმის გასაყვებლად, როგორც იყო ბერძნულ კულტურაში, და ამ გზით დასავლეთისაში, ისეთი ძველი შეტენა, როგორც იყო ბალავარიანის ვითომცდა ქართულიდან თარგმანება.

პროფ. დელგერის წიგნი დაწერილი იყო უარესად პოლემიური ტონით და წარმოადგენდა ძირითადი დოკუმენტების დისკრედიტაციის ცდას. თავდაპირველად მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამეცნიერო წრებში. არ შეიძლებოდა მის წინააღმდეგ გამოსვლის გადადება. მართალია, მას თითქმის ყველა დასავლურ ენაზე გამოეხმაურნენ, მაგრამ აუცილებელი შეიქნა მის წინააღმდეგ იმ ქვეყნის მეცნიერების შირეც გამოსვლა, რომელსაც დელგერის თავდასხმა პირდაპირ ეხებოდა, ე. ი. ქართული მეცნიერების შირეც, ამ მიზნით დაეწერა მე სამასუბო ნარკვევი რუსულ ენაზე: „К происхождению греч. романа Варлама Иосиф“, რომელიც მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1956 წელს. ფრ. დელგერის წინააღმდეგ სხვებაც გამოვიდნენ, ზოგი — ჩემი წიგნი გამოქვეყნებამდე, მაგალითად, ფრანსუა პავლევი — ევროპაში და დანევი — ამერიკაში, ზოლო ზოგიც ჩემი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, — მაგალითად, პაულ დევი „ანალიტიკა ბოლანდიანის“ ერთ-ერთი რედაქტორი.

პროფ. დელგერის წამოწყება ჩაეარდა, მან ვერ წამოაყენა ვერც ერთი საბუთი „ბალავარიანის“ ქართული წარმოშობის წინააღმდეგ და, იოანე დამასკელის, ვითარცა ავტორის, სასარგებლოდ.

ამდენად, გუგუებობად უნდა ჩითვალოს, როგორც ეს აღნიშნული იქნა ჩემ მიერ ერთ-ერთ ნაშრომში „მწიგნობრობის“ ფურცლებზე, ჯერარ გარტიის ცდა, შეექმნა შთაბეჭდილება იტალიის ერთ-ერთ კონგრესზე წაქთხულ მოხსენებაში, რომელსაც პროფ. დელგერიც ესწრებოდა თითქოს პროფ. დელგერის გამოხსენებამ დაეკარგა თავისი პოზიცია. დღეს მსოფლიო მეცნიერებაში, მიუხედავად დელგერის უდავოდ ძლიერი გამოხსენების, ურყევად და დარწმუნებით თეზისი, რომ ბერძნული ბალავარიანი ქართულიდანაა გადაღებული და ეს შრომა შეასრულა ქართული კულტურის მოღვაწე მე-10-11 საუკუნეთა მიჯნაზე ექვთიმე ჯვარცმა, როგორც ეს 1931 წელს დადგინდა პულ ბეეტერისმა თავის ცნობილ გამოცემაში.

მაგრამ აღნიშნული დისკუსიის დროს წამოიჭრა რიგი საკითხები, რომლებიც აქტიურად გახდა როგორც ძირითადი თეზისის დასამტკიცებლად, ისე მის გასაფრთხილებლად. ასეთ საკითხთა შორის მითითებია: 1. ქართული და ბერძნული ტექსტების ურთიერთობა, 2. ქართული ტექსტის წარმოშობისათვის, ჩემთვის სრულიად აშკარა იყო, რომ შეუძლებელია ბალავარიანის ბერძნული რედაქციის ქართულთან ურთიერთობის შესახებ მსჯელობა, უფრო ნათელი არ გახდებოდა მათი ტექსტობრივი მიმართება. ერთგულად იყო, ვისმე უნდა ეყარა ბალავარიანის ბერძნულ-ქართული ტექსტის შედარებითი ანალიზი. ეს საქმე არ იყო, ჩანს, აღვლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი სპეციალისტები — ზოტენბერგი, ნიკო მარი და პეტერსი ამ საქმეს გააყოფებდნენ. ისე კი, როგორ შეიძლება ქართულ-ბერძნული ტექსტების მიმართების გარკვევა, თუ მათი შედარება არ გაკეთდებოდა.

მე ვცადე ასეთი შედარების გაკეთება და არც ერთ ჩემს მოყვამთეს და, მათ შორის, ისეთს, როგორცაა ბოლანდისტი პულ დევი, ერთი სიტყვაც არ უთქვამს მის საწინააღმდეგეთ თავისი ლეაქტიანი წერილში ჩემი ნაშრომის გამო (იხ. მისი წერილი „ბერძნული ბალავარიანის წარმოშობისათვის. ბ. ნუცუბიძის ახალი თეზის გამო“. „ანალიტიკა ბოლანდიანა“, (75, 1957 წ.). ამდენად, ჩემი ტექსტობრივი შედარება „ბალავარიანის“ ქართული და ბერძნული რედაქციებისა რჩება ძალიან მანამდე, ვიდრე რომელიმე მკვლევარი მის უარყოფას არ წარმოადგენს ასეთივე შედარების გზით. არ შეგეზობა ამ ჩემს შედარებას არც პროფ. ფრ. დელგერი, თუმცა იგი ვრცელ საბასუბო შრომის ამზადებდა ჩემ წინააღმდეგ, როგორც ამის წე-

რილობით მაცნობებდა (1957 წელს), რაც შეეზება ჯერარ გარტიის, ის ჩემი მისამართით გამოსვლის დროს (რომში კონგრესზე 1956 წ.) ჩემს ნაშრომს ბერძნული ბალავარიანის წარმოშობის შესახებ ჯერ კიდევ არ იცნობდა და, როგორც აღნიშნავს, ემყარებოდა „მნათობში“ გამოქვეყნებულ ჩემს წერილს (1956 წ.)¹.

პროფ. დელგერი, როგორც მოხსენებულ წერილში თვითონვე აღნიშნავს, იცნობდა პულ დევის ვრცელ კრიტიკულ წერილს ჩემს წიგნზე, ეთანხმებოდა მას და ზოგ რამეში მეტის თქმასაც ამბობდა ჩემ წინააღმდეგ, როგორც ამას თავიანთობით მატყობინებდა. ამრიგად, თუ ჩემი მოყვამთენი არ შეეხენ ძირითად დასაყრდენს — ბალავარიანის ქართულ-ბერძნული ტექსტების ვრცელ შედარებას და იგი თუ არ მიიღეს, დაუშვეს მაინც და კამათი არ გამიმართეს, მეორე საკითხის — თვით ქართული ტექსტის წარმოშობის შესახებ სხვა მდგომარეობა შეექმნა.

აღვლი ვასაგებია, რომ ბალავარიანის ქართული ტექსტის წარმოშობის საკითხი დაუყოვნებლივ გადაიქცა საკითხად იმ კულტურული გზის შესახებ, რომლითაც აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადადიოდა ისეთი ძეგლები, რომლებიც იყო თქმულება ბუდის შესახებ, ასახული ბალავარიანისში. რამდენადაც ამ თვალსაზრისში თავისი გამოხატულება პოვა ისეთი მიმართულებით, რომელიც, მართალია, დაუპირდაპირად ჩემს დებულებებს, მაგრამ უბრალო განცხადებით შემოიფარგლა, ამდენად დღევანდელი ჩემს პასუხს ბალავარიანის შესახებ მოყვამთეთა წინააღმდეგ მე მხოლოდ სამი ავტორით შემოვსახლავა.

მითავარი ჩემი ოპონენტი დღესდღეობით არის პულ დევი და მეც არსებითად მის შენიშვნებზე შევამჩრებ ყურადღებას; მეორე: პროფ. ფრ. დელგერი ფაქტობრივად უფრო მეტი დიდი მოწინააღმდეგეა ჩემი, მაგრამ ეს ეხება მის წიგნს, ხოლო ჩემი წიგნის შესახებ მისი შენიშვნა უბრალო ბიბლიოგრაფიული ქრონიკით განისაზღვრება და არსებითად, როგორც ვნახეთ, დამოუკიდებელი არაა. პროფ. დელგერი გვიპირდება, საფრანგეთი პასუხის დაწერას და ჩემი პასუხი, ბუნებრივია, გადაიდება. შესამე ავტორი ჯერარ გარტიანა. იგი, თუ მთლად აშკარად არა, მაინც პროფ. ფრ. დელგერს იცავს და, ამავე დროს, ქართული ბალავარიანის წარმოშობის საკითხში არ შეთანხმება, თუმცა, როცა ის ამის შესახებ წერდა, ჩემს არგუმენტაციას ამ საკითხის გამო მთელი სისასტიკით არ იცნობდა.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ ვინც ქარ-

¹ ჯ. გარტიი „ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორია სამოულო საუკუნეებში“, რომი, 1957 წ.



თელი კულტურის საკითხების კვლევა-ძიებით დაინტერესებულია და ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობისათვის არ იშურებს დროსა და ენერჯიას, უდავო პატივისცემისა და მადლობის ღირსია იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ეს კეთილი წამოწყება ხანდახან სმაართეს დამზარებელია და სასურველ შედეგს არ იძლევა.

ჩვენ მოკამათით შორის პ. დევო საინტერესოა იმ მხრივ, რომ ის ურყევად დარჩა იმ შეხედულების ნიადაგზე, რომელიც ტრადიციად დამკვიდრდა პ. პეტერსის შემდეგ. ამიტომ პ. დევოსთან არაა საკამათო საკითხი ექვთიმე ივერის ავტორობისა. პ. დევოს სხვა, უფრო ახალი საკითხი ინტერესებს ჩემს ნაშრომში. ეს არის, რასაც ის „ბატონ ნუცუბიძის ახალ თეზას“ უწოდებს და რომლის კრიტიკული განხილვისათვის გამიზნულია მთელი მისი ოცდასამი გვერდის შემცველი, ზემო დასახელებული წიგრილი. ეს ახალი თეზა ეხება ბალავარიანის ქართულ რედაქციას, რომლისაგან ბერძნული რედაქციის გაკეთება სადავო არაა ჩვენ შორის.

თავისთავად საკითხი ბალავარიანის ქართული რედაქციისა არ იყო ახალი და, როგორც ეს ვრცლადაა ნაჩვენები ჩემს გამოკვლევაში ბერძნული ბალავარიანის წარმოშობის შესახებ, იგი მრავალჯერს გერ კიდევ პ. პეტერსისა და იყენებდა. მაგრამ არც პეტერსისა და არც სხვებს არ მიიჩნდათ ავტორებად ბერძნული ბალავარიანის წარმოშობისათვის ქართული ბალავარიანის კვლევა. ჩემთვის კი ნათელი გახდა, რომ ბერძნული ბალავარიანის ქართულიდან ბერძნულად ექვთიმე ივერის მიერ გაკეთება გერ დამტკიცებოდა, თუ დადგენილი არ იქნებოდა, — როდეს, როგორც და ვის მიერ შეიქმნა ქართული რედაქცია ბალავარიანისა. აქ „სიახლისთვის“ ნიადაგი არ არსებობდა, რადგან საკითხის იმთავითვე დაყენებაში, რაც ქართული ენიდან ქართული მწიგნობარის მიერ ბერძნული რედაქციის შექმნას გულისხმობდა, უკვე შედიოდა თავისთავად საკითხიც ქართული წყაროს წარმოშობისათვის. ბალავარიანის ქართულ რედაქციის ჰქონდა რაღაც ვარკვეული, სრულიად კონკრეტული ნიშნები, რომელიც ანალიზი და მისი ბერძნულ რედაქციაში გადასვლის გეზი ასევე გამოკვეთილი მეცნიერული პრობლემა იყო. მეცნიერული კვლევა, ე. ი. შედარებითი ანალიზი ქართულ-ბერძნული ტექსტისა მხოლოდ მაშინ იქნებოდა არა მწინდა მეცნიერული გადატანის ახსნა ქართულიდან ბერძნულზე, არამედ იმის დადგენა, საიდან წარმოიშვა ქართული დედნის თავისებურებანი. ვისაც ეს არ ესმის და ფიქრობს, რომ მთავარია ფაქტი ქართული ბალავარიანის თავისებურებათა ბერძნულ ტექსტში გადატანისა, მან უნდა დაუშვას, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — რას წარმოადგენდა ქართული ტექსტის თავისებურება; კომპოზიცია, იდე-

ური წყობა, მიზანი, მტკიცების ნაირობა, ფაქტურა და სხვ.

ყველა ეს მომენტი ქართულ-ბერძნულ ტექსტების მიმართებისათვის გადაწყვეტილია და ამდენად, იმთავითვე იგულისხმება, როგორც ავტორებელი. ამდენადვე, უდავოა რაღაც სიახლეზე ლაბარაკი ქართული ბალავარიანის წარმოშობის კვლევისას.

ბალავარიანის ქართული რედაქციის წარმოშობას რომ მიმმართველი მნიშვნელობა აქვს, აშკარაა იქედან, რომ ეს საკითხი მაშინვე გადაიზარდება საკითხად იმ გზის შესახებ, რომლითაც აღმოსავლეთიდან, ინდოეთიდან, დასავლეთისაგან წარმოიპოვება განვითარების გზა. ეს უკანასკნელი ასაბუთებს, რომ ქართული ბალავარიანის წარმოშობის გზა უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ბერძნული რედაქციისათვის. აქ ისმება საკითხი ორგანიზაციის გზის შესახებ: პირდაპირისა და შემოვლილისა. პირველი გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვევა, რომ ინდური თქმულება პირდაპირ აღწევს ქართულ გადაშენებებამდე და ასეთი სახით, ე. ი. ქართულად გაკეთებული ბალავარიანის რედაქციით, საფუძვლად ედება ბერძნულ რედაქციას. ამ გზის პირდაპირობა გამოიხატება მის სიმოყვარულში, უშუალოდ ინდურიდან ერთი საფეხურით-ქართულისაგან ბერძნულისათვის გადაცემასში.

თუ გამოვიყენებთ მოგვიანო ფაქტს ქართული (მოსხურ-კლარჯული) სინაქსარის მიერ იოდასაფის „ქართულ მწიგნობარ“ წოდებისას, შეიძლება იმდენი თქმულების დასავლეთისაკენ წარმოიპოვების გზისათვის გვეწოდებინა ქართული გზა. ინდური თქმულება უშუალოდ გახდა ცნობილი ქართული მწიგნობრობისათვის, როგორც დამუშავების მასალა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის ერთ-ერთ პუნქტში, რაც შემდეგ გახდა წყარო ბერძნული რედაქციისა, უხადია, რომ ასეთი წარმოშობის გზა უნდა აღბეჭდილიყო ქართულ რედაქციაში, რასაც შეეძლო აეხსნა ზოგიერთი მომენტი, ქართულიდან ბერძნულში გადაცემული. ასეთია, მაგალითად, იგავი მთესველის შესახებ, რაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ შემოვიღოდა ქართულ ქრისტიანულ ბალავარიანში ვერც ინდური და ვერც არაბული გზით, თუ ქართულ რედაქციას მოგვიანო ხანისათვის (შავ. მე-9 სუფენისათვის), არ ვადმოვიტანთ, რისი უფლებაც ჩვენ ლოკუმენტურად წარმოვიღოთ გვაქვს.

აშკარაა, რომ ბერძნული ბალავარიანის რედაქციის ახსნა-გაგებას, უკეთეს ჩემი მოკამათე ქართული წყაროს მიმხრედ გამოდის, ესაჭიროება ქართული ბალავარიანის წარმოშობის, ე. ი. მისი დროის შედგენილობის და ავტორის შესახებ საკითხის დასმა და, ამდენად, პ. დევოს მიანცადამაინე არ ჰქონდა უფლება „ბა-

ტონ ნეცუბიძის ახალი თეზის* შესახებ ელაპარაკა. ცხადია, ქართული ბალავარიანის ავტორის საკითხი რომ ვინმეს დაეყენებინა და დამუშავების შედეგად ვინმე წამოეყენებინა, როგორც შესაფერისი და დოკუმენტურად გამართული პრეტენდენტი, ხოლო, მე, ამისგან განსხვავებით, სხვა ვინმე პირი წამოეყენებინა, მაშინ შედეგობადა „ახალ თეზისზე“ ისეთივე მნიშვნელობით წერა, როგორც ახალ ავტორზე. მაგრამ განზე რომ დარჩეს საკითხის ასეთი გაგების სიფიქრით, თვით ასეთი დასკვნაც კი შეუძლებელი აღმოჩნდებოდა მისთვის საჭირო წინამძღვრების არ არსებობის გამო.

მართლაცა, საკითხი ქართული ბალავარიანის ავტორის შესახებ არ დასმულა სპეციალურად და, მით უფრო, ჯერ არც გადაწყვიტილა. ბალავარიანის ქართული რედაქციის კვლევა რომ კანონიერი და მეცნიერულად გამართლებული საკითხია, ეს უკვე დადასტურდა. ასეთ დადასტურებას წარმოადგენს ქართული ბალავარიანის შიგნით ვერსიის გამოკვლევა ანუ აღმოჩენა იერუსალიმის სპატრიარქო ბიბლიოთეკის № 140 ხელნაწერის სახით. ამ გარემოებამ გაართულა ბალავარიანის ბერძნული რედაქციის წყაროს ძიების საქმე, რადგან დაიხსნა საკითხი ერთ-ერთი ქართული ვერსიის პრინციპის შესახებ როგორც წარმოშობის, ისე ბერძნული რედაქციისათვის დასაყრდენად გამოყენების თვალსაზრისით.

ქართული ბალავარიანის ხელნაწერის № 140 ფორტი მე ხელდა მქონდა, როდესაც ვამუშავებდი საკითხს ბერძნული ბალავარიანის წარმოშობისათვის და სათანადო შედარებითი ანალიზის შედეგად გარკვეული დასკვნებიც მივიღე. საკითხის შემდგომმა შესწავლამ არ მომცა საფუძველი, რომ ადრე მიღებული დასკვნები უარყოფილ ან მოთმით რაიმე ცვლილება შემეტანა.

ჩემი მოკმათუ პაულ დევო იცნობს, რა თქმა უნდა, ამ მიკროფილმს, რომელიც ჩვენ მივიღეთ, უცხოეთიდან, მაგრამ გულდასმით არ შეუსწავლია. ამიტომ იგი კმაყოფილდება განცხადებით, რომ საკითხი უნდა გარკვევს, მანამდე კი, სერიოზული კამათის ნაცვლად მე-კამათება იმ სრულიად უმნიშვნელო გარემოების გამო, თითქმის მე პროფ. რობერტ ბლეიკის მიერ უკვე აღმოჩენილი ბალავარიანის ტექსტის ხელშეორედ აღმოჩენაზე ელაპარაკობდე.

პ. დევოს ეს შენიშვნა სრული გაუგებრობაა. ნაცვლად იმისა, რომ ჩემთან იერუსალიმური ტექსტის (№ 140) შესახებ არსებული კამათი ვაიმართა, პ. დევო და, ფრ. დელვერი სარგებლობენ სიტყვა „აღმოჩენის“ (ფრანგ. decouvrir გერმ. entdecken) ორპაროვნობით და ასკენიან, როგორც აღნიშნა, თითქმის მე ვამცირებდე რობერტ ბლეიკის როლს აღნიშნული ტექსტის პირველი მითითების საკითხში. (ი. პ. დევო „ანალ. ბოლანდ“. 75, 1947 წ. გვ. 97). სპეცია-

ლური მეცნიერების მიერ უცხოეთში იგი აღნიშნული ქართული ბალავარიანის ახალი ვერსიის The newly discovered Georgian text-ის როგორც „ახალი აღმოჩენილი იერუსალიმური ქართული ტექსტის“, შესახებ.

ქართული იერუსალიმური ტექსტის (რომელსაც მისი ზედწერის მიხედვით შეიძლება ეწოდოს „იოდასაფიანი“: მისი ზედწერაა „ცხოვრება ნეტარისა იოდასაფიანის“) შესახებ ჩემს გამოკვლევაში ორგზის მიუეთითებდი რობერტ ბლეიკზე და ვამბობდი, რომ მის მიერ იქნა 1925-6 წელს „მიგნებული და აღწერილი „იერუსალიმის სპატრიარქო ბიბლიოთეკაში ხელნაწერი № 140. ამასთან, თვით რ. ბლეიკის ნაშრომიც მქონდა დასახელებული (იხ. რიბ. ბლეიკი, „ქართულ ხელნაწერთა კატალოგი“, ფრანგულად, მოთავსებული „Revue d. l' Orient“-ში, ტომი 25, 1925-26, 10 გვ. 143). ამდენად, სრულიად უსაფუძვლოა პაულ დევოსა და ფრ. დელვერის მიერ ჩემდამი საყვედური. ბლეიკის შეუფასებლობისა და მისი „აღმოჩენის“ თითქმის მისაყვრებობისათვის. მართალია, მე ჩემს გამოკვლევაში ელაპარაკებ იერუსალიმური ტექსტის „ახლად აღმოჩენის შესახებ“, მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია იმ კამათის შემთავაზე, რომელმაც იერუსალიმის ბიბლიოთეკის ეს ტექსტი მიაკვლია, მიკროფილმზე გადაიღო და როგორც სხეულისთვის, ისე ჩვენთვისაც იგი მისამუდომი გახადა. ეს მიკროფილმი (გაცვლის წესით) მიიღო სპე. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, (ლიტურტი ვ. უზნაძე). მიკროფილმი გამოვლენილ იქნა და სხეუთან ერთად მეც მომცეს: სიშუალება მას გაეცნობოდი.

ეს იყო და ეს. სად ამოვიტოვებ ჩემმა მოკმათებმა რობერტ ბლეიკის შეუფასებლობის ამბავი, გაუგებარია. პ. დევომ შეცდომაში შეიყვანა პროფ. ფრ. დელვერი და ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რომ პ. დევოს ბრალდება ჩემი მისამართით შეიძლება გამოდგეს სხვა ჩემი დებულებების და, კერძოდ, იოანე მოსხის შესახებ დებულების წინააღმდეგ. ფრ. დელვერი პირდაპირ წერს თავის ცნობილ ექვრანში: „წინამორბედ დებულებათა არმიღების ნიდაფზე (მთ შორის ჩემი დებულებისაც) ნეცუბიძე, ემყარება რა თავის „აღმოჩენას“ ცნობილ ხელნაწერისას — № 140... აიგივეებს ვარლამის რომანის ავტორს იოანე მოსხთან (იხ. ბონანტურტალი“, წიგნი 50, გვ. 514, ფრ. დელვერის ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ჩემი წიგნის გამო). ნათელია, რა უმართებულო შედეგი გამოიღო პ. დევოს უმართებულო შენიშვნამ. მე ხომ იმაზე შეიტკარა ანადერო მითქვამს, რომ რ. ბლეიკმა მიატოვა ყურადღება იერუსალიმის ხელნაწერს № 140-ს, მაგრამ ვერ გაშალა მისი

შინაობის და მნიშვნელობა, როგორც ეს საკითრის იყო, კერძოდ, ვერ განსხვავა იგი ქართული სიბერენე ბალავარიანთან, რასაც სხვებიც უსაყვედურებდნენ დასავლეთში, და ვერც მისი დათარიღება მოახერხა (13-14 საუკუნის ტექსტად მიიჩნია).

ასევე მიუდგომლად ახასიათებს რომ. ბლეიკის დამოკიდებულებას ხელნაწერ № 140-სადმი იერუსალიმური ტექსტის ქართულად გამოშვებული პროფ. ილია აბულაძე. მისი აზრით „ჩანს, განსვენებული რ. ბლეიკი ძალიან შევიწროებული ყოფილა დროით, რომ ჯეროვნად არ დააკვირდა ასეთ მნიშვნელოვან რედაქციას ხელნაწერისა და არ შეიტანა მის ილერაში საკითრი შენიშვნები (იხ. პროფ. ილია აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957. შესავალი, 012, 13, 17). ეს სრულიად სამართლიანი შენიშვნაა. ბალავარიანზე ჩემი გამოკვლევის ბეჭდვის დროს მივიღე პროფ. ილია აბულაძის წყალობით იერუსალიმური ტექსტის (№ 140) გამოართული ღეღანი, შევიჩერე ბეჭდვა, შევისწავლე ტექსტი და საჯარო მოხსენების წაკითხვის შემდეგ დაბეჭდვით კიდევაც სპეციალური თავის სახით ჩემს წიგნში.

ჩემი მოკამათიანი, განსაკუთრებით პ. დევო, იმასაც მისაყვედურებს, რომ ამის შემდეგაც მე არაფერი შეეცვალა ჩემს წიგნში და განავიკრე და დავამთავრე მისი ბეჭდვა, თითქოს ქვეყანაზე არაფერი მომხდარაო. ეს სწორია თუმცა მის შემდეგ საქართველოშიაც აკად. წერეთელისა და პროფ. ილ. აბულაძის მხრივ საწინააღმდეგო დებულებები გამოითქვა. რაკი მე „ბალავარიანის“ ირველები ძირითადი შედარებანი უკვე მზად გქონდა, იერუსალიმური ტექსტის რაობის გამოკვლევა არ გაკირდა; იმავეითვე გამოვთქვი აზრი, რომ ხელნაწერი № 140 მიეკუთვნება მე-11 საუკუნეს. როდესაც მე ტექსტობრივ შედარებას (იხ. ჩემი გამოკვლევა თავი მე-6) შემდეგში ისტორიულ-კულტურული ძიებანი მივუყენე, ჩემთვის ძალაში რჩება იგივე თარიღი, ხოლო ნათელია ზნა, რომელიც მისში ექვთიმესული ბერძნული რედაქციიდან გადმოკეთებამ ვანვლო. (იმაზე — შემდეგ).

ჩემთვის გაუგებარია ისიც, თუ საიდან აიღო პროფესორმა დელგერმა, რომ მე იერუსალიმური ტექსტის მე-10 საუკუნეს მივაკუთვნებ. რაკ შეეხება ითანე მოსხს, ჩემს გამოკვლევაში ნაჩვენებია, რომ მას არ შეეძლო იერუსალიმური ტექსტთან რაიმე კავშირი ჰქონოდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი მე-7 ს. პირველი მესამედის ბოლოში ვარდაიკვრა, რაც მე ზუსტად დავადგინე და რაშიაც ევროპელი მეცნიერები ვერ შედავებინან. პროფ. ფრ. დელგერი პირადად შეერდა, რომ პ. დევო უარყოფს ჩემს „ახალ თუხის“ (ჩანს, იგულისხმება ითანე მოსხსა

ამბავი. შ. ნ.) და რომ მას, დელგერს, კიდევ მეტი აქვს ჩემ წინააღმდეგ საბრძოლველში. დღესდღეობით მე ხელთა მამკვენი მამკვენი ვრცელი წერილიც — „ნუგუბიძის ახალი თუხისის შესახებ“ („ანალიტ. ბოლ.“ 87) და ფრ. დელგერის შენიშვნაც (B. Z. წიგნ. 50).

რა თქმის ამ ახალი შენიშვნების შესახებ? პროფ. ფ. დელგერი ვერ ვაერკვა იმაში, თუ ბალავარიანის თრი ქართული რედაქციიდან რომელთან აქვს ითანე მოსხს რაიმე კავშირი. ეს ვარემოება ამ თავითვე უკარგავს ფასს ფრ. დელგერთან კამათს. ფრ. დელგერი კოველგვარი შენიშვნის ვარემს აქნობს მკითხველს, რომ მე ითანე მოსხს, ისე როგორც შემდეგში მე თითქმის ივერს, „ბილიგვებდ“ ვთვლი (ე. ი. ორენიან შეერლებად. შ. ნ.) და რომ მოსხი მე გამოშვავს მოსხთა ქვეყნიდან ანუ მოსხეთიდან, საქართველოს, როგორც შეცდომით წერს დელგერი, „სამხრეთ-აღმოსავლეთ“ (უნდა იყოს“. სამხრეთ-დასავლეთ“ შ. ნ.) ნაწილიდან. მე ძველი ფრ. დელგერის მიერ დაბირებულ დასაბუთებულ შენიშვნებს.

გადავიდეთ პ. დევოს შენიშვნების არსებით განხილვაზე.

პ. დევოს შენიშვნები შეიძლება არ იყოს ანგარიშგასაწვევი—ასეთია, შენიშვნა იმის შესახებ, რომ ჩემი წიგნი ბერძნული ბალავარიანის შესახებ ნაკვლად ორასორმოცი გვერდისა შეიძლება შემკირებულყო ორმოცდაათ გვერდამდე. ეს მოთხოვნა ჩემი მოკამათისა ვერ შეტრუნვდება თუნდაც იმის გამო, რომ წიგნში მხოლოდ ტექსტობრივ შედარებებს მიუწინაა ა გვერდზე მეტი და, ვარდა იმისა. არ შეშეძლო გამეთვალისწინებინა, რომ პ. დევო 50 გვერდიან წიგნზე მეტს ვერ კითხულობს (იხ. პ. დევო, ანალ. ბოლანდ. დასას. წერილი, გვ. 94).

პ. დევო წერს, რომ მე „თავი მოვუყარე ფრანკ ვრცელ მასალას, რათა მიმეზლო პატრი არენიონის სრულქმნელებისათვის, როგორსაც წარმოადგენდა ივერი“, ავტორი მოწინებით აღნიშნავს ჩემ მიერ ივერის მეტოფრასტული მეთოდის დახასიათებას და ზოგიერთ ჩემს შენიშვნას დელგერის წინააღმდეგ „ბატონი ნუკუბიძე, — განავგრძობს ავტორი, — საფუძვლიანად უსევამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საქმე ეხება არა უბრალო და მარტივ თარგმანს (ივერის შემთხვევაში. შ. ნ.), არამედ მეტოფრასს, გადლაგებას“ (იქვე, გვ. 95).

ამის შემდეგ კი პ. დევო ვადადის ჩემს სასრულ ვაკირიტებაზე. იგი იმავეითვე არა სწორად აშუქებს ჩემს პოზიციას; თითქმის ჩემთვის ბალავარის გვიანდ შემოსვლა მოთხრობაში დაკავშირებული იყოს პრიორიტეტის საკითხთან, თითქმის ამ თვალსაზრისით „არაა არავითარი განსხვავება ამ პოზიციასა და მის წინამორბედთა შორის“ (გვ. 96) საქმე ისაა, რომ მე არ

შემქმლო დამყვენებინა საკითხი ბალავარიანის პრიორიტეტის შესახებ, რადგან, თანახმად გამოკვლევისა, ქართული ბალავარიანი ფარავს „სიბრძნის“ შესახებ ძველის (იგულისხმება „სიბრძნე ბალავარისა“) მთელ შინაარსსა და, ამდენად, პრიორიტეტისათვის საკითხის დაყენების ყოველმხრივ წინამძღვარი მოხსნილია. კიდევ კარგი, რომ ბალავარიანის იერუსალიმური ტექსტის შესახებ ავტორს მოყავს ჩემი წიგნში ნათქვამია: „*Может возникнуть сомнение*“, ზოლო პ. დევო თარგმნის: *La pensée peut naître*“ (ე. ი. „შეიძლება გაჩნდეს აზრი“).

ჩემი მოკამათე მომჭერს, თითქოს მე ვერ ვაშბობ, რომ იერუსალიმური ტექსტი ექვთიმეს მიერაა გაკეთებული, ხოლო შემდგომში ვითომც ჩემს ნათქვამს უარყოფდ პ. დევო წერს: „დამავება იმისა, თითქოს იერუსალიმური ტექსტი ექვთიმეს მიეწერება, გარკვეულად უარყოფილია“ (დას. ნაშრ. გვ. 97) საიდან მიიღო დევომ ასეთი დასკვნა? საქმე ისაა, რომ ეს ადგილი ჩემი რუსულად დაწერილი წიგნიდან შეცდომითაა გადათარგმნილი ფრანგულ ენაზე, ჩემს წიგნში ნათქვამია: *Может возникнуть сомнение*“ თარგმნის: *La pensée peut naître*“ (ე. ი. „შეიძლება გაჩნდეს აზრი“).

ცხადია, ერთი და იგივე არაა, ერთი მხრივ, იერუსალიმის ტექსტის ექვთიმესათვის მიკუთვნების შესახებ შეიძლება „გაჩნდეს იტყუ“, და, მეორე მხრივ, „გაჩნდეს აზრი“, რადგან პირველ შემთხვევაში ასეთი ავტორობა საეკლესიო ვაშლბრუნებელი, მეორე შემთხვევაში კი — შესაძლებელია. ამ მნიშვნელობით მე შემქმლო მეთქვა, რომ არის მონაცემი, რომელიც *Мешает признать Эфимия Ивера автором... иерусалимского текста*“ (იხ. ჩემი გამოკვლევა, გვ. 200). აშკარაა, პატივცემული კრატეოსის არაა მართალი, რომ არ ეთქვა — მან ისე გააკეთა ფრანგული თარგმანი, რომ ჩემ შესახებ მისთვის საჭირო შთაბეჭდილება შეექმნათ. შევეშსუბუქოთ ჩემს მოკამათეს მდგომარეობა და ვთქვათ, რომ ის მხოლოდ შეცდა, ისევე როგორც ის ცდილობს შეამსუბუქოს ჩემი მდგომარეობა, როცა ამბობს, მიკროფილმი ახალი მიღებული იყო (იხ. მისი ნაშრ., იქვე).

ჩვენ მიუვახლოვდით იმ ადგილს პ. დევოს კრიტიკულ წერილში, სადაც ლაპარაკია „ბატონ ნუცუბიძის რევოლუციონერ თრიგინალობაზე (L'originalite révolutionnaire de M. Nuzubidse). კიდევ კარგი ჩვენი პარტნიორი ამას უბრძყალებოდ წერს. საქმე ახლა უკვე გაიხსნა: ლაპარაკი ყოფილა იოანე მოსხზე, როგორც ქართული ბალავარიანის წარმომომის ასახსნელად მრავალი გზაა ნაცადი, და ეს სრულიად ბუნებრივად მიჩნეული. ეს ცდები შეიძლება ვაკრიტიკებულ იქნეს, და მათ აკრიტიკებდნენ კიდევ, მაგრამ არავის არ მოსვლიათაში „რევოლუციონერობის“ ატრიბუტი-

სათვის მიემართა. მაგრამ დავებრუნდეთ საქმიან მსჯელობას. პ. დევომ, დალაგა რა თივისებურად ჩემი თეზისი იოანე მოსხის შესახებ, დაყენა საკითხი თუ როგორ მივედი მე ამ დებულებამდე (პ. დევო, დას. ნაშრ. გვ. 100).

ჩემს მოკამათეს, რატომღაც, ძალიან სურს შექმნას შთაბეჭდილება თითქოს ფრანგმა მკვლევარმა ზოტენბერგმა (რომელმაც „პირველად აღნიშნა იოანე მოსხის სახელი“, მიუხედავად იმისა, რომ მე არ ვეთანხმები ზოტენბერგს) მანაც მოახდინა ჩემზე გაყვანა. ასარებული ამავაია: ზემოთ პ. დევო ჩემი დებულების „რევოლუციონერ თრიგინალობაზე“ ლაპარაკობდა და ესლა კი ერთბაშად ვილაციის გავლენის ქვეშ სურს მოამთავსოს, და ისიც ისეთიანია, როგორც იყო გასული საუკუნის ფრანგი ორიენტალისტის ზოტენბერგი. ზოტენბერგი ქართული კულტურის მტერი იყო, და გაუგებარი იქნებოდა, ქართული კულტურის წარმატების ისტორიული საბუთები შე ასეთი მკვლევარისაგან მიმელო. ჩემი დამოკიდებულება ზოტენბერგისადმი საყვარელი ნათელია. ზოტენბერგის დებულებები მე გამოვიყენე ნეკატიურად, ე. ი. ამ დებულებათა უარყოფით მოციხსენიე ზოტენბერგი. პოზიტიურმა საბუთებმა და ფაქტობრივმა მონაცემებმა კი სხვა რამ გააარყვიეს. ამის გაგების ნაცვლიად პ. დევო თავის თავს ნებს ამლევს არააკადემიური გამოსვლა იკადრებს; ნამდვილ მკვლევარულ ძიებას ასეთი ფანდები არ სჭირდება.

პ. დევო მართალია, როცა იგი მეცნიერული გზით მიდის და აყენებს საკითხს: „როგორ მივიღა ნუცუბიძე იოანე მოსხის შესახებ თავის დებულებამდე“ (იქვე). ასეთი საკითხი სრულიად კანონიერია: წამოყენებულია ახალი (რა თქმა უნდა, არა „რევოლუციური“ შ. ნ.) საკითხი და მეცნიერებას შეიძლება აინტერესებდეს — როგორ იქნა იგი მიგნებული...

რა თქმა უნდა, ვისაც ჩემი გამოკვლევა წაუკითხავს, მან იცის, რა გზით მივედი იოანე მოსხის საკითხამდე, თუნდაც იგი თვით საკითხის დასმა გადატარაში არ მეთანხმებოდეს. პ. დევო უღადოდ მართალია, რადგან მე მართლაც მივედი იოანე მოსხის საკითხამდე და არა ამოვდიოდი ამ საკითხიდან. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი ოპონენტი წინააღმდეგობაში ვარდება: რაღა აზრი აქვს საკითხს — როგორ მივიღა ნუცუბიძე იოანე მოსხამდე, პ. დევოს სტილით რომ ეთქვათ, თუკი გვიანდა დავამტკიცოთ, რადაც უნდა დაჯდეს, რომ ის (ე. ი. მე) ზოტენბერგის გაყვანას განიცდიდა. როგორც ითქვა, ეს სერიოზული საკითხია, იგი დამუშავებული მაქვს ჩემს რუსულ გამოკვლევაში და ვაშბობ დებ ქართულ ენაზე მინორგაფიულ წერილს იოანე მოსხის შესახებ (იხ. ამ ნაშრომის ნაწილი: „იოანე მოსხი — სინაიტი თუ საბაიტი“.



ურნ. „ღრწა“, № 5). აქ კი მოვახსენებ პატრიარქულ ჩემს ობონენტს, რომ ჩემი გამოკვლევებიდან ბალავარიანის ბერძნული რედაქციის შესახებ ნათელია, რომ ითანე მოსამდე მე მივედი მისი მოწოდების — სოფრონ პალესტინელის (მე-7 საუკუნის მოღვაწე) შესწავლის გზით. პ. დევო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ქართულ ბალავარიანში არავითარი ხსენება არაა ვინმე იოანესიო. მართალია, ითანე არაა მოხსენებული ქართულ ბალავარიანში. მაგრამ იგი არაა მოხსენებული არც „სამოთხეში“, რომლის მიმართ ითანე მოსხის ავტორობა დიდი ხანია დადასტურებულია. მართალია, ამის გამო „სამოთხის“ მიმართ ითანე მოსხის ავტორობა ერთი ხნის განმავლობაში (ნოკვას შვირე კრების შემდეგ) იქვის ქვეშ იქნა დაყენებული. მაგრამ საყოთი ითანე მოსხის სასარგებლოდ საბოლოოდ გაიკვია. მაგრამ ეს იყო მე-7 საუკუნის ბოლოს, და მე-10 საუკუნეში არ უნდა იქნეს ისეთივე ამბავი განმეორებული ვეროპის ცნობილი სამეცნიერო ორგანოს მიერ.

ითანე ხან — როგორც „საბაიტი“, ხან „სანატი“ იხსენიება ბერძნული ბალავარიანის ტექსტის ლეშეში (იხ. ამის შესახებ ჩემი „ბერძნული ბალავარიანის წარმოშობისათვის“ და „ითანე საბაიტი თუ სინაიტი“). ქართული ბალავარიანის ტექსტს არა აქვს ლეშა: მისი ავტორი მოთხრობის შესავალში ერთხან იმავე დროს აღნიშნავს მოთხრობის მისდამი მიღწევასაც (ინდოეთიდან პალესტინაში), მომთხრობსაც (ინაჯი, ძე სოფრონ პალესტინელი) და მოთხრობასაც. ბალავარიანის ბერძნულ ტექსტებში ლეშების ავტორი და მოთხრობის ავტორი სხვადასხვაა. აქედან ნათელია, რომ პ. დევო ერთიმეორეს ადარებს შეედარებულ, დისპარატულ გარემოებებში.

ექვთიმე ივროს, ჩანს, საქმე უფრო ესმოდა. ქართული ბალავარიანის დასაწყისი მან ბერძნულისათვის გადააკეთა იმავე მეთოდით, როგორც მთელი მოთხრობა, ე. ი. გაათავსოდა და მეტაფრასირებულიყო იგი, იმ განხილვებით, რომ კონკრეტული, ნამდვილ-სტორიული სახე „ინაჯი“ მის კავშირში სოფრონისთან, რომელთაც მე-10 ს. ბოლოსათვის დაკარგეს მნიშვნელობა, მან სათანადო ცვლილებებითურთ ამოიღო ბერძნული ვარიანტიდან. ამდენად, პაულ დევოს მიერ ნაქადმა შედარებამ, როგორც უსაგნოდ, ყოველგვარი აზრი დაკარგა.

პ. დევოს იმის შესახებ კი არ უნდა დაეყენებინა საყოთი, რომ ქართულ ბალავარიანში არაა მოხსენებული ითანეს სახელი, არამედ ეს უნდა გველია — როგორ მოხვდა ეს სახელი ბერძნულ ლეშაში. სწორედ ეს საყოთი დავუსვი მე ფრ. დელგერს, მაგრამ მას დღემდე, როგორც გაიკვია დისმულ ეთხეაზე პასუხი არ გაუცია. ვერ უპასუხებს მას ვერც პაულ

დევო, რადგან მან გვერდი აუარა ითანეს სახელის ბერძნულ ლეშებში მოხსენიებას და, ცხადია, ვერც მათი ახსნა სცადა. საკუთრივ, რომ ამ სახით მეცნიერული კამათის წარმოება შეიძლებოდეს. საკმარისია ყურადღება მივქცევ ბერძნულ ლეშაში ითანე საბაიტის თუნდაც ერთ-ერთ მოხსენებას (იხ. მავალითისათვის: „მოწოდებული ითანეს, წმ. საბას მონასტრის ბერის, მიერ“ ბერძნულად: „შეუწებთიისა და ითანე მონახუ მონეს ტუ აგიუ საბა“; მოთხრობულია „ბერძნული ხელნაწიკი ნანაიანის კოდექსში, გვ. 318. ლათინურად: „გრეკი კოდექსი მანუსკრიპტი აუდ ნანაიანუს“). ამ საბუთის გვერდით, რომლის გარკვევას არც კი ცდილობს ჩემი ობონენტი, რაღა აზრი აქვს განცხადებას, რომ ქართულ ბალავარიანში არავითარი მოთხრობა არ არის რომელიმე ითანეზე“ (დას. ნაშრომი, გვ. 101).

ვერ დავეთანხმები ჩემს პატრიარქულ ობონენტს, თითქოს მე რაღაც დახელოვნულ დასაბუთებას ვწარმოებდე, რამდენადაც ჩემი მოკამათის სახით უდავოდ საქმე მაქვს დიდ ერუდიტთან, არ მოველოდი, თუ ყველაფრის განმარტება დამპირდებოდა. ახლა მე იძულებული ვარ კონკრეტულ შენიშვნებს ასეთი განმარტებებით ეუბანებოთ: ითანეს სახელ შეიძლებოდა ბერძნულ ლეშებში მხოლოდ ქართული ბალავარიანის თავწერიდან შესულიყო. ვისაც ეს არ სჯერა, მან მაინცნოს, საიდან შეიძლებოდა გაეყენებინა იგი ბერძნული ბალავარიანის რედაქტორ-გადამკვეთებელს. მართალია, ეს სახელი ბალავარიანის ტექსტში არა ჩანს, — წინააღმდეგ შემთხვევაში, პატრიარქული პ. დევო და მეც ამას თავისუფლად ამოვიკითხავდით და საკამათო არაფერი გვექმნებოდა — მაგრამ მეცნიერული პრობლემა ხომ სწორედ აქ იწევა. ცნობილია, რომ ამოფრთველმაკრეტიკურ იაკობ-პოზიციო — შესავალი ფორმულა — „გვიოთხობდა ჩვენ“ (ბერძნულად „დიეგვესატო კეზინ“) არ მოითხოვდა იმ პირის დასახელებას, რომელსაც — „უთხრობდენ“, მაგრამ განა ეს ნიშნავდა, რომ ასეთი პირი არც არსებობდა? — მაშინ — ველას უთხრობდენ?

ცნობილია, როგორც აღვნიშნეთ, რომ „სამოთხის“ („ლიონარის“) ნოველებში არსად არაა მოხსენებული მისი ავტორი იგივე ითანე მოსხი და მხოლოდ ხანდახან — „სოთელიტორი“ (თანამსმენელი), სოფრონი, როგორც ითანეს თანხმლები, იგივეა ქართულ ბალავარიანში („საბარძნე ბალავარიანისში“). ავტორი არ ასახელებს თავის თავს. რამდენადაც ორივე წიგნზე, — ე. ი. ქართულ ბალავარიანზე და „სამოთხეზე“ ეწერა სოფრონის სახელი, ორივე წიგნი, როგორც ვიცით, ერთხანს სოფრონს მიეწერებოდა (იხ. ნიკო მარის გამოკვლევა ხანძითელის შესახებ). როგორც ითქვა, მალე მიხვდნენ, რომ „კეზინ“ („გვიოთხობდა ჩვენ“) ითანე მოსხს

მითითებდა. განა საჭიროა რაღაც განსაკუთრებული ოსტატობა მტკიცებისა იქ, სადაც, თუ ეს საჭიროა, მარტვი ინდუქციის წესით უზრუნველყოფილი დასკვნის მიღება?

აქ შემახვევა შემთხვევას ზედება და ენასკვება გამოირჩევა, რომ არ იყო საჭირო ითანეს სახელი მოხსენებული ყოფილიყო „სამოთხეში“, რომ იგი მის თხზულებად აღიარებინათ. დღეს ეს მიღებულად ითვლება და ამხვე არაინ დავობს. რატომ არ შეიძლება იმავე წესით და იმავე ნიშნების მქონე თხზულებიდან (ქართული ბალაგარიანის) ამოუკითხათ ანუ დავსენათ მისი ავტორის სახელი. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ბალაგარიანი ამ მხრივ უფრო ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე „სამოთხე“ („ლიმონარი“ იოანე მოსხისა), რადგან ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთი მოწმე ჰყოფდა — სოფრონ პალესტინელი, „სამოთხეში“ მოხსენებული. ქართული ბალაგარიანის მოხსენიებული ჰყავს წიგნის წარმოშობასთან დაკავშირებით როგორც ეს სოფრონი, აგრეთვე მისი (სულერი) ძე — ისაი, რომელმაც ბუღის შესახებ მოთხრობა (ზეპირად და წერილობით) მოუტანა. თხრობის მომსახურების და ჩამწერის თანამედროვეობამ აღნიშნა იოანე, როგორც ბალაგარიანის ავტორი, მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი, როგორც ამას პ. დევი მოითხოვს, ბალაგარიანის ტექსტში აღნიშნული არ იყო, ეს წიგნი მაინც მას მიეწერა. მაშასადამე, აქ სრულიად დამთხვეული მოვლენები ვეაქვს — „სამოთხისა“ და „ბალაგარიანისა“ მიმართ და ორივეს მიმართ იოანე ავტორად აღიარებული.

დღეს უკვე გამორკვეულია, რომ ბერძნულმა ტექსტებმა იოანეს ერთ შემთხვევაში „საბაიტ“, ხოლო მეორე შემთხვევაში „სინაიტ“ უწოდეს; გამორკვეულია ისიც, თუ რატომ მოხდა ეს. ნუთუ შეცდომაში შეუძლია შეგეყენოს იმ გარემოებამ, რომ ორი სახელწოდება შემონახული იოანეს მიმართ — „საბაიტ“ და „სინაიტ“, და თითქოს ეს იმას ნიშნავდეს, რომ აქ ორ განსხვავებულ იოანეზე იყოს ლაპარაკი. ნუთუ ნათელი არაა, რომ ამ ორი სახელდებით აღნიშნულია ორი დამსახურება, ორი დიდი საქმის გაკეთება, რომლებიც შესრულების ადგილის მიხედვითაა განსხვავებული: საბას სავანესთან და სინას სავანესთან დაკავშირებით. ამის მიხედვით ხომ საკლებით ნათელია, რომ ვინც ამ ორ სახელდება იოანეს უკავშირებდა, მათ ერთ შემთხვევაში სინაზე შესრულებული „სამოთხე“ ჰქონდათ მხედველობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში — საბაჟის მინდამი შესრულებული „საბაჟის ბალაგარის“. და მაშინ ნათელია ისიც, რომ სახელდებითა განსხვავება ავტორის, პიროვნების იგივეობას უსვამს ხაზს (იხ. ჩემი წერილი: „დროშა“, № 5, 1958).

მართალია, პ. დევიმ არ იცის ეს უკანასკნელი გარემოება, რომელიც გამორკვეულია მას შემდეგ, რაც ჩემი გამოკვლევა „მეფეებთან“ შესახებ გამოქვეყნდა, მაგრამ იგი არავითარ განსაკუთრებული მტკიცების ოსტატობის შედეგი არაა და გარკვეულ დოკუმენტურ მონაცემებს ემყარება.

სოფრონ პალესტინელი (და არავითარი ბერძნები, კუნი ან სხვა ვინმე, როგორც ფიქრობს პ. დევი) პირდაპირი გზა იოანე მოსხის მსახურებდა. ეს მრავალგზისა ნაჩვენებია გამოკვლევაში „ბერძნული ბალაგარიანის შესახებ“. ერთი ასეთი შეხვედრა სოფრონისა და იოანეს სახელისა მოკეზულია — „იოანე მოწყალეს“ ცხოვრების აღწერილობაში, რომელიც ორივე დასახელებულმა მწიგნობარმა ერთად შეადგინა 619 წლის ბოლოში. მაგრამ მაინც მთავარი ორმაგი შედარება — „სამოთხის“ ბერძნულ-ქართული ტექსტისა და იმავე „სამოთხის“ და ქართული ბალაგარიანის ტექსტისა, სადაც საკმაო სისხადით მტკიცდება ავტორის-იოანე მოსხის — იგივეობა.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, რომელმაც გულწრფელად განაცხადა, რომ ქართული მეცნიერება ჩემს გამოკვლევაზე თითქმის არ იცნობდა იოანე მოსხს და, ამდენად, მოსხის საკითხის ობიექტურმა მკვლევარმა „სამოთხის“ ბერძნულ-ქართული ტექსტის ერთი და იმავე ავტორის — მოსხისადმი (მუსხისადმი) მიკეთებულ ტექსტობრივი შედარებით დადასტურება (იხ. „ესკარი“, 1957, № 2) პ. დევი არც ს. ყაუხჩიშვილის ამ ნაშრომს იცნობდა, როცა თავის კრიტიკულ წერილს წერდა. იოანე მოსხის ქართული ბალაგარიანისადმი ავტორობაში დაქვემდებარების საჭირო იყო პ. დევის დედრღევა ჩემი ტექსტობრივი შედარებათა შედეგით, რასაც ჩემი კრიტიკოსი, სამწუხაროდ, არ აკეთებს. ეს რომ მას ეცადა, ეს იქნებოდა მეცნიერული კამათი და მას არ დასჭირებოდა ჩემს სულში ზელის ფათური, მაგალითად, ასეთი განცხადებისათვის: „პ. ნუტუბაიქს აქვს თავისი მოსაზრებები, რომ იოანე მოსხის სოცვილის თარიღი 634 წელს მიაკუთვნესო“ (დას. ნაშრ. გვ. 102). იოანე მოსხის სიკვდილის თარიღი, რამაღაც არ იყო გარკვეულია დასავლეთის მეცნიერებაში, შე დოკუმენტურად დავისაბუთო და ჩემს პატივცემულ ოპონენტს ყაყვად მოეხსენება შემთხვევები, რომ დასავლეთის მეცნიერებამ ჩემი თარიღი — 634 წელი — ამის შემდეგ მიიღო.

დევი კვლავ უზრუნველბა იოანე მოსხის საკითხს. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ყველაზე უფრო აწუნებს დასავლეთის მეცნიერებს. ჯერარარ გაიტი, ფრ. დელგერი და პ. დევიც ერთნაირად უტრიალებენ იოანე მოსხის საკითხს, თუმცა არც ერთი მათგანი ამ საკითხთან დოკუმენტურ საბუთებს არ ეხება. შე მოველო-



და, რომ ჩემი დებულება ითანე მოსხის შესახებ წინააღმდეგობას წააყვებოდა დასავლეთის მეცნიერებაში. საამისო გამოცდილებას საკმაოდ იძლევა სხვა შემთხვევებიც — პეტრე ივერის, ექვთიმე ივერის და სხვ. საყთხები, და დიდი ინტერესით ვუძღვდი კრიტიკულ შენიშვნებს. უნდა ვიღიარო, რომ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. რა მეცნიერული ფასი აქვს პატივცემულ პროფესორის ჯერარ გარტის განცხადებას ფილოლოგთა ევროპულ კონგრესზე, იტალიაში, 1956 წელს (რომში), რომ ჩემი დებულება ითანე მოსხის შესახებ „პარადოქსულია“. ფილოსოფოსმა შოპენჰაუერმა გერმანიაში, ულიამ ჯემსმა ამერიკაში კარგა ხანია განუმარტეს მეცნიერებას, რომ უოველი მნიშვნელოვანი და ქვემარტობის მომავლის მქონე დებულება თავდაპირველად უოველთეს „პარადოქსალია“.

ფრ. დელგერი, როგორც ითქვა, პულ დენის მიდევნებით, ჩემს დებულებას მოიხსენიებს როგორც „ახალ დებულებას“ მოსხის შესახებ. თუმცა საწინააღმდეგოს ჯერჯერობით არაფერს ამბობს.

პულ დევი თვის ვრცელ წერილში ეხება, უპირველესად ყოვლისა, ითანე მოსხის ქართველობას და აღნიშნავს, რომ მოსხის ქართველობა ეთავიაროთ თადა იმ სისტემისათ (გვ. 103): აეტორო მართალია: ითანე მოსხის საყოთხო ერთი მოთავარი საყოთხოთავანია ბალავარიინის პრატლემატკიაში, და მისი ქართველობის შესახებ თვისის გამოქვეყნება ვავიდე მხოლოდ მას შემდეგ, რაც რიგი დოკუმენტები იგი ურყვოდ დადასტურდა. სამწუხაროდ, ისევე როგორც ფრ. დელგერი, პ. დევომ ვერ იპოვა ვერაფერი ამ ჩემი საბუთების წინააღმდეგ სათქმელი, გარდა უბრალო განცხადებისა, რომ ეს, თითქოს, ასე არააო. არც ერთი როგორც პრადამირი, ისე არამირადამირი საბუთი ჩემს მოკმათეს არც კი უღიბო უარყო, თუმცა კრიტიკის გასაადვილებლად ქართულ-ბერძნული ტექსტების შედარებას რუსული შესატყვისები დავუტოვე. ჩემი არამირადამირი საბუთები, როგორცაა ბასილ ზარზელის თხულება მოსხის თანამედროვე ქართულ კულტურულ გარემოცვაში (მ. ს.) დამწერილი, და რომელიც სტილისტურ-კომპოზიციური მონაცემებით საესებით ემთხვევა ქართულ ბალავარიანს (როგორც ეს დადასტურებულა კ. კეველიძის მიერ) და მოსხურ სინაქსარში აღნიშნული მოხსენიება იოდასადისა — ჩემი მოკმათის ყურადღების მიღმა დარჩა.

ყოველივე ამის ნაცვლად, ჩემი დირსეული ოპონენტი ვრთ კორექტურულ შეცდომაზე (რომანოვის romanum — მაგიერად დაბეჭდილია — რომანორომ-roman(n)orum) ჩერდება და აქედან დასკვნასაც არ ვრდიება — თითქოს ის წიგნი მე თვალთაყ არ შენახოს, რომ შემეძლოს

ჩემს მოკმათეს მივბაძო, მივეუთოთებო მეს მცდარ წაკითხვებს, სადაც მარტულად წაკითხული ფორმებისა გადმოცემულ მოსხების ვილმოსახლობის დასახლება, რასაც, როგორც ითქვა, ამოდ ენდო პროფ. დელგერი. მაგრამ ასეთი საბუთების მოყვანა ხომ ნამდვილი საბუთების განხილვისას გაჭირვების მიხედვებოლა.

პ. დევოს ერთადერთი საბუთია განცხადება: „მოსხები ოდითგან ითვლებიან ბერძნულ მკვიდრადო“. ჩემთვის, ცხადია ეს, ადრეც იყო ცნობილი, და არა მარტო საბერძნეთში, არამედ — სირიაშიც; მკვლევარი ვეიე ფიქრობს, რომ ითანე მოსხი დამასკოში დაიბადა. ცნობილია, რომ თეთონ ითანე მოსხი „სამოთხის“ ნოველაში (პ. 186) ლამარკობს ვინმე მოსხზე — „ტიროსელ მოგაბრზე“ (მ. პატროლ. ბერძ. 87.3061, D). პატივცემულ პ. დევოს, ისევე როგორც ფრ. დელგერს, კარგად უნდა მოგხსენებოდეთ, რომ სიტყვა „მოსხი“ ბერძნულად ხბოს ნიშნავს და იგი შეიძლებოდა სახელად ეხმართ, როგორც სხვა ენებშიაც. ამიტომ იყო, რომ მეცნიერებაში არჩვედნენ მოსხს — როგორც სახელს და მოსხს — როგორც მოდგმას, თემს, ერს, ამისდაძხედვით იბრტოდა ორი ფორმა: — ითანეს ტუ მოსხუ“, ე. ი. ითანე მოსხის ძე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მამამის უნდა რქმყოფოდა სახელი მოსხი, და „თანეს პო მოსხოს“ — ითანე, მოსხი შთამომავლობით, ეროვნებით. ლათინურ ძეგლებში ითანეს მოსხობა ეროვნულ ნიშნად ითვლებოდა მე-16 საუკუნიდან — ნაციონე (natione-ის როზვეიდეს, მამათა ცხოვრება“ — Vita Patrum წინახიტყვაობა, 12, პატროლ. ბერძ. 87, 2849, 50). ჩემ მოკმათეთათვის აგრეთვე ცნობილი უნდა იყოს, რომ შვეიცარიის ფოტის აზრი, რომ მოსხი ითანეს მამის სახელი იყო, მეცნიერებამ დიდი ხანია უარყო და მით მხარი დაუჭირა ითანეს წარმოშობით მოსხობას ანუ მესხობას.

ამდენად, ჩემმა მოკმათებებმა ოდნავადაც ვერ შეარყიეს დებულება ითანე მოსხის ქართველობის შესახებ, რაც, თათისთავად ცხადია, არ წვევტს საყოთხო მისი ქართული ბალავარიანისაღმი აეტრობის შესახებ. მაგრამ ამაზე ისინი არაფერს ლამარკობდნენ, და ჩემს გამოკვლევაში მოყვანილ საბუთებს ჯერ არავინ შეეხებია.

დარჩა პ. დევოს ორი უკანასკნელი შენიშვნა: ჩემი რეცენზირტი არც ისე გულთანად, მაგრამ მაინც არ უარყოფს მისი შესაძლებლობას, რომ „სიბრძნე ბალავარიისის“ ჩამწერს, თუ მას მიზნად ჰქონდა მის იერუსალიმელ მყოთხველთა წრეში და უპირველესად ყოვლისა, სოფრონისათვის, ვითარცა იერუსალიმის პატრიარქისათვის, მიტანა, იგი პირველად ბერძნულად უნდა გაეკეთებინა. ის უფრო გარკვეული იქნებოდა

საკითხში, თუ ეკოდინებოდა, რომ საქართველოში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა კულტურულ მოწინავე წრეში წინა აღმოსავლეთისა (სირიაში, სომხეთში და სხვ.) — ბერძნულს, განსხვავებით დასავლეთ ევროპის მწიგნობართაგან, ფლობდნენ უმჯობეს დროიდან რენესანსამდე.

დასასრულ ჩემი ოპონენტი აღნიშნავს: „ბ. ნეცუბიძე უგულვებელყოფს ფალაურ და არაბულ შუამავალს (ბალავარიანის გაერცვლებაში, შ. ნ.)... რად ესაჭიროებოდა მას ეს, როდესაც იოანე საბაიტი იღებდა მოთხოვნას თავისი წყაროდან ზემოთ გადაცემით სოფრონის ძე ისააკისაგან იოანე მოსხისათვის სოფრონის „მამისათვის“ (ხ. პ. დევი, დას. ნაშრ. გვ. 104).

საქმის მკოდნეს მოეხსენება, რომ აქ დასახვლებული შუა საფეხურები არათუ უგულვებელყოფილია ჩემ მიერ, არამედ ფაქტიურად მოხსნილი, რადგან საკითხი დგას ბალავარიანის

აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადმოქცევის ორი გზის შესახებ ესაა: „მწიგნობრული“ და „მრავალსაფეხურაანი“ (ინდოეთი, ირანი, არაბეთი, საქართველო, საბერძნეთი) და პირდაპირი (ინდო-ქართულ-ბერძნული) გზა. ამ გზას შეიძლება, როგორც მოკლედ უკვე აღინიშნა, „ქართული გზა“ ეწოდოს, მთავარი გმირის — იოანესაფის „ქართულ წმინდანად“ აღიარების მსგავსად.

მე ვიცი, რომ აღმოსავლურ-დასავლურ კულტურულ ურთიერთობაში დებულება „ქართული გზის“ შესახებ „ახალი“ და „პარადოქსული“ თეზისი იქნება ჩვენი დასავლელი პარტნიორებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ასეთი გზა, როგორც ირკვევა, მართლაც არსებობდა, კერძოდ, „ბალავარიანის“ გაერცვლების სახით.

ჩვენი მორიგი ამოცანაა, შეითხველს ვრცლად ვესაუბროთ ამ „ქართული გზის“ თაობაზე.



ივანე კერესელიძე

ისა წელს გვიდა მას შემდეგ, რაც ი. კერესელიძემ 1857 წელს აღადგინა გ. ერისთავის „ციცქარი“ (რომელიც მხოლოდ 1852—53 წ. წ. გამოდიოდა). აღდგენილი ჟურნალი ი. კერესელიძის „ციცქარის“ სახელით დარჩა ჩვენი ლიტერატურისა და პრესის ისტორიაში. 18 წლის განმავლობაში, ვიდრე 1875 წლამდე, ი. კერესელიძის რედაქტორობითა და ხარჯით გამოდიოდა ეს ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ „ციცქარში“ უპირატესად ლიტერატორთა ძველი თაობის წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ, და ჟურნალს გარკვეული მიმართულება არ ჰქონდა, მისი გამოცემა მაინც დიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო. „ციცქარში“ ხელი შეუწყო ქართული მწერლობის აღორძინებას და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული პრესის შემდგომ განვითარებას. საკმარისია ვაფიქსირებოთ, რომ ამ გაიშალა ძველსა და ახალ თაობებს შორის კამათი, რომელიც დიდ დიდ გასცილდა წმინდა ლიტერატურული დავის ფარგლებს. „ციცქარში“ დაიბეჭდა ძველი და ახალი ქართული მწერლობის მრავალი საუკეთესო ძეგლი. პირველად ამ ჟურნალში გამოქვეყნდა ი. ჰავაშვილის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ა. ფურცელაძისა და სხვათა ნაწარმოებები. პირველად ამ ჟურნალის ფურცლებზე გაისმა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის ხმა, აღსანიშნავია ისიც, რომ „ციცქარი“ ცდილობდა ქართული მეთხველისათვის გაეცნო რუსულ-ევროპული მწერლობის ნიმუშებიც. ერთი სიტყვით, ჟურნალმა ის მაინც შეძლო, რომ თავი მოეყარა მაშინდელი ლიტერატურული ძალბისათვის, შემოკრიბა ახალგაზრდობა, რომელსაც მამულის საყვარული ამოჩაგვებდა და ამით ნიადაგი მოემზადებინა ჩვენი მწერლობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

უნდა ითქვას ისიც, რომ რედაქცია შეძლებისდაგვარად ცდილობდა კვლადაცვალ მიყოლოდა ლიტერატურულ ცხოვრებას და ანგარიში გაეწია ახალი ტენდენციებისათვის. ამის შედეგი იყო, რომ ჟურნალი ერთიანი სალიტერატურო ენის საკითხსაც აყენებდა და ცდილობდა იგი (სალიტერატურო ენა) სასაუბრო ენისთან დაეახლოებინა¹. საერთოდ კი, „ციცქარში“ უდავოდ ხელი

შეუწყო კრიტიკული აზრის გამოცოცხლებას ჩვენში.

ი. კერესელიძეს, როგორც ჩანს, საკვებით შეგნებული ჰქონდა ჟურნალის არსებობის მნიშვნელობა და ამიტომ იყო, რომ მან, როგორც რედაქტორმა, წარმოუდგენელი გაქირავება გადაიტანა, მაგრამ უკანასკნელ შესაძლებლობამდე „ციცქარის“ გამოცემას თავი არ დაანება¹.

„ციცქარში“ მოღვაწე მწერალთაგან ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი თანამშრომელი თვითონ რედაქტორი — ი. კერესელიძე იყო. მან ლიტერატურის ყველა ეანრში სცადა კალამი. ჟურნალში მოთავსებულია მისი 70-მდე ორიგინალური ლექსი, რამდენიმე პროზაული ნაწარმოები და დრამატული თხზულება.

ი. კერესელიძის ლექსები თემატიკურად საკმაოდ განსაზღვრულია. მართალია, აგრძობი ზოგჯერ ცდილობდა თავისი დროის სოციალურ საკითხსაც გამოეხატოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებს ღრმად ვაშუქოს მოცულების ნამდვილი არსი.

არც პროზაული მემკვიდრეობაა ი. კერესელიძისა მაინცდამაინც საყურადღებო („ციცქარში“ დაიბეჭდა მისი „გაუმარჯვებელი არსიყობა“, „სამკვაზარო წიგნები“ და სხვა).

უფრო მნიშვნელოვანია ი. კერესელიძის დრამატული ნაწერები, რომლებიც თავიანთი ხასიათით მეტ-ნაკლებად უკავშირდებიან ახალი რეალისტური დრამის განვითარებას. ამათგან მრავალი დეკორატიულია. ზოგიერთი დაბეჭდილია „ციცქარში“.

საყურადღებოა პიესა — „ნუ დაქარაგვ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა“, რომლის მხოლოდ ერთი სცენა დაიბეჭდა „ციცქარში“ 1868 წელს. აგრძობს, როგორც ჩანს, განზრახული ჰქონდა ემზადებინა როგორც კულაბზიკა თავდაზნაურობა, ასევე „გაბიდაციებული“ ჩინოფნიკობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კომედიასატრა „სიქსტი მუხუთე“, რომელიც „მოლაყბეს“ ზეღმთწერი გამოაქვეყნა ი. კერესელიძემ

¹ ამ მხრე მნიშვნელოვანია, მაგალითად, წერის ლიტერატურისათვის (ციცქარი, 1860, № 2) და სხვ.

¹ „ციცქარის“ დამატებად 1862-72 წ. წ. ი. კერესელიძის რედაქტორობით გამოდიოდა „გუთნის დედა“ — პირველი ქართული აგრონომიული ჟურნალი. 1887 წ. მისივე რედაქტორობით გამოდიოდა სამეურნეო გაზეთი „ციცქარი“.

„ცისკარში“ 1864 წ. (№ 4). ეს კომედია, მიმართული იყენებოდა მესხეთის წინააღმდეგ, უფრო სერიოზულ საკითხებს ეხებოდა, ვიდრე ცალკე პიროვნების განქრება. ავტორი მოითხოვს სალიტერატურო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოვებას და პრინციპულად ილაშქრებს არქაული მეტყველების წინააღმდეგ. აი, როგორ მეცლობს პიესის ერთ-ერთი მოთხრობის კომპიუტერი პერსონაჟი იაკობე მასხარაძე: „...ახლა მადლობა დღერტის ძლიერ სისრულეში მოვიდა ეს ყოველ დიდებული თხულება, მეტი რა ენით არის ნათარგმნი ამ განსვენებულის თარგმანის დროს რომ ქართული ენა სუფიქსად, იმ ენით აი... როგორ არა, წერა ის კი არ არის, რომ ბავაღსაც ესმოდას როცა კითხვობდეს, წერა ის არის, ვიგონს მხოლოდ იმან, ვინც ზემსავით ნასწავლია...“ ასევე ნიშნობლობია კომედიის დასასრულს შეთხველებისადმი ავტორის მიმართება, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია: „ენის ამოვლება არ არის თქვენი პირობა, მაშ რა არის: „მასკაჟისა შინა, დასაქვლეთი უქნაჟსა ზედან ჩონინებდა კაცი ერთი როქვიეთ... და სხ.“

უნდა დავსძინოთ, რომ „სექსტი მეზუთე“ მაშინდელი ქართული საზოგადოების ბევრ სხვა ნაწილთან მხარესაც ეხებოდა; ასევე, მასში მოცემულია მეფის რუსეთის ბიუროკრატიული აპარატის საყვარელი მძაფრი კრიტიკა.

ი. კერესელიძის ეკუთვნის რამდენიმე სათარგმნო და გადმოკეთებული პიესა. ასეთია, მაგალითად, კომედია „მოკიდობის პრინცი, ანუ სულის გადახანება“, რომელიც ი. კერესელიძის ნ. კულაოვის ანალოგიური სახელწოდების პიესიდან უთარგმნია. უთარგმნია მას აგრეთვე ნ. ნეკრასოვის „აქტიორი“, რომელიც მსახიობის ღირსებისა და პროფესიის დაცვის ისახავს მიზანად. გერმანელი შერლის კოცებს პიესის გადმოკეთებას წარმოადგენს „შვილი უმანკობისა“, როგორც ამავე ჯერ კიდევ გ. წერეთელმა მიუთითა! ი. კერესელიძე ცდილა ამ გადმოკეთებული ნაწარმოებისათვის ქართული ელფერი მიეცა, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია. ამიტომ იყო, რომ ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ, ნ. ბერძენიშვილის სახით, დაიწუნა ეს დრამა და აღნიშნა, რომ ავტორმა ვერ შესძლო ხასიათებისა

და ტიპების ქართული ცხოვრებიდან აღება და სწორად გახსნაო¹.

ამ პიესაში გადმოკეთებულის ცარკვევით სიმართლიანობაზე მკვლევარმა იგი უარყოფითად განწყობილი ზარ-ეპიკური წოდებისადმი, ხოლო მორალურ ღირსებას ვლესობაში ზედებს. ამავე დროს, ი. კერესელიძე ქართველი თავდაზნაურობის „სუსტი“ მხარეების მხილებაშიც არ ერიდება, მაგრამ, გამომხატველია ამავე კლასის ლიბერალური ნაწილის თვალსაზრისით, იგი მხოლოდ მორალისტის როლს კისრულობს და თავდაზნაურობის ზნეობრივი ვიჯინსაღების იმედს არ კარგავს².

„ცისკარშივე“ მოთავსებული ი. კერესელიძის მრავალი თარგმანი რუსული და უცხოური პოეზიიდან. მაგალითად, მას უთარგმნია დერკავინისა და კოლუოის ლექსები, კიალოვის რამდენიმე იგავარატი, ა. მიხაილოვის „მკვდელი“, პუშკინის სტანსები („Троюм...“), შილერის „მოგზაური“, „პატიმარი“, „მილონის პატიმარი“ და სხ.

მასვე ეკუთვნის რამდენიმე პროზაული თხულების თარგმანიც (ე. ტურის „კაჟაკში“, ბულგერ-ლიტონის „უვენი არამი“ და სხვ.) ამ თარგმანებით ი. კერესელიძემ ზელი შუწყო ქართველი მკითხველის რუსული და ევროპული ლიტერატურით დაინტერესებას.

ი. კერესელიძის, როგორც მთარგმნელის, უპირველესი ნაწილი ის არის, რომ იგი რამე პრინციპის მიხედვით არ ცდილობს სათარგმნო მასალის შერჩევას.

საერთოდ კი, როგორც მთარგმნისა და გადმოკეთებულ ნაწარმოებებში, ასევე ორიგინალურ თხულებებშიც ავტორი ძალზე ვიწრო დიამაზონის შემოქმედად გვევლინება. მას ნაკლებად აქვს სიტყვის გრძობა. მისი ქმნილებების მხატვრული გამოსახვის საშუალებანი მეტად ერთფეროვანია. ამ მხრივ, ი. კერესელიძის ნაწარმების უმთავრეს ღირსებას სადა მეტყველება წარმოადგენს.

¹ ი. კერესელიძის ეკუთვნის „ცისკარში“ დიბუტილი რამდენიმე „სალაქის ფერცილი“, რომლებშიც ავტორი ლაპარაკობს „ყოველს ჩვენს ნაკლებზე“. მათში ძირითადად იგივე საკითხებია დასმული, რომელთაც ადრე ეხებოდა მ. თუმანიშვილი თავის ფელეტონებში.

² Кавказ, 1859, № 49.

¹ გ. წერეთელი. „ცისკარს“ რა აქვანებდა, საქართველოს მოამბე, 1863, № V. ამ დრამის უკანასკნელი, მე-5 მოქმედება აღარ დაბეჭდილა.

ქართული მწერლობა მოსკოვში გაერთულ ლიტერატურისა და ხელოვნების დ ე კ ა დ ე მ ი ე

საერთაშორისო
ზოგადი მოძრაობა



იპირატეხი



„...მოვადგა პრიზალის სვეტი“.

(ტოციან ტაბიძის შემოქმედებითი გზის შესახებ)

განმარტებული, გამანაყოფიერებელი შემოქმედებითი ზეგავლენა ოქტომბრისა ლიტერატურაზე, პოეზიაზე (აქ ჩვენ ლაპარაკი სწორედ პოეზიაზე, პოეტზე ვუვარდებით), ვისაც შეეძლო თავის თავზე ათას ცხრაას წვიმდები წლის მიაკოვსების ცნობილი „ფორმული“ ეთქვა: „მივიღო თუ არ მივიღო, ასეთი კითხვა ჩემთვის არ არსებობდა“; ეს ზემოქმედება საგრძნობა აგრეთვე ცხოვრების იმ იდურ გააზრებაში, იმ მხატვრულ „გამართლებაში“, რაც შეიმჩნევა იმ მწერალთა, იმ პოეტთა შემოქმედებაში, რომლებიც არ მოაწერდნენ ხელს მიაკოვსების სიტყვებს მ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ; ამ აღმზანებისათვის, რომელთათვისაც საკითხი „მიღება არ მიღებისა“ რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ყველაზე უფრო მძაფრ, ყველაზე უფრო მთავარი და ყველაზე უფრო სისხლხორცეული (ვლამარაკობით რა აქ „მიღებისა“ ან „არმიღებისა“, ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა გვჭონდეს არა მხოლოდ პოლიტიკური, მოქალაქეობრივი გამოწვევებები ან თუ იმ პოეტისა, — ზმირანი ასეთ გამოწვევებებს სრულიად არ გვხვდებით) არამედ ის შინაგანი, შემოქმედებითი დამოკიდებულება მხატვრისა იქამდე არნახული ახალი „თემისადმი“, მისი მიღრგვალება ანდა, პირიქით, უცხოობა ამ თემისადმი.

გზა „ჩემი რევოლუციისაკენ“ მათთვის, ვისთვისაც თავის დროზე იგი იყო ვაუტუბარი, უცხო, ანდა, შესაძლებელია, მტრულიც კი — ეს თავისი კანონზომიერებით ერთიანი პროცესი, — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაუვრებელი, განუყოფრებელი იყო: „მეგალითა“ ყოველთვის „პრიმიტივი“ მდიდარი აღმართებისა ხოლმე, როდესაც ასეთი სახის მიმართვის მქონე მწერალს მიემართავთ, საგულსხმოდ ფაქტთან გვაქვს საქმე, — და ეს იმიტომ ხდება, რომ „ყოფვე ერთი“ ახალი დადასტურება ოქტომბრის ზემოქმედებისა პატიოსან გონებასა და გულზე თავისთავად არასოდეს არ არის

ზედმეტი და „მოსაბერებელი“ იმიტომაც, რომ ყოველი ასეთი ზედი არა მხოლოდ დადასტურებს ზოგად პრინციპს, არამედ, შესახამს რა მას ხორცს, არსებით შტრიხებს უმატებს, განუყოფრებელს, თავისებურებებსა და დეტალებს, რაც დამოკიდებულია მწერლის ინდივიდუალურ და ნაციონალურ-ისტორიულ სპეციფიკაზე...

საგულსხმობა და საინტერესოა, აგრეთვე, ამ თვალსაზრისით ორიგინალური დიდი ქართული პოეტის ტ. ტაბიძის შემოქმედებითი გზა.

პოეტის მოგვრათა (სამწუხაროდ, ნაკლებად ან ცნობილი ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების რუსი მკითხველი საზოგადოებრიობისათვის) მოთხოვნილია თვით მის მიერ „ფურცლებში ატობიოგრაფიდან“, რომელიც დათარიღებულია 1936 წლით, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, და მოთხრობილია განმარტებული პირდაპირობითა და გულსხმობით ალალ-მარტობით.

ტოციან ტაბიძის იდურ-მხატვრული განვითარება დაიწყო 1915 წელს. ამ დროისათვის პოეტს დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის გიმნაზია, ის გიმნაზია, რომელიც სწავლობდა მიაკოვსკი და დაახლოებით იმავე წლებში, როდესაც გიმნაზიაში „თავისი ხარკი მიუზღო რევოლუციისა და უახლეს მემარცხენე პოეზიას“: ამ დროისათვის ტ. ტაბიძე იყო უკვე ავტორი მრავალი ლექსისა და თარგმანისა, მას ესწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში, ვასცნობდა მოდერ „მემარცხენე“ ლიტერატურას და პირადი ნაცნობობა ჰქონდა ბალმონტთან, რომელიც იმ დროს „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა.

1915 წელი ქუთაისში დეკადენტური ჯგუფის ჩამოყალიბების წელია. ამ ჯგუფს უცნაური სახელი ერქვა: „ციხეფარაწველები“. ტოციან ტაბიძე იმთავითვე ამ ჯგუფის ერთ-ერთი წამყვანი პოეტია და თეორეტისი იყო. ჯგუფში შედიოდნენ ასეთი მწერლები, რომლებიც შემდგომში ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიები გახდნენ, როგორცაა, მაგალითად, პოლო იაშვილი და გიორგი ლეონიძე, ნიკეიერი პოეტები ვ. ვაგინინაშვილი, კ. ნადირაძე,



მ. აფხაიძე და სხვ. ცისფერყაწველებმა ბევრი ახალი შეიტანეს ქართული ლექსის ტექნიკაში, მის გამოხატველობის საშუალებებში. ამას აღასტურებს ქართული საბჭოთა პოეზიის ყველა დიდი ოსტატი. მაგრამ თუ ვილაპარაკებთ „ცისფერყაწველების“ საერთო პლატფორმაზე და მათს საერთო როლზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მაშინ საჭიროა ეთქვათ თეთი ტ. ტაბიძის სიტყვებით და ვეწოდოთ ამ აკუფუს „ტიბეტურ-ესთეტურა, თავისთავში ჩაკეტილი მიმართულება“. ისინი ზომაზე შეტ ხარკს უხდიდნენ ავადმყოფურ ბოკემურ არტისტულს, ჭადვებდნენ ფორმულას — „ხელოვნებას ხელოვნებისათვის... (ტ. ტაბიძე, „ფურცლები ავტობიოგრაფიიდან)“. ცისფერყაწველები ბაძეაფდნენ სიმბოლიზმის ფრანგულ და რუსულ მეტრებს, მათს ესთეტიკას, ტექნიკას, ბოკემურ ზნე-ჩვეულებებს. (სიმახალე უნდა ითქვას, რომ ცისფერყაწველები სრულიადაც არ იყვნენ ერთადერთნი, რომლებიც, მაშინ, ქართული ლიტერატურის დემოკრატიული ტენდენციების დასუსტების მიმე წლებში აღიარებდნენ სიმბოლისტურ, სუბიექტივისტურ-რომანტიკულ კანონებს).

როდესაც ვ. გაფინდიანოვი პოეტებს მოეწოდებდა, თავი შეეფარებინათ „სპილოს ძვლის ოკეში“ და აღიარებდა, რომ „ჩვენ გვსურს ნიღბი“ და არა ცოცხალი ცხოვრებაო, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ეპიგონობა. უფრო მეტიც, ტიციან ტაბიძე ამ მასკარადში, „საბიოპაში“ თითქმის ნაციონალურ ქართულ თავისებებს ხედავდა და თავისთავზე ასეთ სტრიქონებს წერდა:

ვაფიზის ვარდი მე პრტლონის
ჩაედე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის
ბორბტ ყვავილებს.

სახელთა ეს ხელოვნური და სინამდვილისაგან დამორბეული შეთანხმება უეჭველი ბრავადის აშკარა ელემენტებისა, განხეთქილებისა, პრეტენზია ჰქონდა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე სიმბოლისტურ-დეკადენტური ელორტების და ნერვებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს იყო დეკადენტურად შერყენილი, „დენდურად“ აღქმული ქართული ეროვნული ლიტერატურული ტრადიციები. რუსთაველი, საიათნოვა, გურამიშვილი, ბაიათაშვილი — ყველა ეს დიდებული სახელი მოწოდებული იყო „პრედონის ვაზით“...

როდესაც ჩვენ ტ. ტაბიძის აქტიურ ცისფერყაწვერ „მიმართულების“ ლექსებს ვკითხულობთ, თითქოსდა გვესმის „ვილაც“ სიმბოლისტი პოეტის გამოძახილი. ხან ლირიკული გმირის წინ გამოჩნდება ლირიკული შეყვარებული:

ვიცი, რომ მოვა საყვარელი,
ვისაც მოველი,
ვიცი, რომ მოვა სილამაქე
დაუთოველი.

„ოჯგერ კი, „როგორც ილაო“, ჩაქროლებს სიმბოლისტების პოეტისათვის ტრადიციული კარმენსტა, ხან კოლომბინას ნატრობს პერო. აღმოსავლეთის ეგზოტიკური მზე გულგრილ სხივებს აფრქვევს ძველი ქალღმის ნანგრევებს. თუმცაღა, უნდა ითქვას, ყველა ეს ესთეტიზებული ასოციაცია, სიმბოლისტური ანტირაგი ტ. ტაბიძისა და სხვა ნიჭიერი ცისფერყაწველებისათვის არ იყო მხოლოდ და მხოლოდ გაუბედავი შეგირდობის უსუსური გამოზატელება. (ეს რომ ასე უოფილიყო, მაშინ არც ისე ძნელი გახდებოდა მათი გარდაქმნა). ტ. ტაბიძის საეფეთსო სიმბოლისტურ ნაწარმოებებში თუ ვერ დავადასტურებთ შემოქმედებითს ორგინალიობას, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, სამაგიეროდ, არ შეიძლება უარყოფა პოეტის პოეტური ძალისა და გულწრფელობისა თუნდაც ისეთ სტრიქონებში, რომლებშიც გადმოცემულია თანადროულობიდან წარსულში გაქცევის ნაცნობი პოტივები:

ძველი ქალღეა სწავას ოცნებას
და ეძახის სულს,
ოქროს ლექსებში მე ვემღერებ
დიდებულ წარსულს.

ეს, რასაკვირველია, არაა უბრალო შოდის აეოლა, „წამხედურობა“, მხოლოდ ვერსიფიკატორობა, ეს არის წრფელი, გულიდან ამოსული...

მაგრამ, არსებითად ეს ისეც და ისეც ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ცდებოდეს (გულწრფელად ცდებოდეს) გული!

...შესაძლებელია ვინმეს ეჭვი დაებადოს რა საჭიროა ძველი კრილობების გალიზიანება, რა საჭიროა ვილაპარაკოთ წარსულის შეცდომებზე, თეკი პოეტმა ისინი დაძალია, ჩვენთვის ხომ იგი, უპირველეს ყოვლისა, ძვირფასია თავისი მიღწევებით!

ოპ, ეს ორთოდოქსალური და ერთი შეხედვით ეგზომ კეთილშობილურნე არგუმენტი! იგი არა იმუდათად უშლის ხელს ისტორიულ-ლიტერატურულ ცვლევას, აღძრავს რა გონებაში ფაქტებისადმი უნდობლობასა და უპატივცემულობას და გვიბძვებს, რათა თეალები დაეხევიოთ იმაზე, რაზედაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაგვეუბნა თეალი, — და, საბოლოო გაშში, პოეტის „მიღწევები“, მოწვევითი მის „შეცდომებს“, მისი განვითარების ცოცხალ პროცესს, ხდებიან ქრესთამატიული, დისტილირებული, და მხოლოდ ერთი რამ გაუგებარი რჩება: მაინც როგორ

მიღწეა ავტორმა ზემოხსენებულ „მიღწე-
ვებს“.

ჩვენ სრულბით არ გვსურს ყურადღება
გვაქმავილოთ ტ. ტაბიძის შეცდომებსა და
სუსტ მხარეებზე (ამის ნებას არ დავუბრუნებ
არც პოეზიის სიუვარული და არც სიმართლი-
სადმი ერთგულება, — ცნებები, რომლებიც ეხა-
მებიან ერთმანეთს ცხოვრებაში, ასევე შთან-
ხმებელი უნდა იყვნენ ერთმანეთთან ლიტერ-
ატურულ კრიტიკაში). მაგრამ, ნათლად ლა-
პარაკი „ცისფერყაწველებისა“ და, მათ შო-
რის, ტ. ტაბიძის მკლარ იდეურ შემოქმედე-
ბითს პოზიციებზე, და იმის შესახებ, რომ ეს
არ იყო გარეგნული ვატიცება, არამედ ეს
იყო ღრმად „შინაგანი“ მიღრგვინება, აუცი-
ლებელია.

პოეტის სუბიექტურ ცდომილებას შესაბა-
მებოდა ზოგიერთი ობიექტური პირობაც, რო-
მელთა შესახებაც საჭიროა აქ ვილაპარაკოთ,
რათა მითხველმა უკეთ წარმოიდგინოს, თუ
როგორ „გაიშართა“ და განახლდა პოეტი, რა
გადალახა მან თავის შეხედულებებსა და შე-
მოქმედებაში.

საქართველოში 1921 წლის თებერვალს დამ-
ყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ბუნებრივია,
რომ „მენშევიკების სამი წლის ბატონობამ და
რუსეთიდან ოქტომბრის მოწყვეტამ კიდევ
უფრო გაართულა და დააბნა ჩვენი შემოქმე-
დება.“ („ფურცლები ავტობიოგრაფიიდან“).
არაპროგრესულ ქართულ ლიტერატურაში და,
მათ შორის, „ცისფერყაწველთა“ ნაწარმოებებ-
ში ძლიერდება ნაციონალისტური მოტივები
როგორც პირდაპირ, ისევე რაფინირებულ
„დეკადენტურ“ ვარიანტებში (მსგავსად ტ. ტა-
ბიძის ლექსისა — „ცხენი ანგელსით“). ქარ-
თელი ბურჟუაზიულ-მენშევიკური იდეოლო-
გები და მმართველები, ცნობილი ნოე ჟორ-
დანიას ტიპისა, ტალახში სვრიდნენ ქართველი
ხალხის სამედიცინო ინტერესებს, საქართველოს
ხსნას ხედავდნენ ძლიერი კაპიტალიზტურის
ქვეყნების მხრივ „მფარველობაში“, ქვეყნების-
სა, რომლებსაც იაფად უთმობდნენ ქვეყნის
სიმდიდრეს. ამ ანტინაციონალურ „აქტის“
ისინი ნიღბავდნენ ლაყბობით თითქოსდა თან-
დაყოლილ „ევროპეზმსა“ და კლასობრივი
ანტაგონიზმის არარსებობის შესახებ, როგორც
ქართული ერის თითქოსდა განმსახვავებელ
ნიშნზე. საქართველოს „თავისუფალ დემოკრა-
ტიას“ ისინი უპირისპირებდნენ რუსეთისა, ბოლ-
შევიკურ დიქტატურას“, ამტკიცებდნენ, რომ
საქართველოსათვის სოციალისტური რევოლუ-
ცია „არაორგანულია“.

როდღ რევოლუციამდე წლებში, მენშევი-
კების ბატონობის ხანაში ვაიფურჩქნა „მხინჯი
ნაციონალიზმი“ (ტ. ტაბიძის გამოთქმა), ვაძ-
ლიერდა საქართველოს განსაკუთრებული გე-
მოირჩეულობის პრობლემა. ბურჟუაზიულად
10. „მნათობი“ № 7.

აღზრდილი შემოქმედებითი ინტელიგენციის
წრეში, რომლისთვისაც უცხო იყო ისტორიუ-
ლი შეხედულება მოვლენებზე და რომელიც
სულდგმულა ილუზიებით, ოდნავადაც რომ
არ შეესაბამებოდა ხალხის ინტელიგენციასა და
იმედებს, — ეს ნაციონალიზმი რამდენადმე მის-
ტიკურ ელფერს იღებდა. ყოველნაირად აქე-
ზებდნენ „ევროპეიზმის“ ამ ვაწყობილებებს-
ბოჰემურობაში ხედავდნენ შემოქმედებითი თა-
ვისუფლებს ზემოეს ქალაქი თბილისი „მეორე
პარიზად“ მონათლეს, ჰქონდათ რა მხედველო-
ბაში ქალაქის მოდერნისტული სალონები, „ეს-
თეტიზებული“ დუქნები, ბირყის სპეკულაციე-
ბი. ყუღამდე ლეფი, ნაციონალურ-მენშევიკუ-
რი ხროვის დროებითი „გაფურჩქნა“-ლზობა,
შენიღბული „დემოკრატიის“ ფრაზებით (ასე
ახასიათებდა ზემოთხსენებულს საქართველოს ცუკ
(ბ), რომელიც იატაკქვეშ იყო შეხიზნული). აი,
ასეთი იყო მდგომარეობა, რომელსაც ხედავ-
დნენ, გრძნობდნენ, იწვიდნენ თავისთავში ხე-
ლოვანი. უნდა ყოფილიყო პოლიტიკურად
ძალიან მოზნადებული, რომ ასეთ ვითარებაში
გარკვეულიყოფი, სწორი ორიენტაცია აეღლო.
მაგრამ ასეთი აღზრდა წარსულში ტ. ტაბიძეს
არ მიუღია.

სწორი გზის ძებნა, ჰუმანიტი „საკუთარი
თავის“ ძებნა ტიციან ტაბიძემ ოციან წლებში
დაიწყო...

ამ წლებს პოეტი ასე იხსენებს: „საქართვე-
ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
პირველ დღეებთანვე დაიწყო ქართული ლიტერ-
ატურის რაგების ვადაჯუფება, მაგრამ პირდა-
პირ უნდა ეთქვათ, რომ მხატვრულ პროდუქცია
ყოველთვის არ შეესაბამებოდა პოლიტიკურ დე-
კლარაციებს. ადვილი არ იყო ბურჟუაზიული
ხელოვნებისა და ყალბად გაგებული ნაციონალურ-
ი იდეების გადმონათებისაგან განთავისუფლე-
ბა“.

ოციანი წლების რთულ ვითარებაში, ნების
პირობებში, მძაფრ სოციალურ და იღვრ
ბრძოლაში ტიციან ტაბიძეს უხდებოდა ეძებნა
თავისი გზა: მას უარი უნდა ეთქვა თავის
მკლარ შეხედულებებზე. რასაკვირველია, ნების
პირობების სირთულე ხელს არ უწყობდა ისე-
თი სულიერი შინაარსის ლიტერატორების
უშტკივრული მორალურ გარდაქმნას, როგო-
რც იყო ტ. ტაბიძე, მაგრამ დაქტი ფაქტია,
სწორედ მაშინ დაიწყო პოეტის მეტამორფოზა.

აქ მე მსურს მეთროდენად გადავხვიო
ისტორიულ-ლიტერატურულ საუბარს.

...ტიციან ტაბიძის ლექსების საერთო გან-
მისხვაველება თვისება არის მათი შიშველი
მგზნებარება, დამაბულობა; გრძნობები კი არ
გამოთქმნიან, არამედ თვითონ აღმოხდებიან
ხოლმე გულიდან:

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.



აზრთა მშვიდი მდინარეება, ფილოსოფიური მედიტაციები, გამსჯელობა, ყველაფერი ეს სრულად უცხოა გ. ტაბიძის ლირიკული გმირისა და ლირიკული სტრიქონისათვის. ლექსი — ეს მოვარდნილი შეწყვეტილი, პოეტური — ლექსის რეზონატორი. რასაცვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ გ. ტაბიძის ლირიკა რაღაც დახლებული და, მით უმეტეს, ქაოსური, ანდა დაძვინილია, და ა. შ. ტაბიძე ამისათვის ერთობ დიდი ოსტატია. მაგრამ, ვივთორებ, მისი ლირიკის ჭეშმარიტი ბუნებაა დაუოყებელი ტემპერამენტი, რეაგირება თითქმის შეუცვებელი, რომელიც დაცხრობას ვერ ითმენს, მცუნვარე, მშფოთიარე მონოლოგიური ინტონაცია. ამის დიდებულ დადასტურებას ისეთი, სხვადასხვა თემასზე და სხვადასხვა ღრის დაწერილი, ლექსები, როგორცაა „ილიაილი“, „მე ყანადგებმა მომკლეს არაგზე“ „მეარღწე“, „აბრიღის თესვა“, „ქებათა ღაღადი“, „ტელმანი“, „სიტყვის დაბადება“.

და, აი, ვუბრუნდებით გ. ტაბიძის შემოქმედებით განვითარების ისტორიას, როგორცაა განსაკუთრებულად ორგანული, შინაარსისადმი შესაბამისი აღმოჩნდა ტაბიძის პოეტური ტრადიციის ბუნება სწორედ იმ ლექსებში, რომლებიც დაიწერა პოეტისათვის ვარდამავალ ხანაში, როდესაც პოეტმა იწყა წარსულის გადალახვა. ამ ღრის დაიწერა ლექსები, სადაც ვალ-მოცემულია მძაფრი შინაგანი ბრძოლა. ეს ვარდამავალი ხანა იწყება დაახლოებით 1923 წლიდან:

ვინ გადაფისა ასე გული
მშრალი ბალაშით
და არ გვაკადა შთაგონების
დავატყავება...

მაგრამ რა უშლის ხელს „შთაგონების დეპიკაციებს?“ პოეტი ჯერ კიდევ „საშუღამოდ ლექსითა დაბეგრალი“, მას ძალა არ შესწევს, თვლით მოსწევიტის ძველი უზნის ნანგრევებს. იყარს, ორბუზი, ძველი საქართველის შესაბონა, თამარ შეფე და ვრთებელსეფელი დემონის თამარა (ამ სახეში სიმბოლიზებულია გ. ტაბიძის ლექსების ლირიკული გმირი ქალი) ერთა სიტყვით, პოეტი იგონებს „ღროშას, ქართაგნს დაბრიღს, რომ შეიგინეს ტანისტის ღარბა“. გონება უვარნახებებს, რომ ყველაფერი ეს უწყვეს ის იღარაა, და რომ უყვე ღროა, გადააგდოს სიმბოლისტური შორთულაობა, მაგრამ ვული... ვულია მოჯაკუფელი ყოველივე ამაზე. ამ გარებაში პოეტი ხედავს საყუთარის დაღუბვის სიმბოლოს. სხვებს კი შეუძლიათ სხვანაირად იმღერონ:

ღე ვახაზრონი იმით მგოსნებშიც,
მათი ცხოვრება ხეაღე იწყება,
ჩვენ მკლოეიარე, მწუხარ ოცნებებს
დაფარავს მიწა და დაიწყება,

ვარჩენილი ვარ ქვებზე კალმანი
და ახველი მაქვს ლაყურები,
შემართულია ფეხზე ჩაბმანი
და უსიყვდილოდ ვერ ვაღდურებ.

მაგრამ, შეიძლება კი ჭეშმარიტი პოეტი შეუარიგდეს ამას? და მისი სულის მეთრე ნაწილი დაინებებით შესტყვარის მხოლოდ იმ ახალ სამყაროს, რომელიც ნაწილობრივ აბაბოეტრად დაე გამოიყოფება. და „სკეითორის ელვების“ გვერდით, სადაც ტაბიძის ლირიკული გმირი ჯერ კიდევ მთლანად „ქართაგენთან დაბრილი ღროშის“ შთაბეჭდილებებშია, და იგი დაგერბებულია, რომ „ყელაფაღებელი იმღერის ველი პირდაპირ სტეგენ შებლს და საფთველს“, იმავე 1926 წელს შეიქმნა ლექსი „ახალი მცხეთა“, სადაც პოეტი წარმოთქვამს მუშთა მცხეთის საღღვგრძელის, მეშებისა, რომლებიც აშენებენ და მიიყოლებენ მტკვარს ახალ არხებს“, სამშობლოს საღიდებლად „მოტორებს გააქეთ ვსლა გრაგანი“. პოეტს სურს იმღეროს ახალზე ახლებურად...

სულიერი, ინტელექტუალური ბრძოლა, კიდილი იმისა, რაც ჩვეულებრივი იყო, რაც დიდი ხნის განმეფლობაში ითვლებოდა ნორმად და სიღამაზედ, იმ ახალთან, რაც მედგრად იზრებოდა ველში და თხოფლობდა გამომხარებას, გარყვეულ დამოკიდებულებას იმ ახალთან, ზობოქათთან, რაც თავდამირველად ანტიპოეტური, ძლიერ „უტილიტარული“ ჩანდა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა პოეზიის, ნატიფ ხელოვნების და მყარ „ნაციონალურ“ ტრადიციებს, — ყოველივე ამ წინააღმდეგობრიობათა კიდილით, რასაცვირველია, გამსჭვალული იყო არა მხოლოდ ტიკან ტაბიძის პოეზია. ჯვარის მონასტრისა და ზაქების, როგორც ძველსა და ახალი ცხოვრების ორი, ყველაზე უფრო ნათლად შთაბეჭდვი, სიმბოლოს დაპირისპირების ჩვენ ვხედებით იმ წლებს ქართულ პრიზაში, პოეზიაში და კრიტიკაში. ეს არის ერთ-ერთი კანონოპიგერი გზა ქართული ლიტერატურის განვითარებისა, ოღონდ თუ ჩვეუკარდებით ამ პროცესის „საერთო“ აზრს, აგრეთვე, გზა მთელი სამშოთა ლიტერატურისა. პოლიტიკერად, მოქალაქებობრივად ძველმა შემოქმედებთმა ინტელიგენციის საუკეთესო ძილებმა (რასაცვირველია, არა წლოვანების მიხედვით) მიიღო რველუტია (და, მათ შორის, „ციხისფრანწელითა“ საუკეთესო ნაწილში) და ის, რაც თან მოჰქონდა რველუტეისა. „მაგრამ გაიგო, ათთვისო პოლიტიკერად, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, ათთვისო მხატვრულად. მშირად მხატვრული დამოკიდებულება ჩამორჩება თანამედროვეობას, ან ეპოქას ზერელდ, ვარგვენულად მოიცავს“ ეს სიტყვები უბრძენის ა. ტოლსტოისა, რომელიც ნაკარნახები იყო მწერლის საკუთარი მხატვრული გამოსვლიებით, ზუსტად გამოხა-



ტაბინენ ტ. ტაბინის მსგავს მწერალთა ავტორ-
ლებელ „ზრდის ტვილის“ სისუსტეს. უკრაინაში
„თავის უაიდაზე“ ასეთი იყო მ. რილკი,
ხოლო რუსეთში, აგრეთვე, ერთობ თავისებუ-
რად — ესენინი.

ახალი დრო თხოვლობს ახალ სიმღერებს, ეს
შეგარძნება ტ. ტაბინისა და მის მთავარებს
იღმროცნელებითა ღრმა შინაგანი სიწრფელის
გაგლეხით და, რაც მთავარია, „სამაო ცხოვრ-
ბისადმი დაინებელი ყურადღებით“. ეს — რაც
შეგება ეთიკური და ესთეტიკური სუბიექტურ
წინამძღვრების გადახალისებას. რაც შეგება
რაბიექტურ წინამძღვრებს, ისინი საყმარისად
ძლიერი და საყმარად ხილული იყო თვითვე-
ლისათვის (მაგალითისათვის ავიღოთ ზაქესი).
ტ. ტაბინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს
ისიც, რომ მისი მისწრაფება მწიქვარე სი-
ოცხლისადმი, თავისთავი და თავის პოეზიაში
წარსულის დაძლევა, შინაგანი კონსტრუქციის
იღმროცნება სულთერ გვარის მონასტრისა და
ზაქესის შორის მიმდინარეობდა იმ დაბრკოლე-
ბათა მიუხედავად, რომელთაც ქმნიდნენ ამიერ-
კავკასიის აპსს ველგარიზატორები, გამაუბრა-
ლოებელი და ზოგჯერ ბოროტგანმზრახველი
იდეალები. ტ. ტაბინის მიერ ახალი სინამდვი-
ლის მხატვრული „ათვისება“ ჩამორჩებოდა
მოქალაქეობრივს. ზოგიერთი კრიტიკოსი მას
ბრალს სდებდა ამაში არა სათუთად, არამედ
უხეშად, არა ჩრევით, არამედ ყვირილით. „ცი-
ფერყაწყელები“ ამგაშდ წარმოადგენენ თითქ-
მის დასრულებულს და თავიანთი ძველი ტრა-
დიციების მიხედვით არა აწერ უნარი ახლებუ-
რად ვარდაიქმან“, ასე უტრდნენ იმ დროს, რო-
დესაც უკვე ერთიანი „ციფერყაწყელობა“
იღარც კი არსებობდა, როდესაც პ. იაშვილი
ახორციელებდა და სხვებსაც ეხმარებოდა განე-
ხორციელებინათ მისი მოწოდება „მოსწყვეტო-
დნენ ძველ ფესვებს“, როდესაც დახეწილ პოე-
ტმა ე. გაფრინდაშვილმა, ერთ დროს ყურნალ
„მეოცნებე ნაამორების“ რედაქტორმა, „ცი-
ფერყაწყელობა“ ერთ-ერთმა თეორეტიკოსმა
დაწერა ლექსები ზაქესზე, ლენინზე, ხოლო
„ოქტომბრის სტრიქონებში“ კი განაცხადა:

რომ დედამიწის იყოს აღამი
მხოლოდ და მხოლოდ ნამვალ-ჩაქუჩი

ახალ სიმღერებზე ტ. ტაბინე შეგნებულად არ
გადადიოდა ეცებ, რათა ლექსები არ გამოსე-
ლიყო „მილაყბე-პეგებარასი“, არამედ ყოფილი-
ყო სტრიქონები, რომელთაც ღირსი ეწოდებოდნენ,
იდელოდ დაეჭირათ დიდ საბჭოთა პოეზიაში. ეს
თვით პოეტის ძალზე საინტერესო და სასარ-
გებლო თვისებაა. წამიერ შთავონების, ცხოვ-
რების მოვლენებისადმი სწრაფი ლირიული
რეაქციის იდეაინს, ტიციან ტაბინეს უნარი
ჭქონდა შეეყვებინა თავი, დაეგროვებინა შთა-

ბეჭდილებები, რომ „არ ვერაა აქტირებულად“,
კი არ გაუთამამებინა, არამედ წარწესდნენ ცხოვ-
რების დიდი თემა: ამაო მოტამქმნებში მზნებნა
არ არის იმისა, რომ ყური შეიწუხოთ ულამა-
ზესი სიტყვებითო, წერდა პოეტი.

1928 წ. ტ. ტაბინე წერს ლექსს „ნუ გაიკვირ-
ვებ“, სადაც თავისებურადაა შეგაყმებული მის
შემოქმედებაში შინაგან ბრძოლათა პერიოდი. ამ
ლექსში პოეტმა პირველად უწოდა მკაფიოდ
თავის ძველ იდეალებსა და ფიქრებს „არა-
ნამდვილი“, თუმც კი გულწრფელი:

მაგრამ მომადება გრივალის სვეტი,
ახალ ბრძოლაში თავით დაეწევი.
სიტყვა არ არის ცეცხლის დამწრეტი,
ისე, როგორც ზღვას ვერ დაილის პეშვი.

შეადარეთ სულ ერთი წლის წინათ პოეტის
მზადყოფნა, რათა „უმღერა ინდუსტრიული
ქვეყნისათვის“, იგი თავის ძველ იდეებებს
უწოდებდა „რძიან ბალახის დილას“ და ღერი-
და ცრემლებს შათ გამო. ახლა კი:

დაფასთან ედგავარ და ეშვი ძველ ლექსებს,
ცარიეთ კი არა, სისხლით რომ ვწერდი.
საბჭოთა მიწა გვიცენი ფესვებს,
ახალ ცხოვრების ვარ აღავერდი.

ასე დაიწყო პოეტის შემოქმედების უკანას-
კნელი მომწიფების პერიოდი, პერიოდი, რომე-
ლიც ტრაგედულად შეწყდა 1937 წელს.

თუკი ვეცდებით, რომ განვსაზღვროთ ოცდა-
ათიანი წლების ტ. ტაბინის შემოქმედების
ძირითადი ღერძი, ძირითადი ლირიული თემა,
რომელშიც თავს იყრიან ყველაზე უფრო გულ-
წრფელი ფიქრები და გრძნობები, მისი ლირი-
კის მთელი კომპლექსი, ეს იქნებოდა საბჭოთა
საქართველოს თემა, მხიარული და ბედნიერი,
შემოქმედებითად ძლიერი საქართველოსი. ეს
სწორად დასმული ნაციონალური თემა გაიცის-
კროვნებული იყო საბჭოთა პატრიოტიზმით.
პოეტი ამ დრომდეც არა ერთხელ გრძნობდა
თავს საქართველოს მებრძოლად და ამათბდა კი-
დეც ამის შესახებ. მაგრამ თუ არაფერს ვიტ-
ყვით ესთეტიკურ-მესიანიხისტურ ადრეულ ლექსებ-
ზე, ეს იყო ან სიტყვები საქართველოს გვი-
რულ არქაიზებულსაზეიმო წარსულზე (მაგა-
ლითად ოდა „თბილისი“), ანდა სიტყვები გუ-
ლითად, ზალასი, მაგრამ, ასე ეთქვათ, არა
ფართო საზოგადოებრივი ელვარადობისა და
ახრისა. ოციანი წლების ბოლოსა და ოცდაათი-
ანი წლების დასაწყისში ტ. ტაბინისათვის სრუ-
ლიად ქრება დილემა: ან „ნაციონალური“ ქარ-
თული გაგებული უფრო მეტად, როგორც წარ-
სულის ისტორიული და პოეტური დიდება, ან
ახალი რევილუციური, ინტერნაციონალური.
ტ. ტაბინემ არა მარტო შეიგნო, არამედ პოე-

ტურად გამოხატა ისტორიული სიდიადე საბჭოთა საქართველოს ხალხის საქმიანობისა.

ტ. ტაბიძის შესამე პერიოდის ნაწარმოებები გამოირჩევიან ნაძვლები ი სტორიის მიხედვით. ახლის გაცემა და ახლისადმი ერთგულება სრულიად არ თხოვლობდა, რომ უარი გვეთქვა ამ გმირისა და დიდის მაღალ შედისებზე, რაც წარსულში ჰქონდა მშობლიურ ხალხს. სიდიადე და ახალი სილამაზე „ზაპისი“, სრულებით არ იყო მტრული გვარის მოსახარის სიდიადისადმი და სილამაზისადმი, ერთი და მეორეც არის საქართველოს ისტორიის გავრცელება. მაგრამ ბუნებრივია, რომ სოციალისტური თანამედროვეობის აღქმა, როგორც ნაციონალური ისტორიის საუკეთესო ნაწილისა („ამდგრდი ისე, როგორც ამდგრდა უძის ბუღული მაღალ ფალცეტით“) პოეტისაგან თხოვლობდა აგრეთვე წარსულის არსებითად ახლებურ გააზრებას. ამ ორმხრივს ამოცანაში — „ხვალისა“ და „დღისა“ კავშირის დანახვისა და მათ შორის სხვაობის შეგნებას მიზნად ისახავდა კიდევაც პოეტი თავის შემოქმედებაში. სავსისხმითა ამ მხრივ ლირიკული პოემა-მონოლოგი — „სამშობლო“ (1936 წ.), სადაც თვით პოეტის საკეთარი აღიარებით რომ ვთქვათ, იგი „ყველაზე უფრო უახლოვდება სოციალისტურ რეალიზმს“ („ფურცლები ავტობიოგრაფიიდან“). აქ პოეტი ლაბირაობს საქართველოს მარადიულ სილამაზეზე, მის შიშივე წარსულზე და მის ძლიერ შემოქმედებითს სოციალისტურ აუცილებებზე. ახალი აღმშენების ცხარე შრომაში, კულტურის სფეროში და პოეზიის დარგში ნამეყიდრევა ის გმირული, ის კუშმარტივად ღირებულა და მშვენიერი, რაც ქართველ ხალხს წარსულში ჰქონდა. პოეტს ესმის, რომ:

ნელარ ვახსენებთ დიდ ქალთა სახელს
მედიას, ნინოს, თამარს ჭეთევანს,
დიდ მოსწონებს ეხედავთ, იმთ ამსახველს,
ველარ გაუძლებთ მათ შემოტევისა...

მაგრამ წარსულში მოიპოვება ისეთი რამ, რაც აუცილებელია თანამედროვე პოეტისათვისაც. ესეც კარგად ესმის პოეტს და ის ასე მიმართავს ძველებს:

ყველას ვეძახით, იყავით მოწმე,
დასტოვეთ თქვენი საფლავის ღვირვ
შე არ მრცხვენია დიდ ეპოქისა,
ერთი სიწყალი რომ ვარ შესტიერი.

ტ. ტაბიძის შემოქმედების შესამე პერიოდისათვის ძლიერ დამახასიათებელია, აგრეთვე, ლექსი „დადესტრის ვახუშტული“. აქ პოეტი გაიზრებას ქართული ხალხური ლექსისა და, ამასთანავე, ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემე-

ბის „სტუმარ-მასპინძელისა“ და „აღუდა ქეთელურის“ მოტივებს. ტაბიძის ლექსი — ეს არის მიმართა დღევანდელი ზეგნებებისადმი, ფრთხილად და თუ შეზღუდული, „აღუდა ქეთელურის უმცროსი მშობისადმი“, ეს არის მოწოდება, რომ „მოვსოთ ადამის ყველა ნაღვი“. საბჭოთა ისტორია, ხალხთა ერთიანი ბრძოლა სოციალური შინაგვრდების წინააღმდეგ, ბოლშევიკების შემოაბა, სერგოისა და კიროვის ნათელი მგალითები, რომლებმაც ასე ბევრი გააყეთეს კავკასიის ხალხების შეგობრობისათვის, — ყველაფერი ეს სახეს უცვლიდა ზეგნებსა და ცხოვრების კანონებს, ყველაფერი ეს შეეღა ძალიან ტვეად და, როგორც უოველთეს, ტ. ტაბიძის შემოქმედებისათვის. დამახასიათებელ მგზნებარე ლექსში:

შე ვბრუნდებოდი საქართველოში,
წინ მომძლოდენ დადესტრის მთები;
არა ვარ უცხო ამ მიდამოში,
ძუძუთ შერგება მისი კალთები.

რომ შემხედეს ეხლა მეზრანის ბოლოს
ხელაღებული თავზე ყივჩაღი,
დაველოცავდი თვითონ სამშობლოს,
რადგან სამშობლოს ერთი გვაქვს თალი.

„ერთიანი ოჯახის გარმნობა“, პ. ტინინის მოსწრებელი თქმით, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის შერწყმა მკვეთრად აქვს გამოთქმული ტ. ტაბიძის მრავალრიცხოვან ლექსებში, რომლებიც ეძღვნება სომხეთს, პეშეთს, მთავრობის, და პოემაში — „თერამეტი წელი“. I აი, სადაღედ მივიდა თავის ნაწილობაში ნაციონალური გარმნობა საბჭოთა პოეტის — ტინინ ტაბიძისა.

...სამშობლო, საქართველო — მშვენიერია. არ იმდერ მასზე — არ შეიძლება... ასეთი მოტივი ყოველთვის იყო ტ. ტაბიძის ლირიკაში, პოეტი ყოველთვის იღვწოდა, რომ ყოფილიყო საქართველოს „სალამური“. 30-იან წლებში მისი ზმა იქცა ახალი სოციალისტური საქართ-

I ეს პოემა, სხვათაშორის, საინტერესოა იმითაც, რომ მასში პოეტი, საერთოდ, თავისი ნიჭის ხასიათის მიხედვით ძალიან დამორბეული სატირისა და სატრაპისისაგან, მძაფრად, პოლიტიკურად ზუსტად დასკინის მენშევიკურ კამარილიას, დროებით რომ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და „დემოკრატიკაზე“ დემოკრატიული ყვირილით გააძაღეს ტერორი „თავიანთი“ ქვეყნის შემუსვის წინააღმდეგ. მათ, დაწინაურებთან ერთად, მოაწვეეს მშთამცველი ომი ქართველებსა და სომხებს შორის. პოემაში არის იმ დროის ნათელი ყოფითი სურათებიც.

ველის ხმად. ტ. ტაბიძე მწერალთა პირველ
საჯ. ყრილობაზე 1934 წ. ამბობდა: „ახალი
ცხოვრების ამწმენველ სოციალიზმისა და გან-
თავისუფლებული შრომის მღვლეარება, აი,
ახალი ადამიანის გამოჩენილი საქმე, რატომისტუ-
რი პოეზიის საფუძველი...“

ფუკი 20-იან წლებში ყველაზე უფრო გამო-
ერთიანებული სიმბოლოები იყო ზაქასია და
ჯვარი, რომლებიც თავისში მოიცავდნენ პოე-
ტის გრძნობათა და აზრთა ყველა წინააღმდე-
გობდნენ ნაყოფს, ახლა ერთიანი, მთლიანი სული
პოეტისა იღვრება კოლხიის სასწაულოთა ხოტ-
ბის შესხმავში. კოლხიდა არის პოეტის მშობ-
ლიერი მხარე — ადგილი, რომელშიც მას გაუ-
ღვიძია ინტერესი ძველი ლეგენდებისადმი და
პოეტი გააოცა სულ სხვა რივის რეალური შთა-
ბეჭდილებებით: „ჩემ თვალწინ სოფლები წყდ-
ბოდნენ მალარიისაგან და მცხოვრებნი პირზე
წყველით ატოვებდნენ დასახლებულ ადგილებს.
ეს კოლხიდა საბჭოთა ხელისუფლების ღონის-
ძიებებით გადაიქცა აყვავებულ ციხურსების
ბაღად, სოციალიზმის სასწაული აღმატება
ოქროს საწმისის მიოს“.

კოლხიდა ახალი ცენტრალური რეალისტური
„სიმბოლოა“ 30-იანი წლების ტაბიძის პოეზია-
სა, ახალი, კემმარიტად ხალხის მიერ შექმნილი
ლეგენდა და ამიტომაცაა, რომ ასე ნათელია
პოეტისათვის:

ახალ ეპოქის უდიდეს ეპოსს
ღარ სჭირდება უკვე შედეგი.
პოეტს სხვა ცეცხლი გულს მოედება,
თუ თავის თავის მოიძედა.
ახალ სიმღერებს გულში აგვიანოებს
ბედნიერების სხვა დაპირება.
დღეს სხვა აზრი აქვს საგნებს და ნივთებს
და ზღაპრად იქცა ოქროს ტრიბუნა.

ტიციან ტაბიძე თავისი ნიჭის არსის მიხედვით
„ლირიკოსი იყო, ამისთანავე, „ექორი“, „ინტე-
შერი“ ლირიკოსი, „თვითგამოხატვის“ ლირი-
კოსი. ის, რაც ვარს ეყვროდა მას და მიმდევ
გულწრფელ ბოხოქარს, ყოველთვის თითქოს
სუნთქავდა მერყეული ლექსში იღვრებოდა, აეცი-
ლებლად უნდა გაველო ხოლმე მის გულში და
მიეღო ის ფორმა, რომელსაც გული ძერწიდა
მისთვის. ტ. ტაბიძის ლექსი ყოველთვის არის
ლექსი „საყუთარ თავზე“, ყოველ შემთხვევაში,
აუცილებლად „თვის თავზედაც“. შემოქმედების
შესანიშნო პერიოდში, როდესაც პოეტმა უკან ჩა-
შობიტოვა ეჭვები და შინაგანი ბრძოლები, რა-
დესაც მისი შეგნება სულ უფროდაუფრო ის-
ტორიული ხდებოდა, მის ლირიაში ჩნდებოდა
მომენტები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ
ეპიკური, მის ლექსებში ჩნდება — განათობრივ-
ეპიკური სურათები (მაგ., „აღავრდის დღე-
სასწაული“), ისტორიულ-ფილოსოფიური მონა-

ლოგები (მაგ., „კოლხიდა“, „რიონ-პირტი“).
მაგრამ, აქაც ყველაზე ძლიერია ის, რაც ვაზარ-
წყინებულთა ავტორის სუბიექტური ცეცხლით,
ის, რაც შეეფარდება პირდაპირ უშუალოდ
საყუთარს „მე“-ს განცდებს. საყუთარი „მე“ კი
თანდათან ფართოვდება, იგი მოიცავს სულ
შეტ საზოგადოებრივს ისე, რომ არ კარგავს
თავის ლირიკულ სიხედავსა და გამჭვირვალე-
ბას. აი, რატომ ტყებუა მკითხველი ამ ლექსებით,
მაშინაც, როცა თვით ავტორის „იღვმალეობაში“
შევაღწევთ ხოლმე, როდესაც მოწმენი და თა-
ნამოთხარე ვხდებით მისი ბრძოლებისა, მისი
ძველი გზისაგან განთავისუფლებისა, მისი
ზრდისა, როგორც მოქალაქისა და შემოქმედი
ადამიანისა:

თითქოს ადგა კლდეთა უდაბნო
და დაავრა ლოდები ზვირთებად,
ვამა შარჯვენას, ვინც ამ სტიქიის
წინამძღოლობა თავზე იტვირთა.

შე თვალთ ვნახე ეს გალაშქრება
და მოვიხადე მეც ეს სახალი,
ნაქვე შირაზის ვარდის მაგიერ
ქვათა მუსიკის გავხდი საალი.

ახალი ცხოვრება ლირიკულად გახსნეს
ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, ვ. ვაფიანდაშვილმა,
მისი ნიშნები გახდა მათთვის იმის მაგალითე-
ბად, რაზედაც საჭიროა შემოწმდეს საყუთარი
პოეზიის მაჯისცემა, განწმინდონ თავისთავი,
რათა უფრო შირს შესცურონ რეველუციამში
და, ვისაგებია, თუ რაოდენი სიამაყით ლაბა-
რაკობს თავის თავზე პოეტი ლექსში „ორბი-
რელი კომკავშირელი კრემლი“, სადაც მოცე-
მულია მონუმენტური სხეუ ახალგაზრდა გვი-
რისა, რომელიც კოლხიდას ანახლებს. პოეტი
წინასწარ გვაფრთხილებს, რომ ლაბარაკი ექნე-
ბა საყუთარ თავზე და იმ უფლებზე, რომ ამ
თემზე წეროს:

და იწერება დიდი უსტარო,
ათასი გულის ფეთქებით შეკრული,
თითქოს ცის გახსნილ კარს მიუღწერო,
გავხდი მეოსანი მათი ერთგული.

ტ. ტაბიძის შემოქმედებითი გზა, ძირითადი
მომენტები მნიშვნელოვანია სამ შემთხვევაში:
პირველი, როგორც „მაგალითი“, „ილუსტრა-
ცია“, (ყოველ ერთი მაგალითი, „კიდევ ერთი
ილუსტრაცია“) მნიშვნელოვანი კანონზოცხრე-
ბისა, რომელიც საერთოა სხვადასხვა ნაციონა-
ლური საბჭოთა ლიტერატურის განვითარებ-
ისათვის. ეს არის „პატისანი ტალანტების გა-
დასცლა იმათი ბანაკიდან, ვინც არ მიიღო“, —
„ჩემი რევოლუციის“, „ჩემი სოციალიზმის“
მხარეზე; მეორე: ტ. ტაბიძის შემოქმედების
ძიებებში ნათლად გამოიყვითა ამ პრაქციის



ზოგჯერათი თავისებურება რომლებიც განპირობებული იყო სწორედ საქართველოს ისტორიით (მხედველობაში გვაქვს თუნდაც მძაფრი ელერა თემისა „ახალისა“ და „ძველის“, ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის დამპირისპირება. ასეთი სიმკვეთრე არ ახასიათებდა რუსულ ლიტერატურას, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოღვაწეობდნენ ისეთი სიტყვის ოსტატები, რომლებიც სწორად გაცემული ნაციონალურით მივიდნენ საბჭოთა პარტიოტიზმამდე): მესამე: ძალიან თავისებურია ტ. ტაბიძის პიროვნება როგორც პოეტისა; იდეურ-ეთიკურის კარდინალურად გადახალისების დროს იგი ერთ-ერთი დარჩა თავისი პოეტურ პიროვნებაში ემოციური თავისებულისა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს გადახალისება მიმდინარეობდა რადიკალური, ერთიანი ემოციურ-ფსიქოლოგიური „ტიპის“ ჩარჩოებში. ეს ტიპი იყო ლირიკული, ორგანიზებული ფსიქიკისა. ტ. ტაბიძე ოციან და ოცდაათიან წლებშიც მომხრე იყო დამაბული დრამატული „ეთიკოგომობაცვისა“, „გაციკროვნებული“ ლირიკისა, გულითად, შეწყვერად მოვარდნილი ლექსისა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ტაბიძე „გაციკროვნების“ და „აფეთქების“ მოთმედე, საკუთარ თავზე არ მუშაობდა, პირიქით, იგი დღენიდაც დაბაბულად, გატაცებით შრომობდა და ვეღაფერი ეს დედლა და გაღმადულდა გულიდან ცხელ, მოუსვენრად გამეფწლავი და მსუბუქი ნიავის მსგავსად. და შერე როგორი ნიავი იყო, ოღნავ გასაგონი, სხვათათვის ძლიეს შესაგრძნობი! ტყუილად კი არ წარმოთქვა პოეტმა შწერალთა პირველ ყრალთაზე ასეთი უშუალო ფრაზა: „მტანჯავია, როდესაც გრძნობ ახალი ფორმის ძიებას“. სწორედ რომ მტანჯავი და საგრძნო-

ბი იყო უძილო ლამეები, — ამანე ლამარაკობს პოეტი ვველა თავის ლექსში, სადაც კი „საერ-თოდ, ლამარაკობა პოეზიაზე“

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია, მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ შეთქვა — როცა პქარები პქარებს სდევნიან. საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.

მაინც თუ ვერ ვთქვა, რასაც ვესწრაფი, მე ამ ცოლვაში ბრალი არ მიდევს, ვარ იდუშალი მხოლოდ მიზრადი და გული აყლევს ლექსის ამინდებს.

გავიგონათ, ჩემო კარგებო, რომ სიყვარული ძალით არ მოვა, სიტყვა სიტყვასაც არ მიუდგება, თუ ის სიმღერამ არ ამოსწოვა.

ქალაღზე კი იღვრებოდა ეთარაცა ქესპრომტ, უეცრად, მკეთრად, ნამდვილად, როგორც მწყერბი, მტანჯავი „ლოლინი“, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, უზადო გაცივრება იმით, თითქმის შენ მიერ კი არაა იგი მოპოვებული, არანედ თეთონ მოვლა „სხვა მზრადან“. ეს ნიშნები, როგორც წვენ გვეონია, არის ძირითადი ტ. ტაბიძის, როგორც პოეტის, ფსიქოლოგიურ კომპლექსში. და ერთობ ძვირფასია, რომ თავისი სუბიექტური „მიდრკვილებების“, „ინტიმური ჩადრმავებების მიუხედავად, ტ. ტაბიძემ შექლო მზარში ამოსდგომოდა საბჭოთა საუკუნეს, ამოსდგამოდა, როგორც ვველაზე დიდი მომღერალი, ნამდვილი ეპიკური გმირული სასიციცხლო პროცესებისა, — პროცესებისა, რომლებიც მილიონობით ადამიანებს მოიცავდა.

სარგბი მოკოლესი



პართული პომზიის შესახებ

ამხანგებო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, სავრათად, ხალხთა მეგობრობისა და, კერძოდ, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ნამდვილ დიდ დღესასწაულად იქცა.

ნებს მივეცემ ჩემს თავს, ამთავითვე გავიზიაროთ ვველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმისაგან, ესაა „ოტელიო“. თეატრმა დაისახა თავის წინაშე დიდი ამოცანა, გადმოეცა შექსპირის ბალეტის პლასტიკური ენით. თეატრმა დიდებულად შეასრულა ეს ამოცანა. სუბექტული მაღალ დონეზეა შესრულე-

ბული. ბალეტი გააფორმა ჩემმა მეგობარმა და საყვარელმა მხატვარმა ს. ვირსალიძემ, რომელმაც ლენინგრადში გააფორმა „ლოენგრადში“. მხატვარმა გამოიჩინა დიდი ოსტატობა, მტკიცე, ლაკონიურ ფორმებში წარმოგვიდგინა შექსპირის ტრაგედია. ქართული საბალეტო ხელოვნების ოსტატების საუცხოო თანაშემადგომელი მკურებელი აღტაცებაში მოიყვანა. ეს სუბექტული ნამდვილი ზემოა, უდიდესი დღესასწაული, მიჩვენებული იმისა, რომ ქართული ხელოვნება ამაღლა მსოფლიო კულტურის მწვერვალმდე. ა. მაჭავარიანის მუსიკა მომზობლავია და სახეიშო. მაჭავარიანმა შექლო ქართული ხელოვნების

ტრადიციების განგრძობით, ქართული მუსიკალური ენით ვაღმოვცა მუსიკაში შექსიარის ტრადიცია.

დგაძის დაწყებამდე მე ვესტუმრე ჩემს ძველ მეგობარს — ლალო გუღიაშვილს. ამ მხატვრის წინაშე იდგა დიდებული ამოცანა, ათვისოსის მსოფლიო ფერწერის, მსოფლიო კულტურის უდიდესი მიღწევები. იგი ვაბედულად სწავლობს ტრადიციასაგან, საუკეთესო რუსი მხატვრების მეგობარია, ქართული ხალხური საგანძურის მთელი სიმდიდრის მფლობელი და საუცხოო სურათებიც გვევლინება.

განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, როდესაც იგი თავისი ხელოვნების სიმამლიდან, დღევანდელი დღის ღრმა დაკვირვებას აქვდაყვანებს, მაგალითად, იგი ვეჩხატავს სფინქსს, რომელმაც კოლონიზატორებს წინააღმდეგ აღმართა თავისი მძლავრი თათები.

ლ. გუღიაშვილის ხელოვნება იმის დამადასტურებელია, რომ ქართველი მხატვრები აგრძელებენ ქართული ხალხური შემოქმედების ტრადიციებს, ვაჟა-ფშაველას ტრადიციებს, მათ შეუძლიათ შრობოლო ენაზე ათვისოსის მსოფლიო თემები. და ეს არის სწორედ დიდებულება. მე კარგად მახსოვს საუფარგლო იაჟაბ ნიკოლაძე, მისი საუცხოო ქანდაკებანი, იგი პირველი ისტატი იყო, რომელმაც თავისი ხელოვნებისათვის გამოიყენა საქართველოს მდიდარი საბადოების მარშარილო.

ქართული დგაძა ბევრ ფიჭრს იწვევს. იგი უფროდ საბჭოთა ხელოვნების დიდი აღმავლობის მომასწავებელია.

ეს შესავალი მე იმიტომ დამპირდა, რომ მზინლავს ქართველი მხატვრებისა და პოეტების კულტურული და მხატვრული ამოცანების ერთიანობა.

ის, რაც აღვნიშნე ხელოვნებაში, — მუსიკაში, ფერწერასა და ქანდაკებაში, — უფრო მკაფიოდ ვლინდება პოეზიაში.

მე მინდა ვილაპარაკო სამ პოეტზე. ესენი არიან: ჩემი ძველი მეგობარი და თანატოლი იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე და სიმონ ჩიჭოვანი.

ძალიან მიმწოდებოდა ერთ გამოსვლაში ამ სამი პოეტის გაერთიანება, ვეჭვები თემას, რომლითაც შეიძლება მათი გაერთიანება. ჩვენ ხშირად დროის მანძილზე ვეცოტავებ; ხშირად ვადავლახავთ ხოლმე წლებს და თვეებს, ზოგჯერ მერტ ვაკეთებთ, ვიდრე შეიძლება ერთ წელიწადს გაკეთება.

ამიტომაც ნება მივეცი ჩემს თავს, მათი გაერთიანება მუსიკალური ტერმინებით მოვახდინო. იოსებ გრიშაშვილის პოეზია, მისი ლექსების მელოდიურ-რიტმული ტექნიკა შეიძლება წარმავიდეინოთ სალამურის სახით. ეს მწვემისის სალამურია, რომელსაც საუცხოო გვამ აქვს. სალამური — მდიდარი მუსიკის შემცველია, იგი

აპოლონს ავანშირებდა მარსიუსს. პოეტმა კარგად უამბო თავის ხალხს ის, რის თქმაც შეეძლო.

კარლო კალაძე — ეს უკვე კარტეგინაშია ელსაც სალამურის ლირიზმი განახლებავს. აქ იგვე სამი ნოტია, ოღონდ ყოველი ნოტა მუსიკის ლოდებს ატრიალებს.

და ბოლოს — ჩინებული სიმონ ჩიჭოვანი იგი ისეთია, როგორც ლორენცო ბრწყინვალე. ეს უკვე ორკესტრია. მისთვის ერთნაირად მისაწვდომია, როგორც ორკესტრი, ისე ორღანი; სებასტიან ბახის ორღანი, რეზარდ ვაგნერის ორკესტრი და, შეიძლება, მუსორგსკისაც.

ამ თვალსაზრისით ნება მომეცით, ვაგვიზიაროთ ის ფიჭვები, რომლებსაც ჩაქსოვება ერთ გამოსვლაში მოვასწარია.

დაიწყებ უხუცესით.

იოსებ გრიშაშვილი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან პოეტთაგანია, რომლებიც 1905-1906 წ. წ. რევოლუციის დროს გამოვიდნენ.

ეს მთავარია მის ცხოვრებაში. მის გვერდით დგანან რუსი პოეტები, მაგრამ მე არ შემოდლია დედასახელი ისინი. ღვიანი ბედნი ცოტათი გვიან ვაყოლიდა, მინამდე იყვნენ პოეტები, ნაყლებად შესწავლილი პოეტები რევოლუციისა, 1905 წლის პოეტები, მუშათა წრიდან გამოსულნი, რომელნიც ისეთივე სიმღერებს მღეროდნენ, როგორც იგი. მეც ცოტათი ემონაწილეობდი ამ საქმეში, ცოტათი, რადგან გვიან შემოვიდი პოეზიაში.

მინდა ერთი მისი ლექსიდან მოვიყვანო ადგილი:

თუნდაც ჯალათმა, შხამ-გესლიანმა,
თვის სისხლიანი ჩაჰვიდოს ხელი,
მინც თამამად, შედგარად შეეძახებ:
„სიკვდილი მტარავლს! ძიარს
სისხლისმსმელი!“

ესაი 1906 წლის დროინდელი ლექსი. რუსული თარგმანი ეკუთვნის ვ. ბუგაევსკის. თარგმანი კარგია. ჩემი აზრით, თარგმანი სწორედ ასეთი უნდა იყოს, ამაღლებული, ღამაზი. ასეთია ჩემი თეორია. და სიტყვები, რომლებსაც მთარგმნელი იყენებს, არ უნდა აფერხებდნენ აზრის მოძრაობას, მთარგმნელი უნდა ლაღად გრძნობდეს თავის თავს.

და აი, სწორედ იმ პერიოდში, რომელიც ითვლება რუსეთის სოცერების ყველაზე შავზნე პერიოდად, 1906-1907 წლების პერიოდში, 1912 წლის აღმავლობამდე, ი. გრიშაშვილი, ინტიმური ლირიკის პოეტი, ამავე დროს, არ იფიწყებს 1905-1906 წლების მიერ შთანერვილ განწყობილებებს. იგი ხატავს ხალხის წილიდან გამოსულ ქალის სახეს ლექსში ერთ ქოლს! (1907), წერს შვენიერ ლექსს, რომელსაც თამბაქოს ქარხანაში მომეშავექსილებს უძღვნის:

და თქვენ... და თქვენ, სვე-მღვიანარო,
როს იყავებთ თუთუნს პირში,
გრძნობთ, რომ იმის მკეთებელი
კვდება ტანჯვა ვასაქრში?

როგორც ლიანოსს, ხალხის პოეტს, სხვა
მრავალ პოეტთან ერთად, მასაც არ ასცდენია
რევოლუციის დამარცხების წლებში დაცემულ-
ლობის გაწყობილება. იგი ქმნის ლირიკულ
ლექსებს. მას აქვს შესანიშნავი ლექსები, დაწ-
ებული 1908 წლიდან — 1914 წლამდე, თით-
ქმის ოქტომბრის რევოლუციამდე. მე მინდა
მოვიყვანო ცალკეული სტრიქონები სხვადასხვა
დროის სხვადასხვა მის ლექსებიდან:

„გიყო... მიყვარხარ... მიყვარხარ!
ტუნებში გაიმფორეს.“
„ქმარა, რაცა ესეი სიმწრის ფილაჲ“

„და გული აღმოჩნდა ისეთი ცივი, რომ
ვაქვავდა ნარკოზი... ვაყენია წვეთულ დროში.“
„და თვალი აღარ ჩაგეოცნება

ცრემლ-მორეული“

„რა კარგი ხარ, რა კარგი!“
„გამოაპართვი მარდაღ, აბა,
ჰა, ეს თოკი, —
მღერის გული ანატოკი,
გული ცრემლით დანათვრი, —
გამოაბი შენ ვე წვერი
და მე ამ წვერს გამოვბაე“

სწორედ ამ ლექსების დაწერის პერიოდში
ვაიცინა გრიშაშვილი და დაუშვებობადი მას.
საერთოდ, 1918-1920 წლებში ვმეგობრობდი
და ვმუშაობდი ქართველ პოეტებთან. ტოციან
ტაბიძეს, ვ. ტაბიძეს, ნ. მიწეშვილს მანაც და
მანაც არ უყვარდათ ოსებ გრიშაშვილი. სიმ-
ბოლისტ პოეტებს არ უყვარდათ გრიშაშვილი.
მაგრამ მე ვერ ამისხნეს, თუ რატომ არ უყვარ-
დათ. მე კი ამას ვგრძნობდი, თუმცა არც მე
მესმოდა ასეთი დამოკიდებულება. ეტყობა,
იმიტომ არ უყვარდათ, რომ გრიშაშვილმა ქარ-
თული ხალხური პოეზიის ტრადიციებზე და-
ფუძნებული პოეტური ნიმუშები მოგვცა. ჩაი-
კოსკი 80-იან წლებში ზომ წერდა გენიალურ
მუსიკას ფოლანოვისა და ანტონინის ცულ ლექ-
სებზე.

1917 წლის ამბებს გრიშაშვილი გამოგზავნა-
რა ლექსით: „აღსრულდაი ქვისფერ ცისკარს
ამოჰყვა მზე მონარხარ, მზე ცეცხლისფერით“...
აქ არის მისწრაფება კომუნისმისიკენ. აქ არის
მერყეობის, სატრფიალო ლირიკის დასასრუ-
ლი, პოეტური გაფორჩქვნის მწვერვალი. მშვე-
ნიერა ლექსია: „გამოთხოვება თბილისთან“:
„ქველ თბილისო! ჩემი მიზნები აღარ მაქვს,
გულში რომ ვინახავდი... გადამქვდა, უნდა შევ-

ცვალო გზები... ძველი თბილისო... გტოვებ...
ნახვამდის“...

და ლექსი „ახალი თბილისი“: „მწერი სიმღ-
ლის ქირაში, იზრდება საამურადა, მხარში
უღებხარ დიდ მოსკოეს, გადამხვევებარ ძმუ-
რადა“.

მაგრამ ნამდვილი პოეზია იწყება იქ, სადაც
გრიშაშვილი ეხება საბავშვო თემას. ჩვენ ახლა
ბევრი საბავშვო პოეტი გვყავს, მაგრამ მე
ცოტა წამიყობავს რუსი და უკრაინელი სა-
ბავშვო პოეტების ლექსები, სადაც გამოხატუ-
ლი ყოფილყოფის ისეთი ნაზი, კონკრეტული
სიყვარული ბავშვებისადმი, როგორც ეს გრი-
შაშვილის ლექსებშია. ეს არის წმინდა და
მკაფიო ხმა მამისა, რომელმაც ბევრი რამ გა-
დაიტანა თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში და
რომელსაც სურს მოზარდი თაობას ჩაუყურ-
ვოს თავისი ხალხისადმი სიყვარულის გრძნო-
ბა.

აი, ყველაფერი ის, რაც მე მინდოდა — მთა-
ვიარ ხაზეში — მეთქვა ოსებ გრიშაშვილზე,
საბჭოთა პოეტების ოჯახის ღირსეულ პოეტზე.

მე ძალი არ შემიწევს აფიქროთ სიმონ ჩიქო-
ვანის პოეზია. „შემოქმედი, მსვავსად ხისა,
სიკვილიამდე იზრდება“ — აი, სიმონ ჩიქოვანის
თეზისა. მისი ლექსების მთავარი თემაა მეგობ-
რობის თემა. მისი სტილის დამახასიათებელია
საბჭების შეტაფორული წარმოსახვა.

იმ წიგნში, რომელიც ქართული დეკადისა-
თის გამოცემა და ქართველ პოეტებს — ი. გრი-
შაშვილს, კ. კალანდის და სხვებს ეხება, მოცე-
მულია აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის დახასიათე-
ბა. ამიტომ მე არ შეეჩერებები ამაზე.

მე მინდა აღვნიშნო მისი მნიშვნელობა, რო-
გორც პოეტისა, რომელმაც ათთვისა რუსთავე-
ლის, ირანის, ვეა-ფშაველას, ლერმონტოვის
კულტურა. იგი მათგან მომდინარეობს. ძნელი
იყო პოეტის გზა. ეს იყო გზა ოთახის დემონი-
საგან განათვისებულებისა. ოთახის დემონი —
ინდივიდუალიზმია, რომლის ტყვედ პოეტი
ერთ დროს საკმარისად დიდხანს იმყოფებოდა:

ოთახში სოკი და ცა შემოდის
მოფრინდა მთვარეც სანათის ნაცვლად.

ასეთი პასაჟი ბევრ მის ლექსშია. მე მიყვარს
მისი ლექსები, მაგრამ ჩიქოვანის დიდ მიღწე-
ვად, ყველაზე დიდ გამარჯვებად მე მიმაჩნია
ლექსები „უშველი“, „შემოღამება ხახმატში“,
ეს საუცხოო ლექსებია.

„მე მინდის ვიყო ვარგის შოფერი
შეისწავლებს?
თქვენ როგორ იტყვივით.
გული არ შერჩის“...

ახალგაზრდა ბეესურის ბრძოლა ძველი ყო-
ფის უძრავობის წინააღმდეგ საუცხოოდაა გად-
მოცემული ამ ლექსში.



მაგრამ ვველაზე დიდ მიღწევად დღეისათვის წარმოადგენს მისი „პოემა დავით გურამიშვილზე“.

დევალისათვის გამოცემულ საანგარიშო კრებულში ჩიქოვანზე ლაპარაკია, როგორც მეტაფორების პოეტზე, დიადი სახეების პოეტზე. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ მე დამაინტერესა ერთმა საკითხმა: თუ მის მძლავრ მეტაფორებში, ძლიერ სახეებში რუსთაველი, ლერმონტოვი და ირანული პოეტები მოჩანან წინამორბედებად, ვინ იყო წინამორბედი პოეტისა — „დავით გურამიშვილის“ კომპოზიციის აგების მხრივ. საანგარიშო კრებულში სწერია, რომ სიმონ ჩიქოვანი ხედავს თავისთავს წარსულში და წარსულს აღიქვამს თავისი „მეს“ პრიზმაში.

საიდანაა ეს სტილი? ერთი შეხედვით ამ სტილს არცთუ ისე ადვილად შეიგნებოდა — ლირიკული ვადსკლები, ეპიკური თხრობა, პირადი განცდების მოგონებანი. დავით გურამიშვილის პოემის კომპოზიცია იმავე წყაროდან და იმავე წილიდან წარმოიშვა, საიდანაც წარმოიშვა რუსი მეფისწულის იურის სიუჟეტური თამაშ მეფისადმი.

ეს არის „იგორის ლმობიანობის“ სტილი. წინადადება შემოშაქვს, შეეისწავლოთ ეს სტილი. ბევრი შრომაა დაწერილი ამ ნაწარმოებზე, მაგრამ სტილის მხრივ ნაკლებადაა გაიანალიზებული. იქ ლირიკის აფეთქებაა, მძლავრი ეპიკური თხრობა მძლავრი სახეების ჩვენებით. ეს მეტად საეფლოსპო თემაა.

მინდა ვესურვო სიმონ ჩიქოვანს, რომ ის მიღწევები, რომლებიც მას აქვს ამ პოემაში, ჩვენთვის უფრო ახლობელ, თანამედროვე თემებზე იქნეს მრავალჯერ გამოყენებული, რომ ამ თემებზე დაწერილმა ლექსებმაც მიიღონ ის გამჭვირვალობა, რომელიც ახასიათებს პოეტის ადრინდელ ლექსებს, რომ მისი პოეზია გადაიქცეს სახალხო პოეზიად. ყველა ხალხის პოეზიად, რომ იგი იფრქვეოდეს, ისე, როგორც იფრქვევა „სიმღერა იგორის ლმობიანზე“.

თუ სიმონ ჩიქოვანზე წერენ, რომ იგი ზოგჯერ განყენებულ, ძველისძველ სახეებს მიმართავს, კარლო კალაძე-პირიქით, მთავარი, რაც შეიძლება ითქვას მის შესახებ, ეს ისაა, რომ იგი მეტაფორას პოლიტიკაში, პოლიტიკურ რეალობაში ეძებს. ეს დიდი გმირობაა.

იგი იყო პირველი გამბარებული ამ იდეებში. აიღეთ მისი „მშებრუნა“. მე ახლა არ მახსოვს, პირველად ვინ თარგმნა ეს ლექსი. მე სიამოვნებით ვუთმობ პირველობას სიმონოვს, რომელსაც გამაფრებელი რატმი აქვს (გამო-

ცოცლება დარბაზში). ან გაიხსენოთ „იუდას“ შესავალი: აქ ბრძოლაა გაანაღებულად განწყობილი მეტაფორით, ბუალსკოპოტეტიკის ყველა წესის მიხედვით.

შე სრულიადე არ მინდა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედება დავაპირო, მაგრამ მინდა ვთქვა: — სტილი ხომ მიმართაბაშია!

მთვალისმები კარლო კალაძეს, როგორც პოეტს, რომელიც არ იფიქვებს ქართულ ტრადიციებს, და მათ იუნებს დღევანდელობისათვის.

პოეტი ავეფერს, თუ როგორ ზემოებს გმირი თავისი მეგობრის შვილის დაბადებას, იგი სვამს ყაწწით, რომელიც ჰგავს გაღუულ მთვარეს. ისინი დიხანს სვამდნენ, და როცა ცას შეხედეს, მთვარე იყო თეფშიეთა. ყველაფერი ეს სახეებში, მეტაფორებშია მოცემული. ეს ცდება, რომელიც დიდი მნიშვნელობა აქვთ. კარგად ისმის მის პოეზიაში აგრეთვე მეგობრობის თემა.

მინდა ვესურვო კარლო კალაძეს (შე მისი პოეზია კვარტეტს შევადარე), რომ იგი ორკესტრისაყენ მიისწარავოდეს.

(ხმა: იქ ვიოლინიც არის და ბანიც). დიად, იქ კრინიც არის, ხის საყარავებიც, დაფდები, მაგრამ ორკესტრისაყენ მაინც უნდა მიისწარავოდეს.

ახლა მე მინდა შევჩერდე აქარის პოეზიაზე, მე ვყოფილვარ ზუღაში. მინდა ვთქვა ფრიდონ ხალვაშიზე. ის მოხვდა ჩემი თვალთახედვის არეში. მას აქვს საუცხოო ლექსები, მთავლითად „ვარსკვლავთმრიცხველი“, სადაც თითქმის ისმის სამყაროთა ხმა.

შე მინდა კიდევ ორიოდე სიტყვა ვთქვა. მინდა დიდი შადლობა გადავუხადო დეკადის ორგანიზატორებს. ბევრი დეკადა ჩავციტარებია, მაგრამ ასე ორგანიზებულად, როგორც ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა ჩატარდა, არც ერთი არ ჩატარებულა. ამ მხრივ დამბულად მუშაობდნენ თვითონ ქართველი მწერლები და გამომცემლობები, რომლებმაც დეკადასთან დაკავშირებით მრავალი ბროშურა და ცნობარი, თარგმანი და კატალოგი გამოცეს. და ვველაფერი ეს შადლ დონეზეა შესრულებული.

აქ აღნიშვნის ღირსია დერეჟინის, ზაბოლოცკის, სვეტლოვის და სხვათა გეიარები. მათაც კარგად იმუშავეს.

ჩემი აზრით, ეს დეკადა დარჩება ჩვენს მუხსიერებაში და იქნება კარგი ტრამპლინი რუს და ქართველ ხალხებს შორის შემდგომი, უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის.

ქ. ი. გორბუნოვი



ბ. ნატროშვილის მოთხრობების კრებული

დღევანდელი ჩვენი საუბრისათვის მე მომიხდა გავცნობოდი სამ წიგს: გ. ნატროშვილის მოთხრობების კრებულს, გრ. ჩიქოვანის კრებულს „მაია“ და ა. ურჯელმელაშვილის მოთხრობას — „თანატოლები“.

რაც შეეხება მოთხრობას — „თანატოლები“, მის შესახებ ჩემი თვალსაზრისი გამოთქვი „ლიტერატურმაია გაზეთში“.

ვილაპარაკებ მხოლოდ გ. ნატროშვილისა და გრ. ჩიქოვანის მოთხრობების კრებულებზე.

გ. ნატროშვილის წიგნის შენიშვნებიდან გვეხულობთ, რომ ეს არის რუსულ ენაზე თარგმნილი მწერლის პირველი წიგნი, ვ. ა. აქამდე გ. ნატროშვილი, როგორც მწერალი, ჩვენ არც ვიცნობდით.

ჩემთვის ეს ნაცნობობა ბედნიერი შემთხვევაა, რადგანაც წიგნმა მთლიანად ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას ვაცხადებ სრულ პასუხისმგებლობით, რაც, რასაკვირველია, არ გამოირიყნება კრიტიკულ შენიშვნებს.

ამ წიგნში მე მომიხიბლა ბუნებისადმი, მშობლიური კაცკისის მთიანი ბუნებისადმი სიყვარულმა. ბუნებას ნატროშვილის მოთხრობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ბუნება მისთან არა მხოლოდ მოქმედების ადგილია, ანდა მოქმედებას თან კი არ ახლავს, არამედ გვიჩვენებს და ავტორსაც აღუძრავს ღია გრძობებს, რომლებიც კემპარტიად სასარგებლო ღირებულებით ფიქრებით გვაგვსვენებს. ყველა მოთხრობაში ტონის მიმცემი ბუნებაა, ხაზს უსვამს ავტორის ბუნებისადმი, მშობლიური კუთხისადმი სიყვარულს. ნაწილობრივ ეს ითქმის მოთხრობებზე — „ისევ გაზაფხული იყო“, „მინდვრის ბოქი“, და „უღარდელი კაცის სიკვდილი“.

აი, რა გამოიღის...

ნატროშვილის აღმამანი — ბუნების შეილია, მაგრამ იგი არ ითქვითება მისში, მის ბრძალ არ უყვარს ბუნება, არამედ რაღაცნაირად შინაურულად სახეს უდევლის და აწყობს მას. და აღმამანი მატორ არ არის ბუნებასთან ურთიერთობაში, როგორც წესი, იგი კოლექტივშია, მის გარს აკრავს მეგობრები, კავშირი აქვს მშობლიურ ბუნებასთან და ამიტომაც ნატროშვილის ყველაზე უფრო საყვარელი სახე — ეს არის შეუფერხებელი, გამრჯე აღმამანის სახე, რომელიც ბუნებას თავისი გემოვნებისა და სურვილისამებრ აწყობს.

ეს უღრგჯო, გამრჯე აღმამანის სახე შეიძლება დავინახოთ ნატროშვილის მოთხრობაში „ისევ გაზაფხული იყო“, რაზედაც ილაპარაკა ჩემზე წინ გამოსულმა ირაატორმა. ეს თემა არის სიცოცხლის ხალისით სახე, სიცოცხლის მიყ-

ვარულ მოხუცებზე (გორკის გამოთქმით, „ლიტერატურულ პერიკაცებზე“), რომლებიც თავიანთი კოლორიტულობით და პლასტიკურობით საყვარელია თვით მწერლისათვის, მაგრამ ჩვენ აქ ახალიტერატურულ და მხოლოდ სიცოცხლის მიყვარულ პერიკაცებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ბუმბერაზ ფიგურებთან, რომლებიც მოუზარებლად, ძლიერად არიან შეყვარებული ცხოვრებაზე, და ისინი კიდევაც ტოვებენ მკითხველებში ღრმა შთაბეჭდილებას. რაღაცნაირი, კოლა ბრუნაინისებური ქრის მონხეი — კალატოზის სახეში, მოთხრობიდან — „უღარდელი კაცის სიკვდილი“. იგი მუდამ თავისი საქმიანობით აღმამანებთან ურთიერთობაშია და, ამასთანავე, ყოველთვის ძლიერ პემორისტულად, ხალისიანად ეკიდება თავის საქმესა და მათ, ვინც მას გარს ეყვრან.

ერთი ნაბიჯილა რჩება ავტორს, რომ პირდაპირ მივიდეს თანამედროვე კოლმეურნის თემასთან. რადესაც იგი ორგანულად შეიგნაწიოს... ბუნებასთან ურთიერთობას და ბუნების სახეცვლას.

მოთხრობაში „ისმიალის ნათლობა“, რომელიც ანტირელიგიურ თემაზეა დაწერილი, მწერალმა შეძლო ეჩვენებინა იმ აღმამანების ბედი, რომლებიც მორალურად გარდაამწენ, გაციოთლმოზილდნენ კოლექტივის პირობებში ეს თემა — აღმამანის მორალური გარდაქმნა კოლმეურნობის პირობებში — კარგად არის გადაწყვეტილი მოთხრობაში „მინდვრის ბოქი“, რომელიც დაწერილია სატირიკულ ტონში, მაგრამ ეს გარემოება არ არღვევს მთელი მოთხრობის რეალისტრობას. აქ მოთხრობილია ყოფილ მწეებსზე, რომელიც დაწინაურდა რაიკოშის რესტრუქტორის თანამდებობაზე და გაყოყინდა; მან მხოლოდ იმის შეშედეგ დაბარუნა თავისი კეთილი და კარგი თვისებები, რაც იგი ქალიშვილს შეხვდა, ქალიშვილი, რომელიც მას ძლიერ შეუყვარდა და კარგადაცა თქმული ამ ქალიშვილის შესახებ, როდესაც იგი შეხვდა მის ტოს: „იგი ღმერთითი ბელახლა ჰქმნიდა ამევეყნად აღმამანს“. სიყვარულმა დაუბრუნა მის ტოს ძველი კარგი თვისებები.

თუ ვილაპარაკებთ გ. ნატროშვილის წერის მანერაზე, იგი გვხიზდავს სიცოცხლის სიხარულით, ოპტიმიზითა და რბილ ღირიკულ პემორით, თემცა პემორის ხაზს მთელ რიგ შემთხვევებში ავტორი მიჰყავს თავისი ამოცანის გაიოლებისაკენ. მოთხრობებში „ნიშნობა“ და „თეთრხალთიანი კაცი“ ყველაფერი თავმოყრილია ფელოტონისებურ თემაში. ავტორი უნდა გავრზოდეს ფელოტონურ უკედურესობაში გა-

დავარდნას. საერთოდ, ესენი კარგი მოთხრობებია და მსუბუქად იკითხება, ამასთან, ისინი ბევრად მსუბუქი არიან, ვიდრე წინა მოთხრობებში.

ეს არ გამორიცხავს, რომ ნატროშვილი არაა დრამატული თავის მოთხრობებში. მე მხედველობაში მაქვს მისი სამხედრო მოთხრობები, რომლებიც დაწერილია ომზე. „სანამ შენ ცოცხალი იქნები“ და „გაიური“ დრამატული მოთხრობებია.

წარსულს ეძღვნება ისეთი მოთხრობა, როგორცაა „შინში“, სადაც ნაჩვენებია ადამიანი, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობდა, და არ აფასებდა შრომას, ან იყო და მისი სიმძიმე და შინა აღმზრდელობითი მნიშვნელობა, — და აი, ეს კაცი სიკვდილის პირზე მისული, სოციალურად საზოგადოებასათვის უცხო ადამიანი შეიქცნება, რომ შრომას შეუძლია იხსნას იგი სიკვდილისაგან და უკანასკნელ ჩალის ღერს წაემოტირება, რადგანაც მან იცის, რომ, ქარ-

თული ჩვეულების მიხედვით, არ შეიძლება მოკვდეს ის კაცი, რომელიც შრომისკენ ცდილობს ავლებს და გუთანს ეკიდება და ამიტომაც ემოტიონება ყოველივე იმას, რათა გააქცეს შერისძიებას.

გ. ნატროშვილი თავის მოთხრობებში სიყვარული აღწერს ყოფას. მათში ნაჩვენებია წმინდა ეთნოგრაფიული დეტალები: ყოველი ლამაზი, კოვზი, ყოველი მოძრაობა მუშაობისა თუ ჰამის დროს გადმოცემულია თითქმის რიტუალური წესით — რიტუალური სატყვეობით და ავტორიც ადამიანის სახეს ხორცს ასხამს.

ასეთივე წარმატებით მინდა მიველოცო ავტორს და მივმართო, რომ გაითავალისწინოს კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც მსურდა გამომთქვა. მე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შეშვდებოდა გრ. ჩაჭოვანს პირადად გაეუზიარო ჩემი შეხედულებები მის მოთხრობებზე. ასე რომ, ნება მიბოძეთ, ჩემი გამოხვედის მეორე ნაბეჭები პირად საუბარში გადავიტანო.

რ. პრიმიონი



ა. ბელიაშვილისა და ბ. ნატროშვილის მოთხრობები

გვეყვანი ა. ბელიაშვილისა და ბ. ნატროშვილის მოთხრობებს, მაგრამ ავტორებისათვის როგორც ჩანს, ეს ნაწარმოებები უკვე მოპყვებულია. მაგალითად, ა. ბელიაშვილის წიგნში მოთხრობების უმრავლესობა დაწერილია ოცდაათიან წლებში. მას შემდეგ მან მრავალი რომანი და სხვა ლიტერატურული ნაწარმოები დაწერა, და ოცდაათიანი წლების ნაწარმოებებზე ლასრავი აღბათ ცოტათი არჭებულად გამოჩნდება. მიუხედავად ამისა, ჩვენი მკითხველისათვის ეს წიგნები ახალ ამბავს წარმოადგენს და, ამიტომ, მგონია, საჭიროა მათ შესახებ ვესაუბროთ ჩვენს მკითხველს.

მე მოხარული ვარ, რომ წაიკითხოთ ა. ბელიაშვილის მოთხრობები და კიდევ ერთხელ გაეხიზრე, რომ ჩემ წინაშე, როგორც მკითხველისა, წარმოდგა ძალზე ნათელი, საინტერესო მხატვარი, მათ შორის მხატვარი-ნოველისტიც. ესაა ნოველების კრებული, რომელიც გამოირჩევა ამ მოკლე მოთხრობების არაჩვეულებრივი დასრულებულობით, სიუჟეტრობით. ისინი გამოირჩევიან, აგრეთვე, მაღალი იდეურობითა და პროზაულურობით.

თითქმის არ არის არც ერთი მოთხრობა, რომელშიც თან იყოს შეხამებული საინტერესო ჩანაფიქრი თანამედროვე პრობლემის გადამწყვეტით, თუნდაც იგი წარსულს ეკუთვნოდეს. და ყველა ეს პრობლემა წყდება აღმავლობით, რო-

მელიც დამახასიათებელია მწერლის სამშობლოსთვის საბჭოთა ხელისუფლების დროს. იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ებრძვის ძველი, რევოლუციონარული — თანამედროვეს, საბჭოთა სინამდვილეს, როგორი გარდევნილი ახლისა და სამართლიანის გამარჯვება და როგორ იმარჯვებს საბჭოთა საწყისი ყოველი ცალკეული ადამიანის სულში.

ეს შეიძლება ითქვას თუგინდ ისეთ ნოველებზე, როგორცაა „ზვავი“, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ მარცხდება ადათ-კანონი სოფლასაბჭოზე აღმართული წითელი დროშით.

აქ მოთხრობილია გლეხების ბედ-იღბლის შეცვლაზე. კერძოდ, გლეხისა, რომელიც ბრძოლით და უშაღლესი საბჭოს დებუტატი გახდა. შეიძლება ამ ნოველებიდან დავასაბელოთ ნოველი „მეტროქინი“ და მრავალი სხვა.

ამ პატარა მოთხრობებში ნაციონალური თვისებებზე ნათლად ჩანს გლეხის ხასიათიც. — ეს არ არის რუსი, ან უზბეკი გლეხის ხასიათი, არამედ ქართველია მთელი თავისი თვისებებით. ყოფაცხოვრების, ბუნებისა და გარემოს აღწერაში, სხვათა-თავისებურ იერსა და ადამიანთა მეტყველებაში — ყველგან ვხედავთ ამ ნაციონალურ ხასიათს.

ეს არის ინტონაცია მთლიანად კარგი ნოველისა. გონებასახილობა, ბუმორი, ხასიათების სიმსუბუქე, ემოციურობა. ყოველივე ამისაგან მო-

ღის ნაციონალური თავისებურების შეგრძნება. მე უსათუოდ აღვნიშნავდი სიუჟეტური განლაგების ოსტატობასაც. ეს ნოველები ძალზე გონებამახვილური და საინტერესოა ირან. ავტორისათვის დამახასიათებელია უნარი ვგელოფური ამის ჰამფლეტის ფორმით, ფსიქოლოგიური პერსონაჟით გადმოცემისა. მის შეუძლია შექმნას სხვადასხვაგვარი ნოველები, გამოაყენოს სხვადასხვა ხერხი.

ჩემთვის ძნელია 30 — 40 მოთხრობის სიუჟეტის მოყლა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ, თუკი ამხანაგები წაიკითხავენ ამ წიგნს, კემშირტ კმყოფილებს მიიღებენ. მე ვლაპარაკობ ამ ამბების არის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ღირსებას ზანდახან თან ახლავს სერაიოზული შეიღობები. მე ვფიქრობ, რომ ა. ბელიაშვილს, ისევე როგორც გ. ნატროშვილს, აქვს სენტიმენტალური გულგვილობის ელემენტები, მაგალითად, როდესაც ლაპარაკობს მოხუცის უბედურებაზე გ. ნატროშვილის მოთხრობაში — „ისევ გაზაფხული იყო იორზე“; ეს ახასიათებს ბელიაშვილის ზოგიერთ ნაწარმოებსაც, განსაკუთრებით კი ისტორიული ეპიკისას. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა გურამიშვილზე, სადაც პოეტურ ტირის ხის ქვეშ. ეს აფუჭებს სახის შექმნის მანერას.

მაგალითად, ავტორი ერთ მოთხრობაში („ქოჩორა“) აგვიწერს ბებერი ცხენის ბედს, რომელმაც თავისი დრო მოქამა ძველი საქართველოს პირობებში, როდესაც გამოჩნენა დიდ როლს ასრულებდა. ახლა ეს ცხენი აღარ არის აღარ უნდა და მას ცრულად სდის, — მივდებულ და ყველასათვის გამოუსადეგარი პირუტყვი.

ეს სენტიმენტალური მოტივი ბევრ თანამედროვე მოთხრობასაც ახასიათებს.

გვეულება ვამიშვებელი დამრიგებლობის ელემენტები. — ავტორი იმდენად ღრმად კი არ ძერწავს სახეებს, ხასიათებს და არ იჭრება თავის გმირთა ცხოვრებაში, რომელმაც უფრო ბევრ ადგილს უთმობს დამრიგებლობას. მაგალითად, ა. ბელიაშვილის მოთხრობაში „სიხარული“ მთელი სიტუაცია მიმართულია იქითკენ, რომ მამის გაუჩნდა ზარმაცი ვაჟი, მაგრამ იგი წითელ არმიამი გაწვევის შემდეგ დაბრუნდა ძალზე შრომისმოყვარე და კარგი. ვაღამეყვეტ მომენტს ამ მოთხრობაში წარმოადგენს დამრიგებლობა. სიუჟეტის ანეგდოტურობა ახასიათებს ისეთ მოთხრობებს, როგორცაა „სპარტაკელი“, „წერილი და გვირგვინი“, „ბედის უკუღმართობა“. ამ უკანასკნელში ლაპარაკია იდამიანზე, რომელიც წინათ ცხენის ჭრდი იყო და რომელიც უარყოფს თავის პიროვნობას. აი, ხედავს, რომ უშეთვალუროდ ძოვს ცხენი. მასში იღვიძებს ცხენის ჭრდი და გადამყვებს ამ ცხენის შობარკას. მაგრამ ცხენს ჯიუტად მიჰყავს იგი მღვდლის ეზოსაკენ. მღვდელი მისი პატრონი.

მოხუცდავად ამისა, ნაწარმოებები დაწერილია ნიჭიერად და გონებამახვილურად.

ა. ბელიაშვილის ტალანტს, სწორედ განსაზღვრება უკანასკნელ წლებში ძალიან პოზიტიურია. ჩვენ გვიან გავეცინით ამ მოთხრობებს, რაც გვათანრებს სასაამოვნო მივალგობას, დავემხროთ თანამედროვე საზოგადოებრიობას, რათა გავცინოს ქართველი ნოველისტის კარგ ნაწარმოებებს და რუსული ლიტერატურის საშუალებით თავის დროზე მივიტანოთ ეს კმნილებანი ჩვენს ფართო საყვარლო მკითხველში.

რამდენიმე სიტუაცია ვიტყვით მწერალ გიორგი ნატროშვილზე. ეს არის მისი პირველი ბელეტრისტული ნაშრომი, მე ვამხარობ ამ გარემოებაზე, რომ გ. ნატროშვილი, ჩანს, ნიჭიერი ბელეტრისტია და მისი ვალია განავითაროს თავისი მეშობა. სასურველია ამ მხრივ მისთვის მხარდაჭერა.

ნატროშვილისათვის, ისე როგორც ა. ბელიაშვილისათვის, დამახასიათებელია პრობლემურობა, მისი ჩანაფიქრის თავშეკავებულობა. არც ერთი ნოველი არ დაუწერია მას ამისათვის, რომ მოგვეცეს ცხოვრების მარტოოდენ სურათები. ყოველ ნოველში ავტორი ღებს გარკვეულ იდეას. მაგამ, ა. ბელიაშვილისაგან განსხვავებით, გ. ნატროშვილს აქვს მეტი ინტერესი გმირთა ფსიქოლოგიისა, გაღრმავებული ანალიზისა, ჩანაფიქრის ემოციური გახსნისა მკაფიოდ გამოახლული ნაციონალური თავისებურებით. ასეთი ხასიათი, როგორცაა კალატოზი მიხა („უღმარადელი კაცის სიკვდილი“) ჭარბის დარაჯი („ისევ გაზაფხული იყო იორზე“) თავისებური ნაციონალური, ფსიქოლოგიურად დამუშავებული ხასიათებია.

მისი გმირები უბრალო ხალხის წარმომადგენლები, უბრალო მშრომელი ადამიანებია, მათში ავტორს ინტერესებს ან სურს ფსიქოლოგიური მოძრაობა, ან მოქმედება, ჩანაფიქრის ასეთია. მაგალითად, ნოველი „ისევ გაზაფხული იყო იორზე“, დაწერილი იმ მოხუცის ბედ-იღბალზე, რომელიც უსაქმოდ დაჯეტდება და რომელსაც უსაქმოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

გავიხსენოთ მოთხრობა, რომელშიც ლაპარაკია ბოშებზე („ბოშები“). აქ მოხუცი ბოშის სახით მოცემულია უბრალო ადამიანი, რომელსაც ენატრება მიწაზე მეშობა და, ბოლოს, როდესაც იგი იშოვნის ცხენს, გახარებული იმით, რომ შეუძლია ცხენის შეზამ ვუთანში და დაიწყებს მიწის მოხვნას მშობლიურ სმოლენშიანში, სადაც იგი აღიზარდა.

მაგრამ ა. ნატროშვილსაც ახასიათებს სენტიმენტალიზტობა. ასეთია, მაგალითად, მოთხრობები „ისევ გაზაფხული იყო იორზე“, — „უღმარადელი კაცის სიკვდილი“ და სხვ. აქაც არის გულწივილობა და სენტიმენტალიზტობის ელემენტები.

მე ვფიქრობ, რომ ცუდია, როდესაც საშუა

გვაქვს სიუჟეტის გამსუბუქების ელემენტებთან. ამას ჩვენ ვხედავთ მოთხრობაში „ისმაილის ნათლობა“, რომელიც ანეგდოტს ჰგავს.

არის, აგრეთვე, ტრადიციონალიზმი ზოგიერთი პრობლემის დაყენებაში. ამას ჩვენ ვხედავთ ნაწილობრივ ისეთ მოთხრობებში, როგორცაა „ვენ არის ეს კაცი“, „შიში“, „სიზმარი“.

ისეთ მოთხრობებში, როგორცაა „ვენ არის ეს კაცი“, „სანამ შენ ცოცხალი იქნები“ იგრძნობა ფილოსოფიური ბუნდოვანების ელემენტები.

ბ. ნატროშვილს დიდი ნიჭი აქვს სიუჟეტის აგებისა: ყველგან იგრძნობა დიდი სიყვარული თვისი ქვეყნისადმი. მწერალი გვიხატავს შრავალ პეიზაჟს, აქვს ლირიული წიაღსველებიც ადა-

მიანებსა და ბუნებასთან, ახასიათებს მდიდარი თავისებური ხალხური ენა.

ნოველებს დიდი ნაწილი აგებულია ისეთნაირად, რომ აღამიანი აღმსრულლებულია ავტორის წინაშე. ეს რთული ხერხია. საჭიროა ასეთი ინტონაცია, რომ გმირთა აღსარებაში იყოს ისეთი სიტყვიერი დახასიათებანი, რომელნიც გამოხატავენ მოვლენას და ავტორის ხასიათს, გმირი რომ ამიტევდეს.

დასასრულს ვიტყვი, რომ ეს მოთხრობები წარმოადგენენ აღმოჩენას ჩვენი მკითხველისათვის. გვიჩნდა ეუსურეთი ქართველ ნოველისტებს შემდგომი წარმატება და გულწრფელად ვუთხრათ, რომ მათი ქმნილებების გაცნობა საკავშირო მკითხველისათვის დიდი მონაპოვარია.



ბ. ჩაბელიძე



ნიკო კეცოველი

(დაბადების 60 წლისთავის გამო)

1958 წლის 25 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და სტალინის სახელმწიფო პრემიის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნეს სატ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების თავმჯდომარის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგის პროფ. ნ. ნ. კეცოველის დაბადების 60 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავი.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კეცოველი დაიბადა 1897 წლის 26 დეკემბერს სოფ. ტყეიაეში, მასწავლებლის ოჯახში.

ნ. კეცოველი სკოლაში, მოწაფეობის წლებშივე დაიწყო წერა პატარ-პატარა მოთხრობებისა, რომელთაც ხელნაწერ ქურნალში („პირველი სხივი“) ათავსებდა. უკვე 1911 წელს ქურნალ „ნაყოფილი“ იბეჭდებოდა ნ. კეცოველის მოთხრობები, ზღაპრები; ამ დროიდან იგი სისტემატურად აქვეყნებს საბავშვო მოთხრობებს.

ნ. კეცოველი 1918 წელს ამთავრებს პირველ ქართულ გიმნაზიას და სწავლის გასაგრძელებლად შედის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერი და ბეჯითი სტუდენტი. სწორედ ეს გახლდათ საფუძველი იმისა, რომ სტუდენტი კეცოველი თავიდანვე ებმება სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში.

იგი 1920 წელს პროფ. ზაქარია ჯანაყელთან, ხოლო 1921 წელს ბოტანიკური ხალის მაშინდელ დირექტორთან — პროფ. ა. ქუკუცისთან ერთად აგრძელებს ბოტანიკურ მასალას. ქუკუცისის წინადადებით, ნ. კეცოველმა საკვლევად გორის მარბა აირჩია. როდესაც პროფ. პ. ქუკუცისი საფუძვლიანად გაეცნო კეცოველის მიერ შესრულებულ სამუშაოს, გაოცებით თქვა: „ასეთი მდიდარი მასალა მე ჯერ არსად მინახავსო“.

1924 წელს ქვეყნდება ნ. კეცოველის პირველი მეცნიერული შრომა „გორის მარბის სარველა მცენარე“. იმავე წელს იბეჭდება მისი მეორე მეცნიერული ნაშრომი: „სარველა მცენარე და მათთან ბრძოლა“.

ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. კეცოველმა შეისწავლა სარველა მცენარეები სვანეთში, ქვემო ქართლში და სხვა მხარეებში. ჩატარებული კვლევის შედეგები გამოქვეყნდა შრომებში: „სვანეთის სარველა მცენარე“, „სარველა მცენარეთა შეფუთვა გარეცელებში“, და სხვ. ამ შრომებს მოჰყვა გამოკვლევები: „თეთრი ნარი“ და „ვარძელი შვრია“.

აქვე აღსანიშნავია, რომ ნ. კეცოველმა სარველებთან ბრძოლის საკითხებს მიუძღვნა მრავალი წერილი, რომლებიც გამოქვეყნდა პრესაში სხვადასხვა დროს.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ნ. კეცოველი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ექსპერიმენტულ მცენარეთა გავრცელების მეცნიერულ დასაბუთებას. 1924 წელს მან ამ თემაზე დაიწყო შეისწავლა დიდი და პატარა ლიბების ხეობა, 1925 წელს — ბაქსანისა და ენგურის ხეობები, 1926-27 წლებში — არაგვის, კავთურის და ალაგეთის ხეობები, 1928-29 წლებში — ქვემო ქართლისა და თრიალეთის ხეობები, 1931 წელს შემოიარა და შეისწავლა სამხრეთ საქართველოს და სომხეთის მთავარი ხეობები 1932-35 წლებში შემოიარა კავკასიონი (ხევი, მათეთშეთი, და სამხრეთისეთი). 1937-1941 წლებში მან შეისწავლა დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპირონი, 1950-1957 წლებში — შირაქი, ვარჯაი, ცხენიწყლის ხეობა, ყვირილის, ძირულის, ხანისწყლის, სულორის და სხვა ხეობები.

ამ ფართო საეცელ მუშაობის შედეგად ნ. კეცოველი აქვეყნებს საყურადღებო შრომებს, რომელთაგან აღსანიშნავია კამიტატორი წიგნი, დაბეჭდილი 1928 წელს: „მასალები ექსპერიმენტულ მცენარეთა ზონალიზის შესასწავლად“.

კავასიონზე“, ხოლო 1954 წელს — „კულტურულ მცენარეთა არსებული შესაძლებელი ზღვარი საქართველოში.“

დიდი დამსახურება ნ. ქაცხოველისა საქართველოს მცენარეთა საფარის, მისი წარმოშობისა და განვითარების შესწავლის დარგში.

1931 წელს ბოტანიკის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა გეობოტანიკური განყოფილება, რომელმაც საყურადღებო მასალა შეაგროვა მთათუშეთში, ფშაბ-ხევსურეთში, გუდამაყარ-ხევში, ქართლის ველზე, გარეჯში და სხვაგან. ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგებზე რამდენიმე შრომა გამოაქვეყნა ნ. ქაცხოველმა 1935 წელს. მათ შორის აღსანიშნავია ფუნდამენტალური წიგნი — „საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები“. ამ შვირდის ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული და გადამყურებული ისეთი საქაინო პრობლემები, როგორცაა ჩვენი მცენარეულობის წარმოშობა და განვითარება, ტყეების უკან დახვევისა და ტყეების წინ წაიწვევის საკითხები და სხვ.

პროფ. ნ. ქაცხოველმა ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგად დაადგინა, რომ ველებისა და უტყეო ადგილების დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში 900 მ. სიმაღლეზე, ხოლო სამხრეთ საქართველოში 1800 მ. სიმაღლეზე ტყეებით იყო დაფარული. ამ ექტრის მეცნიერულად აქვს დასაბუთებული ის ფაქტი, რომ ამ ტყეების მოსპობის შემდეგ დასახლდა ველებისა და, საერთოდ, მშრალი ადგილების მცენარეულობა.

ამ საკითხის მეცნიერულ ახსნას და გაგებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს დღეს იმ ლონისძიებათა გასატარებლად, რომლებიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარში უნდა გატარდეს ზელოვნური ტყის ზოდების შესაქმნელად.

ნ. ქაცხოველი ამავე 1935 წელს იცავს დისერტაციას ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის ძირითადი თემაა „ველების წარმოშობის საკითხი“.

ამასთან ერთად, ნ. ქაცხოველს დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს კულტურული ფლორისა და, საერთოდ, ფლორის შესწავლის დარგში. ამ საკითხის ღრმა მეცნიერული შესწავლა თავიდანვე წარმოადგენდა ქაცხოველის ოცნებას. ამ რას წერს იგი ამ საკითხთან დაკავშირებით: „ფლორის შესწავლა ყოველთვის იპყრობდა ჩემს ყურადღებას, რადგან ქართველი ხალხის ისტორია მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან. ჩემთვის ნათელი იყო ჩვენი ხალხის დიდი შემოქმედებითი წვლილი ამ დარგში. ამიტომ ვეძებდი და ვეძებ ამ დებულების კუშირიტი დასაბუთების ფაქტებს“. ჩვენი მეცნიერი ამ მიმართულებით მიმდევრო წლებშიც მეტად ნაყოფიერ კვლევა-ძიე-

ბას ეწევა. 1938 წელს გამოქვეყნდა მისი შრომა სახელწოდებით „სუბტროპიკული კულტურების ისტორიისათვის“, 1940 წელს — „მეცნიერული საფარი ვახუშტი-შატრაშვილის ნაშრომში“ და „მეხილეობის საკითხები“, 1942 წელს — „მევენახეობის ისტორიის საკითხები“.

აქვე აღსანიშნავია მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც შეიტანა ნ. ქაცხოველმა „საქართველოს ფლორის“ გამოცემის დარგში (პირველი ტომი გამოვიდა 1941 წელს, უკანასკნელი, მე-8 ტომი კი — 1952 წელს).

ამავე დროს, პროფ. ნ. ქაცხოველის საერთო რედაქციით გამოვიდა კულტურული ფლორის მთელი რიგი სერიები; დღემდე გამოიცა 4 ტომი. ამჟამად იბეჭდება მეტად საინტერესო ნაშრომი — „საქართველოს ამალოგრაფია“, რომლის ერთ-ერთი ავტორი ნ. ქაცხოველია.

1957 წელს პროფ. ნ. ქაცხოველი აქვეყნებს

კაპიტალურ ნაშრომს სახელწოდებით: „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“. ამ წიგნის შესავალში ნ. ქაცხოველი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საქართველო კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთი კერაა, მცენარეთა გავრცელება დღესაც ხდება, ბევრგან დარჩენილი გავრცელების ძველი წესის, ამიტომ, ახალი მეთოდების მოხსენებასთან ერთად, ძველი წესის აღწერასაც საკმაო ადგილი დავეთმეთ, რადგან ამას ერის ისტორიის გაცნობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“. აქ, გარდა ზონალობის საკითხებისა, განხილულია კულტურული მცენარეების წარმოშობის საკითხები, ჩვენში მათი მოვლისა და კულტურული ფლორის შესაძლებელი რეკონსტრუქციის გზები. აქვეა მოცემული კულტურული მცენარეულობის ძირითადი სარტყელები და ქვესარტყელები და სხვ. ამავე საკითხს მიუძღვნა ავტორის მიერ შედგენილი რამდენიმე რუკა.

მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ნიკო ქაცხოველი დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით მუშაობს საბავშვო ლიტერატურის დარგში. მის კალამს გუთუნის ისეთი მნიშვნელოვანი საბავშვო მოთხრობები, როგორცაა: „ლექსის ნაშობი“, „გელა და ექვტი“, „თოვლიან მთებში“, „მთა და ბარში“, „კაიხუეის მამიებელი“, „აღაზნის სათავეებში“ და სხვ. ამ საბავშვო მოთხრობების გამოქვეყნებით ჩვენმა მეცნიერმა ბავშვთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ მალაღი შეფასება მისცა ნ. ქაცხოველს, როგორც საბავშვო მწერალს. ამ ფვალსაზრისით მეტად საინტერესოა, ჩვენი საყვარელი მწერლის ნინო ნაკაშიძის შეფასება ნ. ქაცხოველის საბავშვო მოთხრობებისა. ნ. ნაკაშიძე წერს: „საბავშვო მწერლობას შერჩენენ ნიკო ქაცხოველი და ლ. ქიბიცი“.

ნყო კეცხოველი, მიუხედავად იმისა, რომ დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა, დარჩა ახალგაზრდობის მწერალი. მე მახსოვს მისი პირველი მოხელა რედაქციაში, მახსოვს, როგორ მოვიდა მაღალი, სათავად-ახანაური გიმნაზიის ფორმაში გამოწყობილი, მორცხვი უმაწავლა. მისი პირველი მოთხრობა „ლეჰის ნაშობი“ დაიბეჭდა მცირეწლოვანათვის. როდესაც სარედაქციო კომისიის სხდომაზე წაეკითხეთ, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ამ უმაწველს ეტყობა, ბუნება უყვარსო. მან სრულებით გაამართლა ეს აზრი. მაშინ, მგონია, ნყო კეცხოველი მერ თუ მე-7 კლასის მოწამლე იყო. მას შემდეგ მან ბევრი კარგი ნაწარმოები დაწერა ახალგაზრდობას — როგორც სკოლის ასაკამდეღ ბავშვებს, ისე უფროსი ასაკის ბავშვებსაც. მაგრამ სიუჟეტის სიმდიდრით, როგორც მხატვრული ნაწარმოები და როგორც ბავშვებისათვის საკომბავი მოთხრობა, გამოირჩევა „გელა და ცქატი“. ეს არის ისეთი ჭეშმარიტად საბავშვო თხზულება, რომელიც ჩემი აზრით, ყოველ ბავშვს უნდა აქონდეს, როგორც საბავშვო წიგნი, რომელიც ახალგაზრდობას, ამხანაგობის მნიშვნელობას, ბუნებისა და ცხოველების სიყვარულს და პატიოსან მიზნის მისაღწევად გამბედაობას და მხნეობას აძლევს. სხვა მისი ნაწერებიც ამ მიზნით არის დაწერილი... მისი „თოვლიან მთებში“ ასახავს გაბედულ ბრძოლას ბუნების დასაძლევად და დასამორჩილებლად, ასახავს ისეთ სახალისო ფორმებში, რომ ყოველ ახალგაზრდის გულში იწვევს სურვილს, მიბაძოს მის გმირებს გამბედაობაში, ყოველი ვაჟივრების გადასალახავად. 1914 წლიდან (უნდა იყოს: 1911 წ. გ. ჩ.) წერს კეცხოველი ბავშვებისათვის; 1914 წლიდან ემსახურება ის ახალგაზრდობის ინტერესებს და არის ახალგაზრდობის გულწრფელი მეგობარი“ (ნ. კეცხოველის პირადი არქივიდან).

დღი ვაგენა იქონია ნ. კეცხოველზე ცნობილმა მწერალმა შოი მღვიმელმა. აი, რას წერს ნ. კეცხოველი ამ საკითხთან დაკავშირებით: „ჩემს საბავშვო ლიტერატურაში უფრო ღრმად ჩაბნას, რასაკვირველია, ხელი შეუწყო იმანაც, რომ ერთ წელიწადს შოი მღვიმელის ოჯახში ეცხოვრობდი (საერთოდ, შოი ჩვენს ოჯახთან კარგად იყო, მამას მეგობრობდა). შოისთან ზმირად იყობებოდნენ ჩვენი მწერლები: ია ევალაძე, ვ. ბუქურაული, ნ. კერდელაშვილი, ზოგაძე ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და სხვები“.

ნ. კეცხოველმა ლექციების კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო (1927 წლიდან). 1932 წლიდან, ზაქარია ყანჩაელის გარდაცვალების შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა ბოტანიკის კათედრას, რომელსაც დღესაც განაგებს. აშვე დროს, კეცხოველი ბოტანიკის

კათედრებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინსტიტუტებშიც განაგებდა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სუბტროპიკულ კულტურების ინსტიტუტში, ზოოვეტინსტიტუტში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვაგან).

დღია ნ. კეცხოველს დამსახურება სოფლის მეურნეობის კადრების აღზრდისა და მოზადების დარგში, განსაკუთრებით ამ პერიოდში (1937—1942 წ.წ.), როდესაც ჩვენი მეცნიერი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობდა წლების მანძილზე დირექტორის მოადგილედ და სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის გამგედებებოდა რა ნ. კეცხოველის მრავალმხრივ ნაყოფიერი მუშაობას, საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ი. სარბივილი იუბილეს დღეს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით ამბობდა: „განსაკუთრებით დავალებულია თქვენით შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სიღაც თქვენ სამეოლ დიდხანს ხელმძღვანელობდით ბოტანიკის კათედრას, აგრეთვე ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო დარგს. ინსტიტუტში თქვენი მუშაობის დროს მრავალი სასარგებლო საქმე გაკეთდა სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის აგრარომთა მალაკვალაციური კადრების მოზადების საქმეში. თქვენ მიერ აღზრდილი სოფლის მეურნეობის მრავალი ახალგაზრდა იმეამდ წარმატებით მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში“.

1941 წლის 24 თებერვალს ახლად დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ნ. კეცხოველი არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აგრეთვე, აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 1942 წელს აკადემიის საერთო კრებამ ნ. კეცხოველი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩია. ამავე დროს იგი ინიშნება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ. 1957 წლის დეკემბრამდე მუშაობდა იგი განყოფილების თავმჯდომარედ, ხოლო ამ განყოფილების ბაზაზე შექმნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ბიოლოგიური მეცნიერებათა განყოფილება, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქნა ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერი ნ. კეცხოველი.

1945 წლიდან, მთელი ათი წლის განმავლობაში, ნ. კეცხოველი იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. ამ ხნის განმავლობაში მან გამოიჩინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი უნივერსიტეტის საქმიანობის მაღალ საფეხურზე აყვანის, სა-

მეცნიერო კადრების მომზადების, უნივერსიტეტის ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სამეცნიერო მუშაობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საპატიო საქმეში.

ნ. კაცხოველმა დიდი ამაგი დასდო საქართველოში აღზინიზმის განვითარებას. წლების განმავლობაში იგი საქართველოს ალბური კლუბის თავმჯდომარეა. ნ. კაცხოველი აქტიური წევრია საქ. გეოგრაფიული საზოგადოებისა. ამავე დროს, იგი ახლად შექმნილი საქ. ბოტანიკური საზოგადოების თავმჯდომარეა.

ნ. კაცხოველის ღვაწლი ღირსეულად დააფასეს კომუნისტურმა პარტიამ და სახვითი მთავრობამ. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დარგში თვალსაზრისით დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით, ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და სხვ.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ იუბილარს, კვლავაც დაეცხოზოდ და დიდი სიყვარულით ემუშაოს მშობლიური მეცნიერებისა და მწერლობის აღორძინებისათვის.

ქვეთ. თაყაიზილი



მომონებები*

მე ზნობრივად კმაყოფილი უნდა ვყოფი-
ლაყავი, რადგან გამამართლეს, მაგრამ იმ
დავიდარაბაში ისე ვაგებზრდი და მოვიქანცე,
მიუხედავად ჩემი ახალგაზრდობისა, რომ სე-
რიოზულად დავფიქრდი: ხომ არ აჯობებს,
დავანებო თავი ზნობრივდელაობას ისტორია-
არქეოლოგიაში და ისევე მასწავლებლობას
დავუკადე, კერძო ვაკეუთილებით ვავიძლი-
ერო შემოსავალი, რათა საკუთარი საფასით
გამოვეყ ისტორიისა და გეოგრაფიის სახელ-
მძღვანელოები, ჩემ მიერ შედგენილი თუ წა-
თარგმნი-მეთქი. ამ აზრამდის იმ გარემოებამ
მიმიყვანა, რომ ჯერ რიგაინად არც კი დამე-
წყო მუშაობა და გულს კი მიტრებებ მუშაო-
ბაზე... გუნებაში ვთქვი: მასასადამე, მთელი
ჩემი დღე და ღამე მსწრება უნდა ვილიცას ვლიო
და ვედავო: რა საზოგადო საქმესაც არ უნდა
მოვიკიდო ხელი, ცილისწამებასა და უსიამო-
ვნებას ვერ ავიტყდები: გონიერი ხალხი თავის-
თვისაა, არაფერ საზოგადო საქმეში არ ერევა
და წყნარად ცხოვრობს და მუშაობს-მეთქი.
ძალიან შევფიქრებდი, მაგრამ, მეორე მხრივ,
ამაშიც ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი
განზე ვაღვრობა უკვე ავინებდა ჩვენი ისტორია-
არქეოლოგიის შესწავლისა და, საერთოდ, კულ-
ტურის ძველთა გადარჩენის, შეყვებისა და
გამომხვეურების საქმეს, იმდენად ყოტა კეთ-
დებოდა მაშინ ამ მხრეს. ჩემი ყოყმანი ორ-სამ
თვეს ვაგრძელებდი. ბოლოს მაინც ვაღაფეყვიტე,
ვინც რა უნდა ცილი დამეწამოს და გამეჟიროს,
არავითარ შემთხვევაში არ ავყვე, ხმა არ გავეცე
და ჩემთვის განავარძო მუშაობა.

6. მასაც აღნიშნავს დროდადრო შეცდო-
მები ჩემ მიერ ძველი ტექსტების კთხებაში,
მაგრამ ზოგჯერ ვუმტკიცებდი ხოლმე, რომ
მისი შენიშვნები არ იყო მართებული, მაშინ
როდესაც თბილისში ჩამოვიდოდა და ჩემთან
ჩამოხტებოდა ხოლმე. ისიც დამეთანხმებოდა
და მეუბნებოდა დასწერე ვეგო, მაგრამ მე
არა ვწერდი. მაგალითად, გომარეთის ეკლესიის
წარწერა რომ გამოვავიყვეყნე, იქ იყო სიტყვა
„ქლიერი“, ხოლო ნიყო მარო მიმტკიცებდა, ვე
ახალი სიტყვაა და ამდროინდელ წარწერაში არ

იქნებო. მეგრე ჩემი წაკითხული სხვამ (არც
მასოვს, ვინ) შეაღარა აღვიღზე წარწერას და
აღნიშნა, რომ სრულიად სწორად მქონია აპო-
კითხული. ამ კიდევ: კემერდოს ტაძრის წარ-
წერების ჩემველი გამოცემა მარს შევდარებინა
თავისი მოწაფის, ძალიან კარგი და უდროოდ
გარდაცვლილი ყმაწვილის, სილ. ლომიას გად-
მონაწერთან და ზოგი ჩემი წაკითხვა შეცდომად
მიგჩნია. ნამდვილად კი იმ გადმონაწერში იყო
შეცდომები — შემოკლებულ სიტყვებს ზედ-
ღართვით კითხულობდა. ასეთი შემთხვევები
არტუტ ყოტა იყო. მაგრამ, რა თქმა უნდა,
ხშირად ნ. მარის შენიშვნები სავსებით სა-
მართლიანი იყო და ხელს უწყობდა ჩემი შემდ-
გომი მუშაობის გაუმჯობესებას. ასეთი, ნამდ-
ვილად შეცნირული და მეგობრული კრიტი-
კის საწინააღმდეგო ვის რა შეიძლება მქონ-
დეს ოდესმე? სუბიექტური და ვიწროკრი-
სტური სულისკვეთებიდან (და არა საქმის
ინტერესთაგან) გამომდინარე, ულამაზო ხერხე-
ბით წარმოებული „კრიტიკა“ იყო, რომ ბევრს
უტყბდა გულს, და მეც კინაღამ ამაღებინა
ხელი სამეცნიერო მუშაობაზე. კიდევ კარგი,
რომ დავიღე სულმოყვება და განვავარძე
ჩემი საქმიანობა, თორემ მთელ ჩემს სიცოც-
ხლეს ძალიან მწარე დასაწანი შეტყნებოდა
ისეთი, ასე ვთქვათ, „დებურტირობა“ ზოგე-
რთვის არაკეთილსინდისიერი თავდასხმისა გამო.
იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაო-
ბის მთავარი მიზანი: რამდენდაც შეიძლებო-
და და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა
მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიი-
სათვის: ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძველთა
დალუპვისა და დაკარგვის გადასარჩენად; რაც
შეიძლებოდა მეტი გამოიმხვეურებინა და მი-
საწველოში გამაგებადა შეკვლევათათვის. ეს მიზან-
ნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნი-
შენლოვინეს საქმედ იმ პერიოდში — იმ
რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საყ-
მაოდ დაგროვდებოდა გამოჩნდებოდა ჩვენ-
ში შეცნირები, რომლებიც კერძოვინად შეგ-
ვიდავინდენ საქართველოს ისტორიას, ვაგე-
შეტყნებდენ იმ მართლაცდა, დიად კულტურას,
რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ
კიდევ შორეულ წარსულში. საყვებრად არ

* გავრძელება, იხ. „მნათობი“, № 4, 5, 6.

ვამობ, მაგრამ მას აქეთ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად, წილად მხვდა ბუერი ახალი, სრულიად უცნობი და, თან, პირველხარისხოვანი ძეგლის აღმოჩენა — ისეთებისა, რომელთა არსებობა არც კი მოგვეჩქრებია მანამდე. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმის მომასწავლებელია, რომ კარგა ხანს ზეენ ძებნა არც კი მოგეჩინდა სპირიტუალ და არც გვესმოდა ასეთი მუშაობის ფასი.

სხვა ძეგლი შორის განსაკუთრებულ ყურადღების ვაჭყევდ „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენის და ლიტერატურაში უკვე ცნობილ ხელნაწერთა შეძენას მფლობელთაგან. სულ იმის იმედი მქონდა, არ შეიძლება სადმე არ მოიძებნოს XVII საუკუნეზე უძველესი ხელნაწერი-მეთქი. ეს მოლოდინი კი არ გამიძარცვია, მაგრამ ის მაინც შევძელი, რომ, სხვადასხვა გზით, შემეგრძობებინა 16 თუ 17 ხელნაწერი (ზუსტი რიცხვი არ მახსოვს), რომელთა შორის ზოგი ფრიად საყურადღებო გამოდგა როგორც ვარიანტებით, ისე საუხურო მბატრობითა და ამითა შემკულით. საერთოდ კი, მოვკრიბე ცნობა 24 ხელნაწერის შესახებ. მათ შორის უძველესნი და უმნიშვნელოვანესნი დიდი კლდით შევიძინე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის. ზოგი მათგანის შეძენა პირდაპირ საარაკო თავადასაველად იქცა თვით ხელნაწერთათვისაც, მათი პატრონებისთვისაც და ჩემთვისაც. გაიხსენებ რამდენიმე ასეთ შემთხვევას.

მაგალითად, ვინმე კორინთელისაგან ვაუიღინე საზოგადოებას თარიღიანთა შორის უძველესი ხელნაწერი — 1646 წლისა. ის რომ კორინთელს მქონდა, ცნობილი იყო ჯერ კიდევ იმ კომისიისათვის, რომელიც იონა მუენარტაგამ შეადგინა.

ას მანეთად შევიძინეთ „ვეფხისტყაოსანი“, გადაწერილი მეფე გიორგი XI-სათვის, 1680 წელს, მისი მღვიმის ბეგთაბეგის მიერ. იმ ხელნაწერის პატრონის — გვარად, მგონია, ყაზახაშვილის — ვაყები ჩემთან სწავლობდნენ სათავადაზნაურო განმანაიაში და იმათი შემეგობობით მოვყავიღინე მათ დედას; მამა აღარა ჰყავდათ ცოცხალი. ეს ხელნაწერი გამოირჩევა დღემდე ცნობილთა შორის თავისი პირველხარისხოვანი ამითა სამკაულით, რა თქმა უნდა, სპირიტუალ ყოილისა. (ყოველ გვერდსა აქვს სამივე მხრე ზორდურება: ხლართულები და შიგ ცხოველები და ფრინველები. ევროპის რომელიც გინდა მუზეუმს, რომ მიუტანო, უღაბარაკოდ მოგეყმენ მილიონს. ეს ხელნაწერი აღწერილი მაქვს ჩემი „Описание“-ს II ტომში (გვ. 573-582). მსგავსი ამითა სამკაული აქვს აგრეთვე რუმინაეცვის მუზეუმისთვის ხელნაწერს. რამდენადღე აღწერილობით ვიც

(თვით ხელნაწერი კი არ მინახავს, თემცა ჩამოტანილია საქართველოში), გერმანე XI-სეული ხელნაწერი თავის დროზე, მისცემდა ყოფილა წილებული, იქ 1791 წელს უყიდი ვერეკე შეორის სახლთუბუცისის გრიგოლ ჩოლოყაშვილის შვილს ქაიხოსროს და 1795 წელს ჩამოუტანია ისევე საქართველოში. პატრონს, კერძე ჭალს, ძალიან გაუჭირდა იმ ხელნაწერის შეღვევა და მარწყმუნება, რომ მის განსვენებულ ქმარს თავის დროზე, კმებთან გაუფრისას, 13 დღითი მშია დაეთმო სარგოდ ძმებისათვის. ბოლოსდაბოლოს 100 მანეთად მოვირგადით, და ეს იყო უდიდესი საფასური, რომელიც კი ოდესმე მიმიცია ქართულ ხელნაწერში. მაგრამ იმ ხელნაწერის ისტორია ამით არ გათავებულა. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ დღემდე მომიგზავნა ერთერთი თავისი ვაჟი, ჩემი ყოფილი მოწაფე (მამინე უკვე აღარ ვიყავი სათავადაზნაურო სკოლის გამგე) და მხოვია, დამებრუნებინა ხელნაწერი — მაგ ხელნაწერში უცხოელები კარგ ფასს მომცემნო. მე ვუთხარი ჩემს ნამოწაფარს, შეგნებული ახლავარდა ხარ და კარგად უნდა გესმოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზეენთვის იმ ხელნაწერს; როგორ შეიძლება იგი საქართველოს დეკლარაცია-მეთქი? მიპასუხა, თვითონაც მრცხენოდა ამ საქმეზე თქვენთან მოსვლისა, მაგრამ დედაჩემმა საშველი აღარ მომიცა; ჩემი და ერთ ინგლისელს მისთხოვდა (ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენში ინგლისის ჯარი იყო შემოსული) და სიმე ეუბნება დედაჩემს, თუ მართლა ევროპით ძვირფასი შემკულობა აქვს იმ ხელნაწერს, მე ძვირად გავიყიდითო. მაშინ ვუთხარი იმ ყმაწვილს, აქ მომიყვანე თქვენი სიძე და მე თვითონ მოველაპარაკებო-მეთქი. იმანაც მომიყვანა; დღემდე სიმპათიური ახლავარდა გამოდგა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, განათლებული, რუსულის მცოდნე. მე, რა თქმა უნდა, აუბხენი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზეენთვის იმ ხელნაწერს და ვთხოვე, დავეხმარებოდა, მით უმეტეს, რომ ხელნაწერი თავის დროზე წაყიდი იყო წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ამიტომ სამკაულზე უსასამართლოდ ვერ გადაწყდება, საზოგადოება შეტეხილ ხელნაწერს ისევ გამყიდველს ვერ დაუთმობს-მეთქი. მერე თვითონაც ვაჩვენე იმ ინგლისელს იმ ხელნაწერი და თავიდან მოლომდე დავათვალიერებინე. ძალიან მოეწონა და მთხარა; ასეთი წიგნი ყოველი ერისათვის ნაციონალური სიამაყის საგანია და რასაკვირველია, ეგვე ქართველებს უნდა დაგვრჩეთო. ოღონდ, ჩემი სიღვდარი რომ დავამოშინო, თუ შეიძლება, ცოტა ფული მაინც უთმობთო. მე დავპირდა, წერა-კითხვის საზოგადოების წინაშე ვიშეამდგომლებ, დამხარება აღმოუჩინონ-მეთქი. მართლაც, მიეწერე საზოგადოების

ზიბლოთეა-მუზეუმის გამგეს — მაშინ დავით კარიჭაშვილი იყო — და მივეცი თელნაწერის უფლი პატრონს 200 მანეთი. ამით გათავდა იმ ხელნაწერის თავდადასავალი. რაკი სიტყვამ მოიტანა, აღენიშნა, თუ რა წარმოადგენდა წერა-კითხვის საზოგადოების შემოსავლის წყაროს: საწვევო გადასახადი (ბოლო დროს, რევოლუციის წინა წლებში უკვე თითო მანეთამდე დავიდა); შემოწირულობა-დახმარება; წიგნის მალაზიის ნავაჭრი (თვით საზოგადოების მიერ გამოცემული მხატვრული თუ სხვა ლიტერატურისა მართო ვოგებაშვილის სახელმძღვანელოზე შემოქმედით წელიწადში 10.000 მანეთი ბოლო დროს).

მესამე ღირსშესანიშნავი, საუკეთესო, სიუჟეტური მინიატურების შემცველი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“ ის არის, რომელიც ერთ დროს პელაგია წერეთელს ეკუთვნოდა და რომელსაც განსაკუთრებით რთული ისტორია გადახდა თავს. ზემო აზრით, ეს ის ხელნაწერია, რომელსაც პლატონ ოსელიანი აღნიშნავს, როგორც წერეთელს ეკუთვნილებას და შეეცდომით ამბობს, ეტრატზეა ნაწერიო. მინიატურებს სპარსულად აწერია მხატვართა ვინაობა, ამგვარი სურათების შემცველი სხვა ხელნაწერი არ მოგვაპოვება. იგი აღწერილი მაქვს ჩემი „Описание“-ს II ტომში (გვ. 566-568), მის ისტორიას კი ახლა გავიხსენებ. ერთი ნესტორ წერეთელი იყო, საჩხერელი დიდი თავადი და ამას ცოლად ჰყავდა ვურიელის ქალი, სახელად პელაგია. ნესტორი გარდაიცვალა და მისი ქონება — მათ შორის ერთი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი — მის ცოლ-შვილს დარჩა. ხელნაწერს თუკმე უდა ჰქონია გაფუჭებული და დედას უთხოვინა ვაეიწვილებსათვის, გააკეთებინეთო. იმათაც წამოუღიათ თბილისში, უდა მართლაც და კარგი გაუკეთებინებოთ, ხავერდისა, მაგრამ შეერ — ზენებური, თავდაშვილური და უღერებოთ — ეტლში დარჩენილი და დაუკარგავთ. მათ შემდეგ ის ეტლი უჭირაებნია ცნობილი ქართველი ვაჟრის ფორაქიშვილის ერთ ნოქარს, რომელსაც უბოვინა ეტლში ხელნაწერი და ძალზე გახარებია, „ახლა კი ვაკეთდი ციციო!“ ფორაქიშვილს ეს ამბავი რომ გაუგია, ჩემთან გამოუტყავინა ნოქარი, წერა-კითხვის საზოგადოებასათვის შეიძენსო. მაგრამ მე შინ არ დაბევიდი, ის ნოქარიც ამდგარა და მიუტანია კომერსანტ დავით სარაჯიშვილისათვის, რომელსაც სამი თუმანი მიუცია ხელნაწერში. — ეს მაშინ, როდესაც იმ ხელნაწერში რამდენიმე ათეული საუცხოო მინიატურა იყო და თითო მათგანი გვიღირდა ას მანეთად! ცოტა ხანს შემდეგ დავით სარაჯიშვილმა მიმიწვია სადილად, — კვირადღე იყო, სტუმრები ჰყავდა. შევედი თუ არა, მომაგება ის ხელნაწერი: „იი, საშენო, საშენოო!“ დახეხედი, მოკვიდე ხელი და ვუთხარი: „ამას თახ წაიღებ და გულმოდგი-

ნედ შევისწავლი-მეთქი!“ „წაიღე, ოღონდ ძალად დამიბრუნე, ბარონ დე-ბაის უნდა ვაჩუქოო!“..

საერთოდ, ერთი პირდაპირი და მშვენიერი თესება სჭირდათ მაშინ ქართველებს! მტკიცე ბულებსა და თითქოს მამულიშვილებსაც კი რაც რამ კარგი და თავმოსაწონი ნივთი ჰქონდათ, გაჩუქებდნენ ისეთ პირებზე, რომლებიც საქართველოს ვართო ცხობრობდნენ. სამარცხვინო სამინატეს ინედნენ ხოლმე. ერთხელ ქართველმა თავად-აზნაურობამ ასწია ვრცელ მუორის ნაქონი თოფი — ის, რომლითაც კობია ბელადი მოლა ასპინძის ომში — და მიართვა მეფისნაცვალს (გვარა აღარ მაგონდება, ვორთნაციის შემდეგ იყო აქ). კიდევ კარგი, რომ იმან უკანვე დაუბრუნა, „ეს თქვენთვის ძვირფასი სასოვარია და თქვენთანვე უნდა დარჩესო!“ ან არა და, ალექსანდრე ორბელიანი რომ იყო, ნამდვილად დიდი პატრიოტი, მუდამ რუსებისა და, კერძოდ, ვორთნაციის სამდგრავს რომ სწერდა, იმან სწორედ იმ ვორთნაციეს აჩუქა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი საუკეთესო ხელნაწერი, XVII საუკუნისა (იქიდან გადმოიღო ვაგაიონმა პირველად შოთა რუსთაველის სურათი!). კიდევ კარგი, რომ რევილუციის შემდეგ აღმოჩნდა ის ხელნაწერი ვორთნაციის არქივში და ისე დადგინებულა, თორემ ხომ უნდა დაეკარგოდნენ! ულახურის ცნობილი ხატი იმპერატორ ალექსანდრე II-ს აჩუქეს, მაგრამ იმნაც, მეფისნაცვლისა არ იყოს, შეგნებულობა გამოიჩინა და უკან დაუბრუნა. მაგრამ ვინ იცის, რამდენი რამ იქნა ამრიგად, ქართველთადაც გამოძებული, გაყიდვებზე და გადამთვლავებან მითვისებებზე რომ აღიარა ითქვას რა? რომ ასე არა, ჩვენი მუზეუმები ახლა ერთიად უფრო მდიდარი უნდა გვეჩინდეს ხელნაწერებითა და სამახსოვრო საგნებით, ხოლო უცხოეთის მუზეუმებში ამდენი ჩვენი თავის საწვევარი ძეგლი არ უნდა იყოს მოხვედრილი ქართული კულტურისა...

ჰოდა, სწორედ ასეთს რასმე უპირებდა იმ, თუმცა სპარსული ყადის, მაგრამ მაინც საუცხოო მინიატურების შემცველ ხელნაწერს დავით სარაჯიშვილი, რომელიც, იმავე დროს, ნადავლ ქართველების ხასიათის სიმჩატესა და ბედოღვათაობაზე წუწუნებდა და ერთხელ ამის გამო ილია ჭავჭავაძეს კი ააწვევინა ვანრის-ხებით ხმა, როგორც უკვე გავიხსენე. მერე-და, ვისთვის აპირებდა მიძღვნის? ბარონ დე-ბაი ერთი დიდუბანტი, მოხალისე არქეოლოგი იყო, შეძლება ჰქონდა, მოგზაურობდა, რაღაც-რაღაცებს წერდა, ნივთებს იძენდა! და ა. შ. აქაო-და ბარონიო, გარდამეტებულ-პატრიოს სცემდნენ ჩვენიანები, პირდაპირ ზედ ჰყვებოდნენ. „მაგრე არ უნდა-მეთქი“, გაიფიქრე გუნებაში, და წამოვიდე შინ ის ხელნაწერი. რამდენიც მომეთხა საარაჯიშვილმა, იმდენი ვუბასებე, ჯერ კიდევ ვიყავი, არ მომითავ-

ზია-მეთქი, და ამასობაში ის ბარონი კიდევაც გაემგზავრა საქართველოდან. მერე თერთმედღით სარაჯიშვილს წავიდა სახლდარგარეთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მისმა ცოლმა დამიწყო დროდადრო კაცის გზავნა, „ხელნაწერი დამიბრუნეთ“. მეც ვუთვლდი, „კი, ბატონო, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემოსწავლია-მეთქი“. მერე ერთი გუნებაში, ესენი, ჩანს, აღარ მომიშვენიან-მეთქი, ავღვტი და შევიტანე ხელნაწერი წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში — თუ მიანცადამიანც კიდევ გამომდევნენ, იქიდან მეტი დამიკველი გამოჩნდება „ვეფხისტყაოსანსა“-მეთქი. შევიტანე მუზეუმში, აღმწერე და მერე კიდევაც გამოვეცი „Описаніе“-ში. ჩამოვიდა საარაჯიშვილი სახლდარგარეთიდან და ისევ მოკითხა ხელნაწერი. ცოცხალი ვერ დავიღებ კისერზე, კიდევ ერთხელ უნდა აღენიშნო, რომ ნამდვილად პატრიოტი კაცი იყო, მაგრამ — საყვირველი, პირდაპირი! — აი, ასეთ რამებზე აკეთებდა ხოლმე; რაღაცა ღვთის რისხვა იყო, საერთოდ, ჩვენ თვისი რიცხა შეიხი, „რა უყავით“, ფეხბარი: „კაცო, ჩამოვხსენი ამ „ვეფხისტყაოსანს“, ვიღაცა გადამიიღეს რომ ვინდა მიანცადამიანც გაატანო, აქაო და ბარონიაო, აი, შენი სახელით შევწირე წერა-კითხვის საზოგადოებას და კიდევაც გამოვეცი-მეთქი“ თან ვაჩვენე ჩემი „Описание“-ის კი ვამა, შეგ რომ მისი სახელით იყო ხელნაწერი შეტანილი, და გაეცინა, „აჰარგო!“ ამ საუბარს შემდეგ ორი-სამი თვე გავიდა და მეც მეგონა, რომ ვათავდა იმ ხელნაწერის ამბავი, მაგრამ, გაგიგონია?!

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ორი ტოლი, შესანიშნავი თვალტანადი, ჩოხა-ახალტუში გამოწყობილი ახალგაზრდა ვაჟკაცი. „ჩვენაო, ბატონო, ძმები წერეთლები ვართო — მეუბნება ერთი — და თქვენთან საქმე გვაქვსო!“ იმათ შეხედვასა და მოსმენას არაფერი სჯობდა. აი, ნათქვამი რომაა, „ზარდილი არიან იმერნო“, ისეთები იყვნენ, სწორედ, ერთიმეორებზე უკეთესი. — „პელაგია წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქმრის ნესტორის ქონება რომ გაიყავით, „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ გვეტოლა; დედამ გამოვეტანა თბილისში უცდის გასაქვებულად, გავუკეთეთ, მაგრამ ეტლში დავტარჩა და მის დედაჩვენი აღარაა ჯავრით, დაკარგული პოინაო; საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“ ხელნაწერი იმაზე უკეთესი არ მოიძებნებაო; ხელნაწერები თურმე სულ თქვენთან მოდის და ჩვენსაზე ხომ არაფერი გაგივიათო?“ „როგორ იყო-მეთქი?“, ვკითხე მე. „დიდი იყო, ძველი, ტყავისაო“, მიმასუხეს. ნამდვილად ბომბიციანზე იყო დამწერილი, მაგრამ ისე ჰგავდა ტყავს, რომ თავის დროზე პლატონ იოსელიანმაც კი ეტრატად მიიჩნია. „თუ თქვენთანაა, გვათხოვეთ და გაძღვეთ პატროსან სიტყვას, ისეც დაგზარუნებთ, თონდ დედას ვაჩვენოთ და დავარ-

წმუნოთ რომ არ დაკარგულია“, შემომხვეწენენ, მე ვუთხარი, საერთოდ, ყველაფერს მუხტეში ვიტოვებო, რასაც შემოგწირავენ-მეთქი! „აი, დაგზავლეთ, ეს ხელნაწერიც ვერც-მანამ გვმლდებათ, ქალღმერთი ნაწერი და არა ტყავზე-მეთქი — მაგრამ, საწმუნაროდ, იგი სხვისი ნაყილია, მერე შემოსწირა, ახლა საზოგადოების საყვოტრებას შეადგენს და როგორც შეიძლება წაღება-მეთქი?!“ მერე მისუფრენენ საზოგადოების გამგეობაში და იქ კი ემასუხათ, „ეს ჩვენ არ გვეკითხება, თაყიშვილის საქმეაო“. მომადგნენ ისეც. მეც რაღას ვიხამდი, ვავიტანე საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში წერილი, „დროებით მივიტო-მეთქი“ და წაიღეს ხელნაწერი იმ კოხტა ძმებმა. ვავიდა ერთი თვე, მაგრამ არ მოიტანეს უკან. ეს, რასაყვირველია, არ მესიამოვნა თანაც კიტა აბამიძემ ერთი ამბავი ამიტება გამგეობაში, არ უნდა ვავეტანებინაო. მე ვუთხარი, ჩვენი ფულით ხომ არ გვეონდა ნაყილი, მიანიც სხვისი იყო-მეთქი.

იმხანად (მგონი, 1913 წელი იყო) საჩხერეში ვინმე გამურელიძის კარ-მიღამოზე ძველი უორდნული სამარხი აღმოჩენილიყო და იმის გასათხრელად წავედი, რადგან მაშინ არქეოლოგიური გათხრის წარმოების საქმესაც უყვე მე ვუბატრობოდი. ბინა იმ გამურელიძის სახლშივე დავიდე და ისე ვმუშაობდი; სხვათან არავისთან წავსულვარ, არც წერეთლებში და არც სხვაგან საღმე. საჩხერეში მაშინ მოთავეობდა და, ასე ვთქვათ, „დედოფლობდა“ ელისაბედ წერეთელი, ორმოცდაათიოდე წლის, რომანტიკული სულსკვეთების ჭვრივი. თითონ წულუკიძის ასული იყო, პეტრეს და; ქმარი საქაშვილ გონებაჩლუნგი ჰყავდა და ადრევე გარდაცვა-ლა. ყველა წერეთლებზე მდიდარი იყო, რადგან მის მამულებში ბლომად მოთხოვებოდა შავი ქვის მადანი. ელისაბედი საჩხერის სკოლის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და იმ სკოლის სასარგებლოდ ყოველ წელიწადს აწყობდა დიდ შეჯღოსს და ცის ქვეშ, მუსიკათა და მთელი ქუთაისის დეპერნიიდან მიმატიყებული სტუმრებით, გუბერნატორიანად, ჩემს იქ ყოფნაშიც მოეწყო ასეთი შეჯღოსი ერთ კვირადღეს; ვაგეო, რომ საჩხერეში ვმუშაობდი და მომწერა, დაგვესწარაო. მუსიკა ქუთაისიდან დაეპარებინა და მთელი ქუთაისის სტუმრად ჰყავდა. დიდი სადილი ჰქონდა გამართული. ასე იცოდა: სანოვაცეს უსასუდილოდ მოვაროვებდა ხოლმე და სტუმრებს კი ორ-ორ მანეთს ახდევინებდა. ამრიგად, კიი სამ-ოთხს ათას მანეთს მოუტრიადა თავს და, რა თქმა უნდა, სკოლას მოახმარდა ხოლმე... მივიღე იმ შეჯღოსზე და დავინახე, რომ ელისაბედი მართლა დიდოფალივით განაგებდა იქაურობას და მთელი თავადიშვილი ყმაწვილკაცობა მსლებლედ ჰყავდა. გულობილად მომესალმა, ვადა-მოკცნა და მომიკითხა. მამამისი, გიორგი წულუ-

კიძე, დღესანთ ცხოვრობდა გურიაში (მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა, თან შესანიშნავი მონადირე იყო) და იქიდან ვიცნობდით ერთიმეორეს. შეეხებე და ის ორი ჩემი ახალგაზრდა წერეთელი აქეთ-იქით არ უდგანან ელისაბედს მხარში, აღფრთხილები? წავატანე ხელი ორივეს და ვუთხარი ელისაბედს: „ქენია, ახლა სხვაზე ნტრაფერზე ველაპარაკებთ, მე და ეს ახალგაზრდები გავვსამართლებთ-მეთქი“. რომ მკითხა, რაშია საქმეო, აეუბნენი: „ისე და ასე იყო, ეს უმწვერლები მოვიდნენ ჩემთან და დროებით მთხოვეს საზოგადოების ეტონილი ხელნაწერი; თან პატიოსანი სიტყვა მომცეს, რომ დააბრუნებდნენ და კი არ დააბრუნეს; სხვისი ვაზოზე და ახლა არ ვიცი, რა პასუხი გვაცე პატრონს, უხერხულ მღვობარობაში ჩამაყენეს-მეთქი!“ ის ვაყები დამწვენი სიტყვებით: „ვთი, ეს რა დღეში ჩავეარდით, ბატონო ქ-ნი ელისაბედი მოგვიცია თოდებდა, რომ ერთ კვირაში მოგიტანო!“ ელისაბედმა მიხარა, „ახლა ამითი საქმე შე მკითხე, ჩემს ხელში არ არაიაო?!“ მეც დავმსვიდლი... ელისაბედმა იქ დიდი პატივი მცა და წამოვედი ისევე ჩემს ბინაზე. გავიდა ერთი კვირა, მაგრამ ძმები წერეთლები არ მოსულან ჩემთან. მერე ჩამოვბრუნდი თბილისში, მივედი წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში და ვკითხე ხელნაწერის ამბავი. მითხრეს, უკვე მოიტანეს უკანაო. გამოვართვი, გადავშალე, დაერწმუნდი, რომ დაებრუნებინათ და გამეხარა: „რაკი მოიტანეს, აწი აღარა უშავს ერთ-მეთქი“, ვაფიქრე. რას მოვისაზრებდით, თუ ერთი შეხედვით მთელ ნაწერს რაიმე ზიანი ეგნებოდა?

იმ ხელნაწერში თავის დროზე ჩართული იყო 36 ფურადი სურათი, ჩასაკვირველია, სპარსულ უაღაზე ნახატი, საუკეთესო ხელობის თან მხატვართა სახელები ეწერა ზედსანამ ხელნაწერს საზოგადოებას ვადაცემდი, სარაჯიშვილს რომ გამოვართვი და სახლში მქონდა, ვერ კიდევ მაშინ ვაჩვენე ეს ქართულელების გულწრფელ მეგობარსა და მოამაგეს, „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა ქართულ თხზულებათა ინგლისურად მთარგმნელ ქალს მარჯარი უორდროსს, ასე რომ ის საკმაოდ იცნობდა იმ ხელნაწერს. პოდა, არ ვასულა ორი თვე, რომ იმ ქალისაგან ინგლისიდან წერილი მივიღე. მატყობინებდა, „ერთმა პარიზელმა ანტიკვარმა „ვეფხისტყაოსნის“ 16 სურათი გამომიგზავნა, ხომ არ იყიდითო, და ჩემი ბარით, ეს სურათები იმ ხელნაწერიდან უნდა იყოს ამოღებული, თქვენ რომ ერთხელ თბილისში მახვევითო; შეიძლება ეცდებოდეთ, მაგრამ ძალიან მაგონებს იმ სურათებსა და ნეტავ რაშია საქმეო?“ მე ვიფიქრე, ალბათ ცდება-მეთქი, მაგრამ მაინც წავედი მუზეუმში შესამოწმებლად. ვადესინჯე, მაგრამ რას შევატყობდი?

16 კიდევაც რომ მოვკრათ, ისე სუფთად იყო ამოკრილი, რომ კვლი არა ხანდა, დანარჩენი 20 კი თავ-თავის ადგილის იყო. მინც გუგუხავენე დებემა მარჯობი უორდროსს: *www.ivanmashin.com*

Задержать рисунки: если можно, выслать их фотографические карточки: известить антиквара, что эти выкрадены из библиотеки общества грамотности и возбуждается уголовное преследование; антиквар должен указать, от кого они им получены».

მარჯობი გამომიგზავნა ფოტოსურათები, შევადარე დარჩენილ სურათებს და საბოლოოდ დაერწმუნდი, სტოლისა და ხატვის მანერის მიხედვით, რომ პარიზელ ანტიკვარს მართლაც იმ ხელნაწერის სურათები ჩაგარდნოდა ხელში. მაშინ გამახსენდა ერთი ამბავი: არათუ დიდი ხნით ადრე თბილისის ვაზოებში და, კერძოდ, „ივერიაში“ გამოქვეყნდა გამაფრთხილებელი განცხადება ზალისადაში — ჩემ-ჩემად დაძვრებთან ვივინდარები, ძველ ხელნაწერებსა და მინიატურებს იძენენ და არ მიპუილით, ამრიგად განადგურდება ჩვენი ევლტრეული საგანძურით. მართლაც, დადიოდნენ, მგონი, კონსტანტინეპოლელი ახალგაზრდა სომხები ოჯახ-ოჯახ და ავროვებდნენ, ყიდულობდნენ სპარსულ, ინდურ და სხვა აღმოსავლურ ხელნაწერებსა და სურათებს, რომლებზედაც მაშინ დიდი მოთხოვნილება იყო ევროპაში. იმათი არც გვარი ვიციოდი, არც სახელი, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, ამ საქმეშიც მათი ხელი ერევა-მეთქი. მარჯობი უორდროსს ჩემთვის ფოტოსურათების გამოგზავნისთანავე გაფრთხილებინა, ჩემი თხოვნისამებრ, ანტიკვარი, რომ სურათები მოპარულია და სისხლის სამართლის დანაშაულის ძიება დაიწვებაო. ხელნაწერის ყოფილი პატრონის წერეთლებისათვის, ჩასაკვირველია, არაფერი მიმიწვინოდა, უხერხულად მივიჩინე: ვფიქრობდი, მართალია, მოაკლეს სურათები, მაგრამ მაინც ხომ შემოიწირეს-მეთქი?! თურღიულად კი სულაც უფლება მქონდათ უკან წადითო მთელი ხელნაწერი. საერთოდ, მე ასეთ შემთხვევებში არასოდეს არ ვართლებდი და არ ვაწაყებდი საქმეს, რადგან შეიძლებოდა საბოლოოდ დაგვკარგოდა ნივთები. საზოგადოება დიდ პატივს კი მცემდა, მაგრამ ასეთი სახელიც მქონდა მოხვეჭილი: „ექვთიმე თაყაიშვილს თუ ჩაუვარდა ხელნაწერი, მერე მორჩა, დაკარგულიაო!“ იმ წერეთლებს დედა-მთი თურმე მართლა სთხოვდა, ერთი კიდევ მანახეთ ის „ვეფხისტყაოსანიო!“ მერე მალე მოკვდა. შესანიშნავი ქალი იყო. იმან შემოსწირა საზოგადოების მუზეუმს იმერეთის მეფის სახლთუხუცესის წერეთლის საუცხოო პორტრეტი. თან მითხრა: „წაიღეთ, თქვენი ქირიმე-რომელ სახლშიც ეს შევიდა, იქ ყველა გარდიცვალო!“ მე ვკითხე, „ახლა გნებავთ, ჩვენც

ვარდებიცვალოთ-მეთქი?" „არა, არა, თქვენ არაო!“ საქაროდ მიმასუხა...

გვიდა კიდევ თვენახევარი, თუ ორი თვე... საერთოდ, რაც რომ იმ დროს თბილისში ძველი წიგნებითა თუ ნივთებით მოვაპირე ჩაჩაჩები იყვნენ, სომხები და ებრაელები ყველას ჩემთან მოპქონდა ასეთები, იმიტრო, რომ ჩემზე უკეთესი მუსიკარი არ ვგულებოდათ. ქართველები ნივთებით არ ვაჭრობდნენ, უფრო ბუენისტრობდნენ და ისინიც, თუკი რასმე ღირებულს იგდებდნენ ხელთ, მამასისხლად აფასებდნენ, ამენებას განიზრახავდნენ ხოლმე (ასე იყოღა, მაგალითად, სოსიკო მერკვილიძემ). სხვები კი კომერციულად უღვებობდნენ საქმეს: რაც თვითონ დასჯდნომოდათ, ორ იმდენს თუ მიეცემდი, კმაყოფილებდნენ. ერთმა მათგანმა, არმაკამ, ძალიან ბევრი ხელნაწერი მყიდვინა ამრიგად. ერთიც ებრაელი იყო, მეორე მიხაკა ვრქვა სახელად, ის კი ბევრ ნივთებს მიზიდავდა ხოლმე. ვნახით, სწორედ იმან არ მომიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ხეით თუ ექვსი სურათი გასაყიდად?! დაგხედე და მაშინვე შევატყე, რომ ყველა წერეთლისეული ხელნაწერიდან იყო ამოჭრილი. ეკითხე ჩაჩას, „ვინ მოგცა ეგენიმეთქი?“ „პატრონმა მომცა, ყიდაოსა“, მიმასუხა. „იცი, როგორაა მაგ სურათების საქმე-მეთქი?“ „არაო.“ „როგორაა და ეგერი ჩვენი მუზეუმშიდანაა მოპარული და უნდა დამისახელო, ვინ მოგიტანა-მეთქი?“... თურმე იმ ახალგაზრდა სომხებს რომ შეეცყოთ პარიზელი ანტიკვარისგან, სისხლის სამართლის გამოაჩიება აღძვრისო, ჩვერგანათ ისევ საქართველოში, თავისთან ვეღარ გუგნებრებინათ და იმ ებრაელისთვის მიეყიდათ. დავიტოვეე მიხაკს მიერ მოტანილი სურათები და ვუთხარი: „უნდა თქვა, ვინ მოგცა, თორემ შენ დავიკვირებ და ჩაგაგდებენ სასჯარობილში-მეთქი!“ შეშინდა. თან თბილისის გუბერნატორს მიეწერე მოხსენება, ასე და ასე საქმე, ნაქურდალი სურათები მომიტანა იმან და მომტარებლების დაქვარაა საქრო-მეთქი. გუბერნატორმაც ბრძანა, საქმის გამოძიება; დაიბარეს ის სომხები და დაკითხეს. იმათ უთხარეს, „პატრონო, ჩვენ რა შეიშინვართ, ჩვენ, საერთოდ, მთავრებით ვვაჭრობთ და რას გვემართლებით? წერეთლებმა მოგყვიადეს ის სურათები და 600 მანეთი ვადაგვახდენესო“. მეც ის დამფობობილი ვაჭრები ჩემთან მოვიდნენ და მიუთხარეს, „ხელნაწერის პატრონები თვითონ ვერ ამოჭრიდნენ შეუმჩნეველ სურათებს, მოგვეეს და ჩვენ ამოუჭერიოთ (მართლაც, როგორც აღენიშნა, სრულიად არაფერი დანაკლისი არ ვტყობოდა ხელნაწერს) და ისე ვეიციდეთო; ახლა ჩვენი ფულს დავგიბარუნეთ და ყველა სურათი უკან ინებეთო! თუ არა გჯერათ, თვითონ წერეთლებს ჰკითხეთო!“ მე ვუთხარი, „ახლა ჩვენ შავის გამოძიებას ვერ შევედგებით და ვერც ვერაფერს მოგცემთ;

წერა-კითხვის საზოგადოება მთა თანას ვერ ავინაზღებრებთ, მაგრამ, რაკი დაზარალებულხართ, ვიშუამდგომლებ, რომ ვიქმნათ-მარცხ მოგცენ-მეთქი“. ასე ემაჯობინებოდა წიგნები, ბოლოსდაბოლოს, მართლაც ნაყიდი ჰქონდათ ის სურათები და არა მოპარული, მიეწერე საზოგადოების გამგებობას და მთავც მისცეს 200 მანეთი. საერთოდ, ისე იყო დამწებული: მე თუ კი მიეწერდი, აღარც კი კითხულობდნენ, რატომ და ვის აძლევდნენ, უღაპარაკოდ მისცემდნენ ხოლმე ფულს. იმ მიხაკამ ხომ ექვსი ცალი მომიტანა და დავიტოვე, დანარჩენი ათიც თვით სომხებმა მომიტანეს და მხოლოდ მას შემდეგ მივაეცინე ფული. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი ამოჭრილი სურათები ჯერაც არაა ჩაქრული ხელნაწერში: ეს უკანასკნელი საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია, წერა-კითხვის საზოგადოების ფონდში, ხოლო ამონაქვრები ჩემს ბინაზე ინახებოდა და ახლა, მეორე, ხელაგვების მუზეუმში უნდა იყოს.

ზემოთ რომ ბარონი დე-ბაი ეახსენე, რომელსაც კინაღამ ანუქვას ეს შრავალტინაული ხელნაწერი, იმისმა აქ ყოფნამ ერთ საქმეში მაინც შემეწყო ხელი. მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა დე-ბაის, საგანგებო მდივანი მიუჩინეს, რომელიც სულ თან დაჰყვებოდა. სხვათაშორის, იმ ბარონმა ჩვენი ჩაწერილი ზღაპარი „ოსტრომელა“ გამოსცა მეტე საფრანგეთში ფრანგულად, და არც ეს იყო ურიგო საქმე... ტბეთის ცნობილი სახარება რომ არის, XII საუკუნისა (ჩემ მიერ უკვე გამოცემული), ისა და არა ნაყოფე ცნობილი — ოქონის ხატი, რომელსაც ქართველი მეფეები დაატარებდნენ ხოლმე თან, ჰქონდა მცხეთის დედათა შონასტრის (სამთავროს) იღუმენიას, ნინო მუხრანბატონის ასულს, რომელიც მათ არავის არ აწვენებდა — ყოფილ შემთხვევაში, მე არ შენახა ისინი და, რაკი ვეცოდი იმ მოლოწვის იმეავი, არცა ელაშობდი. პოლე კარბელაშვილს კი ნახელი ჰქონდა ცოტა ხნით. ერთ დღეს მომადგა დე-ბაი და მოთოვა, წამყვეთ იღუმენისთან, ეგებ მაჩვენოს. მეც წავეყვი და თან ჩემი მეძღლე და შესიკოსა ქალა, ანა თელაველიც წაიყვანე. იღუმენისა ვუთხარი, „აი, უცხოელი ბარონია ჩამოსული, ანტერესებს თქვენთან შენახული ნივთები და უნდა გვაჩვენოთ-მეთქი“. გასჭრა ასეთმა მიმართვამ და მართლაც გამოგვიტანა. მეც ვისარგებლე შემთხვევით, თანმალბე ქალებს ვთხოვე, შეიქცეთ საუბრით იღუმენია-მეთქი, და ამასთანავე გადმოიწერე იმ ოქონის ხატის წაწერა და აღწერე ორივე ნივთი... სკედედლის მოხლოება რომ იგრძნო, იღუმენიას შეეშინდა, არავინ მომპაროს ეს ნივთებიო, და მიაბარა თავის ნათესავს, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილს, რომელიც კარგი პატროტი ქართველი იყო და სიმველეთა მოე-

ლა-მოგროვება უყვარდა (სხვათაშორის, მან თარგმნა რუსულად ილიას „ქვათა დაღადი“). აღუშენია რომ გარდაცვალა, მერე ვიღაცამ დაუწერა ვახუთში იმ ალექსი-მესხიშვილს, „მიითვისა სამთავროს მონასტრის ნივთები, რომლებიც ეგზარქოსს უნდა გადასცემოდა, როგორც ეკლესიის კუთვნილი“. იმანაც გასცა ვახუთში პასუხი, „იღუპენია ჩემი ნათესავი იყო და შესანახად მომპარა“. შვარამ ასეთმა განმარტებამ არ გასჭრა და ატყდა ჩვეულებრივი შარბანი პოლემიკა. ალექსი-მესხიშვილი, საერთოდ, დიდ ანგარიშს მიწევდა ხოლმე და ახლაც მკითხა, როგორ მოვიქცეო? მე ვუთხარი, „ჩაკი ასეთი ამბავი აგიტყუებს, ახლა მეც ნივთების შენარჩუნება ვაძინებ, შვარამ, აი, სათავად-აზნაურო სკოლას რომ ვაშენებთ, იმის ეკლესიას შემოსწირე და, თუ ბიჭები არიან, მობრძანდნენ და ეკლესიიდან რამე წაიღონ, მაგას ეგზარქოსიც კი ვეღარ იზამს-მუთქი!“ იმანაც იღო და შემოსწირა თავად-აზნაურობის ხელმოკლე („შუქილგებელი“) მოსწავლეთა დამხმარე კომიტეტს, მერე ამ უკანასკნელმა ვითომ შიპაბარა წერა-კითხვის საზოგადოებას და, ამრიგად, დანიარჩუნებ მუზეუმისათვის ტბეთის სახარება და ოქონის ხატი.

შვარამ ახლა ისევ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა თავგადასავალს დაეუბრუნდეთ. საერთოდ, მე არც ერთი მისი ხელნაწერი არ დამიტოვებია უნახავი, თუკი მომივლდა ცნობა, აქა და აქ არისო და ამას და ამას აჭებსო. შევიტყუე, რომ ჩემს ნათესავს, მიხილ ალექსანდრეს-ძე ნაკა-შიძეს, იმჟამად ერეკნის გუბერნატორის თანაშემწეს სოფელ იგდირში, ერთი სომხის სახლში ენახა და კიდევაც შეეძინა მისგან „ვეფხისტყაოსანი“. როგორც კი გავიგე ეს ამბავი, მაშინვე მივწერე. გამოვგზავნა ჩემთვის ხელნაწერი. გამოვგზავნათ არ გამოვგზავნია, შვარამ თბილისში რომ ჩამოვიდა, თვითონ ჩამომიტანა. ღრბისტი იყო, ნიკო ნიკოლაძის, ძმებმა პოლიტარკებისა და სხვათა დროის სტუდენტო პეტრებურგში. მითხრა, „რამდენ ხანსაც გინდა, გქონდეს, ოღონდ კი სულ ნუ წამართმევ, ეს ჩემთვის სანუგეარო ნივთია; თორემ შენ ისეთი სახელი ვაჭვს, რომ ხელნაწერი თუ ჩაგვიარდა ხელში, იმის წირვა გამოსულაო“. მე ვუთხარი, „ჩაკი ეგრეთი სახელი მჭონია, შენს ხელნაწერსაც, თუკი რამედ ვარჯი, ბოლოს-დაბოლოს ვე ზედელ უნდა ეწიოს-მუთქი“. ვაეცინა და, რა თქმა უნდა, დამიტოვა. არც კი მიკითხავს, თუ რა შეეცა ხელნაწერში. მის გარდაცვალებამდე ხელნაწერი ჩემთან იყო და მერე კი წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმს გადავიცე, — რასაკვირველია, მისი სახელით შევიწირე. მის ჭვრის ამის გამო ჩემთვის საყვედური არ უთქვამს.

ბოლო კარბელაშვილი რომ იყო, სიძველეთა მკვლევარი, ის ვაჭობდა ხოლმე¹ ხელნაწერებით. ამბავი მომივიდა, რომ შვარამ ვეფხისტყაოსნის დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“ ელენე თარხან-მოურავის ანუ თარხნიშვილისათვის. ის ქალი კონა ქსნის ერისთავის¹ ასული იყო, გაგარინის ცოლის ძმისშვილი (ეს ის გაგარინი იყო, დადემჭელიანმა რომ მოკლა). თითქმის სულ იმ თავის მამიდასთან იყო ხოლმე (განსაკუთრებით მისი დაჭვრევების შემდეგ), ძალიან უყვარდა. იმჟამად თვითონაც ჭვრისი იყო, თბილისის მიეტოვებინა და ყირიმში დასახლებულიყო, გაგარინისეულ მამულში — იალტის მახლობლად, ქუჩუქ-ლამბაში. როცა შევიტყუე, რომ იმ ელენე თარხნიშვილისას „ვეფხისტყაოსანი“ შეუძენია, წერაილი გავუგზავნე იალტის ცნობილ გუბერნატორს ივანე ღუმბაძეს, რომელიც კი კარგად შეეცეოდა, პატივსაც მემცემდა. ყირაი იყო (ძმებს ყველას სჯობდა), მაგრამ თან — დიდი შვარახშვილი და მონარქისტი.

ზედმიწვენით ახლო იღვა ნიკოლოზ შვორცთან (ამბობდნენ ხოლმე „Самый приближенный человек-а“ და როცა ის იალტაში ჩადიოდა, სულ თან დაყვებოდა, მისი მცველი და ავან-ზავანი იყო, მივწერე იმ ღუმბაძეს, სანახევროდ ხეშრობით, მანდ შენ ახლოს თარხნიშვილის ჭვრისი ცხოვრობს, იმას „ვეფხისტყაოსნის“ კარგი ხელნაწერი ჰქონია და, აბა, შენ იცი, თუ აიძულებ, რომ ჩვენს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას შევოსწიროს. მე თვითონ კი თარხნიშვილის ჭვრის შეგზავდი ერთ ზაფხულს, როდესაც წასვლა მომიხდა ჩერნიავის გუბერნიაში, ჩემს ძმასთან, გენერალ ვარლამ თაყაიშვილთან, რომელიც მაშინ იქ, თავის ცოლის მამულში ცხოვრობდა და იმ მამულში აღმოჩენილ ქვანახშირს აშუშავებდა. იქიდან სევასტოპოლით დაებრუნდი საქართველოში, გზად იალტაზე გამოვიარე და, რა თქმა უნდა, ქუჩუქ-ლამბაშიც მივედი ელენე თარხან-მოურავის სანახავად. მიწადა ივანე ღუმბაძესთან ერთად ვწვეოდი, შვარამ იგი იალტაში არ დამხვდა. მის ხელში იყო მხოლოდ მისი ცოლისა (კარგად აღარ მახსოვს, მგონი, მესხიშვილის ქალი იყო). ეთხოვე და ის გამოვლამარაჯა ტელეფონით თარხნიშვილის ჭვრის; უთხრა, რომ მე მსურდა მასთან მისვლა. იმას ეოქვა ტელეფონით, არ ვიციან და შემიწია, რეკლუციონერი ხომ არ არისო? ღუმბაძის ცოლისდამ აუხსნა ვინც ეიყვი და დააწმუნა, რომ ჩემი არავითარი შიში არ უნდა ჰქონოდა. ამის შემდეგ მივედი

¹ ეს კონა გორის მახლობლად ცხოვრობდა, მგონია, ატენში. იგი მასპინძლობდა და მუშაობაში ეხმარებოდა ხოლმე ავად. მ. ბარსევს, რომელიც ბევრს წერს მის შესახებ თავის „რაპორტებში“.

და ძალიან კარგად მიიწილა. აქვე აღინიშნავ, რომ ელენე თარხნიშვილის ერთი ქალი ცოლად ჰყავდა ჩემს ვინაზიხისა და უნივერსიტეტის ამხანაგს ინჟინერ იოსებ დადიანს, რომელიც ბაქოში ცხოვრობდა და ვანაგუბდა გაგარინის ბჭირიის, ელენე თარხნიშვილის მამიდის კუთვნილ ნათთან მიწებს. როდესაც გაგარინის მამულში დამარხეს. ელენეც იქ გადასახლდა, ააშენა პატარა, მაგრამ ფრიად ლამაზი ეკლესია მისი მამიდის საფლავზე და უფლოდა საფლავს. ქრტიულ-ლამბათში ელენე თარხნიშვილი სულ მარტოდ მარტო ცხოვრობდა, თუმცა მეორე ქალიც ჰყავდა, ნადარევიდ დაჭრილებული, არისტოკრატიული ცხოვრების მიმდევარი.

ამ უქანასენელის ქმარი გრაფი იყო, გვარი აღარ მახსოვს. დავით სარაჯიშვილმა რომ სოლოლაკში სახლი შეიძინა, გადამწყვიტა მისი დაწვრთვა და სამაგიეროდ ახლის (ახლანდელი შერატოთა სასახლის) აშენება, დანგრევის წინ მეჯლისი გამართა ძველ სახლში და დიდძალი ხალხი მიიწვია. ის გრაფი და მისი მეუღლაც (ელენე თარხნიშვილის ასული) იქ იყვნენ. რაღაც სულ უბრალო საკითხზე — მეორე, შინ წასვლა-არწასვლაზე — შელაპარაკდნენ, გრაფმა იწყინა, გავიდა მეორე ოთახში და მოიკლა თავი.

იქ წამოწყვიტო ევებერთელა, ორსართულიანი სასახლას შენება, თვითონ სრულიად გამოუცდელი და, თან, მიაბიტი ადამიანი იყო. ამ საქმეებისა არაფერი გაეგებოდა და სახლს აშენებაც წარმოუდგენლად ძვირი დაუჯდა. ამიტომ სულ ერთთავად წერდა ბაჭოში იოსებ დადიანს — სიძესა და იმეამად უკვე მისი ნათთან მიწების მოურავს — და ფულს მოითხოვდა მისგან. როდესაც იოსებმა უპასუხებდა, მეტი სახსარი აღარა გვაქვსო, სიღვდრი უთელიდა, დააგირავე ან გაყიდე ადგილები და ფული კი გამოიგზავნეო. ვარემოვებს იოსები ნალებში გაეზვია და მათ შორის უსიამოვნება ამმოგარდნილიყო, ჩვენებური კურობითა და იმის მიტან-მოტანით გაძლიერებული. ეს ამბავი პირველად თვით ელენე თარხნიშვილისაგან გავიგე. ჩემს დროს მისი სასახლე უკვე დამთავრებული იყო. პატრონი ქვედა სართულში ცხოვრობდა, ხოლო ზედა მას თვალითაც კი არ ენახა, რადგან გულის სისუსტე დასწამებოდა და თავს მუდმივ იდგამოქალაქების და, რომელიც ხშირ-ხშირად აწვდიდა წვეთებს, გული რომ შეუღონდებოდა ხოლმე. ერთიც ახლ-გაზრდა მღვდელი დადიოდა მასთან, ტოლსტოის იდეების მიმდევარი, სხვა-არავინ. რაკი ელენე თარხნიშვილმა ისე კარგად მიმიწო, გაეახსენე, რომ ნამყოფი ვიყავი მის სახლში, თბილისში, მისი ქალისა და იოსებ დადიანის ქორწილზე,

და ვკითხე, „ბაქოდან რა ამბავი მოგდრო ოსებისა და რა იცით თქვენი ქალების შესახებ-მეთქი?“ ამაზე გულამოსკენით შემასრულა: „ნ-ი-ი! Этот хитрый мингрелин хочет меня убиты, чтобы завладеть нашим имуществом!“ ამან გამაოცა და ეუთხარო, „თუ თქვენ ვა ამბავი მართლა გწამთ, ახლავე უკან უნდა წავიდე და ესაა-მეთქი; ოსებ დადიანი ჩემი სიყრმის ამხანაგია, ვინაზიხაიციცა და უნივერსიტეტშიც ერთად ვსწავლობდით და ვიცი, რომ ის ბუნსაც კი ვერ მოკლავს, არათუ ადამიანის სიკვდილი მოინდომოს ან მასში გაეროოს-მეთქი; პირადად მე ახლა მასთან მჭიდრო კავშირი აღარა მაქვს და ვემდური კიდევაც, რომ აღარა მნახულობს, მაგრამ რასაც თქვენა ბრძანებთ, ყოვლად დაუჯერებელი უორია და სწორედ ის ყოფილა თქვენი შტერი, ესაც ასეთი უორი მოუტანია თქვენთან-მეთქი!“ ატირდა, გადაიმეხ-იო და მაკოცა: „არ შემიძლია, თქვენ არ დავიჯეროთ და ღმერთმა ქნას, რომ ეგრე იყოს, როგორც ამბობთ!“ მერე აღარ გამოიშვეა, მთხოვა და ერთი სამ დღეს დაერჩი მასთან სტუმრად. მაშინ უკვე სამოც წელს მიღწეული იქნებოდა, მაგრამ თავისი ქებული სილამაზე კერ კიდევ შერჩენოდა. ჭირთულს შესანიშნავად ლამაზობდა, მაგრამ ხშირად ურედა რუსულს. სხვათაშორის, მკითხა: „Вы наверное, много сплетен слышали обо мне? ეტუბოდა, უნდოდა დავსწრო, რადგან თბლისში თავის დროზე მართლაც ბევრს ლამაზობდნენ მისი მშენიერებისა და, აგრეთვე, იმის შესახებ, თუ რა დაუზოგავად იყენებდა იგი ამ მშენიერებას. მე, მიუხედავ «Княгиня я сплетен никогда не слышу!» მეთქი, მერე დაწერილებით მოვუყვი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობისა და მისი მუშეუმის, ამ უქანასენელის განამდირებლად ჩემი მეცადინეობის ამბავი: ეუთხარო, ყველა ძველი ჭართული იჯახი ხალი-სით მაქლევს მუშეუმისათვის ნივთებსა და ხელნაწერებს და თქვენც არ უნდა დაიშროთ, თუკი რამე მოგეძვეებათ-მეთქი. ხოლო რომ ბევრი რამე მოგეძვეებოდა ამ მარტოდ მარტო დარჩენილსა და დასწეულებულ ქალს, აშკარა იყო: იმ ხელნაწერზე რომ აღარა ითქვას რა, რომლის ძენამაც მასთან მიმიყვანა, იქ ვნახე იმეორის მფეის სოლომონ პირველის ასულის (კონა ერისთავის დედის, ე. ი. თვით ელენეს ბებოის) სურათი, გერმანელი მხატვრის მიერ ფერადებით დახატული იმერეთში, XVIII საუკუნის მიწურულს. იმ მხატვრის სხვა სურათებიცაა შემორჩენილი (ერყველ მეორისა და რამდენიმე დიდებულის პორტრეტები) და მუზეუმში ინახება.

შაქრო მომადლაი



თეატრალური პორტრეტები

ვასო აბაშიძე

არავისთვის ახალი არ იქნება იმის თქმა, რომ ვასო აბაშიძე იყო ქართული თეატრის დიდი პატრიოტი, მან ბევრი პირადი სიხარული დათმო და მსხვერპლად მიიტანა ქართული თეატრის აყვავებისათვის. ქართველი ვრცელდრისეულად აფასებდა მის უანგარო ღვაწლს და მაღალ ნაჭიერებას, მისი ბუნებისგან, მისი იუმორული მთელი ერის ზეიმი და დღესასწაული იყო. ვაშაყობ იმიო, რომ მეც, ქართული თეატრის ერთ-ერთი მუშაკი, წილად მხვდა ბედნიერება მოვსწრებოდი მის მოღვაწეობას, ვყოფილყვავი მისი ერთ-ერთი მოწოდე. განა ჩემი შესხიერებუდიან ამოიშლება მის მიერ შესრულებული როლები: აკოფა („ხანუმა“), შმაგა („უდიანაშულო დამნაშავენი“), ავეტაქა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ვასტონი („პარიზის დარბ-ლატანი“), ბესო („ლალატი“), ორგონი („ტარტიფი“), საქო („მსხვერპლი“), კარახალდე („აღლემი“), ზომხომივი („აბუ“), ვიემოზე („ხათაბალა“), ტარას მშიერამე („არც აქეთ, არც იქეთ“), ლუკა ჯანგუხამე („რაც არ მერგება, არ შემერგება“) და სხვ.

მის მიერ ყოველი როლის შესრულება განუსაზღვრელ აღტაცებას და განცდიერებას იწვევდა ჩემში. რეალისტური უბრალოება, დიდი დამაჯერებლობა, სახის გამომეტყველება, ყოველი ქუსტი და ძალდუტანებლობა გეზიბულავდა ყველას. არ მახსოვს არც ერთ როლში თუნდა მცირედი რამ გადაჭარბება, რაც უხეველები არ არის კომიკური როლების შესრულებული ზოგეერთი მსახიობათვის. მის შესრულებას ყოველთვის ახასიათებდა ზომიერება და მხატვრული გემოვნება. რაროგ დიდერემილი და მოწუნელიც უნდა ყოფილიყვავიო, ვამოხნდებოდა თუ არა ეს სცენის ჯადოქარი, მაყურებელი ნეტარებას ვმლოვდა, ყველას სახეზე დიმილი უკრთოდა და ეს დიმილი ბოლოს სიცილ-ხარხარით თავდებოდა. საკვირველი იყო ვასოს კომიკური ნიჭი. იგი ვამოხნდა სცენაზე,

ჯერ კრინტი არ დაუძრავს, ხალხი ჯი იღრმება. მოგეხსენებათ, რომ კეწმარიტი მსახიობი კომიკურ როლს სეროიზულად უნდა თამაშობდეს, არ უნდა ცდილობდეს გააციოს ხალხი. როცა მსახიობი კომიკურ როლს სეროიზულად თამაშობს, როცა სცენაზე სიმართლით ცხოვრობს ხალხი უნებურად იციანს. ავილოთ მავალითად, ვ. ერისთავის პიესა „მუნწი“. ამ პიესაში კარაპეტ ლაბალოვს ტრაგედიულ სახეს ქმნიდა ვასო აბაშიძე. ხალხი ჯი იციანდა, რადგანაც კარაპეტას ტრაგედიო ხალხისათვის სასაცილო იყო. მას თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, — არასოდეს არ იტყვოდა, ესა და ეს როლი კარგად ვითამაშეო.

ჩემს შესხიერებაში ღრმად არის შთაბეჭდილი მის მიერ შესრულებული დამახასიათებელი ადგილები „აღლემში“. ამ პიესაში იგი ასრულებდა აფთიაქარ კარახალას როლს. რა უბრალოდ და დამაჯერებლად ამშობდა — „ვითარცა მე აფთიაქარი და სხვ“... ეს დამახასიათებელი ფრაზა ამ ტიპის მთლიან სახის შექმნისათვის, ვასო ამ სიტყვებს ყოველ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ინტონაციით და მრავალფეროვნებით წარმოთქვამდა, რითაც მაყურებლებში წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვასო ყოველ როლს რაღაც დამახასიათებელ შტრიხს მოუნახავდა ზოლმე და, როგორც იშვიათი მოქანდაკე, საუცხოოდ მერწოდდა მას. მაგონდება აგრეთვე ვოდვეილა „რაც არ მერგება, არ შემერგება“. იგი ასრულებდა ხანმოშველ მოარშივე პრაპორშიცი ლუკას როლს. აცრუნეყვებული, ფესმოგრებილი მისდევს კინიას (ელ. ჩერქეზიმიელი) და ამბობს ასეთ ფრაზას: „ქენინა დუხუ ნე ხეატაეტ!“ და შარტო ამ ერთი ფრაზითაც საუცხოოდ ახასიათებდა ამ ტიპს. ვასო აბაშიძის მიერ შესრულებული ტარასი მშიერამე ვოდვეილში „არც აქეთ, არც იქეთ“ ისეთი კლასიკური განსახიერება იყო, რომ ამ სახის ვამეორება ვერავინ ვერ მოახერხა ქართულ თეატრში. განსაკვირვებელი დამაჯერებლობით და დიდი მხატვრული ვემოვნებით განსახიერებდა ორგონის როლს მოლიერის პიესაში „ტარტიფი“. პირდაპირ

გებულათ რამდენიმე თავს ს.ს.ს.რ. სახალხო არტისტის შაქრო მომადლაის „მოგონებებიდან“.

გაკვირვებას იწვევდა, რა კონტრასტია ერთი მხრივ ჩვენივერ ქალაქად აკოფას და მეორე მხრივ ორგონის შორის. ეს ორი როლი დიდად განსხვავდება ერთმეორისაგან. ვასო აბაშიძე როგორც ერთს, ისე მეორეს მალალი ისტატობით განასახიერებდა, რაც ამტკიცებს იმას რომ ფიგ დანახული პერსონაჟის ორიველი ხლებოდა. ა. ისტატოუსის პიესისა „უღანაშვილი დანახაშვილი“ შინაგან ვასოს სავერგვენი როლი იყო. ვოგოლის უკუდავ „რევიზორში“ ვასო ხან გორდინიის როლს ასრულებდა, ხან კიდევ ხლესტაკოვისას. ამობენ ვასო საუცხოო გორდინიის იყო და ხლესტაკოვის როლსაც ისტატურად ასრულებდა. ამ მხრივ ვასო შეიძლება შევადაროთ აწ გარდაცვალებულ ნიჭიერ მსახიობს სახალხო არტისტს სტეპან კუზნეცოვს, რომელიც ორივე როლს ბრწყინვალედ ასრულებდა. ხლესტაკოვის როლია გამახსენა ერთი ეპაზოდი ვასოს ცხოვრებიდან, რაც შეიძლება ბუკარესტის უკვე ცნობილია, მაგრამ იმდენად დამახასიათებელია იმდროინდელი მსახიობის მდგომარეობისა, რომ საკვიროდ მიმართა ერთხელ კიდევ მოვავლო მკითხველს. ვასოს მონაწილეობით დანი თერმე საგასტროლად სილანოში გაემგზავრა. შემოსივალმა ვერ გაამართლა ხარჯები და სასტუმროს ელი დაელოთ. გამოგზავრებისას ვასო მივიდა სასტუმროს პატრონთან და უთხრა, მალე თბილისში ჩემი ბენეფისი იქნება, შეგატყობინებ, ჩამოდი, წარმოდგენაც ნახე და შენს ვალსაც გაიგანაღებო. ვასომ საბენეფისოდ დადვა „რევიზორი“. ასრულებდა ხლესტაკოვის როლს. სტუმარი დავსწრო და გამტკიცებით უყურებდა სპექტაკლს. ამ სცენამ, სადაც ხლესტაკოვი მოხუციებს ფულს ესესხება, დასტუეებს, სასტუმროს პატრონი მთლად გადარია. „არა, ძეო, ეს ჩემი ელის ვადაშხველი არ არის, ხედავთ, როგორ იტუეებს ამ ხალხსო“, წამოიძაბა და ისე დაბრუნდა სილანოში, რომ ვასოსთან მისვლაც ვეღარ გაბედა.

ვასო ოპერეტებშიც დიდი წარმატებით თამაშობდა. არაერთხელ მივლინა მონაწილეობა ოპერეტებში, რომლებიც ხშირად იდგებოდა პირთულ სცენაზე. მაგალითად „მეჯლისი იტალიელობით“, „ჩაინდი უშიშარი და გულმარტალი“, „შვენიერი ელენეს მაძიებელი“, „მასკობა“ და ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ ელაღან“. ყველა ამ ოპერეტში ვასოს ჩვეულებრივად დიდი წარმატება ჰქონდა.

სცენაზე დიდი კომედი, რომელიც სიცილის ტალღას ქნობდა პატეტრში, ცხოვრებაში საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი სხ-

ვის გამომეტყველება მუდამ სერიოზული ცოცხალი შეატყობდი, მზიარულ თუ მოწყვენილ გუნებაზე იყო. მოსწრებელი სიტყვის გამოყენების უყვარდა ოზუნჯობა, მაგრამ კინემატოგრაფის დროს თვითონ კი არ იცინოდა, მსმენელებს ხოცავდა სიცილით. ვასოს ხშირად იწვევდნენ მუშათა თეატრებში. ვის მოთელის რამდენჯერც უნაგაროდ და ხალისით მიუღია მონაწილეობა აქვალის აუდიტორიაში, ავღაბრის, ვერის და სხვა მუშათა თეატრებში.

უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, მსახიობებს უყვართ, როდესაც მათ მყურებლები გუნდურად უმეყვენ, ოკაციებს უმართვენ და დღუნის გვირგვინით ამკობენ, ვასო ამ შემთხვევაშიც ორიგინალური იყო მის, საერთოდ, არ უყვარდა, როდესაც პრესა ხობტას ასახმდა. თავის დასაყრავადაც იშვიათად გამოდიოდა და მაშინაც ბოლოში დადებოდა. როდესაც კი შეუტყობდა, რომ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ აღტაცებული მყურებლები გარეთ ელოდნენ შესაბევერად, უკანა კართი გაიპარებოდა ხოლმე.

კარგად მასოვს ასეთი შემთხვევა: 1917-18 წ. სეზონში ქ. ქუთაისში ვაშაობდით ალ. იშვილისთან და მის. ქორეისს ხელმძღვანელობით. ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ მიიწვია ვასო აბაშიძე საგასტროლოდ.

დავლებული მქონდა სადგურზე დავებდრიდი. მატარებელი ღამის ათ საათზე მოდიოდა ქუთაისში. იმ საღამოს მე არ ვიღებდი მონაწილეობას წარმოდგენაში. დიდი სიხარულით ევლოდი მის მსოვლს. დავებდი სადგურზე, ჩავსვი ეტლში და მივყავან თეატრში. წარმოდგენა დაწყებული იყო და შეუთავაზე, ხომ არ ისურვებდა წარმოდგენის ნახვას; დიდის სიამოვნებით ვნახე, მხოლოდ ისე შემოვიყენე, რომ არაინ დამინახოსო. მოქმედება დაწყებული იყო. ფეხაქრელით შეველით ლოგოში. კუთხეში დავადა მოფარებით. მოვლოდნელად გაიხსნა ტამის გრილი. ყველანი ლოგისაკენ იყურებოდნენ და ვიშას ძახილით მხურვალე ოვატია მოუწყეს. უნდა ვენახათ, როგორ მისაყვედურა: „აჯან, ეს რა მიყავი, აღბათ შენ გააგებინე, თორემ საიდან დამინახესო“. ძალიან ვამართლებდი თავს, მაგრამ მაინც დარწმუნებული იყო, რომ მე მოვუწყე, სამი-ათხი დღის განმავლობაში სულ იმას იმეორებდა, ჯერ სცენაზე არ გამოუსვლიყოფ, წარმოდგენაში არ ვენახე ხალხს და უხეატულ მდგომარეობაში ჩამაყენესო. მის გასტროლებს ქუთაისში დიდი წარმატება ჰქონდა.

ლადო მესხიშვილი

1909-10 წ. სეზონია პირთულ თეატრში. მე ხომ ამ სეზონში ჩამრიცხეს დასში მსახიობად. სულ რამდენიმე თვის შემდეგ, ერთ დღეს,

თეატრში რომ მივედი რეპერტოიაზე, ჩემმა მეგობარმა მსახიობმა დ. მგალობლიშვილმა მახარა, — შენ იცი, რომ ხვალ ლადო მესხი-

შვილი მოდის საქართველოში? ჩვენს წარმოდგენებშიც მიიღებს მონაწილეობას! რა თქმა უნდა, ეს ამბავი ყველასათვის სასიხარულო იყო, მაგრამ ჩემთვის ხომ განსაკუთრებით, რადგან პარველად შეღრმავებულა მისი ახლო გაცნობა. ლადო სცენაზე პირველად ენახე 1908 წელს, როდესაც იგი თავისი დასით ქუთაისიდან თბილისს ესტუმრა საგასტროლოდ. წარმოდგენები იმართებოდა დღევანდელ რუსთაველის სახელობის თეატრში, რეპერტუარში ჰქონდათ: „ისმინე ისრაელი“, „განათხულების ნაღვარი“ კობორცისოვისა, „საქმის კაც“ და სხვ. ამ გასტროლებმა და მისმა ნახებმა გამოაცხადა. წარმწეველი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მისმა ნიჟმა და შემოქმედებამ. ეს სულ სხვა მოვლენა იყო ქართულ თეატრში, სულ სხვა ფიგურა. ხომ ცნობილია, რომ შან პარველმა გადმოიტანა და დაამკვიდრა ქართულ სცენაზე გერმანული კლასიკური რეპერტორი, მან პირველმა განასახიერა პამლეტი, ურდო აკოსტა, ფრანც შოორი და სხვ. და ახლა არათუ ენახავდი შან მაღალი ოსტატობით განსახიერებულ როლებში, არამედ შეიძლება მისი პირველობა მღერისებოდა.

თი მოვეწყარო ბედნიერ დღეს — მოვიდა ქართულ თეატრში და შემოაწათა ამ საყვირველო სოლამზისა და სათნო სახის აღაშინა. იგი დაჯილდოებული იყო იშვიათი სიღამაზით და მიმზიდველობით. მისი თვალები, ვადატყეოლა შეზღო, უკან გადავარცხნილი, ოდნავ შექალაქავეებული თმა, პლასტიკური სიარული, მოძრაობა — უოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. რა სიხარული, რა საზეიმო განწყობილება შექმნა მისმა დანახებამ. სიხარულის ცრემლები მოაღვა ყველას თვალზე.

უწინარეს ყოვლისა მოგვიკითხა ახალგაზრდობა, გვესაუბრა. რა თქმა უნდა, მის დაბრუნებას ქართულ სცენაზე სულ სხვა ატმოსფერო შემოქონდა. ასეც მოხდა, მთელი საქმიანობა გადახალისდა, ყველა აღფრთოვანებული იყო და მუშაობასაც დაეტყო ხალისი. განსაკუთრებით ეს ვმჩნეოდა ქართული თეატრის დიდი მოამაგვს და გუშავს ვალ. გუნაის. პირველი მისი გასტროლი დაწყდა პიესით „შეშლილი“, რომელშიც ის ასრულებდა პარლეივის როლს. მე ამ პიესაში როლი არა შექონდა და მავურებელი ვიყავი. დაღვა წარმოდგენის დღე-პარტეის ვარ და საზოგადოებასთან ერთად რაღაც ჩემთვის უჩვეულო განწყობილებაში ვიყოფივები. დარბაზი ვაქედელია ხალხით. ყველა ჩვეულებრივად ადრე იკავებს ადგილს, სულგანებული ელოდება ფარდის აწევის და საუკრადო მსახიობის სცენაზე გამოჩენას. თი გამოჩნდა მსახიობი, ტამის გრიალი, დაუსრულებელი შემახილები — „ეჰეჰე“, ხანგრძლივი ოვაცია. ლადო ვაჩრებუელი თაქდახრილი და კარგაბანს არ ეძლევა საშუალება დაიწყოს რა-

ლი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის უჩვეულო მოვლენა არ იყო, მაინც განიცდიდა მღერევატებას, როგორც იყო, მუყყნარდაქი მარტერი, და დაწყო მოქმედება. თვალს არ ვაშორებ ყოველ მის მოძრაობას, დაძაბული ვესმის ყოველ მის სიტყვას. რას ვგატყობდი, რას განვიცდიდი, ამის გამოთქმა სიტყვით არ ძალმიძს. მხოლოდ არ დამაოწმებდა ის ალტაცება და აღფრთოვანება, რომლითაც შეპყრობილი იყო საზოგადოება. ყოველ ანტრაქტში ხან ერთი და ხან მეორე ყვებუთის შეფასებას ვისმენდი და ყველგან მესმოდა: „დღეს განსაკუთრებით ძლიერია, შეუდარებელიაო“. პიესა დასრულდა და გამომძებებს და ოვაციას დასასრული არ ჰქონდა. ამ საღამომ იუბილუს ხასიათი მიიღო. ამოვიდნენ სცენაზე მისი ნაცნობები, თავყინისმცემენი და სიხარულით ულოცავდნენ სამშობლოში დაბრუნებას. გარეთაც ხომ აუარებელი ხალხი ელოდა, რომ კიდევ ენახა თავისი სათაყვანებელი მსახიობი. სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩემი იმედი. არ დამცალდა, რომ ხანგრძლივად მემუშავდა მისი ხელმძღვანელობით. ვანწილებული იყო პიესა „მარგარიტა გოტიე“, რომელშიც მე უნდა შეთამაშა ვუსტაციის როლი. რეპეტიციებსაც ვადიდიდი მისი რეცისობაზით და თი რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ იყო, რომ დამაბატირებს.

როდესაც ლადო შეიკყო ჩემი დაბატირება, კ. ანდრონიკაშვილისთვის დაეყალბებინა მისულიყო მამაჩემთან და დაწყობილებით ვაგვო ჩემი ამბავი. საწყალ მამარქმს ენახა ლადო, ავიხსნა ჩემი უმწყო მდგომარეობა, ლადოს დავმშვიდებინა, როგორც კი გამოვა ციხიდან, მას კვლავ ეგნება ადგარი ჩვენს თეატრშიო. ასეც მოხდა. ციხეში გამოვიგზავნა პატარა წყარლი, რომელშიც მანუეშებდა, მაიმედებდა, მამხნევებდა, აღმოთქემდა, რომ კვლავ მასთან ვიმუშაევბდი. და მართლაც, 1913 წელს, ციხიდან ჩემი განთავისუფლებისთანავე, სულ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ჩარიცხული ვიქმნა ქართულ დრამატულ დასში.

რა უნდა ეთქვა ამ იშვიათ მსახიობზე! ვანა შემწვებს ძალა, რომ ღირსეულად შევაფასო მისი შემოქმედება? მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს შემოქმედება, მის მიერ ყოველი როლის შესრულება მთელი სკოლა იყო ჩვეულის, ახალგაზრდებისათვის. თეთონაც ხომ თავდადებული იყო ახალგაზრდების გამოვლინებისა და მათი წინსვლისათვის. რა განსაკუთრებული მამობრივი მზრუნველობით დაგვტრიალებდა თავს, როგორი მონღომეობით ცდილობდა ყველა ჩვენგანის დაწინაურებას! თუ კი დაატყობდა რომელიმე ახალგაზრდას, რომ იგი სცენისათვის საჭირო ძალა შეიქმნებოდა, ასეთ ახალგაზრდას თავისი მზრუნველობის ქვეშ აიყვანდა, ცალკე ასწავილიდა, ამეცადინებდა და უნერგავდა პროფესიონალიზმს. არც ცხოვრებაში ვვტრეებდა უფრადლებოდ. ვეტისმეტად

თავდაბალი, თავზიანი იყო. ყველას თავის პატარა აწინაგად და მეგობრად ვეთვლიდა და ხშირად ჩვენთან ერთად პერმარისაც იზიარებდა. ავიღოთ ასეთი მგავალით: ერთ დღეს, რეპეტიციის შემდეგ ა. ზარდალიშვილი, დ. მგალობლიშვილი, ნ. გვარამია, ა. გვიჭიჭი დაპატივად სადილად. წარმოიდგინეთ, მეც, მათში ყველაზე ახალგაზრდა არ დამივიწყა და პირადად ღამილით ასე მომპარათა, — შეიღო, ჩვენ დღეს ერთად უნდა ვისადილოთო, მართლაც გაგვიძლვა და შეგვიყვანა ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში „რომში“, რომელიც ახლანდელი წულუკაძის ქუჩის კუთხეში იყო. რა მზიარულ განწყობლებაში იყო, როგორ უზაროდა, რომ ახალგაზრდებს გვესამოიყენებდა. მართალია ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ კარგად მესმოდა, თუ რას ვეღირსე და ვისთან ვიყავი სუფრამზე. განა საქმეო ან სასმელო მახსოვდა, მის ყოველ სიტყვას ვიპყრდი, მისი საუბრით ვტკბებოდი. ეს შემამჩნია და მითხრა, „შვილო, შენ თუ მარტო მე მიგდებ უფრო და მიყურებ, მშვიდრი დარჩება და შენე დამემდურებო“.

კიდევ ერთი ეპიზოდი: ქართულ კლუბში მოწყობილი იყო საქველმოქმედო საღამო. აქართველთა საზოგადოება დაესწრო განსაკუთ-

რებით ბევრი იყო მოხდენილი, ღამაში, საუკეთესოდ გამოწვობილი ახალგაზრდობა, რადგან ამ საღამოს უნდა გაცემულიყო საქმიანების ჯილდო. მრავალმა გასართობმა, საუცხოოდ მართლმად ბალმა, ლატარია-ალეგრიმ, წარმოადგინა კონცერტმა ზღვა ხალხი მოზიდა. ამ საღამოში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი თეატრის მსახიობებიც. კომისია (ციური) შეუდგა გადაწყვეტას, თუ ვისთვის მიეცათ სიღამაზის ჯილდო. და ასე 2 საათის შემდეგ ბალში გაიმართა ღალა მესხიშვილი. რუბი ფერის ტან-საცმელში გამოწყობილი, შევერცხლდი თმით, თვალები უბრწყინავს, ოდნავ იღიმება, ყველა-ნი მას აპყრობენ თვალს, არავეისთვის შეუშენეველი არ დარჩა, ყველა ესალმება და თითონაც საღამოთ უბასტებებს თავისი მშვენიერი ღიმილით და თავზიანობით, და აი შეიქმნა დიოქსა-მოთქმა: რა საკუროთა ყოყმანი და მსჯელობა, ვის უნდა ერგოს ჯილდო, თუ არა ამ კლასიკური სიღამაზის მქონე ღალის. და მართლაც კომისიამ (ციური) მას მიაცუთვნა ეს ჯილდო. რა აღტაცება, რა სიმზიარულე გაიმოიწია ამ შემთხვევაში. მშვენიერ ბრწყინვალე საღამოს უფრო მეტი ეღვრება მისცა ამ უჩვეულო ამბავმა.

ვახუტრიან გუნია

აი ვინ შემადგმევინა ფეხი ქართულ სცენაზე. იგი იყო ჩემი მასწავლებელიც, მამაც და უფროსი მეგობარიც. და განა მარტო ჩემში რამდენა სხვა ახალგაზრდა შეუფარებია თავის კალთის ქვეშ, რამდენი დაუწინაურებია და კაცად გაუხდია. ამავე დროს იგი უღმრთელიც იყო. არავის არ აპატივდებდა მეტად დანაშაულისაც კი, რომელიც ზირსს ტყებდა ქართული მსახიობის სახელს. უღმრთელი იყო იმათდამი, ვინც ქართულ თეატრს სათანადო სიყვარულითა და სიფაქიზით არ ემსახურებოდა. იყო დიდი პატრიოტი და მოსიყვარულე თავისი ერისა, მუდმივად გუშავად იღგა ქართული თეატრის სადარჯოზე. დაუღვევი ნერვების პატრონი, დაუღალავი. მან არ იცოდა, რა არის დასვენება. ქართული თეატრის გარდა რომელ საზოგადოებრივ საქმიანობაში არ იღებდა მონაწილეობას: საკუთარი ყურნალის გამოცემული, სტამბის დამარსებელი, კალნდარის ავტორი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთი მოღვაწეთაგანი, პუბლიცისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, რეჟისორი, მსახიობი, საუკეთესო ორგანიზატორული უნარის მქონე. ვინ მოთვალის რა საქმე არ გამოსთხოვდა ხელოდან. სუფრას ღამაში, საუცხოო თამადა, მშვერმეტყველი ორატორი, მკვიანი, მოფიქრებული, ყოველთვის მტკიცე და სერიოზული, ამავე დროს მეტად სიმპათიური, საუკეთესო მოსაუბრე, მომღზენი და მოსწრებელი, მახვილსატყვიანი, უმწიველო, პატრონუებით აღსა-

ვსე პიროვნება. არავითარი ანგარება და პირადი სარგებლიანობა მას აზრადაც არ მოსვლია თავის სიციცხლეში. რომ შემკალოს მისი მოღვაწეობის და ყველა მისი თვისებების სათანადოდ შეფასება და აღწერა ამას მთელი ტომები დასჯირდებოდა. მაგრამ მე ეს მიზნდაც არა მაქვს დასახელი. მე ამ წერილში მინდა გავიხსენო ჩემი მეშაობის ას მომენტები, როდესაც უშუალოდ მასთან მიხდებოდა ყოფნა. როგორც მწერალი-დრამატურგი, ხომ მხსნელი იყო ქართული თეატრისა. იყო სეზონი, როდესაც მთელი რეპერტუარის ერთი მესამედი, თუ მეტი არა, მის კალამს ეკუთვნოდა. მისი პიესები: „და-მამა“, „ორი გმირი“, „ციხის საიდუმლო“, „არც აქეთ, არც იქით“, „სიძე-სიმამარი“, „აღლემი“, და მრავალი სხვა — საკუთარი, გადმოკეთებული თუ თარგმნილი, მრავალი სეზონის განმავლობაში ასაზრდოებდა, როგორც თბილისისა და ქუთაისის, ისე პერიფერიის თეატრებს, სახალხო საზღებსა და მუშათა კლუბებს. მაშინ ხომ არავითარი პირობარი არ ეძლეოდათ ავტორებს, მარტო ესეც კმარა იმის აღსანიშნავად, თუ რა დიდი, ფასდაუღებელი ამავე სახდო ქართული თეატრის არსებობას და მის წინსვლა-წარმატებას.

როგორც მსახიობი — საუცხოო ზავერდოვანი ხმის მქონე, ახოვანი, კარგი მხარ-ბეჭიანი, ძლიერი ტემპერამენტით დაჯილდოებული, სიმპათიური სახისა. მის მიერ განსახიერებულ როლებს: ოტელი-

გრაფი ტრასტი („პატიოსნება“), მეფე ლიონი („მეფე ლიონი“), პოზიაროვი („მსხვერპლი მსხვერპლსათვის“), სარდალი („ცხის საიდუმლო“), გენერალი ჯანრიბაძე („აღლემი“), ბერსენევი („არღვევა“), ადამია, („ადამია“), მიკია („მანუშა“), მეფე („სინათლე“), ლეიან („სამეგრელოს მთავარი ლეიანი“), კრეონი („ანტაგონა“), პეტრონიუსი („ავიღრე ზვალ უფლო“), სკალოზუმი („ვია პეტისაგან“), ბალავინი („უნებდური ნაბიჯი“), სერგეი („გაზაფხულის ნიაღვარი“), მამა („დაარღვეული კერა“), არჩილი („მეგობრობა“), მეფოვე („გადამტრიალი მუხა“), ზიზო („სიამო-სიამოში“), შამ-აბასი („სამშობლო“), დაკიდვე მრავალი მის მიერ დიდი გემოვნებით და ისტატობით შესრულებული როლი იმის მანქანებელია, თუ რა მრავალფეროვანი მსახიობი იყო. ის არ უფერებდა იმას, დიდი როლი იყო თუ პატარა, ზნორი მასში, უსიტყვო როლებში გამოდიოდა წარმოდგენის წარმატების მისაღწევად და ახალგაზრდობისათვის მგავლითის მისაცემად. სულ ორიოდ სიტუვა აქვს მეფოვეს („გადამტრიალი მუხა“), და ამით ბერსონავს ისე განასახიერებდა, რომ ვისაც იგი არ როლი უნახავს, მედამ ბრწყინვალე სურათით იქნება ჩარჩენილი მის შესახებში. და საბოლოოდ მთელი თავისი სცენერა, აქტიორული მოღვაწეობა დააგვიჩვენა „ლატ-ში“ ოთარბეგის როლის შესრულებით, თუ კი რომელიმე დიდ მსახიობს რაიმე როლი შეუსრულებია ქართულ სცენაზე დიდი ნიჭიერ-

ბით, და ამით აქტიორული შემოქმედების უმაღლესა წერტილისათვის მიუღწევია, ეს იქმის ვალ. გუნიას მიერ ოთარბეგის როლის შესრულების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ყოველ მის სულიერ მღელვარებას, ტანჯვას, ზიზლს მტარვალბისადმი, ძლიერებას, რასაც იგი სცენაზე განიცდიდა მასთანვე ერთად განიცდიდა მაყურებელი და მთელი პიესის მანძილზე შებოძლი იყო მისი ზემოქმედებით. ოთარბეგი — ვალ. გუნია, ზეინაბი — ნინო ჩხეიძე, ანანია — კ. ყიფიანი, ვ. გამყრელიძე, გ. იშხნელი, ზესი — ვ. აბაშიძე, დათო — ა. იმედაშვილი, ერეკლე — დავით ჩარკვიანი და სხვ. ამ პიარა მიერ განსახიერებულ პიესა „ლატ-ში“ ქართული თეატრის ბრწყინვალეობის და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა დიდების აღსანიშნავი დღესასწაულის განსახიერება იყო. და ასევე აღვივალ წარმოსადგენია, რა აღზრდებლობით გაიღვის მომდენი იყო და პატრიოტულ გრძობას აღვივებდა ჩვენს ახალთაში და რაზმავდა მის მტერთან ბრძოლისათვის.

ცხოვრებაში კეთილშობილი, დარბაისელი და ამავე დროს უბრალოც, მიუხედავად იმისა, რომ გარეგანი შეხედულებით იწყევდა მისადმი მორიდებას, მოკრძალებას, თვითონ თავისი ბუნებით და ხასიათით, პირიქით, დიდად თავმდაბალი. და როგორც დიდებთან ისე ჩვენიან ახალგაზრდა მსახიობებთან, გულთბილი, კეთილი და მგრძობიარე აღამიანი იყო.

ვაღერიან შალიაშვილი

ბედმა წილად მარგენა ჩემი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ისეთი დიდი მსახიობების პარტნიორი ყუთილუყავი, როგორც იყვნენ ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, ლადო შესხიშვილი, კოტე შესხი, ვაღერიან გუნია და სხვა დიდი მსახიობი. ლადო უფავოდ დიდი რეჟისორიც იყო. ბევრი ახალგაზრდა ლაღის მეოხებით დაოსტრტა და დაეფლა სცენის ტიქნიკას. მაგრამ ლადო მიიწი ისეთი რეჟისორი იყო რომ უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მხოლოდ მოქმედ პარათა შინაგანი საწყაროს გამოვლინებას. როგორი იყო დეკორაცია, შეეფერებოდა იგი ეპოქას თუ არა, ძველად მას ყურადღებას არ აქცევდნენ. იმ დროს ერთსა და იმავე დეკორაციაში დგამდნენ შექპობის „სამლტს“ და გუცოვის „უჩიელ აკოსტას“. მასობრივ სცენებს ზომი თითქმის ყურადღება არ ექცეოდა და ერთი რებეტციით გამოყავდათ სცენაზე სახელდახელოდ ქქნაში მოკრეფილი თანამშრომლები, რომლებსაც წინათ სტატისტებს უწოდებდნენ. ვანა არ იყოდა ლადო რომ პიესა მამინ იქნება სრულყოფილად წარმოდგენილი, თუ დეკორაციები ეპოქის შესატყვი-სია, მანა ნამდილად მოქმედებს სცენაზე. მაგრამ თუ ლადო ურიგდებოდა სახელდახე-

ლოდ დადგმულ პიესებში გამოსვლას, სხვა გზა არ იყო. სულ ქქონდა ქართულ თეატრს იმდენი სახსრები, რომ თვითთელი პიესა თვეობით ეშვადებინათ და მასობრივ სცენების მო-ნაწილად 10-13 რებეტციას ქქონდათ. მაგრამ ცხოვრება ერთ წერტილზე ზომ არ იყინებოდა, დღის წესრიგში დაისვა საქმის ახლებურიც წყვიანის, რეჟისორის წინა პლანზე წამოწვევის საკითხი. ჩვენშიც გაჩნდნენ მოსკოვის სამატრ-ერთ თეატრის პრინციპების მიმდევარნი, გან-დნენ სპეციალისტი რეჟისორები, რომელთა შორას პირველობა ეკუთვნოდა ვაღერიან შალიაშვილს. დიდი შთაბეჭდილება დატოვა შალიაშვილზე ვაღერიან შალიაშვილის მიერ დადგმულმა იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლმა“. ძველ თეატრში ჩვეულებრივად პიესა ასე მზადდებოდა: ორშაბათს შეიკრებოდნენ პიესაში მონაწილე მსახიობნი. სუფლიორი წაეყვითხებდა პიესას, იქვე ზდებოდა როლე-ბის განაწილება. მეორე დღეს, ზოჯად კი იმავე დღესაც უკვე რებეტცია იწყებოდა, და კვირას ან შაბათს პრემიერა მზად იყო. ასე სახელდახელოდ შეითბინო სპეციალს თუ წარმატება ქქონდა, ეს იმიტომ, რომ მასში ისეთი მსახიობები იღებდნენ მონაწილეობას,

როგორც იყვნენ აბაშიძე, მესხიშვილი და სხვ. როცა ლაღო მესხიშვილი თამაშობდა მამინ მამურებულს არ აგონდებოდა დეკორაციების კედლების ქანობა, მასას მანქანებით სიარული. მაგრამ თეატრში იყვნენ ისეთი მამურებლებიც, რომლებსაც ენახათ სამხატვრო თეატრის სპექტაკლები, მისი მტკიცე ანსამბლი და, ცხადია, ჩვენი წარმოდგენები ვეღარ დააკმაყოფილებდათ. და ამ შალიკაშვილი ჰქვია ზელს ა. გედევანიშვილის „მსხვერპლს“. მზადება დიდხანს გაგრძელდა. რეჟისორი გაემგზავრა და გაეცნო ქართლის სოფლების ვითარებას. მოქმედება ხდებოდა ქართლში. დიხატა ახალი დეკორაციები, მასა სიუცხოოდ იყო მომზადებული, როლები ხომ იშვით ოსტატებს ჰქონდათ დაკისრებული: ვასო აბაშიძეს (საქო), გიორგი არაღელიშნელს (ვიგო), ნინო დავითაშვილს (ნატო), ვიქტორ გამყრელიძეს (ვახო), ალ. იმედაშვილს (ვანო). სპექტაკლს ისეთი მოწონება ჰქონდა, ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომ ზედისევე რამდენჯერმე დაიდგა და დარბაზი ყოველთვის სავსე იყო. ამ პერიოდში ერთ სეზონში პიესის მეორედ დადგმა უკვე დიდი მიღწევა იყო და თუ ერთ სეზონში რვაჯერ დაიდგებოდა პიესა, ეს უკვე არნახული ამბავი გახლდათ. შალიკაშვილის მიერ დადგმული „სინათლე“ ერთ სეზონში ოცჯერ გამოვიტარეს. ამ მხრივ ვალერიან შალიკაშვილს როგორც რეჟისორს ბადალი არა ჰყავდა. მაგრამ ის მარტო რეჟისორი როლი იყო, მარტო პიესების დადგმით როლი იტყვევდა ყურადღებას, ის ამავე დროს შესანიშნავი მსახიობიც იყო. მის მიერ შექმნილი სახეები, მავალითად, დარისპანისა დიდი კლდიაშვილის „დარისპანის გასაქარში“ — კლასიკური ქმნილება იყო. პირველმა ვალერიან შალიკაშვილმა აიყვანა ეს კომედია ტრაგედიალურ მწვერვალზე. სასაცილო იყო დარისპანი და თანაც მეტად საბრალო, სოფელსოფელ რომ დადეს და ცდილობს

თავისი კაროენა გაასაღოს, ვისმე მიიხეჩოს, რა ქნას დარისპანმა, გაჭირვებულად წყევლებზე ფეხს იდგამს და ჩაბერებულად მძვინვარეობს გაუთხოვებია. რამდენჯერ თითქოს საქმე საქმეზე მიიყვანა და ყველგან პირში ჩალაგებულეზული რჩებოდა. როცა უფრებდით სწყყალ დარისპანს, სიცილს ვერ იკავებდით, ხოლო ამავე დროს ამ სიცილში რამდენი ცრემლი, რამდენი მწუხარება იყო. დიდ კომიკურ ნიჭთან ერთად ტრაგიკული ნიჭითაც იყო დაჯილდოებული ვალერიან შალიკაშვილი. ვანა დავიწყებას მივცემა „ისმინე ისრაელში“ მის მიერ შესრულებული როლი ან დე-სალო აეროელ აქოსტაში“. ვინ იცის კიდევ რამდენი სახისათვის შთაუბერია სული ამ დიდად ნიჭიერ მსახიობს. ამბობდნენ, რომ ვიდრე თეატრში მოვიდოდა, ფუქსავატ ცხოვრებას ატარებდა, ვენატე ნინოშვილის ტარიელ მკლავაქეს ემსგავსებოდაო. ზოგა იქამდისაც მიდიოდა, რომ ამბობდა, თითქოს ვენატე ნინოშვილს შალიკაშვილა ყავდა მხედველობაში. როცა „ჩვენი ქვეყნის რაინდსა“ წერდით არ ვიცი, ამ ლეგენდას რაიმე საფუძველი ჰქონდა თუ არა. ეს კი ნათელი იყო ჩემთვის რომ ისეთ თავმდაბალ, ასეთ ფაქიზ, ასეთ ზრდილობიან ადამიანს არ შეეხებდრიოვარ, რამდენი დახმარება აღმოუჩენია მას ჩვენთვის, ახალგაზრდა მსახიობთათვის, როგორ აღინათებოდა ხოლმე, თუ მის მიერ დასახულ გეგმას ცოტად თუ ბევრად სისწორით ვახორციელებდით. რამდენი შრომა და ჯაფა გასწია და თავისა ძალღონე შეიღია მისთვის და ჩვენთვის ყველასათვის საყვარელ თეატრს. უყვარდა შალიკაშვილს თავისი ქვეყანა, იღწყოდა მისთვის, მის ბედნიერებას შენატროდა და ამიტომაც ჩვენ ყველას გული დაგვეწყვიტა მისმა უღრმოოდ გარდაცვალებამ. 41 წლისა არც კი იყო, რომ სიციცხლეს გამოეცალა ჩვენი საყვარელი ვალიკო.



ტიციან ტაბიძის წერილები



ტიციან ტაბიძის „წერილებისა და ნარკვევების“ კრებულის გამოცემა დიდი მნიშვნელობისაა ამ გამოჩენილი ჭაბუკის პეტრის ლიტერატურული შექმედებების გაეცნობისა და შესწავლის თვალსაზრისით.

ეს კრებული მკითხველს საშუალებას მისცემს წარმოადგინა იქონიოს ტიციან ტაბიძეზე, როგორც კრიტიკოსსა და ლიტერატურისმოყვარეზე და, აგრეთვე, ნარკვევების ავტორზე. ამ კრებულში მოთავსებული წერილები და ნარკვევები ნათელყოფენ ავტორის მაღალ გემოვნებას, განსწავლულობას, დაკვირვებულ თვალს, გრდობისა და კვლევადობის უნარს. ტ. ტაბიძეს პირველად აქვს გამოთქმული მრავალი საგულისხმო დებულება თუ მოსაზრება, რაც შემდეგ გაიზარა ლიტერატურის ისტორიამ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა კრებულში მოთავსებული მრავალი წერილი. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნება ვაჟა-ფშაველას შესახებ გამოქვეყნებული ორი წერილის შესახებ. ეს წერილები პეტრის მიერ დაწერილია ამ ოცდაათი წლის წინადად.

ტ. ტაბიძის მართებული თქმით, ვაჟა-ფშაველამ მკითხველს გადაუშალა ახალი სამყარო, თავისებური მომჭმედი პირებით, რომელთა უზრაველსობას ამაღლებული შოკალი გააჩნია. ვაჟა-ფშაველა ეყრდნობოდა ცინცხალ ხალხურ შემოქმედებასა და მის ფესვებს. ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში მძლავრად არის გამოხატული ორი მოტივი — ეროვნული და სოციალური. მის ნაწარმოებებში მოსიანს იმდროინდელი სოფელი მთელ თავისი სოციალური წინააღმდეგობებით. „ეს ხალხის ბედი ატარებს და ხალხის ტანჯვა სტანჯავს; მან იცის სოციალური უთანასწორობისა და უკულმართობის ფესვები და მთელი თავისი სიმპათიით დაიჯერულთა მხარეზეა. ნათლად ჩანს მისი საზოგადოებრივი იდეალი, რაც აყენებს მას სხვა ქართველი მწერლების გვერდით, რომელთა ცხოვრება და მწერლობის მიზანი იყო მშრომელი ხალხის სიყვარული და გამოქონება“ (გვ. 23). მანამდე ეს მხარე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისა ასე შეაფიქროდ და ხაზგასმით არავის აღუნიშნავს.

ტ. ტაბიძე სავანეებით ეხება ზოგიერთ იმ გუგუბრობას, რომელიც ვაჟა-ფშაველას გარშემო შეიქმნა. ასეთად მიიჩნია მას ლეგენდა ვაჟა-ფშა-

ველას სიმბოლისტობის შესახებ. მისი თქმით, „შეუძლებელია ვაჟის დეკადენტურ ვადაზრებულაარაკი“ (გვ. 19). ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად გამოცხადება უფრო მეტად ანალიტიკების ანერციას მოეწონება. „საზოგადოდ მისტიციზმი დამახასიათებელი თვისებაა სიმბოლისტის, მაგრამ ვაჟა-ფშაველა სწორედ ამის დამამტკიცებელია, რომ მისტიციზმი არ არის ქართული მწერლობის თანდაყოლილი თვისება; ვაჟა-ფშაველას აზროვნება მთლიანად ეწინააღმდეგება მისტიციზმს“ (გვ. 20). ტ. ტაბიძე სავანებით დამაჯერებლად უარყოფს ვაჟა-ფშაველას კავშირს სიმბოლისტთან, მის სიმბოლისტობას. ვაჟა წერის მანერით რეალისტი. ეს განსაყუთებებით ითქმება მისი პროზის შესახებ. ვაჟა-ფშაველას პროზა კიდევ მეტივეს შევლევარს, და, ეს შევლევარი ადვილად დაამტკიცებს, რომ სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ პროზის ასეთი ოსტატი არ ყოილა ქართულ ლიტერატურასო! ასეცნის ტ. ტაბიძე. მისი პროზის სტილი გამართული და დახვეწილია. ამ პროზის სტილი ღიბხანს დარჩება ქართულ ლიტერატურაში, როგორც სინიმფიო და ბრწყინვალე.

ვაჟა-ფშაველას დიდ დამსახურებად მითვლება ის, რომ მან განავითარა ეპიური პოეზია. ქართული ეპოსის საუკეთესო ნაწარმოებებად ჩაითვლებიან მისი პოემები. „აქ ჩვენ ვაჟა-ფშაველამ გადაგვიშალა უზარმაზარი უცნობი სამყარო, რომელიც საესვა ხალხური ფანტაზიის დევეგირებით. ეს სამყარო საესვა კოლიზიებით, რადგან სინამდვილე ებრძვის ადამს, ჩვეულებას და ტრადიციას, და აქედან იბადება დრამა, სწორად ქრანტელის მომგვრელი; მთაში ვეკიკობა და გმირობა კეთილშობილურია, გმირი უნდა იცავდეს სიმართლეს და თავისი გმირობა უნდა სკადოს მტრებთან პატიოსან იმში, როცა იცავს თავის სახლსა და კარს, თავის ოჯახსა და ადგილის დღესა“ (გვ. 25).

ვაჟა-ფშაველა ბუნების დიდი მესაიდუმლეა. მაგრამ ბუნება მისთვის არ არის უსულო არსება. ბუნებაში მთელი სიცოცხლეა გამოვლენილი. ამიტომ „პანთეისტური პოეზია ვერ დასახლებულა უცუთეს პოეტს, რომელსაც გამოცევა ეს შინაგანი გრძობა ბუნებისა და ადამიანის თანყოფისა“ (გვ. 25 — 26). ამის დამადასტურებლად ტ. ტაბიძე ასახელებს „მაბტრიონის“ პროლოგს, რომელსაც იგი შედევრისა და კოსმოგონიურ პიქნს უწოდებს.

ვაჟა-ფშაველას პოეზია შედუღებულია ხალ-

ტ. ტაბიძე „წერილები, ნარკვევები“. გამ. „საბჭოთა მწერალი“, 1957 წ. წიგნი შეადგინა შ. დემეტრაძემ. რედაქტორი გ. მარჯველაშვილი.

ხერ ლექსთა წყობასთან, ხალხურ ენასთან. იგი შეგნებულად მიმართავს ხალხურ მოტავს და ხალხურ ლექსთა წყობასა და სიტყვებს, მას „ისეთი საიდუმლო აქვს ქართული სიტყვისა, რომელიც გამოუცნობად იმალება ხალხში და რაც ვეამ ინტელიციით იგრძნო და შეითვისა, ეს აძლევს ვეას ლექსს მართლაც „ნაკვედის სიმტკიცეს“ (გვ. 23). ეს იყო ვეა-ფშაველას პოეტური გზა და დამსახურება.

ტ. ტაბიძემ საგანგებო წერალო მიუძღვნა დავით გურამიშვილსა და ვეა-ფშაველას ურთიერთობას. ტ. ტაბიძეს დ. გურამიშვილი შიანია ვეა-ფშაველას წინამორბედი, წინაპრად. ეს არსებითი ხასიათის მართებული მინიშნება იყო, რაც სავსებით გაიზარეს შემდეგ შეკლევარებმა.

რასაკვირველია, ამ წერალოში არის საღაო მოსაზრებებიც. მავალითად, ჩვენ მთლად მართებულად არ მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს აკაცი წერეთელი სავსებით უარყოფდა ვეა-ფშაველას შემოქმედებას. ცნობაა, რომ ა. წერეთელი ახასიათებდა რა ვეა-ფშაველას ნაწარმოებებს, წერდა: „ვეა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, ერთი უკეთესთაგანია ჩვენს მწერლობაში. წერალოში ლექსები, რჯგორც საკეთრად ვეასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი საზოგადოთ სამარჯალიტო შაირები არიან... პროზა ხომ ვიდევ უკეთესია“ (იხ. ა. წერეთელი, თხზულებანი, სახელგამი, 1957 წ. ტ. VI, გვ. 134).

ვაკერთ, მვრამ საგელისხმო მოსაზრება აქვს ამოთქმული ტ. ტაბიძეს „კალმასობას“ შესახებ. იგი ამ ნაწარმოებს უწოდებს „შედევრს, ენციკლოპედიას. „კალმასობა არის მე-18 საუკუნის „ფოდალური საქართველოს ეპოპეია“ და „დაწერილია რაბლეს საკადრისი იუმორით“... ეს პირველი ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში, სადაც გვხვდება ბატონყმობის კრიტიკა“ (გვ. 41). ამ შეხედულებას პოეტი სხვა შემთხვევაშიაც იმეორებს (იხ. გვ. 72—73).

მთლად შეფასებას აძლევს ტ. ტაბიძე უიარალოს „მამელეებს“. ამ ნაწარმოების შესახებ იგი წერს: „უიარალოს „მამელეებს“ წერის მხრივ სანიმუშოა რეალისტური სკოლისათვის. მას ახასიათებს მოქნილი დიალოგი, მომენტალური

დახასიათება, პეიზაჟის გაყოცლება, ლოკალის დამოჩილება და შეუდარებელი სისადაე“ (გვ. 78). „მამელეო“ დიდი სოციალური ეფემერი შემცველი ნაწარმოებია, რომელშიც გამოედულად გაისმის ხმა ჩავერისა და მონობის წინააღმდეგ.

საგელისხმო მოსაზრებები აქვს ტ. ტაბიძეს გამოთქმული ბიანანს, დავით კლდიაშვილის, ვოსილ ბარნოვის და შიო არაგვისპირელის შემოქმედების შესახებ.

ამვე ციკლიდან დიდი შინაარსის შემცველია კრიტიკული წერილები—საათნოვას, ალექსანდრე შირვანზადეს, ალექსანდრე შუკეინის და ალექსანდრე ვახობოდოვის შესახებ, რომელშიც საკითხის ღრმა ცოდნით და დაკვირვებით დახასიათებულია ამ გამოჩენილ მწერალთა შემოქმედება, ხაზგასმულია ხალხთა მეგობრობის იდეა ამ მწერალთა ნაწარმოებებში.

ტ. ტაბიძის ნივის მრავალფეროვნებაზე და აზროვნების სიფართოვეზე მიუთითებს მისი წერილები ალექსანდრე სუბბათაშვილზე, ზაქარია ფალიაშვილზე, კოტე მარჯანიშვილზე, ნატა ვინაძეზე, ნიკო ფიროსმანზე და იაკობ ნიკოლაძეზე. კრებულის მეორე ნაწილში მითითებულია ნარკვევები ახალ კოლიბაზე, ტყუარჩელზე, ისეთზე და სომხეთზე. ეს ნარკვევები ნათელყოფენ, თუ რამდენად კარგად იცნობდა ტ. ტაბიძე ახალ ცხოვრებას და როგორ იყო მასში შეფერვებული. საბჭოთა ქვეყნის წარმატებები აღაფრთოვანებდა ბატრიოტ პოეტს. დიდი გულწრფელობა და სიმართლე მოსჩანს ამ ნარკვევებში.

როგორც მართებულად შენიშნავს წინასიტყვაობაში წიგნის რედაქტორი (გ. მარჯველაშვილი), კრებულში შეტანილ ზოგიერთ სტატიაში არის საღაო შეხედულება, ან უბრალოდ მკდარი მოსაზრება, მაგრამ ეს არ ამცირებს წიგნის საერთო დიდ ღირსებასა და მნიშვნელობას.

კრებულში შეიძლება შეტანილი უფილილიყო ტ. ტაბიძის ზოგიერთი სხვა კრიტიკულ-ლატერატურული წერილიც. შიინც „საბჭოთა მწერალმა“ კარგი საქმე ვაკეთა ამ წიგნის გამოცემით.

შალვა რადინი.

მორის ფოცხიშვილის ლექსები



მ. ფოცხიშვილი გეტყვნის 50-იანი წლების პოეტურ თაობას, რომელშიც ქართულ მწერლობას მისცა რამდენიმე საინტერესო და ორიგინალური შემოქმედი. ამ თაობიდან ზოგი უკვე

საკეთარი წიგნებით წარსდვა ქართული მკითხველის წინაშე და ვარკვეული სიყვარულიც მოიპოვა.

მ. ფოცხიშვილი. „აღლუბლები წვიმაში“. 1957. „საბჭოთა მწერალი“ 12. „მნათობი“, № 7.

მ. ფოცხიშვილი, როგორც იტყვიან „წმინდა წყლის“ ღირიკოსია, მაგრამ სისახარულოა ის ფაქტი, რომ მას შესანიშნავად შეუძლია პირადული და სამოქალაქო ღირიკის ურთიერთ-



შერწყმა, ახალგაზრდა პოეტმა თავის ლექსებში შესძლო პირადი გრძნობებისა და განცდების აყვანა იმ სიმალემდე, საიდანაც მისი პოეზია უშთაერესად თავისივე თაობის მკითხველის სულსა და გულს ესაუბრება.

ეს არ მოპოვნება ბავშვობის უდარდელი დღეები, როცა გარეშო ჩვენთვის ვარდისფერ ბურუსში იყო გახვეული. ნამდვილად უტკბილესი და უნაწესი მოგონებაა. მ. ფოცხიშვილის ლექსების ლირიული გმირი, ეს ფაქიზი სულია და აიღა-მართალი გულის ჰუმანიზმი იხსენებს ბალაობის დღეებს, რომლებიც „თითქოს გემინ დასრულდა“, ამ დღეებში იყო „უბო-ეზო ლატის წრე და ჟრიაშული ზედ“, შემდეგ კი „უქინარი ღამეები გამოცდების წინ“... ხოლო ახლა: „რა შორს მოჩანს ასეციულით გამოვლილი გზა?! რა შორს დარჩა ლატის წრე და ჟრიაშული ზედ ეს რა ჩქარა გეპიარმავებს და-ლოცილი წუღ“...

უკვე დავაყვებული ანტი ბივი „ოთახში ლექსად წრიალებს“, მაგრამ ახლაც არ ასვენებს თავისი ბავშვობა:

ამაჟურდება ოთახში ზარი —
გაუხედავ ვარუთ... ახავენ არი...
უეცრად კიბეს სიცილით, ტამით
და კისრისტებით ჩაირბენს ბავშვი.
ჩაირბენს ბავშვი ეცლქი და მარდი,
ბავშვი, რომელმაც ზარი დარეკა...
ოცი წლის წინათ მეც ამ ბიჭს ვგავდი
გასაოცრად და გადასარგვად.
ოცი წლის წინათ მეც ამ ბიჭს ვგავდი,
რომელიც ახლა მე არ მასვენებს,
ოცი წლის წინათ მეზობლის კარზე
დამირეკია ზარი ასევე.

არც ისე უღრუბლა იყო ბავშვობა, ომის მრისხანე წლებში ჩაბედეს პატარას თვალბუბო და პოეტი დღეს იგონებს მამინდელ მამიე სურათებს. აი, მოხუცი ქალა, რომელიც „შვილებს მოელის ომიდან ჯერაც“, და უოველწლიურად მერბას აზნადებს, მინმოვლელადებს რომ და-ხვედროს; მესიყოსი, რომელიც „აიციტლებდა ბეთხოვესს, მოცარტს“, მაგრამ „მშათა სიფლავ-ში წევს“ და ასდუმს რთილი დღეს; ამ ღმჭ-სებშია „ადამიანი ღერჯი თვილებით“ ბავშ-ვების საყვარელი ადამიანი, რომელიც შემდეგ ორთავ თვალთ დამრმავდა — „დამსგავსებია ცარიელ გუნებს მისი ღმჭი თვალთა გუგა-ნი“, — მაგრამ „შუე და სამშობლო გადაგვირ-ჩინა“; აქა მამაიცი მეზღვაურები, რომლებიც:

ჩვენი გულისთვის გავიდნენ ზღვაში
და უკან აღარ დაბრუნებულან.
არ მიატოვეს ხანძარში საშუ,
არ შევიწინდნენ წუთებს სამინდელს...

გემზე იყენენ და გემზევე დაარნენ,
ზღვაში იყენენ და დარჩნენ ზღვაშივე...
იბირებოდნენ... თურმე მღეროდნენ,
იბირებოდნენ ბრძოლით, ზმანობით,
მჭრე დასტოვეს... ჩვენი ღის დასტოვეს
ახალგაზრდობა და გაზაფხული.

სისხლით მოპოვებულ მშვიდობას შენარჩუნე-ბა და განმტოცება უნდა, ამიტომ უმღერის ასე გატაცებით პოეტი ხალხთა სოლიდარობას და თანასწორობას ლექსებში: „ახალგაზრდული“, „მშვიდობის ქუჩა და ჩვენი საყვარული“, „სამეზობლო“, „როცა ქვეყნად დღეებია გაზაფხუ-ლის“. მაგრამ უმღერის არა პათეტური ფრა-ზებთა და გამიშვლებული რიტორიკით. აი, როგორ მიმართავს იგი თმებდათოვლად, საყვა-რულ დედას:

დედა ხარ და დარდი კვლავაც დატრიალებს,
როცა ქვეყნად უცნაური,
უცხო სხემი ისმის —
გაჩვენება,
მოდის ვიღაც სიტიალე,
რომ დაღვაროს შენი ბიჭის სისხლი...

კაცთ სიყვარულს მინერგავდი აყვანოვე,
ყველგან შენი სამართალი მზრდიდა —
მოფერებას დამაჩვიე,
გულჩვილობას დამაჩვიე,
მატარებდი მშვიდობის და
გაზაფხულის გზითა.

ლექსში „სამეზობლო“, პოეტურად აღწერი-ლია ერთი სახლის მეზობლების ურთიერთდამო-კიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ: „რა ვუ-ყოთ, ზღბა, ხანდახან ზღბა, აირყვიან ქალები გარეთ—გაიშარბება საეროო კრება, გამოლანძღ-ვენ ერთმანეთს მწარედ“, მაინც: „მეზობლის ცეცხლზე გამთბარი უთო თბილია, როგორც მეზობლის ზელი, ერთმანეთს მუდამ რაღაცას ვუთმობთ, ერთმანეთს მუდამ რაღაცას ვშვე-ლით“, და შემდეგ:

მაგრამ რაღესაც ბინდდება ირგვლივ,
მჯერა, ერთდება ჩვენი გულისთქმა —
ბალის წინ მაინც ერთი გვაქვს ფიჭრი
მშვიდობისა და გაზაფხულისა.
და ენატრობ — ნეტა ამიხდეს ნატვრა —
იყოს ლხინი და ბედნიერება,
ისე იტყოკოს ამქვეყნად ხალხმა,
როგორც მეზობლებს შეეფერებათ.

ლირიული პოეზიის მდებრე თემები — სამ-შობლო, სიყვარული, მეგობრობა, — მ. ფოცხიშ-ვილის საუკეთესო ლექსებში გახსნილია ჩვენს ეპოქაში აღზრდილი ქართველი ახალგაზრდა კა-ციის მსოფლმეგობრებით. ასეთ ლექსებში მკითხ-ველის ყურადღებას იპყრობს სამყაროს პოეტუ-

რად ხედვის სიმახვილე. ენის გამჭვირვალობა, სახეების სიახლე... ახალგაზრდა პოეტს კარგად შეუძლია გულში საუბარი აღამიანურ გრძნობებზე. კრებულის ერთერთ საუკეთესო ლექსში „საალავერდო“ პოეტი მიმართავს, მაგრამ მწეულია თქმა ვის მიმართავს, მიმართავს ყველას, კეთილი ნების აღამიანსა და როგორც იტყვიან, კაცურ კაცს:

შემეთვისო-სამშობლო მაქვს იმისთანა,
სული წმინდა, გული წმინდა...
... თუცა მოხვალ, როგორც ძმასთან
ამ მიწაზე და ამ მხარეს,
მღინარეზე ხიდად დაედგე —
აიარე, ჩაიარე...

საყვარელი... განა არსებობს ქვეყნად პოეტი, რომ ამაღლებული პიონები არ ეძღვნას ამ შირადიული გრძნობისათვის?! საესებით ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა პოეტის და ისიც ღირსეული პოეტის პირველ წიგნში დიდი ადგილი ეკარის სატრფილო ლექსებს. მ. ფოცხიშვილის სატრფილო ლექსები გხვდებათ თავისი კდემამოხილებით, მორიდებულობით, თითქოს ღოყები შეფაქლებიოა სიმორცხვისაგან ამ ლექსებდს ღირიყულ გმირს.

კრებულში შეტანილი სატრფილო ლექსები „ოსის გოგო ორღობეში“, „ორი გოგონა მიყვარდა“, „ახასენება“, „ახალი ხილი“, „ჩემი ფოსტალიონი“, „ჩვენი შაირსიტყვაობა“, „ქემთან რომ იყო“, „ასხელა“, „მატარებელი წვიმაში“, „იცი თუ არა შენ“, „ნადირობისას“, „მოლოდინში“, „სიმართლე კვიაროსებში“ და სხვ. გამოირჩევიან ფაქიზი განცდებით და საყვარელი არსებისადმი მორიდებულობით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლექსებში არ ჩანს ერთი ჩამოყალიბებული სახე სატრფილის, ეს უფრო ცალკეული ჩანახატებია სხვადასხვა ქალიშვილების სიღეეტებისა, რომელთაც ვაულებებით ღირიყული გმირის ცხოვრებაში და უკვალოდ ვამქალან. ამიტომაც ასე ხშირად ლექსებში გაღრენილი დღეების გახსენება-მოგონებანი და შეკავებული სურვილების გამჟღავნება. კონკრეტული საგანი მ. ფოცხიშვილის სატრფილო ღირიყეში არ შეინიშნება — იგი უმღერას ყველა თვალციმციმს და არჩევანი არავისზე შეჩერებულა:

თმებს ქალარა მომრევი,
წლები გადის თანდათან...
აბა, ჩემი რომელია,
ტანკერივი თუ ტანლატანა?
აბა, ჩემი რომელია,
ამ ციმციმა ქალებში?
კოვებში რომ ველარ ვატყობ,
ვაქქერდები თვალბში...
... შემახედეთ, შემახედერეთ,
აბა, ჩემი რომელია?

დღეა მუდამ იყო ღირიყული პოეტიმ შოამაგონებელი. ბერო შესანიშნავე ლექსი „მქმწეს ამ ამაღლებულ თემაზე ქართულმა პოეტებმა. მ. ფოცხიშვილის „ამბავი დედის გულისა“ ყურადღებას აქცობს უშუალობითა და ცხოვრებისეული სიმართლით, ახლებური გააზრებითა და კარგი მხატვრული ფორმით:

დედის გული
თოთოებად გვთვლის,
ისევე ხელით სატარებელ
პატარებად გვთვლის.
ისევე თრთოლვით ეგებება
შუღამებას, მწუხრს —
ისევე ისეთ ღოდინშია,
ისევე ისე წუხს...
დედის გული...
დედის გული
დამწუნარდება ვით?
მთებში იყოს —
ჩანსქერივით
დაეშვება ძირს,
ბარში იყოს —
მერცხალივით
მიაშურებს მთებს...

მ. ფოცხიშვილის სხვა ლექსებიდან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ „ამაა“, „სამობაქემო“, „თამაშგარეთ“, „დაბალი ღობე“, „ამღვრეული ბალია“, „მესტეირის სულის სახსენებელი“ და სხვ.

ახალგაზრდა პოეტის ლექსთწყობა უმთავრესად სასიმღერო-ავტორი მისწრაფვის ხალხურობისაკენ, ეს ვარემოება ხდის მის ლექსებს იოლად გასაგებას და სადას. მაგრამ ეს სისაღივე შორსაა ვაუბრალოებისაგან და პრიმიტივიზმისაგან. მ. ფოცხიშვილი თავისი ლექსებით ამტკიცებს, რომ სასიმღერო ლექსების წარმატებას უპირველესად კომპოზიციურ შეკრულობაში, ლაკონიურობაში და ნათელ სახეებში უნდა ვეძებდეთ. ურავო არ იქნება, თუ ჩვენი კომპოზიტორები, რომლებიც ხშირად უჩივიან კარგი სასიმღერო ტექსტების სიმცირეს, — ჩაიხედივენ მ. ფოცხიშვილის წიგნში. იქ ნახებენ მასაღს თავიანთ ნაწარმოებებისათვის.

ახალგაზრდა პოეტის ლექსებში ხშირად გვხვდება მოხდენილი თქმები, მაგალითად „რადიას წერდა მინაზე წვიმა, წერდა და შლიდა სტრიქონებს თეითან“; „შენ მუდამ მჭეპალი ხარ, მე მუდამ მჭესუზარია!“, „უნინო ნაევს გვაგაით, გადაკარგულებს ზღვაში“, „მთას მოხვეული ნისლის ნახვეი-კოხლები კაცის ყაბაღობით“... მაგრამ აქა-იქ პოეტის ლექსებში ვხვდებით არაკონკრეტულ შედარებას, ამა თუ იმ მომენტისათვის შეუფერებელ თქმებს, რაც ზოგ სხვა ახალგაზრდა პოეტსაც ახასიათებს. ნამდვილად კარგ ლექსში „ამბავი დედის გულისა“ უხერხულად მივაჩინა დედის გულის შედარება

ჩაიდანთან. ისევე სადავოდ მიგვიჩნია თქმები: „ჩემს ლექსებზე შენი აზრი გამოხდელი არაყოფით“ („საბაძანეშო“); „ცახცახებს ღელე გიტარის სიმით“; რამდენად მიზანშეწონილია თქმი დიდუბის შედარება ნათურის გაღწევითან?! გვჭვდება აქა-იქ ტრაფარეტული სტრიქონებიც: „არაფერია, რაც იყო, მაგრამ, რაც უნდა მოხდეს — ყველაფერია“, „მთავრეს შევეცქერა და გვინე ვფიქრობ, შენ შევყურებ და ვფიქრობ მთვარეზე“. ვერ გავიგეთ რა პრინციპით იხლმძვანელა ავტორმა, როცა თავისი ლექსები დაყო ციკლებად, ერთიდაიგივე ხასიათის ლექსები არეულა.

არსებობს ერთი ტაეციური ანღაზა: „ჯარგი წელიწადი გაზაფხულით იცნობა“. ჩვენი აზრით,

სწორედ ამ საზომით უნდა მივუდგეთ პოეტს. ახალგაზრდა შემოქმედისათვის მისი პირველი ლექსები, პირველი წიგნი პოეტური გაზაფხულის პირველი მერცხლებია. შეიძლება — საინტერესო არიღებულა და მოუქნელი მოგვეჩვენოს ამ მერცხლების ფრენა, მაგრამ მთავარია ერთი — რამდენად შორს გაფრინდებიან და რამდენ გულბნაივ მონახვენ ბუდეს, ამით შეიძლება პოეტის მომავლის გამოცნობა.

შორის ფოცხმევილი ლექსებმა დამსახურებული სივარული მოაპოვეს მკითხველებში და მის შემდეგი ნაწარმოებებისაგან უფრო მეტს უნდა მოველოდეთ.

ალექს. სანაღირაძე

მასწავლებლის მომონებანი



უკანასკნელ წლებში „საბოტაჟში“ ბევრი კარგი წიგნი გამოცა. ამით რიცხვს ეკუთვნის ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ძიძიგურის (1889 — 1957) „მასწავლებლის მოგონებანი“ (1957 წ. რედაქტორი პ.ოფ. გ. თავაზიშვილი). ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელს, სახელმძღვანელოებისა და მრავალი მეოთხურ-ლიტერატურული სტატიის ავტორს ვ. ძიძიგურს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს განათლების დარგის მუშაობაში შორის. საქმარისთა აღიზნებას, რომ მის მიერ შედგენილი „მნანი“ და „დედენი“ (ა. გვახარაძის თანაავტორობით) ოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენი ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს.

ავტორის წიგნები „ჭარბული ვნის სწავლება დაწყებით სკოლაში“, „კლასკომპლექტში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები“, „რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითადი საკითხები და გაკვეთილების კონსტრუქციები“ და სხვ. თავის დროზე დიდ დახმარებას უწევდნენ და მომავალშიც გაუწევენ ჭარბივლ მასწავლებლებს პრაქტიკული მუშაობის დროს.

ვ. ძიძიგური საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში უბაუკობიდანვე ჩაება. პროგრესული იდეებით აღჭურვილი ახალგაზრდის მივლი ძალა და ცოდნა ხალხის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. მას ბევრჯერ გამოეჩინა თავი, როგორც საზოგადოებრივ მუშაკს. ამ მხრივ საქმარისთა გავიხსენოთ ის დიდი დეალო, რომელიც მიუძღვის „მოგონებათა“ ავტორს მის მშობ. ლურ სოფელ მათბიჯში სახალხო სახლის აშენებისათვის.

ვ. ძიძიგური ოთხ ათეულ წელზე მეტს ემსახურებოდა სახალხო განათლების დარგს. ამ

ხნის განმავლობაში მას ბევრჯერ ჰქონია შეხვედრები ჩვენი კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებთან, მზურვალე მონაწილეობა მიეღია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რამოყალიბება-საქმიანობაში, ბევრი დაბაროლებაც შეხვედრია, მაგრამ კეთილშობილურ მისწრაფებებზე ხელი არ აუღია, რადგან ღრმად სწამდა, რომ ხალხისათვის უკეთესი მომავლის მოპოვებაში ყველა ნამდვილ აღამიანს შეიძლებისამებრ თავისი წვლილი უნდა შეეტანა. ამ რწმენით მუშაობდა ვ. ძიძიგური საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდა თაობის აღმზრდელ-მასწავლებლად წლების მანძილზე. მის მოგონებათა წიგნში გადმოცემულია ავტორის მიერ უშუალოდ ნახულისა და განცდილის საინტერესო შთაბეჭდილებანი. წიგნში სულ 13 თავია წარმოდგენილი (აბავშვობის წლები. ნახსულევის ორკლასიანი სკოლა. მასწავლებლები. ხონის სასწავლებელი. „ქუთათის სამასწავლებლო სემინარიის ხონში დაფუძნების მიზეზები. სემინარიის რეკვიზი. პირველი დირექტორები“. „მეფის საწინააღმდეგო მოძრაობა ხონსა და მის რაიონში“, „სემინარიის ახალი დირექტორი. რეკვიზი. მასწავლებლები“, „რეკვიზის წლები“, „აჯაი წერეთელი“, „მასწავლებლობის პირველი წლები“, „მუშაობა ზემო სვინეთში (მულახი), ლეჩხუმში (ცაგერი), იმერეთსა (ხონი, კულაში) და აქარაში (ქ. ართვინი)“, „სტუდენტობის წლები. თბილისში მუშაობა“, „სახალხო სახლის მშენებლობა სოფელში“, „ნიკო ნიკოლაძე“, „შეხვედრა ნიკო მართან“ და „ილიას მკვლელის გასამართლება“). ყოველი მათგანი მიმზიდველად არის დაწერილი, მდიდარია ფაქტობრივი მასალებით, თბრობა ბევრგან უღარესად მხატვრულია და

შეზავებული მსუბუქი ქემორით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმკობებს „მოგონებებს“ ის ადგილები, სადაც დახასიათებულია სკოლების მდგომარეობა თვითმპყრობელობის დროს, ბრძოლა ქართული ენის უფლებებში აღდგენისათვის, მოწინავე ქართველი მასწავლებლები, მათი ხასიათი, მსოფლმხედველობა და პედაგოგიური მუშაობის სტილი, რამდენი სიუჟეტური, სიბოძო და პატეისციკმა ჩანს მასწავლებლებისადმი დეჟალმოსილი ავტორის გულთბილად დაწერილ სტრიქონებში ეს არც ვასაყვირებელია, რადგან „კეთილშობილერია და სიმბათიური სახალხო მასწავლებლის სამუშაო, დილა, და განუზომელი მისი როლი ახალი თაობის აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეში, უსაზღვროა სამოყენება პედაგოგიურ საიდუმლოებას დაუფლებული მასწავლებლისა, როცა ის „აღმაინის სამედიდოში“ მუშაობს“ (გვ. 5). და „მოგონებებს“ მკითხველიც უაღრესი პატეისციკით იმსჯელება ამ მასწავლებლებისადმი, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ თვითმპყრობელობის დროს, გარდა გაენათლებინათ ახალგაზრდებისათვის, ჩაენერგათ მათში სამშობლოსადმი, დედაენისადმი, საქართველოს წარსულისადმი უანგარო სიუჟეტური. ისინი იცოდნენ ჩვენს მშობლიური ენის ღირსებას და ევლსაგან მოითხოვდნენ პატეისციკით მოყვარობდნენ მას. მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მასწავლებლების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მეფის მთავრობის დროსაც კი ატერხებდნენ, ბევრჯერ მოეპოვებინათ გამარჯვება.

ბევრ ახალ ცნობას გვაწვდის ავტორი ცნობილი ქართველი მასწავლებლის ალ. ჭიჭინაძის, ტრ. თბუკაშვილის და სხვ. შესახებ. რამდენად მნიშვნელოვანია, მაგალითად, ალ. ჭიჭინაძის დასახასიათებლად ერთი ფაქტი, რომელსაც ვ. ძიძგური გადმოგვცემს: „1905 წლის ნოემბერში ხმა გაერყეოდა, რომ ქუთაისში შეტაკებებია მუშებსა და მთავრობის მომხრეებს შორისა. ხონის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებლები

მუშების დასახმარებლად გაეშურნენ. მელაქში გაიგეს, რომ გაერყელებული ხმა სემინარულს არ შეეფერებოდა და უკანვე გამობრუნდნენ, ცხრაში ალექსი ჭიჭინაძე შემოგვხვდა. ურემს მოაყვებოდა ქვეითად. როცა მსოციან პედაგოგს გაეგო ჩვენი წამოსვლა, ეთქვა: შიშლით დიხოციებინაო. ერთი ურემი პური, ყველი, კონსერვები და ძხვეები მოეზადებინა ჩვენთვის წამოსაღებად და თვითონაც წამოსულიყო. გვაში დავნაყრდით. ლამდებოდა, როცა სემინარიაში დაებრუნდით“ (გვ. 37).

საინტერესოა აღწერილი აქაც წერეთელთან შეხვედრები. სხვათა შორის, ავტორი წერს, რომ აკაცის ერთ შეშხვევასთან დაკავშირებით ქუთაისში მეტრე მელიასათვის უთქვამს: „შენ რომ გინდა მელიაო, იგი შემოაშლიაო“ (ი. შეუნარგის მიხედვით, ეს სიტყვები მაშინ გურიელს გეთვისეს). შეიძლება ამ ფაქტის დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ რაკი სიტყვამ მოიტანა, შემდეგი უნდა აღვნიშნოთ. 1898 წ. „ივერიში“ (პე მმ) ვაზ. „ახალი მიმოხილვიდან“ ვაღმობეჭდა ი. შეუნარგის ასეთი განმარტება: „საბოგრაფიო წერილში, რომელიც ვეძღვენი თავად მაშინ გურიელის ლექსთა კრების წიგნს, შევეხე რა პოეტის პიროვნებასა და ხასიათს, მოვათავსე ვითომდა პოეტის შიერ სხვადასხვა დროს ნათქვამი ექსპრომპტი. დღეს დაერწმუნდა რა, რომ ამ ექსპრომპტის უმრავლესობა ვამოგონილი და სრულიად უშინარსია, ვაღდებულად გრაცხ ჩემს თავს გულწრფელი მწუხარებით ვიღიარო, რომ ამის შესახებ მოყვანილი ჩემი განმარტებანი ყოველსავე საფუძველს მოკლებულია“.

რას უნდა შეეყვინა შედომიში ი. შეუნარგია, ამჟამად ძნელი დასადგენია.

საერთოდ, ვ. ძიძგურის „მასწავლებლის მოგონებანი“ დიდი ინტერესით იკითხება. მასში ბევრი ისეთი ფაქტია აღნიშნული, რომელთაც საზოგადოებრივი ღირებულება აქვთ და წარსულით დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია ამ ფაქტებს დაეყრდნოს და გამოიყენოს.

მის. კეკელიძე

ინგლისური დიალოგების კრებული შესახებ



ამ რამდენიმე ხნის წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემულობამ გამოსცა მ. იანკოშვილის და ლ. გამსახურდიას წიგნი—ინგლისური დიალოგების კრებული (Learn English by Speaking).

როგორც თვითონ ავტორებზე აღნიშნავენ, წიგნის მიზანია „გამოუმუშავოს და განუეთაროს ინგლისური ენის შემსწავლლო ზეპირი მეტყველების ჩვეულება“.

წიგნის ავტორებმა ამ კრებულის შედგენით მეტად სასარგებლო საქმეს მოაქიდეს ხელი. ჩვენში დღითი-დღე მზრდება ინგლისური ენის შემსწავლლო რიცხვი და მშობლიურ ენაზე ასეთი სახელმძღვანელოს არსებობა დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას. ავტორთა წამოწყება მით უფრო მისასაღებელია, რომ ასეთი ტიპის სახელმძღვანელო პირველად გამოდის ქართულ ენაზე.

წიგნი საუბრის თემები კარგად არის შერჩეული. ყოველი თემა გაშლილია დიალოგისა და დამატებითი მასალის სახით. დიალოგები შეზავებულია ქუჩისათვის. დამატებითი მასალა დიდ სიტყვის მარჯვ აძლევს მოსწავლეს მოცემული თემის ირგვლივ.

ყოველ გვერდზე სქოლიოში თარგმნილია ძნელად გასაგები ფრაზები. წიგნს დართული აქვს ლექსიკონი (სათანადო ტრანსკრიფციით) თემების მიხედვით, რაც უფროდ აადვილებს უცნობი სიტყვების მოძებნას.

მე აღარ შევიჩნადე იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ უკვე იყო გამოთქმული აზრი პრესაში. მე მინდა მხოლოდ, წიგნის ავტორებს მივაწოდო რამდენიმე შენიშვნა იმ შეცდომების თუ არასწორ გამოთქმათა შესახებ, რომლებიც, სამწუხაროდ, ვაპირულა წიგნი და რომელთა გათვალისწინება და შესწორება აუცილებელია იმისათვის, რომ წიგნი უფრო გამოსადევი გახდეს როგორც სახელმძღვანელო მოსწავლე ახალგაზრდობისათვის.

დაველოდო იმით, რომ წიგნი გვხვდება აზრობრივი ხასიათის შეცდომებზე.

მაგალითად, გუგუბრობას იწვევს გვ. 43-ზე მოცემული სერგეის და ნიკოს დიალოგი. წარმოდგენის დაწყების წინ, თეატრში, სერგეი და ნიკო ყიდულობენ პროგრამას და ნახულობენ, ვინ რა როლს ასრულებს სპექტაკლ „ოტელიოში“. ნიკოს შენიშნაზე, რომ იაგოს როლს, ალბათ, ვასაძე შეასრულებს, სერგეი უპასუხებს: „No, look here, he's been laid up to-night, it must be his understudy“. (მე-3-ში სტრიქონი ზევიდან). როგორც ცნობილია, არც ერთი თეატრის პროგრამაში არ სწერია, თუ რა მიზეზის გამო არ თამაშობს ესა თუ ის მსახიობი. სერგეი კი თითქოს პროგრამაში ვითვლობს, რომ ვასაძე მწილობრვად ავადმყოფია — he's been laid up (იმ წინადადებაში, სხვათა შორის, უდავლოა present perfect-ის ხმარება). მაგრამ სწოლოდნ ჩანს, რომ თურმე სერგეის სულ სხვა რამის თქმა უნდა. აქ სერგეის სიტყვები თარგმნილია ასე: „არა, შეხედ, შეუცვლიათ“ (შენიშვნა 1). სერგეი რომ ამასვე ამბობდეს ინგლისურადაც, ეს ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ინგლისური გამოთქმას, რომელიც სერგეიმ ამ აზრის გადმოსაცემად იხმარა, არფერი აქვს საერთო ქართულ თარგმანთან.

ნიკოსა და სერგეის დიალოგში მეორე შეუსაბამობაც გვხვდება. ამჯერად, ნიკო სცოდავს, თეატრიდან გამოსვლისას ის ამბობს: „Look, it's raining hard! I was afraid we were going to have a change. I wasn't far from wrong, was I?“ (გვ. 44, After the Theatre) To be not far from wrong ნიშნავს „შეცდომისაგან არც თუ შორს ყოფნას“, ე. ი. გამოდის, რომ ნიკო შეეცდარა, როდესაც უფიქრია, რომ ამინდა შეიცვლებოდა. ნამდვილად კი მისი ვარაუდი ვაპირებოდა — ვაადარდა. მაშ, რატომ აცხადებს

ნიკო — შეეცდიო? საქმე ისაა, რომ ნიკოს იმისი თქმა კი არ უნდა, რასაც ამბობს. მას უნდა თქვას — არ შეეცდარეარო. (გნ. სკოლიკონი შენიშვნა 6. არ შეეცდარეარო, ზმწმ. ვ. ი. ინგლისურად უნდა იყოს: I was not far wrong, was I? წინდებული from ზემოხსენებულ წინადადებაში ზედმეტია და სწორედ მას მიუძღვის ბრალი აზრის დამახინჯებაში.

მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე მარინესა და თინას დიალოგში (At the Café Part II), როცა ისინი შენიშნა ირჩევენ კერძებს. თინა პითხავს მარინეს — რას იტყვი თომლეტზე? — მარინე ამბობს, რომ ის ზინჯალს ამჯობინებს; მაშინ თინა უპასუხებს: „I draw line at omelette, you may have meat dumplings“. (გვ. 40 მე-5 სტრ. ზევა) გამოდის, რომ თინა უარს აცხადებს იმლეტის ჭამაზე, რომელიც წინდ თვითონ აირჩია, თან ზინჯალსაც მარინეს სთავაზობს. მიუხედავად ამისა, ის მაინც სთხოვს ოლეტიანტკალს, მოტეტანის ომლეტი. რატომ? — იმიტომ, რომ, როგორც სქოლიოდან ჩანს, თინას შემდეგ უნდა ეთქვას: — „ომლეტი მირჩევია“ (შენიშვნა 2) ე. ი. თინას ჭგინდა, რომ ასე ამბობს, მაგრამ ნამდვილად კი გამოთქმა — to draw the line at — ნიშნავს რაიმეზე უარის თქმას და არა რისაზე არჩევას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ the არტიკლის გამოტოვება მოცემული ინგლისური გამოთქმის დამახინჯებას იწვევს.

ამავე დიალოგში მარინე ამბობს: „We may take something more essential“. (ლაპარაკი ისევ ერთის არჩევაზე — გვ. 39 მე-3 სტ. ქვ.) ქართული მეოთხეელისათვის ერთი შეხედვით აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა: — სიტყვა essential ლექსიკონში თარგმნილია, როგორც „არსებითი“. გამოდის, რომ მარინეს უნდა რაიმე უფრო არსებითი (სამშელო) აირჩიოს, მართალია, essential ქართულად ნიშნავს „არსებითს“, მაგრამ არა იმ გაგებით, რომელსაც მოითხოვს ზემოხსენებულ წინადადება. არსებითი (ნოყიერი) საქმეების მიმართ ინგლისურად ამბობენ substantial და არა essential.

74-ე გვერდზე მე-3-ე სტრ. ზევა ვხვდებით ასეთ წინადადებას: You must always be bold enough to give your piece of mind on the matter. (საუბრის თემა საინტერესო მოხსენების ირგვლივ გამართული დისკუსია). თუ სქოლიოში მოცემულ ქართულ თარგმანს დაფუჯვებთ, ავტორები რჩევენ აძლევენ მეოთხეელს. დისკუსიის დროს თამამად გამოთქვას თავისი აზრი ანა თუ იმ საკითხზე. (შენიშვნა 2. „თქვენ შენდა უნდა გეყოთ სითამამე, რომ საკუთარი აზრი გამოთქვათ საკითხის ირგვლივ“). — ჩაკრი რჩევია, მაგრამ ინგლისურად იგი, ცოტა არ იყოს, საზღვრულილად გამოიყურება. ამის მიზეზია ჯერ ერთი, ის, რომ სწორი არ არის გამოთქმა — To give your piece of mind უნდა იყოს — To give a piece of your mind მეორეც ის, რომ თუნდაც

ეს გამოთქმა სწორად ყოფილიყო ნახშირი, იგი მაინც არ გადმოცემდა იმ მნიშვნელობას, რისთვისაც ის იყო გამოხუნლი.

To give somebody a piece of one's mind ნიშნავს არა „საკეთიარი აზრის გამოთქმას“, საერთოდ, როგორც ეს ავტორებს უთარგმნიათ, არამედ ვინმეს გაკიცხვას, ვისმისთვის საყვედურის თქმას, ავტორებს რომ ამ რთული გამოთქმის ნაცვლად ეხმარათ სრულიად უბრეტენზიო სიტყვა — opinion — მაშინ ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

წიგნის გვხვდება შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის სიტყვა არ იხმარება დანიშნულებისამებრ.

მაგალითად, გაუგებრობას იწვევს სიტყვა outlook წინადადებაში — I have my outlook and I stick to it. (გვ. 122 მე-5 სტრ. ქვევდიანი). სქოლოში ეს წინადადება თარგმნილია ასე: „უ ნემი აზრი მაქვს და მის შეცვლას არ ვაპირებ“ (შენიშვნა 7). ნამდვილად კი outlook ქართულად ნიშნავს „პერსპექტივას“ და „აზრის“ მნიშვნელობით არ იხმარება. ამიტომ, თუ გვინდა იგივე ვთქვათ ინგლისურად, რაც ქართულ განმარტებაშია ნათქვამი და რაც ბუნებრივად გამოდინარობს დიალოგის მსვლელობიდან, ნაცვლად სიტყვისა outlook უნდა ეიხმაროს opinion.

ამასთანავე, ურიცო არ იქნებოდა, თუ stick ზნას აქმყოს ნაცვლად მომავალი დროის ფორმით ვიხმარდით. მაშინ წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: I have my opinion and I shall stick to it!

მე-5 გვერდზე (მე-6 სტრ. ქვ.) ვკითხვლობთ: I was told it's very interesting for its oriental refined trimmings. (ლაპარაკია საქართველოს სამხატვრო აკადემიის ინტერვიუზე). დიდ უბრეტულობას იწვევს ამ კონტექსტში ხმარება სიტყვისა trimmings. ეს სიტყვა აქვე დართულ ლექსიკონში თარგმნილია როგორც „მორთულობა“, „კაშულობა“. თარგმანი სწორია, მაგრამ წიგნის ავტორებს შეედეგობიდან გამორჩენიათ, რომ trimmings ნიშნავს მორთულობას ტანსაცმელისას, ან საშუქლისას და არ იხმარება აქტივქტორული ნაგებობის მორთულობის გამოსახატად. ამ შემთხვევაში ხმარობს სიტყვებს — decoration, ornamentation და სხვ. — აზრის შესაბამისად. მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ იმავე წინადადებაში სიტყვა refined (დახვეწილი), რაც იხმარება უმთავრესად ადამიანის მწერების, გემოვნების, გარეგნობის ღსახასათებლად, შეგვეცვალა სიტყვით exquisite — იმავე ცნების გამოსახატავად.

აქვე შევნიშნათ, რომ ამ წინადადებაში სიტყვათა თანმიმდევრობაც არ არის სწორი, თუ გავითვალისწინებდით ჩამოთვლილ შენიშვნებს, მაშინ წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: I was told it's very interesting for ist exquisite oriental ornamentation.

მომდევრო წინადადებაში (იმავე გვერდზე) გამოთქმა By all means! — არ არის თავის ად-

გილზე. მის ნაცვლად უნდა გვეხმარა: It certainly is! ან It is indeed! ისევე 64 გვერდზე მოცემულ დიალოგში გამოთქმა Botner ქმ. (ქვე) სტრ. ზევით) არ შეესაბამება დიალოგის სიტყვებს ნაცვალსახელს this ნაცვლად უნდა იყოს that: I know that myself. იმავე დიალოგში (მსჯელობა ბალეტის „ღონ-კიობის“ შესახებ. გვ. 65, მე-5 სტრ. ზევ.) წინადადებაში You can never tell who dances the rôle of the Spanish inn-keeper's daughter. სიტყვა tell უნდა შეგვეცვალა სიტყვით guess, თუ გვინდოდა იმავე აზრის გამოთქმა, რაც სქოლოშია (შენიშვნა 2. „აბა, თუ გამოიყნობ, ვინ თამაშობს ესხანელის სასტუმროს ბატრონის ქალიშვილს“). თორემ, გამოთქმას — You never can tell — აქვს სპეციფიკური მნიშვნელობა — „ვინ იცის!“ აქ, ნაცვალსახელი You ბირის ნაცვალსახელის როლში კი არ გამოდის, არამედ გვევლინება განუსაზღვრელ ნაცვალსახელად, ამიტომ სწებნებული გამოთქმა აღქვავტურია წინადადებისა — One never can tell.

იმავე დიალოგში (გვ. 65 მე-9 სტრ. ზევ.) გაცვებარია გამოთქმა Have it out! როგორც სქოლოდიან ჩანს, ნოდარს, ალბათ, უნდა ეთქვა — out with it!

იქვე, მომდევნო წინადადებაში, ნაცვლად გამოთქმისა for the time გურამს უნდა ეხმარა this time, თუ უნდოდა იმავე აზრის გადმოცემა, რაც სქოლოშია („ამჯერად“. შენიშვნა 4). ის გამოთქმა კი, რომელიც მან იხმარა, არა თუ არ გადმოსცემს მის სათქმელს, არამედ მოკლებული ყოველგვარ აზრს.

დიალოგში 129 გვერდზე უადგილოდ არის ნახმარი ნაცვალსახელი some: Can you oblige me with some light? (მე-13 სტრ. ზევ.). სერგეის უნდა ითხოვოს ცეცხლი (a light) პაპაროსის ასანთებლად, ნამდვილად კი თხოულობს სინათლეს (some light).

იმავე გვერდზე (მე-4 სტრ. ქვ.) წინადადებაში — It's too much overdone — ზედმეტია სიტყვებისა too much, რადგან იგივე აზრი გამოთქმულია ზმინსწინით over.

ისევე, წინადადებაში — It's eight sharp (გვ. 135, სტრ. მე-14 ზევ.). უნდა იყოს it's exactly eight. თუმცა sharp-ს ქართულად იგივე შესატყვისია აქვს, რაც exactly-ს („ზუსტად“), მაგრამ sharp იხმარება იმ შემთხვევაში, როცა კონსტრუქცია მოთხოვს ან წაწილავს.

მაგ.: Be there at eight o'clock sharp.
I'll be there at eight o'clock sharp.

და ა. შ.
იმავე დიალოგში (იმავე გვერდზე მე-3 სტრ. ქვ.), შეუწუნარებელია სიტყვა flesh-ის ხმარება წინადადებაში Now, please give me some soft flesh for cutlets. ინგლისელი ამ შემთხვევაში იხმარდა რასაკვირველია — meat.

გვ. 48-ზე ლაპარაკია ღებზურთის შესახებ. გვიამბობს:

They say the second time was particularly tense (სტრ. მე-14 ზევიდან). თუმცა სიტყვა „ტენსი“ ინგლისურიდან არის შემოსული ქართულში, მაგრამ ამ ცნების გამოხატავად, რასაც ეს სიტყვა ქართულად გადმოსცემს, ინგლისურში იხმარება არა time, არამედ half. ასე რომ ინგლისელი იტყვის — the first half და the second half. ე. ი. თამაშის პირველი ნახევარი და მეორე ნახევარი, ზემოხსენებულ წინადადებაში ნახშირი გამოთქმა—the second time—ნიშნავს არა „მეორე ტაიმს“, არამედ „მეორეჯერ“.

წიგნში არის შემთხვევები, როდესაც წინადადების აზრს ცვლის სიტყვის გამოტოვება.

მაგ. გელასა და სერჯეის დიალოგში: Gela — ... after some time it's thrashed in a thrashing machine. (ლაპარაკია პეტრის გაღწევაზე საღებო მანქანით) Sergei — Did you ever thrash yourself? (გვ. 101, მე-13 სტრ. ქვე). სერჯეის, როგორც ჩანს, უნდა უთხრას — შენ გაღებია პეტრის როდესმე? ნამდვილად კი ეუბნება — როდესმე შენი თავი გაგიტყვია? სიტყვა corn-ის გამოტოვებამ ზრდა thrash წინადადებაში სულ სხვა მნიშვნელობით წარმოგვიღვინა, ამავე დროს, past indefinite-ს ნაცვლად, ამ წინადადებაში უმჯობესი იქნებოდა გვეხმარა present perfect. მაშინ წინადადება საესებით გამართული იქნებოდა ინგლისურად და აზრსაც სწორად გადაგვიცემდა.

ამ შესწორების შემდეგ ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: Have you ever thrashed corn yourself? შეიძლება გვეთქვა აგრეთვე — Have you ever done any thrashing? ერთი და მეორეც სავსებით გასაგები და ზუნებრივი გამოთქმა იქნებოდა.

წიგნში გვხვდება ზოგიერთი გამოთქმა, რომლებიც არ ეღერს ინგლისურად და ქართულიდან თარგმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგალითად, ინგლისელ მკითხველისათვის გაუგებარია გამოთქმა: What you sau? (გვ. 29, 1 სტრ. ქვე.) მის ქართულ ასსანში ვკითხვლობთ — რას ამბობ! (ნუთნ მართლ?)“. ასეთ შემთხვევაში ინგლისურად უნდა გვეთქვა — Really? or You don't say so! დიალოგში At the Hotel ვკითხვლობთ: We are late for half an hour. (გვ. 7, მე-3 სტრ. სათაურიდან) უნდა იყოს We are half an hour late.

ამვე დიალოგში (მე-8 სტრიქ. სათაურიდან)

ვხვდებით ასეთ წინადადებას: I couldn't lose a minute. ეს სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ქართული წინადადებისა — „ერთი წუთის დაკარგვაც არ შემიძლო“. მაგრამ ამ აზრს ინგლისელი ასე გამოთქვამდა: I hadn't a minute to lose (to spare).

ზოგიერთ შემთხვევაში დარღვეულია ინგლისური მეტყველების სტილი.

მაგალითად, ტელეფონის ლაპარაკის დროს არაფინ იტყვის Who talks? (გვ. 104, III აბზაცი სათაურიდან) სწორი იქნებოდა გვეთქვა — Who is speaking? ასევე, გამოთქმაში, — Guess it! (იქვე), ზედმეტია it. ასევე, ინგლისურად არ ეღერს წინადადება — You don't want to say you have no rain in Autumn? (გვ. 103, მე-7 აბზაცი ზევიდან). აქ უმჯობესი იქნებოდა გვეხმარა საყოველთაოდ ზმარებული ინგლისური გამოთქმა: You don't mean to say...

ზოგჯერ მეტყველება დიალოგებში ხელოვნურ ხასიათს იღებს, კარგავს სისადავეს და ზუნებრივობას.

ასეთი, მაგ., წინადადება: Set the wireless on rather a low sound, please! (გვ. 48, მე-13 სტრიქ. ქვე.) ზუნებრივი იქნებოდა გვეთქვა: Turn the wireless down a little, please! or Make the wireless a little softer, please!

უყურადღებობას უნდა მივაწეროთ ისეთი ელემენტარული შეცდომა, როგორცაა: I never go to bed till long after twelve. So do I. (გვ. 9, მე-9 სტრ. ქვე.) აქ, პასუხი, ცხადია უნდა იყოს — Neither do I.

ანალოგიური შეცდომები გვაქვს წინადადებაში: There are some advices. (გვ. 139, მე-5 სტრ. სათაურიდან)

You may listen in to the latest informations. (გვ. 48, მე-2 სტრ. სათაურიდან).

ცნობილია, რომ ისეთი სიტყვები, როგორცაა: advice, information და სხვ., ინგლისურში არ იხმარება მრავლობითი რიცხვის ფორმით.

სასურველია, ავტორებმა გაათავალისწინონ ზემოაღნიშნული შენიშვნები, დახვეწონ მეტყველების სტილი, გაამარტივონ ზოგიერთი ზედმეტად გაართულებული დიალოგი და შემდგომ გამოცემაში მოსწავლე ახალგაზრდობას მიაწოდონ უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელო.

დორა წიკითელი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი ატენის ხეობაზე



ამ რამდენიმე ხნის წინად სახელგანთქმა გამოსცა პროფ. ს. მკალათიას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი: „ატენის ხეობა“.

რომელიც თავისებურ ტერიტორიულ გზაყვავილასა წარმოადგენს. ამგვარი შრომა, სადაც წარმოდგენილია ცალკეული ზეობის ისტორიულ-ეთ-

ნორკადული მიმოხილვა, მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერა და ხალხის შრომა-საქმიანობა, ზეინი შეხედულებით მეტად სასარგებლოა საბჭოთა მკითხველის ფართო მისებისათვის. ვარდა ამისა აღნიშნულ ხასიათის ნაშრომში საქართველო ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც, რადგან ამ ბოლო ხანებში საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოდიან ტურისტები არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან, არამედ უცხოეთის შთელ რაგ სახელმწიფოებიდანაც და ასეთი ხასიათის ნარკვევები, გარკვეულ წარმოდგენის შემქმნელად მათ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეზე. ამ შრომე პრაფ. ს. მაკალათიას ცდა მისხამდა და სასურველია, რომ ასეთივე სახის ნარკვევები საქართველოს სხვა კუთხეებზეც დაიწეროს და ისიც მხოლოდ არა მარტო ქართულ ენაზე.

პრაფ. ს. მაკალათიას მეტად საშური საქმიანობის მოკლეობა ზელი და უნდა ითქვას კარგადაც შეუსრულებია თუ შეუდგელობაში არ მიედიებოთ ზოგიერთ ხარვეზებს, რომელთა გამოსწორება აუცილებელია.

მთელი ხეობის და აქედან გამომდინარე სოფლებისა და ნასოფლიარების ციხე-კოშკებისა და ეკლესია-ტაძრების სათანადო დოკუმენტაციით აღწერა, მეტად რთული და თანაც შრომატევადია. ერთი შეხედვით აღნიშნულ ნარკვევში თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ბევრი რამ არა ზუსტად არის გაშუქებული და ზოგჯერ ნაქარგი დასკვნებია გაითვალისწინო. მაგრამ გადაიდუმდე უშელოდ მაგალითებზე.

ატენის ხეობა სავარძე 30 კმ. აღწევს და ჯერ კიდევ უძველეს დროიდანვე მნიშვნელოვან სტრატეგიულ და სამიწისვლო რაიონს წარმოადგენდა. იგი დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობაში სამხრეთდასავლეთით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ბიზანტიასთან, რომელთანაც შიდა ქართლის უმოყლესი ვხა ჰქონდა ტანას ხეობით". (გვ. 1) სწორედ ამიტომ ატენის ხეობას ძველთაგანვე ექცეოდა დიდი უზრაღლება, მის დასახლებას, გამაგრება-აშენებას. ხეობა სავსეა უამრავი ისტორიული ძეგლებით, ციხე-კოშკებით და ეკლესია-შონასტრებით. მათ შორის ამჟამად დავს VII საუკ. ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ატენის დიდი სიონი, რომელიც თავის დროზე ქართლისათვის რელიგიურ-კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

ესაში სიავემ ვაჰპარტაბა ატენის ხეობა. თერქ-ქაზანელ დამპყრობთა თარეშმა და მათ მიერვე წაქეზებულ ლეკების განუწყვეტელმა თავდასხმებმა მოშალა ერთდროს შვიდროდ დასახლებული ხეობის შვიდობიანი ცხოვრება. როგორც ავტორი შენიშნავს: „XIV საუკ. დამდგმე ატენის ხეობაში მოსახლეობა უკვე აღარ ყოფილა და ეს უკაცრიელი ადგილი საქართველოს რუსეთ-

თან შეერთების შემდეგ გენერალ ერმოლოვის გადაუცი ვენერალ-მაიორ თავად გიორგი ერისთავისათვის". (გვ. 8). მართლაც, გენერალი გახდა ხეობის მებატონე და ქსნის ხეობიდან თავისი გულბევი გადმოუსახლება, ავტორი შემდეგ დაასკვნის, უკაცრიელ ხეობაში გენერალს 50 კომლი გლეხის გადასახლებით „ხეობაც თანდათანობით მოშენდა“ (გვ. 10). ასეთი დასკვნა სიზუსტეს მოკლებულია. XIX-საუკუნის დასაწყისში ატენის ხეობაში მოსახლეობა მართლაც შეთხველებული იყო მტრის განუწყვეტელი თავდასხმების გამო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხეობა უკაცრიელი იყო. რაც მეტად გ. ერისთავის 50 კომლი გლეხს, ესენი უშთავრესად დასახლებული იქნა ხეობის გასამაგრებლად — საყაროლოდ. „ვინიდან გენერალ ერისთავის მიერ 50 მეკომრის ატენის ხეობაში გაგზავნის შემდეგ უკვე მათე თვეა, რაც აქ არ მომხდარა ყანაღური თავდასხმები და დარბევები“ (გვ. 10). ამ ამონაწერიდან ჩინს: „უკვე მათე თვეა რაც არ მომხდარა ყანაღური თავდასხმები და დარბევები“. ათი თვის წინ კი ადგილი ჰქონდა მას, თუ მოსახლეობა არ იყო მინიმუმ ვის ესხმოდნენ და არბევდნენ?

შემდეგ ავტორი განიხილავს მატერიალურ კულტურის ძეგლებს და ამ თავშივე ჩამოთვლის ატენის ხეობაში შემავალ სოფლებს, რომელთა სიაშიც აქცევს ს. ჭეპარტუს (17). ევონებოთ ავტორისათვისაც ცნობილი უნდა იყოს, რომ ჭეპარელი მტყერის მარჯვენა მხარეს წყლის პირას არის გამოენებული და არა მდ. ტანის ხეობაში.

ავტორი თითოეულ პუნქტს განიხილავს ისტორიულ პრილაში და საინტერესო მასალას აწეღის მკითხველს. აქ შეიძლება დასახლებული იქნეს შავალითხათის ატენის ხეობის შრომელთა რევოლუციამდელი ყოფა. ხეობის ყველაზე დიდი სოფელი ატენი რამდენიმე უბნისაგან შედგება 800 კომლით. მოსახლეობა საკარმიდამო ფართობისა და მიწის სიმცირეს განიციღდა, ვინიდან სახანვ-სათესი მიწების ძირითადი ნაწილი მებატონეების ხელში იყო, ძველად მდ. ტანის ხეობის მარჯვენა მხარე ერისთავს ეკარა, მარცხენა კი ორბელასან, რომლისგანაც შემდგომ მიმუღები ფინელმა ხეტყის მარჯვენამა ზეზემანმა იყიღა. ზეზემანმა ამ ხეობაში ვიწრო ლიანდაგინი რკინიგზა გაიყვანა და ხეტყის გამოხიღვა დაიწყო. მდ. ტანას ორივე მხარეზე ამისებული ძვირფასი ტყე ყანაღურად გაიყვდა და ამის გამო ედვინდვს წიწყოვინი ტყეებით ადფარული ხეობა გაშომელდა. ამაჰამდ მდ. ტანას მარჯვენა და მარცხენა ნაპირები შემოსილია თხელი ბუჩქტყით, რომლის შოვლა-გაშენებას დიდ ყურადღებას აქცევს ატენის სატყეო აგარაკი.

აღნიშნულ ნარკვევში ავტორი განიხილავს რევოლუციამდელი ატენის ხეობის მოსახლეობის შრომა-საქმიანობას, როგორიცაა მიწათმოქმედება, მეენახეობა, მონადირეობა და სხვა. მაგრამ



ზოგიერთ საკითხს სისრულით არ გადმოგვეცმა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებული იქნეს შემდეგთ: „ნადირობდნენ თოფით და ძაღლებით, ხაფანგსა და მახეს არ ხმარობდნენ“ (გვ. 34), მაშინ როდესაც ამ ხეობის ეთნოგრაფიული სინამდვილეში დამოწმებულია ძველებური ხაფანგებისა და მახე-სარგვეელების ნაირი სახეობა.

გარდა აღნიშნულისა ავტორი ხშირად იშვრებს ერთი და იგივეს. მაგ. სოფ. ზიდისათვის შესახებ ამ სოფლისათვის სახელის შერქმევამ იმეორებს 3 და 12 გვერდებზე.

განსაკუთრებით საინტერესოდ იკითხება ნაშ.

რომის დასკვნითი ნაწილი, სადაც ავტორი იძლევა ატენის ხეობის ძველი დეპტაფდუ ცხოველების დაპაიისპირებას. აღწერულ ცხოველებსა და მებატონეებისათვის მომუშავე ვლუხობას ჩვენს მიწინავე კოლმეურნეებს, რომლებიც აშენებენ ბედნიერ, საამურ ცხოველებს.

აღნიშნულა შენიშვნები არ ამიტიებს ნარკვევის მნიშვნელობას. სასურველო იქნებოდა ასეთი სახისა და ხასიათის ნარკვევები იბეჭდებოდადეს სისტემატურად დიდ ტირაჟით, აუცილებელია რუსულ ენაზე მათი გამოცემა.

გურამ ბასიბაშვილი

მონობრავია საქართველოს გლეხობის შესახებ



ქართველ ისტორიკოსთა კვლევის ობიექტს უკანასკნელ ხანებამდე ძირითადად სახატონო გლეხები წარმოადგენდნენ. სახელმწიფო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას კი არ ექცეოდა ყურადღება. ქართული ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზს განსხვავებულ მონაკვეთში (1801-1864 წლები) წარმატებით ავსებს პროფ. ი. გ. ანთელავას რუსულ ენაზე გამოცემული მონოგრაფია „სახელმწიფო გლეხები საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (რეფორმამდელი ეპოქა)“.

სარეცენზიო ნაშრომი დამყარებულია პირველ წყაროებზე. ავტორი უხვად იყენებს ვამოქვეყნებულ დოკუმენტებს, მაგრამ მის დამახტურებად უნდა ჩაითვალოს მრავალრიცხოვანი ახალი საარქივო მასალების გამოვლენა და უხვად გამოყენება მონოგრაფიაში.

მონოგრაფიის პირველი თავი (გვ. 15-79). მოძღვნილია სახელმწიფო გლეხთა კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესის შესწავლისადმი. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გლეხები საქართველოში რუსეთთან შეერთებამდეც არსებობდნენ, მაგრამ ყმა გლეხთა მასიდან უფლებრივ-ეკონომიკურად განსხვავებული სახელმწიფო გლეხთა გამოყოფა და მათი ცალკე კატეგორიად ჩამოყალიბება მოხდა XIX ს-ის პირველ ნახევარში. სახელმწიფო გლეხთა შემადგენლობაში თანდათან შევიდნენ ყოფილი სამეფო და საუფლისწულო გლეხები, აჯანყებებში მონაწილეობისათვის რუსეთის მთავრობის მიერ დასჯილი თა-

ვადანართთა უმები, თურქეთ-ირანიდან საქართველოში ჩამოსახლებული სომხები და ბერძენები, რუსი კოლონისტები და სხვ.

ავტორი სწორად ახასიათებს მეფის მთავრობის პოლიტიკას, ძველი პრივილეგიების დეკარგით განაწყენებულ და ოპოზიტაში ჩამდვარ ქართველ თავადაზნაურობას ცარიზმი უმამამულის ჩამორთმევით ასუსტებდა, ამავე საშუალებით იგი ზადიდა სახაზინო კონცხსა და სახელმწიფო გლეხთა რიცხვს. ავტორი სამართლიანად დასკვნის, რომ სახაზინო მიწებისა და სახელმწიფო გლეხების როგორც სექსპულაოატაციო ობიექტის სიმრავლე ცარიზმის ძლიერების ერთერთ წყაროს წარმოადგენდა. სახელმწიფო გლეხები ზაზინისაგან ძირითადად საადგილმამულო დამოკიდებულებაში იყოფებოდნენ, მაგრამ, როგორც ავტორი სწორად აღნიშნავს, ცარიზმი იყენებდა ვარე ეკონომიკურ იძულებასაც. სახაზინო გლეხთა ზედმეტი შრომის მოთვისების, გადასახადების გაწერა-აყრფის მიზნით მთავრობა ქმნიდა სპეციალურ დამესებულეებს (სახაზინო ექსპედიცია, სახაზინო პალატა, საერობო პოლიცია და სხვ.).

ავტორი არღვევს ოფიციალურ ვერსიას, რომლის მიხედვით სახელმწიფო გლეხები გამოცხადებული არიან თავისუფალ მხენელ-მოთსკელებად. იგი სწორად მიუთითებს, რომ სახელმწიფო გლეხები ფაქტურად უმები იყვნენ, მაგრამ სახატონო გლეხებთან შედარებით ისინი უფროს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სახელმწიფო გლეხები შედარებით უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი მათ, ნაკლებად იბეგრებოდნენ გადასახადებით, მათ ქონდათ თავისუფალი შეწარმეობის შერეა საშუალება. ამიტომ — დასკვნის ავტორი — სახატონო გლეხები მისწრაფოდნენ სახაზინო უწყებისადმი.

• Проф. И. Г. Антелава. Государственные крестьяне в первой половине XIX века (до крестьянской реформы 1864 г.). Изд. АН Груз. ССР

ინტერესით იკითხება ნაშრომის მეორე თავი — საბატონო გლეხების ბრძოლა სახაზინო უწყებაში გადასვლისათვის (გვ. 80-154). ავტორი კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით გვიჩვენებს საბატონო გლეხთა მიმდევარი რევოლუციური მდგომარეობას. წიგნში ნაჩვენებია ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბატონო გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ფორმები (გადასახადების გაღებაზე უარის თქმა, გაქცევა-გაბიზნა, მებატონეთა მკვლელობა, შეიარაღებული აჯანყებები და სხვ.). იქვეა სასამართლოს მეშვეობით გლეხთა თავისუფლების ძიების ამსახველი მასალები.

სახელმწიფო გლეხთა კონსოლიდაციის პროცესის შესწავლა-გადმოცემის შემდეგ, წიგნის მესამე თავში (გვ. 155-390) ავტორი ეხება სახელმწიფო გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ, საყოფაცხოვრებო და კულტურულ მდგომარეობას. სრულად მართებულად სახელმწიფო გლეხთა მდგომარეობის ანალიზი მოცემულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ფონზე.

ქვეყნის სოციალ-ეკონომიური ვითარების მიმოხილვის შემდეგ ავტორი დიდ ადგილს უთმობს თავის ქვლევის ძირითად ობიექტს სახელმწიფო გლეხებს, რომელნიც ბატონყმობის გაქცევის წინ შეადგენდნენ საქართველოს გლეხური მოსახლეობის 56 პროც. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფო გლეხები მატერიალური სიმდიდრის წარმოების სფეროში.

საინტერესო მასალებია მოტანილი მონოგრაფიაში სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების საიდუმლოება. კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ავტორი ლაპარაკობს გლეხთა ძირითადი მასის მცირე მიწიანობასა და სიღარიბეზე, მიწით უზავდ უზრუნველყოფილ გლეხებზე, რომელნიც ქმნიდნენ შეძლებულ გლეხთა ფენას.

წიგნში შესწავლილია მეფის მთავრობის სავადასახადო სისტემა, ნაჩვენებია მისი ევოლუცია XIX ს-ის პირველი ნახევრის მანძილზე. ავტორი სწორად მიუთითებს, რომ რუსეთის მთავრობამ პირველ ხანებში თითქმის უუცლად დატოვა ქართველ მეფეთაგან ნაინდერძევი სავადასახადო სისტემა და გადასახადო სხევები (კოდის პერი, სურსათი, შაბტა და სხვა აღმოსავლეთ საქართველოში; საფრ, სუდიერო, საცხე და სხვ. დასავლეთ საქართველოში).

წიგნის ავტორი მიუთითებს 1843-45 წლებს რეფორმის შედეგად შემოღებულ სავადასახადო სისტემის ნაკლოვანებებზე; უმეტესწილად მხედველობაში არ მიიღობოდა დასახეური კომლის განკარგულებაში არსებული მიწის ოდენობა, მუშა საქონელი და შემოსავლის სხვა წყაროები. ვადასახადები ძირითადად კომლთა შორის თანაბრად ნაწილდებოდა, რის გამო სავადასახადო ტარიტი განსაკუთრებით მძიმედ აწვა გლეხობას ტარიბს ფენას. მიუხედავად ამისა, მართებულად

დაასკენის ავტორი, სავადასახადო სისტემის რეფორმის, პროდუქტადი გადასახადების კომპროციას ქმნიდა დადებითი მნიშვნელობისა და ნულის უწყობდა სასაქონლო ფულადს ურთიერთობის განვითარებას.

ინტერესით იკითხება საზოგადოებრივი წიგნის უკანასკნელი თავი — სახელმწიფო გლეხთა კლასობრივი ბრძოლა (გვ. 432-471). არნა აღინიშნოს, რომ არა მარტო ამ თავს, უმეტად მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს XIX ს-ის რევოლუციური საქართველოში კლასობრივი წინააღმდეგობისა და კლასობრივი ბრძოლის სიმწვავის ფაქტი. წიგნი საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, რომ რევოლუციური ხანის საქართველოს ისტორია ეს არის კლასთა ბრძოლის ისტორია.

ნაშრომის უკანასკნელი თავი ამ მიმართულებით წიგნის შემავსებელი ნაწილია. ავტორი სწორად მიუთითებს, რომ XIX ს-ის პირველ მესამედში მომხდარ აჯანყებებში სხვა კატეგორიის გლეხთა მხარდამხარ აქტიურად იბრძოდნენ სახელმწიფო გლეხები. 30-იანი წლებიდან კლასობრივი წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა და ანტიბატონყმობა ბრძოლამ მრავალგვარი ფორმები მიიღო. წიგნში მოტანილია დღემდე უცნობი ფაქტები გლეხთა გამოსვლებისა (მფლავარება ახალციხის მხარეში 1837 წ., გამოსვლება თელავსა და სიღნაღში 1842 წელს, უახში — 1845 წელს და სხვ.).

რამდენიმე შენიშვნა წიგნის მიმართ. როცა ავტორი ლაპარაკობს სახაზინო მამულებისა და სახელმწიფო გლეხთა კონტრენტის შემაგებებელ წყაროებზე (სამეფო, საფრ-ლისწულო, საბატონო მამულები და გლეხები). მს მხედველობიდან ჩანება სათემო მიწები და თვისუფალი გლეხობა, რომელიც საკმაო რაოდენობით იყო საქართველოს მთიანეთში. თუმცა, ფშავ-ხევსურების, მთხევების, შიის რაქველებისა და სვანების თავისუფალ გლეხთა საერთო მფლობელობაში მყოფი ტყეები, საძოვრები, სათიბეები და სხვა რუსეთის მთავრობამ ხაზინის საყუთრებლად გამოაცხადა, თავისუფალი მთიელები კი სახელმწიფო გლეხთა კატეგორიაში ჩაირიცხა.

სადაც გვეჩვენება საქართველოში თემური მიწათმფლობელობის საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა. ცნობილია, რომ XIX ს-ს 60-80 იან წლებში არსებობდა ხალხსურთი შეხედულება რუსეთის სოციალური წყობის თავისებურებათა შესახებ. სასოფლო თემი და თემური მიწათმფლობელობა მინდელი იყო რუსეთის ბედნიერ გამონაკლისად. თემური მფლობელობის ფაქტებს ეკებდნენ არარუსულ ოქცებშიც.

წიგნის ავტორიც აღიარებს, რომ რუსეთთან შეერთების მომენტში საქართველოს ზოგიერთ კუთხეში თემური მიწათმფლობელობის მხილად გადმოწამებები არსებობდა. მეფის მთავ-



რომამ, რომელიც გამოდიოდა ფისკალური მოსაზრებებიდან, სცადა საქართველოში დაენერგა თემური მიწათმფლობელობის ისეთი ფორმები, როგორიც იყო ჩრქეთში. სასოფლო საზოგადოება ფორმალურად ითვლებოდა სახელმწიფო მიწის მფლობელ მფლობელად მოცემულ ტერიტორიაზე. სურდა რა ყოფილი გადამხდისუნარიანი მოსახლეობა, შეეღობა მთავრობა ცდილობდა თანაბრად გაენაწილებინა მიწა სახელმწიფო გლეხთა შორის. ღარიბი გლეხობა სარკვებლობდა მთავრობის ასეთი განწყობილებით და სასოფლო საზოგადოების ყრილობებზე გამოდიოდა მიწების გადანაწილების მოთხოვნით. ბრძოლა მიწების გადანაწილებისათვის კლასობრივი ბრძოლის ერთერთ გამოვლენას წარმოადგენდა საქართველოს სინამდვილში.

ნაშრომში გადიდებული მასშტაბით არის წარმოდგენილი თემური მფლობელობაში მყოფი მიწის ფართობი და მიწების გადანაწილების ცალკეული ფაქტები. XIX ს-ის საქართველოში სასოფლო საზოგადოება, რასაც სარეცენზოი წიგნის ავტორი ზნაბად სასოფლო თემს უწოდებს, წარმოადგენდა სახელმწიფო იდენტიფიკაციული დაყოფის უმცირეს ერთეულს. სასოფლო საზოგადოების ეკისრებოდა პასუხისმგებლობა გლეხთა მიერ გადასახადის სრულად და დროულად შეტანისათვის. შემოღებული იყო ურთიერთ თავდებობა, ერთი კომლის მიერ გადასახადის გადაუხდელობისათვის ყველა და მარტონი კომლები აგებდნენ პასუსს. ამიტომ სასოფლო საზოგადოების კომპეტენციაში შედიოდა სოფლიდან გლეხის გაშვება და ახალი წევრის მიღება. ასეთი წესი არსებობდა არა მარტო სახელმწიფო გლეხებით, არამედ დროებით ვალდებულ და სხვა კატეგორიის გლეხებით დასახლებულ სასოფლო საზოგადოებებში. საზნაონო მიწის უზენეს შესაფერის მთავრობა წარმოადგენდა, ეს მიწა ეძლეოდა სახელმწიფო გლეხებს მუდმივ სარკვებლობაში. ტყეებითა და სიძოვრებით გლეხები თემურად სარკვებლობდნენ. სახანაოსნოსის გადანაწილება იშვიათად ხდებოდა. ასეთი მიწის უდიდესი ნა-

წილი სამემკვიდრეოდ ქონდათ დაჩემებული გლეხთა ცალკეულ კომლებს, ბაღ-ვენახები მთლიანად შემკვიდრებით კომპობრეუ მფლობელობაში იყო, ისინი მიწის თავის საკუთრებად თვლიან და საჭიროების შემთხვევაში კიდევ ყალიბს მის. შეეღობა მთავრობა ცდილობს ამკრძალავი ზომებით შეაჩეროს საზნაონო მიწების საეკპრო ბრუნვაში შესვლის პროცესი.

დაზუსტების საჭიროებს ავტორის მსჯელობა 1849 წლის კანონის გამოცემის წინაპირობების შესახებ. 1849 წლის კანონი საბატონო გლეხებს ფაქტურად უკრძალავდა სასამართლოს შემეგობით თავისუფლების ძიებას და ამდენად იცავდა მეზბატონე-მემამულეთა ინტერესებს. აღნიშნული კანონის გამოცემის პირველ მიზეზად ავტორი თვლის იმ გაჩემგებას, რომ XIX ს-ის შეაწლებლისათვის უკვე საქმარისად შეიგოსო სახელმწიფო გლეხთა კონტინენტი და მთავრობამ შესაძლებლად ჩათვალა საზღვარი დაედო საბატონო გლეხთა საზნაონო უწყებისაკენ ლტოლვისათვის. მეორე მიზეზად კი იცხადებს თავდაზნაურთა ოპოზიციის, მთავრობის სწინააღმდეგო ფრონდირების შეწყვეტის. პირველი პართლაც იყო 1849 წლის კანონის გამოცემის ერთ-ერთი წინაპირობა, მეორე კი უკუემმარათებაში ფაქტურად მდგომარეობისადმი. თავდაზნაურთა იზრბოდა წინააღმდეგ 1836 წლის კანონისა, რომელიც საბატონო გლეხებს აძლევდა სასამართლოს შემეგობით თავისუფლების ძიების შესაძლებლობას. მეფის მთავრობამ უფრად იღო თავდაზნაურთა მისწრაფება და გამოსცა მათი ინტერესების შესაფერისი ზემოხსენებული 1849 წლის კანონი. ამის შემდეგ საბოლოოდ მოიხსნა მთავრობასა და ქართულ თავდაზნაურობის შორის არსებული წინააღმდეგობა.

წიგნში მოტანილი მრავალრიცხოვანი მასალა მეცნიერულადაა გაანალიზებული. ფაქტები და მოვლენები სწორად შეფასებული და განზოგადებული. პროფ. ი. გ. ანთელავის მონოგრაფია საბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმატების ცხადი მაჩვენებელია.

ალ. ბენდიანიშვილი. დ. გოგოლაკი

ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი



ხალხურ სიმღერებს თავისი ისტორია აქვთ, ყოველ მოთვანთან დაკავშირებულია უაღრესად

გიორგი სვანიძე, ქართული ხალხური სიმღერები და მათთან დაკავშირებული თქმულებანი. შახელგამი, 1947.

საინტერესო გადმოცემები, თქმულებები, გააზრებანი. არის სიმღერები, რომელთა აღმოცენების თავდაპირველი კონკრეტული ვითარებანი ცხოვლადა შემორჩენილი ხალხის მესლიერებში, ზოგი ხალხური სიმღერის წარმომავლობა კი მერმინდელი გააზრების ნაყოფია.

შემდგენლობითი მსოფლმხედველობისა და წარმოსახვის საფუძვლებზე შემუშავებული. თქმა არ უნდა, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებთან დაკავშირებული გადმოცემა-თქმულებების შეგროვება და სისტემატიზაცია გადაუდებელი საქმეა, რამდენადაც დროთა ვითარებაში ეს თქმულებანი დავიწყების ეძლევა. ეჭვს გარეშეა, რომ ქართული პოეტური და მუსიკალური ფოლკლორის პრაქტიკული ამგვარი მასალა საპატიო ადგილს დაიკავებს.

ამ თვალსაზრისით ერთი საყურადღებო კომპოზიტორ ვიოლანტი სვანიძის მიერ გამოქვეყნებული წიგნი, რომელიც პირველი სერიოზული ცდაა ქართული ხალხური სიმღერების წარმომავალთან დაკავშირებული ფოლკლორული მასალის შეგროვებისა.

ტექსტები რედაქტირებულია და გამოსაცემად დამზადებული ელენე ვირსალაძის მიერ, კრებულს ერთვის რედაქტორის მიერ საქმის ცოდნით შედგენილი შენიშვნები.

გ. სვანიძის კრებულში წარმოდგენილი უმთავრესად ქართულია და კახეთში შეკრებილი თქმულებანი. აქ არის ტრადიციული ქართული ხალხური შემოქმედების მრავალი საინტერესო ნიმუში, შრომის, საყვოს, სურვილი; საისტორიო და საყოფაცხოვრებო სიმღერები, რომელთა შორის ბევრია დღემდის უცნობი და დაკარგულად მიჩნეული ტექსტები. სიმღერების უმეტეს ნაწილს დართული აქვს ნოტები. წიგნში გვხვდება მთელი რიგი ხალხური სიმღერები, რომლებსაც დღემდის ვიცნობდით მხოლოდ ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მაგრამ მათი ტექსტები დაკარგული გვევლინება აქ დაკარგულთა, მაგალითად, „სამანახურას“ — უფროსის დაწერასთან დაკავშირებულ შრომის სიმღერას, რომლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ალ. ჯამბაყურ-ორბელიანი („იერიელთა სიმღერა, გალობა და ლაღინა“, „ცისკარი“, № 1861 წ.). ამ სიმღერის ტექსტი და მელოდია ცნობილი გახდა მხოლოდ გ. სვანიძის მიერ ჩაწერილი სამი ვარიანტით. ასევე უნდა აღვნიშნავთ „ქვერის რეცეპს“ ლექსები, რომელთა შესახებ ცნობა იმავე ჯამბაყურ-ორბელიანს მოგვცემს. ანდა ავიღოთ ტექსტი და თქმულება „ქალო, ქალთა მზეო“, რომელიც, როგორც ხალხური, მოხსენიებული იქვს დ. გურამიშვილს; ერთი ნაწყვეტი მოყვანილი აქვს თანე ბატონიშვილსაც „ქალმასობაში“. ახლა კი ჩვენ ხელთაა ამ სიმღერის სრული ტექსტი და მასთან დაკავშირებული თქმულება გ. სვანიძის წყალობით.

სარეცენზო წიგნი გვაცნობს ძველ სახალხო მთქმულთა და მომღერალთა დავიწყებულ სახელებს.

ზოგიერთი ტექსტი ამჟღავნებს მერმინდელ

ჩანართებსა და გადაცემებს, მიუხედავად ამისა, რომ ისინი საქმოდ შეიცავენ არქაულ მღერებებს. ასე, მაგალითად, „უფრწინესუ და მანახიას“ ჩანართები, როგორც უმცირესი სვანიძის კრებულში წარმოდგენილი მასალა კი შეიცავს ისეთ ძველ პლასტებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ამ უძველესი სიმღერების შესასწავლად, თუნდა გამოქვეყნებული ტექსტების სიუფერტორ დაფენებაში სავსებით აშკარაა შემდგომდროინდელი ჩანართები და ახალი გააზრებანი. „სამიას“ ტექსტში საინტერესოა „სამიას“ ახალი ვარიანტები: „სამიას“ — „ჩვენ სამ დასა, მიასა“. ე. ვირსალაძის აზრით, „სამიას“ არქაულ ელენეცხად უნდა მივიჩნიოთ ფერხელის ძველი, იქნებ საყვოს, ფუნქციაც.

აქვე აღსანიშნავია ლექსის „შავლეგო“ ახალი ვარიანტები. როგორც ვიცით, „შავლეგოში“ ვიოლანტი ლეონიძემ ამოიკითხა ისტორიული პიროვნება, თმარს მეფის დროინდელი გმირი შალვა ახალციხელი. გ. სვანიძის ვარიანტით კი შავლეგო ლეგეთან მებრძოლი გმირია. ეს გაჩემოება მაინც არ გამოირცხავს იმას, რომ ეს ლექსი ძველია და დაკავშირებული მე-13 საუკუნის დასაწყისის ამბებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილი „ბერი ცოცი ვარ“ ხალხურ „როსტომიანს“ უკავშირდება, — გ. სვანიძის მიერ ჩაწერილი გადმოცემა კი უფრო ახალი ჩანს, მაგრამ ძალიან საინტერესოა ამ ძველი ტექსტის ახალი გააზრება. ახალ ვარიანტში უფრადღებას იხერხებს საყოფაცხოვრებო დეტალები, სოფლის ცხოვრების სურათების-სიუიტიური პრაქტიკის მკვეთრი გამოხატულებით.

ზოგიერთი სიმღერა, გადმოცემის მიხედვით, კახური კი არაა, წარმომავლით ქართული ყოფილი. ასეთია, მაგალითად, შესანიშნავი ხალხური „ზამთარიო“ (ამის თაობაზე იხ. რედაქტორის შენიშვნა, გვ. 142). ქართულია ჩანს „შოდისო მტერი, კახელი“. ამას, ვარდა გადმოცემებისა, ადასტურებს ტექსტის ზოგიერთი რეაღია (გორის ციხე, დანახისის შთა და მონასტერი, ყარყაზანისა და ტლაშაძეების გვარის ხსენება და სხვ.). ე. ვირსალაძე ამბობს, რომ შესაძლებელია, ეს ზოგად-ქართული მხედრული სიმღერა იყო (გვ. 145). ზოგად-ქართულია, ცხადია, არ გამოირცხავს სიმღერის ლოკალურ წარმომავალს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გ. სვანიძის წიგნი თქმულებათა, ხალხურ გააზრებათა კრებულაა, და, ბუნებრივია, მას მეცნიერულ დასკვნებს ვერ მოვთხოვთ. რა უწყეთ, რომ ზოგიერთი თქმულება ნაყლებ ფასეულია, ზოგიერთი მათგანი მხატვრული თვალსაზრისით სუსტია. მინდა ასეთი ანალოგია მოვიშველიო: იტყვათა ე. წ. „ხალხური ეტიმოლოგიები“, როგორც ვიცით, დამოკრებულია სიტყვათა მეცნიერულ ეტიმოლოგიებსა, მაგრამ ვინ

აგვიჩქარა, ასეთი ხალხური გააზრებანი შეეკრიბათ და გამოეყვანათ! ხალხური შემოქმედების ნიმუშები ყველა ერთნაირი ღირებულებებისა არც შეიძლება იყოს, და ამიტომ გემართებს, ამგვარი მასალის კვალიფიკაციისას მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ... მით უმეტეს, რომ ამით გვერდით სარეცენზო წიგნში წარმოდგენილია უთუოდ დამაფიქრებელი და მეტწიერული თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი მასალა.

ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში ამბობს: „ბევრი სიმღერა ბავშვობიდანვე ვიცოდი. ხალხური მუსიკის დიდი სიყვარული იყო მიზეზი იმისა, რომ 35 წლის განმავლობაში ემოცხაურობდი ქართლისა და კახეთის დაბებსა და სოფლებში, სადაც მასალების შეკრების დროს ბევრი სიამოვნება, მაგრამ მრავალი სიმწარეც მიწა-ხავს. მრავალჯერ გამითვია ღამე მინდორში, დაქანცულვარ გრძელ ვზახე... არ დამკლებია არც სოფლის ავი ძაღლების კბილები, არც ფანდარმთა და სხვადასხვა მოხელეთა უხეშობა, რომელთაც ეპეს ჰგვირდით ჩემი საქმიანობა“ (გვ. 6-7).

გიორგი სვანიძე, ჩემი და მოყრდნეული მეშავი, ქართული ხალხური სიმღერებს დიდი მსოფნე და ფასდაუდებელი ფოლკლორული მასალების დაუღალავი შეშკრები, დღესანს ემსახურებოდა ჩვენს საშუალო სკოლასაც, როგორც ვალობის მასწავლებელი. ამ სარბიულზე იგი ეწეოდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის პრობანდის, ახალგაზრდებს მშობლიურ სიმღერებს აყვარებდა და მათდამი ინტერესს უღვივებდა. ხალხურ სიმღერებზე დაკვირვების უნარს უმუშაებდა. რამდენადაც ვიცი, ჩვენს პატივცემულ მასწავლებელს დიდძალი მასალა აქვს შეკრებილი, და სარეცენზო კრებულში მხოლოდ ერთი ნაწილია სათუთად და გულისხურით ფიქსირებული პოეტური და მუსიკალური ფოლკლორის მასალებისა.

მკითხველი მოელის გიორგი სვანიძის მიერ შეგროვებული სხვა ტექსტების გამოქვეყნებას იმევე სხიით, როგორც ეს მოცემულია სარეცენზო წიგნში.

შ.ო.თა კიძიფური

ანა ზევერისის რომანის ქართულად გამოსვლის გამო



ვერმანელი მწერალი ქალის — ანა ზევერისის შემოქმედება კარგა ხანია ცნობილია საქართველოში. ორი-სამი წლის წინათ ქართულ ენაზე გამოვიდა მისი მოთხრობების კრებული. ასე რომ, აღნიშნული რომანი არაა ბირველი ნიმუში ქართულ ენაზე ა. ზევერისის ნაწარმოებების თარგმნისა, მაგრამ ზევერისს, როგორც რომანისტს, ბირველად ეცნობა ქართველი მკითხველი.

ა. ზევერისის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისი ემთხვევა მე-20 საუკუნის ოციან წლებს, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მეტად ნიჭიერი მწერალი ქალი ფეხს დგამდა ცხოვრებაში. იგი მოპსრწეა იმ მეტად მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ძვრებისა, რომლებიც ზღვებოდა არა მარტო მის სამშობლოში — გერმანიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იგი თვალუერს ადევნებდა, თუ როგორ „მორეკა ილმოსავლეთის ქარმა წითელი ოქტომბრის ფურცლები“. (ზევერისის გამოთქმა — ნ. რ.).

ბირველი მნიშვნელოვანი ლიტერატურული

ნაწარმოები ა. ზევერისა 1928 წ. გამოაქვეყნა „მოთვევთა აჯანყების“ სათაურით. ამავე წელს იგი შედის ვერმანისის კომუნისტურ პარტიაში.

ფანისტური დიქტატურის დამყარებისთანავე, სხვა თანამემამულეებთან ერთად, ა. ზევერისსა საფრანგეთს მიაშურა. 1940 წ. როდესაც საფრანგეთი ფაშისტების მიერ ოკუპირებული იქნა, ზევერისი მექსიკაში მიიღის. ამ ხნის განმავლობაში იგი ნაყოფიერი ლიტერატურულ შრომას ეწეოდა. 1947 წ. სხებთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. ომის შემდგომი პერიოდის ბირველი მისი ნაწარმოებია „მიცვლადული ახალგაზრდები რბებიან“ (1949 წ.).

ა. ზევერისის ეს რომანი მოთიავს ვერმანისის ისტორიის მეოთხედ საუკუნეზე მეტ დროს. რომანში ცოცხლდება ვერმანისის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები. რომანის დასაწყისშივე მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს ორ მოწინააღმდეგე სოციალურ ბანაკს. 1919 წლის რევოლუცია მძვინვარებს ვერმანიაში, ერთ მხარეზეა რევოლუციონერი ურგინი, მარტინი და მარია, ხოლო მეორე მხარეზე — კლეში, ვენდლოვი, და ლიენი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ ხდებოდა ერთმანეთს მარია და რევოლუციონერი მარტინი, აშკარად იგრძნობა მათი სულიერი სი-

ა. ზევერისი, „მიცვლადული ახალგაზრდები რბებიან“ მთარგ. თ. უდუნტი და თ. ველაშვილი. კვამომც. „სახელოთა საქართველო“. 1958.

ახლოვე და ერთი საქმისათვის თავგანწირულება. ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდება მეორე ბანაკის წარმომადგენლების — კლემის, ვენკოვის და ლივენის ზედი. მეტად საინტერესო ტრიპა ვიღებლმ ნადლარი, რომელშიც აშკარად ძვერს მომავალი ფაშისტის გული. ყოველივე ეს ერთად აღებული, გვაძლევს მზღინდელი გერმანიის ისტორიული სინამდვილის რეალისტურ სურათს.

რომანის ღირსება ისიცაა, რომ იგი არ იღვრება საკუთრივ გერმანიის ისტორიული სინამდვილის ჩვენებით, არამედ მასში ასახულა სავითარძირის ვითარების არა ერთი და რაი ისტორიული ფაქტი. რომანში ფარდა ეხდება კლემისა და მისი მსგავსი საქმისთვის ანტიინაციონალურ მოღვაწეობას.

თითოეული გმირის სულიერი სამყაროს გახსნაში, მათი ფსიქოლოგიური განცდების ვადოლუმში მწერალი აღწევს დიდ მხატვრულ დამაჯერებლობას. ყველა მოქმედი პირი ორგანულადდა შერწყმული მათს გარემოშიცველ სამყაროსთან. რასაკერძეულია, ყოველივე ამას მწერალი ახერხებს მხატვრული სიტყვისა და მდიდარი ლექსიკური მისალის თავისუფალი გამოყენებით.

რამდენიმე სიტყვით გვსურს შევხვთ ქართული თარგმანის ავტარებინობას, იმას, თუ რამდენად შეძლეს მთარგმნელებმა მათ წინაშე მდგომი საკმაოდ რთული ამოცანის გადამწყვეტა. საერთოდ, ამ თარგმანში იგრძნობა გულმოდგინე მუშაობის კვალი, მაგრამ აშკარა ხდება ის დაინერულობაც, რომელიც გამოწყველია ა. ზევერსისათვის ჩვეული საკმაოდ რთული სტილით. ჩვენ აქ ვნახავთ კარგად თარგმნილი ადგილებს, მაგრამ მთლიანად წიგნი ძენლად გასაძენად ბუნდოვანი ფრაზებითაა გადატვირთული.

ქართული თარგმანის დედანთან შედარებამ დაგვაჩვენა, რომ ა. ზევერსის თავისებური სტილი ვერაა მიღნებული. ხშირ შემთხვევაში გერმანული რთული წინადადება მექანიკურადაა გადმოქართულებული, რასაც სავალალო მდგომარეობაში ჩაუყენებია მთარგმნელები. თარგმანში მთლიანად იგრძნობა მძიმე სტილი, დამლული და მეტად ძენლად გასაყები წინადადებები, რომლებიც ვერაა ქართულად გამართული, მათ აშკარად ეტყობათ უცხო ენის სინტაქსის გავლენა, რაც მიუღებელია ქართული წინადადების ბუნებისათვის.

კარგად თარგმნილ ადგილებს (რომლებსაც აქა-იქ ვხვდებით ქართულ თარგმანში) თუ მოვიტოთ, მხოლოდ და მხოლოდ იმტომ, რომ ამ მაგალითის საფუძველზე ნათელი გახდეს, რომ ვერ სჯობდა თარგმნილიყო მთლიანად ა. ზევერსის ეს ნაწარმოები.

რევოლუცია მათთვის იყო ახალი ცხოვრება, რომელიც წარსულთან ისე ნაკლებად იქნებოდა დაკავშირებული, როგორც საქაო საჭიოსთან“ (გვ. 5); „მან ც. ო. ლიეზამ — მ. რ.) უთხრა:

„ამჯერად შენ გარეცხე მარტო. რა კი სსსუფთავის კია შეივინდა“ (გვ. 8).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ აქ შევხვებით ქართული სინტაქსისათვის ვერმართული წინადადების შეუფერებელ გადმოქართულებას. ამ სწიწროების წინაშე დგას თითქმის ყველა მთარგმნიელი, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ვერმართულიდან თარგმნიან.

ცნობილია, რომ გერმანული სინტაქსისათვის დამახასიათებელია გრძელი წინადადებები. ხშირად მთელ ბზეს ჩაკითხვათ და წერტილს ვერ შეხვდებით. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, ა. ზევერსის ეს რომანი მის ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა. მაგამ, თუკი გვცდებით, რომ გერმანული რთული პერიოდები ქართულად ისევე ზუსტად გადმოვიტანოთ, როგორც იგი დედანშია, მაშინ უდავოა, ქართულად ასეთი გრძელი და რთული წინადადებებისგან შედგენილი ფრაზა ბუნდოვანი და ძენლი გასაგები გახდება. ამიტომ მთარგმნელებს სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაუმსვილობინათ უურადლება და უკეთესი იქნებოდა, თუკი ისეთ შემთხვევებში, როდესაც მათ საქმე ქონდათ გერმანულ რთულ პერიოდებთან, ქართულად რამდენიმე წინადადებით გამოხატავდნენ.

გერმანულ რთულ წინადადებაში რსხვებით სხელი მის მოზღვივთ რამდენიმე დასაბუთებულ წინადადებაში შეიძლება ნაცვალსახელი შეევანაელოთ; ეს იმიტომ, რომ გერმანულ ენაში ნაცვალსახელი სქესს განსაზღვრავს და ადვილი გასარჩევია, ლაპარაკი ქალზეა, კაცზე თუ სხვა რაიმეზე. ქართულში კი ნაცვალსახელი სქესს არ მოეთითვლება. ნაცვალსახელი „ს“ ან „იგი“ შეიძლება ერთხელ დასვინდეს და მეორესაც, ამიტომ ქართულად თარგმნის დროს დამოკიდებულ წინადადებებში ნაცვალსახელის გამოკრებით მისახლდნელი გაუგებრობა თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროა გერმანული ფრაზა რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, წინადადებაებით გამოვახტათ. აღნიშნულ თარგმანში კი ხშირ შემთხვევაში პირიქით ხდება და ამიტომაცაა, რომ მასში შეეხვლებით ისეთ ადგილებს, რომელთა გაყება ძენლია, უფრო მეტიც, ბოლომდე გაუგებარი და გაურყვეველი რჩება წინადადების აზრი. მაგალითად, ქართული თარგმანის 22-ე გვერზე ვხვდებით ასეთ წინადადებას: „მოხუცი დიდება დარბაისლურად იჯდა მაგიდასთან, როგორც მთელი ივეჯიდან ერთადერთი გადარჩენილიყო უჩენლად. თუქცა კი, ეტყობა, მსაც მოხვედროდა ტყვია, ისე უცნაურად იყო გვერდზე გადასრილი“. შეიძლება წუთით დაფიქრდეთ, რომ წინადადების აზრში გაერკვეთ. მაგრამ არც დაფიქრება გიშველით. ამ წინადადებიდან მანც გაუგებარი რჩება, ვის მოხვედროდა ტყვია ვინ ან რა იყო გვერდზე გადახრილი, დიდება თუ მაგიდა?! გერმანულ დედანში სწერია, დიდება იყო მეკლარიო. ქართულში საქვეა ასე გაიგოს

მკითხველმა, რადგანაც ამ შემთხვევაში ნაცვალსახელში „მასიაც“ შეგვიძლია ვიგულისხმოთ დიდდაც და მავადაც. ვიმეორებ, ეს მავალითი გამოჩაყლისი არ არის, მთელი წიგნი ასეთი რთული და მძიმე ენითაა თარგმნილი. ეს რთული წინადადება რომ მოკლე ქართული ფრაზებით თარგმნილიყო, ასეთ უხერხულობას მთარგნელები თავს დააღწევდნენ.

აი, მეორე მავალითი, სადაც თითქოს უველად რიგზეა, მასში არავითარი გაუგებრობა არ არის, მაგრამ წინადადება მეტისმეტად ძნელა აღსაქმელია აზრობრივად და სანოთირა უფროსათვის. „დღეს მან, ბეკრაშა, რათა თავიდან აეცილებინა რაიმე შესაძლო გართულება ბატონ ლეიტენანტისათვის, რომელიც არა ოკუპირებულ ზონაში მსახურობს, საშუალო სიხოვით თავის ბატონის ბიძაშვილს, რომელიც ამჟამად რომელიღაც თათბირზე იმყოფება, იგი საშვს, რათქმუნდა, თავის ღროზე დააბრუნებს უკან“. (გვ. 33) განა ეს ქართულია, განა შეიძლება ასეთი სტილით ვთარგმნოთ? რასაკვირველია, არა!

აი, კიდევ ერთი მავალითი სტილისტურად მძიმე თარგმანისი: „ვიდრე უფროსები გავეითებულნი და უძრავად დავდებული ბიჭის გარშემო ფსფუსებდნენ, ერთმა გოგონამ, რომელიც თა შესახებად იტყვიან, არსად არ დაიკარგება, თვით უჯჯობეთშიც კი არაო, ქოთანით ცხელი

წყალი გაავსო და კარბთან ისეთი ნათელი გამომეტყველებით დასდგა, როგორც ქვიშაღარი ცნობილ ზღაპრის „მგლების სისწრაფის“ პეტრინაეს, პატარა გოგონას, რომელიც მგლებს თათებს უფხეკა“ (გვ. 353).

გვიღდა აგრეთვე შეენიშნოთ თარგმანში შემწეული კიდევ ერთი ნაელი, იმისათვის, რომ ნათელი და უფრო ემოციური გახდეს წინადადება, მთარგმნელები მიმართავენ მრავალსიტყვაობას, ნებისმიერად უმატებენ წინადადებაში ისეთ ნიუანსებს, რომლებიც დედანში არ არის, მავალითად, თარგმანში სრულიად ზედმეტადაა ჩამატებული რამდენიმე აღვილას სიტყვა ზეგარდმო.

„...მისი (ე. ი. ერვინის — ნ. რ.) თვალებიდან ბაწაწინა ნაბერწყლები გამოვრთოდა და მარჯვენა ზეგარდმო მისი საწოლისა და კომოდის მიღმა აკარგებოდა“ (გვ. 11 — 12);

„...პროფეტორების სხივითა ქსელის ზეგარდმო ღამეული ცა (?) დაინახა“ (გვ. 395);

„ხოლო ყოველივე ამის ზეგარდმო ჩხაოდნენ რეპროდუქტორები“ (გვ. 422)

ცხადია, წინადადებებში ასეთი ზედმეტი სიტყვების შეტანა არაფერს მატებს თარგმანს.

ვფიქრობთ, ნათქვამიდანაც აშკარაა, რომ მთარგმნელებმა სრულიად არ გაუწიეს ანგარიში როგორც გერმანული, ასევე ქართული ენის გრამატიკულ ნორმებს.

ნოდარ რუხაძე

სახლი წიგნები



სახელმწიფო გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“



- ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი — საქართველოს ისტორია. მთავარი რედ. გ. მელიქიშვილი, გვ. 594, ფასი 11 მან. 20 კაპ.
ვახტანგ ვახანია — ანტონ ფერცულაძის მსოფლმშედეგობა. რედ. ირ. ყიფიანი, გვ. 258, ფასი 5 მან. 10 კაპ.
დ. ენუქიძე — ორატორული ზელოვნები. რედ. ი. ყიფიანი, გვ. 72, ფასი 60 კაპ.
ლადო ასათიანი — ადრე წასული კაცის ფიქრები. რედ. ე. ჯავახიძე, გვ. 80, ფასი 1 მან. 35 კაპ.
რევაზ ჯაფარიძე — ბონდი, რედ. ე. ჯავახიძე, გვ. 86, ფასი 1 მან.
სტენდალი — პარმის სავანე. თარგ. თინათინ ქიქოძისა, რედ. გ. ქიქოძე, გვ. 554, ფასი 9 მან 25 კაპ.
ივანე შამაგინი — ღრმა მდინარება. თარგ. გ. იარალოვისა. რედ. დ. კასრაძე, გვ. 384, ფასი 7 მან.
ილია დუბინსკი — სტალინგრაძელთა გმირობა ვრძელდება. თარგ. ს. გვინჩიძისა, რედ. ე. უბილაეა, გვ. 21, ფასი 35 კაპ.
რუსულ-ქართული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი — ნ. ხომიჭრაშვილის რედაქციით, გვ. 266, ფასი 7 მან. 60 კაპ.
გ. კუნჭულია — აზოტის (ცილების) ცვლა კუნთოვანი მუშაობისა და ტრენირების დროს. რედ. ვლ. ასათიანი, გვ. 186, ფასი 4 მან. 60 კაპ.
ლ. კალანდაძე, ნ. თულაშვილი — ბერის ბზელა და მასთან ბრძოლა. რედ. ც. ფირცხალავა, გვ. 26, ფასი 30 კაპ.
მ. გოგოიშვილი — ნიადაგის დარღვევის გავლენა ციტრუსების მოსავლიანობაზე. რედ. პრაოდ. გედევანიშვილი, გვ. 52, ფასი 55 კაპ.
პ. გელაშვილი — სამხრეთ ოსეთის მეცხოველეები. რედ. თ. ჯინჯიხაშვილი, გვ. 50, ფასი 55 კაპ.

საბლიბზაში

- აკაკი გეწაძე — ლაზარუს წყარო. რედ. ხ. ბერულავა, გვ. 236, ფასი 7 მან. 40 კაპ.
ჭითევან ქილაშვილი — საბავშვო მოთხრობები. რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 76, ფასი 2 მან. 40 კაპ.
თ. ჯიქიძე — ყვავილები ფესტივალზე. რედ. თ. დუმბაძე, გვ. 34, ფასი 1 მან. 40 კაპ.
მარიჯან — ჩვენი ეზოს ბავშვები. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 82, ფასი 2 მან. 45 კაპ.
ს. კლიმენტიევი — ტელეფონი. თარგ. ი. კარბელაშვილისა, რედ. კ. წერეთელი, გვ. 94, ფასი 2 მან. 60 კაპ.
ბელა ბალაში — პაინრიხი იწყებს ბრძოლას. თარგ. გერმანულიდან ლიდია პაპასკირისა, რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 84, ფასი 2 მან. 50 კაპ.
ქ. კუნინი — სამ ზღვას იქით. თარგ. იროდიონ ქავთარაძისა, რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 140, ფასი 3 მან. 20 კაპ.

ფან 8 ა.

გ. კ. მ.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»